
შჩა ბლუაშვილი

საქართველოს პოლიტიკური ისტორია
1987-2003 წწ.



გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2015

UDC (უაკ) 32(479.22)(09)
ბ – 777

წინამდებარე წიგნი უახლესი ისტორიის ერთობ საინტერესო პერიოდში – 1987-2003 წლების საქართველოში განვითარებული პოლიტიკური პროცესების მიუკერძოებლად გაშუქების ცდას წარმოადგენს. ეს მოვლენები დღემდე რჩება მკვლევართა ცხარე დისკუსიების საგნად, რაც არცაა გასაკვირი. თითოეული ჩვენთაგანი ხომ ამ დრამატული მოვლენების თვითმხილველი და მონაწილეა. პოლიტოლოგმა და ისტორიკოსმა უჩა ბლუაშვილმა ჩვენი ისტორიის ამ მნიშვნელოვან პერიოდს 1994 და 2012 წლებში უკვე მიუძღვნა სპეციალური გამოკვლევები. ამჯერად იგი კვლავ უბრუნდება თემას და მას გაცილებით სრული სახით წარმოუდგენს მკითხველს.

რედაქტორი: **ალექსანდრე დაუშვილი**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტი: **ავთანდილ ტუკვაძე**
პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

© უ. ბლუაშვილი, 2015
გამომცემლობა „უნივერსალი“, 2015
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E–mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-630-4

სარჩევი

შესავალი და ისტორიოგრაფიული მიმოხილვა 6

ნაწილი პირველი

დამოუკიდებლობის აღდგენა. გამსახურდიას ამაღლება და დაცემა.

თავი I.

ეროვნული მოძრაობის აღმავლობა და კომუნისტური მმართველობის დასასრული. 28

§ 1.1 ეროვნულ-პატრიოტული ორგანიზაციების ჩამოყალიბება..... 28
§ 1.2 1988 წლის ნოემბრის აქცია..... 41
§ 1.3 სეპარატიზმი და სეპარატისტები..... 46
§ 1.4 1989 წლის 9 აპრილი..... 58
§ 1.5 დამოკიდებულება 1990 წლის 25 მარტის უზენაესი საბჭოს არჩევნებისადმი..... 71
§ 1.6 „თურქი მესხების" პრობლემა..... 76
§ 1.7 სახალხო ფრონტის დაფუძნება..... 84
§ 1.8 კონფრონტაცია რადიკალთა ბანაკში..... 88
§ 1.9 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები..... 93

თავი II

კონფრონტაციული დაპირისპირება ეროვნულ ხელისუფლებასა და შეურიგებელ ოპოზიციას შორის. განხეთქილება „მრგვალი მაგიდის" მიგნით. 97

§ 2.1 ეროვნული ხელისუფლების პირველი ნაბიჯები. ხელისუფლებსთან თანამშრომლობის მცდელობა შეურიგებელ რადიკალთა მხრიდან..... 97
§ 2.2 „მხედრიონი"..... 104
§ 2.3 „საყმაწვილო სენი" ხელისუფლებაში. შეიარაღებული კონფლიქტის დაწყება შიდა ქართლში..... 111

§ 2.4 რეფერენდუმი და დამოუკიდებლობის გამოცხადება. 122
§ 2.5 საპრეზიდენტო არჩევნები 132
§ 2.6 1991 წლის აგვისტოს მოსკოვის პუტჩი 137
§ 2.7 1991 წლის 2 სექტემბრის მიტინგი 147
§ 2.8 კონფრონტაციის ესკალაცია 154

თავი III

ეროვნული ხელისუფლების დამხობა 175

§ 3.1 გადატრიალება 175
§ 3.2 1991-1992 წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შეფასება. 186

თავი IV

ახალი ხელისუფლების ღონისძიებანი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისიდან გამოსაყვანად. 191

§ 4.1 კონფრონტაციის გაგრძელება. სრულმასშტაბიანი სამოქალაქო ომის საფრთხე. 191
§ 4.2 ედუარდ შევარდნაძის მოწვევა. სახელმწიფო საბჭოს შექმნა 201

ნაწილი მეორე

ბრძოლა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის. სამოქალაქო ომის დასასრული.

თავი V

ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტები. სამოქალაქო ომის დასასრული 215

§ 5.1 ქართულ-ოსური კონფლიქტი 215
§ 5.2 ქართულ-აფხაზური კონფლიქტი 225
§ 5.3 სამოქალაქო ომის დასასრული 287

ბრძოლა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობისთვის

თავი VI

ბრძოლა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობისთვის 299

§ 6.1 საყოველთაო განუკითხაობიდან სტაბილიზაციისკენ 299
§ 6.2 ურთიერთობა რუსეთთან. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დიპლომატიური მცდელობები 314
§ 6.3 კონსტიტუციის მიღება. ტერორისტული აქტი სახელმწიფოს მეთაურის წინააღმდეგ 356
§ 6.4 ეკონომიკური და სოციალური ვითარების გაუმჯობესება 365
§ 6.5 სტაბილიზაციიდან კვლავ ეკონომიკური კოლაფსისკენ 369
§ 6.6 ეროვნული თანხმობის ეკლიანი გზა. მორიგი ტერაქტი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ 400
§ 6.7 ეთნოპოლიტიკური ურთიერთობები 414
§ 6.8 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები. „ვარდების რევოლუცია“ 435

დასკვნა 461

SUMMARY 464

„ვინც საკმაოდ ჭკვიანია საიმისოდ,
რომ თავი არ შეჰყოს პოლიტიკაში, იმით ისჯება,
რომ თავისზე უჭკუო ადამიანები მართავენ.
პლატონი

შესავალი და ისტორიოგრაფიული მიმოხილვა

ქართველი ერის მთელი ისტორია დამოუკიდებლობისთვის შეუპოვარი ბრძოლის ისტორიაა. თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ტერიტორიით, რიცხოვნობით, მატერიალური რესურსებით თუ სამხედრო თვალსაზრისით მრავალჯერ აღმატებულ დამპყრობლებთან ბრძოლაში ქართველ ხალხს ბევრჯერ განუცდია მარცხი, არაერთხელ დამდგარა საქართველოს დაყოფა-დანაწევრების, მისი ყოფნა-არყოფნის საკითხიც, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ის თავის თავში ყოველთვის პოულობდა ძალას თავგანწირული ბრძოლით არა მარტო დაეხსნა ქვეყანა განსაცდელისგან, არამედ შემდგომ განევითარებინა თავისი თვითმყოფადი ტრადიციები და კულტურა.

განუწყვეტელი თავდაცვითი სისხლისმღვრელი ბრძოლები ქართველი ხალხის ფიზიკური და სულიერი ძალების უკიდურეს დაძაბვას მოითხოვდა. XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე საქართველომ სოციალურ-ეკონომიკურად გაჩანაგებულმა, პოლიტიკურად დაძაბუნებულმა მოაღწია.

ასეთ პირობებში საქართველოს (ქართლ-კახეთის) სამეფო კარზე გაიმარჯვა ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირის პოლიტიკამ. ერეკლე მეორის აზრით, თურქეთსა და ირანს შორის ბალანსირებისა და ლავირების პოლიტიკამ მთლიანად ამოწურა თავი და მისი შემდგომი გაგრძელება ქართველ ხალხს ფიზიკურ გადაშენებას უქადდა.

რუსეთ-საქართველოს შორის 1783 წელს დადებული გეორგიევსკის ტრაქტატით საქართველო ნებაყოფლობით ამბობდა უარს დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკაზე, მაგრამ სრულად ინარჩუნებდა შინა ავტონომიას. საქართველოს სამეფო კარის ამ ნაბიჯს საუკუნის დასასრულს პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვა მოჰყვა.

ეს გარემოება საფუძველს აძლევს ზოგიერთ მკვლევარს, ამტკიცოს, რომ კაეკასიის არენაზე რუსეთის შემოყვანით ერეკლე მეორემ და მისმა სამეფო კარმა საბედისწერო შეცდომა დაუშვეს. მათი აზრით, ქართველი პოლიტიკოსები გულუბყერილოდ მიენდვნენ რუსეთს, რითაც ამ უკანასკნელმა დაუყოვნებლიე ისარგებლა კიდეც.

რა თქმა უნდა, საკითხის ასეთ დასმას გარკვეული საფუძველი გააჩნია. თუმცა, ქართველი პოლიტიკოსების რუსეთზე ორიენტაცია, ერთი მხრივ, ჩვენი ქვეყნის მაშინდელი უმძიმესი მდგომარეობის, მეორე მხრივ კი რუსეთის მზარდი პოლიტიკური ძლიერების ლოგიკური შედეგი იყო.

რუსეთის ახალგაზრდა სახელმწიფო გეგმაზომიერად აფართოებდა თავის საზღერებს. XVIII საუკუნის მეორე ნახევრისთვის რუსეთის სტრატეგიული ინტერესების სფეროში კავკასიამ ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი დაიკავა. საქართველოსთან ურთიერთობას რუსი პოლიტიკოსები ამ ინტერესებზე აგებდნენ და მიზნის მიღწეისთვის წარმატებით იყენებდნენ სიცრუეს და ეერაგობას, ნებისმიერ სხვა მეთოდს, რაც სრულებით ბუნებრივია. მაკიაველიზმი პოლიტიკაში მხოლოდ რუსეთის სამეფო კარისთვის როდი იყო დამახასიათებელი.

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიით იწყება ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ახალი ეტაპი, რომელიც არაერთი მნიშვნელოვანი გამოსელით აღინიშნა. 1802 და 1812 წლების კახეთის, 1804 წლის მთიულეთის, 1819-20 წლების იმერეთის აჯანყებები, 1832 წლის შეთქმულება, 1857 წლის სამეგრელოს აჯანყება და სხვა გამოსელები, მართალია, რუსეთის იმპერიას ვერაფერს აკლებდა, მაგრამ ხელს უწყობდა ქართველ სალხში თავისუფლებისმოყვარე სულის, ეროვნული მეობის შენარჩუნებას.

მხოლოდ იმპერიის რღევის შედეგად გახდა შესაძლებელი რუსეთის ორთავიანი არწივის კლანჭებისგან თავის დახსნა. 1918 წლის 26 მაისს, საუკუნოვანი ანექსიის შემდეგ, საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. დემოკრატიული გზით ხელისუფლების სათავეში მოსულმა ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ენერგიული ღონისძიებებით აღკვეთეს აფხაზეთსა და შიდა ქართლში ბოლშევიკების მიერ წახალისებული და მხარდაჭერილი სეპარატიზმი. საქართველო გახდა მსოფლიოში პირველი სოცი-

ალ-დემოკრატიული ქვეყანა. ბელგიელი სოციალ-დემოკრატი ემილ ვანდერველდე წერდა: „საოცარი და წარმოუდგენელი რამ მოხდა, საქრთველოს დედაქალაქ თბილისში შეიქმნა პირველი სოციალისტური მთავრობა და დაიწყო მშენებლობა ჭეშმარიტი დემოკრატიული წყობილებისა. 1918 წლის აგრალური, სოციალური რევოლუცია, რომელიც ქართველი სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით განხორციელდა, არის არა სოციალისტური, არამედ დემოკრატიული რევოლუცია და იგი სავსებით შეესაბამება ქვეყნის რეალობას.“[1] ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერი რამზეი მაკდონალდსი კი აღნიშნავდა: „თუ რომელიმე ერს თავისუფლება ეკუთვნის, ესაა ქართველი ერი, რომელმაც დაუმტკიცა კაცობრიობას თავისი მაღალი კულტურა და პოლიტიკური სიმწიფე.“[2]

მაგრამ, რუსეთში ბოლშევიზმის გამარჯვების შედეგად დამოუკიდებელი საქართველოს ბედი გადაწყვეტილი იყო. საქართველოში პროვოკაციული საბაბით საბჭოთა რუსეთის არმიების შემოჭრამ ქვეყნის სოციალ-დემოკრატიული ხელმძღვანელობა გარდაუვალი მარცხის წინაშე დააყენა.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, დემოკრატიული საქართველოს მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველყო ქვეყნის თავდაცვის სათანადო დონეზე ორგანიზება, რამაც განაპირობა კიდეც საქართველოს მარცხი რუსულ ბოლშევიზმთან ბრძოლაში.

ამ ბრალდებაში, შესაძლოა, ჭეშმარიტი იყოს პირველი ნაწილი. საქართველოს ხელისუფლებამ მართლაც ვერ შეძლო ქვეყნის მთელი ძალების მობილიზება მტერთან საბრძოლველად. მან თბილისის არსენალში დაცული იარაღის მიწოდებაც კი ვერ მოახერხა ქართული ჯარისთვის, რომელიც საბრძოლო მასალის მწვავე ნაკლებობას განიცდიდა. ამის მიუხედავად, თუ ჩვენ რეალურად შევხედავთ სიტუაციას, უნდა ვაღიაროთ, რომ ბოლშევიკურ რუსეთთან ომის მოგება საქართველოს არც ერთ შემთხვევაში არ შეეძლო.

ნოე ჟორდანიასა და მისი მთავრობის „დანამაული“ ისაა, რომ ზოგიერთიეით უკანასკნელ ჯარისკაცამდე არ ჩაებღაუჭა სავარძელს და ქვეყანას მალევე გაეცალა. სამაგიეროდ, ბოლშე-

---

[1]. საქართველოს ისტორია, ოთხტომეული, ტ 4, რედ. მაყვალა ნათმელაძე, თბ. 2012, გვ. 250.

[2]. იქვე, გვ. 251.

ეიკების მხრივ არაერთი მაცდუნებელი წინადადების მიუხედავად, ქართველი სოციალ-დემოკრატები მტერთან არავითარ გარიგებაზე არ წავიდნენ, მათ სელი არ მოაწერეს კაპიტულაციის აქტს, რითაც შემდგომ თაობებს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სამართლებრივი საფუძველი შეუვინარჩუნეს.

საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების შემდეგ იწყება ქართველი ხალხის გამათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი. 1920 წელს ფორმალურად შექმნილი საქართველოს კომუნისტური პარტია კვლავაც რუსეთის კომპარტიის ნაწილს წარმოადგენდა. რუსეთის ბოლშევიკებს, ცხადია, შეეძლოთ თავისი პოლიტიკა საქართველოში ამ უკანასკნელის მეშვეობით განეხორციელებინათ, მაგრამ ვითარების შეცვლას შეეძლო სერიოზულად გაერთულებინა საქმე. ამიტომ ლენინი საჭიროდ მიიჩნევდა საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივ გაერთიანებას. ამიერკავკასიაში კი, მისი აზრით, საჭირო იყო ამერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანებაც.

ამიერკავკასიაში ერთიანი მმართველობის შემოღებით ბოლშევიკები აქ გამეფებული ურთიერთშუღლისა და უნდობლობის ატმოსფეროს განმუხტვას იმედვნებდნენ. სწორედ ეს იყო ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის უმთავრესი მიზანი და არა მასში შემავალი რესპუბლიკების უფლებების შეზღუდვა, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს. სხვა საქმეა, რომ ფედერაციის შექმნას ობიექტურად მოჰყვა მასში შემავალი სუბიექტების (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) უფლებების შეზღუდვა, მაგრამ როგორც უკვე ითქვა, ეს შედეგი იყო და არა მიზანი.

1924 წლის აგვისტოს აჯანყება დამოუკიდებლობისთვის ქართველი ხალხის თავგანწირული ბრძოლის კიდევ ერთი ტრაგიკული ფურცელია. აჯანყება დიდი ხნის მანძილზე და საგულდაგულოდ მზადდებოდა. აჯანყების ხელმძღვანელი პარიტეტული კომიტეტის („დამკომი“) შემადგენლობაში თითქმის ყველა ოპოზიციურ პარტიას ჰყავდა თავისი წარმომადგენელი. თუმცა, ძირითად ბირთვს, ცხადია, ქართველი სოციალ-დემოკრატები წარმოადგენდნენ.

საქართველოს პატრიოტული ძალები კიდევ ერთხელ შეცდნენ, როდესაც ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში იმედები კვლავ საბღვარგარეთის ქვეყნების დახმარებაზე დაამყარეს. აჯანყების შტაბი ჯერ კიდევ შეიარაღებული გამოსვლის

დაწყებამდე დააპატიმრეს. ამის მიუხედავად რამდენიმე რაიონში აჯანყება მაინც დაიწყო. საბედისწერო შეცდომის, თუ წინასწარდაგეგმილი პროვოკაციის გამო, ჭიათურაში გამოსვლა მოხდა შეთანხმებულ დროზე ერთი დღით ადრე – 28 აგვისტოს. ამან არევდარევა შეიტანა აჯანყებულთა რიგებში, რითაც მოხერხებულად ისარგებლა ხელისუფლებამ. აჯანყების ბედი გადაწყვიტა თბილისზე დაგეგმილი შეტევის ჩაშლამ, რაც ხელისუფლების მიერ დედაქალაქის დაცვისთვის დამატებითი ზომების დროულად მიღებამ და აჯანყებულთა რიგების სიმცირემ (ქაქუცა ჩოლოყაშვილს ნავარაუდევი 600 კაცის ნაცვლად სულ 60 კაცი მიუვიდა) განაპირობა.

დღეს სულ უფრო მეტი ავტორი იზიარებს აზრს, რომ ბოლშევიკებმა, რომლებსაც თავიანთი ხალხი ყავდათ ჩანერგილი შეთქმულთა რიგებში, ცალკეულ რაიონებში აჯანყების დაწყების საშუალება შეთქმულებს განზრახ მისცეს, რათა შემდეგ ანტისაბჭოთა ძალებზე გადამწყვეტი დარტყმის საბაბი მიცემოდათ. რეპრესიები მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა. ბოლშევიკებმა შეასრულეს თავიანთი ბელადების მუქარა, რომ მნიშვნელოვნად შეამცირებდნენ საქართველოში თავადაზნაურთა პროცენტულ მაჩვენებელს (ეს მაჩვენებელი საქართველოში თითქმის 7 პროცენტს აღწევდა, მაშინ, როდესაც „საკავშირო“ ანალოგიური მაჩვენებელი 3 პროცენტს არ აღემატებოდა). საბჭურ ყვირილასთან მათ ვაგონებში ტყვიამფრქვევებით ჩაცხრილეს ჭიათურიდან წამოყვანილი თავადაზნაურთა წრის 95 წარმომადგენელი. სულ აჯანყებას 980 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.[3]

1924 წლის აჯანყებით დასრულდა ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი.

---

[3]. სხვადასხვა წყარო აჯანყების მსვლელობისა და მისი დამარცხების შემდეგ ხელისუფლების მიერ მოწყობილი ტერორის დროს დაღუპულთა სხვადასხვა ციფრს ასახელებს: ერთი წყაროს მიხედვით დაიღუპა 1047, მეორე წყარო 1714 კაცს ასახელებს, ემიგრანტულ წყაროებში ეს ციფრი 3 ათასიდან 5 ათასამდე მერყეობს, ორჯონიკიძე კი მოსკოვში გაგზავნილ თავის მოხსენებაში წერდა, რომ დაღუპულთა რაოდენობამ 980 კაცი შეადგინა. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში, ორჯონიკიძის დასახელებული ციფრი უფრო სარწმუნო უნდა იყოს. მაშინ რაც მეტ „მტერს“ გაანადგურებდი, მით უფრო დაფასებული იყავი მოსკოვის თვალში. ამიტომ ორჯონიკიძე არ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული „განადგურებული მტრის“ რაოდენობის შემცირებით.

თაეისუფლების იდეა თუმცა დაითრგუნა, მაგრამ არ ჩამკედარა. ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ნაწილი არ წყვეტდა მცდელობას, კიდეე ერთხელ დაეყენებინა ქართული საკითხი ევროპის სახელმწიფოების ლიდერების წინაშე. ამ წლების მნიშვნელოვან მოვლენად უნდა მივიჩნიოთ პარიზში ქართეელი პატრიოტული ასალგაზრდობის ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ დაარსება, რომელსაც სათაეეში გენერალი ლეო კერესელიძე ჩაუდგა.

30-იანი წლების მეორე ნახევრის რეპრესიებმა განსაკუთრებული გავლენა მოახდინეს ასალგაზრდობის დამოკიდებულებაზე საბჭოთა რეჟიმის მიმართ, გაამძაფრეს მასში წინააღმდეგობის სული. მით უმეტეს, რომ ბეერმა მათგანმა საკუთარ ოჯახზე იწვნია რეპრესიების სიმწარე. ეროვნულ-გამათაეისუფლებელი სულისკვეთების გამოვლინებას წარმოადგენდა გერმანიასთან დაწყებული ომის პირეელიეე წლებში თბილისსა და საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ჩამოყალიბებული არალეგალური ანტისაბჭოთა ჯგუფები. 1942 წელს საბჭოთა უშიშროების ორგანოებმა თბილისში გამოაელინეს შეთქმულთა ჯგუფი (კ. ჯოგლიძე, კ. ხიმშიაშვილი, გ. ჭალაგანიძე. გ. იმერლიშეილი და სხე). შესანიშნავი ქართველი მწერლის, ლევან გოთუას თაოსნობით დედაქალაქში ფუნქციონირებდა მეორე ჯგუფი „საქართეელოს ეროენული თავდაცვის კომიტეტის“ სახელწოდებით, რომელშიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, ასპირანტები და კურსდამთავრებულები იყვნენ გაერთიანებულნი. ანტისაბჭოთა ჯგუფი დაფუძნდა თუშეთში ადამ ბობღიაშვილისა და ფანცალა იმედიძის ინიციატიეით და სხვ.

ანტისაბჭოთა მოძრაობის მონაწილეთა შორის 17-ს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიესაჯა. „შეთქმულებთან“ თანამშრომლობის ბრალდებით გადასახლება მიესაჯა რამდენიმე ათეულ ადამიანს. რეპრესიები შეეხო ფილოსოფოსებს: მ. გოგიბერიძეს, ზ. მიქელაძეს, ფილოლოგებს: ბ. ფოჩხუას, მ. აბულაძეს. 22 წელი გაატარა გადასახლებაში ლევან გოთუამაც.

1956 წლის მარტში თბილისის, გორის, ქუთაისის და საქართველოს სხვა ქალაქების ასალგაზრდობა სტალინის პიროენების კულტის მხილებამ ქუჩებში გამოიყვანა. ხრუშჩოვის მიერ სტალინის კრიტიკა საქართველოში ეროვნულ შეურაცხყოფად და დამცირებად იქნა აღქმული. განსაკუთრებით ხალხმრავალი იყო მიტინგი თბილისში სტალინის მონუმენტთან. მოსწაელეები, სტუდენტები, მუშები, მწერლები, პოეტები, გამოჩენილი სახელმწიფო

მოღვაწენი საჯაროდ კითხულობდნენ ლექსებს, წარმოთქვამდნენ სიტყვებს...

მანიფესტაციამ კულმინაციას მიაღწია 9 მარტს ღამით, როდესაც ახალგაზრდების ერთი ჯგუფი გაემართა კავშირგაბმულობის სახლისკენ. ამ დროისთვის საქართველოში მთელ ძალაუფლებას უკვე მოსკოვიდან ჩამოსული საბჭოთა შეიარაღებული ძალების პოლიტსამმართველოს პასუხისმგებელი მუშაკი აკონტროლებდა, რომელმაც კავშირგაბმულობის შენობისკენ მომიტინგეთა დაძერა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად აღიქვა. სამხედროებმა უიარაღო მომიტინგეებს ცეცხლი გაუხსნეს. სანაპიროსკენ უკანდახეულ ახალგაზრდებს გზა ტანკებმა გადაუღობეს. სისხლიანი დარბევა რამდენიმე წუთს გაგრძელდა. ოფიციალური ცნობით დაიღუპა 23 კაცი, დაიჭრა 36.[4]

1956 წლის მარტის დემონსტრაციებისა და 9 მარტის ტრაგედიის შემდეგ მოსახლეობაში გაჩნდა ანტისაბჭოური შინაარსის ხელნაწერი ფურცლები და დაბეჭდილი პროკლამაციები, რომლებშიც დომინირებდა ლოზუნგი: „თავისუფლება საქართველოს!“ სტალინის პიროვნების დაცვასთან ერთად პროკლამაციებში საბჭოთა რეჟიმის დაგმობის, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნებიც იყო წამოყენებული.

ანტისაბჭოური შეფერილობა მიიღო 1977 წელს თბილისში, ფეხბურთის მატჩის მიმდინარეობისას რუსი ეროვნების მსაჯის მიერ მიღებული აშკარად ტენდენციური გადაწყვეტილების შედეგად წარმოქმნილმა მასობრივმა უკმაყოფილებამაც.

ეროვნული ინტერესებისადმი ერთგულების ნათელ დემონსტრაციას წარმოადგენდა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის შესანარჩუნებლად ქართველი სტუდენტებისა და პატრიოტულად განწყობილი ინტელიგენციის გამოსვლა 1978 წლის აპრილში. ქვეყნის ახალ კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფო სტატუსისთვის ბრძოლამ კიდევ ერთხელ ცხადყო ქართველი ხალხის მაღალი ეროვნული თვითშეგნება. 1978 წლის 14 აპრილს ქართველმა ახალგაზრდებმა დაამტკიცეს ეროვნული იდეალებისადმი თავიანთი ერთგულება. მთელს საბჭოთა სივრცეში ეს იყო პირველი პრეცედენტი, როდესაც ხელისუფლებამ ვერ გაბედა ია-

---

[4]. ალექსანდრე ბენდიანიშვილი, ალექსანდრე დაუშვილი, მაყვალა ნათმელაძე, „საქართველოს ისტორია მე19-მე-20 საუკუნეებში“, ოთხტომეული, ტომი მე-4, თბ. 2012, გვ. 441;

რაღით დაპირისპირებოდა დემონსტრანტებს. ამ თვალსაზრისით, ქართველი სტუდენტების ეს გამარჯვება შეიძლება საბჭოთა ხელისუფლების კუბოში ჩაჭედებულ პირველ ლურსმნადაც მიეჩნიოთ. 14 აპრილმა გამარჯვების რწმენა ჩაუნერგა არა მხოლოდ ქართველ ხალხს, არამედ საბჭოთა კავშირში შემავალ სხვა ხალხებსაც. მან ცხადყო, რომ ახლოვდებოდა საბჭოთა იმპერიის აღსასრული.

ამასთან, ქართულ სამეცნიერო და, განსაკუთრებით, პუბლიცისტურ ლიტერატურაში ადგილი აქეს 1978 წლის აპრილის მოვლენების არასწორ, გაზვიადებულ შეფასებას, რის შედეგადაც საზოგადოებაში დამკვიდრებულია სტერეოტიპი, თითქოს 1978 წელს საბჭოთა ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი ჰქონდა „წაერთმია ქართული ენა ქართველი ხალხისთვის", და რომ „სტუდენტობამ თავგანწირვის ფასად შეძლო ენის შენარჩუნება".

ამცირებდა თუ არა, კონსტიტუციური აზრით, ქართული ენის მნიშვნელობას მისი სახელმწიფო სტატუსის გაუქმება? ცხადია, ამცირებდა. მაგრამ თუ ჩვენ ასე დაესვამთ კითხვას: შეზღუდავდა თუ არა რეალურად ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის გაუქმება ქართველებისთვის მისი გამოყენების შესაძლებლობას? მაშინ პასუხი უარყოფითი იქნება.

საქმე ისაა, რომ 1978 წლამდე სასელმწიფო სტატუსი საბჭოთა კავშირში გააჩნდა მხოლოდ ქართულ ენას. იმის გასარკვევად, თუ რატომ იქცა დაშვებული ქართული ენისთვის ასეთი გამონაკლისი, მცირეოდენ ისტორიულ ექსკურსს უნდა მიემართოთ:

ჯერ კიდევ 1903 წელს ლენინის მიერ დაწერილ და რსდმპ II ყრილობაზე მიღებულ პირველ პროგრამაში ეროვნულ საკითხზე ორი განმსაზღვრელი პუნქტი დაფიქსირდა: 1. ყველა ენის თანასწორუფლებიანობა; 2. ერთა თვითგამორკვევის უფლება:

1918 წელს მიღებულ „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაციაში", შემდეგ კი რსფსრ კონსტიტუციაშიც, ეს მუხლები უცვლელი სახით გადავიდა. ლენინი მიიჩნევდა, რომ რომელიმე ენისთვის სახელმწიფო სტატუსის მინიჭება იქნებოდა ენათა თანასწორუფლებიანობის დარღვევა. საერთოდ, ენის სახელმწიფო სტატუსი მას „ბურჟუაზიულ კატეგორიად" მიაჩნდა. ლენინის აზრით, რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები ხალხები ნებაყოფლობით, ყოველგვარი „სტატუსის" გარეშე აღიარებდნენ რუსულ ენას ერთამორისი ურთიერთობების ენად.

რსფსრ-ს შემდეგ წარმოქმნილი ყველა საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციას საფუძვლად ლენინური რუსული კონსტიტუცია დაედო. საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაზე მუშაობა 1921-1922 წლებში მიმდინარეობდა. საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში კომუნისტებთან ერთად მონაწილეობას მემარცხენე უედერალისტებიც ღებულობდნენ. სწორედ მათი წარმომადგენელი – სიმონ ხუნდაძე გამოვიდა წინადადებით – კონსტიტუციაში შეეტანათ მუსლი ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის შესახებ. თავის წინადადებას ხუნდაძე შემდეგნაირად ასაბუთებდა: ეს სტატუსი ქართულ ენას გააჩნდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით და თუ ჩვენ უარს ვიტყვით ამ სტატუსზე, ამით სერიოზულ არგუმენტს მივცემთ ემიგრაციაში მყოფ სოციალ-დემოკრატებს ამტკიცონ საბჭოთა ხელისუფლების არაეროვნულობა.[5]

ქართველ ბოლშევიკებს ჭკუაში დაუჯდათ ხუნდაძის არგუმენტი. კონსულტაციისთვის მათ კრემლს, ლენინს და სტალინს მიმართეს. საბჭოთა ხელმძღვანელებმა მაშინ შესაძლებლად ჩათვალეს საქართველოსთვის ამ გამონაკლისის დაშვება. ლენინის აზრით, კონიუნქტურის გათვალისწინებით, საბჭოთა ხელისუფლება უნდა წასულიყო ისეთ კომპრომისებზე, რომლებიც მოცემულ მომენტში ხელს შეუწყობდნენ საბჭოთა წყობილების განმტკიცებას. კონსტიტუციიდან მცდარი მუხლების ამოღება კი საბჭოთა ხელისუფლების ფეხზე მყარად დადგომის შემდეგაც შეიძლებოდა.

ეგრეთ წოდებული გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციის პროექტზე მუშაობისას, იურისტებმა კონსტიტუციიდან ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის მუხლის ამოღების საკითხი დააყენეს, თუმცა სტალინმა მაშინ ამ ნაბიჯის გადადგმა ნაადრევად მიიჩნია. 1978 წელს, „განვითარებული სოციალიზმის“ კონსტიტუციის პროექტზე მუშაობისას, იურისტებმა კელავ წამოჭრეს ეს საკითხი. საქმე ის იყო, რომ ნებისმიერი საბჭოთა კონსტიტუცია უცვლელად იმეორებდა ყველა ენის თანასწორუფლებიანობის ლენინურ დებულებას. ლენინის კულტის პირობებში ამ მუხლის კონსტიტუციიდან ამოღებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. არადა, ეს დებულება პირდაპირ წინააღმდეგობაში იყო ენის სახელმწიფო სტატუსის პუნქტთან. მართლაცდა, თუ ყველა

[5]. რევაზ გრძელიძე, „საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია“, 1910-1924 წწ. თბ, 1996, გვ 223.

ენა თანასწორუფლებიანია, მაშინ რას ნიშნავს ერთი ენის გამორჩევა სახელმწიფო სტატუსით? სწორედ ამიტომ მოითხოვდნენ იურისტები წინააღმდეგობის აღმოუხერას სახელმწიფოს ძირითად კანონში.

საბჭოთა კავშირის მაშინდელი ხელმძღვანელობა აცნობიერებდა, რომ კონსტიტუციიდან ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის ამოღებას საქართველოში ენებათღელვა მოჰყეებოდა. ამის მიუხედავად, მისი ამოღება მაინც გადაწყდა. ქართველი ხალხის მოსალოდნელი აღშფოთების გასანეიტრალებლად კი კონსტიტუციის პროექტში ჩაიწერა, რომ სახელმწიფო ყველანაირად შეუწყობს ხელს ქართული ენის განეითარებასა და აყვავებას.

ამან საქმეს ვერ უშველა. კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებას თბილისში სტუდენტთა მძლავრი საპროტესტო მიტინგები მოჰყვა. ყველაფრიდან ჩანდა, რომ ქართველი ახალგაზრდები თავიანთი აღმზრდელი პროფესსორ-მასწავლებლებისა და მთელი ქართველი ხალხის მხარდაჭერით სარგებლობდნენ.

ხელისუფლება იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო.

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ თბილისში 1978 წლის აპრილში განვითარებული მოვლენების მშვიდობიანად, უსისხლოდ დამთავრებაში წონადი წელილი საქართველოს კომპარტიის მაშინდელ ლიდერს – ედუარდ შევარდნაძეს მიუძღვის.

ცხადია, საბჭოთა ხელმძღვანელობა შეფარულად აგტარებდა ეროვნული ენების რუსულით ჩანაცვლების გეგმებს. ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის გაუქმება, ამ თიმართულებით გადადგმულ ნაბიჯადაც შეიძლება განვიხილოთ. თუმცა, როგორც უკვე ითქვა, ხელისუფლების ქმედების მთავარ მოტივს წარმოადგენდა კონსტიტუციის მუხლებს შორის არსებული წინააღმდეგობის აღმოფხვრა. ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის მუხლის ამოღებას კონსტიტუციიდან მოითხოვდნენ იურისტები და არა პოლიტიკოსები. საქმე ეხებოდა საბჭოთა კავშირის სხვა ეროვნულ ენებთან ქართული ენის სამართლებრივად გათანაბრებას და არა მისი უფლებების შეზღუდვას. სწორედ ამიტომ არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის გაუქმება მყისიერად შეზღუდავდა მისი გამოყენების არეალს.

ასეთია ფაქტები. ფაქტები კი ისე უნდა მივიღოთ, როგორიც ისინი სინამდვილეში არიან. ჩვენს განწყობაზე, მით უმეტეს, კონიუნქტურულ განწყობაზე მათი მორგების ყოველი მცდელობა

სელს გეიშლის არა მხოლოდ ჩვენი წარსულის მართებულ გააზრებაში, არამედ მომავლის სწორად განჭვრეტაშიც.

დავძენთ მხოლოდ, რომ ზემონათქვამი ოდნავადაც არ ამცირებს ქართველი ახალგაზრდობის ღვაწლს ეროვნული იდეალების დაცვაში.

საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო პერიოდს 1987-2003 წლები წარმოადგენს. ეს არის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იატაკქვეშეთიდან გამოსვლის, დამოუკიდებლობის აღდგენის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევის, სამოქალაქო ომის, ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს განმტკიცებისთვის ბრძოლის პერიოდი. სწორედ პოლიტიკურ მოვლენათა ასეთი კალეიდოსკოპური ცვალებადობა, სიუხვე და მნიშვნელობა განაპირობებს მისადმი მკვლევართა შეუნელებელ ინტერესს.

წინამდებარე ნაშრომის წყაროთმცოდნეობით ბაზას წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები, საქართველოს პარლამენტის, მთავრობის დადგენილებები, პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების ოფიციალური განცხადებები და ა. შ. მათი დიდი ნაწილი თავმოყრილია მე-20 საუკუნის პერიოდიკისა და საისტორიო არქივებში დაცული ცნობების საფუძველზე ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილ „ქრონიკების“ ორ ტომში[6], აგრეთვე, ედიშერ გვენეტაძისა და ზაზა კალანდიას მიერ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მომზადებულ და გამოცემულ საქართველოს უახლესი ისტორიის დოკუმენტური მასალების 1988-1990 და 1990-1991 წწ. ორტომეულში. პირველწყაროს მნიშვნელობა გააჩნიათ ირაკლი წერეთლის, ირაკლი ბათიაშვილის, ნოდარ ნათაძის, თეიმურაზ ჭანტურიშვილის და სხვათა მოგონებებს[7], თუმცა, პოლიტიკურ პროცესებში ამ ავ-

---

[6]. მიხეილ სამსონაძე, ალექსანდრე დაუშვილი, გურამ მაისურაძე, ნინო თომაძე, მაია თადუმაძე, „საქართველო მე-20 საუკუნის 90-იანი წლები, ქრონიკები, წიგნი 1, 1991“ თბ. 2010; მიხეილ სამსონაძე, ალექსანდრე დაუშვილი, გურამ მაისურაძე, ნინო თომაძე, მაია თადუმაძე, „საქართველო მე-20 საუკუნის 90-იანი წლები, ქრონიკები, წიგნი 2, 1992“ თბ. 2010;

[7] ირაკლი წერეთელი, „ეროვნული თავისუფლების სათავეებთან“, თბ. 2010; ირაკლი ბათიაშვილი, „შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ“, თბ. 2010; ნოდარ ნათაძე, „რაც ვიცი (ფაქტები და ანალიზი),“ თბ. 2002“ „სიმართლე ზვიად გამსახურდიას შესახებ“, შემდგენელი თ. ჭანტურიშვილი, თბ. 1999;

ტორთა უშუალო მონაწილეობა თაეისთაეად გულისხმობს გარკვეულ მიკერძოებულობას, რაც მათი მოგონებებისადმი ფრთხილ დამოკიდებულებას მოითხოვს. ამ ჟანრის ნაშრომებიდან ცალკე აღნიშვნის ღირსია ნოდარ ნათაძის ანალიტიკური ნაშრომი, რომელსაც საკითხით დაინტერესებული ვერცერთი მკვლეეარი გვერდს ვერ აუვლის.

მემუარულ ჟანრს მიეკუთვნება ნაპოლეონ ქარქაშაძის წიგნი „სხივი წყედიადში"[8]. ეროვნული მოძრაობის წლებში ავტორი სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის რექტორად მუშაობდა, იყო აფხაზეთის რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე, აქტიურად მონაწილეობდა ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. შემდგომ წლებში ის საქართველოს აგრარულ უნიეერსიტეტს ედგა სათაეეში და აქაც აქტიურ პოლიტიკურ ცხოერებას ეწეოდა. აკადემიკოსი მეტად საინტერესოდ აღწერს სოხუმში განეითარებულ მოელენებს, განსაკუთრებით შთამბეჭდაეია მისი მოგონებები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ელადისლაე არძინბას არჩეეასთან დაკავშირებით. არძინბას კანდიდატურა ზვიად გამსახურდიამ შეარჩია და მიუხედაეად იმისა, რომ ამ აშკარად ქართველთმოძულე ოდიოზური პიროენების კანდიდატურას არა მხოლოდ სოხუმის ქართული დიასპორა, არამედ პროქართულად განწყობილი აფხაზებიც გააფთრებით ეწინააღმდეგებოდნენ, მან მაინც თაეისი გაიტანა. ძალზე საინტერესო ცნობებს გვაწედის ქარქაშაძე მურმან ომანიძესა და ოთარ ზუხბაიასთან ერთად 1991 წლის 9 აპრილის წინა დღეებში ზვიად გამსახურდიას დაეალებით მოსკოეში თაეისი მივლინებისა და სსრ კაეშირის უმაღლეს ხელმძღანელებთან შეხვედრების შესახებ. იშვიათი მწერლური სელოვნებით აღწერს ქარქაშაძე აგრარული უნიეერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე ყოფნისას ჯერ გამსახურდიასთან, შემდეგ კი შევარდნაძესთან შეხვედრების დროს გამართულ დიალოგებს და სხვა.

ამავე ჟანრს უნდა მიეაკუთვნოთ საქართველოს უშიშროების ექსმინისტრის ჯემალ გახოკიძის წიგნი - „ბეწვის ხიდზე"[9]. მასში, სხვა საინტერსო მასალებთან ერთად, შესულია სხვადას-

---

[8]. ნაპოლეონ ქარქაშაძე, „სხივი წყედიადში", თბ. 2013;

[9]. ჯემალ გახოკიძე, „ბეწვის ხიდზე", თბ. 2013;

სვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე, მათ შორის, უშიშროების მინისტრის პოსტზე მუშაობისას გახოკიძის მიერ მიცემული ინტერვიუები. გახოკიძე საქართველოს პრეზიდენტზე განხორციელებული თავდასხმების, სხვა ტერორისტული აქტების ჩამოძიების უშუალო მონაწილე და ერთ-ერთი ხელმძღვანელია. პრეზიდენტზე თავდასხმის ერთ-ერთ მთავარ ორგანიზატორთან ჯოჩა ესებუასთან შესვედრებისას გამართულ დიალოგებში, ელიავას ამბოხებულებთან მოლაპარაკებებში და სხვა ეპიზოდებში კარგად სჩანს გახოკიძის პირადი სიმამაცე და ქვეყნის ინტერესებისთვის თავგანწირვის მზადყოფნა, მისთვის ესოდენ დამახასიათებელი უშუალობა, თავმდაბლობა და დემოკრატიულობა, რაც პოლიტიკურ მოწინააღმდეგესაც კი ხიბლავდა და კომპრომისისთვის განაწყობდა.

ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკური ფიგურის შეფასებას ისახავს მიზნად ისტორიკოსი ნოდარ ლომოური თავის მემუარულ ნაშრომში[10]. ავტორი პირადად იცნობდა კონსტანტინე გამსახურდიას და მის ოჯახს, რაც საშუალებას აძლევს მას კონსტანტინესა და ზვიად გამსახურდიებთან დაკავშირებული მანამადე ფართო საზოგადოებისთვის საგულდაგულოდ მიჩქმალული ბევრი საინტერესო ეპიზოდი გაიხსენოს. ამასთან, ლომოურის მსჯელობებში აშკარად იკვეთება პიროვნული შეუთავსებლობა ზვიად გამსახურდიას მიმართ (მაგალითად, ლომოური ყოველგვარი არგუმენტების გარეშე აცხადებს, რომ ზვიად გამსახურდია „მოსკოვის კარნახით მოქმედებდა"), მაშინ როდესაც არ მალავს თავის აღფრთოვანებას შევარდნაძის პიროვნებით, რაც ეჭვსქვეშ აყენებს მეცნიერის ობიექტურობას.

საქართველოს პირველი პრეზიდენტის სიკვდილის გარემოებების დადგენისთვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ზვიად გამსახურდიას სიკვდილის გარემოებების დამდგენი დროებითი საპარლამენტო კომისიის (თავმჯდომარე კ. გამსახურდია) დასკვნას, აგრეთვე კონსტანტინე (კოკო) გამსახურდიას წიგნს „დინების საწინააღმდეგოდ"[11], კონსტანტინე გამსახურდია ცდილობს გააბათილოს თვითმკვლელობის ვერსია და დაამტკიცოს, რომ ზვიად გამსახურდია მოკლულია. კომისიისა და მისი თავ-

[10]. ნოდარ ლომოური, „საქართველო წარსული საუკუნის ბოლოს და ედუარდ შევარდნაძე," თბ. 2011;

[11]. კონსტანტინე გამსახურდია, „დინების საწინააღმდეგოდ", თბ. 2006;

მჯდომარის მტკიცებების საწინააღმდეგოდ, - ზეიად გამსახურდიას სიკვდილის უშუალო მოწმე, გამსახურდიას მთავრობის მეთაური ბესარიონ გუგუშვილი თავის ნაშრომში „მკელელობის დაკვეთა“[12], კონკრეტული ფაქტების მოშველიებით თვითმკვლელობის ვერსიის ჭეშმარიტებას ასაბუთებს. ამ ორი დიამეტრალურად დაპირისპირებული პოზიციის შეჯერება და მათი შედარებითი ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვკვეთოთ ჩვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის, დამოუკიდებლობის აღდგენის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და სამოქალაქო ომის მოვლენებს ამუქებს თავის შესანიშნავ წიგნში გიორგი წიქარიშვილი[13], ავტორი მეტად ცოცხლად და საინტერესოდ გადმოგვცემს 1988-1993 წლების საქართველოში განვითარებული მოვლენების ისტორიას. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისადმი მის განწყობას კარგად ასახავს ამ მოძრაობისთვის მის მიერ შერქმეული სახელი: „ეროვნულ-გამანადგურებელი“. ფაქტების სიუხვით, ანალიზის სიღრმით და ორიგინალური დასკვნებით ამ პერიოდის საქართველოს ისტორიაზე დაწერილი ნაშრომებიდან წიქარიშვილის წიგნი უდავოდ ერთერთი საუკეთესოა.

დიმიტრი შველიძის უაღრესად საყურადღებო მონოგრაფიულ ნაშრომში „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1988-1992 წწ.)“[14] მეცნიერულადაა შესწავლილი 1987-1992 წლებში ჯერ ეროვნულ მოძრაობაში, შემდეგ კი დამოუკიდებელ საქართველოში ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის არსებული დაპირისპირებები, მდიდარი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე ნაჩვენებია ამ დაპირისპირებების ჭეშმარიტი მიზეზები. ავტორი დეტალურად აშუქებს 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის გადატრიალების პერიპეტიებს და, ჩვენი აზრით, მართებულ შეფასებას აძლევს ამ მოვლენას. ამასთან, ავტორი მეტ შემწყნარებლობას იჩენს გამსახურდიასა და მისი მომხრე ძალების მიმართ და შედარებით

---

[12]. ბესარიონ გუგუშვილი, „მკელელობის დაკვეთა“, თბ. 2012;

[13]. გიორგი წიქარიშვილი, „ჟამი ჭეშმარიტი, დამარცხებული მოძრაობის ქრონიკა“, თბ. 2003;

[14]. დიმიტრი შველიძე, „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წწ.)“, თბ. 2008;

მკაცრია მოწინააღმდეგე ძალების შეფასებისას. თუმცა, მთლიანობაში ის მაინც ახერხებს ობიექტურობის დაცვას.

თემურ მირიანაშვილის პუბლიცისტური წერილების კრებული „შაებნელი ჟამის ქრონიკა“[15], ჩვენთვის საინტერესო პერიოდის შესახებ გამოცემული ყველაზე ადრინდელი ნაშრომია (1993). სათაურშივე ჩანს ავტორის დამოკიდებულება 1988-1991 წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენებისადმი. გამსახურდიას უმთავრეს დანაშაულად მას ის მიაჩნია, რომ მან (გამსახურდიამ) „არ ისურვა სხვა მსოფლმხედველობით პოზიციაზე მდგომ ძალებთან პოლიტიკური ბრძოლა და მეტოქეთა განადგურება „მორალური ტერორით“ სცადა“. წიგნში აღწერილ მოვლენებს მირიანაშვილი პრეზიდენტის მრჩეველის პოზიციიდან ადევნებდა თვალს, რის გამოც მას ბევრ უცხო თვალისთვის დაფარულ დოკუმენტზე მიუწვდებოდა ხელი. ეს გარემოება კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მის პოლემიკური ხასიათის ნაშრომს.

ხუთი ნაშრომი მიუძღვნა 80-იანი წლების მიწურულისა და 90-იანების დასწყისის მოვლენების გაშუქებას იგორ კვესელავამ[16], წინა ავტორებისგან განსხვავებით კვესელავა მვიად გამსახურდიას პიროვნებისა და მისი ხელისუფლებისადმი აშკარა სიმპატიით გამოირჩევა. და თუმცა, მის ნაშრომებში გაკვრით, მაგრამ მაინც არის საუბარი ეროვნული ხელისუფლებისა და მისი ლიდერის ცალკეულ შეცდომებზე, მიკერძოება მაინც სრულიად აშკარაა, რაც მეცნიერულ ღირებულებას უკარგავს მათ.

1987-1993 წლების მოვლენებს ეხება ამ სტრიქონების ავტორის ორი ნაშრომიც[17]. ქართულ-აფხაზური კონფლიქტისადმი მიძღვნილი ნაშრომებიდან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ სვეტლანა ჩერვონნაიას წიგნი – „აფხაზეთი – პოსტკომუნისტური

---

[15]. თემურ მირიანაშვილი, „შაებნელი ჟამის ქრონიკა““, თბ. 1993;

[16]. იგორ კვესელავა, „დისიდენტური მოძრაობა საქართველოში“, თბ. 1999; „საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ორიენტაციის ზოგიერთი საკითხი“, თბ. 1999; „საქართველოს ეროვნული მოძრაობის საკითხები“ თბ. 1999; საქართველოს ისტორიის ქრონიკები“ (1970-1990). საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა“, თბ. 2004; „საქართველოს უახლესი ისტრიის ქრონიკები“, თბ. 2007;

[17]. უჩა ბლუაშვილი, „ეროვნული მოძრაობა და პოლიტიკური პარტიები საქართველოში 1988-1991 წწ.“ თბ. 1994; „ეროვნული მოძრაობა და პოლიტიკური კონფრონტაცია საქართველოში 1987-1993 წწ.“ თბ. 2002;

ეანდეა საქართველოში“[18]. „მე არ მრცხვენია, რომ ჩემი წიგნი პროქართულია. მე არ ვარ აფხაზი ხალხის წინააღმდეგი. აფხაზი და ქართველი ხალხები მსხვერპლნი არიან იმ ომისა, რომელსაც რუსეთის იმპერიული ძალები ეძგნენ სათავეში“[19], - წერდა ავტორი მოგვიანებით. უტყუარი დოკუმენტური მასალის საფუძველზე ჩერეონნაია დამაჯერებლად აჩვენებს რუსეთის საძრახის როლს ამ ომში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია დაზმირ ჯოჯუას წიგნი „სოხუმის დაცემა (სამხედრო-პოლიტიკური ანალიზის ცდა)“. დასახელებული წიგნი მრავალმხრივ არის საინტერესო. ავტორი არ იფარგლება სათაურში გამოტანილი თემით და ღრმად და საფუძვლიანად აანალიზებს ომის მონაწილე მხარეების - რუსეთის და აფხაზი სეპარატისტების ქმედებათა ჭეშმარიტ მოტივებს. უტყუარი დოკუმენტური და ფაქტობრივი მასალის საფუძველზე ჯოჯუა დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ „აფხაზური ეთნოკრატიული სეპარატიზმის მორიგი აღმაელობა ინსპირირებული იყო კრემლის მიერ... (და რომ) ომის მთავარი გეოპოლიტიკური მიზეზი უნდა ვეძიოთ რუსეთის იმპერიულ სტრატეგიაში, ხოლო სოციეტალური მიზეზი - აფხაზური ეთნოკრატიის სეპარატისტულ პლატორმაში“. ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული უაღრესად მცდარი, მე ეიტყოდი, პრიმიტიული თეასაზრისის საწინააღმდეგოდ, რომლის მიხედვითაც აფხაზური სეპარატიზმის ერთადერთ წყაროდ რუსეთის ინსინუაციები, ანუ გარე ფაქტორი მოიაზრება, ავტორს მოჰყავს ისტორიული ფაქტები, რომლებიც უტყუარად მიუთითებენ აფხაზური სეპარატიზმის შინაგან მოტივებზეც. ამასთან, ჯოჯუა ამჟღავნებს გარკვეულ მიკერძოებასაც. მისთვის დამახასიათებელ ღრმა, ყოვლისმომცველ ანალიზს, რომელიც წითელ საბად გასდევს ამ წიგნს, დროდადრო ბერელე და ტენდენციური მსჯელობა ენაცვლება. ასეთ დროს ავტორი ან გვერდს უვლის აშკარა ფაქტებს და მათ პირდაპირ იგნორირებას ახდენს (მაგალითად, როდესაც ის წერს, რომ „ენგურ-ფსოუს მონაკვეთზე იძარცვებოდა საქართველოსა და სომხეთ-აზარბაიჯანისთვის განკუთვნილი სარკინიგზო შემადგენლობანი, გახშირდა საგრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირების, აფეთქებებისა და დაზია-

[18]. სვეტლანა ჩერეონნაია, „აფხაზეთი – პოსტკომუნისტური ეანდეა საქართველოში,“ რუს. ენაზე, მ. 1993;

[19]. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 3 მაისი, 1996;

ნების, სარკინიგზო შემადგენლობებისა და ტვირთების ხელში ჩაგდების, მგზავრთა გაძარცვის ფაქტები“, ავტორი დუმილით უვლის გვერდს, რომ ამ „ბლოკირებებს, აფეთქებებს, ტვირთების ხელში ჩაგდებებს“ ძირითადად სწორედ ზვიადისტური ძალები ახდენდნენ. თანაც არა მხოლოდ ენგური-ფსოუს, არამედ ზ·უგდიდი-სენაკის მონაკვეთზეც.), ან ის პირდაპირ ახდენს ფაქტების არასწორ ინტერპრეტაციას (მაგალითად, როდესაც აცხადებს, რომ დევნილობაში მყოფი საქართველოს პრეზიდენტი „საქართველოს შეიარაღებული ძალების ერთიანი მართვისა და კოორდინაციის ოპტიმალურ ვარიანტს სთავაზობდა ყველას“. გამსახურდიას მიერ შემოთავაზებულ რა ვარიანტზეა საუბარი? სამთავრობო ჯარების მის დაქვემდებარებაში გადასვლაზე! ხომ წინასწარ იყო ცნობილი, რომ გეარდია, „მხედრიონი“, გამსახურდიასადმი სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული სხვა შეიარაღებული ფორმირებები ამას არ გააკეთებდნენ. რომელ „ოპტიმალურ ვარიანტზე“ შეიძლება აქ საუბარი?). აქვე უნდა ითქვას, რომ მსგავს მიკერძოებებს წიგნში ეპიზოდური ხასიათი აქვთ და მთლიანობაში ავტორი ახერხებს მართებული პოზიციის შენარჩუნებას.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომი 20 წლის პოლიტიკური ისტორიის ძალზე საინტერესო ანალიზია მოცემული ჯერ ინგლისურ, შემდეგ კი ქართულ ენაზე გამოცემულ სტივენ ჯონსის წიგნში „საქართველო პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“[20]. ავტორი აღგილობრივი და საერთაშორისო რესურსებზე დაყრდნობით (მას ასზე მეტი ინტერვიუ აქვს ჩაწერილი პრეზიდენტებთან, მინისტრებთან, ელჩებთან, პოლიტიკურ მოღვაწეებთან) სიღმისეულად აანალიზებს ქვეყანაში მომხდარ პოლიტიკურ მოვლენებს, აკეთებს ძალზე საყურადღებო დასკვნებს. შეიძლება ითქვას, რომ ეს პირველი წიგნია, რომელშიც მთლიანობაშია გააზრებული პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკური ისტორია, მოცემულია მისი ღრმა და ყოვლისმომცველი ანალიზი. ამასთან, ნაშრომში ნაკლებად ვხვდებით მოვლენებისა და ფაქტების ქრონოლოგიურ აღწერას, ავტორი უპირატეს ყურადღებას უთმობს პოლიტიკური პროცესების

[20] სტივენ ჯონსი, „საქართველო პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“, თბ. 2013;

ანგზოგადებას და შესაბამისი დასკვნების გაკეთებას. უნდა ითქვას, რომ ეს მას შესანიშნავად გამოსდის.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდს ორ თავს უთმობს თავის ძალზედ საყურადღებო წიგნში - „საქართველო მსოფლიო კონტექსტში მე-20 და 21-ე საუკუნეების პოლიტიკური ცხოერების ძირითადი მომენტები“[21] - რევაზ გაჩეჩილაძე. ეს არის აეტორის მიერ ადრე ორ ტომად გამოცემული წიგნის საფუძველიანად გადამუშაებული და ახალი თავებით შევსებული ნაშრომი, რომელშიც მსოფლიო მოვლენების ფონზე განზოგადებულია მე-20 და 21-ე საუკენეების დასაწყისში საქართველოში განვითარებული პოლიტიკური პროცესები. ფართო ერუდიცია და მეცნიერული ალღო რევაზ გაჩეჩილაძეს საშუალებას აძლევს კალმის ორიოდე მოსმით ლაკონურად, მაგრამ ზუსტად დაასასიათოს რესპუბლიკაში განვითარებული მოელენები, მოგვცეს მათი ღრმა და ყოვლისმომცეელი შეფასება.

გამსასურდიას მმართველობიდან რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომამდე პერიოდს აშუქებს თავის წიგნში[22] ამერიკელი ჟურნალისტი თომას გოლცი. აეტორი მის მიერ აღწერილი მოელენების უშუალო თვითმხილველი და მონაწილეა. მან ერთ-ერთმა უკანასკნელმა დატოვა ალყაშემორტყმული სოხუმი, ბოლომდე გაიარა „ქართული ჯოჯოხეთის“ ყველა რკალი 1992 წლიდან 2008 წლამდე და შეულამაზებლად, მაღალპროფესიულად აღწერა ნანახი და განცდილი. ამასთან, გოლცის შეხედულებები ქართულ სინამდვილეზე ეკლექტიკურ ხასიათს ატარებს. ის უკრიტიკოდ იმეორებს აფხაზეთის დამოუკიდებლობის თაობაზე რუსულ-აფხაზურ ვერსიას და მიაჩნია, რომ თუ საქართველოს ჰქონდა საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის უფლება, იგივე უფლება უნდა ჰქონდეს საქართველოს მიმართ აფხაზეთსაც. მას უჭირს დაინახოს განსხვავება საბჭოთა იმპერიაში „შეთრეულ“ საქართველოსა და საქართველოს განუყოფელ ნაწილს – აფხაზეთს შორის. გარკვეულწილად თომას გოლცი თავისი ზვიადისტი მეგობრების გავლენასაც განიცდის. ის ეთანხმება თავის მეგობარს, რომელიც „წინასწარმეტყველურად“ აცხადებს, რომ

---

[21]. რევაზ გაჩეჩილაძე, „საქართველო მსოფლიო კონტექსტში მე-20 და 21-ე საუკუნეების პოლიტიკური ცხოერების ძირითად მომენტები“ თბ. 2013;

[22]. თომას გოლცი, „საქართველო ომისა და პოლიტიკური ქაოსის ქრონიკა პოსტსაბჭოთა კავკასიაში,“ თბ. 2014;

შევარდნაძე ჯერ „სოხუმს გაანადგურებს, რის შემდეგაც აჯანყებიან აფხაზები და რუსების დახმარებით უფრო დიდ ქაოსს შექმნიან, შემდეგ შევარდნაძე საქართველოს რუსეთის მფარველობის ქვეშ მოაქცევს და რუსეთის ჯარს კვლავ საქართველოში შემოიყვანს“[23]. გოლცი თელის, რომ „თითქმის ყველაფერი, რაზეც მან (მისმა ზვიადისტმა მეგობარმა) ისაუბრა, სრული სიმართლე აღმოჩნდა.“ შევარდნაძეს ის ხშირად მოისსენიებს მეტსახელით - „თეთრი მელა“. ყველაფრის მიუხედავად, ამერიკელი ჟურნალისტი ახერხებს კრიტიკული თვალით შეხედოს თავისი მეგობრების აკვიატებებს და პოლემიკაშიც კი შევიდეს მათთან. გოლცის ნაშრომი არც უცხოელი ავტორებისთვის დამახასიათებელი საერთო ნაკლის – ისტორიული თარიღების, ცალკეული ფაქტების დამახინჯებებისგან არის დაზღვეული.

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური კულტურის საკითხებს აშუქებს თავის წიგნში[24] ავთანდილ ტუკვაძე. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ისეთ სპეციფიკურ საკითხებზე, როგორიცაა ქართულ პოლიტიკაში პატრიარქალური ქურდული მენტალიტეტის, ქარიზმული ლიდერის რწმენის ისტორიული და თანამედროვე ტრადიციები ქართულ პოლიტიკურ კულტურაში, ხელისუფლებისა და ოპოზიციის თანაარსებობის კულტურა თანამედროვე საქართველოში, პარტიული დემოკრატიის კულტურა, ტოლერანტობის კულტურა და სხვ. მეტად საყურადღებოდ ვფიქრობ ტუკვაძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ 1995 წელს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციას, რომელსაც ამერიკული მოდელი დაედო საფუძვლად, სინამდვილეში „არაფერი არ ჰქონდა საერთო მასთან, წარმოადგენდა ავტორიტარულ რეჟიმზე გათვლილ საკანონმდებლო აქტს, რომელშიც მთელი ძალაუფლება აღმასრულებელ შტოში იყო გადაქაჩული და პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების მსგავსად, ყოფილი ცენტრალური კომიტეტების მდივნების ხელმძღვანელობით, სუპერსაპრეზიდენტო მმართველობას ამყარებდა ქვეყანაში.“[25]

---

[23]. თომას გოლცი, „საქართველო ომისა და პოლიტიკური ქაოსის ქრონიკა პოსტსაბჭოთა კავკასიაში“. თბ. 2014, გვ. 79;

[24]. ავთანდილ ტუკვაძე, „პოლიტიკური კულტურის შედარებითი ანალიზი“, თბ. 2014;

[25]. ავთანდილ ტუკვაძე, „პოლიტიკური კულტურის შედარებითი ანალიზი“, თბ. 2014, გვ. 122;

დასახელებულ ნაშრომებს უნდა დაეუმატოთ ისტორიკოსთა, პოლიტოლოგთა თუ ჟურნალისტთა მიერ სხვადასხვა დროს პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული სტატიები, ან სხვა მცირე მოცულობის პუბლიკაციები, რომლებშიც ავტორები ჩვენთვის საინტერესო საკითხის ცალეულ ასპექტებს ეხებიან. ამ მხრივ აღსანიშნავია ა. სანებლიძის, კ. გამსახურდიას, გ. შარაძის, შ. ვადაჭკორიას, მ. მაცაბერიძის, გ. ყორანაშვილის, ვ. გურულის, ო. ჯანელიძის, გ. აბესაძის და სხვათა პუბლიკაციები.

ზემოთ დასახელებულ ავტორთა უმრავლესობა გარკვეულ მიკერძოებულობას ამჟღავნებს. ეს არცაა გასაკვირი. საქმე ხომ ჩვენს დროში და ჩვენს გვერდით განვითარებულ მოვლენებს ეხება. თითოეულ ჩვენთაგანს ამ მოვლენებისადმი ჩვენი სუბიექტური დამოკიდებულება გაგვაჩნია, რამაც არ შეიძლება ასახვა არ ჰპოვოს ამ მოვლენების გაშუქებისას. ბუნებრივია, ასეთი დამოკიდებულებისგან არც ამ სტრიქონების ავტორი იქნება დაზღვეული. ობიექტურობის მეტნაკლებად მაღალი ხარისხის მიღწევა ემოციების მოთოკვით და მოვლენების გონებისმიერი შეფასებით არის შესაძლებელი. ნაშრომზე მუშაობისას ჩვენ შევეცადეთ სწორედ ამ პრინციპით გვეხელმძღვანელა. მკითხველი განსჯის, თუ რამდენად მოვასერხეთ ეს.

საერთოდ, ადამიანთა უმრავლესობისთვის მოვლენებისა და ისტორიული პიროვნებების გამარტივებული, შაე-თეთრი აღქმაა დამახასიათებელი. ხშირად ყოფილა: ამა თუ იმ ისტორიულ პიროვნებაზე საუბრისას მისი დამსახურებების შემდეგ შეცდომებზე და ნაკლოვან მხარეებზეც მილაპარაკია, გაოცებულ მსმენელს კი უკითხავს: „ვერ გავიგე, ამ პიროვნების მხარეს სარ თუ მისი მოწინააღმდეგეებისო?“ ჩემი პასუხი ყოველთვის ერთი იყო: „მე ობიექტურობის მხარეს ვარ. ეს კი მავალდებულებს ეხედავდე როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს და პირუთვნელად აღვწერდე მათ!“ საკითხისადმი ასეთი მიდგომა პლურალისტური საზოგადოებისთვის არის დამახასიათებელი. ჩვენ პლურალისტური საზოგადოება ვართ. ოღონდ, ჯერჯერობით, მხოლოდ ფორმალურად, კონსტიტუციით. ჩვენი აზროვნება კი ჯერაც ვერ გათავისუფლებულა ტოტალიტარული რეციდივებისგან. ამიტომაც მოგვწონს სამხრეთ-ამერიკულ სერიალებში სიკეთის განსახიერება რომელიმე ხუან-კარლოსი და გვეზიზღება ბოროტების სიმბოლო ვინმე ალეხანდრო. რეალურ ცხოვრებაში კი საქმე გაცილებით რთულადაა. აქ ადამიანები, მით უმეტეს ის-

ტორიული პიროვნებები არ იყოფიან კარგებად და ცუდებად, კეთილებად და ბოროტებად, ნიჭიერებად და ბრიყვებად. რეალურ ცხოერებაში ჩვენ ვხედებით დაღებით გმირებს ნაკლოვანი მხარეებით და უარყოფით პიროვნებებს დაღებითი თვისებით. ისტორიკოსის ეალია ისინი სწორედ ამგვარად – დაღებითი და უარყოფითი თვისებების მთლიანობაში წარმოუდგინოს მკითხველს.

წინამდებარე ნაშრომის პირველი ორი ნაწილი ჩემს მიერ 2012 წელს გამოცემული წიგნის მნიშენელოვნად შეესებულ და ჩასწორებულ ვერსიას წარმოადგენს, ამჟამად მათ მესამე ნაწილიც – 1994-2003 წლების ისტორიაც დაემატა.

ვაცნობიერებ, რომ მოვლენების ჩემეული ხედვა ყველასთვის მისაღები არ იქნება. დიდად დავალებული დაერჩები, თუ ოპონენტები თავიანთ განსხვაეებულ პოზიციას პოლემიკისთვის აუცილებელი კულტურის ფარგლებში გამოხატავენ და ჩემს არგუმენტებს შიშველ ემოციას („არ ეარგა, იმიტომ, რომ ჩემს პოზიციას არ ემთხვეეა“), კი არა, კონტრარგუმენტებს დაუპირისპირებენ. ავტორი მაღლიერების გრძნობით მიიღებს ყველა საქმიან და სამართლიან შენიშენას.

ნაწილი პირველი

დამოუკიდებლობის აღდგენა. გამსახურდიას ამაღლება და დაცემა.

თავი I.

ეროვნული მოძრაობის აღმავლობა და კომუნისტური მმართველობის დასასრული.

§ 1.1 ეროვნულ-პატრიოტული ორგანიზაციების ჩამოყალიბება.

XX საუკუნის 80-იან წლებში საბჭოთა იმპერია ღრმა სოციალ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა მოიცვა. 1985 წელს ხელისუფლების სათავეში მოსულმა გორბაჩოვის გუნდმა, რომელმაც გააცნობიერა, რომ „ყველაფერი დალპა“ და რომ „ასე გაგრძელება აღარ შეიძლება,“ ტოტალიტარული საბჭოთა რეჟიმის გადარჩენა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის მოდერნიზაციით – „გარდაქმნის“ კურსის რეალიზაციით სცადა. ამ გუნდს სწამდა, რომ გეგმიანი ეკონომიკის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის, კერძო ინიციატივის გამოთავისუფლების გზით შესაძლებელი იყო მრავალეროვნული, ფედერაციული საბჭოთა სახელმწიფოს შენარჩუნება.

ეს იყო ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკური სისტემის ძირეული გარდაქმნის ენერგიული ცდა, რომლის დაწყებიდან სულ მალე გაირკვა, რომ კაპიტალისტური საბაზრო მექანიზმის სოციალიზმის მმართველობით სტრუქტურებზე დამყნობა არ ხერხდება, რადგან მასზე დამთრგუნველ ზეგავლენას ახდენს უზარმაზარი ადმინისტრაციული აპარატი. მაშინ, მასების აქტივობის ამაღლების მიზნით, მიღებულ იქნა დემოკრატიის განვითარების გადაწყვეტილება, რომელსაც მაშინვე გამოუჩნდნენ ოპონენტები. ქვეყნის კომუნისტური ხელმძღვანელობის საკმაოდ დიდ ნაწილს, არცთუ უსაფუძვლოდ, ეშინოდა, რომ დემოკრატიის განვითარება დაარღვევდა საბჭოური წყობის საფუძვლებს.

„ვისაც დემოკრატიის განვითარების ეშინია, მას არ სწამს საბჭოთა ხალხის სოციალისტური არჩევანისა“, – პასუხობდა ოპონენტებს გორბაჩოვი. მაგრამ, მის გეგმებს განხორციელება არ ეწერა. საბჭოთა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის რადიკალური გარდაქმნის, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პროცესმა მანამდე საგულდაგულოდ მიჩქმალული არაერთი პრობლემა გამოიტანა სააშკარაოზე. ეროვნულ რესპუბლიკებში „გარდაქმნის“ პროცესმა ბიძგი მისცა ორმაგ პრო-

ტესტს – პროტესტს კომუნიზმის წინააღმდეგ ქვეყნის შიგნით და პროტესტს მოსკოვის კოლონიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ. „პერესტროიკამ“ გააშიშვლა ყველა ის ნაკლი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში საზოგადოების ბიუროკრატიულ-მბრძანებლური მეთოდებით მართვამ დააგროვა. მთავარი კი ის იყო, რომ გარდაქმნის პროცესი დაგეგმიანებული აღმოჩნდა. მისი განხორციელება 60-70-იან წლებში იყო შესაძლებელი და ისიც არა დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებით, არამედ ავტორიტარული მეთოდებით. ანუ, ისე, როგორც ეს მოხდა ჩინეთში. მაგრამ ეს მომენტი ხელიდან იქნა გაშვებული. 80-იანი წლების ბოლოს ქვეყანაში (და მთელს მსოფლიოში) არსებული ვითარება ამის საშუალებას აღარ იძლეოდა.

საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ლიბერალიზაციამ შესაძლებელი გახადა კომუნისტური იდეოლოგიური წნეხისგან თავისუფალი ალტერნატიული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბებაც.

საქართველოში ჯერ კიდევ 1974 წელს შეიქმნა „ადამიანის უფლებათა დაცვის“ საინიციატივო ჯგუფი (ზეიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვიქტორ რცხილაძე და სხვ), რომელიც 1976 წელს მოსკოვში „ჰელსინკის ხელშეკრულების შესრულების ხელშემწყობი ჯგუფის“ ჩამოყალიბების შემდეგ „ჰელსინკის ჯგუფად“ გადაკეთდა. ჯგუფის გარეგნული შეფერილობა დისიდენტური გახლდათ, არსებითად კი იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათისა იყო. ამ ორგანიზაციის ლიდერებს ხალხი ეროვნულ იდეასთან აკავშირებდა და თუნდაც ეს გარემოება აძლევდა მას ეროვნულ ხასიათს.

ამ მცირერიცხოვანი ჯგუფის მიერ ხელნაწერის სახით გამოცემული ჟურნალები – „ოქროს საწმისი“ და „საქართველოს მოამბე“, აგრეთვე, ცოტა მოგვიანობით გამოცემული „საღვთისმეტყველო კრებული“, ძალზე მცირე ტირაჟით გამოიცემოდა და მხოლოდ ძალიან ერთგულ და სანდო ადამიანებს შორის არალეგალურად ვრცელდებოდა. ჯგუფის წევრებს განუწყვეტლივ უთვალთვალებდა უშიშროების კომიტეტი და ამიტომ მათი პროპაგანდისტული შესაძლებლობები ერთობ შეზღუდული იყო. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ აღნიშნულ ხელნაწერ ჟურნალებს მასობრივ მკითხველამდე რომც მიეღწიათ, ფართო მხარდაჭერას მაინც ვერ მოიპოვებდნენ, რადგან მათში გადმოცემული რადი-

კალური აზრები და კრიტიკული პათოსი მაშინ მასების კუთვნილება ჯერ კიდევ არ გამხდარიყო.

და მაინც, ჯგუფის საქმიანობას უკვალოდ არ ჩაუვლია. სწორედ მისი გაელენით და ზემოქმედებით გამოდის ასპარეზზე ქართული მწერლობის პატრიოტულ იდეებზე აღზრდილი მწერალთა ახალი თაობა, რომელიც თამამად ილაშქრებს პიროვნების ღირსების შელახვის, ეროვნული ინტერესების უგულებელყოფის წინააღმდეგ. მათი მოღვაწეობა უფრო ლეგალური, მოსახლეობაზე ზემოქმედების შედეგები კი, შესაბამისად — უფრო შთამბეჭდავი და ძლიერი იყო.

70-80-იანი წლების ქართული ინტელიგენციის დემოკრატიულ თვალსაზრისს და რეჟიმისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას ყველაზე მკაფიოდ მაშინ კრიტიკოსი და პუბლიცისტი აკაკი ბაქრაძე გამოხატავდა. 1979 წელს გაზეთმა „კომუნისტმა“ აკაკი ბაქრაძეზე მორიგი პასკვილი გამოაქვეყნა. ბატონმა აკაკიმ პასკვილს მისთვის დამახასიათებელი უკომპრომისობით უპასუხა. ცხადია, ეს პასუხი, მაშინდელი ცენზურის პირობებში, პრესის ფურცლებზე ვერ მოხვდებოდა. მას მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში გავეცანი, რის შემდეგაც საკუთარი წერილით ბატონ აკაკის სახლში ვეწვივ. ჩემი მთავარი კითხვა ასეთი იყო: „ქვეყნის კომუნისტურ ხელმძღვანელობასთან თქვენი კონფრონტაცია, როგორც წესი, თქვენი მოღვაწეობის შეზღუდვით მთავრდება. ეს კი საზიანოა არა მარტო პირადად თქვენთვის, არამედ ერისთვისაც, რამდენადაც თქვენი მოღვაწეობა ხელს უწყობს ეროვნული შეგნების ამაღლებას. თუ ილია ჭავჭავაძე ცარიზმის პირობებში აკეთებდა ეროვნულ საქმეს, თუ ივანე ჯავახიშვილი მრისხანე 30-იან წლებში, გარკვეული კომპრომისის ფასად, ქმნიდა ჩვენი ერის ისტორის, რატომ არ შეიძლება კომპრომისის გამონახვა დღევანდელ ხელმძღვანელობასთან იმ დონეზე მაინც, რომ მოღვაწეობაში ხელი არ შეგეშალოთ?“

ბატონმა აკაკიმ დაახლოებით შემდეგი მიპასუხა: „კომუნისტებთან კომპრომისზე წასელა არ შემიძლია, რადგან საფუძველშივე არ ვიზიარებ ერების შერწყმის მათეულ უტოპიურ თეორიასო“.

საკმაოდ ხანგრძლივი საუბრის შემდეგ მე კვლავ ვკითხე: „კი მაგრამ, განა არის სულ მცირეოდენი შანსიც კი, რომ ამ დაპირისპირებას თქვენ მოიგებთ—მეთქი?“

„ჩემს მიზანს არ შეადგენს ამ ბრძოლის მოგება. ეს შემდგომმა თაობამ თუ თაობებმა უნდა გააკეთონ. ჩემი მიზანია თავისუფლების სულის შენარჩუნება ქართველ ხალხში, რათა შემდგომ ეტაპს ერი მომზადებული შეხვდეს," – მიპასუხა მან.

ამოცანა, რომელიც ბატონ აკაკის 1979 წელს საკმაოდ შორეულ პერსპექტივად ესახებოდა, უკვე რამდენიმე წლის შემდეგ უშუალოდ დადგა დღის წესრიგში. საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი, რომელსაც წილად ხვდა პატივი დამაგვირგვინებელი ყოფილიყო, 80-იანი წლების შუა ხანებიდან იღებს სათავეს.

ზოგიერთი მკვლევარი ცდილობს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდიზაცია შემოგვთავაზოს. სეეერიან მოსიძე[26], მაგალითად, ამ მოძრაობას რვა ძირითად ეტაპად ჰყოფს, მერაბ ვაჩნაძე და ეახტანგ გურული[27] ათ ეტაპს გამოყოფენ, იგორ კევსელავა[28] კი სულ შვიდი ეტაპით კმაყოფილდება. საინტერესო კი ის არის, რომ ამ შვიდი ეტაპიდან ერთ-ერთი, კერძოდ, მეოთხე ეტაპი 1918 – 1921 წლებს ემთხვევა. მაგრამ ეს სომ დამოუკიდებელი საქართველოს წლებია? იქნებ ავტორმა არ იცის, რომ ამ დროს საქართველო დამოუკიდებელია? ნამდვილად იცის, რადგან მსჯელობას ამ ეტაპის შესახებ ის ასე იწყებს: „არსებობს საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა". კი მაგრამ, მაშინ ვისგან ითავისუფლებს თავს „დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველო?" კევსელავას მსჯელობიდან ამას ვერ გაიგებთ.

საქმე ის არის, რომ კევსელავამ ეს პერიოდიზაცია უკრიტიკოდ გადმოიწერა საბჭოთა პერიოდში გამოცემული ავთანდილ მენთეშაშვილის რუსულენოვანი წიგნიდან – „ოქტომბრის რევოლუცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში 1917-1921 წწ". მაშინ კი, საბჭოური სტერეოტიპის მიხედვით, 1918-1921 წლების საქართველო თავისუფალი კი არა, ჯერ გერმანელი, შემდეგ კი ინგლისელი და ფრანგი „იმპერია-

---

[26] სეეერიან მოსიძე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში, გაზ. „ერი," 1992 წლის 18-21 მაისი.

[27] მერაბ ვაჩნაძე, ეახტანგ გურული, „საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები," თბ. 1998, გვ 20-27.

[28] იგორ კევსელავა, „საქართველოს ისტორიის ქრონიკები (1970-1990)" თბ. 2004 წ. გვ. 45-71.

ლისტების უღელქვეშ მგმინავი“ ქვეყანა იყო. 1918 წლის 28 ივლისს ლენინი სწორედ ასე წერდა: „საქართველოს დამოუკიდებლობა იქცა წმინდა წყლის მოტყუებად. სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი ოკუპანტების მიერ. ეს არის მენშევიკური მთავრობისა და გერმანული ხიშტების კავშირი ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ.“[29]

აი, ამ ლენინურ პოსტულატს უხდის ხარკს მენთეშაშვილი. მაშინ, კომუნისტურ ეპოქაში, ასეთი ხარკის გარეშე წიგნი მზის სინათლეს ვერ იხილავდა.

დამოუკიდებელ საქართველოში ამ აბსურდის გამეორება არანაირ ლოგიკაში არ ჯდება.

1970-იან წლებში საბჭოთა სისტემის დეგრადაციამ, თავისი დეფიციტური ეკონომიკითა და ობსტრუქციული ბიუროკრატიით, ხალხი აიძულა მდგომარეობიდან გამოსავალი პირად სივრცეში, ახლობლებისა და მეგობრების წრეში ეძია. პირადი კავშირები თვითგადარჩენისა და სოლიდარობის ერთადერთ და საიმედო წყაროდ იქცა. ქართული ხასიათი კარგად მოერგო საბჭოთა რეჟიმის მიერ ყოველდღიური პრობლემების მოსაგვარებლად შემოთავაზებულ პატრონაჟის სისტემას. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან შედარებით საქართველოში ფართოდ მოიკიდა ფეხი არალეგალური ეკონომიკური საქმიანობით გამოხატულმა ანტისაბჭოურობამ. საბჭოური წყობისთვის ძირის გამოსათხრელად ქართველი ხელოვანები სპექტაკლებში, კინოფილმებში თუ ლიტერატურულ ნაწარმოებებში არცთუ საგულდაგულოდ შეფუთულ ალეგორიულ ფორმებს, მეტაფორებს ან სხვა ეზოპესეულ ხერხებს მიმართავდნენ.

1985 წელს საბჭოთა კავშირის ახალი ხელმძღვანელობის მიერ გამოცხადებულ გარდაქმნის კურსთან ერთად ქვეყანაში გრანდიოზული ცვლილებების ეპოქის დადგომას სხვა მრავალი ფაქტორიც მოწმობდა: ჩერნობილის ავარია, გერმანელი მფრინავის – მათიას რუსტის მიერ თვითმფრინავის პირდაპირ კრემლთან დასმა, ნოეოროსიისკთან გემის ჩაძირვა, ჯერ კიდევ უსისხლო, მაგრამ მაინც პირველი სერიოზული გამოსვლები ყარაბაღში, საბჭოთა ჯარებზე „მოჯაჰედთა“ წარმატებული შეტე-

[29] ვ. ი. ლენინი, თხზ. სრ კრ. ტ. 37, გვ. 6-7, რუს ენაზე.

ეები ავღანეთში, „ტელესიდები“ მოსკოესა და ვაშინგტონს შორის, „მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის“ – ლენინის მოღვაწეობის კრიტიკული გააზრების მცდელობები, ყოველივე ეს პრინციპულად განსხვავებული იყო იმისგან, რაც მანამდე საბჭოთა კავშირში ხდებოდა.

1987 წლის დასაწყისისთვის პატიმრობიდან გათავისუფლდა ქართველ პოლიტპატიმართა აბსოლუტური უმრავლესობა: გია ჭანტურია, ირაკლი წერეთელი, თამარ ჩხეიძე, გურამ გოგბაიძე, ჯონი ლაშქარაშვილი, ლევან და დავით ბერძენიშვილები, ვახტანგ ძაბირაძე, ზურაბ გოგია, ზურაბ ცინცაძე, პაატა საღარაძე, ნანა კაკაბაძე, მარიკა ბაღდავაძე, ავთანდილ ღლონტი, ლუიზა შაკიაშვილი, ბორის კაკუბავა და სხვები[30]. გამოჩნდა პატრიოტულად განწყობილი ახალი თაობაც: ირაკლი ბათიაშვილი, თედო პაატაშვილი, იასონ ფავლენიშვილი, ეანო ხუხუნაიშვილი, თედო ისაკაძე, ვაჟა მთაერიშვილი, ნოდარ იმნაძე, ირინა სარიშვილი, თემურ ქორიძე, ვაჟა ადამია, თემურ სუმბათაშვილი, ვახტანგ ტალასაძე, ირაკლი შენგელაია თორნიკე ფიფია და სხვები.

სისტემატური ხასიათი მიიღო ეროვნულ-პატრიოტულად განწყობილი ადამიანების შეკრებებმა. სხდომები ძირითადად, ირაკლი ბათიაშვილისა და კონსტანტინე გამსახურდიას ბინებში ტარდებოდა. ამ არაფორმარულ გაერთიანებას პირობითად „მრგვალი მაგიდა“ ეწოდებოდა. ახალგაზრდებთან ერთად მის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ ზეიად გამსასურდია, ნოდარ ნათაძე და მერაბ მამარდაშვილი.

1987 წლის 11 დეკემბერს თბილისში შედგა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დამფუძნებელი კრება, რომელსაც 52 კაცი ესწრებოდა. ეს იყო არარეგისტრირებული, მაგრამ ლეგალური საზოგადოება მკვეთრად გამოხატული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქცენტებით[31]. მისი შექმნის ინიციატორები იყვნენ გურამ მამულია და გია ჭანტურია. მათ მალევე შეუერთდნენ თამარ ჩხეიძე, ჯუმბერ კოპალიანი, ზურაბ ცინცაძე, ირაკლი წერეთელი, მერაბ კოსტავა, ირაკლი ბათიაშვილი, თედო პაატაშვილი, მიხეილ ქურდიანი, ციალა არდაშელია, ავთანდილ ჯოხაძე და სხვები.

---

[30] ირაკლი წერეთელი, ეროვნული თავისუფლების სათავეებთან, წიგნი პირველი, თბ. 2010, გვ 30.

[31] იქვე, გვ. 33

ზვიად გამსახურდია დამფუძნებელთა შორის არ ყოფილა. მის გაწევრიანებას, ცნობილი საჯარო მონანიების გამო, პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა საზოგადოების წევრთა დიდი ნაწილი, რამაც საშინლად გაანაწყენა ზვიად გამსახურდია. 1998 წლის 5 აპრილს „დილის გაზეთის“ 1998 წლის 31 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში პოეტი იზა ორჯონიკიძე იხსენებდა: „გადასასლებიდან დაბრუნებულმა მერაბმა მითხრა, (ზვიადმა) მეტი ვერ შეძლო და უნდა ვაპატიოთო... მე ძალიან გავმწარდი და არ დაეუთმე სიყრმის მეგობარს. შენ, ერთმა კაცმა, რაც გსურს ის აპატიე, მაგრამ მთელი საქართველოს მაგიერად პატიების უფლება ვინ მოგცა-მეთქი? ეს საუბარი ჩემს ბინაში შედგა. შეუძლოდ ვიყავი და მერაბი სანახავად მოვიდა. არასდროს დამაეიწყდება მისი უხერხული დუმილი, რომელიც, ალბათ, თანხმობის ნიშანი თუ იყო. რომ არა მერაბი და მისი თავდებობა, ზვიადს ეროვნული ძალები არ გაიკარებდნენ. მე დანამდვილებით ვიცი ის, რასაც ვამბობ.“ ...იმავე ინტერვიუში იზა ორჯონიკიძე ნოდარ დუმბაძის ნაამბობსაც იხსენებს: „შევუჩნდი ერთხელ ინაურს, რა აჭამეთ ასეთი ზვიადს, რომ საკუთარი მამაც კი არ დაინდო და სოციალიზმის მხარდამჭერად გამოაცხადაო? ინაურს გულიანად გაუციცინია და უთქვამს – მართალი ხარ ნოდარ, ის „რაღაც“ იმდენი ვაჭამეთ გამსახურდიას, რომ კოსტავასთეის აღარ გვეყოო...“[32] ...ამით უშიშროების შეფმა დიდ მწერალს აშკარად მიანიშნა, რომ გამსახურდიას მიმართ რაიმე განსაკუთრებულ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია. იმავე 1998 წლის 25 მარტს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნრბულ წერილში თეიმურაზ ჭანტურიშვილი...საინტერესო დეტალს იხსენებს: „...დავესწარი მერაბ კოსტავას საქართველოში დაბრუნების შემდეგ ალექსანდრეს ბაღში მასსა და ვიქტორ რცხილაძეს შორის გამართულ საუბარს. ეს იყო 1987 წლის მაისი. გამოირკვა, რომ მერაბმა ბევრი რამ არ უწყოდა ზვიადის „გმირობებზე“. მისი ლექსიც ზვიადზე „ძმას ქრისტესმიერს“, დაწერილია 1978 წლის ზაფხულში, როდესაც მისთეის ბევრი რამ არ იყო ცნობილი. ჩვენი საუბრის მერე მერაბმა თავი დასარა და თქვა: „როდესაც კონსტანტინე უკანასკნელ დღეში იყო, ღამეს

[32] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 5 აპრილი, 1998 წ. ინტერვიუ იზა ორჯონიკიძესთან. (ვადმობეჭდილია „დილის გაზეთიდან“, 31 მარტი, 1998 წ.)

მე ვუთვედი (მწერალს პროსტატის მილი რომ არ ამოეჭდო), ხოლო ზვიადს კი ეძინა. ასეთია მისი ბუნება." ასეთი მკაცრი შეფასების მიუხედავად მერაბმა მაინც გეთსოვა, რომ ზვიადზე სალხში აღარაფერი გვეთქვა, რადგან მისგან, უკვე „გამოსწორებულისგან" მაინც „სასიკეთო საქმეებს" ელოდა."[33] მოგვიანებით, ილია ჭავჭავაძის აღიარებულმა ლიდერმა ზურაბ ჭავჭავაძემ ორმაგ თამაშში ამხილა ზვიად გამსახურდია. (მან ბრალი დასდო გამსახურდიას, რომ ამ უკანასკნელმა „სუკის აგენტი" უწოდა საფრანგეთში ემიგრირებულ დისიდენტს – ჯონი-ზაქარია ლაშქარეიშვილს). ამის გამო „ღირსების სასამართლოც" კი მოეწყო. მოსახლეობას კარგად უნდა დამახსოვრებოდა ხელისუფლების მიერ ტელევიზიით არაერთგზის ნაჩვენები ამ სასამართლოს ფრაგმენტი ზურაბ ჭავჭავაძის შუბლთან მიტანილი გია ჭანტურიას თითი მისივე მისამართით წარმოთქმული მუქარით: „მე შენ შუბლს გაგიხვრეტ!"

ილიას საზოგადოება მალევე გადაიქცა მრავალრიცხოვან ორგანიზაციად, რომელსაც ფილიალები ჰქონდა რუსთაველში, ქუთაისში, სოხუმში.

1988 წლის გაზაფხულზე ამ ორგანიზაციას გამოეყო „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება – მეოთხე დასი" გია ჭანტურიას, მერაბ კოსტავას, იასონ ფაღალენიშვილის, ვანო ხუხუნეიშვილისა და ირინა სარიშვილის შემადგენლობით. გურამ მამულია და საზოგადოების სხვა ზომიერი წევრები ამტკიცებდნენ, რომ საზოგადოება კი არ დაშლილა, არამედ გია ჭანტურია და სხვა რადიკალები გაირიცხნენ მისი რიგებიდან. ასე იყო თუ ისე, გამოყოფა საზოგადოების რიგებში იდეურ ნიადაგზე თავჩენილმა წინააღმდეგობებმა განაპირობა. გურამ მამულიას, ჯუმბერ კოპალიანს, ზურაბ ჭავჭავაძესა და მათ მომხრეებს მეტნაკლებად გაწონასწორებული, ზომიერი პოზიცია ეკავათ, მაშინ, როდესაც გია ჭანტურია, მერაბ კოსტავა, ვანო ხუხუნეიშვილი და სხვები ბრძოლის რადიკალური ფორმების მომხრენი იყვნენ.

ზვიად გამსახურდია მაშინვე შეუერთდა ახალ ორგანიზაციას და მისი ერთ-ერთი ლიდერი გახდა.

„მეოთხე დასმა" თავის პროგრამაში მკაფიოდ დააფიქსირა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნა.

---

[33] თ. ჭანტურიშვილი, „რამდენიმე ფაქტი ეროვნული მოძრაობის ისტორიიდან," გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 25 მარტი, 1998 წ.

ხელისუფლებამ „ჩათრევას ჩაყოლა“ ამჯობინა – გადაწყვიტა თვითონ აეღო ინიციატივა და ამ გზით, რამდენადმე მაინც, მართვადი გაეხადა ეს პროცესი. 1988 წლის 19 მარტს სწორედ რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობის ხელშეწყობით და, შესაძლოა, ინიცირებითაც, თბილისში გაიმართა რუსთაველის საზოგადოების დამფუძნებელი კონფერენცია. ახლადშექმნილი ორგანიზაციის თავმჯდომარედ პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე აირჩიეს. ორგანიზაციის გამგეობაში მაშინდელი ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის არაერთი წარმომადგენელი შევიდა.

ხელისუფლებამ რუსთაველის საზოგადოებას ქართველი ხალხის გამაერთიანებელი მისიის ნაცვლად, საბჭოთა სისტემასთან რადიკალურად დაპირისპირებული პოლიტიკური ორგანიზაციების საპირწონეს ფუნქცია დააკისრა და ამ მიზნით მას გარკვეული პრივილეგიებიც კი შეუქმნა. თუმცა, ხელისუფლების გათვლები ამჯერადაც მცდარი აღმოჩნდა. ინტელიგენციამ მისი დაკვეთა არ შეასრულა. სამაგიეროდ, სწორედ იმან, რომ საზოგადოების გამგეობას ხელისუფლების ინტერესებსა და ეროვნულ ინტერესებს შორის ლავირება უხდებოდა, მისდამი ქართველი საზოგადოების ნდობა, გარკვეულწილად, შეარყია. ეროვნული მოძრაობის ტონის მიმცემ ორგანიზაციად რუსთაველის საზოგადოება ვერ ჩამოყალიბდა. (ხალხი მას „ცკ-ს კოოპერატივს“ ეძახდა).

ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას რადიკალურად განწყობილი სხვა ლიდერები წარუძღვნენ. სწორედ საკუთარი ელიტისადმი უნდობლობა განასხვავებდა ჩვენს ეროვნულ მოძრაობას ბალტიის ქვეყნების ანალოგიური მოძრაობებისგან, რამაც თავისი ნეგატიური ასახვა ჰპოვა კიდეც შემდგომი მოვლენების მრავალი თვალსაზრისით ტრაგიკულ განვითარებაზე.

1988 წლის 26 მაისს თბილისში, ბერიკონის დარბაზში, მკვეთრად გამოხატული ანტისაბჭოთა ლოზუნგებით პირველი საჯარო პოლიტიკური ღონისძიება ჩატარდა. ღონისძიებაში მონაწილეობა არ მიუღია ზვიად გამსახურდიას. ის ამ დროს მოსკოვში სხვა ცნობილ დისიდენტებთან ერთად როლანდ რეიგანს ხვდებოდა.

26 მაისის ღონისძიებების შემდეგ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას გამოეყო რადიკალურად განწყობილი მეორე ჯგუფი ირაკლი წერეთლის, ირაკლი ბათიაშვილის, მალხაზ ჯანგირაშვილის და სხვათა შემადგენლობით. 1988 წლის 19 ივნისს თბილისში, თამარ ხუციშვილის ბინაზე შეიქმნა ახალი ორგანიზაციის

დამფუძნებელი კრება. მის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა 35 დელეგატი. კრებას სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ ზვიად გამსახურდია და ნოდარ ნათაძე. ორგანიზაციას „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება – ნაციონალური ფრონტი“ ეწოდა. გამგეობაში შეიდნენ: ირაკლი წერეთელი, ირაკლი ბათიაშვილი, გაიოზ კორძაძე, ირაკლი შენგელაია და თედო პაატაშვილი. ორი კვირის შემდეგ გამგეობაში კოოპტაციის წესით შეიყვანეს მერაბ კოსტავა, რომელიც მალევე იქცა ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი აღიარებულ ლიდერად.

მოკლე დროში ირაკლი შენგელაიამ დატოვა „ნაციონალური ფრონტის“ რიგები და დამოუკიდებელი ორგანიზაცია – „საქართველოს სამართლიანობის კავშირი“ დააფუძნა. მალე ეს ორგანიზაცია „ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირად“ გარდაიქმნა.

საქართველოში ამ დროს აქტუალური იყო ორი თემა: ტრანსკავკასიური სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა და დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან მიმდინარე საბჭოთა ჯარების წვრთნები. თავიანთ მიტინგებზე არაფორმალური ორგანიზაციები გააფთრებით აპროტესტებდნენ ერთსაც და მეორესაც. ამ საქმეში მათ ინტელიგენციაც აქტიურად უჭერდა მხარს. არაფორმალებმა მოასერხეს ტრანსკავკასიური რკინიგზის მშენებლობის შეჩერების მოთხოვნით 3 ათასზე მეტი ხელმოწერის შეგროვება, რომელიც მაშინვე კრემლს გაეგზავნა. (ცოტა უსერხული კი გამოდიოდა – არაფორმალები საქართველოს კომპარტიის ცკ-ს სკკპ ცკ-თან უჩიოდნენ, მაგრამ მაშინ ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია).

ტრანსკავკასიური რკინიგზის მშენებლობის პროექტი კრემლმა ჯერ კიდევ 1984 წელს დაამტკიცა. ეს რკინიგზა ყველაზე პირდაპირი გზით დააკავშირებდა რუსეთსა და საქართველოს. იგი კავკასიონის ქედს 11 გვირაბით, 15 დერეფნით და 85 ხიდით კვეთდა. ეს იყო, მართლაც ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზული პროექტი, მაგრამ საკუთარ ბუნებაზე შეყვარებული ქართველი ინტელექტუალების, ისტორიული, კულტურული, ძეგლთა დაცვის საზოგადოებების, რუსთაველის საზოგადოების ეკოლოგიური ასოციაციის, არაფორმალური ორგანიზაციების ბრძოლამ მისი განხორციელება ჩაშალა. პროექტის მოწინააღმდეგეთა აზრით, პროექტის რეალიზაცია გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებდა ეკოლოგიას, დააჩქარებდა ქართველი მთიელი თემების დეპოპულაციას, დააბინძურებდა თბილისის წყალმომარაგების სისტემას და ა. შ. არა სა-

ჯაროლ, მაგრამ მაინც გაისმოდა ხმები იმის შესახებაც, რომ ეს რკინიგზა გააიოლებდა რუსეთიდან მუშახელის შემოდინებას საქართველოში, რაც ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მაგალითის გათვალისწინებით, დააჩქარებდა რესპუბლიკის რუსიფიკაციას. „საუკუნის მშენებლობად“ გამოცხადებული ტრანსკავკასიური რკინიგზის პროექტი ჩაიშალა. თუმცა, ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ამ დროისთვის მოსკოვს მისთვის უკვე აღარ ეცალა. მოგეიანებით კრემლი იძულებული გახდა ჯერ შეეზღუდა, შემდეგ კი საერთოდ, შეეჩერებინა სამხედრო მანევრების ჩატარება დავით-გარეჯის სიახლოვეს (თუმცა, მას რა თქმა უნდა ესმოდა, რომ დავით-გარეჯი არაფორმალებისთვის კრემლთან დაპირისპირების მხოლოდ საბაბი იყო).

1988 წლის სექტემბერში „მეოთხე დასი“ და „ნაციონალური ფრონტი“ „წმინდა ილია მართლის საზოგადოება – მეოთხე დასის“ სახელით გაერთიანდნენ. იმავე წლის ბოლოს კი ლიტვაში მერაბ კოსტავასა და გია ჭანტურიას ინიციატივით საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აღდგენა გამოცხადდა. თავდაპირველად „წმინდა ილია მართლის საზოგადოება“ და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია კონფედერაციულ საწყისებზე თანაარსებობდნენ, მაგრამ 1988 წლის დეკემბერში, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პირველი ყრილობის შემდეგ, ირაკლი წერეთელმა და ირაკლი ბათიაშვილმა დატოვეს გაერთიანების რიგები.

1988 წლის 12 ნოემბერს თბილისში, იპოდრომზე, „წმინდა ილია მართლის საზოგადოებისა“ და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ინიციატივით, გაიმართა პირველი მასშტაბური სანქცირებული მიტინგი, რომელშიც 20-25 ათასამდე (ზოგიერთების გათვლებით – 40 ათასამდე) კაცმა მიიღო მონაწილეობა. მიტინგზე სიტყვებით გამოსული ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, გია ჭანტურია, ირაკლი წერეთელი, თეიმურაზ ქორიძე ნოღარ ნათაძე, ირაკლი ბათიაშვილი და სხვები სსრკ კონსტიტუციიდან მოკავშირე რესპუბლიკების თავისუფალი გასვლის მუხლის ამოღების განზრახვას აპროტესტებდნენ. მიტინგზე წაიკითხეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დოკუმენტები – დეკლარაცია და პროგრამა.

1988 წლის ნოემბერი გადამწყვეტი გამოდგა ქართულ ეროვნულ მოძრაობაში. ქვეყანაში ნაწვიმარზე სოკოებივით იწყო მომრაველება კომუნისტური იდეოლოგიური წნეხისგან თავი-

სუფალმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა. 1988-1989 წლებში საქართველოში, ფაქტიურად, მრავალპარტიულ სისტემას ჩაეყარა საფუძველი. ახლადშექმნილი პოლიტიკური ორგანიზაციების სპექტრი რადიკალური კომუნისტურიდან და სოციალ-რეფორმისტულიდან რადიკალურ მემარჯვენე მიმართულებამდე მერყეობდა. ამ დროს შექმნილი პოლიტიკური ორგანიზაციებიდან აღსანიშნაია: სოციალ-დემოკრატიული პარტია (გ. მუჩაიძე), სტალინის საზოგადოება (გრ. ონიანი), ეროვნული ერთიანობისა და სოციალური თანასწორობის პარტია (გ. ჭინჭარაული), სოციალური სამართლიანობის კავშირი (ა. იოსელიანი), პოლიტიკური ორგანიზაცია ლემი (ა. მარგიანი), ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი (ვ. ადეიძე), სახალხო ფრონტი (ნ. ნათაძე), ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტა (მ. ნანეიშვილი), რესპუბლიკური პარტია (ვ. ძაბირაძე, ლ. და დ. ბერძენიშვილები), ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი (ა. ასათიანი), ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია (ირ. წერეთელი), კონსერვატიული (მონარქისტული) პარტია (თ. ჟორჟოლიანი), მერაბ კოსტავას საზოგადოება (ვ. ადამია), საქრთველოს მწვანეთა მოძრაობა (გ. თუმანიშვილი, ზ. ქვანია) და სხვ.

ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ნაკლი ამ პერიოდში (ეს ნაკლი მას, მეტ-ნაკლები დოზით, ბოლომდე გაჰყვა) ქართველ ინტელიგენციასთან, საერთოდ, მიტინგური მოძრაობის მიღმა დარჩენილ პატრიოტულად განწყობილ ძალებთან მისი დამოკიდებულებაა. ინტელიგენციას არ მოსწონდა ახალგაზრდების რადიკალიზმი. იგი ბრძოლის უფრო ზომიერ მეთოდებს უჭერდა მხარს. ხელისუფლებასთან მკვეთრი დაპირისპირება ინტელიგენციას ეროვნული საქმისთვის საზიანოდ მიაჩნდა. ინტელიგენცია თანამშრომლობდა საბჭოთა რეჟიმთან და ამ თანამშრომლობის საშუალებით ეროვნულ საქმეს აკეთებდა. მას წინ ედო ილია ჭავჭავაძის მაგალითი, რომელიც დითირამბებს უძღვნიდა ნიკოლოზ მეორეს, საქმით კი ჭეშმარიტ ეროვნულ იდეალებს ემსახურებოდა. ახალგაზრდობა ამას ვერ ეგუებოდა არა მხოლოდ და არა იმდენად თავისი რადიკალიზმის გამო, რამდენადაც იმის გამო, რომ ასეთი ბრძოლისთვის საჭირო ინტელექტი არ გააჩნდა. რადიკალებს შეეძლოთ მიტინგების ორგანიზება, მილიციასთან ხელჩართული შეტაკების გამართვა, შიმშილობა ... და ამას აკეთებდნენ კიდეც.

მაგრამ ახალგაზრდები ამასვე მოითხოვდნენ ინტელიგენციისგანაც. შესედულებათა ეს სხვაობა საკმარისი აღმოჩნდა, რათა რადიკალებს ინტელიგენციის, ამ „თეთრხელება და ყბედი ადამიანების“ (გია ჭანტურიას ტერმინია) არნასული განქიქებისა და ლანძღვა-გინების კამპანია წამოეწყოთ. „სად არის ჩვენი მწერლობა, სად არის ჩვენი ინტელიგენცია?“ – კითხულობდნენ რადიკალთა მიტინგებზე და იქვე გაისმოდა პასუხიც: „ნამდვილი ქართველი ინტელიგენტები მთაწმინდაზე განისვენებენ!“

მიტინგებზე შეკრებილი ხალხი კი ამას ტაშით ხვდებოდა.

ინტელიგენცია დაიბნა. იგი მზად არ აღმოჩნდა პატრიოტული პოზიციებიდან წაყენებული ბრალდებების მოსაგერიებლად. მთელი ორი საუკუნე ქართველ მოღვაწეებს ნაციონალზმში დებდნენ ბრალს, ახლა კი მას სწორედ პატრიოტიზმის უქონლობას უკიჟინებდნენ. რადიკალებმა ფსიქოლოგიური უპირატესობა მოიპოვეს, პატრიოტიზმზე მონოპოლია დააწესეს და „ერის გამომფხიზებელთა“ პრეტენზია დაიჩემეს.

ეს დიდი მკრესელობა იყო. ქართველ ხალხში თავისუფლების წყურეილს არასოდეს წაუთვლემია. იყო გულგატეხილობის, იმედის გადაწურვის პერიოდები, იყო დროებითი უკანდახევის წლებიც, მაგრამ თავისუფლების მოპოვების ფიქრი, სამშობლოს უკეთესი მომავლის იმედი ქართველ ხალხში ნიადაგ ცოცხლობდა. ამ იმედს კი, პირველ რიგში, სწორედ ჩვენი ინტელიგენცია აღვივებდა. ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპიც ხომ ქართული ინტელიგენციის მიერ შექმნილი წინა ეტაპების მდიდარ მემკვიდრეობას ეფუძნებოდა.

მოგვიანებით, განელილ მოელენებს რომ აფასებდა, აკაკი ბაქრაძე დაასკვნიდა: „ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რომ ეეოლუციის, თანდათანობითობის გზას დადგომოდა, იგი ძმათა სისხლით არ შეიღებებოდა, ბუნებრივი განვითარების პროცესს გაჰყვებოდა. თავისუფლება, რომელიც ღმერთმა გვიბოძა, უცრემლოდ და უსისხლოდ დამკვიდრდებოდა საქართველოში, მაგრამ სულსწრაფობის გამო ქართველმა ხალხმა უარყო თანდათანობითობის გზა, უცბად და ერთბაშად მოინდომა იმის მიღება, რის მოპოვებასაც დიდი მოთმინება, წესრიგი, შრომა, სიყვარული და გონიერება სჭირდებოდა“.[34]

---

[34] დიმიტრი შეელიძე, „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული მოძრაობა საქართველოში (1988-1992)“, თბ. 2008, გვ. 24.

§ 12 1988 წლის ნოემბრის აქცია.

1987 წლის მიწურულს (დეკემბრის ბოლოს) ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მიერ დიდუბის პანთეონში რეპრესირებულ პატრიოტთა ხსოვნისადმი მიძღვნილი აქციით დასაბამი მიეცა არაფორმალთა აქციების სერიას. 1988 წლის 26 მაისის, 20, 21 და 28 სექტემბრის, 4 და 8 ოქტომბრის მიტინგები ყურით მოთრეულ თემებს ეძღვნებოდა. ერთ-ერთი მიტინგის საბაბი, მაგალითად, აზერბაიჯანელი ეროვნების მოქალაქის მიერ ქართველი ქალის გაუპატიურების ფაქტს მიეძღვნა, მეორე – საბჭოთა ჯარში ქართველთა ჩაგვრას (ვისაც საბჭოთა ჯარში უმსახურია, მან კარგად იცის, რომ ქართველები და საერთოდ, კავკასიელები იქით ჩაგრავდნენ სხვებს, მათ შორის – რუსებსაც) და ა. შ.

ცხადია, ეროვნულ მოძრაობაში ისეთებიც იყვნენ, რომლებიც ხედავდნენ, რომ კრიმინალური ფაქტებისთვის პოლიტიკური ელფერის მინიჭების ასეთი ნაძალადევი მცდელობებით ჩანასახშივე მოასდენდნენ ახლადფეხადგმული მოძრაობის დისკრედიტაციას.

სერიოზულმა საბაბმაც არ დააყოვნა. მისეულ გორბაჩოვმა, რომელიც კარგად აცნობიერებდა, რომ ასეთ მიტინგებს მალე სსრ კავშირიდან გასელის მოწოდებაც მოჰყვებოდა, იჩქარა და კონსტიტუციიდან იმ მუხლის ამოღება გადაწყვიტა, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკებს კავშირიდან თავისუფალი გასელის უფლებას ანიჭებდა. კონსტიტუციის შენიშვნებისა და დამატებების პროექტის 119 მუხლის ძალით სსრ კავშირის უმაღლეს ხელისუფლებას ენიჭებოდა ქვეყნის ნებისმიერ რეგიონში სამხედრო თუ საგანგებო წესების შემოღების უფლება. ამ პროექტს, როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. ზემოთ უკვე ვისაუბრეთ ამ საკითხისადმი მიძღვნილ 12 ნოემბრის მასშტაბურ აქციაზე. 23 ნოემბერს რუსთაველის გამზირზე, უმაღლესი საბჭოს შენობის წინ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ინიციატივით, სსრ კავშირის კონსტიტუციაში მოკავშირე რესპუბლიკების თავისუფალი გასელის უფლების მუხლის დატოვების მოთხოვნით, დაიწყო შიმშილობის აქცია. მას მაშინვე ირაკლი შენგელაიას „ეროვნული სამართლიანობის კავშირი“, მეორე დღეს კი – სტუდენტები და პირველი საშუალო სკოლის უფროსკლასელებიც შეუერთდნენ. ღამით მოშიმშილეებთან გამოცდილი ალპინისტები მიეიდნენ და კარვები გაშალეს. რუს-

თაეულის გამზირი მანქანებისთვის გადაიკეტა. მოშიმშილეთა რიცხვმა 4 ათას კაცს მიაღწია. მიტინგს შეუერთდნენ ირაკლი წერეთელი, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ირაკლი ბათიაშვილი. მთავრობის სახლის წინ, ჭანტურიასთან არსებული სერიოზული განსეთქილების მიუხედავად, იშვიათად, მაგრამ მაინც ჩნდებოდნენ თამრიკო ჩხეიძე და ზურაბ ჭავჭავაძე.

რესპუბლიკის მაშინდელმა ხელმძღვანელმა ჯუმბერ პატიაშვილმა,[35] ინტელექტუალური სიმწირის გამო, ალღო ვერ აუღო ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს. იგი გამუდმებით იმეორებდა, რომ „არაფორმალებს ქვეყანა უუსკრულისკენ მიჰყავთ.“ პატიაშვილმა სცადა მომიტინგეთა წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლა, მაგრამ მოსკოვიდან მას თავის შეკავება ურჩიეს (მოსკოვში ესმოდათ, რომ არაფორმალებთან ნებისმიერი დაპირისპირება ამ უკანასკნელების მორალური გამარჯვებით მთავრდებოდა). დაბნეულმა პატიაშვილმა მომიტინგეებს ლეიბები მიუტანა. მოშიმშილეთა ჯანმრთელობა ექიმების, თვით ჯანმრთელობის მინისტრის მუდმივი ყურადღების ქვეშ იმყოფებოდა.

---

[35] აი, როგორ ახასიათებს ჯუმბერ პატიაშვილს სტივენ ჯონსი: „ეს იყო გამოცდილი, თუმცა ინიციატივას მოკლებული აპარატის მუშაკი, რომელმაც თავისი მოღვაწეობა გაძლიერებული ანტიკორუფციული კამპანიით დაიწყო. მან გააგრძელა შევარდნაძის ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ და თავს ესხმოდა „პარაზიტიზმს“, „სპეკულანტებს“ და „ანტისოციალისტურ ელემენტებს“. მოგვიანებით, 1989 წლის თებერვალში, მან დააპატიმრა ოპოზიციის ლიდერები, რომლებიც აპროტესტებდნენ 1921 წელს საქართველოში საბჭოთა შეიარაღებული ჯარების შემოჭრას. პატიაშვილი მაქსიმალურად დიდხანს ეწინააღმდეგებოდა დიალოგს ახალ „არაოფიციალურ ჯგუფებთან“, რომლებიც საჯაროობის („გლასნოსტის“) გამოცხადებასთან ერთად აღმოცენდნენ. ამავე დროს, საზოგადოების მხრიდან მეწოლის პასუხად, 1988 წელს მან გაატარა ახალი კანონი, რომელიც განამტკიცებდა მოქალაქეთა მიერ მთავრობის კანონპროექტების თავისუფალი განხილვის უფლებებს და მხარი დაუჭირა სახალხო მოძრაობას 1988 წელს გორბაჩოვის მიერ შემოთავაზებული საკონსტიტუციო ცელილებების წინააღმდეგ, რომლებიც მღუდავდა საქართველოს მიერ საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის საკონსტიტუციო გარანტიას. და მაინც, შევარდნაძესთან შედარებით, რომელმაც უფრო არახელსაყრელ ვითარებაში გააფართოვა პოლიტიკური და ეკონომიკური ექსპერიმენტის საზღვრები და საქართველოს პრესა და კინო გახადა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო საბჭოთა კავშირში, პატიაშვილი იყო კონსერვატორი, რომელმაც ვერ შეძლო მოეხდინა სწრაფი ადაპტირება შეცვლილ განწყობებთან“. „საქართველო პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“ თბ. 2013, გვ 40-41)

25 ნოემბერს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საკავშირო ორგანოების წინაშე დააყენა საკითხი კონსტიტუციის 108 და 119-ე მუხლების რეაქციული შეწორებების პროექტიდან ამოღების შესახებ. ხელისუფლება ცდილობდა არ დაეშვა ეითარების შემდგომი გამწვავება და როგორმე ძალისმიერი მეთოდების გარეშე მიეღწია აქციის შეწყვეტისთვის.

არაფორმალებისადმი ასეთი „მამაშვილური“ დამოკიდებულება ხელმძღვანელ ორგანოებში ყველას როდი მოსწონდა. ბევრი ფუნქციონერი „თაეგასული“ ახალგაზრდების მიმართ გაუმართლებელ ლიბერალიზმში ადანაშაულებდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას და მისგან „გადამჭრელი ზომების“ მიღებას მოითხოვდა.

მიხეილ გორბაჩოვი შემდგომ გართულებებს მოერიდა და დათმობაზე წავიდა. მიტინგზე წაიკითხეს მისი მიმართეა, რომელშიც გორბაჩოვი მომიტინგეთა მიერ წამოჭრილი საკითხების გულდასმით განხილვის და გათვალისწინების პირობას იძლეოდა. 28 ნოემბერს მოსკოვმა უარი თქეა საკავშირო კონსტიტუციაში რეაქციული შესწორებების შეტანაზე და ძალაში დატოვა კავშირიდან რესპუბლიკების თაეისუფალი გასელის უფლება. შეიცვალა 119-ე მუხლის რეაქციული შესწორებაც. თუმცა, ახალი ფორმულირებაც ეჭვებს აღძრავდა. ამ მუხლის 14-ე პუნქტში აღნიშნული იყო, რომ საკავშირო ხელისუფლება „სსრ კავშირის დაცეისა და მისი მოქალაქეების უშიშროების ინტერესებისთვის აცხადებს სამსედრო ან საგანგებო წესებს მთელ ქეეყანაში, აგრეთვე – ცალკეულ ადგილებში ... ამასთან აუცილებლად განისილაეს ამ საკითხს შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან ერთად“.

საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი კი მოითხოვდა აღნიშნული საკითხის მასთან არა „განხილვას“, არამედ – შეთანხმებას.

29 ნოემბერს, დღის 1 საათზე აქცია ორგანიზებულად შეწყდა.

ეს იყო ეროვნული მოძრაობის პირველი მასობრივი გამოსვლა აშკარად ანტისაბჭოთა ლოზუნგებით, რომელსაც ხელისუფლებამ ტყეიებით და რეპრესიებით ვერ უპასუხა.

ნოემბრის აქციამ ხელისუფლებას დაანახა, რომ რადიკალები ანგარიშგასაწევ ძალად იქცნენ, რადიკალებმა კი იგრძნეს, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის უნარი შესწევთ.

ჯუმბერ პატიაშვილი დღემდე დარწმუნებილია, რომ ნოემბრის აქცია მის წინააღმდეგ ჩაიფიქრა და გუმბარიძის ხელით განახორციელა შევარდნაძემ. მისი აზრით, არსებობდა წინასწარი მოლაპარაკება, რომ მიტინგი უნდა დაშლილიყო როგორც კი იქ, ვითომდაც, გორბაჩოვის მიერ გამოგზავნილ დეპეშის ტექსტს წაიკითხავდნენ. სინამდვილეში კი დეპეშის ტექსტი თბილისში დაიწერა და მაშინ იქნა მიტინგზე წაკითხული, როდესაც ის (პატიაშვილი) თბილისში არ იმყოფებოდა. პატიაშვილის აზრით, ამ ყველაფრის მიზანი მისი აეტორიტეტის შელახვა იყო.

რა შეიძლება ითქვას ამის შესახებ? პატიაშვილის მიხედვით გამოდის, რომ ჭანტურიას, გამსახურდიას, კოსტავას, წერეთელს და სხვა რადიკალებს შევარდნაძე მოსკოვიდან მართავდა. თანაც იმ დონეზე, რომ მათ შორის ფარული შეთანხმებებიც ფორმდებოდა. ვთქვათ, ასეთი: „ჩვენ რომ დეპეშას წავიკითხავთ, თქვენ მაშინვე დაიშლებით.“ და ეს შეთანხმებები საოცარი სიზუსტით სრულდებოდა.

არ ვიცი, რამდენი კაცი მოიძებნება საქართველოში, რომელიც ამ უაზრობას დაიჯერებს. თავის მარცხს პატიაშვილი ხან გუმბარიძეს აბრალებს, ხან შევარდნაძეს, ხან რადიკალებს, ის მზად არის მის წინააღმდეგ მსოფლიო მასონთა შეთქმულება დაიჯეროს, ეჭვი ყველაზე მიიტანოს, ოღონდ არა თავის უნიჭობაზე.

სხვაგვარად ყვება ამ ამბავს შევარდნაძე. ის ამბობს, რომ მას დაუკავშირდა ნუგზარ ფოფხაძე, რომელიც ამ დროს იდეოლოგიის დარგში ცენტრალური კომიტეტის მდივნად მუშაობდა და თბილისში არსებულ მძიმე ვითარებაზე შესჩივლა. პატიაშვილი რესპუბლიკაში არ არის, მე კი არავინ არაფერს მიჯერებსო. შევარდნაძე შეეკითხა, თუ რით შეეძლო დახმარებოდა. ფოფხაძემ უთხრა, რომ კარგი იქნებოდა, თუ გორბაჩოვის დეპეშის გამოგზავნა მოხერხდებოდა. შევარდნაძე დაუკავშირდა გორბაჩოვს, აუხსნა ვითარება და სთხოვა მომიტინგეთა სახელზე დეპეშის გაგზავნა. თხოვნა შესრულდა და მიტინგზე სწორედ ეს დეპეშა იქნა წაკითხული.

მაგრამ, მიტინგი დაიშალა არა დეპეშის გამო, არამედ იმ კონკრეტული გადაწყვეტილებების გამო, რომლებიც კრემლმა კონსტიტუციის შესწორებებთან დაკავშირებით მიიღო და რომლებზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

პირადად მე ეს ვერსია გაცილებით ბუნებრივად და დამაჯერებლად მიმაჩნია.

მას შემდეგ, რაც ეროენული მოძრაობა ქუჩაში გამოვიდა და ფართო მასების მხარდაჭერა მიიღო, მას უამრავი შემთხვევითი პიროენება მიეტმასნა. დამნაშეეთა სამყარომ ცხოველური ინსტიქტით იგრძნო, რომ ეროენული მოძრაობის საფარქვეშ ხელის კარგად მოთბობა შეიძლებოდა. მასობრივ აქციებს, კონსპირაციულ მუშაობას ჯარკვეული თანსების მოძიება სჭირდებოდა. თაედაპირეელად ეს თანსა ქუჩის აქციების დროს შემოწირულობების სახით გროვდებოდა. მაგრამ, მალე რადიკალთა ლიდერებმა სასსრების მოძიების გაცილებით საიმედო და ორგანიზებული ფორმები გამონახეს. დაიწყო წარმოება-დაწესებულებებისთვის, ცალკეული მდიდარი ადამიანებისთვის ეროენული მოძრაობის სახელით „ფულის შეწერის“ კამპანია.

ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ნავთობაზის, კვების მრეწველობის თუ სსვა სარფიანი დარგების ხელმძღვანელები თანსების გაღებას ძირითადად, ორი მიზეზით თანხმდებოდნენ: ჯერ ერთი, მოპარული ფულის ნაწილის ეროენული მოძრაობისთვის გადაცემით მათი ქურდობის ერთგვარი გამართლება ხდებოდა – მარტო ჩემთვის კი არ ეიპარაე, ეროვნულ მოძრაობასაც ვესმარებიო, მეორეც, ამ დროისთვის რადიკალებს უკვე დატერორებული ყავდათ წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები – თავიანთი პიკეტებითა და მიტინგებით ისინი არცთუ იშვიათად აღწევდნენ მათთვის მიუღებელი ხელმძღვანელების თანამდებობებიდან მოხსნას.

ამასთან დაკავშირებით ერთ შემთხვევას გავიხსენებ. 1989 წლის გაზაფხულზე რამდენიმე დღით მშობლიურ ქალაქ ახალციხეში ვიმყოფებოდი. საღამო ხანს სწორედ იმ ქუჩაზე მოეხედი, რომელზეც საქვაჭრობის საქალაქო სამმართეელო იყო განლაგებული. სამმართველოს უფროსად ჩემი კლასელი მუშაობდა. სამუშაო საათები დამთავრებული იყო, მაგრამ მაინც შევიარე. ჩემი კლასელის კაბინეტის კარები დაკეტილი დამხედა. იქეე, გვერდით მოადგილის კაბინეტის ღია კარი შეენიშნე. კარი ბოლომდე შევაღე და შევისედე. სავარძელში მჯდომმა 40-იოდე წლის მამაკაცმა აშკარად გაღიზიანებული მზერა მომაპყრო და ვიდრე რამეს შევეკითხებოდი, აგრესიულად შემომიღრინა – შენ კიდევ რომელი პარტიიდან ხარო?

„არცერთი პარტიიდან არა ვარ, თქვენი უფროსი ჩემი მეგობარია, რამდენი ხანია არ მინახაეს და ასლა შემოვუარე, მაგრამ

მისი კაბინეტი დაკეტილია. თქვენთვის სწორედ მის შესახებ მინდოდა მეკითხა-მეთქი", – ვუთხარი ცოტა არ იყოს შეცბუნებულმა.

ჩემს მასპინძელს ფერი ეცვალა. „თუ ძმა ხარ, მაპატიე, – მითხრა მერე, – დღეს სამი პარტია ხალხი უკვე გავისტუმრე. რაც „ხალტურა" გავაკეთე – სულ იმათ გავატანე. ახლა შენ რომ დაგინახე, ვიფიქრე – ეს ალბათ, მეოთხე პარტია მომადგა-მეთქი და ხომ გესმით ..."

მაშინ ამ გაუგებრობაზე გულიანად გამეცინა. თუმცა, იმ დროის დამახასიათებელი ეს ტიპიური შემთხვევა თავისთავად სასაცილო სულაც არ იყო.

ფულის იოლად შოვნის წყურვილით ეროვნულ მოძრაობას მიგმასნილი ეს სოციალურად და ინტელექტუალურად საეჭვო მასა სახელს უტეხდა ამ მოძრაობას. ესეც ხელს უწყობდა ინტელიგენციის მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას რადიკალების მიმართ.

უთუოდ ესეც უნდა იყოს იმის ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც გიორგი წიქარიშვილი ამ მოძრაობას „ეროვნულ-გამანადგურებელს" უწოდებს.

§ 1.3 სეპარატიზმი და სეპარატისტები.

ჩვენს შეგნებაში მყარად არის დამკვიდრებული ასეთი სტერეოტიპი: საქართველოში არ არსებობს სეპარატიზმის შინაგანი საფუძველი. შესაბამისად, არც ეროვნული უმცირესობების უფლებების შელახვით მოტივირებული სეპარატიზმი არსებობს. აფხაზურ და ოსურ (ნებისმიერ სხვა) სეპარატიზმს ჩვენს ქვეყანაში ასაზრდოებს არა შინაგანი მოტივები, არამედ „მესამე ძალა," ანუ გარეშე ფაქტორი.

აი, ასე გამარტივებულად წარმოგვიდგენია ჩვენ ისეთი რთული და მრავალწახნაგოვანი ფენომენი, როგორიც სეპარატიზმია. ამ სტერეოტიპის მიხედვით საბჭოთა რუსეთმა ქართული სახელმწიფოს სხეულში განგებ ჩადო „დაყოვნებული მოქმედების ნაღმები", ანუ ავტონომიები, რომ შემდეგ საჭირო მომენტში „აეფეთქებინა" ისინი. სწორედ ამიტომ ემთხვეოდა ხოლმე დროში აფხაზური თუ ოსური სეპარატისტული გამოსვლები იმპერიის

წინააღმდეგ ქართული ეროვნული მოძრაობის მიერ განსორციელებულ აქციებს: ასე იყო 1956 წელს, როდესაც თბილისის 9 მარტის მოვლენებს მოჰყვა აფხაზი სეპარატისტების ანტიქართული გამოხდომა, 1978 წელს, როდესაც 14 აპრილის აქციას კელავ მოჰყვა აფხაზთა გააქტიურება, 1988 წელს, როდესაც აფხაზთა გამოსვლები დროში კელავ საეჭვოდ დაემთხვა საკავშირო პრესაში სტალინისა და ბერიას კრიტიკის გაძლიერებას, 1989 წელს როდესაც თბილისის ნოემბრის შიმშილობას კელავ დაემთხვა აფხაზთა სეპარატისტული აქცია და ა. შ.

„აფხაზები და სამხრეთელი ოსები მოსკოელიდან იმართებიან, მოსკოელი მათ ქართველთა „მოსათვინიერებლად“ იყენებს“ – აი ასეთია მოკლედ ამ სტერეოტიპის არსი. ქართველები აფხაზებს და ოსებს მხოლოდ მარიონეტებად აღვიქვამთ, რაც უბრალოდ შეცდომა კი არა, პრიმიტივიზმია. აზროვნების ასეთი სწორხაზოვნობა ხელს გეიშლის ამ უაღრესად რთული მოვლენის მართებულ, სრულყოფილ გააზრებაში. შესაბამისად, ვერ ხერხდება მისი გამომწვევი მიზეზების დადგენა. აფხაზებთან და ოსებთან მიმართებაში არასწორ წარმოდგენებზე დაფუძნებულ ჩვენს პოლიტიკას კი შედეგიც შესაბამისი მოსდევს.

არადა, რატომ უნდა იყოს ძნელი დასაჯერებელი, რომ საკუთარ ქვეყანაში უკიდურეს უმცირესობაში მოხვედრილ ხალხს ნაციონალისტური განწყობა და სეპარატიზმი დაეუფლოს? არა აქვს მნიშვნელობა, რომ აფხაზთა რიცხოვნობის კატასტროფულ შემცირებაში ქართველები ყველაზე ნაკლებად ვართ დამნაშავე, რომ თავის დროზე, აფხაზთა მუჰაჯირობის წინააღმდეგ სწორედ ქართველები იმაღლებდნენ ხმას, მთავარი შედეგია. შედეგი კი ის არის (იყო), რომ საგრძნობ უმრაელესობაში (44 პროცენტი 17 პროცენტის წინააღმდეგ) სწორედ ქართველები აღმოვჩნდით. მნიშვნელობა არც იმას აქვს, რომ აფხაზებთან ერთად ქართველები ამ მიწის ოდინდელი მკვიდრნი ვართ. მთავარი ის არის, რომ აფხაზთა ეროვნულ იდენტობას საფრთხე სწორედ უმრაელესობის, ანუ ქართველთა მხრიდან შეექმნა.

ამას არ შეიძლებოდა აფხაზებში (მით უმეტეს, სულ რაღაც ორი-სამი საუკუნის წინ ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსახლებულ „ახალ,“ აფხაზებში, ანუ გააფხაზებულ აფსუებში) ანტიქართული განწყობა არ გამოეწვია. მით უმეტეს, რომ დემოგრაფიული ვითარების შეცვლაში აფხაზები ქართველებს, კერძოდ კი - სტალინსა და ბერიას ადანაშაულებდნენ. მათი მტკიცებით, 30 - 40-

იან წლებში, ბერიამ ბოროტად ისარგებლა ძალაუფლებით და განახორციელა ქართველების ხელოვნური მიგრაცია აფხაზეთში. ამ პერიოდში მიგრაციულ პროცესებს, საბჭოთა კავშირის მასშტაბით, მართლაც ჰქონდა ადგილი, საქმე ისაა, რომ მრეწველობის დაჩქარებული განვითარების შედეგად მთელი ქვეყნის მასშტაბით სწრაფად იზრდებოდა ქალაქის მოსახლეობა. აფხაზეთი გამონაკლისი ვერ იქნებოდა. სოხუმისა და მისი შემოგარენის, აგრეთვე, გაგრა-ბიჭვინთის ტურისტული ზონის განვითარებამ მოითხოვა გაცილებით მეტი საწარმოო და დემოგრაფიული რესურსი, ვიდრე ეს აფხაზეთს გააჩნდა. აფხაზეთის აგრარულ სექტორში სამუშაო ძალის ექსტენსიური ზრდა ჯერ კიდევ ამოწურული არ იყო. შესაბამისად, ნაკლები იყო ამ ძალის სოფლიდან ქალაქში გადინება. ამდენად, სოციალურ-ეკონომიკური, ტურისტული და ურბანისტული ცენტრების ახალმა კონფიგურაციამ განაპირობა მიგრაციული პროცესები აფხაზეთში. საკუთარი ეთნორესურსებით აფხაზებს ამ პროცესის რეგულირება არ შეეძლოთ. მაშასადამე, „ურბანისტული დონორი" ავტონომიური რესპუბლიკის გარეთ იყო მოსაძებნი. სწორედ ურბანიზაციის კანონზომიერი ფაქტორი და არა ბერიას „ანტიაფხაზური ავი ბრახვები" იყო ამ პროცესის მთავარი განმაპირობებელი მიზეზი. რატომ უნდა გამოყენებულიყო საქართველოში არაქართული მიგრაციული პოტენციალი მაშინ, როდესაც დასავლეთ საქართველოში სამუშაო ძალის საკმაოდ დიდი რესურსები არსებობდა? და თუნდაც, ეს პროცესი რესპუბლიკის გარედან მოზიდული ძალით განხორციელებულიყო, რას შეცვლიდა ეს აფხაზებისთვის? ისინი ხომ ნებისმიერ შემთხვევაში უმცირესობაში მოსახვედრად იყვნენ განწირულნი! საბჭოთა კავშირში მიგრაციული პროცესები გრძელდებოდა 50-70-იანი წლების დროსაც, რამაც თავისი ასახვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დემოგრაფიულ სიტუაციაზეც ჰპოვა.

და მაინც, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, საბჭოთა პერიოდში, აფხაზეთის დემოგრაფიულ ვითარებაში ცელილებები არა ქართველების, არამედ, სომხებისა და რუსების სასარგებლოდ განვითარდა. 1926-1989 წლებში აფხაზეთის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში რუსების პროცენტული წილი გაიზარდა 8-ჯერ (1,8 პროცენტიდან 14, 3 პროცენტამდე), სომხების - 9,1-ჯერ (1,64-დან 14,6 პროცენტამდე), ხოლო ქართველების მხოლოდ 1,2-ჯერ (35,8 პროცენტიდან 42,96 პროცენტამდე). აფხაზების წი-

ლი კი 1,4-ჯერ შემცირდა (25,6 პროცენტიდან 17,8 პროცენტამდე).[36] ეს საბჭოური (და არა ქართული) სტატისტიკა, მუპაჯირობის გათვალისწინებით, ნათლად მოწმობს, თუ ვის უნდა „უმადლოდნენ“ აფხაზები უმცირესობაში მოხვედრას.

ანტიქართულ და პრორუსულ განწყობას აფხაზს ეკონომიკური და ენობრივი ინტერესებიც კარნახობენ. აბა წარმოვიდგინოთ: საქართველოს შემადგენლობაში მყოფ აფხაზს თავისი ციტრუსების რეალიზაცია საბაჟო გადასახადის გარეშე მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე შეეძლება, სადაც მას აჭარის ციტრუსების ძლიერი კონკურენციის გადალახვაც მოუწევს. რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, ან მასთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირის დროს კი აფხაზს შეეძლება ბაჟის გარეშე თავისი მანდარინი ჩუკოტკაზე ჩაიტანოს და ზღაპრულ ფასში გაყიდოს, მერე კი მთელი წლის განმავლობაში ფეხი-ფეხზე გადადებულმა აბოლოს ყალიონი (მერედა, რომელი არ უყვართ აფხაზებს ასე განცხრომით ცხოვრება).

ჰოდა, განა დიდი ჭკუა სჭირდება ამ ალტერნატიებიდან თავისთვის უკეთესის ამორჩევას?

ეს, რაც შეეხება ეკონომიკურ ინტერესს.

აფხაზეთისთვის ბრძოლა ქართველებმა ჯერ კიდევ მაშინ წავაგეთ, როდესაც აფხაზეთში ქართულ ალფავიტზე აწყობილი აფხაზური ანბანი რუსული ალფავიტით შეიცვალა. საქართველოს შემადგენლობაში ყოფნის შემთხვევაში აფხაზისთვის, მშობლიური ენის გარდა, ქართული ენის შესწავლაც სავალდებულო იქნება. მერედა, სად გამოიყენებს ამ ენას აფხაზი? ბუგდიდიდან ლაგოდეხამდე არეალში (იმასაც არასრულყოფილად, რადგან ახალქალაქელ თუ ნინოწმინდელ სომეხთან, ან ბოლნისელ თუ მარნეულელ აზერბაიჯანელთან ეს ენა ნაკლებად გამოადგება). რუსული ენის გამოყენების არეალი კი განუსაზღვრელად ფართოა. უზარმაზარ რუსეთს რომ თავი დავანებოთ, ეს ენა გამოდგება მთელი ცენტრალური აზიის, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, ბელორუსიის, მოლდოვას ტერიტორიებზეც.

ელემენტარული პრაგმატიზმი აფხაზს აქაც არჩევანს რუსული ენის სასარგებლოდ გააკეთებინებს.

---

[36] დემოგრაფიული პროცესები სსრკ-ში 20-80-იან წწ, თანამედროვე საზღვარგარეთის ისტორიოგრაფია, მ. 1991, გვ. 28; რუს. ენაზე;

დავუმატოთ ასლა ამას საუკუნეების მანძილზე ერთობლივი ცხოვრების დროს ერთმანეთისთვის უნებლიედ თუ განზრახ მიყენებული წყენა, ერთმანეთთან ომის დროს დამდგარი სისხლის გუბეები (მერა რა, რომ ქართველებს ამ ომებში ბრალი ნაკლებად მიგვიძღვის, ამას ქართველის ტყეიით შვილმკვდარი აფსაზი დედისთვის რა მნიშვნელობა აქვს?) და ა. შ.

მეორე, სეპარატისტული განწყობის გაღვივებისთვის ზემოჩამოთვლილის მეათედიც კი საკმარისი იქნებოდა.

მაშ, რატომ დაგვიჩემებია – აფხაზებს სეპარატიზმისთვის საფუძველი არ გააჩნიათო?

ამიტომაც, ცამდე მართალია დაზმირ ჯოჯუა: „აბსოლუტურად არამეცნიერული მიდგომაა ყველაფრის რუსეთზე გადაბრალება... რა, რუსეთამდე კონფლიქტი არ ყოფილა? გავიხსენოთ შერვაშიძეთა პატრიარქალური ფეოდალიზმის ბრძოლა ქართული მონარქიის წინააღმდეგ. მაგალითად შეიძლება თქვას, ამასვე აკეთებდნენ დადიანები, ჯაყელები, იმერელი ბაგრატიონები და სხვ. , მაგრამ რა ვუყოთ იმ სრულიად ცალსახა ტენდენციას, რომ შერვაშიძეთა ანტიცენტრალისტური მოძრაობა, ქართული რეგიონალური დინასტიების ბრძოლისგან განსხვავებით, შეიცავდა ეთნიკურობისა და აფსუური ქვეცნობიერი კომპლექსის აშკარა ნიშნებს. გავიხსენოთ აფსუების თურქული ორიენტაცია კავკასიაში რუსების მოსვლამდე საუკუნენახევარით ადრე. გავიხსენოთ ისიც, თუ როგორი გენოციდი, მასობრივი ხოცვა-ჟლეტა მოუწყვეს ისტორიული ოდიშის ქართულ მოსახლეობას აფსუებმა მე-16-მე-17 სს-ში ბზიფისა და ენგურის შუამდინარეთში“.[37]

შიდა ქართლის ოსების შემთხვევა განსაკუთრებულია. აქაური ოსების დღევანდელ თაობაშიც კი ბევრია ისეთი, ვისაც გადმოცემით მაინც აქვს წარმოდგენა ჩრდილოეთიდან აქ ჩამოსახლებული თავისი წინაპარის შესახებ. შიდა ქართლის ოსები ქართულ მიწაზე ცხოვრობენ. ჩვენმა წინაპრებმა ისინი ძმებივით მიიღეს, ახალმოსახლეებს, რითაც შეეძლოთ, ხელი გაუმართეს. ოსების ის თაობა, ამის გამო, მათი დიდად მადლიერი იყო კიდეც

მადლიერების გრძნობა უდიდესი ნიჭია, ადამიანში ადამიანობის საზომია. სამწუხაროდ, დღევანდელი თაობის შიდა ქართლის ოსებს ეს ნიჭი არ აღმოაჩნდათ. როდესაც სხვა ხალხის სისხლით

---

[37] . დაზმირ ჯოჯუა, სოხუმის დაცემა, თბ. 2014, გვ. 18;

მორწყულ და ძელებით გაპოხიერებულ მიწაზე ცხოვრობ, ამ ხალხის კულტურას, ტრადიციებს, მის სახელმწიფოებრიობას პატივი უნდა სცე. თუ ეს ხალხი რაღაცით შენს ადამიანურ უფლებებს ლახავს, კანონიერი გზებით შენი უფლებების დაცვისთვის უნდა იბრძოლო. თუ მაინც თვლი, რომ ამ ხალხის გვერდით შენი ცხოვრება არ ღირს, მაშინ მიწაზე საკუთრების უფლება კი არ უნდა დაიჩემო, არამედ, უბრალოდ, გაეცალო და შენი გზით წახვიდე, ვთქვათ — შენს ისტორიულ სამშობლოში, შენი თანამოძმეების გვერდით გაღვასახლდე, ან იმ ხალხს გაუმეზობლდე, ვინც უფრო გესიმპატიურება. იმ მიწის მიტაცება და შენს საკუთრებად გამოცხადება კი, რომელზეც სამაღლოდ დაგასახლეს და შეგიფარეს, ელემენტარული უზნეობა და უმადურებაა.

ამიტომაც, შიდა ქართლის ოსების სეპარატიზმს არანაირი გამართლება არ გააჩნია. რაც შეეხება ოსური სეპარატიზმის მასაზრდოებელ წყაროს, მისი სერიოზული მაპროვოცირებელი ფაქტორი ისტორიული სამშობლოს სიახლოვეა, რაც თანამოძმეებთან შეერთების ცდუნებას წარმოშობს.

ასე, რომ აფხაზური და ოსური სეპარატიზმი საქართველოში რუსული ფაქტორის გარეშეც არსებობდა. ქართველებისგან განსხვავებით აფხაზები პოლიტიკაში ყოველთვის პრაგმატიზმით ხელმძღვანელობდნენ. ისინი ყურადღებით აკვირდებოდნენ საქართველოში მიმდინარე პროცესებს და თავიანთ ანტიქართულ აქციებს მაშინ მართავდნენ სოლმე, როცა ქართველები მოსკოვს გააღიზიანებდნენ. სწორედ ამიტომ ემთხვეოდა მათი აქციები დროში მოსკოვთან ჩვენი ურთიერთობების დაძაბვას. ამას აფხაზები აკეთებდნენ და არა რუსები. აქედან კი ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა: ჩვენი ეროვნული მოძრაობის ლიდერთა რადიკალიზმი ძაბავდა ეთნო-სოციალურ ვითარებას ქვეყანაში და აახლოებდა ეთნოკონფლიქტებს.

1988 წლის ნოემბრის აქციის შემდეგ აფხაზები მორიგი ანტიქართული გამოსვლისთვის ემზადებოდნენ. 1988 წლის 13 დეკემბერს აფხაზებმა „აიდგილარას“ (თანადგომა) დაფუძნება გამოაცხადეს. ამით, ფაქტიურად, გაფორმდა 1988 წლის 17 ივნისს აფხაზური ეთნოკრატიის მიერ სკკპ მე-19 პარტკონფერენციისადმი გაგზავნილი ე. წ. „60-ის სამოცის წერლით“ ქართველების წინააღმდეგ გახსნილი მეორე ფრონტი. 1989 წლის 18 მარტს სოფელ ლისნში მათ დიდი თაყვანისცემა გამართეს (მონაწილეობდა 30 ათასამდე აფხაზი). ყრილობამ მიიღო მიმართვა სკკპ ცენ-

ტრალური კომიტეტისადმი, რომელშიც ღიად იყო დაყენებული საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გამოსელისა და რუსეთთან შეერთების მოთხოვნა.

აფხაზებმა ამჯერადაც სწორად გათვალეს: ლიხნის მიტინგი ქართველებში ანტირუსულ განწყობას გააძლიერებდა. ეს კი მათი სტრატეგიის ნაწილს შეადგენდა.

და მართლაც, ქართველმა რაღიკალებმა მოსკოეს პრეტენზია წაუყენეს – რატომ არ აღკეეთეთ ლიხნის შეკრებაო.

სავსებით მართალია გიორგი წიქარიშვილი, როდესაც ჩვენი რადიკალების ეს მოთხოვნა მათი პოლიტიკური სიბეცის ნიმუშად მიაჩნია. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ: კრემლი არ არბევს ნოემბრის აქციას თბილისში, ანტისაბჭოთა ლოზუნგებით და მოთხოვნებით, მაგრამ არბევს აფხაზთა ლეგიტიმურ (ლიხნის ყრილობა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მიერ იყო სანქცირებული) შეკრებას ლენინის პორტრეტებითა და წითელი დროშებით!

კრემლისგან ასეთი რამ მხოლოდ პოლიტიკაში სრულიად გაუთვითცნობიერებელმა შეიძლება მოიითხოვოს. რუსეთთან დამოკიდებულებაში ქართველი რადიკალები ცდილობდნენ პირწმინდად ეთიკური კრიტერიუმებით ეხელმძღვანელათ, რაც მაკიაველის სიტყვებით, სხვა არაფერია, თუ არა უსაგნო და უშინაარსო, რეალობას მოწყვეტილი განყენებული პოეზია. პოლიტიკისთვის სრულიად უცხოა ისეთი ზნეობრივი კატეგორიები, როგორიცაა „კეთილშობილება“, „სიყვარული,“ „სიკეთე,“ „ბოროტება“ და ა.შ. ეს შესანიშნავად იცოდნენ აფხაზებმა, მაგრამ არ ვიცოდით (არც დღეს ვიცით) ჩვენ.

ერთი მაგალითი: საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ღიად და სრულიად აშკარად დაუჭირა მხარი ჯოჰარ დუდაევს, რითაც საბოლოოდ გადაიკიდა კრემლი. მორალის თვალსაზრისით ეს ვაქკაცური და ზნეობრივი საქციელია, მაგრამ პოლიტიკურად ის მეტად წამგებიანი ნაბიჯი იყო საქართველოსთვისაც და პირადად გამსახურდიასთვისაც.

ჩვენ დღესაც გვგონია, რომ აფხაზურ სეპარატიზმს კრემლი მართავს. სინამდვილეში კი კრემლის ინტერესები ემთხვევა აფხაზთა ინტერესებს. და ინტერესთა ამ დამთხვევას თავიანთი მიზნების მისაღწევად შესანიშნავად იყენებენ აფხაზი სეპარატისტები.

წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი: 1989 წლის აპრილის აქციაზე ქართველები აფრიალებენ საბჭოთა დროშებს, აღუმარ-

თავთ გორბაჩოვის პორტრეტები და ა. შ. აქციის მოთხოვნა კი აფხაზი სეპარატისტების დასჯაა.

როგორ გგონიათ – დაარბევდა კრემლი ასეთ აქციას?

რა თქმა უნდა, არა. აფხაზები კი წააგებდნენ და დროებით უკანაც დაიხევდნენ.

თუმცა, ჩემს მიერ დახატული სურათის წარმოდგენა თვით ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც გაძნელდება. დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ქართველები გორბაჩოვის პორტრეტებით ხელში! არადა, პოლიტიკური პრაგმატიზმი სწორედ ამას გულისხმობს. პოლიტიკაში ეს ჩვეულებრივი რამაა.

ქართველების გარდა ეს ყველამ გაიგო. აფხაზები პრაგმატულ პოლიტიკას ახორციელებდნენ და რომანტიულ მიზანს მიაღწიეს. ჩვენ რომანტიულ პოლიტიკას ვეტარებდით და ამიტომაც მიზნამდე – დამოუკიდებლობამდე – უზარმაზარი მსხვერპლით და აუნაზღაურებელი დანაკარგებით მივედით.

ყურადღება მივაქციოთ მოვლენების ქრონოლოგიას, რომლიდანაც სრულიად ერთმნიშვნელოვნად სჩანს, რომ კონფრონტაცია დაიწყო აფხაზურმა მხარემ, დაიწყო ჯერ კიდევ ქართული მხარის გააქტიურებამდე ექვსი თვით ადრე. სწორედ აფხაზურმა ეთნოკრატიამ, კრემლის წაქეზებით, ჩართო ეითარების ესკალაციისა და ომის წამზომი და არა ქართულმა მხარემ, როგორც ამის დამტკიცებას სრულიად ურცხვად დღემდე ცდილობენ აფხაზი სეპარატისტები.

პირველი სისხლიანი კალო აფხაზეთში 1989 წლის 15-16 ივლისს დატრიალდა. 15 ივლისს სოხუმში ერთმანეთის პარალელურად ქართული და აფხაზური მიტინგები გაიმართა. აფხაზური მიტინგი გაცილებით მრავალრიცხოვანი იყო. აფხაზმა ფოტოკორესპოდენტმა ქართველი მომიტინგეები უშეერად გამოლანძღა. მას კამერა და ფოტოაპარატი თავზე გადაამტვრიეს. დასისხლიანებული ფოტოკორესპოდენტი აფხაზურ მიტინგზე მივიდა და „ქართველთა მხეცობის“ შესახებ მოუთხრო. დანებით, ხელკეტებით და ჯაჭვებით შეიარაღებული 5 ათასამდე აფხაზი უიარაღო ქართველებს მიუცივდა. მათ მთლიანად დალეწეს ქართულ სკოლაში თავშეფარებული უნივერსიტეტის ფილიალის ინვენტარი, შებილწეს რუსთაველის ძეგლი. ამ დროს აფხაზებს თავიანთი ქალები და ბავშვები გუდაუთაში ყავდათ გახიზნული, რაც იმის კიდევ ერთი უტყუარი საბუთია, რომ ეს სისხლიანი ანგარიშსწორება მათ წინასწარ ჰქონდათ დაგეგმილი.

დაიღუპა 15 კაცი, ძირითადად ქართველები.

მეორე დღეს რუსული პრესა „აგრესორი ქართველების მიერ მშვიდობიანი აფხაზების ქლეტაზე" წერდა. მალე ქურნ. „ოგონიოკში" დაიბეჭდა ანდრეი სახაროვის სტატია, რომელშიც საქართველო „მცირე იმპერიად" არის მოხსენიებული.

ორიოდე სიტყვა „ქართული სახელმწიფოს სხეულში ჩადებული შეყოვნებული მოქმედების ნაღმების," ანუ ავტონომიური წარმონაქმნების შესახებ.

თავის შესანიშნავ სტატიაში - „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა უძველესი დროიდან დღემდე", პროფესორი ზურაბ პაპასქირი წერს: „ბოლშევიკმა დემაგოგებმა, რომლებიც 1918-1920 წლებში ყოველნაირად აქეზებდნენ აფხაზებსა და ოსებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ და მთლიანად მხარს უჭერდნენ მათ „ეროვნულ-სახელმწიფოებრივ" თვითგამორკვევას, გასაბჭოების შემდეგ ვერ შეძლეს მათ მიერ „აშვებული" სეპარატისტების მოთოკვა და იძულებულნი შეიქმნენ მოჩვენებითი „დამოუკიდებლობა" (ისიც დროებით) ებოძებინათ აფხაზებისთვის, ხოლო ოსებით დასახლებული შიდა ქართლის ნაწილი ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიურ ოლქად გამოეცხადებინათ". ამ სავსებით მართებულ მსჯელობას შემდეგი სიტყვები მოსდევს: „ასე ჩაიდო „ნელი მოქმედების" ნაღმები, რომლებიც იმთავითვე გამიზნული იყო ქართული სახელმწიფოს შიგნიდან ასაფეთქებლად"[38].

ავტორი აქ მექანიკურად იმეორებს ჩვენში დამკვიდრებულ სტერეოტიპს და ძალაუნებურად წინააღმდეგობაში მოდის თავისივე სრულიად მართებულ თეზისთან. ბოლშევიკებმა ხომ, როგორც პაპასქირი სამართლიანად წერს, „ვერ შეძლეს" თავიანთ მიერვე წახალისებული სეპარატისტების მოთოკვა, მათ ხომ ეს ნაბიჯი „იძულებით" გადადგეს. მაშ, რა წინასწარ გამიზნულ „ქართული სახელმწიფოს აფეთქების" განზრახვაზეა საუბარი? იძულებითობა ხომ საფუძველშივე გამორიცხავს შორსგამიზნულ გათვლებს!

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის მომენტისთვის ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და

---

[38]. ზურაბ პაპასქირი, „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა უძველესი დროიდან დღემდე", გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 13 ივლისი, 2002;

ოსებს შორის სისხლის გუბეები იყო ჩამდგარი. შიდა ქართლის ოსები თითქმის მთლიანად ჩრდილო კავკასიაში იყვნენ გაღახვეწილნი. თაეიანთ საცხოვრებელ ადგილებს სამხრეთელი ოსები მხოლოდ 1922 წელს დაუბრუნდნენ. ასეთ ვითარებაში მათი დაყოლიება საქართველოს შემადგენლობაში თუნდაც ავტონომიური უფლებებით ღაბრუნებაზე, ძალზე რთული იყო.

სხვა საკითხია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ აფხაზური და ოსური აჯანყებები ბოლშევიკთა წაქეზებით იყო ორგანიზებული. მაგრამ ბოლშევიკების მიზანს აფხაზებისა და ოსების უფლებების დაცვა კი არა, დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლების დამხობა წარმოადგენდა.

აფხაზეთს ავტონომია მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ძალითაც. გასაბჭოების პირველივე დღეებიდან აფხაზები სრული დამოუკიდებლობისკენ მიისწრაფოდნენ. 1921 წლის დეკემბერში აფხაზეთი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა და 1931 წლამდე ასეც იწოდებოდა. თუმცა, სსრ კავშირის კონსტიტუციით, ის ავტონომიურ რესპუბლიკათა რიგში მოისსენიებოდა. საქართველოსთან ის ხელშეკრულების საფუძველზე სწორედ ამ სტატუსით იყო დაკავშირებული.

უნდა ითქვას, რომ საქართველოსთან აფხაზეთის თვით ასეთი დაკავშირებაც კი აფხაზების მხრიდან სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა. როგორც უკვე ვთქვით, მათ სრული დამოუკიდებლობა სურდათ.

განსაკუთრებულ ვითარებაში შეიქმნა აჭარის ავტონომიაც. საბჭოთა და ალბათ, მსოფლიო პრაქტიკაშიც ეს იყო უნიკალური შემთხვევა, როდესაც მთელ ერს და მის შემადგენელ ნაწილს ცალ-ცალკე რესპუბლიკები შეუქმნეს.

საქმე ისაა, რომ თურქეთის სამსაუკუნოვანმა ბატონობამ თავისი დაღი დაასვა აჭარელთა ყოფას და კულტურას. მაჰმადიანური რელიგიის მიღების შემდეგ აჭარა თურქეთისა და საერთოდ, მუსლიმური აღმოსავლეთის ძლიერ იდეოლოგიურ ზეგავლენას განიცდიდა.

თურქეთმა 1918 წელსაც სცადა აჭარის მიტაცება. მან აქ ძლიერი თურქოფილური ორგანიზაცია შექმნა, რომელიც თურქეთის მფლობელობაში აჭარის დაბრუნებას მოითხოვდა. თურქოფილურ ძალებს დაუპირისპირდა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი, რომელმაც საქართველოს

ფარგლებში აჭარის ავტონომიის საკითხი დააყენა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ამ მოთხოვნას დაეთანხმა და თავისი განზრახვა კონსტიტუციითაც დაადასტურა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ თურქეთთან საზავო მოლაპარაკებაზე საქართველოს ინტერესების დაცვა საბჭოთა რუსეთმა იკისრა. 1921 წლის 16 მარტს რუსეთსა და თურქეთს შორის დადებული ხელშეკრულებით თურქეთმა აღიარა ბათუმის ოლქზე საქართველოს უფლებები. თავის მხრივ, საქართველომ აჭარის მუსლიმი მოსახლეობისთვის ავტონომიური მმართველობის მინიჭების ვალდებულება იკისრა.

ასე, რომ აჭარისთვის ავტონომიის მინიჭებას გეავალდებულებდა ერთი მხრივ, თურქეთთან დადებული ხელშეკრულება, მეორე მხრივ, თვით აჭარის მაჰმადიანი მოსახლეობის ნება-სურვილი.

საქართველოდან სრულ გამოყოფას მიელტვოდნენ შიდა ქართლის ოსებიც. თუმცა, მათ ამ სურვილს გადაჭრით წინ აღუდგნენ როგორც საბჭოთა საქართველოს, ისე ბოლშევიკური რუსეთის ხელმძღვანელებიც. საქართველოს მმართველი პარტია ცდილობდა მიეგნო კომპრომისული გადაწყვეტილებისთვის. ასეთ კომპრომისად მიჩნეულ იქნა ავტონომიური ოლქის შექმნა, რომლის ადმინისტრაციულ ცენტრად წმინდა ქართული ქალაქი — ცხინვალი გამოცხადდა.

არსებითად, ეს ოსი სეპარატისტების მოთხოვნების თითქმის, სრულად დაკმაყოფილება იყო, თუმცა, ოსური მხარე ამ გადაწყვეტილებითაც უკმაყოფილო დარჩა.

პატარა საქართველოში სამი ავტონომიური ერთეულის შექმნა, ერთი შეხედვით, ეჭვებს აღძრავს, მაგრამ ამ ფაქტის ახსნა საკმაოდ გააღვილდება, თუ გავიხსენებთ, რა პირობებში აარსებდნენ ავტონომიებს ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ.

რევოლუციის შემდეგ ერთა თვითგამორკვევის იდეამ დიდი თუ მცირე ერები მოიცვა. დამოუკიდებლობის იდეა პოპულარული გახდა თვით რუსულ ოლქებშიც კი. 1918 წელს შეიქმნა დონის საბჭოთა მთავრობა, ყუბან-შავიზღვისპირეთის რესპუბლიკა, რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე ბედიზედ დაარსდნენ ბაშკირეთის, თათრეთის, ყირგიზეთის, თურქესტანის, მთის, დაღესტნის, ყირიმის, იაკუტიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები და ჩუვაშეთის, მარის, ყალმუხეთის, ვოტის, კომის, ყაბარდო-ბალყარეთის, ბურიატ-მონღოლეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, იორატის (ალტაის), ადიღეს (ჩერქეზეთის), ავტონო-

მიური ოლქები, აგრეთვე, კარელიისა და ვოლგისპირეთის გერმანელთა შრომითი კომუნები.

მკითხველს უთუოდ ემახსოვრება ისიც, რომ საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ (1990 წ) „დამოუკიდებლობის“ ტალღამ კიდევ ერთხელ გადაუარა არა მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკებს და ავტონომიებს, არამედ – რუსეთის ოლქებსაც.

ყოველივე ამის შემდეგ აღარ უნდა გვიკვირდეს, რომ დამოუკიდებლობის სურვილი საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებსაც აღეძრათ. საბჭოთა ხელისუფლებისთვის ბრძოლაში ბოლშევიკები შეეცადნენ აფხაზური და ოსური სეპარატიზმის გამოყენებას, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი იძულებულნი იყვნენ თავიანთი დანაპირები ნაწილობრივ მაინც შეესრულებინათ. „ნაღმები“ კი აქ ნამდვილად არაფერ შუაშია. ჯერ ერთი, ბოლშევიკები 20-30 წლიწადში კომუნიზმის აშენებას ეარაუდობდნენ და თავიანთი მიზნის რეალურობაში მტკიცედ დარწმუნებულნი, თეორიულადაც კი არ უშვებდნენ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის შუღლისა და მტრობის გაჩენის შესაძლებლობას. პირიქით, მარქსისტულ-ლენინური თეორიის მიხედვით კომუნისტურ ეტაპზე ერების შერწყმისა და გაქრობის პროცესი უნდა დაწყებულიყო და, ვიმეორებ, თავიანთი თეორიისა ბოლშევიკებს ღრმად სწამდათ. მეორეც, ნაღმების ჩადება რომ სდომებოდათ, ბოლშევიკებს თავისუფლად შეეძლოთ ჩაედოთ ისინი ჯავახეთშიც, ქვემო ქართლშიც და სამეგრელოშიც კი. მესამეც, ჩვენ ვნახეთ, რამდენი ავტონომია შეიქმნა საკუთრივ რუსეთშიც. ნუთუ რუსეთმა საკუთარ თავსაც „ნაღმები“ ჩაუდო? და ბოლოს: საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება მზადაა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთსაც ფართო ავტონომია მიანიჭოს. და რა, ამის გამო ვამტკიცოთ, რომ მოღალატე ხელისუფლება გვყავს?

სოციალური და ეკონომიკური დისკრიმინაციის მსხვერპლად მიაჩნდა თავი ქვემო ქართლის აზარბაიჯანელ და სამცხე-ჯავახეთის სომეხ მოსახლეობასაც. საავადმყოფოების, სკოლების აღჭურვილობის უკმარისობა, გაურემონტებელი გზები, უამრავი სხვა მწვავე სოციალური პრობლემა აღგილობრივი არაქართველი მოსახლეობის მიერ ეთნიკური ნიშნით მათ დისკრიმინაციად აღიქმებოდა. 1988-1989 წლებში ამ პრობლემებს მიწაზე უფლებებისა და განსახლების საკითხიც დაემატა. 1989 წლის მაისში ქვემო ქართლის აზარბაიჯანულმა მოსახლეობამ მასობრივ მიტინგებზე ავტონომიური სტატუსი და ქვემო ქართლისთვის მი-

სი აღრინდელი სახელწოდების - „ბორჩალოს“ მინიჭება მოითხოვა. ეთნიკური აზერბაიჯანელები ქართველებს დისკრიმინაციული დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელებაშიც ადანაშაულებდნენ. საჭირო გახდა ქვემო ქართლში შინაგან საქმეთა სამინისტროს დამატებითი კონტიგენტის შეყვანა. კონფლიქტი განიმუხტა. ამ საქმეში პოზიტიური როლი მხედრონელთა დაჯგუფებამაც შეასრულა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისისთვის ეთნიკური სომხები ჯავახეთის მოსახლეობის 90 პროცენტს შეადგებდნენ. 1990 წლის ზაფხულში რეგიონიდან გადასახლებული დუხობორების სახლები და მიწის ნაკვეთები იმ ხანად სპეციალურად ამ საქმისთვის შექმნილმა მერაბ კოსტავას ფონდმა შეიძინა და ქვეყნის სხვა რეგიონებიდან ჩამოსახლებულ ქართველებს დაურიგა. ადგილობრივმა სომხებმა ჩათვალეს, რომ ქართველები ხელოვნურად ცდილობდნენ დემოგრაფიული სურათის შეცვლას ჯავახეთში და ეს გააპროტესტეს. ქართველმა რადიკალებმა ამას სომხეთის მიმართულებით რკინიგზის გადაკეტვით უპასუხეს. შეიარაღებული კონფლიქტი დიდი გაჭირვებით იქნა თავიდან აცილებული.

§ 1.4 1989 წლის 9 აპრილი.

1988 წლის ნოემბრის აქციის შემდგომი რამდენიმე თვე ქარიშხლის ამოვარდნის წინ დასადგურებულ სიმშვიდეს მოგვაგონებდა. ხელისუფლება გრძნობდა, რომ მასობრივი მიტინგებისა და დემონსტრაციების გამართვას მხოლოდ ზამთრის სუსხი აფერხებდა.

უკვე 1989 წლის 8 თებერვალს ირაკლი წერეთლის ინიციატივით უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში ჩატარდა დავით აღმაშენებლის ხსოვნისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგი. მიტინგზე კვლავ გაისმა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნა.

18 თებერვალს ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ პოლიტექნიკური ინსტიტუტის წინ მასობრივი მიტინგის ჩატარება სცადა. ხელისუფლებამ თავისი გადაცმული აგენტებისა და კომკავშირული აქტივისტების მეშვეობით შესძლო მიტინგის დაშლა. მომი-

ტინგენებსა და კომკავშირულ აქტივისტებს შორის გაიმართა მუშტიკრივი. მომიტინგეებმა ქვები დაუშინეს მილიციელებს.

ქართული საზოგადოების რეაქცია მომიტინგეების მიმართ ხელისუფლების ამგვარ ქმედებაზე ცალსახად ნეგატიური იყო. ხელისუფლება ამჯერადაც იძულებული გახდა უკან დაეხია. მიტინგის დარბევა დაბალი რანგის მოხელეებს დაბრალდათ. შეიქმნა კომისია 18 თებერვლის მოვლენების გარემოებათა გამოსაძიებლად და დამნაშავეთა გამოსაელენად.

თუმცა, ხელისუფლებამ კვლავ სასტიკად დაარბია 25 თებერვალს სერგო ორჯონიკიძის ძეგლთან ეროვნულ-დემოკრატების მიერ გამართული მიტინგი. დააპატიმრეს მიტინგის მოთავეებიც. იმავე დღეს არაფორმალთა მეორე რაზმმა ქაშუეთიდან დაწყებული საპროტესტო მსვლელობა უნივერსიტეტის ეზოში გამართული მიტინგით დაასრულა. მომიტინგენი დაპატიმრებულთა დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვდნენ.

ხელისუფლება ამჯერადაც იძულებული იყო დათმო და დაპატიმრებულები გაეთავისუფლებინა.

1989 წლის 25 მარტს, დემეტრე თავდადებულის ხსენების დღეს, ოფიციალურად დაფუძნდა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია. დროებით კომიტეტში შევიდნენ: ირაკლი წერეთელი, მამუკა ცაგარელი, გიორგი ჯინჭარაძე, ვასილ ხომერიკი, ვაჟა მთავრიშვილი, ვახტანგ ტალახაძე და თემურ სუმბათაშვილი.

ჯერ კიდევ 1988 წლის შემოდგომიდან საქართველოში მიმდინარეობდა მუშაობა ბალტიის რესპუბლიკებში შექმნილი სახალხო ფრონტების ანალოგიური ორგანიზაციის ჩამოყალიბებისთვის. ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები: ნოდარ ნათაძე, მერაბ მამარდაშვილი, ელდარ შენგელაია, ლანა ღოღობერიძე, რომან გოცირიძე, რევაზ შავიშვილი, ვახტანგ ხმალაძე, გურამ ბერიშვილი, გურამ ყორანაშვილი და სხვები ზომიერი პატრიოტიზმისა და დემოკრატიზმის სულისკვეთებას გამოსხატავდნენ და საზოგადოების საშუალო ფენებზე და ინტელიგენციაზე იყენებ ორიენტირებულნი. ამიტომაც ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ენთუზიაზმით შეხვდა სახალხო ფრონტის იდეას. 1989 წლის გაზაფხულისთვის სახალხო ფრონტის ჯგუფები თბილისის, ქუთაისის, გორის და სხვა ქალაქების მრავალ წარმოება-დაწესებულებაში იყო შექმნილი. საქართველოს კომპარტიის შემდეგ ის უკვე მაშინ წარმოადგენდა ყველაზე მრავალრიცხოვან პოლიტიკურ ორგანიზაციას.

სახალხო ფრონტს ქართველი საზოგადოების ინტელექტუალური ძალებისა და მთელი პატრიოტული მოძრაობის შემკრები და წარმმართველი ფუნქცია უნდა ეკისრა, რაც, მისი ინიციატორების აზრით, ზომიერ და გონიერულ იმპულსს მისცემდა ეროვნულ მოძრაობას. ეს უნდა ყოფილიყო რეგისტრირებული და ლეგალურად მოქმედი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ძლიერი ცენტრის პოზიციას დაიკავებდა ქართულ პოლიტიკურ სპექტრში. სახალხო ფრონტს უნდა შეძლებოდა ერთი მხრივ, ეროვნულ-რადიკალურ ძალებთან საერთო ენის გამონახვა, მეორე მხრივ, მას დიალოგი უნდა შეძლებოდა ხელისუფლებასთანაც.

ეროვნულ-რადიკალური მოძრაობის ლიდერები თავიდანვე ეჭვებით და უნდობლობით მოეკიდნენ ახალ მოძრაობას. ეს მოსალოდნელიც იყო. მასში რადიკალებმა ის ძალა დაინახეს, რომელსაც შეეძლო მათთვის ინიციატივა წაერთმია.

თუმცა, მოვლენები სხვა მიმართულებით წარიმართა. 9 აპრილმა ქვეყანაში პოლიტიკურ ძალთა სულ სხვა კონფიგურაცია წარმოშვა.

ზემოხსენებული ლიხნის ყრილობის შემდეგ, 25 მარტს, თბილისში, ვაკის პარკში შეიღა ქართველი საზოგადოებრიობის დიდი მიტინგი, რომელზეც აფხაზი სეპარატისტების ახალი გამოხდომა გააპროტესტეს. მომიტინგეებმა საქართველოს ხელისუფლებისგან სეპარატისტების მიმართ გადამწყვეტი ზომების მიღება მოითხოვეს. 26 მარტს საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბიურომ განიხილა აფხაზეთში მიმდინარე მოვლენები. ბიურომ იმ მომენტში მიზანშეწონილად არ ჩათვალა ლიხნის აქციაში მონაწილე აფხაზი კომუნისტი ხელმძღვანელების პარტიული დასჯა და მათი საქციელის მხოლოდ სიტყვიერი დაგმობით შემოიფარგლა.

ჯუმბერ პატიაშვილი შეხვდა ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას და სთხოვა მათ არ გაემწვავებინათ თბილისში სიტუაცია, მიეცათ შესაძლებლობა რესპუბლიკის ხელმძღვანელობისთვის მშვიდ ატმოსფეროში მოეგვარებინა ლიხნის აქციის შედეგად შექმნილი რთული ვითარება. 30 მარტს სოხუმში ჩავიდნენ ჯუმბერ პატიაშვილი, გიორგი ანჩაბაძე, ნუგზარ ფოფხაძე, ბორის ნიკოლსკი (საქ. კპ. ცკ-ს მეორე მდივანი) და ოთარ ჩერქეზია. თუმცა, კონკრეტული ღონისძიებები არც ამას მოჰყოლია.

2 აპრილს სოხუმში ჩავიდნენ თამარ ჩხეიძე, ზურაბ ჭავჭავაძე, მერაბ კოსტავა. 3 აპრილს მათ ირაკლი წერეთელი და

ირაკლი ბათიაშვილიც შეუერთდნენ. ჭაჭავაძის საზოგადოებას აქ ყველაზე გაელენიანი რეჟიონული ორგანიზაცია გააჩნდა, რომლის გამოკეთილი ლიდერები იყვნენ ეოვა ეკუა, ნუგზარ შგალობლიშვილი, ბორის კაკუბავა, დიმიტრი ჯაიანი, თემურ ლორთქიფანიძე, ანზორ გვარამია, სოსო ადამია და სხვები. სწორედ მათი ინიციატივით სუბტროპიკული ინსტიტუტის ეზოში ჩატარდა ხალხმრავალი მიტინგი, რომელმაც კიდევ ერთხელ დაუმო ლისნის ყრილობის გადაწყვეტლებები.

თბილისში კი ვითარება იძაბებოდა. 4 აპრილიდან დაიწყო სტუდენტების მიტინგების სერია. ისინი ჯერ სამედიცინო ინსტიტუტის ეზოში, შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შეიკრიბნენ. თუ სამედიცინო ინსტიტუტთან ძირითადად, არაფორმალები აქტიურობდნენ, უნივერსიტეტში საკითხის განხილვაში აქტიურად ჩაერთვნენ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები: აკაკი ბაქრაძე, მუსრან მაჭავარიანი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ლეონ ალექსიძე და სხვები.

იმავე საღამოს, 7 საათზე, უნივერსიტეტის ეზოში შეღწა სტიქიური მიტინგი, რომელმაც მიიღო რეზოლუცია აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით. რეზოლუცია მოითხოვდა საქართველოს დროებითი მთავრობის შექმნას, საყოველთაო დაუმორჩილებლობის აქციის დაწყებას, ავტონომიური ფორმირებების გაუქმებას ვითრება თანდათან გამოდიოდა კონტროლიდან. რადიკალებმა ამჯერადაც იმძლავრეს და ინიციატივა კიდევ ერთხელ გამოსტაცეს ხელისუფლებასაც და ზომიერ ინტელიგენციასაც.

5 აპრილს სოხუმში ჩატარდა პარტიის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომლის მუშაობაში ჯუმბერ პატიაშვილიც მონაწილეობდა. პლენუმმა საოლქო კომიტეტის მდივნის მოვალეობისგან გაათავისუფლა ბორის აღლეიბა. მის ნაცვლად არჩეული იქნა ვლადიმერ ხიშბა, შედარებით პროქართული განწყობის პარტიული მუშაკი. პრესაში გამოქვეყნდა აფსაზი და აფხაზეთში მოღვაწე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენელთა ერთობლიეი წერილი, რომელიც არსებული „გაუგებრობის“ დაუყოვნებლივ აღმოფხვრის მოწოდებას შეიცავდა.

თბილისში, მთავრობის სახლის წინ კი, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ინიციატივით, 4 აპრილიდან ხალხმრავალი მიტინგი მიმდინარეობდა. 4-5 აპრილს მიტინგს სწორედ ილია ჭავჭავაძის საზოგადოება აკონტროლებდა. 6 აპრილს სოხუმიდან დაბრუნებულმა ირაკლი წერეთელმა მთავრობის სახლის წინ

მიმდინარე მიტინგზე საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნისა და საყოველთაო დაუმორჩილებლობის ლოზუნგები წამოაყენა. აფხაზეთის პრობლემატიკა, ცხადია, მიტინგის დღის წესრიგში რჩებოდა, მაგრამ ის გადაფარა ისეთმა რადიკალურმა მოთხოვნებმა, როგორებიც იყო „რუსეთის იმპერიის დაშლის,“ „საბჭოთა ხელისუფლების დამხობის“, სსრ კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს დაუყოვნებლივ გამოსელის“, „საქართველოში გაეროს ჯარის შემოყვანის“ ლოზუნგები.

6 აპრილს მომიტინგეებს ტელევიზიით მიმართა საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ოთარ ჩერქეზიამ, 7 აპრილს მათ თვითონ ჯუმბერ პატიაშვილმა მოუწოდა პრობლემის მშვიდობიანი, ცივილიზებული ფორმებით გადაჭრისკენ, მაგრამ ყველა ცდა ამაო იყო. ვითარება მთავრობის სასლთან სულ უფრო და უფრო იძაბებოდა.

მიხეილ გორბაჩოვი და ედუარდ შევარდნაძე იმხანად ინგლისში იმყოფებოდნენ ოფიციალური ვიზიტით.. ადგილზე არ იყო არც სკკპ ცკ-ს მეორე მდივანი ეგორ ლიგაჩოვიც. 7 აპრილს, გვიან ღამით მიხეილ გორბაჩოვი ინგლისიდან დაბრუნდა. მას აეროპორტშივე მოახსენეს თბილისში არსებული ვითარების შესახებ. გორბაჩოვმა იქვე მიიღო გადაწყვეტილება თბილისში შევარდნაძისა და რაზუმოვსკის დაუყოვნებლივ გამოგზავნის შესახებ. შევარდნაძე ტელეფონით პატიაშვილს ესაუბრა. ამ უკანასკნელმა ის დაარწმუნა, რომ ვითარება კონტროლს ექვემდებარებოდა. ღამით მომიტინგეთა რაოდენობა 2-3 ასეულს არ აღემატება. ამ რაოდენობის მომიტინგეთა დაშლა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, რაც ამაღამ განხორციელდება კიდეც. ამიტომ თქვენი ჩამოფრენის აუცილებლობა არ არსებობსო. შევარდნაძეს პატიაშვილმა ასეთი არგუმენტიც უთხრა: თქვენმა ჩამოსვლამ შესაძლოა, ვითარება გაართულოს. მიტინგის ორგანიზატორები გადაწყვეტენ, რომ რაც შეიძლება მეტი ხალხი გამოიყვანონ თქვენს დასანახადო. ეს მართლაც გასათვალისწინებელი არგუმენტი იყო.

ამის გამო 8 აპრილს შევარდნაძე და რაზუმოვსკი თბილისში არ ჩამოფრენილან.

რატომ თქვა პატიაშვილმა უარი მოსკოვიდან დახმარების მიღებაზე? ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ პასუხისმგებლობის სხვებზე გადანაწილების კარგი შანსიც იყო? უნდა ვიფიქროთ, რომ ის ბოლომდე ღრმად ვერ აცნობიერებდა შექმნილ ვითარებას. მაგ-

რამ, არის კიდევ ერთი მიზეზი: პატიაშვილს სურდა მიეღო დახმარება მოსკოვიდან, მაგრამ არა შევარდნაძისგან. ეს ლახავდა მის პატიოსნებას. შევარდნაძეს ის თავის პირად მტრად აღიქვამდა. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ნოემბრის აქციას პატიაშვილი შევარდნაძის დაგეგმილად და გუმბარიძის განხორციელებულად თვლიდა. მას ეშინოდა, რომ შევარდნაძე აპრილის მოვლენებსაც მის წინააღმდეგ გამოიყენებდა.

თბილისში კი ვითარება საბოლოოდ გამოვიდა კონტროლიდან. არაფორმალები სტუდენტებს სწავლის შეწყვეტისკენ მოუწოდებდნენ. შეიქმნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კომიტეტი, დაიწყო ფულადი სახსრების შეგროვება, ააგეს ბარიკადები.

8 აპრილს, დილით გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცკ-ს ბიუროს სხდომა. შემდეგ მოიწვიეს პარტიული აქტივის კრება, რომელსაც სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე გენერალი კოჩეტოვი დაესწრო. კრების მონაწილენი „გათავხედებული“ ახალგაზრდების სამაგალითო დასჯას მოითხოვდნენ. მხოლოდ ორმა თუ სამმა მათგანმა (ჯანსულ ჩარკვიანი, ნიკო ლეკიშვილი) გაბედა და მომიტინგე ახალგაზრდებთან ნორმალური დიალოგის გამართვა მოითხოვა.

ბორის ნიკოლსკის წინადადებით გადაწყდა მომიტინგეებზე ფსიქოლოგიური ზეწოლა მოეხდინათ. ამ მიზნით რუსთაველის გამზირზე დიდი სისწრაფით ჩააგარეს რამდენიმე დაჯაჭვული სამხედრო მანქანა, რომლებმაც კინოთეატრ „რუსთაველთან“ მდგარი ორი-სამი ავტომობილი დააზიანეს (ძირითადად მილიციის საპატრულო მანქანები). ამავდროულად თბილისის ცენტრალურ გამზირს ძალზე დაბალ სიმაღლეზე გადაუფრინა რამდენიმე სამხედრო შვეულმფრენმაც. იდეის ავტორის აზრით, ამას მომიტინგეთა დაშინება და მათი რაოდენობის შემცირება უნდა მოჰყოლოდა, რაც, თავის მხრივ, გააძეილებდა მიტინგის დაშლის დაგეგმილი ოპერაციის ჩატარებას.

სამხედრო დემარშმა მართლაც დააშინა ოღონდ არა მომიტინგეები, არამედ მათი მშობლები, ბებიები და ბაბუები. მათ გადაწყვიტეს განსაცდელში მარტო არ დაეტოვებინათ თავიანთი შვილები და შვილიშვილები და ღამით მათთან ყოფილიყვნენ. ამიტომ მთავრობის სახლის წინ მყოფი ადამიანების რიცხვი იმ ღამით არათუ შემცირდა, არამედ საგრძნობლად გაიზარდა კიდეც. თუნდაც ეს გარემოება უკარნახებდა ოპერაციის ავტორებს

მისი გადადების მიზანშეწონილობას, მაგრამ სამხედროებს, რომლებსაც ამ დროისთვის მთლიანად ჰქონდათ ძალაუფლება ხელში აღებული რესპუბლიკაში, არაფრის გაგონება აღარ სურდათ. ისინი სალდაფონური პირდაპირობით მიდიოდნენ დასახული მიზნისკენ. მათ თბილისში შემოიყვანეს სპეციალური სადესანტო ნაწილები და სანაპიროზე განალაგეს. იქვე იდგნენ ტანკებიც.

გიორგი წიქარიშვილის მტკიცებით, (ირაკლი წერეთელი ამას დღემდე არ აღიარებს), 8 აპრილს, საღამოს, წერეთელს გადასცეს „სუკის“ წერილი: „სპორტის სასახლე რუსის ჯარით არის საესე. ამაღამ მოელენ, ხალხს ამოჟლეტენ!“[39]

წერეთელმა წერილი რეაგირების გარეშე დატოვა. სისხლი სწყუროდათ როგორც სამხედროებს, ისე რადიკალთა ლიდერებს შემდეგში წერეთელი იტყვის: ჩვენ ვფიქრობდით, რომ დაგვარბევდნენ და ამისთვის მზად ვიყავით. ადრეც არაერთხელ დავურბევივართ. მსხვერპლს კი არ მოველოდით. ეს რომ გვცოდნოდა, მაშინ სხვაგვარად ვიმოქმედებდითო.

რადიკალებს ესმოდათ, რომ საზოგადოების ფართო ფენების გარადიკალების გარეშე საქართველოში მოვლენები ბალტიის სცენარით წარიმართებოდა. ჩაგარდებოდა არჩევნები, რომელშიც ზომიერი ძალები გაიმარჯვებდნენ (ამ შემთხვევაში – სახალხო ფრონტი). ეს კი ნიშნავდა, რომ გამარჯვებულის დაფნის გვირგვინი სხვას შეხვდებოდა.

ეს მათთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო. მათ სურდათ სამშობლოს თავისუფლება, მაგრამ სურდათ მხოლოდ მათ მიერ მოპოვებული თავისუფლება. სხვათა მიერ გათავისუფლებული სამშობლო მათთვის მიუღებელი იყო.

დაახლოებით ღამის სამ საათზე პატიაშვილმა სთხოვა ილია მეორეს მიემართა ხალხისთვის. 3 საათსა და 30 წუთზე პატრიარქმა მიმართა ხალხს, მაგრამ არა დაშლის, არამედ იქვე, ქაშუეთისკენ გადანაცვლების თხოვნით.

მომიტინგეებმა ეს თხოვნაც უგულვებელჰყვეს. მიკროფონთან მიიჭრა ირაკლი წერეთელი და განაცხადა, რომ მომიტინგეები აქედან ფეხს არ მოიცვლიდნენ.

ამის შემდეგ მცირე ხნით სიჩუმემ დაისადგურა, რომელსაც მხოლოდ მოახლოებული ტანკების ყრუ გუგუნი არღვევდა.

---

[39] გ. წიქარიშვილი, „ქამი ჭეშმარიტი (დამარცხებული მოძრაობის ქრონიკა)“, თბ. 2003, გვ 58.

გამსასურდია შეეკითხა პატრიარქს: „ჯეესერიან მამაო?“ პასუხი: „შესაძლებელია“. გაისმის მერაბ კოსტავას ხმა: „ჯეესროლონ!“

და აი, ამ დროს გაისმა მიტინგზე მყოფი უსინათლო ქალების წკრიალა ხმა ... „დაუკარით, რომ ჩემს ხანჯალს ელდა ეცეს“ ... მომიტინგენი სანთლებით ხელში, მღუმარედ იდგნენ და ამ პატრიოტული სიმღერის გულში ჩამწვდომ სიტყვებს უსმენდნენ .....მართლაც ტრაგიკული ჰეროიზმის ამაღელვებელი წუთები იდგა ...

ფარებითა და ორლესული ნიჩბებით შეიარაღებული სამხედროები მომიტინგეებს ყველა მსრიდან მოადგნენ. ესენი იყვნენ ავღანეთიდან ახლად დაბრუნებული მედესანტეები, რომლებსაც ავღანეთში მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვას ასწავლიდნენ. მხოლოდ რუსთაველის გამზირის მიმართულება იყო თავისუფალი, მაგრამ კიბეებთან მდგომ ხალხს არც იქით შეეძლო გაქცევა, რადგან იქით მდგომი მომიტინგენი ჯერ კიდევ ადგილიდან არ დაძრულიყვნენ. ამ დროს ჯარისკაცებმა კიბეებთან მდგომ ხალხში გაბის ბალონები ისროლეს. ... მსხვერპლიც, ძირითადად, ამის შედეგი იყო. ადგილზე დაღუპული 16 ადამიანიდან (რომლებსაც შემდეგ დღეებში კიდევ რამდენიმე დაემატა) მხოლოდ ორს ჰქონდა ნიჩბის ნაჭრილობევი. დანარჩენები დღემდე ამოუცნობი მომწამელელი გაზით გაიგუდნენ.

მიტინგის დარბევის დროს პატრიოტული თუ ადამიანური თვალსაზრისით ღირსეული პოზიცია დაიკავა ქართულმა მილიციამ, რომელიც ცდილობდა უსაფრთხოდ გაეყვანა ხალხი დარბევის ადგილიდან.

თბილისში საგანგებო წესები შემოიღეს. ხელისუფლებამ დააპატიმრა მიტინგის ორგანიზატორები: ირაკლი წერეთელი, გია ჭანტურია, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა. კომენდატის საათის გამოცხადებიდან ერთი საათიც არ იყო გასული, რომ კაპიტანმა ლოხინმა მოკლა ცნობილი თბილისელი გია ქარსელაძე, რომელიც ქალაქის ქუჩებში საკუთარი მანქანით მოძრაობდა.

საქართველოს დედაქალაქში ჩამოფრინდნენ ედუარდ შევარდნაძე და ვალერი რაზუმოვსკი. მიტინგის დარბევიდან მეორე დღეს, ორშაბათს, თბილისის სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა არ განახლებულა. გაიფიცა ბევრი საწარმო. თბილისი დაღუპულებს გლოვობდა. 1989 წლის 9 აპრილის შემდგომი თბილისი არ ჰგავდა 1956 წლის 9 მარტის შემდგომ თბილისს. 9 მარტის შემდეგ ხალხი შეშინებული, თავჩაქინდრული და

დათრგუნული დადიოდა ქუჩებში, 9 აპრილის შემდეგ კი თბილისელებს სახეზე აღშფოთება და აღტკინება გამოხატვოდათ. ახალგაზრდები ქუჩებში საცემად იწვევდნენ რუს ოფიცრებზე, უფროსი ასაკის ადამიანები კი მათ აკავებდნენ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში გამართულ შეხვედრაზე, რომელშიც შევარდნაძე და რაზუმოვსკიც მონაწილეობდნენ, ქართველი მეცნიერები მომხდარში პირდაპირ სდებდნენ ბრალს სსრ კავშირის უმაღლეს ხელისუფლებას. ნოდარ ნათაძე: „სკოლის მოსწავლეებს ეუბნებიან, ქუჩაში არ გახვიდეთ, გესერიანო. ისინი პასუხობენ: გეს-როლონ, მაგათი დედაც ვატირე!“; აკაკი ბაქრაძე: „აქვს თუ არა უფლება პარტიას, რომელიც მთელი ისტორიის განმავლობაში ან დანაშაულს სჩადიოდა, ან თავს იმართლებდა ამ დანაშაულისთვის, მართოს ქვეყანა? ვპასუხობ – არა, არა აქვს!“[40]

14 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პლენუმმა დააკმაყოფილა ჯუმბერ პატიაშვილის თხოვნა გადადგომის შესახებ. ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია გივი გუმბარიძე. მოგვიანებით, 1999 წელს, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატად ჯუმბერ პატიაშვილის დასახელების გამო ანატოლი სობჩაკი აღნიშნავდა: „კანონით მას აქვს კენჭისყრის უფლება, მაგრამ, ვფიქრობ, ეს არაეითარ შემთხვევაში არ უნდა გააკეთოს. მას ხომ ერთხელ კრიტიკულ სიტუაციაში, ფაქტობრივად, შეეშინდა, ჯარებს მიუგდო საკუთარი ხალხი გასაგლეჯად. პატიაშვილს რომ მკაცრად და გამოკვეთილად ეთქვა: „არ არის საჭირო ჯარის გამოყენება, ჩვენ თვითონ მოვაგვარებთ მდგომარეობას, მე თვითონ წავალ მოედანზე, დაველაპარაკები ხალხს, სჯობს მცემონ ან მომკლან, მაგრამ მე ხალხის ხელმძღვანელი ვარ, მე ხალხთან უნდა ვილაპარაკო ტანკებისა და იარაღის გამოყენების გარეშე,“ შეიძლება ასეთი უბედურება არ მომხდარიყო. ასე უნდა მოქცეულიყო, არ უნდა დამალულიყო, არ უნდა ეყურებინა მთავრობის სასახლის ფანჯრებიდან, როგორ კლავენ მის თანამემამულეებს.“ [41]

---

[40] გიორგი წიქარიშვილი, „ქამი ჭეშმარიტი (დამარცხებული მოძრაობის ქრონიკა)“, გვ. 76.

[41] . „ჯუმბერ პატიაშვილს არა აქვს მორალური უფლება იყოს საქარველოს პრეზიდენტი“, ინტერვიუ ანატოლი სობჩაკთან, გაზ, „საქართველოს რესპუბლიკა“, 28 ივლისი, 1999 წ.

9 აპრილის შემდეგ საავადმყოფოებს მიმართა ასეულობით ადამიანმა. მათ შორის: მოწამელის ნიშნებით – 66-მა, ბასრი და ბლაგვი საგნებით მიყენებული ჭრილობებით – 24-მა, თაეის ტრამვებით – 67 კაცმა.[42] დაზარალებულთა დასახმარებლად თბილისში ჩამოვიდნენ ექიმები საფრანგეთიდან, გერმანიიდან, აშშ-დან. მოგვიანებით თბილისში ჩამოვიდა დედა ტერეზა. თბილისში განვითარებული მოვლენების გასარკვევად და თანაგრძნობის გამოსახატავად საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდა გორბაჩოვისადმი ოპოზიციურად განწყობილი ბორის ელცინი. 9 აპრილის უშუალო მოწმე რუსი ჟურნალისტი იური როსტი იმ დღეებში „ნოვაია გაზეტას“ ფურცლებზე წერდა: „ჩვენს ხელისუფლებასთან, პრეზიდენტთან ისეთივე დამოკიდებულება მაქვს, როგორიც მათ ჩემთან. მიმიფურთხებია მათთვის და მათ გამეებლობაში მყოფი მოსახლეობისთვისაც. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვისაც და, განსაკუთრებით, წამყვანი ტელეჟურნალისტებისთვისაც მიმიფურთხებია. მათ არაფრის რცხვენიათ.

საქართველო იცოცხლებს. და ჩვენ, ვინც ემეგობრობდით და ვისაც გვიყვარდა ერთმანეთი, ვიმეგობრებთ და გვეყვარება.

ეისაც არავინ უყვარს, არაეინ შეიყვარებს.

დღეს მე, რუსი ადამიანი, ქართველი ვარ. და ამით ვამაყობ.“[43]

მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი გადაჭრით იყო განწყობილი ქართველი ხალხის სასარგებლოდ.

18 აპრილს საგანგებო მდგომარეობა გაუქმდა.

1989 წლის 25 მაისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ყრილობაზე გენერალმა როდიონოვმა სცადა მრუდე სარკეში წარმოედგინა 9 აპრილის მოვლენები და შეურაცხყო არა მარტო დაღუპულთა ხსოვნა, არამედ მთელი ქართველი ხალხი. ქართულმა დელეგაციამ პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვა. პრინციპული პოზიცია დაიკავა სსრ კავშირის ხელმძღვანელობის ერთ-ერთმა წამყვანმა წევრმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელმაც ყრილობის ტრიბუნიდან განაცხადა: „გთხოვთ გამათავისუფლოთ საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან, ვინაიდან ჩემი ხალხი დამცირებულია და შეურაცხყოფილი, მე მათთან უნ-

---

[42] .საქართველოს ისტორია, ოთხთომეული, ტ. 4, გვ. 501.

[43] .იხ. „ამას ვინ გეპატიებს? საქართველო – ნამდვილად არა!“ „კვირის პალიტრა,“ 3-9 აგვისტო, 2009 წ.

და ვიყო. მე გტოვებთ თქვენ.“ გორბაჩოვის სიტყვებზე: „ედუარდ ამბროსისძევ, ეს გამცემლობაა, მიეცვატოთ ასეთ წუთებში, მე კი მინდოდა მეთხოვა თქვენთვის დაგებრუნებინათ ისინი.“ ედუარდ შევარდნაძემ უპასუხა: „მისეულ სერგისძევ, ვიცნობ რა ჩემს ხალხს, მე არ შემიძლია მათი დაბრუნება. მე წავალ და დაერჩები მათთან! მე არასოდეს არ ვყოფილვარ გამცემი და მით უმეტეს ვერ გაეცემ ჩემს ხალხს.“[44]

9 აპრილის მოვლენებმა მსოფლიოს ნათლად დაანახა, რომ საქართველო მსხვერპლია და არა აგრესორი. ამის მიუხედავად, 9 აპრილმა საქართველოს უარყოფითი მეტი მოუტანა, ვიდრე დადებითი.

პოლიტიკურ პროცესებზე გავლენით 9 აპრილი უდიდესი ტეხილია საქართველოს უახლეს ისტორიაში. სწორედ 9 აპრილის მოელენების შედეგად საქართველომ საბოლოოდ გადაუხვია ბალტიისპირული სცენარით პროცესების განვითარების გზიდან. 9 აპრილმა ქვეყნის კომუნისტური ხელმძღვანელობის სრული დამბლა გამოიწვია. ხელისუფლებამ მთლიანად დაკარგა კონტროლი მოვლენების განვითარებაზე. ინიციატივას სრულად და საბოლოოდ დაეუფლნენ რადიკალები. კომუნისტური დიქტატურა რადიკალთა დიქტატურამ შეცვალა. იმპერიის მიერ 9 აპრილს ქართველი ხალხის მიმართ ჩადენილმა სამინელმა დანაშაულმა ერთბაშად გაარადიკალა ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლეს რადიკალებმა, უპირველეს ყოელისა კი გვიად გამსახურდიამ.

სავსებით მართებულად წერდა ამის შესახებ თემურ მირიანაშვილი: „გამსახურდიას უდიდესი დანაშაული მის ულტრარადიკალობაში კი არ მდგომარეობს, არამედ იმაში, რომ მან არ ისურვა სხვა მსოფლმხედველობრივ პოზიციაზე მდგომ ძალებთან პოლიტიკური ბრძოლა. უკვე 1989 წლის აპრილიდან გამსახურდიამ დაიწყო ბრუნვა ყველა მეტოქე ძალის განადგურებაზე. აი, ამ საძრახის საქმიანობაში სცადა მან მსოფლმხედველობრივად მონათესავე ძალების — ეროვნულ-დემოკრატიული და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიათა ჩათრევა.[45] და, რაკი

---

[44]. გაზ. „კოლხური დიადემა“, N 1, 1991 წ.

[45] ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ განსხვავებული პოლიტიკური ძალებისადმი აგრესიული დამოკიდებულებით ჭანტურია და წერეთელი

გამსახურდიას იმხანად უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა და, რაკი (არანაკლებ მნიშვნელოვანია) იგი ასაკობრივად უფროსი იყო, მამად შეჰფეროდა სხვა ულტრარადიკალ ლიდერებს, მან შესძლო კიდეც სასურველი შედეგის მიღწევა. 1989 წლის გაზაფხულიდან დაიწყო გაერთიანებულ ულტრარადიკალთა აერესიული შეტევები სხვა პოლიტიკურ ძალებზე.

ბოლშევიკურ ტირანიაგამოვლილი, დემოკრატიული ტრადიციების არმქონე საბოგადოების დაშინება, დათრგუნვა „სამშობლოს მოღალატის“ იარლიყებით, მორალური ტერორით, არცთუ ძნელი გამოდგა. აზროვნება კელავ უმკაცრესი ცენზურის მარწუსებში მოექცა. აი, რატომ არ იშვა საქართველოში ახალი, ჭეშმარიტად ღირებული იდეები, კონცეფციები, მწყობრი, შორსგანჭვრეტილი მცნება. აზრისთვის, ქვეყნისთვის ბორკილების დადებამ განაპირობა ისიც, რომ ეერ გამოჩნდნენ ასპარეზზე ჭეშმარიტად ღირსეული კადრები, ლიდერები. ცხოვრების დინებამ 9 აპრილის შემდეგ არათუ ახალი არხი ვერ ჰპოვა, არამედ სანასვეროდ დაშლილ-დაცხავებული ბოლშევიკური საგუბრის ნაცვლად ულტრათა ახალგაზრდული ენერგიით ნაგებ კაშხალს წააწყდა.“[46]

რადიკალებმა გადამწყვეტი იერიში მიიტანეს ინტელიგენციაზე. ამ უკანასკნელს ასპარეზი უბრძოლველად არ დაუთმია. თუმცა, მისთვის მიუღებელი იყო ბრძოლის ის ფორმები და მეთოდები, რომელთაც მის წინააღმდეგ იყენებდნენ. „ვის აძლევს ხელს ინტელიგენციის სალანძღაე სიტყვად ქცევა? ჩნდება ეჭვი, რომ განათლებულ ადამიანთა დევნა მიზნად ისახავს ხალხის სიბნელეში დატოვებას... ზოგადად ინტელიგენციის ავტორიტეტის შელახვა და ინტელიგენტებისადმი ხალხში უნდობლობის დათესვა (ხელს აძლევს მათ), ვინც ამ ქვეყნის ბედუკუღმართობის გამო უჩვეულო სიმაღლეზე აღმოჩნდა და ახლა განსაკუთრებით ეშინია სწორედ ინტელიგენციისა, რომელსაც მათი ინტელექტუალური შესაძლებლობების დანახვა ძალუძს.“[47] — წერდა მაყდა მჭედლიძე.

რადიკალების ინტრიგების შედეგად მოულოდნელად დაღუპული მერაბ მამარდაშვილის სხსოვნისადმი მიძღვნილ ერცელ

გამსახურდიას არათუ ჩამორჩებოდნენ, უსწრებდნენ კიდეც. ასე, რომ ამ საქმეში მათ „ჩათრევა“ ნაკლებად სჭირდებოდათ.

თემურ მირიანაშვილი, „შავბნელი ჟამის ქრონიკა,“ თბ. 1993, გვ. 105.

[46] .თემურ მირიანაშვილი, „შავბნელი ჟამის ქრონიკა“, თბ. 1993. გვ. 105;

[47] . 47. .გაზ. „დრონი“, 29 ნოემბერი, 1991 წ.

წერილში ნაირა გელაშვილი აღნიშნავდა: „რითაც საქართველო განსაკუთრებით გამოირჩა, ეს არის არნახული ჯვაროსნული ლაშქრობა საკუთარი ინტელიგენციის წინააღმდეგ, რასაც ერთერთი პოლიტიკური დაჯგუფება ახორციელებდა ოპოზიციური მოძრაობის დაწყებისთანავე, ინტელიგენციის სწორედ ღვაწლმოსილ წარმომადგენელთა, ცნობილ ხელოვანთა და მეცნიერთა სრული დისკრედიტაციის, ე. ი. ნებისმიერი სხვა ავტორიტეტის მოსპობის მიზნით.“[48]

ინტელიგენციამ ხმა აღიმაღლა ეროვნულ მოძრაობაში თავჩენილი ფულის გამომძალველობის წინააღმდეგ. სტატიაში – „რეეოლუციონური გადასახადები“, ნოდარ გრიგალაშვილი წერდა: „ეროვნულ მოძრაობას მიტმასნილმა ბევრმა პირმა ხელი მიჰყო სხვაგასხვა ორგანიზაციებისა და პიროვნებებისათვის ფულის გამოძალვას. ეროვნული მოძრაობა სიკეთის მომტანია მაშინ, როცა იგი წმინდაა და მნეობრივი.

უმნეო საშუალებებით წმინდა მიზანი ვერ მიიღწევა. არადა, მთელმა ქვეყანამ იცის ისიც, რომ ეროვნული მოძრაობის სახელით ბეგარას ადებენ როგორც სახელმწიფო დაწესებულებებს, ისე მდიდარ კერძო პირებს.

ამას სჩადიან თითქმის ყველა პარტიასა და პოლიტიკურ ორგანიზაციას მიტმასნილი პირნი.

მართალია, ნათქვამია, ქურდის ქურდი ცხონდაო, და ეს პირები, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, გაჭირვებულ ხალხს არ ერჩიან, მაგრამ ამ საქმეშიც ღვთის ხელი არ ურევია.“[49]

---

[48]. გაზ. „ქართული ფილმი“, 5 დეკემბერი, 1990 წ.

[49] გაზ. „საქართველო“, 5 დეკემბერი, 1990 წ.

§ 1.5 დამოკიდებულება 1990 წლის 25 მარტის უზენაესი საბჭოს არჩევნებისადმი.

1989 წლის მაისისთვის ეროვნულ მოძრაობაში უკვე არსებობდნენ მწვავედ ურთიერთდაპირისპირებული ჯგუფები. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება ამ დროისთვის მკვეთრად დისტანცირებულია რადიკალური ბანაკისგან. ჭავჭავაძისტებს არ მოსწონთ რადიკალები ამ უკანასკნელთა მიერ „ლიტეური გზის უარყოფის გამო." ისინი სრულიად საპირისპირო პოზიციაზე დგანან „თურქი მესხების" საკითხშიც და სხვა. თამარ ჩხეიძის აზრით, იმპერიის რღვევის მაშინდელ ეტაპზე საჭირო იყო დიდი პასუხისმგებლობა და „პოლიტიკური რეალიზმი", რაც რადიკალებს არ გააჩნდათ. ის აფრთხილებდა საზოგადოებას, რომ რადიკალთა ექსტრემიზმი შეიძლებოდა „ნეობოლშევიზმით" დამთავრებულიყო.

1989 წლის 29 ოქტომბერს რადიკალურმა ძალებმა ჩამოაყალიბეს „ეროვნული ხსნის კომიტეტი", რომელშიც გაერთიანდნენ: 1. საქართველოს ჰელსინკის კავშირი; 2. წმინდა ილია მართლის საზოგადოება; 3. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია; 4. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; 5. ეროვნული სამართლიანობის პარტია; 6. მონარქისტული პარტია; 7. საქართველოს დემოკრატიული პარტია; 8. ქრისტიან-დემოკრატიული ასოციაცია; 9. საქართველოს ღირსების კავშირი.[50]

უკვე მეორე დღეს ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ მზადყოფნა გამოთქვა აღნიშნული კომიტეტის წევრი ყოფილიყო, მაგრამ რადიკალებმა თავი შორს დაიჭირეს.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისა და რადიკალების გზები საბოლოოდ გაიყო. თავიანთ ერთობლივ კომუნიკეში „ეროვნულ-პოლიტიკური" ორგანიზაციები აცხადებდნენ, რომ „ამიერიდან იწყებდნენ ერთიან ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, ეროვნული ხსნისა და აღორძინებისთვის".

ამ მოვლენამდე რამდენიმე დღით ადრე, 1989 წლის 18 ოქტომბერს, საეჭვო ვითარებაში ავარია განიცადა ავტომანქანამ,

---

[50]. დიმიტრიშვილიძე, „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში," თბ. 2008, გვ. 42-43.

რომელშიც თამარ ჩხეიძე, მერაბ კოსტავა და ზურაბ ჭავჭავაძე ისხდნენ. აღვილზე დაიღუპა მერაბ კოსტავა, მოგვიანებით, კიდევ უფრო საეჭვო ვითარებაში, გარდაიცვალა გამოჯანმრთელების გზაზე დამდგარი ზურაბ ჭავჭავაძეც.

ამ ორი ნათელი პიროვნების დაღუპვა აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო ეროვნული მოძრაობისთვის. მათი სახით ეროვნულმა მოძრაობამ დაკარგა მძლავრი მნეობრივი მუხტი, რის შემდეგაც მათ რიგებში კიდევ უფრო იმძლავრა პირადმა ამბიციამ და ინტრიგამ.

ზომიერი ეროვნული ძალების ბეწოლის შედეგად რესპუბლიკის კომუნისტური სელმძღვანელობა იძულებული გახდა 1990 წლის 25 მარტისთვის უზენაესი საბჭოს არჩევნები დაენიშნა. ცენტრისტული პოლიტიკური ორგანიზაციები: სახალხო ფრონტი, „დასი“, რესპუბლიკური, რესპუბლიკურ-ფედერალური, სოციალ-დემოკრატიული პარტიები და რამდენიმე სხვა პოლიტიკური ორგანიზაცია აქტიურად ჩაებნენ წინასაარჩევნო კამპანიაში. რადიკალებმა თავიდანვე განაცხადეს, რომ „საბჭოურ“ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებდნენ.

სახალხო ფრონტისა და „დასის“ ბეწოლის შედეგად საქართველოს უზენაესმა საბჭომ 9 მარტს სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებთან ერთად მიიღო დადგენილება, რომელშიც 1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა რუსეთის შემოჭრას პირველად ეწოდა თავისი სახელი – ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია.

ცენტრისტული ძალების აქტიურობამ ძალთა თანაფარდობა კვლაე მათ სასარგებლოდ შეცვალა. რადიკალებისთვის ნათელი გახდა, რომ მარტის არჩევნებში გამარჯვება სახალხო ფრონტს და სხვა ზომიერ ძალებს დარჩებოდათ. ეს კი მათთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო. 25 მარტის არჩევნები ორ ცეცხლს შუა მოექცა. არჩევნების საკითხში ინტერესთა ობიექტურმა დამთხვევამ გააერთიანა ერთი მხრივ, ქვეყნის კომუნისტური ხელმძღვანელობა, რომლის ერთმმართველობასაც მომაკვდინებელი საფრთხე დაემუქრა და, მეორეს მხრივ, რადიკალური ოპოზიცია, რომელმაც იგრძნო, რომ სახალხო ფრონტისა და სხვა ზომიერი ძალების ხელისუფლების სათავეში მოსვლით ქუჩაში დარჩენილი რადიკალები დაკარგაედნენ ხალხზე ზემოქმედების იმ ძალასა და გაელენას, რომელიც კომუნისტების დროს ჰქონდათ.

მარტის არჩევნების წინააღმდეგ გამოვიდა ქართველი ინტელიგენციაც, რომელმაც რადიკალების არგუმენტების არსე-

ნალში ერთი მეტად საგულისხმო არგუმენტი შეამჩნია. საქმე ის იყო, რომ მარგის არჩევნები ერთპარტიულ საუძველზე უნდა გამართულიყო. კომუნისტური პარტიის გარდა ყველა სხვა პოლიტიკური ძალა მასში გაუფორმებელი სახით იღებდა მონაწილეობას, რაც მათ სამართლებრიეი თვალსაზრისით აშკარად დისკრიმინაციულ პირობებში აყენებდა.

ეს გარემოება საფუძველს აძლევდა რადიკალებს „საბჭოური ტიპის არჩევნებად" მიეჩნიათ მარგის არჩევნები და მის ნაცელად ნამდვილად მრავალპარტიული და თანასწორუფლებიანი არჩევნების გამართვა მოეთხოვათ.

ეს იდეა ინტელიგენციის მრავალი წარმომადგენლის თანაგრძნობას იწვევდა. თუმცა, ცხადი იყო: კომუნისტებს არც ასეთ არჩევნებში ჰქონდათ ხელისუფლების შენარჩუნების შანსი. კომუნისტური პარტია ხომ ერთადერთი პარტია იყო მაშინდელ საქართველოში, რომელსაც ცენტრი თბილისში კი არა, მოსკოვში ჰქონდა. საჭირო იყო ქართველ კომუნისტებს განეცხადებინათ, რომ ყოველგვარ კავშირს წყვეტენ მოსკოვთან. ასეთ განცხადებას და შესაბამის პრაქტიკულ ნაბიჯებს მართლაც მოჰყვებოდა ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილის თანაგრძნობა მათ მიმართ. თუმცა, ამის გამბედაობა ქართველი კომუნისტების ელიტას არ გააჩნდა. 9 მარგის და მისი მსგავსი დადგენილებები კი აქტიეში პატრიოტულ ძალებს ეთვლებოდათ და არა კომ-უნისტებს.

14 მარგს რადიკალებმა თბილისის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ეროვნულ ძალთა საგანგებო კონფერენცია – ეროვნული ფორუმი მოიწვიეს. ფორუმზე მარგის არჩევნების ჩაშლის მოთხოვნასთან ერთად კომუნისტური ხელისუფლების ალტერნატიული კოალაციური მთავრობის შექმნის საკითხიც დაისვა.

კომუნისტური ხელმძღვანელობა ამ დროისთვის მთლიანად პარალიზებულია. ზოგიერთი მკვლევარი ამას გუმბარიძის უნიათობით ხსნის, რაც ჩემი აზრით, პრობლემის გამარტივებული ახსნაა. პატიაშვილისგან განსხვავებით, გუმბარიძეს ესმოდა, რომ მოცემულ მომენტში ვითარება რადიკალების სასარგებლოდ იყო ჩამოყალიბებული. ხელისუფლების ნებისმიერი აქტიურობა, რადიკალებთან ნებისმიერი დაპირისპირება ამ უკანასკნელთა მორალური გამარჯვებით მთავრდებოდა. გუმბარიძის უმოქმედობა მისი უნიათობის კი არა, მისი ტაქტიკის შედეგი იყო. ის ცდილობდა როგორმე მშვიდობიან კალაპოტში წარემართა პროცესები, არ დაეშვა ვითარების გართულება, ფრთხი-

ლად, ისე, რომ კრემლის გაღიზიანება არ გამოეწვია, გადაედგა პატრიოტული ნაბიჯებიც და ამ გზით პატრიოტიზმზე მონოპოლიის უფლება ჩამოერთმია რადიკალებისთვის. ამასობაში რადიკალები შეცდომებს დაუშვებდნენ, დაიწყებოდა ხალხის გამოფხიზლების პროცესი. აი, მაშინ კი დადგებოდა აქტიური მოქმედების დრო.

ვიმეორებ, გუმბარიძის მხრივ ეს შექმნილი ვითარების ადეკვატური, თუმც დაუვიანებული ტაქტიკა იყო. მომენტი, როდესაც პატრიოტული პოზიციის გამოხატვით ქართველ კომუნისტებს, ბალტიისპირელი კომუნისტების მსგავსად, მოსახლეობაში ავტორიტეტის შენარჩუნება შეეძლოთ, ხელიდან იქნა გაშვებული.[51]

---

[51]. მგონი ღირს ერთი შეგად დამახასიათებელი მომენტის გახსენება: 1989 წლის 20 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის თბილისის კალინინის (დღევანდელი მთაწმინდის) რაიონული ორგანიზაციის კონფერენცია მიმდინარეობდა. კონფერენციის ერთ-ერთი დელეგატი მეც გახლდით. დღის წესრიგში მომავალი წლის მარტში გასამართი უზენაესი საბჭოს არჩევნებისადმი დამოკიდებულების საკითხი იდგა. დეპუტატები ერთსულოვნად უჭერდნენ მხარს არჩევნებში მონაწილეობას.

სიტყვა მეც მოვითხოვე. „ჩვენ კომუნისტები ვართ. მაგრამ კომუნისტებად არ დავბადებულვართ, ქართველებად დავიბადეთ და მხოლოდ შემდეგ გავხდით კომუნისტები. დღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი არაფორმალთა ფილიალს უფრო მოგვაგონებს, მონურად ემორჩილება და კუღში მიჩანჩალებს მათ. რატომ უნდა იყვნენ არაფორმალები ყველა პატრიოტული საქმის ინიციატორები? რატომ უნდა იცავდნენ ისინი დავით გარეჯის კომპლექსს, ჩვენ კი ბარიკადების მეორე მხარეს ვიყოთ? კომუნისტობა ჩვენ პატრიოტობას არ გვიკრძალავს. პირიქით, კომუნისტობა პატრიოტობას გულისხმობს კიდეც. არადა, მომავალ არჩევნებში ჩვენ ერთადერთი პარტია ვიქნებით, რომლის ცენტრი თბილისში კი არა, მოსკოვში იქნება. აქეს ასეთ პარტიას არჩევნებში გამარჯვების თუნდაც სულ მცირეოდენი შანსი?

ცხადია, არა აქვს. ამიტომაც, პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ, ეს არის საქართველოს კომპარტიის საკავშირო კომპარტიისგან გამოყოფა. წინადადება შემომაქვს კონფერენციის სახელით დავაყენოთ საკითხი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინაშე სკკპ-დან ჩვენი გამოყოფის თაობაზე. გავხდეთ დამოუკიდებელნი და ჩვენს ხელში აეიღოთ ინიციატივა ქართული კულტურის ძეგლების, ქართული ენის სიწმინდის დაცვის შესახებ და ა. შ. მხოლოდ ასე შეეძლებათ ჩვენ ხალხზე გავლენის შენარჩუნებას, მხოლოდ ასე შევძლებთ შევინარჩუნოთ ძალაუფლება და არ მივცეთ საშუალება უმწიფარ არაფორმალებს უფსკრულში გადაჩეხონ ქვეყანა“, — ვთქვი მე.

ჩემს გამოსვლას დარბაზი მოწონებით შეხვდა. სხდომის წამყვანმა რაიკომის მდივანმა წინადადება წამოაყენა კენჭი ეყარათ ჩემი წინადადებისთვის.

მაგრამ ახლა რადიკალები ვითარებას ამწვავებდნენ. ალტერნატიული მთავრობის შექმნას სელისუფლების სხვა სტრუქტურების შექმნაც მოჰყვებოდა. ამას სელისუფლება ვერ შეურიგდებოდა. რადიკალთა ასეთ ნაბიჯს მისი მხრივ მწვავე რეაქცია მოჰყვებოდა. ამიტომ იყო, რომ ზომიერი ძალების წარმომადგენელი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გურამ მუჩაიძე მოუწოდებდა რადიკალებს: „მოვუწოდებთ კიდევ ერთხელ ჩაფიქრდნენ პიროვნებები, რომლებიც აპირებენ უკანონო ოპოზიციური მთავრობის შექმნას. ასეთი აქცია საქართველოს თავს დაატეხს ახალ რეპრესიებს და გამოიწვევს უდანაშაულო ადამიანების მსხვერპლს.“ მუჩაიძე მიმართავდა რადიკალთა ლიდერებს: „ბატონო ზვიად, ბატონო ირაკლი, ბატონო გია, მიუხედავად ჩვენი თქვენდამი დიდი პატივისცემისა, მაინც უნდა საჯაროდ განვაცხადო, რომ თქვენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ნათელი მიზნისკენ მიგყავთ არასწორი გზით. ქართულმა ემიგრაციამ ბევრჯერ მოგიწოდათ მიგებაძათ ბალტიისპირელებისთვის, მაგრამ თქვენ ჯიუტად დგესართ მცდარ პოზიციებზე“.[52]

რესპუბლიკის კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ რადიკალთა და ინტელიგენციის მოთხოვნაზე აპელირებით, უფრო კი თავისი ვიწროპარტიული ინტერესების გათვალისწინებით, გააუქმა 25

აი, სწორედ ამ დროს სიტყვა ითხოვა აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა. „წინა ორატორის წინადადებას ვეთანხმები, მაგრამ მინდა ერთი შესწორება შემოგთავაზოთ: სულ ერთ თვეში, მომავალი წლის იანვარში უნდა გაიმართოს საქართველოს კომპარტიის ყრილობა. თებერვალში საკავშირო ყრილობის გამართვაა დაგეგმილი. მოდით, დაველოდოთ მათ შედეგებს. რამდენადაც ვიცი, იქ სწორედ ასეთი ცვლილებებია დაგეგმილი. თუ ასე მოხდა ხომ კარგი, თუ არადა, გამოყოფის საკითხის დაყენება არც მაშინ იქნება გვიან,“ – თქვა მან.

„სწორია, დაველოდოთ ყრილობების გადაწყვეტილებებს!“ – გაისმა ხმები დარბაზში. ადგილიდან მეც წამოვიძახე – ეს უკან მიდევნებული სანთელი იქნება, ეს ჩვენ აღარ ჩაგვეთვლება-მეთქი. მაგრამ დარბაზს გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა: ის ხავსივით ჩაეჭიდა მეტრეველის მიერ გადაგდებულ „მაშველ რგოლს“. ეს „რგოლი“ საშუალებას იძლეოდა არ დაეპირისპირებოდით „ცენტრს“, რისიც თითოეულ პარტიულ ფუნქციონერს ცეცხლივით ეშინოდა.

[52] . იხ. უჩა ბლუაშვილი, „პოლიტიკური პარტიები და ეროვნული მოძრაობა საქართველოში 1988-1991 წწ.“, თბ. 1994, გვ. 24;

მარგის არჩევნები და გამოაცხადა უახლოეს პერიოდში მრავალპარტიულ საფუძველზე ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ.

ამრიგად, ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ ხელიდან გაუშვა ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შეცვლისა და მოელენების ბალტიისპირული სცენარით განვითარების შესაძლებლობა. ხელისუფლებამ შეძლო გადაევადებინა თავისი მარცხი და ზომიერი ეროვნული ძალების გამარჯვება. მაგრამ ინიციატივა ამის შემდეგ კელავ მთლიანად რადიკალების ხელში გადაეიდა.

§ 1.6 „თურქი მესხების“ პრობლემა.

ერთ-ერთი საკითხი, რომელმაც ეროვნულ მოძრაობაში მწვავე დაპირისპირება და ენებათღელვა გამოიწვია, იყო „თურქი მესხების“ პრობლემა. საკითხი დღემდე არ კარგავს აქტუალობას. ამიტომ მას ცოტა მეტ ყურადღებას დავუთმობთ.

მცირე ისტორიული ექსკურსი:

თითქმის მთელი სამასი წელი სამხრეთ საქართველო ოსმალეთის შემადგენლობაში იმყოფებოდა, რამაც ღრმა ცვლილებები გამოიწვია იქაური მოსახლეობის სულიერ წყობასა და ცხოვრებაში. თურქული ადმინისტრაციის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება მესხი ფეოდალების გამაჰმადიანების პროცესი. დიდებულებზე ზეწოლის მექანიზმი ასეთი იყო: ის ვინც მიწას ფლობდა, სამხედრო ვალდებული უნდა ყოფილიყო, ხოლო სამხედრო ვალდებული – აუცილებლად მაჰმადიანი. ამ გზით ინტენსიურად მაჰმადიანდებოდა არა მარტო სამცხის ფეოდალთა კლასი, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებიდან აქ მამულების შესაძენად გადასული თავადაზნაურობაც. საუკუნის ბოლოსთვის დიდგვაროვანთა ფენა უკვე გამაჰმადიანებულია. გლეხობაში კი ეს პროცესი, თითქმის, საუკუნის დაგვიანებით წარიმართა. XIX საუკუნის დასაწყისისთვის სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა უკვე ოფიციალურად გამაჰმადიანებულია, თუმცა, ამ დროისთვის ისლამი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის მხოლოდ სოციალური იმუნიტეტის გარანტი იყო. ფარულად კი გამაჰმადიანებულთა უმრავლესობა ქრისტეს რჯულს იცავდა. მესხები კელავაც ძველი ტრადიციით

პატრონობდნენ ქრისტიანულ სიწმინდეებს, იწერღნენ ჯვარს და ფარულად ნათლავდნენ შვილებს.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მესხეთის დაბრუნების საკითხი რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ რიგით საკითხად იქცა, რამაც მესხეთის ერეკლესეული „ხსნისა და გამოსხნის“ გეგმებს შინაარსი შეუცვალა. 1828-1829 წლების ომის შედეგად რუსეთმა, მართალია, სამცხე-ჯავახეთი წაართვა თურქებს, მაგრამ გამაჰმადიანებული მესხები „თათრებად“ გამოაცხადა და თავიანთი მიწა-წყლიდან მასობრივად გაასახლა. მათ ადგილზე კი რუსეთმა არზრუმი-ყარსის ვილაიეთიდან თურქების შიშით აყრილი სომხები ჩამოასახლა.

მესხთა ცნობიერების რღვევის პროცესი „წარმატებით“ გააგრძელა საბჭოთა ხელისუფლებამ. 1923 წელს ეთნიკური ქართველები – მაჰმადიანი მესხები აზერბაიჯანელებად გამოაცხადეს, ქართული გვარები აზერბაიჯანულ ყაიდაზე გადაუკეთეს და მესხეთი აზარბაიჯანის კულტურულ ავტონომიად აქციეს. ახალციხეში აზერბაიჯანული თეატრი გახსნეს, ქართული სკოლები დახურეს, პარტიული და სამეურნეო კადრები კი აზარბაიჯანიდან ჩამოიყვანეს. მაჰმადიან მესხთა მიერ რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში გაგზავნილ ერთ წერილს, რომელშიც ქართული სკოლების გახსნას ითხოვენ, ასეთი რეზოლუცია ადევს: „თქვენ თათრები ხართ და განათლებაც თქვენს მშობლიურ ენაზე უნდა მიიღოთო“. ასეთმა ატმოსფერომ საბოლოოდ დააჩლუნგა მაჰმადიან ქართველთა თვითშეგნება, მათში ეროვნული იდენტობის განცდა. ისინი დენაციონალიზებულ მასად იქცნენ და კითხვაზე, თუ რომელ ეროვნებას ეკუთვნოდნენ, დაბნეული პასუხობდნენ - „იერლი მუსლიმები“ (ადგილობრივი მუსლიმები) ვართო.

მხოლოდ 30-იანი წლების ბოლოს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებას საბოლოოდ გაუქრა თურქეთის სოციალისტურ რელსებზე გადმოყვანის ილუზია, მესხეთში ქართული სკოლების გახსნა დაიწყო.

1944 წლის 15 ნოემბერს, სამხრეთ საქართველოს ხუთ რაიონში ამერიკული „სტუდებეკერების“ გრძელი კოლონა შევიდა. სამცხე-ჯავახეთის 220 სოფლის მაჰმადიანი მოსახლეობა მანქანებით მატარებლის ეშელონამდე მიიყვანეს და საბარგო ვაგონებში შეყარეს. თითქმის ერთთვიანი არაადამიანური მგზავრობის შემდეგ, რომლის დროსაც ბევრი ადამიანი (ძირითადად, ქალები და ბავშვები) გზაში სიცივით და შიმშილით დაიღუპა, ისინი

ცენტრალურ აზიაში ჩაიყვანეს და უზბეკეთში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთსა და ყაზახეთში უკან დაბრუნების უფლების გარეშე ჩაასახლეს. მესხთა დეპორტაცია განხორციელდა სსრკ თავდაცვის კომიტეტის 1944 წლის 31 ოქტომბრის N 6279 დადგენილების საფუძველზე. ომის დამთავრების შემდეგ დეპორტირებულებს ფრონტიდან დაბრუნებული მაჰმადიანი მესხებიც შეუერთდნენ.

გასახლებულთა თითქმის 90 პროცენტი ეთნიკური ქართველი იყო, დანარჩენები – მაჰმადიანი ქურთები, ჰემშილები (გათურქებული სომხები), და საკუთრივ თურქები (თარაქამები).

ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია მოსაზრება სამხრეთ საქართველოდან მაჰმადიანი მოსახლეობის დეპორტაციის, როგორც ომის წლებში თურქეთთან თანამშრომლობისთვის ამ მოსახლეობის მიმართ გამოყენებული სადამსჯელო ღონისძიების შესახებ. ეს მოსაზრება საფუძველს მოკლებული არ არის. სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანები ომის წლებში კონტრაბანდისტული მიზნებით მართლაც ახერხებდნენ თურქეთის მიერ ოკუპირებულ ქართულ ტერიტორიაზე გადასვლას, სადაც მათი ნათესავები ცხოვრობდნენ. თურქეთის ხელისუფლება სარგებლობდა ამ ვითარებით და არცთუ იშვიათად ახდენდა მათ ჯაშუშურ ქსელში ჩაბმას. თუმცა, აქ წერტილის დასმა და დეპორტაციის უმთავრეს და ერთადერთ მიზეზად აღნიშნული ფაქტორის დასახელება მართებული არ არის. საკითხისადმი ასეთი მიდგომა მეტისმეტად ავიწროებს საბჭოთა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ამ უაღრესად არაჰუმანური აქტის მოტივაციის ფარგლებს, რაც თავის მხრივ, არასწორი შეფასებებისა და დასკვნების საფუძველი ხდება.

საქმე ისაა, რომ ომის მსვლელობისას საბჭოთა ხელმძღვანელობა სერიოზულად განიხილავდა თურქეთში შეჭრისა და ამ უკანასკნელის მიერ 1918-1920 წლებში მიტაცებული ქართულსომხური მიწების დაბრუნების საკითხს. გერმანიის ვერმახტის შიგნით გაჩაღებულმა ფარულმა ბრძოლამ და საბჭოთა კავშირის ზურგს უკან ანტიჰიტლერული ძალების მიერ ინგლისელებთან და ამერიკელებთან დაწყებულმა ფარულმა მოლაპარაკებებმა ომის დროს თურქეთის მიმართ საბჭოთა გეგმების რეალიზაცია შეუძლებელი გახადა. 1945 წლის ივნისში გამართულ მოლაპარაკებებზე საბჭოთა კავშირმა თურქეთს სხვა პრეტენზიებთან ერთად ტერიტორიული პრეტენზიებიც წაუყენა. საბჭოთა

ხელმძღვანელობის ამ ჩანაფიქრის პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად საქართველოს დაუბრუნდებოდა მაჰმადიანებით დასახლებული ბათუმის ოლქის სამხრეთ ნაწილი – მაჭახელა, ბორჩხა და მაკრიალი და სამცხე-ჯავახეთის მოსაზღვრე არტაანის, ართვინისა და ტაოს, ანუ ოლთისის საკმაოდ ერცელი ტერიტორია. სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის მაჰმადიან მოსახლეობასთან ერთად ახლადშემოერთებული მოსახლეობა შექმნიდა ერცელ მაჰმადიანურ არეალს, რომელსაც შეეძლო კონფესიური და პოლიტიკური თვალსაზრისითაც კი პრობლემები შეექმნა პატარა ქრისტიანული საქართველოსთვის. ასეთ პირობებში ადგილობრივ მოსახლეობასთან ახლადშემოერთებული მოსახლეობის ინტეგრაციის პროცესი ძალზე გაჭიანურდებოდა. მეტიც, შესაძლოა, ის პრობლემატურიც გამხდარიყო.

შეუძლებელია, რომ სტალინის მხედველობის არეში ქართულ-სომსური ტერიტორიების დაბრუნების პრობლემის ეს ასპექტი არ მოსვედრილიყო და მისი გადაწყვეტის გზებზე არ ეფიქრა.

ვფიქრობთ, სწორედ საკითხის ამ კონტექსტში განხილვა იძლევა სრულ სურათს სამხრეთ საქართველოდან მაჰმადიანი მოსახლეობის დეპორტაციის ჭეშმარიტი მოტივების შესახებ. თურქული ცნობიერების მაჰმადიანი მოსახლეობის დეპორტაციით და მის ადგილზე დასავლეთ საქართველოდან ქართული ცნობიერების ქრისტიანი მოსახლეობის ჩასახლებით საბჭოთა ხელმძღვანელობა ცდილობდა გარკვეულწილად დაებალანსებინა კონფესიური ვითარება სამხრეთ საქართველოში, რაც საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობდა ინტეგრაციულ პროცესებს ამ რეგიონში.

ზემოთქმულიდან, ვფიქრობთ, ეჭვსგარეშეა, რომ სამხრეთ საქართველოდან მაჰმადიანი მოსახლეობის დეპორტაცია საბჭოთა ხელმძღვანელობის მიერ დაიგეგმა, როგორც ქართული ტერიტორიების შორსგამიზნული სტრატეგიული გეგმის ნაწილი, როგორც ამ გეგმის პრაქტიკული რეალიზაციის პირველი, მოსამზადებელი ეტაპი.

სამწუხაროდ, მსოფლიოს წამყვანმა სახელმწიფოებმა, პირველ რიგში კი აშშ-მ დიპლომატიური ძალისხმევა გაათმაგეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. 1946 წელს აშშ-მ თავისი მე-6 ფლოტი ხმელთაშუა ზღვაში შეიყვანა, საიდანაც მას უმოკლეს დროში შეეძლო ომში თურქეთის მხარეს ჩართვა. საბჭოთა კავ-

შირისთვის ცნობილი იყო აშშ-ს საიდუმლო გეგმების შესახებაც, რომლის თანახმადაც სსრკ-თან ომის შემთხვევაში აშშ მზად იყო სსრკ-ს 50 ქალაქში, რომელთა შორისაც საქართველოს დედაქალაქიც მოიაზრებოდა, ჩამოეყარა ატომური ბომბები. 1952 წელს თურქეთი სასწრაფოდ ჩრდილო ატლანტიკის სამხედრო ალიანსშიც გააწევრიანეს.

ასეთ პირობებში სამხედრო გზით თურქეთთან ტერიტორიული დავის გადაწყვეტა სერიოზულ და რეალურ რისკთან იყო დაკავშირებული. მეორე მხრივ, მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მხარდაჭერით გულმოცემულმა თურქეთმა სსრკ-ს ყირიმის ნახევარკუნძულთან დაკავშირებით შემხვედრი პრეტენზიები წაუყენა. ამ უკანასკნელთან მიმართებაში კი საბჭოთა კავშირის პოზიციები ისეთივე მტკიცე როდი იყო, როგორც კავკასიაში. თურქეთმა ძირეულად შეცვალა დემოგრაფიული ვითარება საღავო ტერიტორიებზეც. მან იქაური მკვიდრი ქართული მოსახლეობა ქვეყნის შიდა რაიონებში გადაასახლა.

ზემოთდასახელებული მიზეზების გამო თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნების საკითხის გადაწყვეტა გაჭიანურდა. თუმცა, სტალინი ამ საკითხს დღის წესრიგიდან მაინც არ ხსნიდა. სტალინის სიკვდილის შემდეგ, საბჭოთა ხელმძღვანელობამ საბოლოოდ თქვა უარი ქართულ-სომხურ ტერიტორიებზე. საბჭოთა მთავრობის 1953 წლის 30 მაისის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ თურქეთთან კეთილმეზობლური და მშვიდობიანი ურთიერთობის ინტერესებიდან გამომდინარე, სომხეთი და საქართველო უარს ამბობდნენ თავიანთი მიწების დაბრუნებაზე. ამით საქართველომ საბოლოოდ დაკარგა თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული ტერიტორიების დაბრუნების შანსი. 1992 წლის 30 ივლისს ანკარაში ხელმოწერილ მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის ხელშეკრულებაში ქართული და თურქული მხარეების მიერ საზღვრის დემარკაციის საკითხი ყარსის 1921 წლის ხელშეკრულებით განისაზღვრა. სწორედ აღნიშნული ხელშეკრულება უდევს საფუძვლად ქართულ-თურქულ ურთიერთობებს დღევანდელ ეტაპზე.

დავუბრუნდეთ საკითხს დეპორტაციის შესახებ. ქართველი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებმა მაჰმადიანი მოსახლეობის გასახლებისთანავე აიმაღლეს ხმა ამ ბარბაროსული აქტის წინააღმდეგ. ხუთმა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა (პავლე

ინვოროყვა, სერგი ჯიქია, გიორგი ჩიტაია და სხვ) წერილით მიმართეს სტალინს და მოსთხოვეს უღანაშაულო მოსახლეობის – „ქართველი ხალხის ამ განუყოფელი ნაწილის“ უკან დაბრუნება. საბჭოთა დიქტატურის პირობებში ეს დიდი მნეობრიეი გაბედულების ნიმუში იყო.

ომის დროს გადასახლებულმა ყველა ხალხმა 1956 წელს სამშობლოში დაბრუნების უფლება მიიღო. ჩრდილოკავკასიელი მთიელები, მოგეიანებით კი ყირიმელი თათრებიც თავიანთ მშობლიურ ადგილებს დაუბრუნდნენ. ეოლგისპირეთისა და საქართველოს გერმანელთა დიდმა ნაწილმა ისტორიულ სამშობლოს – გერმანიას მიაშურა. გამონაკლისს შეადგენდნდნენ მხოლოდ სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მუსლიმები. სპეცკომენდატურების აღრიცხვიდან ისინი მოხსნეს, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მისცეს.

რეაბილიტაციის გამოცხადებისთანავე ხელისუფლებისგან და ბედისგან კიდევ ერთხელ დაჩაგრული მესხები ლატიფშა ბარათაშვილის, ხალილ უმაროვ-გოზალიშვილის, მევლუდ ბაირახტაროვისა და სხვათა ხელმძღვანელობით საქართველოს საზღვრებს მოადგნენ, თუმცა უშედეგოდ. მათ გზა სამხედრო ნაწილებმა გადაუკეტეს. მესხთა დიდი ნაწილი მეზობელ აზარბაიჯანს მიაწყდა და იქ გაუსაძლის პირობებში იმ იმედით დაფუძნდა, რომ ბოლოს-დაბოლოს, სამართალი იზეიმებდა და მათაც ეღირსებოდათ სამშობლოში დაბრუნება. ასე გაჩნდა აზერბაიჯანის მუღანლოს სტეპში მესხთა პირველი კომპაქტური დასახლებები.

1979 წელს ქართველ ინტელიგენტთა 40-ზე მეტმა აეტორიტეტულმა წარმომადგენელმა წერილით მიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს. წერილში გამოთქმული იყო თხოვნა – „აღედგინათ სამართლიანობა ქართველი ხალხის ესოდენ მძიმედ დაგანჯული ნაწილის მიმართ“. იმავე წლის 4 აპრილს საქართველოს ხელისუფლებამ გამოაქვეყნა დაღგენილება სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის სამშობლოში დაბრუნების შესახებ.

ამ დროისთვის მოწინავე ქართველ ინტელიგენციასთან ერთად დეპორტირებულ მესხთა სამშობლოში დაბრუნებისთვის იბრძოდნენ ქართველი დისიდენტებიც – ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვიქტორ რცხილაძე, გურამ მამულია და სხვები. დაიწყო დეპორტირებულთა სამშობლოში დაბრუნების პროცესი.

მათი ბაეშვები სწაელას ქართულ სკოლებში იწყებდნენ, ისინი საკუთარი ინიციატივით აღიდგენდნენ ქართულ გვარებს.

1987 წლის დეკემბერში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება N 600, „1987-1988 წლებში საქართველოს სსრ-ში მესხთა იმ ოჯახების ორგანიზებულად ჩამოსახლების შესახებ, რომელთაც სურვილი აქვთ მუდმივ საცხოვრებლად ჩამოეიდნენ საქართველოში სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან“.

1989 წლისთვის საქართველოში უკვე 300-დე მესხური ოჯახი იყო ჩამოსახლებული.

1989 წლის 23 მაისს უზბეკეთში, ფერღანას ველზე დაიწყო დეპორტირებულ მესხთა სასტიკი დარბევები, რომელიც 17 დღე გაგრძელდა და უზბეკეთიდან მესხთა მასობრივი გამოძევებით დასრულდა. სსრ კავშირის ხელმძღვანელობამ ლტოლვილები აზერბაიჯანში, უკრაინასა და რუსეთში გადაანაწილა.

ფერღანას ტრაგედიის შემდეგ საქართველოშიც გაჩაღდა კამპანია მაჰმადიან მესხთა წინააღმდეგ. ზვიად გამსახურდია, აკაკი ბაქრაძე, ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერები, ამჯერად, მესხთა ჩამოსახლების მოწინააღმდეგეთა პირველ რიგებში აღმოჩნდნენ. ამან ქართველი საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში მაჰმადიანი მესხების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. 1989-1991 წლებში რეპატრიანთთა მიმართ განხორციელებული რეპრესიების შედეგად 200-დე ოჯახი იძულებული გახდა ხელმეორედ დაეტოვებინა სამშობლო.

1989 წლის 29 ივნისს თბილისის კინოს სახლთან გამართულ მიტინგზე ზვიად გამსახურდიამ განაცხადა, რომ სამტრედიის რაიონში შემოიჭრა უზბეკეთიდან ლტოლვილ თურქთა 130 ოჯახი, რომლებმაც სტიქიისგან დაზარალებული სვანებისთვის აშენებული სახლები მიიტაცეს. ხელისუფლებასთან ერთად გამსახურდიამ ამ საქმეში ილია ჭავჭავაძის საზოგადოება დაადანაშაულა და „ხალხის მტრები“ და „მოღალატეები“ უწოდა ზურაბ ჭავჭავაძეს და თამარ ჩხეიძეს, ხოლო პატრიოტი მესხი - ჩახოჩიტაძე, რომელმაც 60-იან წლებში შუა აზიაში რუსთაველის სახელობის სკოლა დაარსა, „თურქეთის აგენტად“ გამოაცხადა.[53]

---

[53] . „ფიცი მწამს (ზ. გამსახურდიას დამოკიდებულება თურქ-მესხთა საკითხისადმი),“ საქართველოს უახლესი ისტორიის დოკუმენტური მასალები (1988-1990 წწ). I ტომი, თბ, 2011 წ. გვ. 126.

ეს ყალბი ინფორმაცია იყო. ამ სიცრუის გავრცელებით გამსახურდია ცდილობდა მოსახლეობაში ვნებათღელვის გამოწვევას და ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისთვის სახელის გატეხას. და ეს მაშინ, როდესაც სულ რაღაც ორი კვირის წინ გამსახურდია წერდა: „წმ. ილია მართლის საზოგადოების პროგრამაში შედის ქართული ორიენტაციის მესხების ჩამოსახლება. იმათი, რომლებიც ქართველობენ და პასპორტში ქართულ გვარსა და ეროვნებას აღიდგენენ. ხოლო ვინც თავის თავს თურქად თელის, მათთან ვატარებთ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, განვუმარტავთ მათ განსხვავებას რელიგიასა და ეროვნებას შორის, და თუ ასეთი განმარტებები შედეგს არ გვაძლევს, მაშინ მათ თურქეთში ემიგრაციას ვურჩევთ“.[54]

ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით ეს საკამათო მოსაზრება გახლდათ. მაგრამ ეს ზუსტად ის იყო, რასაც ჭავჭავაძისტები ქადაგებდნენ.

ცივილიზებულმა მსოფლიომ ჩვენი ასეთი პოზიცია წმინდა წყლის ნაციზმად აღიქვა.

1993 წლიდან საქართველოში პოლიტიკური კლიმატი შეიცვალა. შეწყდა რეპატრიანტთა შევიწროება და დევნა. 1999 წელს, ევროსაბჭოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, დაიწყო დეპორტირებულთა რეპატრიაციისთვის საჭირო სამართლებრივი ბაზის შექმნის პროცესი. ამჟამად საქართველოში მიმდინარეობს დეპორტირებული მოსახლეობის მასობრივი რეპატრიაცია. თუმცა, სამშობლოში დაბრუნების მსურველთა რაოდენობა არც ისე ბევრი გამოდგა, როგორც ამას დეპორტირებულთა პროთურქული ორგანიზაცია „ვათანი“ ამტკიცებდა. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში სულ 5 841 განცხადება შევიდა.

---

[54] . „ფიცი მწამს (მ. გამსახურდიას დამოკიდებულება თურქ-მესხთა საკითხისადმი),“საქართველოს უახლესი ისტორიის დოკუმენტური მასალები (1988-1990 წწ). I ტომი, თბ, 2011 წ. გვ. 128;

§ 1.7 სახალხო ფრონტის დაფუძნება.

სახალხო ფრონტის ორგანიზაციები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჯერ კიდევ 1988 წლის შემოდგომიდან ფუნქციონირებდნენ. მათ კოორდინაციას ნოდარ ნათაძე ახდენდა. ის სახალხო ფრონტის აღიარებულ ლიდერად ითვლებოდა. მაგრამ, რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, 1989 წლის ბაფხულამდე საერთოეროვნული დამფუძნებელი ყრილობის გამართვა ვერ მოხერხდა. 21-25 იენისს თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა სახალხო ფრონტის დამფუძნებელი ყრილობა. მასში ქართული საზოგადოების ფართო სპექტრი მონაწილეობდა – არაფორმალებიდან დაწყებული – ინტელიგენციის ელიტით დამთავრებული. მხოლოდ კომუნისტები იდგნენ განზე.

სახლხო ფრონტის დამფუძნებელი კრება თავის სახელწოდებას ნამდვილად ამართლებდა. სხდომები აურზაურით, აღგილებიდან წამოძახილებით, ერთმანეთის მიმართ შეურაცხმყოფელი შეძახილებით და გაწევ-გამოწევით მიმდინარეობდა. კამათს იწვევდა ნებისმიერი საკითხი, იქნებოდა ეს სამანდატო თუ ხმის დამთველელი კომისიების არჩევა, წესდების მიღება თუ სხვა. ყველა ცდილობდა რაც შეიძლება ხმამაღლა გამოეთქვა თავისი აზრი. მოისმენდა თუ არა მას ვინმე – ეს ნაკლებ აინტერესებდათ. ერთი სიტყვით, ფილარმონიაში ნამდვილი „ქართული ამინდი“ იდგა.

რადიკალები თავიდანვე ეჭვით და გაღიზიანებით უყურებდნენ სახალხო ფრონტს. მათ ხელს არ აძლევდათ არც ხელისუფლების მარიონეტი და არც ეროვნული ინტერესების ჭეშმარიტად დამცველი სახალხო ფრონტი. პირველ შემთხვევაში მათ ანგარიშგასაწევი მეტოქე უჩნდებოდათ, მეორე შემთხვევაში კი – სერიოზული კონკურენტი. სახალხო ფრონტი, ისევე, როგორც რუსთაველის საზოგადოება, ხელისუფლების ინიციირებით შეიქმნა. ამიტომ ის ვერ შეძლებს ხელისუფლებასთან მწვავე დაპირისპირებასო, აცხადებდა მერაბ კოსტავა. თუ სათათბიროს იდეას მიიღებს, სახალხო ფრონტს დაშლილად გამოვაცხადებო, იმუქრებოდა ზვიად გამსახურდია. მერაბ მამარდაშვილი, რომელიც სათათბიროს აქტიური მომხრე იყო – მასში პარლამენტის იდეას ხედავდა და შეფარულად ბრალს დებდა ყრილობას – სახალხო ფრონტი კომუნისტების კი არა, „სხვა ძალების“ სათამაშო ხდებაო (ცხადია, ყველა ხვდებოდა ვინ იგულისხმებოდა ამ „სხვა ძალებში“).

ყრილობაზე ამკარად ნაცინალისტური ლოზუნგებიც გაისმოდა: „ქართული მიწის პატრონი მხოლოდ ქართველი კაცი უნდა იყოს“, – აცხადებდა ერთი; „არაქართველებს ვერ გავასახლებთ, მაგრამ მათთვის მიწის ჩამორთმევა და სახლების დანგრევა კი შეგვიძლია“, – ირწმუნებოდა მეორე. ზეიად გამსახურდიამ მოითხოვა, რომ სახალხო ფრონტის პროგრამაში პრიორიტეტულად წარმოჩენილიყო ქართველი ხალხის ინტერესები და დაფიქსირებულიყო პოზიცია – „საქართველო ქართველებისთვის!“ ლუიზა შაკიაშვილმა გაილაშქრა აფხაზებისთვის კულტურული ავტონომიის მინიჭების წინადადების წინააღმდეგ და სხვ. მაშინ ქართულ ინტელიგენციაში ძალზე ძლიერი იყო უსამართლობის განცდა საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ანტიქართული გამოსვლებისადმი საბჭოთა რეჟიმის უპირობო მხარდაჭერის გამო.

„მეცავე“ პატრიოტულ პოზიციასთან თავისი პრინციპული შეურიგებლობა დააფიქსირა მერაბ მამარდაშვილმა სიტყვებით – „ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას“, რასაც დარბაზის რადიკალური ნაწილი აღშფოთებით შეხვდა, ზომიერმა ნაწილმა კი იგი თავისი ინტელექტუალური უპირატესების დადასტურებად მიიჩნია.

სახალხო ფრონტის ყრილობა იყო პირველი ფორუმი, რომელზეც მკაფიოდ გამოიკვეთა ინტელიგენციისა და რადიკალების პოზიციათა დაპირისპირება. მანამადე ეს დაპირისპირება პრესის ფურცლებზე ან მიტინგებზე გამოთქმულ ურთიერთპრეტენზიებში გამოიხატებოდა. აქ კი ყველა ხედავდა შუაზე გაყოფილ და ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ დარბაზს.

რადიკალები ბრძოლის ხისტ მეთოდებს, საბოლოო მიზნის – სრული დამოუკიდებლობის ლოზუნგის დაუყოვნებლივ წამოყენებას უჭერდნენ მხარს, ინტელიგენცია (მერაბ მამარდაშვილი, ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილი, გიგი თუმანიშვილი, ელდარ შენგელაია და სხვ) თანდათანობითობის პრინციპის მომხრენი იყვნენ. მათ მიაჩნდათ, რომ მიზნისკენ ზომიერი ნაბიჯებით უნდა გვეველო, დღეს მხოლოდ ის ამოცანა უნდა დაგვესახა მიზნად, რომლის შესრულება უკვე ხვალ იყო შესაძლებელი, მისი შესრულების შემდეგ კი დადგებოდა ახალი ამოცანის დასახვის დრო და ა. შ.

პოზიციათა განსხვავებულობა აშკარაა. მაგრამ ნუთუ ასეთი ურთიერთგამომრიცხავნი იყვნენ ეს პოზიციები? განა არ შეიძლებოდა რადიკალებს თავიანთი რადიკალური პოზიცია ჰქონოდათ, ერბინათ მიტინგებზე, მანიფესტაციებზე, ფიზიკურად დაპირისპირებოდნენ ხელისუფლებას, დაეშინათ ქვები მილიციისთვის და ა. შ. ინტელიგენციას კი თავისი ზომიერი, გაწონასწორებული მეთოდებით ეკეთებინა ეროვნული საქმე? საბოლოო მიზანი ხომ ორიეს ერთი ჰქონდა! განა პოლიტიკოსობა მხოლოდ რეეოლუციონერობას გულისხმობს? განა სიცოცხლის ბოლომდე ილია ჭავჭავაძე რუსეთის იმპერიაში თავისი სამშობლოს ავტონომიისთვის არ იბრძოდა? და რა, ამის გამო ის ეროვნული თავისუფლებისთვის მებრძოლთა რიგებიდან გავრიცხოთ?

შეიძლებოდა კი არა, საქმისთვის სწორედაც რომ ასე სჯობებდა. რადიკალები სანუკვარი მიზნის მისაღწევად იმ მეთოდებით იბრძოლებდნენ, რომლებიც მათ უფრო ეხერხებოდათ, ინტელიგენცია კი იმავე მიზნისკენ თავისი ზომიერი ნაბიჯებით ივლიდა. ეროვნული მოძრაობის ეს ორი ფრთა ძალზე ეფექტურად შეავსებდა ერთმანეთს. როგორც ყრილობაზე რეზო ჩხეიძე აღნიშნავდა, იმას, რასაც რადიკალები მოიპოვებდნენ, ინტელიგენცია „დააკანონებდა“.

შეუთავსებელი და ურთიერთგამომრიცხავი ამ ორ პოზიციაში, იდეოლოგიური თვალსაზრისით, ნამდვილად არაფერია. შეურიგებლობის მთავარი მიზეზი სხვა იყო: იდეოლოგიურ საბურველში გახვეული ამბიციები. რადიკალებს არ სურდათ გამარჯვებულის დაფნის გვირგვინი ვინმესთან გაეყოთ. ამიტომ იბრძოდნენ ისინი ინტელიგენციის თავიანთ პოზიციაზე გადასაყვანად. ასეთ შემთხვევაში ინტელიგენცია რადიკალების უნიათო დამატებად გადაიქცეოდა და პირველობის პალმას მათ ვეღარ შეეცილებოდა.

ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ შემრიგებლური განწყობით არც ინტელიგენცია გამოირჩეოდა. ახალგაზრდებიდან ის თავისი ინტელექტუალური უპირატესობის უსიტყვო აღიარებას მოითხოვდა და მტკიცნეულად რეაგირებდა რადიკალების მხრივ მის მიმართ გამოვლენილ უპატივცემლობის თითოეულ ფაქტზე. ქართველთა ამ ურთიერთუპატივცემლობას, ღრიანცელსა და გაწევ-გამოწევას შეცბუნებული და შეწუხებული ადევნებდა თვალს ბალტისპირელთა დელეგაცია. ლატვიელი ახალგაზრდა ქალბატონი ინგუნა ედელე თითქმის ტირილით მიმართავდა

დარბაზს: გეხვეწებით გაერთიანდით, თუ თქვენ ერთიანი არ იქნებით, მომაეალი არ გექნებათო.

ასე იყო თუ ისე, სახალხო ფრონტის დამფუძნებელმა ყრილობამ თავისი მისია შეასრულა. ყრილობამ აირჩია სახალხო ფრონტის გამგეობა, გამგეობის თავმჯდომარე, სარევიზიო კომისია, გაზეთის რდაქტორი სახალხო ფრონტი ფორმალურად დაფუძნდა.

ეროვნულ მოძრაობაში სახალხო ფრონტის და მისი თავმჯდომარის პოზიციასა და ადგილს ზუსტად განსაზღვრავს დიმიტრი შეელიძე: „...თავიანთი მოქმედების ხასიათით, რიგ შემთხვევაში შეურიყებელი პოზიციით და მისი გამოხატვის ადექვატური ფორმით, პრინციპული განცხადებებით და ქმედებით, რაც არაერთხელ გამოუთქვამთ და გამოუხატავთ სახალხო ფრონტის ლიდერებს და განსაკუთრებით მის თავკაცს ნოდარ ნათაძეს, ეს ორგანიზაცია უფრო რადიკალურ ბანაკს შეიძლება მიეკუთვნოთ, ვიდრე ცენტრისტულს. უფრო სამართლიანი კი ის იქნება დავასკვნათ, რომ სახალხო ფრონტი ერთის მხრივ, კერძოდ კი თავისი სოციალურ-პოლიტიკური მსოფლმხედველობით ცენტრისტული იყო, ხოლო პოლიტიკური ბრძოლის მანერით – რადიკალური. ამ ორ შინაარსს თითქოს საკუთარ არსებაში რელიეფურად ატარებდა სახალხო ფრონტის ლიდერი ნოდარ ნათაძე, რომელიც ერთის მხრივ, ხან ღრმა ინტელექტუალად წარმოგვიდგებოდა, ხოლო მეორე მხრივ, კი უკომპრომისო რადიკალად, რაც ჯამში, არათანმიმდევრული ექსცენტრულობის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებდა, ვიდრე თანმიმდევრულობის".[55]

[55] . დიმიტრიშველიძე, „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში.(1987-1992 წწ.)" გვ. 63.

§ 1.8 კონფრონტაცია რადიკალთა ბანაკში

„ეროვნული ხსნის მთავარმა კომიტეტმა“ 1990 წლის 23 თებერვლისთვის ცხინვალში ფართომასშტაბიანი აქციის გამართვა დაგეგმა. გია ჭანტურია აქციის ჩატარების წინააღმდეგ გამოვიდა. გამსახურდიამ უმრაელესობა მიიმსრო და ჭანტურია პოლიტიკურ სიბეცეში დაადანაშაულა. გიორგი წიქარიშვილის მტკიცებით, „საქმე დედის გინებამდე მივიდა.“ ამის შემდეგ ჭანტურია და გამსახურდია სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენ ერთმანეთს.

23 თებერვლის დილას, დაახლოებით 40-50 ათასი კაცი ავტობუსებში მოთავსდა და დემოკრატიული საქართველოს დროშების ფრიალით ცხინვალისკენ დაიძრა. ცხინვალის შესასვლელთან მათ გზა სსრ კავშირის შინაგანმა ჯარმა გადაუკეტა. ჯარს უკან რამდენიმე ათეული ოსი ამოფარებოდა.

რამდენიმესაათიანი პირისპირ დგომის შემდეგ ქართველთა კოლონა უკან გამობრუნდა.

ოსები „გამარჯვებას“ ზეიმობდნენ. მათ მთელ მსოფლიოს მოსდეს ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ აპირებდნენ „აგრესორი“ ქართველები ცხინვალში შეჭრას და როგორ „აღკვეთეს“ საბჭოთა ჯართან ერთად ოსებმა ქართველთა განზრახვა.

თავიდანვე მარცხისთვის განწირული ეს უაზრო აქცია ზეიად გამსახურდიამ და ირაკლი წერეთელმა ჩაიფიქრეს და განახორციელეს, მაგრამ მასზე პასუხისმგებლობა აქციაში მონაწილე ქართული ელიტარული ინტელიგენციის მრავალ წარმომადგენელსაც ეკისრება. აქცია ნათლად გამოხატავდა ჩვენი საზოგადოების მაშინდელ განწყობას და პოლიტიკური აზროვნების დონესაც.

ცხინვალიდან გამობრუნების შემდეგ შიდა ქართლის ქართულ სოფლებში დარჩნენ „მხედრიონისა“ და მერაბ კოსტავას საზოგადოების მებრძოლები. დაიწყო მცირე შეტაკებები, რომლებიც მოგვიანებით ნამდვილ ომში გადაიზარდა.

რადიკალებს შორის დაპირისპირებამ აშკარა ბრძოლის ხასიათი შემოდგომაზე მიიღო. 1990 წლის ოქტომბრისთვის ახალი, ამჯერად უკვე მრავალპარტიული არჩევნები დაინიშნა. რადიკალთა ერთმა ნაწილმა, ზეიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო ახალ არჩევნებში, მე-

ორე ნაწილი კი კელაე ბოიკოტის ტაქტიკის ერთგული დარჩა. გამსახურდიამ და მისმა მომხრეებმა დატოვეს ფორუმი.

ბოიკოტის მომხრე რადიკალები ეროვნული დაუმორჩილებლობის განდისეულ იდეას ქადაგებდნენ. მათი აზრით, მარტის ჩაშლილი არჩევნების მსგავსად, ოქტომბრის არჩევნებიც „საბჭოური“ იყო და მასში მონაწილეობა, ფაქტიურად, საბჭოთა ხელისუფლების კანონიერების აღიარებას ნიშნავდა. რადიკალთა ეს ნაწილი თელიდა, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობისკენ მიმავალი ერთადერთი გზა საქართველოს მიერ კოლონიური სტატუსის მიღებაზე და შემდეგ დაუმორჩილებლობის ტაქტიკით დეკოლონიზაციისთვის ბრძოლაზე გადიოდა.

ეროვნულ ფორუმში დარჩენილი რადიკალები ვერ ხედავდნენ იმ უზარმაზარ განსხვავებას, რომელიც ინდოეთისა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს შორის არსებობდა. ეროვნული დაუმორჩილებლობის განდისეული ტაქტიკა ინდოეთის პირობებში მეტად ეფექტური იყო, რადგან 600 მილიონიანი ქვეყნის ბოიკოტი აზანზარებდა მის ბაზარზე და ნედლეულზე ორიენტირებულ 50 მილიონიან ინგლისს. ბუნებრივია, რომ იგივე ეფექტი ვერ მოჰყვებოდა 5 მილიონიანი რესპუბლიკის დაუმორჩილებლობას 250 მილიონიანი ქვეყნის მიმართ.

რადიკალებს ვერ გაეცნობიერებინათ, რომ საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების სამართლებრივი მდგომარეობა, კერძოდ, კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება (რომლის შენარჩუნება სწორედ ამ რადიკალების – ჭანტურიასა და წერეთლის დამსახურებაც იყო), საშუალებას აძლევდა ამ რესპუბლიკებს სამართლებრივი გზით ებრძოლათ დამოუკიდებლობისთვის.

ისინი ანუარიშს არ უწევდნენ არც იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირს ღრნიდა და ანგრევდა შინაგანი წინააღმდეგობანი.

ზვიად გამსახურდიამ და მისმა მომხრეებმა სწრაფად აუღეს ალღო შექმნილ ვითარებას. მათ დაინახეს, რომ მოსახლეობის განწყობა და ხელისუფლების სრული პარალიზება არჩევნებში გამარჯვების უნიკალურ და ძალზე რეალურ შანსს იძლეოდა. მათ უარყვეს ბოიკოტის ტაქტიკა, „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკური ბლოკი შექმნეს და არჩევნებში მონაწილეობისთვის მზადებას შეუდგნენ. გამსახურდიას ბლოკში გაერთიანდნენ: ჰელსინკის კავშირი, მონარქისტული (კონსერვატიუ-

ლი) პარტია, ტრადიციონალისტთა კავშირი, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, მერაბ კოსტავას საზოგადოება.

ცხადია, ეს გამსახურდიას სწორი ნაბიჯი იყო. მაგრამ, ისევე, როგორც ინტელიგენციასთან, თავის გუშინდელ თანამებრძოლებთან მან ბრძოლის უღირს მეთოდებს მიმართა.

დაუმორჩილებლობის ტაქტიკის ერთგულმა რადიკალებმა უზენაესი საბჭოს მრავალპარტიული არჩევნების იდეას ეროვნული კონგრესის არჩევნების იდეა დაუპირისპირეს. მათი აზრით, კონგრესი არ უნდა ყოფილიყო ხელისუფლების ალტერნატიული ორგანო, მას მხოლოდ ეროვნული ძალების მაკოორდინირებელი ლეგიტიმური ორგანოს ფუნქცია უნდა შეესრულებინა. გია ჭანტურია იდეალურ ფერებში წარმოადგენდა ეროვნული კონგრესის იდეას: „ეროვნული კონგრესის არჩევით უბრწყინვალეს მოდელში ვჯდებით. ეერაფერს ველარ მოგვასვევს კრემლი თავზე. ეკონომიკური ბლოკადაც კი მთლიანად გამოირიცხება. ვის უნდა მოაწერინოს ხელი ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე მოსკოვმა, კოლონიურ თვითმმართველობით ორგანოს? საოკუპაციო ხელისუფლებას? ერთი სიტყვით, ვევარდებით საბჭოთა სტრუქტურებიდან უაღრესად მშვიდობიანი ფორმებით“,[56] – წერდა ის.

კონგრესის არჩევნები 30 სექტემბერს დაინიშნა. დაპირისპირებული რადიკალური ძალები მათთვის დამახასიათებელი უცერემონიობით „კრემლის აგენტების“, „სამშობლოს მოღალატის“ იარლიყებით აჯილდოებდნენ ერთმანეთს. საქმე შტაბბინების ტყვიებით დაცხრილვამდე და ფიზიკურ ანგარიშსწორებამდე მივიდა. კონგრესისტებმა „მრგვალი მაგიდისა“ და გამსახურდიას კრიტიკას საერთაშორისო მასშტაბიც კი შესძინეს. 1990 წლის 4-6 ივლისს პრაღაში ჩატარდა საერთაშორისო ორგანიზაციის - დემოკრატია და დამოუკიდებლობა“ – კონფერენცია. მასში ცნობილი დისიდენტები მონაწილეობდნენ რუსეთიდან, უკრაინიდან, მოლდოვადან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და სხვ. საქართველოდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ გია ჭანტურია, ირინა სარიშვილი და ძმები გუდავები. კონდერენციის მიერ მიღებულ N 24 რეზოლუციაში საუბარია საქართველოში არსებულ ვითარებაზე, დაფიქსირებულია ქვეყნის ეროვნულ მოძრაობაში ორი ბანაკის არსებობა, რომელთაგან ერთის – ზვიად გამ-

[56] . დიმიტრი შველიძე, „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წწ.)“ გვ. 97.

სახურდიას ბანაკისთვის დამახასიათებელი იყო „ნაციონალური შეუწყნარებლობა“ და „ერთაშორისი პრობლემების ძალისმიერი გადაწყვეტის ანტიდემოკრატიულ პოზიციაზე დგომა“, მეორე ბანაკი კი, რეზოლუციის ავტორთა აზრით, დემოკრატიულ ფრთას წარმოადგენდა.

რეზოლუციას კონფერენციის რამდენიმე ათეულმა მონაწილემ, მათ შორის, ოთხიევე ქართველმა მოაწერა ხელი.

30 სექტემბერს ეროვნული კონგრესის არჩევნებმა ამომრჩეველთა საკმარისი რაოდენობა - 50 პროცენტზე მეტი ვერ შეაგროვა. არჩევნების ვადა რამდენჯერმე იქნა გაგრძელებული. ბოლოს, როგორც იქნა, გამოცხადდა არჩევნების შედეგები, რომელიც მისი ორგანიზატორების მიერ კანონიერად იქნა ცნობილი. თუმცა, საზოგადოებრივი აზრის და, თვით „დას“-ის (დემოკრატიული არჩევნები საქართველოში) შეფასებით კონგრესის არჩევნები ვერანაირად ვერ ჩაითვლებოდა ლეგიტიმურად და შემდგარად.

არჩეულმა კონგრესმა დაადასტურა, რომ არ მიისწრაფვის ძალაუფლების ხელში აღებისკენ და კმაყოფილდება მხოლოდ ეროვნული მოძრაობის ლეგიტიმური ორგანოს სტატუსით.

მოგვიანებით, ჭანტურიასა და წერეთლის მომხრეთა წრეში დაიწყეს მტკიცება, თითქოს, ეროვნული კონგრესის იდეა წარმოადგენდა ეროვნული მოძრაობის რადიკალიზაციის წინააღმდეგ მიმართულ შეფარულ ფორმას. ჭანტურიას და წერეთელს ესმოდათ, რომ ხელისუფლებაში ეროვნული ძალების იმ ეტაპზე მოსვლა კრემლთან რადიკალურ დაპირისპირებას გამოიწვევდა. მათ არ შეეძლოთ ღიად გაელეშქრათ დამოუკიდებლობის მომხრეთა ხელისუფლებაში მოსვლის წინააღმდეგ, ამიტომ მოიგონეს ეროვნული კონგრესი, რითაც სცადეს ეროვნული ძალების უდროო გამარჯვების თავიდან აცილებაო. გიორგი წიქარიშვილი, რომელიც თვითონ არ ეთანხმება ამ აზრს, წერს: არ არის გამორიცხული, რომ გია ჭანტურია ხედებოდა „რა დაუჯდებოდა“ საქართველოს დამოუკიდებლობა. ამიტომ თუ მოძრაობა ხელისუფლებაში უშუალოდ არ მოეიდოდა, გარდაუვლად დაკარგული ტერიტორიებისთვის პასუხისმგებლობა ოფიციალურ ხელისუფლებას დაეკისრებოდაო.[57]

---

[57] გიორგი წიქარიშვილი, „ჟამიჭეშმარიტი (დამარცხებული მოძრაობის ქრონიკა) 1987-1993 წწ.“ გვ. 138.

ჭანტურიასა და წერეთლისთვის ასეთი შორსმჭვრეტელობის მიწერა, ცხადია, მათთვის დიდი პატივია. მაგრამ, ასეთ მსჯელობას რეალობასთან არანაირი კავშირი არა აქვს. სწორედ რომ – პირიქით. ეროვნული კონგრესის მომხრეთა იდეა ამ იდეის ავტორთა დაბალი თეორიული მომზადების შედეგი იყო. ეროვნული მოძრაობის ახალგაზრდა და უმწიფარ ლიდერებს არ გააჩნდათ ურთულეს პოლიტიკურ პროცესებში გარკვევისთვის საჭირო ინტელექტი. მათ იმის უნარიც კი არ აღმოაჩნდათ, რომ ინდოეთისა და საქართველოს პირობებს შორის არსებული უზარმაზარი განსხვავება დაენახათ და, რა თქმა უნდა, მოვლენების 4 და 5 სვლით წინასწარ განჭვრეტაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

ესეც არ იყოს, ასეთი თვალსაზრისი არც ჭანტურია-წერეთელს და მათ მომხრეებს უნდა აძლევდეთ ხელს. აბა, წარმოვიდგინოთ: გია ჭანტურია ხვდება, რომ იმ ეტაპზე დამოუკიდებლობის მოპოვება უთუოდ დაგვაკარგვინებს აფხაზეთს და შიდა ქართლს. და ამ დროს ის განგაშს კი არ ტეხს, თავის ხალხს კი არ აფრთხილებს მოსალოდნელი უბედურების გამო, არამედ ამ საშინელი მომაელისთვის პასუხისმგებლობის კომუნისტებისთვის გადაბრალებაზე ფიქრობს!

ვერ უნდა იყოს, მე მგონი, მაინცდამაინც ვაჟკაცური და პატრიოტული პოზიცია. ან, ეროვნული კონგრესის უაზრო და არაფრისმომცემი იდეის მოგონებას, განა არ სჯობდა პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ეთქვა, რომ რუსეთი არ გვაპატიებს დამოუკიდებლობის გამოცხადებას და „შეყოვნებული მოქმედების ნაღმებს“, ჩვენს ავტონომიებს აგვიფეთქებს, ჩვენ კი ძალები არ გვეყოფა უზარმაზარ იმპერიასთან საბრძოლველადო? ხალხი გაუგებდა თუ არა – მეორე საკითხია. მთავარია, რომ თავის ხალხთან და საკუთარ სინდისთან მართალი იქნებოდა.

რა თქმა უნდა, სჯობდა. და, ვფიქრობ, ჭანტურია ასეც მოიქცეოდა (ამისთვის პატრიოტიზმი მას ნამდვილად ეყოფოდა), მოვლენების წინასწარ განჭვრეტის ის უნარი რომ ჰქონოდა, მოგვიანებით რომ მიაწერეს და ისტორიის წინაშე მისი „გათეთრების“ უნიჭო მცდელობის გამო უხერხულ პოზაში ჩააყენეს.

§ 19 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები

რადიკალთა ორ ფრთას შორის დაძაბულობამ კულმინაციას უზენაესი საბჭოს ოქტომბრის არჩევნების წინა დღეებში მიაღწია. 27 ოქტომბერს, შუადღისას, რუსთაველის გამზირზე დღემდე იდუმალებით მოცული ინციდენტი მოხდა: კონგრესის სხდომის შემდეგ კონგრესისტები ქუჩაში გამოეიდნენ. გია ჭანტურიაც თავის პარტიელებთან ერთად ტროტუარზე იდგა. მოულოდნელად გაისმა სროლის ხმა. ჭანტურიამ მკლავზე იგტაცა ხელი. ის საავადმყოფოში გააქანეს. საღამოს ტელეინტერვიუში მან განაცხადა, რომ უარს ამბობს მილიციისთვის ჩვენების მიცემაზე, რადგან „საბჭოურ გამოძიებასთან“ თანამშრომლობა ეწინააღმდეგება მის პრინციპებს. დღემდე დაღის ჭორები, რომ მაშინ ჭანტურიამ თავი თვითონ დაიჭრა (ისროლეს ჰაერში, შემდეგ ჭანტურია თავისსაევე პარტიელებმა მოფარებულში გაიყვანეს, სადაც მან მცირედ გაიკაწრა თავი). დღეს ძნელია რაიმეს გადაჭრით მტკიცება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ არჩევნების წინ ჭანტურიას ძალზე სჭირდებოდა რაიმე სახის ხმაურიანი ინციდენტი, შესაძლოა ამ ჭორებს რეალური საფუძველი ჰქონდეთ.

იმაეე საღამოს ირაკლი წერეთელმა, რუსლან მიქაბერიძემ და სხვებმა თავიანთ სატელეეიზიო გამოსელაში ლანძღვა-გინების კორიანტელი დაატეხეს ზეიად გამსახურდიას. წერეთელმა მას „მანიაკი“ უწოდა და ჭანტურიას დაჭრისთვის პასუხისმგებლობა დააკისრა. მათ მოუწოდეს მოსახლეობას მხარი არ დაეჭირათ „მრეეალი მაეიდისა და მისი ლიდერისთვის. ამ სატელეეიზიო გამოსელამ საპირისპირო შედეგი გამოიღო. გამსახურდიას უმეერი ლანძღვა-გინებით გაღიზიანებული მოქალაქეები, ისინიც კი, ეინც სხვა პოლიტიკური ძალისთვის აპირებდა ხმის მიცემას, მეორე დღეს გამსახურდიას და „მრეეალ მაეიდას“ აძლევდნენ ხმას (მახსოეს, როგორ მიყეებოდა მაშინ უკეე 60-ს მიღწეული ჩემი ბიძაშეილი – გადაწყეტილი მქონდა მხარი ეალერიან ადეაძისთვის დამეჭირა, მაგრამ წერეთლისა და მიქაბერიძის სატელეეიზიო გამოსელამ ისე გამაღიზიანა, რომ გათენებას მოუთმენლად ველოდი, რომ ხმა გამსახურდიასთვის მიმეცა).

ქართეელი სალხის დიდ ნაწილს კი არჩევანი უამისოდაც ჰქონდა გაკეთებული. მოსახლეობის უმრავლესობამ დიდი ხნის წინ შეაქცია ზურგი კორუმპირებულ, გონებაჩლუნგ და პოლიტიკურ იმპოტენციამეყრილ კომუნისტურ ხელისუფლებას. მის თეალ-

ში ეროვნული გმირის შარავანდედით შემოსილი იყო გვიან გამსახურდია, რომელსაც, ხალხის აზრით, ყველაზე მეტი წვლილი მიუძღოდა კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გვიან გამსახურდია სარგებლობდა კომუნისტური ხელისუფლების პარალიზებით და გედიზედ ატარებდა აქციებს, რომლებიც კიდევ უფრო სცემდა ხელისუფლების ავტორიტეტს. ასეთი იყო, მაგალითად, ილია მართლის საზოგადოების მიერ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობის წინ გამართული მჯდომარე აქცია, რომლის დროსაც აქციის მონაწილენი შენობაში არ უშვებდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებს. ასეთი იყო ზაფხულში გამართული სარკინიგზო ხაზის გადაკეტვის, ანუ ე. წ. სამგრედიის აქცია, რომელიც გამსახურდიამ რუსეთის საწინააღმდეგო ღონისძიებად გაასაღა, ობიექტურად კი საქართველოს თვითბლოკადას წარმოადგენდა და დიდი ეკონომიკური ზიანიც მიაყენა რესპუბლიკის ეკონომიკას. სამაგიეროდ, ამ აქციამ ხელი შეუწყო გამსახურდიას, როგორც კომუნისტური ხელისუფლების ერთადერთი ალტერნატივის იმიჯის შექმნას.

კონგრესისტები მოსახლეობაში მეთოდურად ნერგავდნენ აზრს, თითქოს საქართველოში მოელენები კრემლის სცენარით ვითარდებოდა. ამ სცენარის მიხედვით უზენაესი საბჭოს არჩევნებში უნდა გაემარჯვა გამსახურდიას, რომელიც თავისი უნიათო მმართველობით სულ მალე მოახდენდა ეროვნული იდეის დისკრედიტაციას. ამის შემდეგ მას აღვილად შეცვლიდა არაკომუნისტური, მაგრამ აშკარად პრორუსული ძალა.

ამ სცენარში წარმოუდგენელი არაფერია. ცხადია, კრემლი ცდილობდა გაელენა მოეხდინა საქართველოში არსებულ ვითარებაზე და პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ამ მიზნით ის წარმატებით იყენებდა გამსახურდიას რადიკალიზმს და პოლიტიკურ გამოუცდელობას. მაგრამ ზუსტად ასევე იყენებდა კრემლი კონგრესის მომხრე რადიკალების პოლიტიკურ უმწიფრობასაც. რაც შეეხება ხელისუფლებაში გამსახურდიას მოსვლას: მართებულად შენიშნავს დიმიტრი შეელიძე, რომ კრემლს კი არ სურდა გამსახურდიას მოსვლა ხელისუფლებაში, არამედ ის იძულებული იყო შერიგებოდა მის მოსვლას. მოსკოვი ვეღარ დაეყრდნობოდა კომუნისტებს – მათ ხალხის ნდობის ლიმიტი სრულად ჰქონდათ ამოწურული. ქართველი ხალხი ეროვნული დამოუკიდებლობის იდეას უჭერდა მხარს, რომელიც მის შეგნებაში, იმ ხანად, გამსახურდიას პი-

როვნებასთან ასოცირდებოდა. და მოსკოვი იძულებული იყო შერიგებოდა ამ რეალობას. ანუ კონგრესისტები ამჯერადაც უნაცვლებდნენ აღგილს მიზეზსა და შედეგს. კრემლი კი ეერ გეგმავდა საქართველოში მოვლენების განვითარებას, არამედ ეერ უშლიდა ხელს ამ განვითარებას. იგი ანგარიშს უწეედა რეალობას და ცდილობდა მაქსიმალურად სათავისოდ გამოეყენებინა იგი.

ცხადია, თავის მხრივ, „მრგვალი მაგიდაც“ ამტკიცებდა, რომ კრემლის ინტერესებს სწორედ კონგრესისტები ემსახურებოდნენ. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ექსმა პარტიამ და ხუთმა საარჩევნო კოალიციამ. ესენი იყვნენ: კომუნისტები (რომლებიც, სხვა პარტიების მსგავსად, დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამოდიოდნენ), „მრგვალი მაგიდის“ კოალიციური გაერთიანება, „დემოკრატიული საქართველო“ (ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, ივ. ჯავახიშვილის საზოგადოება, თავისუფალ დემოკრატთა კავშირი) ბლოკი „თავისუფლება“ (ირაკლი შენგელაია, მიხეილ ნანეიშვილი), საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი, (ვალერიან აღვაძე), სახალხო ფრონტი, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება, საქართველოს სახალხო პარტია, საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი და სხვ.

კამათს იწვევდა საკითხი, თუ როგორი სისტემით უნდა ჩატარებულიყო უზენაესი საბჭოს არჩევნები – მაჟორიტარული თუ პროპორციული სისტემით. გადაწყდა – შერეული სისტემით. თუმცა, საარჩევნო კანონის მიერ არჩევნების პროცესიდან იმ პარტიების გამორიცხვამ, „რომელთა საქმიანობა არ ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე”, შეზღუდა საქართველოს ეროვნული უმცირესობების ორგანიზებული მონაწილეობა არჩევნებში. მაშინდელ საქართველოში აფხაზები მოსახლეობის მხოლოდ 1,8 პროცენტს შეადგენდნენ, ოსები - 3 პროცენტს. ცხადია მათ ესმოდათ, რომ არჩევნების შედეგებზე რაიმე გავლენის მოხდენას ვერ შეძლებდნენ. ამიტომაც საარჩევნო კანონის ზემოთდასახელებული შესწორება „აიდგილარამ“ და „ადამონ ნიხასმა“ საბაბად გამოიყენეს და ბოიკოტი გამოუცხადეს არჩევნებს. ამის შედეგად, ცხინვალის რეგიონში ხმის უფლების მქონე 40 ათასი ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა მხოლოდ 7 ათასმა მიიღო.

28 ოქტომბრის არჩევნები „მრგვალი მაგიდის“ შთამბეჭდავი გამარჯვებით დამთავრდა. მან ხმების 53,99 პროცენტი მიიღო (155 ადგილი). მეორე ადგილზე გასულმა კომუნისტურმა პარტიამ მხოლოდ ხმების 29,58 პროცენტი დააგროვა (64 ადგილი). დანარჩენ

პოლიტიკურ ძალებს ხმების უმნიშვნელო რაოდენობა ხვდათ: „თანხმობა, მშვიდობა, აღორძინება – 3,47 პროცენტი; „თავისუფლება“ – 3,10 პროცენტი; რუსთაველის საზოგადოება – 2,32 პროცენტი; სახალხო ფრონტი – 1,89 პროცენტი და ა. შ.

თავიანთი პარტიული გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში, მწვანეთა პარტიის ახალგაზრდა სპიკერი ზურაბ ქევანია, არჩევნების შედეგებს რომ აანალიზებდა, აღნიშნავდა: „ეს არ იყო ჩვეულებრივი არჩევნები, როცა ხალხს ხმა უნდა მიეცა მისთვის ყველაზე მისაღები პარტიისთვის. ... 28 ოქტომბერს ხალხმა აირჩია არა რომელიმე პარტია, არამედ დამოუკიდებლობა.“ ქევანია მიესალმებოდა ეროვნული ხელისუფლების ჩამოყალიბებას და აღნიშნავდა, რომ „ოპოზიციონერობა თვითმიზანი არ არის“ და რომ მწვანეები მზად არიან ეროვნულ ხელისუფლებასთან სათანამშრომლოდ.[58]

გამსახურდიას ასეთი დიდი უპირატესობით გამარჯვებაში კონგრესისტები კომუნისტებს ადანაშაულებდნენ – ხელისუფლება გამსახურდიას გაანგებ გადააბარესო. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ ეს ბრალდება სიმართლეს არ შეეფერებოდა. კომუნისტებმა კი არ „გადააბარეს“ ხელისუფლება გამსახურდიას, არამედ ხელი ვერ შეუშალეს ხელისუფლებაში მის მოსვლას.

აი, კონგრესისტებს კი ამ საქმეში მართლაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღოდათ. სწორედ მათი უგუნური ბოიკოტის ტაქტიკის წყალობით მიიღო გამსახურდიამ ხმების ასეთი დიდი რაოდენობა. არჩევნებში მათი (კონგრესისტების) მონაწილეობა გამსახურდიას ხმების გარკვეულ რაოდენობას ჩამოაცილებდა, რაც სავსებით საკმარისი იქნებოდა უზენაეს საბჭოში მეტნაკლებად ძლიერი ოპოზიციური ფრაქციის შესაქმნელად. ასეთ ვითარებაში გამსახურდია ვეღარ გაბედავდა ოპოზიციის სრულ იგნორირებას.

ახლა კი გამსახურდია შთამბეჭდავ გამარჯვებას ზეიმობდა. მთაერობაში მან რამდენიმე ადგილი კომუნისტებს დაუთმო, მაგრამ მათ ოპოზიციაში დგომის თავი არ ჰქონდათ. ხალხის მასების ანტიკომუნისტური განწყობით დათრგუნულნი, ისინი უსიტყვოდ ეთანხმებოდნენ მმართველი ბლოკის ყველა გადაწყვეტილებას.

ხელისუფლების სათავეში მოსულმა გამსახურდიამ თავი კვლავ ეროვნული მოძრაობის ნაწილად გამოაცხადა და მიტინგების პრაქტიკა განაგრძო.

---

[58]. „ოპოზიციონერობა თვითმიზანი არ არის, გაზ. „დედამიწა.“1990 წ. 23 ნოემბერი

თავი II

კონფრონტაციული დაპირისპირება ეროვნულ ხელისუფლებასა და შეურიგებელ ოპოზიციას შორის. ბანხეთჭილება „მრგვალი მაგიდის“ შიგნით.

§ 2.1 ეროვნული ხელისუფლების პირველი ნაბიჯები. ხელისუფლებასთან თანამშრომლობის მცდელობა შეურიგებელ რადიკალთა მხრიდან.

ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს პირველი სესია 1990 წლის 14 ნოემბერს შედგა. სესიამ მიიღო საქართველოს უზენაესი საბჭოს მიმართვები: „მსოფლიო ხალხებს,“ „სრულიად საქართველოს,“ „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების პარიზის კონფერენციას“. ამ მიმართვებში საქართველოს უზენაესი საკანონმდებლო ორგანო აუწყებდა მსოფლიო თანამეგობრობას, ქართველ ხალხს, რომ საქართველომ „მოიპოვა შესაძლებლობა აერჩია ის გზა, რომელმაც იგი ევროპის ხალხების ოჯახში უნდა დააბრუნოს“.

სესიაზე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ზვიად გამსახურდია. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გახდა თენგიზ სიგუა. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შეეცვალა სახელწოდება. ამიერიდან იგი საქართველოს რესპუბლიკად იწოდებოდა. აღდგა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სიმბოლიკა — გერბი, დროშა და ჰიმნი. სესიაზე წარმოთქმულ თავის სიტყვაში გამსახურდიამ განაცხადა, რომ „საქართველო გახდებოდა მორალური სიდიდის მაგალითი მთელი მსოფლიოსთვის“.

უზენაესი საბჭოს პირველმა სესიამ მიიღო უმნიშვნელოვანესი კანონი „საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ“. ეს კანონი ქვეყანაში „დროებით ძირითად კანონად“ გამოცხადდა. გარდამავალი პერიოდის მანძილზე უნდა მომზადებულიყო სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის რეალური საფუძვლები. დამოუკიდებელი საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღებამდე ძალაში დარჩა არსებული კონსტიტუცია „სათანადო ცვლილებებითა და დამატებებით.“ კონსტიტუციის 68-ე მუხლის ძალით „საქართველოს რეს-

პუბლიკა მხოლოდ გარდამავალი პერიოდის განმავლობაში იძულებულია უზრუნველყოს სსრ კავშირისთვის მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით უფლებები, რომლებიც განსაზღვრულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლით.

ზემოთ აღნიშნულ ფარგლებს გარეთ რესპუბლიკა დამოუკიდებლად ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე."

სესიამ დაამტკიცა მთავრობის ახალი კაბინეტი. გამსახურდია კადრებს პირადი ერთგულების პრინციპით არჩევდა და ამას არც მალავდა (ერთ-ერთ უცხოელ ჟურნალისტს, კითხვაზე, თუ რა პრინციპებით არჩევდა ის კადრებს სახელისუფლებო ვერტიკალისთვის, გამსახურდიამ პირდაპირ უპასუხა: „პირადი ერთგულების პრინციპითო"). სწორედ ამ პრინციპით დაკომპლექტდა მთავრობის კაბინეტიც, რომლის შერჩევისას უგულვებელყოფილი იქნა ხელმძღვანელ თანამდებობაზე კადრების შერჩევის ისეთი აუცილებელი კრიტერიუმები, როგორიცაა პროფესიონალიზმი, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება, კომუნიკაბელობა, კომპეტენტურობა, პოლიტიკური კულტურისა და აზროვნების დონე და სხვ. ამიტომ ვერ დავეთანხმებით დიმიტრი შველიძეს, რომელიც თვლის, რომ „ხელისუფლების პირველ მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობას პროფესიონალიზმის, პატრიოტიზმისა თუ პიროვნული მახასიათებლების მიხედვითაც წუნი არ დაედებოდა."[59] გამსახურდია ვერ ფლობდა ხელმძღვანელობის ხელოვნებას. კადრების შერჩევისას ის ელემენტარულ წესებს არ იცავდა. მას არ სურდა შერიგებოდა აზრს, რომ ნებისმიერ ხელისუფალს ქვეყნის მართვა მხოლოდ ელიტაზე, ისთებლიშმენტზე დაყრდნობით შეუძლია. მინისტრთა კაბინეტის დამტკიცებიდან სულ მალე გამოჩნდა, თუ როგორი „პროფესიონალები" იყვნენ თეიმურაზ კვანტალიანი, რომელმაც ტელევიზიაში მისვლისთანავე თავისი ხისტი საკადრო პოლიტიკით და არაკომპეტენტურობით მთელი კოლექტივი აიმხედრა; ნოდარ წულეისკირი, რომლის მწერლურ ნიჭიერებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ კულტურის მინისტრობა სხვა მახასიათებლებსაც

---

[59]. დიმიტრი შველიძე, „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წწ)", გვ 140.

გულისხმობს, რომელთა უქონლობამაც ახალი მინისტრის და სამინისტროს კოლექტიეის მწვავე დაპირისპირება გამოიწვია; თამაზ გველესიანი, რომლის პატიოსნებამ და კეთილსინდისიერებამ პირველიეე გამოცდაზე სრული ფიასკო განიცადა, გურამ აბსანძე, რომლის კეთილსინდისიერებას და ერთგულებას შემდეგში თვით მისსიეე უახლესი თანამებრძოლები აყენებდნენ ეჭვსქვეშ; დილარ ხაბულიანი, რომლის სამსახურებრე კარიერას მინისტრობამდე მხოლოდ გამსახურდიას პირადი დაცვის უფროსობა „ამშვენებდა“ და რომელიც შემდგომ მოჭიდავეის 300 სიტყვიანი ლექსიკონით სშირად „მოძღვრაედა“ საზოგადოებას; გიორგი ხოშტარია, რომელიც საფრანგეთში ოფიციალური ეიზიტიდან დაბრუნებული, ტელეეურნალისტის კითხვაზე, თუ რომელ ოფიციალურ პირებს შეხედა ვიზიტის ფარგლებში, აცხადებდა, რომ მას შეხეედრა ჰქონდა ერთ-ერთ ფრანგ ოფიციალურ პირთან ალა-ფურშეტზე; გურამ პეტრიაშეილი, რომელიც გამომცემლობა „საქართველოს“ დირექტორად დაინიშნა და რომლის შესახებაც მაშინ პოპულარული იყო ნოდარ დუმბაძის ხუმრობა — „გურამ პეტრიაშეილი „ხიმჩისტკაში“ უნდა ჩააბარო და მერე ქვითარი დაკარგოო“ და სხვ.

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა იყო პრეფექტების თანამდებობაზე კადრების შერჩევის საქმეში.

ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, რომელიც ძალაუფლების ხელში აღებისთანავე დადგა ეროვნული ხელისუფლების წინაშე, იყო ეროვნული ძალების გათიშულობის გადალასვა, მათ შორის დაპირისპირებულობის მოსპობა. ამ მიზნით უზენაესმა საბჭომ მიიღო დოკუმენტი — „მიმართვა სრულიად საქართველოსადმი“, რომელშიც აღნიშნული იყო: „საქართველოს უზენაესი საბჭო მიმართავს ყველას, ვისაც გულწრფელად აწუხებს სამშობლოს ბედი, დადგეს ეროვნული შერიგების პოზიციაზე. მხოლოდ მტკიცე თანხმობა და ერთიანობა იხსნის საქართველოს, მიგვიყვანს ჭეშმარიტ დამოუკიდებლობამდე. ძმათა შორის შუღლის ჩამოგდება ახლა ღალატის ტოლფასია. ერთიანი საქართველო უნდა იყოს თითოეული ჩვენგანის უპირველესი საზრუნავი.“[60]

---

[60] . „მიმართეა სრულიად საქართველოს“ გაზ. „ახალისაქართველო“, 15 ნოემბერი, 1990 წ.

მშვენიერი სიტყვებია. ახლა ამ უაღრესად მართებულ პოზიციას ქართული პოლიტიკური სპექტრის მიერ საქმით, კონკრეტული პრაქტიკული ნაბიჯებით გამაგრება სჭირდებოდა. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრებოდა. სწორედ ის უნდა ყოფილიყო ეროვნული ძალების შემკრები და დამრაზმაეი. მას, როგორც გამარჯვებულ ძალას, გაცილებით აღვილად, თავმოყვარეობის, თუ პატივმოყვარეობის გადალახვის გარეშე შეეძლო პირველს გაეწვდინა შერიგების ხელი. თითქოს, „მიმართვა“ ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო კიდეც. ოღონდ, კვლავ ვიმეორებ, ლამაზ სიტყვებს პრაქტიკული ნაბიჯებიც უნდა მოჰყოლოდა ..

1990 წლის 30 ნოემბერს ეროვნული კონგრესი თავის მეორე სესიაზე შეიკრიბა. კონგრესმა სამოქმედო დოკუმენტად მიიღო თეიმურაზ სუმბათაშვილის მიერ სესიაზე წაკითხული მოხსენება, რომელიც კვლავ ჯიუტად იმეორებდა ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე კონგრესისტთა უტოპიურ, ცხოვრებას მოწყვეტილ შეხედულებებს. ამ დოკუმენტის მიხედვით, ეროვნული ფორუმის დაშლა, 25 მარტის არჩევნების გადაღება, მრავალპარტიული არჩევნების იდეის „შემოგდება“ და ამ არჩევნებში „მრგვალი მაგიდის“ გამარჯვება მოსკოვის მზაკერული გეგმის მიხედვით განხორციელდა. არჩევნებში მონაწილეობით ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ (მისმა ნაწილმა) დაუშვა გამოუსწორებელი შეცდომა, რადგან ამით მან დაადასტურა საბჭოთა ხელისფლების კანონიერება.

1921 წელს საქართველოს გასაბჭოება არაკანონიერი იყო. ამიტომ არაკანონიერი საბჭოთა ხელისუფლების მიერ დანიშნული არჩევნებიც და, შესაბამისად, ამ არჩევნების გზით ქვეყნის სათავეში მოსული ხელისუფლებაც უკანონოა, დაასკვნიდა კონგრესის დოკუმენტი.

კონგრესის აზრით, ამ ჩიხური მდგომარეობიდან მხოლოდ ერთი გამოსავალი იყო: „ქართველ ხალხს უნდა განეხორციელებინა ეროვნული დაუმორჩილებლობის პერმანენტული პროცესი“, რომლის შემხედვარე საერთაშორისო ორგანიზაციები, პირველ რიგში კი გაერო, „ჩვენს სასარგებლოდ იმოქმედებდნენ“.

დღევანდელი გადასახედიდან სუმბათაშვილის ამ მოხსენების აბსურდულობა იმდენად აშკარაა, რომ ვეჭვობ, მას დამცველი გამოუჩნდეს (თუმცა, საქართველოში არასოდეს არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება). მაგრამ, მაშინ ასეთი მსჯელობა კონგრე-

სის წევრ არაერთ ინტელექტუალს - აკადემიკოსს და პროფესორს მისაღებად მიაჩნდა. მთავარი კი ისაა, რომ ამ დოკუმენტით კონგრესი პრინციპულად უპირისპირდებოდა ეროვნულ ხელისუფლებას და მასთან თანამშრომლობას გამორიცხავდა.

და მაინც, ეროვნულ კონგრესში ყველა როდი იდგა ასეთ შეურიგებელ პოზიციაზე. მასში შემაუალი პოლიტიკური ორგანიზაციები (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გარდა) ეროვნულ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სურვილს გამოთქვამდნენ. მათი ინიციატივით 8 დეკემბერს გაიმართა ეროვნული კონგრესის და „მრგვალი მაგიდის“ წარმომადგენელთა შეხვედრა. მოსახლეობას შესაძლებლობა ჰქონდა ტელევიზიის მეშვეობით ენახა ამ შეხვედრის ფრაგმენტები. დიალოგი საკმაოდ დრამატულად წარიმართა. თუმცა, ბოლოს, გარკვეული შეთანხმების მიღწევა მაინც მოხერხდა. გადაწყდა, რომ იმ ხანად ყველაზე რთული და პრობლემატური საკითხის – „მხედრიონის“ ბედის გადასაწყვეტად შეიქმნებოდა პარიტეტული კომისია ხელისუფლების, ეროვნული კონგრესის, ინტელიგენციის წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელიც შეიმუშავებდა კომპრომისულ დოკუმენტს აღნიშნულ საკითხზე.

ამრიგად, დაისახა ერთიანი პლატფორმის ჩამოყალიბების, ეროვნული თანხმობის მიღწევის გზა.

სამწუხაროდ, ამ ტენდენციას გაგრძელება არ ეწერა. ჯერ კიდევ წინა დღით, 7 დეკემბერს, გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ გამოაქვეყნა ზვიად გამსახურდიას საუბარი ამერიკელ ჟურნალისტ ედმონდ სტივენსონთან, რომელშიც უზენაესი საბჭოს თაემჯდომარე ეროვნულ კონგრესს ფიქციად მოიხსენიებდა. „ეს იყო გაყალბებული არჩევნები (იგულისხმება ეროვნული კონგრესის არჩევნები უ. ბ.), რომელშიც საქართველოს მოსახლეობის ორ პროცენტსაც არ მიუღია მონაწილეობა. მათ არ გამოუქვეყნებიათ დეტალური მონაცემები რაიონებისა და უბნების მიხედვით. ისინი არ შეუმოწმებიათ საზღვარგარეთელ ექსპერტებს. ასე, რომ თვითმარქვია „ეროვნული კონგრესი“ არაეითარ პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენს და მით უმეტეს, არ არის „ხელისუფლების სტრუქტურა“, – აღნიშნავდა გამსახურდია.

8 დეკემბერს უზენაესი საბჭოს პრესცენტრში მოწყობილ პრესკონფერენციაზე გამსახურდიამ განაცხადა, რომ კონგრესში შემავალი პარტიების „მოღვაწეობა გამოიხატება კრიმინალურ მაფიებთან კავშირში და დაცვაში, ერთგვარი ალიანსიც კი აქვთ

კრიმინალურ სამყაროსთან და ერთიანი ფრონტით გამოდიან ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ."[61]

9 დეკემბერს, თავის მორიგ პრესკონფერენციაზე, გამსახურდიამ მისთვის ჩვეული უპელაციობით, ეროვნული კონგრესის პარტიების ლიდერებს „კრემლის აგენტები" უწოდა.

ზემოთ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, თუ როგორ არაადექვატურად უპასუხა კონგრესმა უზენაესი საბჭოს მოწოდებას ეროვნული თანხმობისკენ. ამის მიუხედავად კონგრესში მაინც გამოჩნდნენ ძალები, რომლებმაც თანამშრომლობისთვის მზადყოფნა გამოხატეს და ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯებიც გადადგეს. გაჩნდა თუ მთელ კონგრესთან არა, მის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილთან თანამშრომლობის შანსი. ამ პროცესის წარმატებით განვითარება მნიშვნელოვნად დაასუსტებდა შეურიგებელ ოპოზიციაში მარგო დარჩენილ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას. ხელისუფლების მხრივ ამ შანსის გამოუყენებლობა შეუწყნარებელი შეცდომა იყო. ზემოთ ჩვენ ხელისუფლების მხრივ მეტ პასუხისმგებლობაზეც ვისაუბრეთ. იგრძნობოდა ეს „მეტი პასუხისმგებლობა" გამსახურდიას გამოსვლებში?

სამწუხაროდ – არა. ჩვენს მიერ მოხმობილი გამსახურდიას გამონათქვამები აბსოლუტურად სწორ დებულებებს შეიცავდნენ. სიმართლე იყო, რომ კონგრესის არჩევნები გაყალბდა, ისიც სიმართლე იყო, რომ კონგრესს კრიმინალურ სამყაროსთან ჰქონდა კავშირი ... მაგრამ საჭირო იყო ამ სიმართლეზე საუბარი სწორედ მაშინ, როდესაც მოლაპარაკება მიმდინარეობდა? როდესაც კონგრესის წევრებს შორის ბზარის გაჩენის რეალური შანსი გამოიკვეთა? მით უმეტეს, არ შეიძლებოდა „კრემლის აგენტის" ამოჩემებული იარლიყის ქვეშ ყველა ოპოზიციონერის გაერთიანება. „არ არის საჭირო ყოველთვის იყო მართალი, ზოგჯერ საჭიროა იყო ჭკვიანი". გამსახურდიას ყოველი ქმედება ამ აღმოსავლური სიბრძნის სრულ ანტიპოდს წარმოადგენდა.

დაპირისპირებული მხარეების შემდგომი შეხვედრა აღარ შედგა. ირაკლი წერეთლის განცხადებით, მას არ შეეძლო მოლაპარაკების გამართვა კაცთან, რომელიც საჯაროდ მას „კრემლის აგენტს" უწოდებდა.

---

[61] ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 18 დეკემბერი, 1990 წ.

ზვიად გამსახურდიამ ვერ შეძლო გაეთავისებინა ერის ლიდერის როლი. რესპუბლიკის ხელმძღვანელის პოსტზეც ის კვლავ დისიდენტად, კვლავ „მრგვალი მაგიდის“ ლიდერად რჩებოდა. მას გაუჭირდა იმის გაცნობიერება, რომ საქართველო მხოლოდ მისი მომხრეებისგან არ შედგებოდა.

ამის თაობაზე გამსახურდიას შესანიშნავად, ხატოვნად, დიდი ტაქტით მოძღვრავდა ისტორიკოსი ლეონარდ ტუხაშვილი: „როდესაც გამაერთიანებელი ლიდერი პოლიტიკური მმართველობის საჭეს აიღებს, ის ხდება პასუხისმგებელი საკუთარი იდეის მოწინააღმდეგეების წინაშეც. საქართველო მხოლოდ „მრგვალი მაგიდა“ არ არის: საქართველო მთლიანობაა, დაპირისპირებულთა მთლიანობა. შესაძლოა, ბატონი ზვიად გამსახურდია იყოს უმკაცრესი, ვთქვათ, კომუნისტური პარტიის მიმართ, როგორც პიროვნება, მაგრამ ვითარცა რესპუბლიკის ხელმძღვანელი, უბრალოდ ვალდებულია იზრუნოს თუნდაც მისთვის ყველაზე მიუღებელი პოლიტიკური მოძრაობის დაცვისთვის, თუ ეს მოძრაობა კონსტიტუციური კანონიერების ფარგლებში რჩება. მაშასადამე, კომპარტიაც კი, სანამ ის კონსტიტუციურია, რჩება რესპუბლიკის ხელმძღვანელის დაცვის სფეროში.[62]“ — წერდა ის.

თავის ამ თეზისს ლეონარდ ტუხაშვილი ქიზიყელი გლეხის - პაატა ბაღაშვილისა და ერეკლე მეფის შესახებ შემორჩენილი ლამაზი ლეგენდით ამაგრებდა.

ლეგენდის თანახმად, ბავშვობაში პატარა კახი პაატა ბაღაშვილს ჭიდაობაში დაუმარცხებია. ერეკლე დამუქრებია – მეფე რომ გაეხდები, თავს წაგაგდებინებო. ერეკლეს გამეფების შემდეგ პაატა კარგა ხანს იმალებოდა თურმე. ბოლოს მეფის წინაშე მაინც გამოცხადებულა საჩიერით. ერეკლეს თავისი ბავშვობისდროინდელი მეტოქე ვერ უცვნია და მისთვის მოსვლის მიზეზი უკითხავს. „ერეკლე მეფეს ვუჩივი, მას ჩემი მოკვლა სურსო“, – უთქვამს გლეხს. „ის თუ იცი, ახლა ვის წინაშე დგახარო?, - კვლავ უკითხავს ერეკლეს. „როგორ არა, ჩემი ბატონის წინაშე ედგავარ. მე სხვა დამცველი არა მყავს. ჩემი პატრონი შენა ხარ და შენ გევალება უსამართლობისგან ჩემი დაცვაო“, - მიუგია ბაღაშვილს და ერეკლესთვის ბავშვობისდროინდელი მუქარა შეუსენებია.

---

[62] .გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 14 მარტი, 1991 წ.

მეუეს გულიანად გაცინებია ჭკვიანი გლეხის გონებამახვილობაზე, უსვად დაუსაჩუქრებია იგი და შინ გაუსტუმრებია.[63]

სამწუსაროდ, ეს და სხვა მსგავსი ბრძნული შეგონებანი გამსასურდიაზე გავლენას ვერ ახდენდა.

§ 2.2 „მხედრიონი"

1988 წლამდე ეროვნული მოძრაობა საზოგადოების ყველა ფენას ემიჯნებოდა. მეტიც, ყველას ერთად ებრძოდა. გამსახურდიას თვითგამოცემის ერთ-ერთ ნომერში ერთი სტატია სტალინის პიროვნების წინააღმდეგ იყო მიმართული (რაც, ბუნებრივია, სტალინელებს აღიზიანებდა. ისინი კი მაშინ ცოტანი როდი იყვნენ), მეორე სტატიაში სამღვდელოება იყო გაკრიტიკებული (რაც მორწმუნეთა უკმაყოფილებას იწვევდა), მესამე სტატია ინტელიგენციის განქიქებას ეძღვნებოდა და ა. შ. მთლიანად გამოცემა კი, რა თქმა უნდა, ანტისაბჭოურ ხასიათს ატარებდა.

ეროვნული მოძრაობის დისიდენტური პერიოდის დამთავრების შემდეგ ამ მოძრაობაში ფართო ფენები ჩაებნენ. აი, სწორედ ამ დროს გაჩნდა ახალი სოციალური ჰიბრიდი - ეროვნულ მანგიაში შემოსილი „ძველი ბიჭების" ინსტიტუტი.

პლეხანოველი, „ოქროს უბნელი," საბურთალოელი „ძველი ბიჭების" შეკრებები ჯერ კიდევ 1989 წლის დამდეგიდან დაიწყო. მაშინ მათ გაერთიანებას „მხედრიონი" ჯერ კიდევ არ ერქვა. მოგვიანებით ძველ ბიჭებს ჯაბა იოსელიანიც შეუერთდა. მალე იგი ორგანიზაციის აღიარებული ლიდერი გახდა. „მხედრიონი" და მისი ლიდერი თავიდანვე გამსახურდიასადმი მკვეთრად დაპირისპირებულ ძალას წარმოადგენდა. ეს გასამხედროებული ორგანიზაცია ნებაყოფლობით საწყისებზე შეიქმნა და თავის მიზნად საქართველოში კონფლიქტური სიტუაციების განმუხტვა, ეთნიკურად ჭრელ რეგიონებში ქართველთა ინტერესების დაცვა გამოაცხადა.

მალე ორგანიზაციას „ოქროს უბნელი" ძველი ბიჭები გამოეყვნენ და ავთანდილ მანაგაძის ხელმძღვანელობით გამსა-

---

[63] . ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 14 მარტი, 1991 წ.

ხურდიასთან ასლოს მდგომი ორგანიზაცია – „თეთრი გიორგი“ შექმნეს.

თუმცა, ძველი ბიჭების დიდი ნაწილი ჯაბა იოსელიანთან დარჩა. „მხედრიონმა“ ბინა „ჭადრაკის სასახლეში“, ყოფილ „ალპინისტთა კლუბში“ დაიდო.

იარაღის შეძენას, ფინანსებთან დაკავშირებული ყველა სხვა საკითხის მოგვარებას „მხედრიონი“ რადიკალების მიერ უკვე აპრობირებული მეთოდით – წარმოება-დაწესებულებებისთვის, კერძო პირებისთვის ფულის „შეწერის“ გზით ახერხებდა. ეს გარემოება ხელს უწყობდა ამ ორგანიზაციაში კრიმინალური ელემენტების მოძალებას. თუმცა, „მხედრიონის“ მიერ დეკლარირებული კეთილშობილური, ეროვნული მიზნის გამო მასში ჭეშმარიტად პატრიოტულად განწყობილი ასალგაზრდობაც ერთიანდებოდა. „მხედრიონმა“ მართლაც მნიშვნელოვანი პოზიტიური როლი შეასრულა ქვემო ქართლში, ცხინვალის რეგიონში, აფხაზეთში არსებული კონფლიქტური სიტუაციების განმუხტვისა და ქართველთა კანონიერი ინტერესების დაცვის საქმეში, რითაც ქართველი ხალხის საკმაო ნაწილის სიმპატია დაიმსახურა.

ცხადია, ასეთი სოციალური ბაზის მქონე სამხედრო ძალასთან დამოკიდებულებაში ხელისუფლებას დიდი ტაქტი და მოქნილება მართებდა. გარეშე მტრებით შემოჯარულ საქართველოში ქართველთა შორის ქიშპი მხოლოდ მტრის წისქვილზე თუ დაასხამდა წყალს. სამწუხაროდ, გამარჯვებით და ხალხის მხარდაჭერით ეიფორიაში მყოფი ხელისუფლება „მხედრიონის“ მიმართაც კონფრონტაციულ პოლიტიკას ახორციელებდა.

1990 წლის 20 დეკემბერს ხელისუფლებამ მიიღო კანონი რესპუბლიკის შინაგანი ჯარების – ეროვნული გვარდიის შესახებ. კანონის თანახმად იქმნებოდა რეგულარული შეიარაღებული ძალა, რომლის ამოცანასაც ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვა, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების უზრუნველყოფა წარმოადგენდა. გამსახურდიას ხელისუფლების ეს კომპრომისული გადაწყვეტილება არსებული პოლიტიკური რეალიების გათვალისწინების შედეგი იყო. საქართველო ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ ქვეყანას. ფორმალურად ის სსრ კავშირის შემადგენლობაში რჩებოდა. რესპუბლიკის ხელმძღვანელობას არ შეეძლო შეექმნა ქართული არმია, ეს მოსკოვის პროტესტს და შესაძლო მწვავე რეაქციას გამოიწვევდა. ამიტომაც შინაგანი ჯარის ფორმით, მისთვის საზოგადოებრივი წესრიგის ფუნქციის მინიჭე-

ბით, საქართველოს ხელისუფლებამ უშუალოდ მისადმი დაქვემდებარებული სამხდრო ძალის შექმნა შენიღბა.

ცხადია, ეს ხელისუფლების გონივრული ნაბიჯი იყო. ხელისუფლებამ გვარდიაში გაერთიანებისკენ მოუწოდა ყველა შეიარაღებულ ფორმირებას, რომელიც მიზნად არ ისახავდა „საქართველოს ეროვნულ მთავრობასთან ბრძოლას და კონფრონტაციას“.

1990 წლის 28 დეკემბერს უზენაესმა საბჭომ კიდევ ერთი დადგენილება მიიღო: „კანონით გაუთვალისწინებული შეიარაღებული ფორმირებების აკრძალვის შესახებ“. ასეთი ფორმირებების წევრებს დაევალათ დაუყოვნებლივ ჩაებარებინათ იარაღი და განეგრძოთ ჩვეულებრივი სამოქალაქო ცხოვრება. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ განხორციელდებოდა კანონით გათვალისწინებული იძულებითი ღონისძიებანი. ეს დადგენილება თანაბრად შეეხებოდათ „მხედრიონსაც“, მერაბ კოსტავას საზოგადოების შეიარაღებულ რაზმებსაც, „იმედსაც“ და „თეთრი გიორგის“ სახელწოდებით ცნობილ შეიარაღებულ დაჯგუფებასაც.

გვარდიის შექმნის შემდეგ ეს დაჯგუფებები ვერ ჯდებოდნენ სამართლებრივ ჩარჩოებში და უნდა დაშლილიყვნენ. ხელისუფლებას სრული უფლება ჰქონდა ასე მოქცეულიყო. მეტიც, ის ვალდებული იყო გადაედგა ასეთი ნაბიჯი.

ეიმეორეს, სამართლებრივი თვალსაზრისით საქართველოს ხელისუფლების ეს დადგენილება და მისი რეალიზაციისთვის გადადგმული შემდგომი პრაქტიკული ნაბიჯები აბსოლუტურად გამართლებული იყო. მაგრამ, ერთია ხელისუფლების ქმედებათა კანონთან შესაბამისობა და მეორეა ამ ქმედებათა მოცემულ მომენტში მიზანშეწონილობის საკითხი. ვიდრე რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებს, ხელისუფლებამ შესაძლო შედეგები უნდა გათვალოს. ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს მომენტის ზუსტად შერჩევას. დავით აღმაშენებელს შეეძლო მეფობის პირველივე წელს შეეწყვიტა ხარკი თურქ-სელჯუკებისთვის, და ეს აბსოლუტურად სამართლიანი იქნებოდა. მაგრამ მან ეს ნაბიჯი თავისი მეფობის მხოლოდ მეათე წელს, მხოლოდ მას შემდეგ გადადგა, როდესაც ამისთვის საჭირო პირობები შეამზადა.

რამდენად შემზადებული იყო მაშინდელ საქართველოში ვითარება უკანონო შეიარაღებული ფორმირებების დასაშლელად?

„მხედრიონი“ მაშინ მოსახლეობის ჯერ კიდევ საკმაო ნაწილის მხარდაჭერით სარგებლობდა. გამსახურდიას მიმართ პიროვნული სიძულვილის საფუძველზე ეს გასამხედროებული ორ-

განიზაცია მჭიდროდ დაუახლოვდა ეროვნულ კონგრესს. მის მიმართ ლოიალურად იყო განწყობილი ქართველი ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილიც. ჯაბა იოსელიანის განცხადებით, „მხედრიონში“ 2500 კაცი იყო გაერთიანებული. საჭიროების შემთხვევაში კი მას ამდენივე რეზერვისტის მობილიზება შეეძლო. ხელისუფლების მიერ შეიწროებული „მხედრიონი“ ნოემბრის ბოლოდან ოპერის ბაღში შიმშილობდა. დეკემბრის დასაწყისში მოშიმშილეთა რაოდენობა 67 კაცს აღწევდა. მოშიმშილე ჯაბა იოსელიანი აცხადებდა, რომ კომუნისტების დიქტატურა „მრგვალთა“ დიქტატურამ შეცვალა.

ეს გარემოებაც „დაჩაგრულის“ და „შეიწროებულის“ იმიჯს უქმნიდა „მხედრიონს“, რაც მის მიმართ თანაგრძნობას იწვევდა.

ზემოთ ვთქვით და ახლა კელავ ვიმეორებთ, რომ ასეთი სოციალური ბაზის მქონე ძალასთან გაცილებით ფრთხილი პოლიტიკის გატარება იყო საჭირო. მართალია, ჯაბა იოსელიანი ძველბიჭური ქარგონით იმუქრებოდა, რომ „ეროვნული გვარდია ეს არის ნამდვილი ბლეფი ჩვენ დავემორჩილებთ მხოლოდ ისეთ ორგანოს, რომელიც იქნება მთელი ქართველი ხალხის ნებისა და ინტერესების გამომხატველი. პირადად ვინმეს, თუნდაც ზვიად გამსახურდიას ან სხვას, ჩვენ არ დავემორჩილებით თუ ვინმე ჩვენს დაშლას მოინდომებს, ვურჩევ, ილუზიებს თავი დაანებოს. მართალია, სისხლი დაიღვრება, მაგრამ ყველამ იცოდეს, რომ მოწინააღმდეგის იარაღი ჩვენს ხელში გადმოვა. თუ რუსის ჯარს მოიშველიებენ, ჩვენ ტყეში გავალთ და იქიდან ვიბრძოლებთ,“[64] მაგრამ ამ განცხადების გაკეთებიდან რამდენიმე დღის შემდეგ პრესაში გამოქვეყნებული „მხედრიონის“ მიმართვა ხელისუფლებასთან კომპრომისზე წასვლის მზაობას შეიცავდა.

1991 წლის 11 იანვარს გაზეთმა „მოლოდიოჟ გრუზიამ“ გამოაქვეყნა „მხედრიონის“ განცხადება (მოგვიანებით იგი გაზეთმა „ასალგაზრდა ივერიელმაც“ გადმობეჭდა), რომელშიც ეს ორგანიზაცია გამოთქვამდა „ჩვენი საბოვადოების სტრუქტურასა და მის მმართველობით სისტემაში“ კანონიერ საფუძველზე ჩაწერისთვის მზადყოფნას.

---

[64] ვაზ. „7 დღე“, 4 იანვარი, 1991 წ.

„მხედრიონის“ აზრით, ეროვნული არმიის შექმნის შემდეგ ამ ორგანიზაციის არსებობა საჭირო აღარ იქნებოდა და ისიც ნებაყოფლობით შეწყვეტდა არსებობას (გემოთ ენახეთ, რომ ეროვნულ გვარდიას ის ასეთად არ მიიჩნევდა).

განცხადებაში ვრცლად იყო საუბარი „მხედრიონის“ მიმართ წაყენებულ ბრალდებებზეც. „მხედრიონი“ საზოგადოების ნაწილია. ამ აზრით ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მოვახერხეთ განვთავისუფლებულიყავით ყველა იმ მანკიერებისაგან, რაც ჩვენს საზოგადოებას ახასიათებს არ შეიძლება გამოვრიცხოთ ისიც, რომ ცალკეულ აღგილებში „მხედრიონს“ მიეტმასნენ კრიმინალური ელემენტები. კიდევ უფრო არ შეიძლება გამოვრიცხოთ ისიც, რომ ხშირად ჩვენი ორგანიზაციისთვის სახელის გატეხის მიზნით ზოგიერთი პროვოკატორი და სხვა დამნაშაეე ძალები წინასწარგანზრახვით მოქმედებენ „მხედრიონის“ სახელით. სწორედ ამიტომ ჩვენ მხარს ვუჭერთ დანაშაულის თითოეული ფაქტის ყველაზე მკაცრ, მაგრამ საჯარო, პატიოსან და ობიექტურ გარჩევას, რომლებიც მიეწერება ან მართლაც, სინამდვილეში ჩადენილია „მხედრიონის“ წევრების მიერ. დაე, კანონი მთელი ძალით მოქმედებდეს,“ — ნათქვამი იყო განცხადებაში.

„მხედრიონის“ სტატუსის განსაზღვრა, განცხადების ავტორთა აზრით, უნდა მოეხდინა პარიტეტულ საწყისებზე შექმნილ კომისიას. იმ შემთხვევაში, თუ კომისია ვერ შეძლებდა შეთანხმებული დოკუმენტის შემუშავებას, უნდა გამართულიყო რეფერენდუმი. „მოქალაქეებს უნდა შევთავაზოთ პასუხის გაცემა ერთ კითხვაზე; თვლიან თუ არა ისინი მიზანსეწონილად დღევანდელ სიტუაციაში „მხედრიონის“ შენარჩუნებას (დიახ, არა). თუ რეფერენდუმის შედეგები ჩვენთვის უარყოფითი აღმოჩნდა, ჩვენ მას აუცილებლად დავემორჩილებით,“ — ნათქვამი იყო განცხადებაში.

„მხედრიონის“ ეს განცხადება მოწმობდა, რომ პრობლემის მშვიდობიანი მეთოდებით გადაწყვეტის რესურსი ჯერ კიდევ არ იყო ამოწურული. თუმცა, მოვლენები სხვა მიმართულებით განვითარდა.

17 თებერვალს, ღამით, რუსული სპეცღანიშნულების ნაწილი თავს დაესხა შავნაბადაზე მყოფ „მხედრიონის“ კორპუსს. ეს იყო წინასწარ დაგეგმილი და კარგად ორგანიზებული თავდასხმა „მხედრიონზე“, რომლის დროსაც ამ ორგანიზაციის არსენალის შავნაბადას ბაზაზე არსებული ნაწილი მთლიანად განად-

გურდა (თავისი იარაღის დიდი ნაწილის გადამალება „მხედრიონმა“ წინა დღეებში მოასწრო). ოპერაციის დროს დაიჭრა სამი კაცი. სამხედროებმა ამოიღეს სხვადასხვა ორგანიზაციების კუთვნილი და „მხედრიონის“ მიერ გატაცებული ოცამდე მსუბუქი და საგვირთო მანქანაც.

მეორე დღესვე გამართულ მიტინგზე გია ჭანტურიამ და ჯაბა იოსელიანმა რუსული ომონის მიერ ჩატარებული ეს ოპერაცია „გამსახურდიას შეკვეთად“ გამოაცხადეს.

ეს აზრი კიდევ უფრო სარწმუნო გახადა 19 თებერვალს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ თბილისსა და საქართველოს რიგ რაიონებში (ძირითადად - კახეთის) „მხედრიონელთა“ თითქმის მთელი „ელიტის“ დაპატიმრებამ. მეგობრის სახლში იპოვეს და დააპატიმრეს ჯაბა იოსელიანიც.

ამ ამბის შემდეგ საქართველოში ცოტა ვინმეს თუ ეპარებოდა ეჭვი, რომ რუსული სპეცსაზი შავნაბადაზე არსებულ „მხედრიონის“ ბაზაზე საქართველოს ხელისუფლების თანხმობით და თხოვნით შეიჭრა. თუმცა, ამის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი არც მაშინ და არც მას შემდეგ დღემდე არ აღმოჩენილა.

სამაგიეროდ, არსებობს დოკუმენტი - საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წერილი მიხეილ გორბაჩოვისა და დიმიტრი იაზოვისადმი (სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი), რომელშიც გამოთქმულია პროტესტი შავნაბადაზე „საბჭოთა არმიის ქვედანაყოფის მოქმედებასთან დაკავშირებით, რითაც შეილახა სუვერენული რესპუბლიკის უფლებები“. ამიტომ სავსებით მართებულად მიგვაჩნია დიმიტრი შეელიძის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოს ხელმძღვანელობასა და რუს სამხედროებს შორის წინასწარი გარიგების შემთხვევაში მსგავსი დოკუმენტი არ შეიქმნებოდა.[65] ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამ დოკუმენტს საგიტაციო ხასიათი არ ჰქონდა (ის პრესისთვის არ ყოფილა განკუთვნილი), მეორეც იმიტომ, რომ ქართულ მხარეს კიდეც რომ მოენდომებინა ასეთი თვალის ასახვევი დოკუმენტის შექმნა, რუსული მხარე ამას უსათუოდ გააპროტესტებდა და თავის თავზე არ აიღებდა იმას, რაც ქართული მხარის თხოვნით გააკეთა.

---

[65]. დიმიტრი შეელიძე „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წწ).“ გვ. 161

დაუშვებელი და გასაკეირი სულაც არ უნდა იყოს, რომ მოსკოვს, რომელსაც ყველაზე მეტად რესპუბლიკებში შეიარაღებული ფორმირებების არსებობა აღიზიანებდა, საკუთარი ინიციატივით დაერბია „მხედრიონი.“ ამით ის ერთდროულად ორ კურდღელს დაიჭერდა: ჯერ ერთი, მისთვის არასასურველ კრიმინალურ გასამხედროებულ ფორმირებას დაშლიდა და ამას ისე გააკეთებდა, რომ საქართველოს ხელისუფლებისგან სერიოზულ წინააღმდეგობას არ წააწყდებოდა, მეორეც, ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული ქართველები ეჭვს ერთიმეორეზე მიიტანდნენ და კიდევ უფრო მეტად გადაეკიდებოდნენ ერთმანეთს.

რუსებმა ამჯერადაც სწორად გათვალეს. შავნაბადაზე „მხედრიონის“ დარბევას ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არსებული დაპირისპირების შემდგომი ესკალაცია მოჰყვა, რამაც ეროვნული შერიგების შესაძლებლობა კიდევ უფრო სათუო გახადა. ოპოზიცია „კრემლის მარიონეტობაში“, „დიქტატურის დამყარებაში“, „ბოლშევიზმ-ფაშიზმში“, „ტერორიზმში“ და სხვა ათასგვარ „იზმში“ დებდა ბრალს ხელისუფლებას. ხელისუფლება კი ოპოზიციას ხურდას „ერის მოღალატეების“, „სუკის აგენტების“ იარლიყების მიკერებით უბრუნებდა.

შეურიგებელი ოპოზიციის საქციელს გამართლება არა აქვს, ის ეროვნულ ხელისუფლებას მტერივით ექცეოდა და ნორმალური მუშაობის საშუალებას არ აძლევდა. მაგრამ ხელისუფლებამაც ვერ გამოიჩინა არა თუ მისთვის ესოდენ აუცილებელი „მეტი პასუხისმგებლობა“, არამედ თავისი არანაკლებ ხისტი და უკომპრომისო პოლიტიკით ხელიდან გაუშვა ოპოზიციის ინიციატივით დაწყებული მისი რიგების გახლეჩის რეალური შანსი.

„მხედრიონის“ ლიდერი და მისი თანამებრძოლები ოპოზიციამ პოლიტიკურ პატიმრებად გამოაცხადა და მათი დაუყოვნებლივ გათავისუფლების მოთხოვნით ხელისუფლებაზე გეწოლის პოლიტიკა განაგრძო.

§ 2.3 „საყმაწვილო სენი“ ხელისუფლებაში. შეიარაღებული კონფლიქტის დაწყება მიდა ქართლში.

დამოუკიდებლობას ქართველი ხალხი ფსიქოლოგიურად მოუმზადებელი შესედა. „ეს დამოუკიდებლობა, - როგორც ამას სტივენ ჯონსი აღნიშნავს, (ქართველებს) მოსკოვის წინააღმდეგ ხანგრძლივი ეროვნული ბრძოლით კი არ მოუპოვებიათ, არამედ ცენტრალურ დონეზე ძალაუფლების დაშლის შედეგად. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მეოცე საუკუნის მიწურულის საქართველოში ვერ შეედრებოდა „სოლიდარობის“ ან ლიტვის მძლავრ იატაკქვეშა ქსელს. ქართული ნაციონალიზმი არასოდეს წარმოადგენდა მასობრივ პოლიტკურ მოძრაობას და მას არ შეუქმნია იატაკქვეშა ორგანიზაციები საქართველოს ეროვნული მოძრაობა „პერესტოიკამდე“ კონცენტრირებული იყო „კულტურის“ საკითხებზე. ეს იყო ენა, ისტორიის განმარტება, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების დაცვა.....[66]“ სახელმწიფოებრივი აზროვნების მწვავე დეფიციტმა ხელისუფლებაში ეროვნული ძალების მოსვლისთანავე მამლაყინწობის საყმაწვილო სენის სახით იჩინა თავი.

ეროვნული მოძრაობის წლებში ქვეყნის პოლიტიკური, მეცნიერული თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის არენაზე სწრაფი და შთამბეჭდავი კარიერისთვის ზემძლავრ დამაჩქარებლად ქცეული რუსოფობია გამსახურდიას მმართველობისას სახელმწიფოებრივი პოლიტიკის რანგში იქნა აყვანილი. ჯერ კიდევ 1990 წლის 4 ნოემბერს, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ – აკაკი ასათიანმა მოსკოვში, საკავშირო საბჭოების II ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში ამაყად განაცხადა, რომ საქართველოს ჰყავს ხალხის მიერ არჩეული ეროვნული ხელისუფლება და მოსკოვს უფლება არა აქვს მის საქმიანობაში ჩაერიოსო. ასათიანის გამოსვლამ დარბაზის აღშფოთება გამოიწვია. თბილისში დაბრუნებული ასათიანი ერთ-ერთ ინტერვიუში იგონებდა, თუ როგორ მაღლიერებით გადმოსედა მას გორბაჩოვმა, რადგან მანამდე მისკენ მიმართული დარბაზის რისხვა ჩემი გამოსვლის შემდეგ ჩემსკენ შემობრუნდაო.

---

[66] .სტივენ ჯონსი, „საქართველო, პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“, თბ. 2013, გვ. 93;

რა იყო აქ სატრაბახო? დიპლომატის წარმატებად ის ითვლება, თუ ერთი მტრის მახვილს მეორე მტრისკენ მიმართავს. ასათიანმა კი ერთმანეთზე გაავებული მტრები გააერთიანა და ორიევს რისხვა თავისკენ, შესაბამისად – საქართველოსკენ მომართა.

პრიეატულ საუბარში გორბაჩოვმა ასათიანს ისიც უთხრა, რომ სსრ კავშირიდან საქართველოს გასვლის შემთხვევაში თქვენ თქვენივე ავტონომიურ წარმონაქმნებში და ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში პრობლემები შეგექმნებათო.

ეს სერიოზული გაფრთხილება იყო, მაგრამ პირველი წარმატებებით ფრთაშესხმულ საქართველოს ხელისუფლებაში ეიფორიული განწყობა სუფევდა. დიდი იყო ყველა სიძნელის წარმატებით გადალახვის რწმენა.

გამსახურდიამ და მისმა მომხრეებმა აბსოლუტურად ვერ გათვალეს, თუ რა დამღუპველი შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა მათ იმპროვიზებულ ნაციონალიზმს ოსებთან და აფხაზებთან ურთიერთობაში. არადა, პრობლემისადმი პრაგმატულად შეხედვის შემთხვევაში ამ უაღრესად რეალური საშიშროების დანახვა ძნელი სულაც არ იყო. მაგალითი ხომ წინ გვედო. ბოლშევიკურმა რუსეთმა დემოკრატიულ საქართველოს სულ რაღაც სამ წელიწადში ორჯერ აფხაზები აუმხედრა და სამჯერ ოსები. მაშინ მხოლოდ იმან გვიშველა, რომ ბოლშევიკური რუსეთი თვითონ იყო სამოქალაქო ომის ალში გახვეული და აფხაზებისა და ოსების დახმარების თავი არ ჰქონდა. დღეს კი სხვა ვითარება იყო. უზარმაზარი იმპერია კუდს აუცილებლად მოიქნევდა, პატარა საქართველოს კი დიდ და მზაკვარ მტერთან დაპირისპირება გაუჭირდებოდა.

ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის საფრთხე მეტისმეტად რეალური იყო. ცხადი იყო, რომ აფხაზები და ოსები მომენტს ელოდნენ. ასეთ ვითარებაში დიდი ტაქტი და დიპლომატიური მორსმჭვრეტელობა გვჭირდებოდა. ჩვენ კი იმ ქართული ხალხური ლექსის პერსონაჟს ვგავდით, რომელიც ტრაბახობდა: „აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ“

მკითხველს უთუოდ გაუჩნდება კითხვა: რა უნდა ექნა საქართველოს ხელისუფლებას? იმისთვის, რომ რუსეთი არ გაეღიზიანებინა, დამოუკიდებლობის კურსზე ეთქვა უარი?

რა თქმა უნდა, არა. მას უარი უნდა ეთქვა მსოლოდ საბჭოთა იმპერიის დაშლის კატალიზატორის როლზე, რომელიც ჩვენმა ეროვნულმა მოძრაობამ ნებაყოფლობით იკისრა. საჭირო არ იყო მოვლენების წინ გასწრება, რითაც იმპერიის ყურადღებას ზედმეტად ვიპყრობდით და მის გაღიზიანებას ვიწვევდით. საჭირო არ იყო ბალტიის რესპუბლიკებს შევჯიბრებოდით და მათ მსგავსად გამოვრჩეულიყავით დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. ბალტიისპირეთის გეოპოლიტიკური მდგომარეობა არსებითად განსხვავდებოდა ჩვენი მდგომარეობისგან. ლიტვა, ლატვია და ესტონეთი უშუალოდ ესაზღვრებიან დასავლეთ ევროპას. ევროპა მათ ყოველთვის თავის ბუნებრივ შემადგენელ ნაწილად აღიქვამდა. 1917-1939 წლებში ამ ქვეყნებმა მოასწრეს თავიანთი პოლიტიკური კლასის, პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბება. ამ და ბევრი სხვა მახასიათებლით ბალტიის ქვეყნების მდგომარეობა ჩვენი მდგომარეობისგან არსებითად განსხვავდებოდა. ამიტომ რუსეთი მორალურად შეგუებული იყო მათ დამოუკიდებლობას.

სულ სხვა იყო ჩვენი მდგომარეობა. საქართველოს რუსეთი უბრძოლველად არ დათმობდა. ამ ბრძოლაში კი ის წარმატებით გამოიყენებდა ჩვენს სუსტ მხარეებს. ამ თემას რომ ეხებოდა, 1994 წელს გამართულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე თავის გამოსელაში თემურ მირიანაშვილი აღნიშნავდა: „ვბაძავდით და ვერც ვბაძავდით ბალტიისპირეთს. მათგან გადმოვიღეთ ლოზუნგები, პოლიტიკოსთა ქცევის სტილი, ერთი სიტყვით, დიპლომატიის ზედა სახე. მაგრამ აბსოლუტურად არ მიგვიბაძავს ღამოუკიდებლობისთვის რეალურად მზადებაში. არადა, მათსავით ღრმად რომ გაგვეაზრებინა და კონსტრუქციულად გვემოქმედა, იმაშიც დავრწმუნდებოდით, რომ რუსეთისგან აბსოლუტურად მოწყვეტა, რასაც დღეს ოპოზიციური პარტიები მოითხოვენ, არც რეალურია და არც სასურველი. თუ საქართველო, რომელსაც რუსეთთან 300 კილომეტრიანი საერთო საზღვარი აქვს განაგრძობს კრიჭაში დგომის პოლიტიკას, არც იგი დაგვზოგავს და არც არავინ გამოგვექომაგება რუსეთისგან აბსოლუტური მოწყვეტა უტოპიაა, მასთან ნორმალური და მეგობრული ურთიერთობის დამყარება კი სრულიად შესაძლებელი“[67]

---

[67] თემურ მირიანაშვილი, „საკამათო კიდევ ბევრი დარჩა“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 26 აგვისტო, 1994 წ.

როდესაც იმპერია ინგრევა, შენი მიზანი უნდა იყოს რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით გასვიდე ფონს. XIV საუკუნეში იგივე ამოცანა იდგა გიორგი V-ს წინაშე. ინგრეოდა მონღოლთა იმპერია და ქართველების ამოცანა იყო ნანგრევებში არ მოყოლილიყავით. თავისი პრაგმატული პოლიტიკით გიორგიმ ამ ამოცანას თავი ბრწყინვალედ გაართვა და ისტორიაში ასეთი სახელით შევიდა კიდეც.

სწორედ ეს პრაგმატიზმი და რაციონალიზმი გვჭირდებოდა ასლაც. თუმცა, ეს ის თვისებებია, რომელთა ქრონიკული დეფიციტი საქართველოში მუდამ იგრძნობოდა.

დამოუკიდებლობა ყოველ ერს თავისი ეროვნული ინტერესების დასაცავად სჭირდება. XX საუკუნის მიწურულს ჩვენი ეროვნული ინტერესი, როგორც ამას სავსებით მართებულად აღნიშნავს გიორგი წიქარიშვილი, „ჩვენი ეთნოდემოგრაფიული სიერცის რღვევის, თვით ეროვნულობის იდეის დისკრედიტაციისა და სამოქალაქო ომის თავიდან აცილება“[68] იყო. ამ დროს გარდაუვალი იყო ვითარების გართულება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. ამიტომ ჩვენ ისეთი პოლიტიკა უნდა გაგვეტარებინა, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებდა ამ გართულების შესაძლო ნეგატიურ შედეგებს.

ჩვენ კი ყველაფერი გაეაკეთეთ იმისთვის, რომ ეს შედეგები ჩვენთვის რაც შეიძლება მძიმე ყოფილიყო.

პრაგმატული პოლიტიკის გატარებით ჩვენ შეგვეძლო ტერიტორიული რღვევის თავიდან აცილება. იმპერია ჩვენი მამლაყინწობის გარეშეც დაინგრეოდა. ჩვენი ეროვნული მოძრაობის ლიდერთა გაუთავებელი ტრაბახი - იმპერია ჩვენ დავანგრიეთო, იმ ბუზის ტრაბახს გავს, ხარს რქაზე რომ ეჯდა და იძახდა ურემი მე მიმყავსო. არ ურბენიათ დროშებით ხელში ყაზახებს, თურქმენებს, უზბეკებს, მაგრამ ისინი დღეს ისეთივე დამოუკიდებელნი არიან, როგორც ჩვენ. ოღნდ, ჩვენგან განსხვავებით, თავისუფლებამდე ეს ხალხები ტერიტორიული მთლიანობით, გაცილებით ნაკლებად გაჩანაგებული ეკონომიკით და ძველ მეტროპოლიასთანაც უფრო დაწყობილი ურთიერთობებით მიეიდნენ.

---

[68] .გიორგი წიქარიშვილი, „ჟამი ჭეშმარიტი, დამარცხებული მოძრაობის ქრონიკა,“ გვ 503

უტრირებას არ ეახდენ. მესმის, რომ ცენტრალური აზიის ხალხებისგან ძალზე ბევრი რამით განვსხვავდებით. განსაკუთრებით მენტალური თვალსაზრისით. ამიტომ ანალოგია ბოლომდე ზუსტი არ არის. მაგრამ იყიე სომხეთი და აზერბაიჯანი რუსეთის მიმართ გაცილებით პრაგმატულ კურსს ახორციელებდნენ და რომ არა სომხების მიერ ყარაბაღის ამოჩემება, ამ რესპუბლიკებში ვითარება დღეს გაცილებით უკეთესი იქნებოდა.

კიდევ ერთი ისტორიული პარალელი: 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შანსი გაუჩნდა. ომით და რევოლუციით დაუძლურებულ რუსეთს იმპერიას მთლიანობაზე ზრუნვის თავი აღარ ჰქონდა. თუმცა, მსოფლიო ომის მესამე წელსაც კი შეუძლებელი იყო საომარი ოპერაციების განვითარების მეგ-ნაკლებად ზუსტი პროგნოზირება. შესაბამისად, შეუძლებელი იყო საგარეო-პოლიტიკური კურსის განსაზღვრა და საიმედო მოკავშირის პოვნა. კავკასიის რეგიონში დამკვიდრებისთვის მაშინ რუსეთის გარდა, იბრძოდა თურქეთიც. ირანი ამ დროს საკმაოდ დასუსტებული იყო, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის პრობლემების შექმნა მასაც შეეძლო. მსოფლიო ომის პირობებში ევროპის ქვეყნები რუსეთსა და თურქეთს შორის კავკასიისთვის დაპირისპირებაში წონასწორობის გარანტად ვერ გამოდგებოდნენ. პირიქით, ანტანტის სახელმწიფოები პირდაპირ აცხადებდნენ, რომ სცნობდნენ მთლიან და განუყოფელ რუსეთს, იმპერიაში შემავალ ცალკეულ ერებს კი რუსეთის ნაწილებად განიხილავდნენ. მეორე მხრივ, ამ წონასწორობის დარღვევის არცერთი ვარიანტი საქართველოს ხელს არ აძლევდა. რუსეთის წასვლა ამიერკავკასიიდან აქ თურქეთის უცილობელ გაბატონებას მოასწავებდა, თურქეთის პოზიციების შესუსტება კი რუსეთს გაუხსნიდა ხელ-ფეხს აქტიური მოქმედებებისთვის.

ასეთ რთულ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში ქართველი პოლიტიკოსები რადიკალური პოლიტიკური კურსის დაფიქსირებას ერიდებოდნენ, რათა სიტუაციის შეცვლის შემთხვევაში მისი კორექტირების საშუალება ჰქონოდათ.

და მაინც, საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ (1917 წ. 19-24 ნოემბერი) სრულიად მკაფიოდ განსაზღვრა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია. ყრილობამ დაადასტურა, რომ ქართულმა დემოკრატიამ „დღიდან თავისი არსებობისა, თავისი სვებედი მჭიდროდ დაუკავშირა რუსეთის დემოკ-

რატიას ...“ ამასთან, მთაეარმა მომხსენებელმა - ნოე ჟორდანიამ აღნიშნა, რომ „თუ რუსეთში ვერ მოხერხდა ახლო მომავალში დამფუძნებელი კრების მოწვევა, ჩვენ იძულებული ვიქნებით მოვაწყოთ ადგილობრივი დამფუძნებელი კრება და ჩვენს თავს მივცეთ კონსტიტუცია უნდა მოვითხოვოთ, რომ საქართველოს მიენიჭოს სრული შინაური თვითმმართველობა...“[69]

ნოე ჟორდანიას მოხსენებას კამათი არ გამოუწვევია. ბოლშევიკი ფილიპე მახარაძის გარდა მას ყველა პარტიის წარმომადგენელი შეუერთდა. სოციალ-ფედერალისტების სახელით ყრილობაზე გამოსულმა გ. რცხილაძემ მოიწონა ჟორდანიას მიერ წამოყენებული ეროვნულ ძალთა საერთო ნიადაგზე დგომის იდეა. სოციალისტ-რევოლუციონერმა გ. ნათაძემ აღნიშნა, რომ მისი პარტია საჭიროდ არ მიიჩნევს მოხსენებისთვის რაიმეს დამატებას და მთლიანად იწონებს მასში ჩამოყალიბებულ დებულებებს. ჟორდანიას სიტყვა გვაერთიანებს ყველას. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ შორის არ არსებობს უთანხმოება, მაგრამ ამჟამად სავსებით ვეთანხმებით მოხსენებას და არ გამოვდივართ სეპარატისტული განცხადებითო,[70] - აღნიშნა ეროვნულ-დემოკრატმა გ. გვაზავამ.

რატომ არ აყენებდნენ ქართული ეროვნული პარტიები ქვეყნის სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნას?

ქართველი პოლიტიკოსები ამ კითხვას სავსებით კონკრეტულად პასუხობდნენ: დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში თურქეთი მიიტაცებს ქართულ მიწებს. ამიტომ გარკვეული დროით ჩვენ უნდა შევურიგდეთ სუვერენიტეტის შეზღუდვას და ამ გზით შევინარჩუნოთ ტერიტორიული მთლიანობა. ხელსაყრელ დროს სუვერენიტეტის აღდგენას ჩვენ კიდევ შევძლებთ, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება კი ძალზე პრობლემური იქნებაო, აცხადებდნენ ისინი.

ახლა კი ირაკლი წერეთელს მოვუსმინოთ: „აფხაზეთი არ ღირს იმდენად, რომ მისი გულისთვის საქართველომ თავისუფლებაზე უარი თქვას... დღეს თუ არა, ხვალ დავიბრუნებთ, ხვალ თუ

---

[69] რევაზ გრძელიძე, „საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია (1910- 1924),“ თბ. 1998, გვ. 117-118

[70] რევაზ გრძელიძე, „საქართველოსპოლიტიკური პარტიების ისტორია (1910- 1924)“, თბ. 1998, გვ. 118-119

არა ზეგ ასე რომ აფხაზეთის პრობლემის მოგვარება, ჩემი აზრით, დღეს არ არის პირველი მნიშვნელობის პრობლემა".[71]

მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართველ პოლიტიკოსთა პოზიცია მათ წინდახედულობაზე მეტყველებს. ისინი ქართულ საქმეს ისე აკეთებდნენ, რომ მთელი რუსული პოლიტიკური სპექტრის თუ არა, მისი დიდი ნაწილის კეთილგანწყობას ინარჩუნებდნენ. დამახასიათებელია, ამ მხრივ, 1917 წლის სექტემბერში პეტროგრადში გამართული რუსეთის დემოკრატიული ძალების თათბირზე ქართველ მსედართა კავშირის სახელით გამოსული ვ. მაჩაბელის სიტყვა: „თუ ჩვენ, ქართველებმა, დღემდე არაეითარი ეროვნული მოთხოვნა არ წარვუდგინეთ რუსეთის დემოკრატიულ მთავრობას, ეს იმიტომ კი არა, რომ ჩვენ ეროვნული თვითშეგნება არა გვაქვს, ან კიდევ ძალა არ შეგვწევს განვახორციელოთ ჩვენი ეროვნული იდეალი, არა - ჩვენ ერთიც გვაქვს და მეორეც. მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმ დროს, როცა სახელმწიფო და რევოლუცია ასეთ აუტანელ მდგომარეობაში იმყოფება, არ შეიძლება გავართულოთ ისედაც უკვე გართულებული საერთო საქმე."[72]

ქართველი პოლიტიკოსის ამ სიტყვების შემდეგ მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა და ოვაცია გაუმართა ორატორს.

სამწუხაროდ, ასეთივე მაღალი პოლიტიკური ინტელექტი, დიპლომატიური მოქნილობა და გამჭრიახობა ვერ გამოიჩინეს მე-20 საუკუნის 80-90-იანი წლების ქართველმა პოლიტიკოსებმა. საბჭოთა იმპერიის ნგრევის ეტაპზე ქართულ პოლიტიკურ სპექტრში იმძლავრა რადიკალიზმმა, ერთგვარმა მამლაყინწობამ, რაც პოლიტიკური ინტელექტისა და გამოცდილების არქონის შედეგი გახლდათ. ეს ლოგიკურიც იყო: მე-20 საუკუნის ქართველ პოლიტიკოსთა უმრავლესობას კლასიკური საუნივერსიტეტო განათლება ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში ჰქონდა მიღებული, მაშინ, როდესაც ეროვნული იდეით შეპყრობილ 80-იანი წლების ქართულ პოლიტიკურ ელიტის დიდ ნაწილს, სკოლის მერხიდანვე დისიდენტურ მოძრაობაში ყოფნის გამო, ნორმალური საშუალო განათლებაც კი არ გააჩნდა.

---

[71] . გაზ. „მანსი", 29 თებერვალი, 1996;

[72]. რევაზ გრძელიძე, „საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია (1910- 1924)," თბ. 1998, გვ. 113

1991 წლის აპრილის დასაწყისში, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ, გამსახურდიამ მოსკოვში მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მურმან ომანიძე მიავლინა. მას თან ახლდნენ სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ოთარ ბუხბაია და საქართველოს სასოფლო ინსტიტუტის რექტორი აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე. საქართველოს დელეგაცია სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრს პუგოს და სსრკ ვიცე-პრეზიდენტს – იანაევს შეხვდა. ქართველები ცხინვალიდან რუსეთის ჯარის გაყვანას ითხოვდნენ. ომანიძემ სსრკ-ს ხელმძღვანელებს გორბაჩოვისადმი გამსახურდიას მიერ გაგზავნილი წერილი და 9 აპრილს დამოუკიდებლობის გამოცხადების ტექსტი გადასცა. გამსახურდია გორბაჩოვს აცნობებდა, რომ საქართველო დამოუკიდებლობის გამოცხადებას აპირებდა და თხოვდა მას გაგებით შეხვედროდა ქართველი ხალხის ამ გადაწყვეტილებას. სასტუმროში დაბრუნებულ ქარქაშაძეს დაურეკა სსრკ უშიშროების გენერალმა, რომელსაც ის ჯერ კიდევ აფხაზეთიდან იცნობდა. აი როგორ გადმოსცემს აკადემიკოსი გენერლის საუბრის შინაარსს. „ორ-სამ თვეში ქვეყანა, რომელსაც სსრკ ჰქვია, აუცილებლად დაინგრევა და ამის ინიციატორი რუსეთი იქნება..... კარგა ხანია რუსი ხალხი მიხვდა, რომ ამ უზარმაზარ ქვეყანაში იგი.....ყველაზე ცუდად ცხოვრობს, რომ ჩვენ მთელი ენერგია შევალიეთ ე. წ. ნაციონალური უმცირესობების განვითარებას მინდა გითხრათ, რომ ნუ იქნებით ქართველები ამ ქვეყნის დანგრევის ინიციატორები, ნუ აიღებთ დარტყმას თქვენს თავზე. ქვეყნის ნგრევა ბევრ არასასურველ პროცესს წარმოშობს და ნუ მოჰყვებით ქართველები მის ნანგრევებში! მერწმუნეთ, იმას, რასაც რუსებს აპატიებენ, თქვენ არ გაპატიებენ.“[73]

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ 2002 წლის 26 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებული ნაპალეონ ქარქაშაძის წერილის ეს ეპიზოდი მისივე ავტორობით 2013 წელს გამოქვეყნებულ ავტობიოგრაფიულ წიგნში აღარ გვხვდება. ეს გვაფიქრებინებს, რომ ასეთ დიალოგს ადგილი არ ჰქონებია, ან თუ ჰქონდა, ბატონი ნაპოლეონი გენერალს თავის აზრებსაც მიაწერს. თუმცა, ერთი რამ ცხადია: ქართველები ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ შესაძლო გართულებების შესახებ რუსებს არ გავუფრთხილებივართ.

[73] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 26 ნოემბერი, 2002;

მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ქართული სახელმწიფოს ინტერესები, ისევე, როგორც 1917 წელს, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისთვის სუვერენიტეტის რაღაც ნაწილზე დროებით უარის თქმას მოითხოვდა. 1988 წელს მაშინ უკვე მხცოვან პოეტს კოლაუ ნადირაძეს ჟურნალისტმა ასეთი შეკითხვა დაუსვა: როგორ უნდა მოვიქცეთ ქართველები შექმნილ ვითარებაში? პოეტის პასუხი განსაცვიფრებელი იყო: არ დამიჯერებთ, მაგრამ მაინც გეტყვით: იმპერია ინგრევა. ახლა ჩვენ უნდა დავწვეთ და გავინაბოთ. იმპერიის დანგრევის შემდეგ კი წამოვდგეთ, მტკვერი ჩამოვიბერტყოთ და ჩვენი საქმის კეთებას შევუდგეთო.

აი, ის ფორმულა, რომელიც მაშინ რუსეთთან კონფრონტაციას აგვაცილებდა. სამწუხაროდ, ქართულ ეროვნულ მოძრაობაში, ერთი მხრივ, დაბალი პოლიტიკური ინტელექტის, მეორე მხრივ კი გღვარსგადასული ამბიციების გამო, ამისთვის მზაობა არ არსებობდა.

რახან გაფრთხილება ყურად არ ვიღეთ, მოსკოვმა თავისი გეგმა აამოქმედა. 1990 წლის დეკემბრის დასაწყისში ცხინვალელმა სეპარატისტებმა სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადეს. მოგვიანებით, 1997 წლის სექტემბერში, ე. წ. სამხრეთ ოსეთის პარლამენტის თავმჯდომარე კოსტა ძუგაევი ამ ფაქტს „იძულებით ნაბიჯს" უწოდებს. „ჩვენ იძულებულნი ვიყავით გამოგვეცხადებინა რესპუბლიკა, ვინაიდან ეს იყო ერთადერთი პოლიტიკური და სამართლებრივი დაცვა გამსახურდიას რეჟიმისგან", აცხადებდა ის გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტთან საუბარში. იქვე ძუგაევი იმასაც აღნიშნავს, რომ ამ ნაბიჯმა სამხრეთელ ოსებს არა მხოლოდ ანტიზვიადისტურად განწყობილი ქართველი პოლიტიკოსების ნდობა დაგვაკარგვინა, არამედ ჩრდილოეთ ოსეთის სელმძღვანელობაშიც ერთგვარი გულაცრუება გაჩნდა ჩვენს მიმართო.[74]

ცსადია, ძუგაევი თვალთმაქცობს, ოსი სეპარატისტების აღნიშნული ნაბიჯი დიდი ხნის წინ რუსებთან ერთად წინასწარ დაგეგმილ აქტს წარმოადგენდა, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ გამსახურდიას ხელისუფლების შედეგებზე გაუთვლელ შოვინისტურ რი-

[74] იხა ტიგიევა, „ჩვენ იძულებულნი ვიყავით გამოგვეცხადებინა რესპუბლიკა», გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 14 სექტემბერი, 1997 წ.

ტორიკას სეპარატისტები თავიანთი ანტიქართული პოლიტიკის შესანიღბად ასე მოხერხებულად იყენებდნენ, ბევრის მთქმელია.

11 დეკემბერს საქართველოს უზენაესმა საბჭომ დეპუტატთა ტაშის გრიალში მიიღო დადგენილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შეასახებ.

იმპულსურად მიღებულ ამ გადაწყვეტილებას ხელისუფლებამ „ისტორიული“ უწოდა. და მართლაც, სწორედ ამ გადაწყვეტილებამ დაუდო სათავე შეიარაღებულ კონფლიქტებს საქართველოში.

საქართველოს პოლიტიკურ წრეებში, რა თქმა უნდა, ესმოდათ, რომ ოსი სეპარატისტების ხსენებული გადაწყვეტილების უკან მოსკოვი იდგა. ამის მიუხედავად, ხელისუფლება ხალისით წამოეგო ამ პროვოკაციაზე.

საქართველოს უზენაესი საბჭოს ამ გადაწყვეტილებას მაშინვე გამოუჩნდნენ ოპონენტები. ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო: „იმის მიუხედავად, რომ ჩვენ მივესალმებით სამაჩაბლოს ტერიტორიაზე უკანონო ადმინისტრაციული ერთეულის გაუქმების ფაქტს, ვერ გავიზიარებთ მოსახლეობის ნაწილის აღფრთოვანებას და სიხარულს შემდეგი მიზეზების გამო:

1. საქართველოს დეოკუპაციამდე ოლქის გაუქმება არის არარეალური, ფიქტიური. მხოლოდ ჩვენი მხრიდან დათმობების ფასად დათანხმდება ცენტრი ოლქის გაუქმებას.

2. პოლიტიკური თვალსაზრისით ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება დღეს საქართველოსთვის არის უაღრესად წამგებიანი ნაბიჯი ...“[75]

ასეთივე ნეგატიური იყო უზენაესი საბჭოს ზემოხსენებული გადაწყვეტილების მიმართ ქართველი სოციალ-დემოკრატების დამოკიდებულებაც. „საქართველოში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა და არსებობა ეროვნულ ურთიერთობათა სფეროში ბოლშევიკების მიერ დამკვიდრებული ისტორიული უსამართლობის გამოვლინებას წარმოადგენდა, – ნათქვამი იყო მათ განცხადებაში, – მაგრამ ეს საკითხი უნდა განეხილა დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტს. თვით ოსებმა გააუქმეს თავისი ოლქი. უზენაეს საბჭოს უნდა მოეხდინა ოსების მიერ გა-

[75] . გაზ. „თბილისი“, 17 დეკემბერი, 1990 წ.

უქმებული ოლქის გაუქმების კონსტანტაცია და შემოუარგლულიყო რესპუბლიკის გაუქმებით“[76]

უზენაესი საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება მომენტისთვის შეუფერებლად და, ამდენად, მცდარად მიიჩნიეს პოლიტიკურმა ბლოკმა „თავისუფლებამ“, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ და სხვა ოპოზიციურმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა.

ცხადია, უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ ემოციებით ნაკარნახევი იმპულსური, არაგონივრული გადაწყვეტილება იყო. ქართულ პოლიტიკურ სპექტრში კამათს იწვევდა არა თვით ამ უკანონო ოლქის გაუქმების სამართლიანობის, არამედ მოცემულ მომენტში მისი გაუქმების მიზანშეწონილობის საკითხი.

გაცილებით მომგებიანი იქნებოდა, თუ საქართველოს ხელისუფლება მიმართაედა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას ოსი სეპარატისტების მიერ საბჭოთა კონსტიტუციის დარღვევის ფაქტის გამო. გამსახურდიას უნდა მოეთხოვა საკავშირო ხელისუფლებისგან საქართველოს კანონიერი უფლებების დაცვა და ოსი სეპარატისტების მიერ თავიანთი უფლებების გადაჭარბებით მიღებული უკანონო გადაწყვეტილების გაუქმება. მიმართვაში ხაზი უნდა გასმოდა, რომ საკავშირო ხელისუფლების მიერ კანონიერების აღდგენის საქმეში პასიურობის გამოვლენის შემთხვევაში საქართველო იტოვებდა უფლებას თვითონ დაეცვა თავისი კანონიერი უფლებები. შესაძლო შედეგებისთვის კი პასუხისმგებლობა მთლიანად დაეკისრებოდა საბჭოთა კავშირის ხელისუფლებას.

საქართველოს ხელმძღვანელობის ამ დიპლომატიურ ნაბიჯს საკავშირო ხელისუფლების მხრივ ორგვარი პასუხი შეიძლებოდა მოჰყოლოდა: 1. ან საკაეშირო ხელისუფლება იძულებული გახდებოდა ანგარიში გაეწია საქართველოს კანონიერი მოთხოვნისთვის და გაეუქმებინა ოსი სეპარატისტების უკანონო გადაწყვეტილება; ასეთ შემთხვევაში ოს სეპარატისტებს თვით მოსკოეი დაუპირისპირდებოდა, საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული გადამჭრელი ღონისძიებები კი აღიქმებოდა, როგორც მოსკოვის გადაწყვეტილების პრაქტიკული რეალიზაცია; 2. ან მოსკოეი ყურით მოთრეული საბაბით უარს იტყოდა ოსი სეპარატისტე-

[76] .გაზ. „ვარია ვოსტოკა“, 16 დეკემბერი, 1990 წ.

ბის მიერ მიღებული უკანონო გადაწყვეტილების გაუქმებაზე; ასეთ შემთხვევაში საქართველოს ხელმძღვანელობის მიერ სეპარატისტების წინააღმდეგ განხორციელებულ ღონისძიებებს გაცილებით მყარი სამართლებრივი საფუძველი ექნებოდა. სამწუხაროდ, საქართველოს უმენაესი საბჭოს უმრავლესობამ მოვლენების განვითარების ყველაზე უარესი, ჩვენთვის წამგებიანი გზა აირჩია. მეღეგმაც არ დააყოვნა. შიდა ქართლში ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტის კერა წარმოიშვა.

საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობის არათანმიმდევრულმა და არადიპლომატიურმა ნაბიჯებმა – ცხინვალში ჯერ ქართული მილიციის შეყვანამ, შემდეგ კი რუსეთის შინაგანი ჯარებისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებამ, ამ რეგიონში უკიდურესად გაამწვავეს ვითარება და მრავალრიცხოვანი მსხვერპლი გამოიწვიეს. მიხეილ გორბაჩოვმა ისარგებლა საქართველოს ხელისუფლების შეცდომებით და ცხინვალში ქართული მილიციის შეყვანის შემდეგ, 1991 წლის 7 იანვარს გამოსცა ბრძანება, რომელშიც ვითარების გამწვავებაში ქართულ მხარეს ადანაშაულებდა და მოუწოდებდა მას შეეწყვიტა „გამომწვარი მიწის“ პოლიტიკა ოსი ხალხის მიმართ.

§ 2.4 რეფერენდუმი და დამოუკიდებლობის გამოცხადება.

1991 წლის 17 მარტს საბჭოთა იმპერიის ხელისუფლებამ რეფერენდუმი დანიშნა. მოსახლეობას პასუხი უნდა გაეცა ერთადერთ კითხვაზე: „თქვენთ თუ არა საჭიროდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, როგორც თანასწორუფლებიანი სუვერენული რესპუბლიკების განახლებული ფედერაციის შენარჩუნებას, რომელშიც მთელი სისრულით იქნება გარანტირებული ნებისმიერი ეროვნების ადამიანთა უფლებები და მოვალეობები.“ ახალ ფედერაციაში „ნებისმიერი ეროვნების“ უფლებების დაცვას საბჭოთა ხელმძღვანელობა ავტონომიური წარმონაქმნების დამოუკიდებლად შესვლის გზით ფიქრობდა. ეს გარემოება წინააღმდეგობას მარტო მოკავშირე რესპუბლიკებში არ

იწვევდა. ასეთი პერსპექტივა თვით რუსეთის ფედერაციამიც ბევრისთვის მიუღებელი იყო.

რეფერენდუმში მონაწილეობაზე უარი ექვსმა რესპუბლიკამ – ლიტვამ, ლატვიამ, ესტონეთმა, მოლდოვამ, სომხეთმა და საქართველომ განაცხადა. ცხრა რესპუბლიკაში რეფერენდუმი მაინც ჩატარდა. მასში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 80 პროცენტმა, რომელთა 76 პროცენტმა მხარი დაუჭირა განახლებული სახით საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას, 21 პროცენტმა წინააღმდეგ მისცა ხმა.

17 მარტის რეფერენდუმის საპირისპიროდ, 1991 წლის 31 მარტს საქართველოს ხელისუფლებამ დამოუკიდებლობის საკითხზე რეფერენდუმი დანიშნა. ქართველი ხალხის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, თითქოს, არავითარ ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ ამ აქტით ხელისუფლებას სურდა ქართველი ხალხის განწყობა სამართლებრივადაც დადასტურებულიყო.

ქართული რეფერენდუმის მიმართ თავისი დადებითი დამოკიდებულება გამოხატა ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამაც. სპეციალურ განცხადებაში ედპ აღნიშნავდა, რომ 31 მარტის რეფერენდუმი მხოლოდ დაადასტურებს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტსო.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მხრიდან პოზიციათა დაახლოებისკენ გადმოდგმული ეს ფრთხილი ნაბეჯნაბიჯი მაშინვე იქნა უარყოფილი გამსახურდიას მიერ. ქართული ეროვნული მოძრაობის ამ ორი ოდიოზური ლიდერის ზღვარსგადასული ამბიციები მათ შორის ყოველგვარ კომპრომისს გამორიცხავდა.

რეფერენდუმი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გაიმართა ჯავის, ტყვარჩელისა და გუდაუთას გარდა. იგი დიდი აღმაველობით ჩატარდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, მთლიანად დაადასტურა ქართველი ხალხის მისწრაფება დამოუკიდებლობისკენ. დამოუკიდებლობას ხმა მისცა საქართველოს მოსახლეობის 97 პროცენტმა.

მთლიანობაში რეფერენდუმის შედეგები ხალხის განწყობას გამოხატავდა. დაეჭვებას იწვევდა მხოლოდ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ასეთი ერთსულოვანი პოზიტიური დამოკიდებულება სსრ კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გამოსვლისადმი.

საქმე ისაა, რომ რეფერენდუმის წინ აღგილი ჰქონდა ეროვნულ უმცირესობათა მიმართ მორალურ გეწოლას, ერ-

თგვარ შანტაჟს მიწაზე კერძო საკუთრებისა და მოქალაქეობის კანონების საშუალებით.

1991 წლის 5 მარტს საქართველოს ტელევიზიით გამოსელისას ზვიად გამსახურდიამ განაცხადა: „ჩვენი რეფერენდუმი უშუალოდ არის დაკავშირებული მიწის საკუთრების, მოქალაქეობის საკითხთან. მან უნდა განსაზღვროს, ვინ შეიძლება იყოს საქართველოს კანონიერი მოქალაქე. რეფერენდუმი გამოავლენს არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეებს, არამედ იმათაც, ვინც საქართველოს მოქალაქეობის ღირსი არ არის. ვთქვათ, მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა ხმა არ მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას. განა სწორი იქნება კაცს, რომელსაც ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა არ სურს, მოქალაქეობა მივართვათ და საკუთრებაში გადავცეთ ქართული მიწა?“

რეფერენდუმის წინ ასეთი განცხადება ეროვნულ უმცირესობებზე მეწოლის აშკარა და დაუფარავ ფაქტს წარმოადგენდა.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს ხელისუფლების მხრივ ეროვნულ უმცირესობებზე მეწოლის ეს ფაქტი გამონაკლისი არ ყოფილა. გამსახურდია თავისი რადიკალური გამონათქვამებით ანტიქართულ განწყობას აღვივებდა, რასაც მშვენივრად იყენებდა რუსული პრესა და გამსახურდიასგან ოდიოზური და შოვინისტური ლიდერის იმიჯს ქმნიდა. გაზ. „სოვეტსკაია როსიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში გამსახურდია აცხადებდა: „არაქართველი მოსახლეობა კატასტროფული ტემპებით მრავლდება“.[77] იმდროინდელი ქართული ცნობიერებისთვის საკვანძო სიტყვად იქცა „სტუმარი“. ყველაზე ხშირად ამ სიტყვას გამსახურდია იყენებდა. ქართველები მასპინძლები ვიყავით, ყველა დანარჩენი – სტუმარი. სტუმარი კი წყნარად უნდა იყოს და ისიც უნდა ახსოვდეს, რომ სტუმრად მუდმივად ყოფნა არ შეიძლება. ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერთა ასეთი „ისტორიულ-მსოფლმხედველობრივი“ კონცეფცია გარდაუვალს ხდიდა უმწვავეს დაპირისპირებას ეროვნულ უმცირესობებთან, პირველ რიგში კი ოსებთან და აფხაზებთან.

---

[77] გიორგი წიქარიშვილი, „ჟამიჭეშმარიტი (დამარცხებული მოძრაობის ქრონიკა)“, გვ. 189.

გიორგი წიქარიშვილი, ჟამი ჭეშმარიტი (დამარცხებული მოძრაობის ქრონიკა), გვ. 189.იქვე, გვ 191.

რუსული პრესა წარმატებით იყენებდა შავ პიარსაც. გამსახურდას გამონათქვამებს ის განგებ ამახინჯებდა. მაგალითად: ჰოლანდიური გაზეთისთვის ინგლისურ ენაზე მიცემულ ინტერვიუში გამსახურდია ამბობდა: „მოგეხსენებათ, ეს ძირითადად სოფლის მოსახლეობაა (საუბარი ცხინვალის რეგიონს ეხებოდა), მათ ბევრი რამ არ იციან, არ ესმით. ამ დროს კრემლის გამოცდილი პროვოკატორები ოსურ მოსახლეობას აშინებენ, საქართველოს წინააღმდეგ განაწყობენ და ჭკვიანურად იყენებენ“.

ამ ფრაზაში ოსი ერის შეურაცმყოფელი და ქსენოფობიური არაფერია. მაგრამ „კომსომოლსკაია პრავდამ“ თავის მკითხველს ის შემდეგნაირად მიაწოდა: „ოსები ეელური და გაუნათლებელი ხალხია - ჭკვიან ადამიანებს აღვილად შეუძლიათ მათი მართვა.“[78]

მახსოვს, როგორ ედოთ თბილისელ ოსებს (აღარაფერს ვამბობ ცხინვალელ ოსებზე) „კომსომოლსკაია პრავდას“ ეს სტატია გულის ჯიბეში და ქართველებთან ყოველი სიტყვიერი დაპირისპირებისას როგორ გვიფრიალებდნენ მას ცხვირწინ – აი, რას ამბობს ჩვენზე თქვენს მიერ ერთსულოვნად არჩეული თქვენი პრეზიდენტი. ამის შემდეგ რა თანადგომას გეთხოვთო.

გამსახურდიას რადიკალური განცხადებების ახსნა ყველაზე მარტივად ასე შეიძლება: ეს ადამიანი მოკლებული იყო ყოველგვარ დიპლომატიურ უნარს, ეერ ხვდებოდა, რომ პოლიტიკოსმა არ უნდა ილაპარაკოს ყველაფერი, რაც პირზე მოადგება. და ასეთი ახსნა სიმართლესთან ახლოს იქნება. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორიც: გამსახურდიას მუდმივად უწევდა მტკიცება, რომ კრემლთან არ იყო შეკრული. ეს გარემოებაც აიძულებდა მას უკომპრომისო განცხადებების გაკეთებას. მან თვითონვე შეუქმნა თავს ისეთი იმიჯი, რომ ყოველგვარი მანევრის და კომპრომისის საშუალება მოისპო.

პრეზიდენტის და მისი გარემოცვის არადიპლომატიურობა ყოველ უეხის ნაბიჯზე ვლინდებოდა. აი, რა უამბო გიორგი წიქარიშვილს ჩრდილო ოსეთში მცხოვრებმა ერთმა „აქსაკალმა“: „ჩემს წარმოდგენაში ქართველები ყოველთვის ვაქკაცობის, მეომრული რაინდობისა და ღირსების განსახიერებას წარმოადგენდნენ. უამრავი მეგობარი მყავდა საქართველოში. ამიტომ

[78]. გიორგი წიქარიშვილი, „ჟამი ჭეშმარიტი, დამარცხებული მოძრაობის ქრონიკა“ გვ. 191;

ჩემთვის საშინლად მტკივნეული იყო სამხრეთ ოსეთში დაწყებული სასაკლაო. გადაეწყვიტე, ჩრდილოეთ ოსეთის საზოგადო მოღვაწეები (გენერლები, პოეტები, მსახიობები) შემეკრიბა და თბილისში ჩამოესულიყავით ძველ მეგობრებთან შესასვედრად, აგრეთვე, ხელისუფლებასთან კონსულტაციებისთვის.

1990 წლის დეკემბერი იდგა. თბილისში ჩამოვედით, მაგრამ მეგობრები და კოლეგები ჩვენთან შეხვედრას თავს არიდებდნენ. ბოლოს, ვიაღ გამსახურდიასთან შეხვედრის ორგანიზება მოხერხდა.

ასეთი დამცირება არასოდეს განმიცდია. სასაუბრო ოთახში შესვლამდე ორჯერ ხელების ფათურით გაგვჩხრიკეს. როცა გამსახურდია შემოვიდა, პირისპირ დავდა (ხელი არ ჩამოურთმევია) და მდუმარედ ბიზღით შემოგვცქეროდა. მისი დაცვის წევრი კი ზურგიდან თავს დაადგა და აგრესიულად გვიბრძანა: „ხელები მაგიდაზე გეწყოთ მთელი საუბრის განმავლობაშიო“.

გულწრფელად რომ გითხრა, ქართველი ხალხისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, მომინდა იმ თქვენი პრეზიდენტისთვის სახეში მიმეხალა რასაც მასზე ვფიქრობდი.“[79]

ნაპოლეონ ქარქაშაძის მოწმობით, ასეთივე ხამგასმული უხეშობით მიიღო გამსახურდიამ ვლადისლავ არძინბა, რომელიც ისეთი შეურაცყოფილი და ნირწამხდარი გამოვიდა პრეზიდენტის კაბინეტიდან, რომ სეპარატისტული განწყობისთვის სხვა მიზეზი რომ არ ჰქონოდა, ესეც საკმარისი იქნებოდა.

დავუბრუნდეთ რეფერენდუმის თემას. მისი შედეგები ჯერ კიდევ არ ნიშნავდა დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ გამოცხადებას. რუსული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუებში გამსახურდია აცხადებდა, რომ ამას, სულ მცირე, ორი წელი მაინც დაჭირდებოდა. თავისი გარემოცვისგან განსხვავებით, გამსახურდია ხედავდა მოსალოდნელ სირთულეებს და ცდილობდა რუსეთთან კომპრომისის მიღწევას. ამაზე მეტყველებს ყაზბეგში მისი შეხვედრა ბორის ელცინთანაც (1991 წლის 23 მარტი). მაგრამ მოვლენები საწინააღმდეგო მიმართულებით ვითარდებოდა, რაც შეუძლებელს ხდიდა კომპრომისს.

იძაბებოდა შიგაპოლიტიკური ვითარებაც. საქართველოში არ დარჩა მეტნაკლებად ცნობილი პიროვნება, გამსახურდიას

[79] გიორგი წიქარიშვილი, „ჟამი ჭეშმარიტი (დამარცხებული მოძრაობის ქრონიკა)“, გვ. 567.

„ერის მოღალატედ," „სუკის აგენტად" რომ არ გამოეცხადებინოს. ის კმაყოფილი და სახეგაბადრული ხვდებოდა მისგანვე ეგზალტირებული მასის სიმღერას - „ზეიადი საქართველოაო", ამ მასის მიერ ტარიელად, მოსედ და თვით მესიადაც მისი პიროვნების გამოცხადებას. გამსახურდიასადმი გაგზავნილ პირად წერილში მისი ყოფილი მეგობარი თამაზ კვაჭანტირაძე ჯერ კიდევ 1990 წლის 6 ივნისს წერდა: „ ... ეტყობა, კეთილისა და ბოროტის მიღმა დაიგულე თავი და იმასაც კი კისრულობ, რაც სტალინ-ბერიას არ უკისრიათ: დაუსწრებლად ასამართლებ ხალხს. ზურგს უკან ჩემი განქიქება სალხით გაჭედილ თეატრში რა მოსატანია, როცა იქვე, ახმეტელის თეატრში, რეზო და თამარ ჩხეიძეები მერაბ კოსტავას მკვლელობის ორგანიზატორებად დასახე; ჭაბუა ამირეჯიბი ქართველი ერის მტრად გამოაცხადე - მან ზურგში მახვილი ჩასცა საქართველოსო აკაკი ბაქრაძე კი თურმე, ის კაცი ყოფილა, ვინც ცკ-ს მანტაკს ემორჩილება მე ეიცი ყოველივე ამის მიზეზი — ეს მხოლოდ შენი „ეჭვიანობის,სინდრომის" გამოვლენა როდია: ზნეობრივ ავტორიტეტთა დამხობა არის საკმაოდ ცნობილი, მაგრამ უზნეო პოლიტიკური ბრძოლის ტაქტიკა, უზნეოსი, რამდენადაც გლობალური ეჭვიანობისა და უნდობლობის თესვა მარტო და იმდენად სისტემას კი არ არყევს - საზოგადოების ზნეობრივ ატმოსფეროს ამღვრევს და რყვნის იმდენი და იმდენზე იძახე სუკის აგენტიაო რომ საზოგადოების ერთი ნაწილი სწორედ შენს აგენტობაში დააეჭვე, ზოგი — სულაც დაარწმუნე. მარტო სუკს ნუ დააბრალებ ამ ხმებს, სუკზე მეტად ეს ჭორი (მე ასე მწამს, ასე მინდა ვირწმუნო, რომ ეს ჭორია) შენ თვითონ დაუყარე შენი ქმედებით შენსავე თავს ... გურამიშვილისა არ იყოს, რა საქმეს მისდექ, არ დარჩა ის საქმე წაუხდომარე: ეროვნული მოძრაობის ერთიანობას ვგულისხმობ. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება დაშალე, ილია მართლის საზოგადოება დაშალე, ეროვნული ფორუმი დაშალე, ახლა ეროვნული კონგრესის დაშლას ლამობ. რაღას ინატრებდა სუკი ამაზე მეტს? ნუ გინდა სუკისგან თავდასაცავად პირადი დაცვა, სუკი, ეტყობა, იქით დაგიყენებს დაცვას, თუ სიტყვით აგინებ, საქმით კი მის საქნელსა იქმ შენი ძალა მაშინ იყო, როცა დეენილი იყავი, ყოველ

შემთხვევაში, ასე გამოიყურებოდი. რაც მცველები დაიყენე და მღვენელი გახდი, სწორედ მაშინ დაკარგე ძალა ...“[80]

ოპოზიციის დასათრგუნად გამსახურდიამ საკუთარი მეთოდი შეიმუშავა. უზენაესი საბჭოს შენობის წინ მან მუდმივად განალაგა მისი მხარდამჭერი ფანატიკოსი ქალების კარვები. ამ კარვების ბინადარნი არ სჯერდებოდნენ კარვის მცხოვრებთა პასიურ როლს. დღისით ისინი პიკეტირებას უწყობდნენ პარლამენტის შენობას, არ უშვებდნენ მასში ოპოზიციონერ დეპუტატებს, ყოველგვარი უღირსი ხერხებით ცდილობდნენ მათ დატერორებას.

„კარვის ქალები“ ხელისუფლების ყოველგვარი მატერიალური და მორალური მხარდაჭერით სარგებლობდნენ. მათი კარვები აღჭურვილი იყო ტელეფონებით, ტელევიზიით, მათთან უშუალო კავშირი ჰქონდა და მათ საქმიანობას წარმართავდა ზვიად გამსახურდიას მეუღლე და მისი და.

„კარვის ქალები“, რომლებსაც ხალხმა „ზვიადის ბეტეერები“ და „მღედრიონი“ უწოდა, საბოლოოდ უტეხდნენ სახელს ხელისუფლებას ცივილიზებული მსოფლიოს თვალში. მათი არსებობაც კი შეურაცმყოფელი იყო ადამიანური ღირსების მქონე თითოეული მოქალაქისთვის. მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობა ვერ ხედავდა ვერაფერს შეურამყოფელს „მღედრიონის“ მოქმედებაში. პირიქით, ერთხელ, როდესაც სხდომათა დარბაზში პიჯაკზე სახელოჩამოხეული დეპუტატი შემოიჭრა მერაბ კოსტავას საზოგადოებიდან და სხდომის წამყვანს მოსთხოვა, რომ მიეღო ზომები, რათა „კარვის ქალებს“ პარლამენტის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად გამოეტარებინათ მათი კოლეგა ოპოზიციონერი დეპუტატები, ამ უკანასკნელმა უკბილოდ იხუმრა - მაგათ შინაგან საქმეთა სამინისტრო ვერ უხერხებს ვერაფერს და მე რა ვქნაო. დეპუტატები კი თავიანთი სპიკერის ამ განცხადებას ცინიკური ჩაცინებით შეხვდნენ.

სხდომის მუშაობა პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა და ამ ამაზრზენი სცენის მომსწრე, უნებლიედ, მთელი საქართველო გახდა.

საკითხის ასე დასმაც კი მკრეხელობას წარმოადგენს. ცივილიზებულ ქვეყანაში ყველა დეპუტატი პროტესტის ნიშნად დატოვებდა დარბაზს და მანამდე არ დაბრუნდებოდა, ვიდრე „კარვის

[80] „სიმართლე ზვიად გამსახურდიას შესახებ“, შემდგენელი თ. ჭანტურიშვილი, თბ, 1999 წ. გვ. 184-186

ქალების“ თუნდაც ერთი წარმომადგენელი დარჩებოდა უზენაესი საბჭოს სიახლოვეს. და, ალბათ, ჩვენი დეპუტატებიც ასე მოიქცეოდნენ, „კარეის ქალების“ უკან ის პიროვნება რომ არ მდგარიყო, რომელსაც ასე მონურად და უღირსებოდ ემორჩილებოდნენ.

დემოკრატიის ტალღებზე ხელისუფლების სათავეში მოსულ გამსახურდიას არ შეეძლო შიშველი დიქტატორული ან, თუნდაც ავტორიტარული მეთოდების აშკარად გამოყენება. „მრგვალი მაგიდის“ მმართველობის ხანა – ეს იყო „კარეის ქალებს“ ამოფარებული შენიღბული ავტორიტარიზმი, რომლის დროსაც დემოკრატიის დროშით თრგუნავდნენ ნებისმიერ განსხვავებულ აზრს. სამართლიანად აღნიშნავს სტივენ ჯონსი, რომ „საქართველო იქცა არაკომპეტენტური ავტორიტარიზმის მაგალითად მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში.“[81] გამსახურდიას პოლიტიკური მეთოდები, ამ ინგლისელი ავტორის აზრით, „ნაციონალიზმის, პოპულიზმის, რელიგიურობისა და კონსერვატიზმის ნარევი იყო ... გამსახურდია, მესამე მსოფლიოს ბევრი ლიდერის მსგავსად, იმპერიული სისტემის პროდუქტი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მწვავედ უპირისპირდებოდა საბჭოთა სტრუქტურებსა და ღირებულებებს, ის მაინც მათი მსგავსი ჩამოსხმის გახლდათ, რაც განსაკუთრებით ნათლად ჩანდა კანონის, პრესის, პარლამენტისა და ოპოზიციის მიმართ გამსახურდიას პატერნალისტურ დამოკიდებულებაში. გამსახურდია ისე იქცეოდა, როგორც საბჭოთა პარტიული ბოსი; გულში ქართულ ეროვნულ ინტერესებს აგარებდა, მაგრამ ავტორიტარული ჩვევები საბჭოთა სისტემისგან ჰქონდა შესისხლხორცებული, რამაც ის, საბოლოო ჯამში, დაამარცხა კიდეც.“[82] განვითარდებოდა თუ არა საქართველოში მოვლენები იმავე გზით, როგორც ის განვითარდა მის დროს, გამსახურდიას მაგიერად ჩვენს ქვეყანას ვაცლავ ჰაველი რომ ჰყოლოდა? ამ კითხვაზე პასუხი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია. სამწუხაროდ, იმავე სტივენ ჯონსის დასკვნით, „საქართველოში არსებული ფსიქოლოგიური, კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები გამსახურდიას პიროვნებისთვის იყო ხელსაყრელი და არა ჰაველის. მსგავსმა გარემოებებმა

---

[81]. სტივენ ჯონსი, „საქართველო, პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“, თბ. 2013, გვ. 74;

[82] სტივენ ჯონსი, „საქართველო, პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“, თბ. 2013, გვ. 75;

სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში მსგავსი პიროვნებები და რეჟიმები წარმოშვა“.[83] თავისი შინაგანი ბუნებით გამსახურდია იყო წმინდა წყლის ავტორიტარი, რომელიც ვერ ჩაწვდა მაკიაველისეულ გადარჩენის პრაგმატულ რეცეპტს, რაც ოპონენტების ნაწილის დაშოშმინებას, სხვათა განეიტრალებას და სახელმწიფოსთვის მოკავშირეების შემომტკიცებას გულისხმობს. მისმა პიროვნულმა ნაკლმა - პარანოიდულმა ეჭვიანობამ და უნდობლობამ გამსახურდიას ყველა ის პოლიტიკური ჯგუფი და პიროვნება ჩამოაშორა, რომლებსაც მისი დაცვა შეეძლოთ. მან მოახერხა ერთდროულად ანტირუსულიც ყოფილიყო და ანტიდასავლურიც. ის ერთდროულად ებრძოდა „წითელ ინტელიგენციასაც“, კომუნისტებსაც, სამღვდელოებასაც, სტუდენტობასაც, გუშინდელ მოკავშირეებსაც. საბოლოოდ მან თავის წინააღმდეგ პრაქტიკულად მთელი სამყარო აიმხედრა. მისმა ამბიციურმა რადიკალიზმმა ქართული პოლიტიკური სპექტრი გახლიჩა და ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დააპირისპირა.

ქვეყნის დემოკრატიული ძალები ამხელდნენ ხელისუფლების კურსის დამღუპველ ხასიათს. რადიო „თავისულებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერი გურამ მუჩაიძე „მრგვალი მაგიდის“ კურსს „ეროვნული კატასტროფის“ კურსს უწოდებდა. „ახლანდელ ხელისუფლებას პოლიტიკური სახის გამოვლენის სრული საშუალება უნდა მივცეთ, რათა ხალხმა თავისით და სრულად გაიაზროს თუ ვინ აირჩია წინამძღოლად“, - აღნიშნავდა ის. კორესპონდენტის კითხვაზე — „ეს მეტისმეტი სისასტიკე ხომ არ არის თქვენი მხრიდანო“, - მუჩაიძე პასუხობდა: „ნაციონალისტური აღგზნება გადამდებია და ამჟამად ოპოზიციური პარტიები პრაქტიკულად ვერ დაეხმარებიან ხალხს. მას საკუთარმა მწარე გამოცდილებამ უნდა გადააგდგმევინოს თუნდაც ნახევარი ნაბიჯი ჭეშმარიტებისკენ“.[84]

1991 წლის 9 აპრილს გამსახურდიამ უზენაესი საბჭოს საგანგებო სხდომა მოიწვია. თავის ვრცელ მოხსენებაში მან განმარტა ცენტრალურ ხელისუფლებასთან საქართველოს ხელისუფლების მაშინდელი დამოკიდებულების ხასიათი. ჩვენს მიერ გამოცხადებული „გარდამავალი პერიოდი“, — აღნიშნა მან — სა-

---

[83] . სტივენ ჯონსი, „საქართველო, პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადებისშემდეგ“, თბ. 2013, გვ. 77;

[84] .გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 23 მაისი, 1991 წ.

ქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური საფუძვლის მომზადებას გულისხმობდა, რასაც, ჩვენი ვარაუდით, მინიმუმ ორი წელი მაინც დაჭირდებოდა. სხვა საკითხებთან ერთად, ეს საკავშირო ხელისუფლების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობისკენ გადადგმული სამართლებრივი ნაბიჯების აღიარებასაც გულისხმობდა. მოხდა კი პირიქით: ქართველი ხალხის სწრაფვას დამოუკიდებლობისკენ საკავშირო ხელისუფლებამ რეპრესიებით უპასუხა. მან ნამდვილი ომი გააჩაღა შიდა ქართლში, რითაც შეეცადა დაგვითანხმოს ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე. განსაკუთრებით გაძლიერდა რუსეთის მეწოლა 31 მარტის რეფერენდუმის შემდეგ. ამან მოვლენების ფორსირება გამოიწვია და შეამცირა გარდამავალი პერიოდის ხანგრძლივობა. „ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, რეფერენდუმში გამოხატული ხალხის ნების გათავლისწინებით, მსოფლიოს ცივილიზებულ ერთა წინაშე გამოაცხადოს საქართველოს დამოუკიდებლი სახელმწიფოებრიობის აღდგენა.“[85]

ხელისუფლების გადაწყვეტილება დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ თვით დეპუტატთა უმრავლესობისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა.

საქართველოს ხელისუფლების მიერ დამოუკიდებლობის აქტის მიღებამ საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. ამ აქტის დაგმობა მთელ ქართველ ხალხთან და მის სანუკვარ მიზანთან დაპირისპირებას ნიშნავდა, მისი მოწონება – „დეკოლონიზაციის“ ამოჩემებული კურსის მცდარად აღიარებას. ეროვნულმა დემოკრატებმა ამჯერედაც სოფიზმის ნაცად ხერხს მიმართეს და რთული მდგომარეობიდან თავი ასე დააღწიეს. თავიანთ განცხადებაში მათ კიდევ ერთხელ დააფიქსირეს უარყოფითი დამოკიდებულება „ლიტვური გზის“ მიმართ, მაგრამ დაღებით მომენტად ის მიიჩნიეს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიხედვით, „დეოკუპაცია ეროვნული დაუმორჩილებლობის გზით უნდა განხორციელდეს“. ამიტომ ისინი მიესალმებოდნენ დამოუკიდებლობის აქტს და ამ

[85] დიმიტრი შველიძე, „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წწ),“ გვ. 205

საქმეში უზენაესი საბჭოს „ხელშეწყობის“ სურვილსაც გამოხატავდნენ.

დამოუკიდებლობის აქტის მიმართ ყველაზე უარყოფითი დამოკიდებულება მაინც ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ დაიკავა. საერთოდ ზომიერ პოზიციებზე მდგომი ეს ინტელექტუალური ორგანიზაცია გამსახურდიას მიმართ ყოველთვის მკვეთრად ნეგატიურად იყო განწყობილი. აი ასლაც, ამ ორგანიზაციის აზრით, საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა მუდმივ ეიფორიაში ყოლოდა ხალხი. სწორედ ამ მიზნით ატარებდა ის თავის რეფერენდუმებს, აცხადებდა დამოუკიდებლობას, ნიშნავდა პრეზიდენტის არჩევნებს და ა.შ. და ეს მაშინ, როდესაც ქვეყანაში ღრმად ეკონომიკური მდგომარეობაო.

შეურიგებელი ოპოზიციიდან მხოლოდ ირაკლი წერეთელი მიესალმა მთელი გულით დამოუკიდებლობის გამოცხადებას. 9 აპრილს მან მთავრობის სახლის წინ დამოუკიდებლობის აღდგენისადმი მიძღვნილი მიტინგშიც მიიღო მონაწილეობა.

§ 25 საპრეზიდენტო არჩევნები

1991 წლის დასაწყისიდან ვითარება დაიძაბა აფხაზეთში. 29 მარტს გამსახურდია არძინბას წერდა: „ თქვენ პირადად, ბატონო ვლადისლავ და მთლიანად აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი სისტემატურად უგულებელჰყოფთ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას და სხვადასხვა თანამდებობის პირებს აფხაზეთში უმზადებთ ნიადაგს სახელმწიფო დანაშაულის ჩასადენად.

თქვენი ასეთი საქციელი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც თანამდებობის ბოროტად გამოყენება, რასაც საკმაოდ მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს. ამით თქვენ საფრთხეს უქმნით მოქალაქეთა მშვიდობიან ცხოერებას, აღვივებთ ეროვნულ შუღლს, იწვევთ გაუმართლებელ დაპირისპირებას ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის, უხეშად არღვევთ საქართველოს კონსტიტუციას ...

... ერთაშორის ჭიდილში გამარჯვებული არ არსებობს. კიდევ ერთხელ დაფიქრდით, გაითვალისწინეთ ისტორიის გაკვეთილები და, რაც მთავარია, შეუსაბამეთ თქვენი პოლიტიკა საქარ-

თელოს რესპუბლიკის კანონმდებლობას, რომლის იურისდიქციის ქვეშაც თქვენ ბრძანდებით."[86]

ორმხრივი კონსესუსის საფუძველზე აფხაზეთში ვითარების ნორმალიზება მაინც მოხერხდა. მიღწეული კომპრომისის შედეგად გადაწყდა, რომ აფხაზეთის უზენაეს საბჭოში 65 ადგილიდან 28 ექნებოდათ აფხაზებს, 26 – ქართველებს და 11 დანარჩენ ეროვნულ უმცირესობებს. აფსაზები წარადგენდნენ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურას, რომელსაც ქართველები მხარს დაუჭერდნენ. სამაგიეროდ, ქართველების პრეროგატივაში შედიოდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურის შერჩევა, რომლისთვისაც ასევე, უპირობოდ უნდა დაეჭირათ მხარი აფხაზებს. მინისტრთა კანდიდატურების გასასვლელად, აგრეთვე, ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების (გარდა საპროცედუროსი) მისაღებად დეპუტატთა ხმების 2/3-ს (44 ადგილი) მიღება იყო საჭირო, რაც აუცილებელს ხდიდა შეთანხმებას ქართველ და აფხაზ დეპუტატთა შორის.

1991 წლის 24 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გვიად გამსახურდია პრეზიდენტად აირჩია. გამსახურდია ამით არ დაკმაყოფილდა და იმავე წლის 26 მაისისთვის პრეზიდენტის პირდაპირი და საყოველთაო არჩევნები დანიშნა.

პრეზიდენტობის კანდიდატებად, გამსახურდიას გარდა, დასახელდნენ ვალერიან ადეიშვილი, ნოდარ ნათაძე, ირაკლი შენგელაია, ჯემალ მიქელაძე და თამაზ კვაჭანტირაძე. გამსახურდია იძულებული იყო წინასაარჩევნო კამპანიის ჩარჩოებში საეთერო დრო დაეთმო ოპოზიციური კანდიდატებისთვისაც.

საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის მხარდაჭერა გამსახურსიასადმი უანატიკურ რწმენას ეფუძნებოდა. ამიტომ ოპოზიციურ კანდიდატთა არგუმენტირებულმა კრიტიკამ შედეგი ვერ გამოიღო. პირიქით, მოსახლეობის ერთმა ნაწილმა პრეზიდენტის კრიტიკა ლანძღვად აღიქვა, თუმცა, გამსახურდიას ოპონენტების მხრიე ეთიკის ნორმების დარღვევას ადგილი არ ჰქონია. სამაგიეროდ, თვით პრეზიდენტი მიმართავდა შეურაცმყოფელ გამოთქმებს პრეზიდენტობის დანარჩენ კანდიდატთა მიმართ. მან საჯაროდ „საწყლები" და „საბრალონი" უწოდა თა-

[86] მიხეილ სულუაშვილი, „1991 წლის დეკემბერსადა 1992 წლის იანვარში საქართველოს რესპუბლიკაში განვითარებული მოვლენების შეფასების საკითხისათვის," თბ. 2012 წ. გვ. 18

ვის ოპონენტებს, შემდეგ კი თავისი საყვარელი ფრაზა მათ მიმართაც გამოიყენა. გამსახურდიამ განაცხადა, რომ მისი ოპონენტები „კრემლის მითითებით მოქმედებენ“.

ეს არა მარტო შეურაცყოფა, არამედ მძიმე ბრალდებაც იყო. ბრალდება, რომელსაც პრეზიდენტი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უყენებდა თავის ოპონენტებს.

საარჩევნო კამპანია გარეგნულად, თითქოს, დემოკრატიულობის ყველა ატრიბუტის თანხლებით წარიმართა: პრეზიდენტობის კანდიდატებს დათმობილი ჰქონდათ თანაბარი საეთერო დრო, თითოეულ მათგანს საშუალება ჰქონდა საჯაროდ გამოეთქვა თავისი კრიტიკული აზრი, საერთაშორისო მეთვალყურენი მონიტორინგს ახორციელებდნენ არჩევნების მიმდინარეობაზე და სხვ. ამის მიუხედავად, პრეზიდენტობის ოპოზიციური კანდიდატების არაერთგზის განცხადებებს საარჩევნო კამპანიის არათანაბარი პირობების შესახებ სერიოზული საფუძველი გააჩნდა.

საქმე მხოლოდ ის როდია, რომ პრეზიდენტობის ოპოზიციური კანდიდატებისა და მათი ნდობით აღჭურვილი პირების თითოეულ გამოსვლას, როგორც წესი, თან ახლდა პრეზიდენტის მომხრეთა კომენტარები, უთანასწორებას, პირველ რიგში, ქმნიდა ის ფსიქოლოგიური ატმოსფერო, რომლის საერთო ფონზეც მიმდინარეობდა წინასაარჩევნო კამპანია.

ოფიციალური პრესა ყოველდღიურად ბეჭდავდა შრომითი კოლექტივების განცხადებებს პრეზიდენტობის „ერთადერთი ღირსეული კანდიდატის, ბატონ ზვიად გამსახურდიას ერთსულოვანი მხარდაჭერის“ თაობაზე. ეს განცხადებები წვეთი წყალივით ჩამოჰგავდნენ ჩვენი საბჭოური წარსულის სამარცხვინო პრაქტიკას. ოპოზიციური კანდიდატების პროტესტის შემდეგ სიტყვა „ერთადერთი“ განცხადებებიდან ამოიღეს, განცხადებების გამოქვეყნების პრაქტიკა კი ძველებურად განაგრძეს.

ცხადია, ასეთი რამ სრულიად წარმოუდგენელია ნორმალური დემოკრატიის ქვეყნებში. ამერიკის შეერთებულ შტატებში არავის მოუვა აზრად თავში „ნიუ-იურკ ტაიმსში“ გამოაქვეყნოს, ვთქვათ, ასეთი განცხადება: „ჯენერალ-მოტორსის“ ფირმის მრავალათასიანი კოლექტივი ერთსულოვნად უჭერს მხარს პრეზიდენტობის ერთადერთ ღირსეულ კანდიდატს ბარაქ ობამას“.

საქართველოში კი მაშინ, ძალზე ბევრი, ამ ფაქტში აბსურდს ვერ ხედავდა.

არჩევნების წინ პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა, ნოდარ ნათაძემ დედა გააცილა უკანასკნელ გზაზე. და მაინც, არჩევნების წინა ღღეს გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ მასზე გამოაქვეყნა პასკვილი, რომელშიც, ყოველგვარი საბუთის გარეშე, ნათაძეს ბრალი დასდო ინგილოების საქმით ხელის მოთბობაში.

ამ და სხვა მსგავსი ფაქტების ფონზე მაინც ერთგვარად მოულოდნელი იყო გამსახურდიას მიერ თავის ოპონენტებთან ტელედებატებში მონაწილეობაზე უარის თქმა. კიდევ უფრო მოულოდნელი კი ის არგუმენტი იყო, რომლითაც მან თავისი უარი დაასაბუთა: მე რეალური პრეზიდენტი ვარ და პრეზიდენტობის მაძიებლებთან თავს არ გავიცელიო.

ეს არა მხოლოდ პრეზიდენტობის კანდიდატების, არამედ მთელი ჩვენი საზოგადოების შეურაცხყოფა იყო.

26 მაისის არჩევნებმა კი ჩვენი მოსახლეობის მამინდელი განწყობა რეალურად ასახა. ისევე, როგორც 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში, ქართველი ხალხის დიდი ნაწილი გვიად გამსახურდიას სახელთან აკავშირებდა ეროვნული თავისუფლების იდეის ხორცშესხმას. ეროვნული ფსიქოზის გაღვივების გზით გამოწვეულ ეიფორიას ჯერ კიდევ შეპყრობილი ჰყავდა ხალხის მასები.

ამასთან, არჩევნებმა გვიჩვენა, რომ ემოციური პატრიოტიზმი ნელა, მაგრამ გეგმაზომიერად უთმობდა გზას რაციონალურ პატრიოტიზმს. მოსახლეობის ზომიერი ნაწილი თანდათან უბრუნდებოდა თავის ბუნებრივ, ზომიერ პოზიციას.

ეს გარემოება „მრეკვალი მაგიდისა“ და მისი ლიდერის წინაშე აყენებდა დილემას: ან დაეთმოთ რადიკალიზმი, შეეწყვიტათ ზომიერ ეროვნულ ძალებთან კონფრონტაცია, რასაც შიგა-პოლიტიკური დაძაბულობის შენელება და მმართველი პოლიტიკური ბლოკის სოციალური ბაზის გაფართოება მოჰყვებოდა; ან დარჩენილიყვნენ რადიკალურ პოზიციაზე და განეგრძოთ კონფრონტაციული კურსი, რაც, საბოლოო ჯამში, ხელისუფლების დაკარგვას გამოიწვევდა.

ხელისუფლებამ მისთვის უფრო „ახლობელი“ კონფრონტაციული კურსი აირჩია.

საპრეზიდენტო არჩევნებმა კიდევ უფრო გააღრმავა შიგა-პოლიტიკური დაპირისპირება საქართველოში. შეურიგებელ ოპოზიციას შეუერთდნენ ზომიერ-ლიბერალური ჯგუფები და ელიტა-

რული ინტელიგენცია. გამსახურდიას კონფრონტაციულმა კურსმა გააძლიერა ოპოზიციური ბანაკი და ხელი შეუწყო მათ გაერთიანებას. ხელისუფლებამ უარი თქვა ეთანამშრომლა ისეთ ზომიერ და ინტელექტუალურ ძალასთანაც კი, როგორიც ბლოკი „თავისუფლება“ იყო. ამ ბლოკში შემავალმა პოლიტიკური ძალებმა: რესპუბლიკურ-ფედერალურმა პარტიამ, ლიბერალურ-დემოკრატიულმა ეროვნულმა პარტიამ, მწვანეთა პარტიამ და სხვებმა რამდენჯერმე მიმართეს თანამშრომლობის თხოვნით ხელისუფლებას. „თავისუფლების“ აზრით, ეს შეიძლება მომხდარიყო პარლამენტის სხვადასხვა კომისიებსა და კომიტეტებში თანამშრომლობის, უმენაეს საბჭოსთან საკონსულტაციო საბჭოს შექმნის გზით და სხვა. თუმცა, ხელისუფლება ჯიუტად და ქედმაღლურად უარყოფდა ყველა მსგავს წინადადებას. „ჩვენ არაერთხელ განვაცხადეთ: 28 ოქტომბერი აღვიქვით, როგორც ნიშანი იმისა, რომ საქართველომ გააკეთა სხვა არჩევანი და ჩვენ, როგორც მოქმედი პოლიტიკური საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მოვალენი ვართ მოვეხმაროთ იმ ხელისუფლებას, რომლის არჩევანიც ინება ქართველმა ხალხმა. ამ მიმართულებით არ დაგვიშურებია არც ენერგია, არც ცოდნა, არც მოთმინება ... ძალიან ხშირად გვიხდებოდა თავმოყვარეობაზეც უარის თქმა, რათა ჩვენი ცოდნა, გამოცდილება, საგარეო ურთიერთობანი გამოგვეყენებინა საქართველოსთვის. მაგრამ უმენაეს საბჭოს ჩვენი არაფერი „დაჭირდა“,[87] — გულისწყვეტით აღნიშნავდა ზურაბ ჟვანია.

ზომიერ პოლიტიკურ ძალებთან თანამშრომლობაზე ხელისუფლების უარი, ცხადია, არაკანონიერი არ ყოფილა — ხელისუფლებას ამის იურიდიული უფლება ჰქონდა, მაგრამ ხელისუფლების ეს ნაბიჯი არაგონიერული, უფრო მწვავედაც შეიძლება თქმა — უგუნური კი ნამდვილად იყო. გამსახურდია ჯიუტად იმეორებდა, რომ საქართველოში ოპოზიცია არ არსებობს, ეს რაღაც სულ ათასი კაციაო. „ოპოზიციას არანაირი პოლიტიკური ძალა არა აქვს. მას ნულოვანი მხარდაჭერა აქვს ხალხში. ჩვენი ე. წ. ოპოზიცია პოლიტიკური მძორია, რომელიც არავისთვის არანაირი საშიშროება არ არის“[88] ,— აცსადებდა ის. მღვარსგადასული ამბიციურობა მას საშუალებას არ აძლევდა რეალურად შეეფასებინა ვი-

[87] გაზ. „ლელამიწა“, 26 სექტემბერი, 1991 წ.

[88] .გაზ. „ახალგაზრდა იევრიელი,“ 18 მაისი, 1991 წ.

თარება – როგორ შეიძლება საქართველოში მე მრავალრიცხოვანი ოპოზიცია მყავდეს, მე ხომ ხალხის ასეთი სიყვარულით ვსარგებლობო. მისი უკომპრომისო, კონფრონტაციული კურსის შედეგად კი ოპოზიციური ბანაკი გორაკიდან დაგორებული თოვლის გუნდასავით ძალას იკრებდა და იზრდებოდა.

მალე გამსახურდიას ხისტი და უკომპრომისო პოლიტიკის წყალობით უთანხმოება თვით მმართველ ბლოკში და ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ჩამოვარდა.

§ 2.6 1991 წლის აგვისტოს მოსკოვის პუტჩი

1991 წლის 20 აგვისტოსთვის განზრახული იყო საბჭოთა რესპუბლიკების მიერ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერა. გორბაჩოვის გეგმის მიხედვით, ამ აქტს სერიოზული ორგანიზაციული ზომები უნდა მოჰყოლოდა. საბჭოთა კავშირის პრემიერ-მინისტრის პოსტზე პაელოი ნაზარბაევს უნდა შეეცვალა, თანამდებობები უნდა დაეტოვებინათ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, თავდაცვის მინისტრს და სხვ.

ახალი კურსით უკმაყოფილო პარტიულ-კონსერვატიული ელიტა დიდი ხნის მანძილზე ამზადებდა სახელმწიფო გადატრიალებას.

1991 წლის 19 აგვისტოს, დილით, საკავშირო ტელევიზიამ და რადიომ გამაოგნებელი ცნობა გადასცეს: „მიხეილ გორბაჩოვის მიერ დაწყებულმა გარდაქმნამ საფრთხე შეუქმნა ქვეყნის არსებობას...“

საბჭოთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა გენადი იანაევმა, რომელმაც გკჩპ-ს ხელმძღვანელობა იკისრა, პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ქვეყნის პრეზიდენტის პოსტიდან „ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო“ გადაყენებულ იქნა ყირიმში დასასვენებლად მყოფი მიხეილ გორბაჩოვი და რომ ძალაუფლებას ხელში იღებს საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტი (გკჩპ). იანაევმა საბჭოთა კავშირის რიგ რეგიონებში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა (რეგიონები დასახელებული არ ყოფილა, ისე-

დაც ცხადი იყო, რომ ეს შეეხებოდა ლიტვას, ლატვიას, ესტონეთს სომხეთს, მოლდოვას და საქართველოს). აიკრძალა მიტინგები, დემონსტრაციები, პოლიტიკური პარტიების აქტიურობა.

ცხადი გახდა, რომ ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალება განხორციელდა. შეთქმულთა მიზანი საბჭოთა იმპერიის რესტავრაცია, დემოკრატიული პროცესების შეჩერება და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი რესპუბლიკების დათრგუნვა იყო.

19 აგვისტოს პუტჩისტებმა მოსკოვში ტანკები და სხვა სამხედრო ტექნიკა შეიყვანეს და თეთრ სახლს ალყა შემოარტყეს.

როგორი პოზიცია დაიკავეს გკჩპ-ს მიმართ მოკავშირე რესპუბლიკებმა?

ყაზახეთმა, სომხეთმა, ყირგიზეთმა, თურქმენეთმა და უკრაინამ გკჩპ-ს მიმართ ფრთხილი და მომლოდინე პოზიცია დაიკავეს. ამ რესპუბლიკების ხელმძღვანელებმა მოსახლეობას სიმშვიდისკენ და სტაბილურობისკენ მოუწოდეს. მათ განცხადებებში არ იყო მოცემული გკჩპ–ს შეფასება.

დღევანდელი გადასახედიდან ასეთი სიფრთხილე, შეიძლება, დემოკრატიის ინტერესების გაყიდვადაც მოჩანდეს, მაგრამ მაშინ, 19 აგვისტოს, დაბეჯითებით ვერავინ იტყოდა, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები. გკჩპ-ს შეეძლო გამოეჩენილი ურჩობისთვის სამაგალითოდ დაესაჯა ურჩი რესპუბლიკები. ამიტომ აღნიშნული რესპუბლიკების ასეთი „ნეიტრალური“ პოზიცია თავიანთი ეროვნული ინტერესების დემოკრატიის ინტერესებზე პრიმატის პოლიტიკის შედეგი იყო, რაც სავსებით პრაგმატულ და მართებულ პოზიციად უნდა შევაფასოთ.

მეტ-ნაკლები აქტიურობით, მაგრამ მაინც გკჩპ-ს მხარდამჭერი პოზიცია დააფიქსირეს ბელორუსიის, აზერბაიჯანის, უზბეკეთის და ტაჯიკეთის რესპუბლიკების ხელმძღვანელებმა.

ლიტვამ, რომელმაც ჯერ კიდევ 1990 წლის 12 მარტს, ესტონეთმა - 30 მარტს, ლატვიამ - 4 მაისს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს (დანარჩენი საბჭოთა რესპუბლიკებიდან 1991 წლის 9 აპრილს მათ პირველი საქართველო შეუერთდა), გკჩპ-ს მიმართ თავიდანვე უკომპრომისო პოზიცია დაიკავეს. მათ გადაჭრით დაგმეს პუტჩი და მას „სამხედრო დიქტატურის დამყარების მცდელობის“ კვალიფიკაცია მისცეს.

ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ამ თამამ პოზიციას გამართლება ჰქონდა. მათ „ქაღილის ძალა“ შესწევდათ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჯერ კიდევ 1989 წლის მოლაპარაკებებ-

ზე დაითანხმეს საბჭოთა ლიდერები, რომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას შერიგებოდნენ. უკვე 20 აგვისტოს აშშ-ს პრეზიდენტმა გააფრთხილა გკჩპ, რომ მისი მხრივ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში ძალის გამოყენებას შეერთებული შტატების სერიოზული რეაგირება მოჰყვებოდა. ასეთი მხარდაჭერით ზურგგამაგრებულ ბალტიის რესპუბლიკებს შეეძლოთ „ვაქკაცური“ პოზიცია დაეკავებინათ.

გასაკვირი იყო მოლდოვას პოზიცია. 19 აგვისტოს პრეზიდენტმა მირჩა სნეგურმა ტელევიზიით მიმართა მოლდოვას მოსახლეობას და მოუწოდა არ დამორჩილებოდნენ არაკანონიერ გკჩპ-ს. მოლდოვას ხელისუფლებამ რესპუბლიკაში დროებით რუსული გაზეთების გამოსვლაც აკრძალა და სტრატეგიული ობიექტების დაცვის დამატებითი ღონისძიებების განხორციელებასაც შეუდგა.

ასეთი იყო გკჩპ-სადმი მოკავშირე რესპუბლიკების დამოკიდებულება.

ამ სამი ბანაკიდან რომელს შეიძლება მივაკუთვნოთ საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება გკჩპ-სადმი?

საქართველოს ხელისუფლების მიერ 19 აგვისტოს მიღებულ ოფიციალურ დოკუმენტში – საქართველოს მოსახლეობისადმი „მიმართვაში“ ხაზგასმულად ნეიტრალური ფორმით საუბარი იყო მოსკოვში განვითარებულ მოვლენებზე. ამის შემდეგ ხელისუფლება მოსახლეობას მოუწოდებდა დაეცვათ სიმშვიდე და არ აჰყოლოდნენ პროვოკაციებს.

მიმართვა არაფერს ამბობდა გადატრიალებაზე, საერთოდ, არანაირ კვალიფიკაციას არ აძლევდა მომხდარ ფაქტს.

აქედან სრულიად ნათელია, რომ გკჩპ-ს მიმართ საქართველოს ხელისუფლებამ, ყაზახეთის, ყირგიზეთის, სომხეთის, უკრაინის და თურქმენეთის მსგავსად, ფრთხილი და ნეიტრალური პოზიცია დაიკავა.

ზემოთ ვთქვით და კვლავაც ვიმეორებთ, რომ ეს უაღრესად პრაგმატული და რეალისტური პოზიცია იყო. ხელისუფლების ამ პოზიციას რაღაც ზოგადსაკაცობრიო აბსტრაქტული პრინციპი კი არა, ჭეშმარიტად ეროვნული ინტერესი ედო საფუძვლად.

გასაგებია, რომ ეროვნული დემოკრატები და სხვა „შეურიგებლები“ ხიშტებით შეხვდნენ ხელისუფლების ამგვარ პოზიციას და „ყოელად გაუმართლებელ უპრინციპობაში“ და „სიმხდალეში“ დაადანაშაულეს იგი. საწყენი და დასანანი ის იყო, რომ ზო-

მიერი პოლიტიკური ძალებიც ისევე აკრიტიკებდნენ გამსახურდიას მისი ზომიერი პოზიციისთვის, როგორც რადიკალები. „1991 წლის აგვისტოს პუტჩის დღეებში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა სრული და გაუმართლებელი კაპიტულაცია მოახდინა ე. წ. „საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტის“ წინაშე, რითაც ჩვენი ქვეყნის რეპუტაცია მკვეთრად დასცა მსოფლიოს საზოგადოებრიობის თვალში“,[89] — ნათქვამი იყო „ოპოზიციური პარტიების“ სახელით გამოქვეყნებულ განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერდნენ „დასი“, „თავისუფალ დემოკრატთა კავშირი“, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია, რესპუბლიკური პარტია, სახალხო ფრონტი და სხვა ცენტრისტული პოლიტიკური ძალები.

არადა, გეჩპ-ს რომ რამდენიმე თვით მაინც შეენარჩუნებინა ძალაუფლება, ის სისხლის კალოებს დადგამდა ურჩ რესპუბლიკებში. ბალტიისპირელებს, ალბათ, აშშ-სა და დასავლეთ ევროპის მხარდაჭერა დაიცავდა, მაგრამ პატარა მოლდოვა კი თავისი „სიმამაცის“ გამო სამაგალითოდ დაისჯებოდა. მსგავსი „სიმამაცის“ გამოვლენის შემთხვევაში ახალი სისხლისღვრა და რეპრესიები არ ასცდებოდა საქართველოსაც. და მაშინ, ოპოზიციური პარტიები ასევე ერთხმად დაადანაშაულებდნენ ხელისუფლებას „შეღეგებზე გაუთვლელი“ გადაწყვეტილებისთვის, „უპასუხისმგებლო ნაბიჯისთვის“ და ა. შ.

რაც მთავარია, ამ შემთხვევაში ისინი მართალნი იქნებოდნენ.

პოლიტიკაში სიმამაცე სხვაა და პირადი სიმამაცე — სხვა. როდესაც რომის სახელოვან სარდალს — მაქსიმუს უაბიუსს მეგობრებმა ურჩიეს, მისი ღირსების შესალახად დარხეული ხმები საფრთხესთან პირისპირ შეგებებით (იმხანად ჰანიბალს ებრძოდა) გაექარწყლებინა, ამ მამაცმა და ბრძენმა კაცმა მიუგო: „ეგონებ, უფრო მეტად მსდალი აღმოვჩნდები, ვიდრე ახლა მიგაჩნივართ, დაცინვისა და გაკიცხვის რომ შემშინებოდა და გადაწყვეტილებაზე ხელი ამეღო. სამშობლოს გამო შიში სამარცხვინო როდია. ხალხის აზრის, ცილისწამებისა და ლანძღვა-გინების წინაშე შიში კი ნამდვილად არ შემფერისო!“

გამსახურდიას სიფრთხილე, რომელიც მისმა ოპონენტებმა სიმხდალედ, უპრინციპობად და კაპიტულანტობად მონათლეს,

---

[89] გაზ. „საქართველო“ 2 სექტემბერი, 1991 წ.

განპირობებული იყო საკუთარ ქვეყანაზე და ხალხზე ბრუნვით. და ეს აბსოლუტურად მართებული პოზიციაა.

უარესი კი ის იყო, რომ გამსახურდიას ასეთი პოზიცია ბევრმა მისმა მხარდამჭერმაც სიმხდალედ აღიქვა. გამსახურდიასგან მათ მთელი ცხოვრება კრემლის ლანძღვა-გინება ესმოდათ და ახლა მისი კომპრომისული პოზიცია მათთვის გაუგებარი აღმოჩნდა. არაერთ გაკვირვებია ასეთი პოზიცია ნურსულთან ნაზარბაევისგან, გამსახურდიასგან კი ეს ბევრი მისი თანამებრძოლისთვისაც სრული მოულოდნელობა იყო. მხოლოდ გამსახურდიამ კი არა, მთელმა ჩვენმა ეროვნულმა მოძრაობამ შექმნა ისეთი ატმოსფერო, რომელიც კომპრომისს გამორიცხავდა. ეს ატმოსფერო პოლიტიკური მანევრისთვის სივრცეს არ ტოვებდა.

პუტჩის მეორე დღესვე გკჩპ-ს ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, გენერალი ჟურავლიოვი თბილისში ჩამოფრინდა და საქართველოს ხელისუფლებას ულტიმატუმის ფორმით „სამხედრო ფორმირებების“ დაშლა მოსთხოვა. გენერალი იმუქრებოდა – თუ გვარდიას არ დაშლით, 40 ათასიან არმიას შემოვიყვანთ და ამ უკანონო სამხედრო ფორმირებას ასე გავანადგურებთო.

გამსახურდიამ გვარდიას „განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვეგანაყოფის“ სტატუსი მიანიჭა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუქვემდებარა. გაუქმდა ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობაც.

ეს გამსახურდიას კიდევ ერთი გონიერული ნაბიჯი იყო. მან გვარდია არ დაშალა, მას მხოლოდ აბრა შეუცვალა.

თენგიზ კიტოვანი არ დაემორჩილა პრეზიდენტის ბრძანებას და გვარდიის ელიტასთან (პირველ ეტაპზე 100-150 კაცი) ერთად რკონის ხეობაში გაიხიზნა. ამრიგად, „ძაღლობას“ კიტოვანმა დაუმორჩილებლობა არჩია. ქურდული მენტალიტეტის მქონე კიტოვანისთვის მილიციელის ფორმის ჩაცმა მიუღებელი იყო. გვარდია საძმოების პრინციპით იყო შექმნილი. მასში კიტოვანის ძმაკაცი „ძველი ბიჭები“, ამ ძმაკაცების ძმაკაცები და ა. შ. იყვნენ გაერთიანებული. ამიტომ ქურდული მორალი არც მათთვის იყო უცხო. ამ ამბით, კიტოვანის განწყობა სრულ უნისონში იყო გვარდიელთა უმრავლესობის განწყობასთან. კიტოვანის გადაწყვეტილების მოტივაციის გაგებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი ინტელექტუალური შესაძლებლობების გათვალისწინება. აბროვნების სიმწირე და სწორხაზოვნება მას საშუალებას არ აძლევდა ღრმად ჩაწვდენოდა გამსახურდიას გადაწყვეტილე-

ბის არსს. ამბიციური კიტოვანისთვის სერიოზული მაპროვაცირებელი ფაქტორი იყო ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობის გაუქმებაც.

თავის ერცელ წერილში - „გვარდია რკონში“, თვით კიტოვანი განსხვავებულად განმარტავს გვარდიის სეობაში გახიზვნის მიზეზებს. 25 აგვისტოს გამოქვეყნებულ წერილში კიტოვანი გვარდიის ამ ნაბიჯს პრეზიდენტთან შეთანხმებულს უწოდებს. პუტჩის წარმატების შემთხვევაში გვარდიას ექნებოდა შესაძლებლობა რკონიდან დაეწყო პარტიზანული ომი პუტჩისტების წინააღმდეგ. წერილის ავტორი გაღიზიანებით საუბრობს შინაგან საქმეთა მინისტრის – დილარ საბულიანის მიერ პუტჩის დამთავრების შემდეგ გვარდიისთვის იარაღის ჩამორთმევის ბრძანების გაცემის თაობაზე. წერილში კიტოვანი არ ასხენებს პრეზიდენტს და უკმაყოფილებას მხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრის მიმართ გამოთქვამს.

მეორე დღესაც, კიტოვანი მწვავედ აკრიტიკებს თავის მომავალ მოკავშირეს – გია ჭანტურიას და კიდევ უფრო მკვეთრი ფორმით აფიქსირებს თავის ლოიალურ დამოკიდებულებას პრეზიდენტისადმი. საქმე ისაა, რომ ეროვნულმა დემოკრატებმა რკონში გახიზნულ გვარდიელებში გაავრცელეს პროკლამაცია, რომელიც „კრემლის მორჩილი მარიონეტი ხელისუფლების“ წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლის პირდაპირ მოწოდებას შეიცავდა. სპეციალურ საპასუხო წერილში კიტოვანი აღნიშნულ პროკლამაციას „სამოქალაქო ომისკენ მოწოდებად“ აღიქვამდა და აცხადებდა, რომ „ასეთი მოწოდებები „მგრის წისქვილზე ასხამდნენ წყალს“.

გვარდიის სარდლის ზემოთ მოხმობილი წერილები, თითქოს, იმ ეტაპზე ხელისუფლებისადმი მის ლოიალურ დამოკიდებულებაზე მეტყველებს. სინამდვილეში კიტოვანი, უბრალოდ, ჯერ კიდევ არ წვავდა უკან დასახევ ხიდებს. პრეზიდენტის გადაწყვეტილების შეუსრულებლობა კი მაშინაც აშკარა იყო. 23 აგვისტოს გამსახურდიამ სპეციალური ბრძანებით კიდევ ერთხელ გააუქმა ეროვნული გვარდიის სარდლის პოსტი, ამის მიუხედავად კიტოვანი რკონში განლაგებული გვარდიის ნაწილების სარდლობას განაგრძობდა.

ამ ამბებამდე ცოტა ხნით ადრე ვაჟა ადამიამ, რომელიც პარლამენტში თავდაცვის კომიტეტს ხელმძღვანელობდა, გვარდიაში ფინანსური კომისია გაგზავნა. თავისი ეს ნაბიჯი ადამიამ

სიტყვიერად შეათანხმა პრეზიდენტთან. ამან კიტოვანის აღშფოთება გამოიწვია. მან კატეგორიული ფორმით მოსთხოვა გამსახურდიას კომისიის გაწვევა.

გამსახურდიამ დათმო და აღამია იქით დატუქსა: სიტყვიერად კი დაგეთანხმე, მაგრამ წერილობითი თანხმობა ხომ არ მომიციაო.

ამით გამსახურდიამ ვერც კიტოვანი შემოირიგა და აღამიაც საბოლოოდ გადაიმტერა.

22 აგვისტოს მოსკოვში პუტჩისტები დააპატიმრეს. მიხეილ გორბაჩოვი კრემლში დაბრუნდა.

26 აგვისტოს საქართველოს ხელისუფლებამ ეროვნული გვარდიის პირვანდელი სტატუსი აღადგინა. ბრძანებულების მეორე პუნქტი ავალდებულებდა რკონის ხეობაში მყოფ ყველა გვარდიელს დაბრუნებოდა ყაზარმებს.

იმავე დღეს გამოქვეყნდა საქართველოს უმენაესი საბჭოს საგანგებო სესიის მიმართვა გვარდიელებისადმი, რომელშიც ახსნილი იყო გვარდიის „რეორგანიზაციის“, შემდეგ კი მისი სტატუსის აღდგენის გარემოებები. მოსკოვში მომხდარმა სახელმწიფო გადატრიალებამ საქართველო საშიში რეალობის წინაშე დააყენა. თბილისში ჩამოსულმა გკჩპ-ს ემისარმა პირდაპირ განაცხადა, რომ საბჭოთა ჯარების ნაწილებს მიღებული აქვთ ბრძანება ეროვნული გვარდიის განადგურების შესახებ. სწორედ გვარდიის გადარჩენისა და მოსალოდნელი სხვა საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით ხელისუფლებამ გადადგა ტაქტიკური ნაბიჯი – გვარდია დაუქვემდებარა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რითაც გადაარჩინა გვარდიაც და შეინარჩუნა სტაბილურობა ქვეყანაში. გკჩპ-ს დამარცხების შემდეგ ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს გვარდიას აღვუდგინოთ თავისი სტატუსი და ფუნქციები. შეიქმნა თავდაცვის დეპარტამენტი, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ეროვნული გვარდიის სტატუსს, - ნათქვამი იყო მიმართვაში.

საქართველოს უმენაესი საბჭოს მიმართვა შექმნილ ვითარებაში ნათლად გარკვევის საშუალებას აძლევდა ყველას, ვისაც ამის სურვილი ჰქონდა. წესით, გვარდიელები თავიანთი მუდმივი დისლოკაციის ადგილებს უნდა დაბრუნებოდნენ. წესით ... მაგრამ ვითარება წესს და რიგს აღარ ემორჩილებოდა. კიტოვანის ამბიციებთან და გონებაშეზღუდულობასთან ერთად თავისი როლი შეასრულა ოპოზიციური პარტიების მიერ „ცეცხლზე ნავთის დასხმამაც“.

„ქვეყნის მთავარი შეიარაღებული ძალა ეროვნული გვარდია ორ ნაწილად გაითიშა. მისი ერთი, შედარებით დიდი ნაწილი რკონში განლაგდა (კიტოვანის განცხადებით მას ემორჩილებოდა გვარდიის მთელი შემადგენლობის 90 პროცენტი. თბილისში მხოლოდ გვარდიის ზუგდიდის ბატალიონი იყო დარჩენილი ლოთი ქობალიას ხელმძღვანელობით) და საქართველოს ხელისუფლების კონტროლს გარეთ აღმოჩნდა.

მოგვიანებით, თენგიზ კიტოვანმა რამდენადმე შეცვალა ხელისუფლებასა და გვარდიას შორის განხეთქილების წარმოშობის მისეული თავდაპირველი ვერსია. გაზ. „დრონისთვის“ მიცემულ ინტერვიუში 1991 წლის 6 ოქტომბერს ის აღნიშნავს: „19 აგვისტოს, როცა პუტჩი დაიწყო და მთელი ჩვენი უმაღლესი ხელისუფლება შეიკრიბა, პრეზიდენტმა მითხრა, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ იმუშავებ და გვარდიაც ამ სამინისტროს დაექვემდებარებაო. მიმეგბად, ცხადია, პუტჩი იყო დასახელებული. მე უარი ვუთხარი და ჩვენი პოზიციაც განვმარტე სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, რომ გვარდიის განიარაღების გარდა სამხედროებმა გასცეს ჩვენი – მეთაურების დაპატიმრების სანქციაც. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალმა პატრიკეევმა განიარაღების ვადად 4 დღე მოგვცა, მეორე დღეს, 20 აგვისტოს, ტელევიზიით გამოვიდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი დილარ ხაბულიანი და ეს დრო ერთ დღე-ღამემდე შეგვიმცირა.“

ინტერვიუს ჩაწერის მომენტისთვის კიტოვანი პრეზიდენტთან ამკარად დაპირისპირებულია, მასთან საერთო ენის გამონახვის იმედი, პრაქტიკულად, აღარ არსებობს, ამიტომ კიტოვანი უკვე უშუალოდ პრეზიდენტისკენ იშვერს ხელს.

მინდა მკითხველის ყურადღება კიტოვანის ინტერვიუს ერთ მომენტზეც შევაჩერო. როდესაც პრეზიდენტისგან მისი იმ გადაწყვეტილების შესახებ მოისმინა, რომლის თანახმადაც გვარდია შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა დაქვემდებარებოდა, კიტოვანი ამბობს: „მე უარი ვუთხარი .....“. რას ნიშნავს – „უარი ვუთხარი“?! განა მეგობარმა თავის დაბადების დღეზე თამადობა შემოგთავაზა, რომ დათანხმებოდი ან უარი გეთქვა? საქმე ხომ პრეზიდენტის გადაწყვეტილებას ეხებოდა. ის ან უსიტყვოდ უნდა შეასრულო, ან პრინციპული უთანხმოების შემთხვევაში, თანამდებობიდან შენი გადადგომის შესახებ განაცხადო.

ეს ეპიზოდი ნათლად გვიჩვენებს გვარდიის მეთაურის „სახელმწიფოებრივი“ აზროვნების დონეს.

მაინც, ვის მიუძღვის ბრალი გვარდიისა და ხელისუფლების დაპირისპირებაში — თენგიზ კიტოვანს, რომელმაც ეს ჩაიდინა, თუ გამსახურდიას? რა თქმა უნდა, გამსახურდიას. მაგრამ, არა იმის გამო, რომ გკჩპ-ს დღეებში არასწორი პოზიცია დაიკავა, პირიქით, ჩვენ ვნახეთ, რომ ხელისუფლების პოზიცია უაღრესად გონიერული და რაციონალური იყო, არამედ იმის გამო, რომ შეიარაღებულ ძალებს სათავეში ქურდული მორალისა და მეტისმეტად მწირი ინტელექტუალური შესაძლებლობების კაცი ჩაუყენა.

და მაინც, გამსახურდიამ ბოლომდე ვერ შესძლო მოსკოვის პუტჩის მიმართ რაციონალური და პრაგმატული პოზიციის შენარჩუნება. 1991 წლის 21 აგვისტოს გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა საქართველოს პრეზიდენტის მიმართვა დასავლეთის ქვეყნების ხალხებისა და მთავრობებისადმი, რომელშიც ნათქვამი იყო: „ პოლიტიკური შეფასება მომხდარი გადატრიალებისა, ძალზე რთულია, ვინაიდან ჯერჯერობით არ არის ნათელი ნამდვილი გადატრიალებაა ეს, თუ მხოლოდ გარიგება, ან შოუ, რომლისგანაც პოლიტიკური დივიდენდების მიღებას მიელტვიან ცალკეული სახელმწიფო ლიდერები.“

აი, აქ კი გამსახურდია კვლავ თავის სტიქიაშია. აგვისტოს პუტჩსაც იგი აგენტომანიის პრიზმიდან უყურებს. „ ... ჩვენში „მშვაერული ჩანაფიქრისა“ და ვერაგული ხრიკების მხილების პარანოიდულმა ენთუზიაზმმა (რასაც ბუნებრივად ერწყმის „შინაგანი მტრების“ ძიების აკვიატებული იდეა) ლამის მთელი საზოგადოება მოიცვას, — აღნიშნავდა გია ნოდია, — ამ მხრივ ხელსუფლება და ოპოზიცია დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან ... ამგვარი აზროვნების წესი გამომჟღავნდა იმ საკმაოდ უცნაურ და უხერხულ პოზიციაში, საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ უშუალოდ სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ რომ დაიკავა, როცა გაჭირდა გადატრიალების „პოლიტიკური შეფასება“. ... რა იყო აქ შესაფასებელი? მაგრამ ცნობიერებაში გაუვიჯდა: პოლიტიკური შეფასება ნიშნავს პოლიტიკური ინტრიგის მხილებას ამიტომ გადამწყვეტად მივიჩნიეთ საკითხი: ხომ არ არის გორბაჩოვი ფარულად „შეკრული“ იმათთან, ვინც მას ძალაუფლება წაართვა? მაგრამ თუნდაც

ასე ყოფილიყო – არსებითად რას ცვლიდა ეს? გადატრიალების მიზნები ხომ ნებისმიერ შემთხვევაში ნათელი იყო?"[90]

აგვისტოს პუტჩის დღეებში თავისი რეაქციულობა კიდევ ერთხელ თვალნათლივ წარმოაჩინეს აფხაზმა და ოსმა სეპარატისტებმა, რომლებიც მიესალმნენ მოსკოვის გადატრიალებას და სოლიდარობა გამოუცხადეს მას.

პუტჩს მიესალმა საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობაც, რომელმაც თავის ბეჭდვით ორგანოში - „ცხოვრებაში" გამოქვეყნებულ დოკუმენტში აშკარად გამოხატა კმაყოფილება გადატრიალების გამო.

მართალია, საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობისა და რიგითი წევრების დიდი ნაწილი მაშინვე გაემიჯნა აღნიშნულ დოკუმენტს, მაგრამ გამსახურდიამ მაინც ხელიდან არ გაუშვა შესაძლებლობა და შეაჩერა კომპარტიის საქმიანობა. კომპარტიის სიით პარლამენტში გასული დეპუტატები დაითხოვეს უზენაესი საბჭოდან.

ჯერ კიდევ პუტჩამდე - 17 აგვისტოს, რესპუბლიკის პრეზიდენტთან სერიოზული უთანხმოების გამო გადადგა მთავრობის თავმჯდომარე თენგიზ სიგუა. გამსახურდიამ მთავრობის მეთაურის პოსტზე სიგუა დიდი თხოვნა-პატიჟის შედეგად დაითანხმა. მისი გათავისუფლება კი მან მისთვის ჩვეული უხეშობით და არადიპლომატიურობით განახორციელა, რითაც საბოლოოდ მოიკიდა მტრად ეს ოდიოზური და ინტელექტუალური პიროვნება. „თუ საქართველოს უზენაესი ხელისუფლება რესპუბლიკას დღევანდელი კურსით წაიყვანს, ვშიშობ, მივიღებთ ალბანეთის „ქართულ ვარიანტს". მსოფლიოსგან იზოლირებულნი საკუთარ ნაჭუჭში მოვიხარშებით, ანუ დემოკრატიული სამოგადოების აშენების დაწყებას გვარიანად დავაგვიანებთ,"[91] – აღნიშნავდა ყოფილი პრემიერი გადადგომის შემდეგ გამოქვეყნებულ თავის პირველივე ინტერვიუში.

ცხადი იყო, რომ ხელისუფლებაში მწვავე პოლიტიკური კრიზისი მწიფდებოდა.

---

[90] გაზ. „დრონი", 30 აგვისტო, 1991 წ.

[91] გაზ. „დრონი" 20 აგვისტო, 1991 წ.

§ 2.7 1991 წლის 2 სექტემბრის მიტინგი

აგვისტოს ბოლოს ქართველმა ეროვნულმა დემოკრატებმა თბილისში, კინოს სახლთან თავისი ტრადიციული საინფორმაციო მიტინგების პრაქტიკის განახლების შესახებ გამოაცხადეს. საინფორმაციო საშუალებები მიტინგის დაწყების ზუსტ დროსაც იტყობინებოდნენ: 2 სექტემბერი, ღღის 17 საათი.

მიტინგის გამართვის ღღე შემთხვევით არ ყოფილა შერჩეული. ამ ღღეს თბილისში იმყოფებოდა აშშ-ს კონგრესმენთა ჯგუფი. საქართველოს ხელისუფლება ამ ჯგუფის ვიზიტზე დიდ იმედებს ამყარებდა. მას შემდეგ, რაც ჯორჯ ბუშ-უფროსმა საქართველო იმ რესპუბლიკებს შორის არ მოიხსენია, რომლებსაც შტატები მხარს უჭერდნენ, ამერიკელ კონგრესმენთა ეს ვიზიტი საქართველოს ხელისუფლების უკანასკნელი იმედი იყო; როგორმე მის წინაშე ისე უნდა წამდგარიყო, რომ თავის ქვეყანაში დაბრუნებულ კონგრესმენებს საქართველოს ხელისუფლებაზე დადებითი აზრი ჩაეტანათ.

ამ დროისთვის გვიად გამსახურდიას იმიჯი დასავლურ სამყაროში ფრიად არასახარბიელო გახლდათ. გარკვეულწილად, ეს რუსული საინფორმაციო საშუალებების და სპეცსამსახურების „შავი პიარის“ შედეგიც იყო, მაგრამ მთავარ და განმსაზღვრელ როლს მაინც თვით გამსახურდიას არადიპლომატიური, ხისტი, ხშირად სრულიად უადგილო გამონათქვამები ასრულებდნენ. რუსული პრესა და სპეცსამსახურები ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ლიდერების დისკრედიტაციაზეც არანაკლები მონდომებით მუშაობდნენ, მაგრამ არაფერი გამოდიოდათ. გამსახურდიას მიმართ კი მათ დიდი „ტვინის ჭყლეტა“ არ სჭირდებოდათ – თავის წინააღმდეგ „შავი პიარის“ ასაგორებლად საქართველოს ლიდერი არაკეთილმოსურნეებს ყოველდღიურად უხვ მასალას აწვდიდა. ზემოთ ვნახეთ, რომ გამსახურდია იშვიათად, მაგრამ მაინც, სწორ გადაწყვეტილებებსაც იღებდა, მაგრამ მათი პრაქტიკული რეალიზაციისთვის მის მიერ გამოყენებული მეთოდები იმდენად უადგილო იყო, რომ საბოლოოდ, თვით გადაწყვეტილებები მოჩანდნენ უაზრობად. გამსახურდია პრეზიდენტის პოსტზეც დისიდენტად დარჩა. მას პოლიტიკოსის თვისებები არ აღმოაჩნდა. მან ვერ გაიგო, რომ არ შეიძლება პოლიტიკოსმა თქვას ყველაფერი, რაც პირზე მოადგება, არ შეიძლება

პოლიტიკოსი მოქმედებდეს იმპულსურად, ემოციურად, პირადი სიმპათია-ანტიპატიის მიხედვით ასეთი „პოლიტიკოსი“ მარცხისთვის არის განწირული. გამსახურდიას ამ ნაკლზე თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ყურადღებას ამახვილებდა ედუარდ შევარდნაძეც: „გამსახურდიასათვის ჭკუის სწავლებას არ ვაპირებ, ერთ ანბანურ ჭეშმარიტებას კი ვიტყვი: ამ რანგის პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე დიდ რისკს ეწევა, როცა პირად სიმპათიებს და ანტიპათიებს ემონება, თავისდაუნებურად საკუთარი ვნებების სათამაშოდ აქცევს საქმეს“[92]. ცამდე მართალია გიორგი წიქარიშვილი, როდესაც წერს: „საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ გამსახურდიას ერთ-ერთი თვისება იყო განსაკუთრებული ნიჭი: დაეავადებინა ყველა თავისთავადი და მეტნაკლებად მოაზროვნე ადამიანი, ვისაც მასთან ურთიერთობა ჰქონდა წლების განმავლობაში, ან თუნდაც მცირე სნით, – მისდამი რაღაცნაირი ფანატიკური, მძვინვარე, ცოფიანი სიძულვილით.“[93]

ჯერ კიდევ რიჩარდ ნიქსონმა ურჩია გამსახურდიას – „ჩართულიყო ნოეო-ოგორიოეოს პროცესში“. შემდეგ ჯორჯ ბუშმა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ნორმალიზაცია აშშ-ს საგარეო პოლიტიკური კურსის პრიორიტეტად გამოაცხადა და ამით საბჭოთა რესპუბლიკების საკითხი (ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკის გარდა) მეორე პლანზე გადაწია.

ასეთი იყო რეალობა. პოლიტიკა კი რეალურ შესაძლებლობათა გამოყენების ხელოვნებაა. დასავლეთის, პირველ რიგში კი შეერთებული შტატების მხარდაჭერის გარეშე რუსეთის უზარმაზარ იმპერისთან დაპირისპირებაში ჩაბმა საქართველოს კარგს არაფერს უქადდა. ამის მიუხედავად საქართველოს მთავრობა ჯერ კიდევ 1991 წლის 9 აგვისტოს „განცხადებაში“ მწვავედ აკრიტიკებდა ბუშის მიერ მოსკოვ-კიევში დაფიქსირებულ პოზიციას, რაც მსოფლიო პოლიტიკური პროცესებისგან საქართველოს კიდევ უფრო გარიყვას უწყობდა ხელს. ჯორჯ ბუში საქართველოს პრეზიდენტის შესახებ აცხადებდა: „მე მგონია ეს არის კაცი, რომელიც ცოტა არ იყოს, დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო“, რაზეც გამსახურდია სპონტანურად პასუხობდა: „დინებას მხოლოდ მკვდარი თევზები მიყვებიანო“.

---

[92] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 11 იანვარი, 1992 წ.

[93] გიორგი წიქარიშვილი, „ჟამი ჭეშმარიტი (დამარცხებული მოძრაობის ქრონიკა),“ გვ. 288.

აი, ასეთ ვითარებაში უნდა გამართულიყო 2 სექტემბერს ეროვნულ-დემოკრატების მიტინგი. ედპ-ს მიზანი იყო ამერიკელი კონგრესმენებისთვის ეჩვენებინა, რომ გამსახურდიას „დიქტატორულ კურსს“ საქართველოში სერიოზული ოპოზიცია პყავს.

თითქმის ყველა მკვლევარი თანხმდება იმაზე, რომ 2 სექტემბერს ედპ-ს პროვოკაცია წინასწარ ჰქონდა ჩაფიქრებული. ზოგი ფიქრობს, რომ პროვოკაციის არსი კინოს სახლის წინ „ომონთან“ ხელჩართულ შეტაკებაში მდგომარეობდა, ზოგის აზრით, კინოს სახლიდან მომიტინგენი მთავრობის სასახლის წინ განლაგებული კარვების ასაღებად გაემართებოღნენ, რასაც მაინც მოპყვებოდა „ომონთან“ შეტაკება.

ედპ-ს ლიდერები რომ ასეთ და უარეს პროვოკაციაზეც იყვნენ წამსვლელები, ეს მათ არაერთხელ დაუმტკიცებიათ. თუმცა, დღეს ამაზე მსჯელობა ყავის ჭიქაზე მკითხაობას გავს. თვითონ ეროვნული დემოკრატები ამას არ აღიარებენ. ვერსიის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი კი არ არსებობს. მთავარი კი ის არის, რომ ამას არსებითი მნიშვნელობა არცა აქვს. შეიძლება ედპ-ს მართლაც ჰქონდა პროვოკაციის განზრახვა, რისიც პირადად მე მჯერა კიდეც, მაგრამ მოვლენების განვითარების ინიციატივა თავიდანვე ხელისუფლებამ აიღო ხელში. მან გადაწყვეტა არ დაეშვა მიტინგის გამართვა, თუნდაც ამისთვის ძალის გამოყენება დასჭირვებოდა. სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებმა კინოს სახლის წინ არსებული მოედანი წინასწარ დაიკავეს. მომიტინგენი შეეცადნენ შერეოდნენ სამართალდამცავებს. მათ შორის დაიწყო შეტაკება. ხელკეტებით შეიარაღებულმა სამართალდამცველებმა შეძლეს მომიტინგეების მოედნიდან გაძევება. მომიტინგეებმა ქვები დაუშინეს სამართალდამცველებს. გაისმა გასროლის ხმაც. დაიჭრა რამდენიმე მომიტინგე. აი, როგორ აღწერენ მიტინგის დარბევას თვითმხილველნი: ლევან ალექსიძე, უპარტიო: „მიტინგი ჯერ არც იყო დაწყებული, როდესაც კინოს სახლის კიბეებზე მდგარ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებს შეერივნენ ჭრელ პერანგებში გამოწყობილი ოპერ-მუშაკები. მათ ხელმძღვანელობდა ჩინიანი მილიციელი, რომელიც ბევრჯერ მინახავს კომუნისტების დროს მიტინგებზე. ტრიბუნაზე დაიწყო შეხლა-შემოხლა. მე ჩემი ყურით გავიგონე, თუ როგორ ეძახდნენ ერთმანეთს ოპერ-ჯგუფის ბიჭები: „აბა, წაეიდეთ, ტრიბუნაზე ავიდეთო“. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებმა არ მისცეს საშუალება მილიციელებს და-

ეწყოთ ჩხუბი მომიტინგეთა პროვოცირება ვერ მოახერხეს. ამის შემდეგ გამოჩნდნენ „ომონის“ ამუნიციაში გამოწყობილნი, მუშარადებით, ჯავშანჟილეტებითა და ხელკეტებით ... მათი გამოჩენისას დაიწყო სტვენა, შეძახილები და ბოლოს ჩხუბიც. ჩხუბი ზუსტად ისეთივე იყო, როგორც 9 აპრილს, ან კომუნისტების დროს ამის შემდეგ ხალხმა ჯარისკაცებს ქვები დაუშინა. სწორედ ამ დროს გაისმა პირველი სროლები. ამას ნამდვილად არ მოელოდით, დავიბენით და უკან დაეიხიეთ, – ეტყობოდა, „ომონს“ ბრძანება ჰქონდა გამოეყენებინა იარაღი ...“; მალხაზ ბუთხუზი, – ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის წევრი: „სროლის შემდეგ გილზების შეგროვება გადავწყვიტე, რათა მენახა, საბრძოლო ვაზნები ჰქონდათ „ომონელებს“ თუ არა. ამ დროს ორი სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული მილიციელი დამადგა, რას აკეთებო. ქუჩას ვასუფთავებ-მეთქი – ვუპასუხე და სასტიკი ცემა დამიწყეს. გამოიყენეს ხელკეტები, მირტყამდნენ ფეხებსაც. შემომესმა, როგორ უთხრა ერთმა მეორეს – კაუეში შეეათრიოთ და იქ გავათაეოთო. მეტის გაძლება აღარ შემეძლო და ვიყვირე, ტრადიციონალისტთა კავშირის წევრი ვარ, თავი გამანებეთ-მეთქი. გამიშვეს“.[94]

ამერიკელი კონგრესმენები საქართველოდან მძიმე შთაბეჭდილებებით წავიდნენ. 2 სექტემბერმა საბოლოოდ გაანადგურა საქართველოს ხელისუფლების ისედაც ნულოვან ნიშნულზე მყოფი საერთაშორისო ავტორიტეტი.

კიდევ უფრო მძიმე იყო 2 სექტემბრის ამბებით საქართველოში შექმნილი ატმოსფერო. გამსახურდიას მიმართ კრიტიკულად განეწყვნენ არა მხოლოდ რადიკალები და ზომიერები, არამედ ტრადიციულად ნეიტრალურ პოზიციაზე მყოფი ადამიანებიც. ოპოზიციურმა პარტიებმა: „დას“-მა, თავისუფალ დემოკრატთა კავშირმა, ლიბერალურ-დემოკრატიულმა ეროვნულმა პარტიამ, რესპუბლიკურმა პარტიამ, სახალხო ფრონტმა და ქრისტიანულ-დემოკრატიულმა კავშირმა თავიანთ ერთობლივ განცხადებაში მკაცრად დაგმეს მიტინგის დარბევა. „ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ქვეყნის პრეზიდენტის მეთაურობით ჩვენი სამშობლო მიიყვანა სრულ კრახამდე სახელმწიფო ცხოერების ყველა სფეროში, დაწყებული საკადრო პო-

[94] გაზ. „საქართველო“, N 17, სექტემბერი, 1991 წ.

ლიტიკით, რომლის შედეგადაც ქვეყნის სებედი მთლიანად ხელთ იგდეს არაკომპეტენტურმა პირებმა და დამთავრებული ეკონომიკით, სადაც ძველებურად გაბატონებულია მეურნეობის სოციალისტური სტრუქტურები, ვინაიდან ხელისუფლების, და უპირველეს ყოვლისა, პირადად პრეზიდენტის ანტიდემოკრატიული პოლიტიკის წყალობით ითრგუნება ადამიანის ელემენტარული სამოქალაქო უფლებები, იდევნებიან ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი პარტიები და ცალკეული პიროვნებები ... განცხადების ავტორებს მიაჩნიათ, რომ: 1. უნდა გადადგეს რესპუბლიკის პრეზიდენტი; 2. რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ უნდა დანიშნოს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები,"[95] — ნათქვამი იყო განცხადებაში.

2 სექტემბრის მიტინგის დარბევა დაგმეს ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ, „ქარტია 91"–მა, მერაბ კოსტავას საზოგადოებამ, მწვანეთა პარტიამ, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და სხვა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა.

14 სექტემბერს გაზ. „ახალგაზრდა იეერიელში" გამოქვეყნდა საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის დროებითი კავშირის მიმართვა, რომელშიც ნათქვამი იყო: „ძნელია ეროვნულად სახელდებული მთავრობის ოპოზიციაში ყოფნა, ბევრად უფრო ძნელი, ვიდრე ამ რამდენიმე წლის მანძილზე კომუნისტური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა. მაგრამ დროა ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას. არავის არა აქვს სიძულვილის, მგრობის თესვის უფლება. სამწუხაროდ ეს სამარცხვინო ბოლი ყოველთვის გასდევდა ქართულ ეროვნულ მოძრაობას პიროვნული ანგარიშსწორების სახით. თუ ჩვენ თავის დროზე ამაზე ხმა არ ამოვიღეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ კომუნისტების თეალწინ არ დავპირისპირებოდით ეროვნული მოძრაობის გარკვეულ ნაწილს, მაგრამ როცა ეს ნაწილი ეროვნული მოძრაობისა ხელისუფლებაში მოვიდა და ანგარიშსწორება დააკანონა, ეს უკვე მოსათმენად მეტისმეტად მძიმეა.

მძიმეა ხელისუფლებამ პარლამენტის გარეთ მყოფი ეროვნული ძალები მუდმივად მგრებად და კრემლის აგენტებად აცხადოს და თავად გუშინდელ კრემლის უშიშროების კომიტეტს

[95] გაზ. „საქართველო", N 17, სექტემბერი, 1991 წ.

(რომელსაც დღესაც კრემლიეე აფინანსებს) აჭერინოს ეროვნული მოძრაობის სასელით".

მიმართეის ავტორები მიიჩნეეღნენ, რომ რახან „საქართეელოს ხელისუფლებამ ხალხს ესროლა, მას აღარა აქეს ქეეყნის სათაეეში ყოფნის მორალური უფლება".

2 სექტემბრის დარბეევას დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ეროვნული გეარდიის ხელმძღვანელობაც. გაზ. „საქართეელოში" გამოქეეყნებულ მის მიმართეაში ნათქეამი იყო: „...თუკი საქართეელოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსეებული დამსჯელი დანაყოფები ხელყოფენ ქართეელი ერის უსაფრთხოებას, შეეცდებიან მშეიდობიან მომიტინგეეთა დარბეევას მაშინ ეროვნული გეარდია იტოვებს უფლებას აღკეეთოს მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი მოქმედება."[96]

გეარდიამ დატოვა რკონის ტყე და ჯერ შაევნაბადაზე ავიდა, შემდეგ კი საქტელერადიო დეპარტამენტის შენობის წინ გადმოინაცელა.

აკაკი ბაქრაძემ წინადადება წამოაყენა შექმნილიყო „პარიტეტულ საწყისებზე ეროვნული თანხმობის დროებითი მთავრობა". მაშინ პირეელად გამოჩნდა მინიშნება სამოქალაქო ომის რეალურ საფრთხეზეც. „თუ ჭკუა არ გეეყო და სამოქალაქო ომი მაინც ატყდა, ყოველი ქართველი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ეს იქნება ქართველი ხალხის არსებობის დასასრული — კონფრონტაციის გზა საქართეელოს არყოფნის უფსკრულში მიაქანებს,"— აღნიშნავდა აკაკი ბაქრაძე.

2 სექტემბრის მოელენების პრემიდენტისეულმა შეფასებებმა კიდეე უფრო დაძაბეს ვითარება. მიტინგის დარბეევის დღესეე, საღამოთი, თავის სატელეეზიო გამოსელაში მან სცადა ყველაფერი მომიტინგეებისთეის გადაებრალებინა. პრემიდენტმა განაცხადა, რომ მომიტინგეებმა პროეოკაციულად გამოიწეიეს შეტაკება და სროლასაც მათი მხრიდან ჰქონდა ადგილი. მაგრამ საქართეელოს ტელეეზიამ აჩეენა მიტინგის დარბეევის კადრები, სადაც აშკარად ჩანს რომ „ომონი" მიეშერა მომიტინგეებს და არა პირიქით. მეორე დღეს გამსახურდია იძულებული გახდა განეცხადებინა, რომ წინადღით მას არ გააჩნდა სრული ინფორმაცია და რომ მის ხელთ არსებული ახალი ინფორმაციით დამნაშავეა „ომონის"

[96] გაზ. „საქართეელო", 17 სექტემბერი, 1991 წ.

დაბალი რანგის ხელმძღვანელობა. მან კვლავ უარყო „ომონელთა“ მხრივ მომიტინგეთა მისამართით პირდაპირი სროლის ფაქტი და შეეცადა დაემტკიცებინა, რომ „ომონელები“ პაერში ისროდნენ, მომიტინგე კი რიკოშეტით წამოსულმა ტყვიამ დაჭრა.

ცხადია, პრეზიდენტმა ვერ განმარტა თუ როგორ შეიძლება ცაში გასროლილმა ტყვიამ „რიკოშეტით“ შეიცვალოს მიმართულება და უეხში დაჭრას მოქალაქე. ასეთმა „ახსნამ“ ვერ დააკმაყოფილა მოსახლეობა.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, სახელისუფლებო სტრუქტურებში ოპოზიციას თავისი აგენტები ჰყავდა. ისინი განზრახ ჩაიდენდნენ ხოლმე ისეთ საქციელს, რომელიც მთელ ხელისუფლებას უტეხდა სახელს. ამ შემთხვევაში „ომონის“ ხელმძღვანელობაში შეგზავნილმა აგენტებმა წინასწარგანზრახვით დაარბიეს მიტინგი და ამით გამოუსწორებელი ზიანი მიაყენეს ხელისუფლების და პირადად პრეზიდენტის იმიჯს.

საერთოდ, ასეთი რამ სავსებით დასაშვებია, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში დაეჭვებას იწვევს გამსახურდიას მხრივ შემდგომი დღეების მანძილზე „ომონელთა“ თავგამოდებული დაცვა. თუ ინიციატივა მისგან არ მოდიოდა, მაშინ ის აუცილებლად მიხვდებოდა, რომ „ომონმა“ ასეთი ქმედება მისი დისკრედიტაციის მიზნით ჩაიდინა. ის კი ტყაეში ძვრება, რომ „ომონელების“ საქციელს რაღაც ახსნა მაინც მოუძებნოს.

თუმცა, ბორის ელცინისადმი გაგზავნილ წერილში გამსახურდია სწორედ მიტინგის დარბევის ზემოაღწერილ ვერსიას ავითარებს: „... ზოგიერთმა გარემოებამ მაიძულა თქვენთვის მომემართა წერილით. როგორც მოგეხსენებათ, 2 სექტემბრიდან – თბილისში რესპუბლიკური მილიციისა და დემონსტრანტების შეტაკების ინცინდენტის დღიდან, რომლის შედეგად ტყვიით დაიჭრა სამი კაცი, ცენტრალურმა ტელევიზიამ და საბჭოთა პრესამ პრაქტიკულად, დემოკრატიული საქართველოს დისკრედიტაციის კამპანია გააჩაღეს. ყოველივე ეს ხდება ამის შესახებ ჩემი განცხადების მიუხედავად, რომ საქართველოს ხელმძღვანელობას არ გაუცია მომიტინგეთა დარბევის ბრძანება და რომ გამოძიების დამთავრების შემდეგ დამნაშავენი, ვინც არ უნდა იყვნენ

ისინი, პასუხისგებაში მიეცემიან ...[97] გამსახურდია თხოვდა ელცინს მიეღო ზომები რუსეთის პრესაში გაშლილი ანტიქართული ისტერიის შესაჩერებლად.

გამსახურდიას კი საქმე მართლაც არ ჰქონდა სახარბიელოდ: პრემიერ-მინისტრი ოპოზიციაში, ეროენული გვარდიის სარდალი და თითქმის მთელი გვარდია - ოპოზიციაში, თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე - ოპოზიციაში, „მრგვალ მაგიდაში" შემავალი პოლიტიკური ძალებიდან თითქმის ყველა ინტელექტუალური ძალა - ოპოზიციაში პრეზიდენტს გამოუხიზლებისა და საღი, რეალისტური პოლიტიკის გასატარებლად საკმარისზე მეტი საფუძველი ჰქონდა.

თუმცა, გამსახურდია თავისი ხისტი პოლიტიკის კორექტირებას არ აპირებდა. იგი კვლავინდებური სიჯიუტით განაგრძობდა „მოყვრების მგრად მოკიდების" პოლიტიკას.

§ 2.8 კონფრონტაციის ესკალაცია

2 სექტემბრის შემდეგ თბილისში საპროტესტო მიტინგების ტალღა აგორდა. მომიტინგენი მოითხოვდნენ ამ დღეს მომხდარი მოვლენების ობიექტურ გამოძიებას, კონკრეტულ დამნაშავეთა გამოვლენასა და დასჯას, პრეზიდენტის გადადგომას.

ხელისუფლებამ ოპოზიციის აბობოქრებას ნაცადი მეთოდი - პერმანენტული მიტინგები დაუპირისპირა. მთავრობის სასახლის მისასვლელები საგვირთო მანქანებით ჩაიხერგა. თბილისი რაიონებიდან ჩამოსული ავტობუსებით აივსო. პრეზიდენტის დავალებით ამ ავტობუსებით რაიონებიდან ჩამოყვანილი ხელისუფლების მხარდამჭერები გაუთავებელ მიტინგებზე ლანძღავდნენ ოპზიციას, უწოდებდნენ მათ „ხალხის მგრებს", „სუკის აგენტებს", „პუტჩისტებს", „ბანდიტებს", „პროვოკატორებს" და ა. შ. წარმოება-დაწესებულებებში ოპოზიციონერთა წინააღმდეგ

[97] .მიხეილ სულუაშვილი, „1991 წლის დეკემბერსა და 1992 წლის იანვარში საქართველოს რესპუბლიკაში განვითარებული მოვლენების შეფასების საკითხისათვის," თბ. 2012 წ. გვ. 18.

აგროვებდნენ ხელმოწერებს, ხალხს მოუწოდებდნენ ქუჩებში გამოსულიყვნენ პრეზიდენტისა და პარლამენტის დასაცავად.

ჩამოყვანილი ხალხის დიდი ნაწილი სამეგრელოდან იყო. კუთხური ერთგულება და მოსახლეობის ქალაქელებად და სოფლელებად დაყოფა გამსახურდიას პოლიტიკის მნიშვნელოვან შემადგენელს წარმოადგენდა.

11 სექტემბერს უნივერსიტეტის მეორე კორპუსის წინ მჯდომარე აქცია დაიწყეს ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა. მათი აქცია მნეობრივ აქტად მიიჩნიეს და სოლიდარობა გამოუცხადეს პოლიტიკურმა ბლოკმა „თავისუფლებამ“, საქართველოს მწვანეთა კავშირმა, სახალხო ფრონტმა, „დასმა“, ქრისტიანულ-დემოკრატიულმა კავშირმა, უზენაესი საბჭოს სადეპუტატო ფრაქცია „დემოკრატიულმა ცენტრმა“ და სხვა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა.

12 სექტემბერს ასეთივე აქცია საკუთარი შენობის წინ დაიწყეს საქტელერადიო დეპარტამენტის თანამშრომლებმაც.

15 სექტემბერს გაიმართა უზენაესი საბჭოს სესია. ოპოზიციურმა დეპუტატებმა მოითხოვეს სხდომის პირდაპირი ტრანსლიაცია. მას შემდეგ, რაც ხმების უმრავლესობით მათი წინადადება უარყვეს, 39 დეპუტატმა პროტესტის ნიშნად დატოვა სესია. იმავე დღეს მერაბ კოსტავას ეზოში შიმშილობა დაიწყო კოსტავას საზოგადოების 17 წევრმა.

საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირის საბჭომ გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც ის მხარს უჭერდა ოპოზიციის მთელი რიგი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. კერძოდ: უზენაესი საბჭოს უახლოესი სესიის პირდაპირი ტელეტრანსლიაციის მოწყობას, ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციებისთვის ტელეეთერით სარგებლობის უფლებას, უზენაესი საბჭოს რიგგარეშე არჩევნების დანიშვნას, ახალი საარჩევნო კანონის შემუშავებას და სხვ.

ეროვნულ-დემოკრატიულმა და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიებმა თავიანთი შტაბ-ბინების წინ ბარიკადები მოაწყვეს. რუსთაველის პროსპექტი კიდევ ორ ადგილზე — ყოფილი „იმელისა“ და ლაღიძის წყლების წინ ბეტონის ბლოკებით, რკინის ძელებით, სხვა სამშენებლო მასალებით გადაიკეტა.

16 სექტემბერს თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე გაიმართა ოპოზიციური ძალების გრანდიოზული მიტინგი. მასში 60-70 ათასი ადამიანი მონაწილეობდა. მიტინგმა ცხადყო, რომ ოპოზიცია სულ უფრო და უფრო იკრებდა ძალას.

იმავე დღეს, ღამით, აეროპორტში დააპატიმრეს გია ჭანტურია და ეღპ-ს მთავარი კომიტეტის წევრები – ირინა სარიშვილი და ვახტანგ ტალახაძე. ამისთვის ხელისუფლება არ მოერიდა უკან დაებრუნებინა საწვავით სავსე ახლადაფრენილი თვითმფრინავი, რითაც საფრთხე შეუქმნა თვითმფრინავში მყოფ მგზავრებს.

იმავე ღამით დააპატიმრეს გოგა ხაინდრავაც.

ხელისუფლების ამ რეპრესიულმა ნაბიჯებმა ქართველი საზოგადოების ფართო ფენების უკმაყოფილება გამოიწვია. განსაკუთრებით სტუდენტობა აქტიურობდა. სწორედ მათთან შეხვედრისას პირდაპირ დასმულ კითხვაზე, თუ რატომ დააპატიმრა გია ჭანტურია და გოგა ხაინდრავა, პრეზიდენტი იძულებული იყო მისთვის ჩვეულ სტილში ეცრუა და ხელი სხვისკენ გაეშვირა. „გენერალური პროკურორი ვახტანგ რაზმაძე იყო ჩემი მტერი და მან შემიყვანა შეცდომაშიო“.[98]

ვახტანგ რაზმაძე ამასთან დაკავშირებით მოგვიანებით (1998 წ) აღნიშნავდა: „დარბაზში, სადაც ზ. გამსახურდიამ ცილი დამწამა, გამომაცხადა თავის მტრად და დამაბრალა ჭანტურიასა და ხაინდრავას დაპატიმრების ინიციატივა, ბევრი იყო ისეთი პირი, რომელთაც იცოდნენ რა ბრძოლა გადავიტანე ამ საკითხზე მასთან, რომ ჭანტურია და ხაინდრავა ციხეში არ დარჩენილიყვნენ, მაგრამ ვერ გავიტანე ჩემი. მიუხედავად ამისა, არცერთმა მათგანმა ხმა არ ამოიღო, ამან კიდევ უფრო ამაღელვა და მიბიძგა პასუხი გამეცა პრეზიდენტისთვის იმ შეუფერებელი საქციელის გამო, რაც მან ჩაიდინა ჩემს მიმართ. დავწერე წერილი და გადავეცი ბატონ არჩილ გოგელიას, რომლის რედაქტორობით გამოდიოდა მაშინ ოპოზიციური გაზეთი „დრონი“. წერილი დავასათაურე, როგორც უმადურობა, რადგან ზვიადის მოქმედება ჩემს მიმართ ნამდვილად უმადურობა იყო“.[99]

---

[98]. „ სიმართლე მვიად გამსახურდიას შესახებ“, შემდგენელი თ. ჭანტურიშვილი, თბ. 1999, გვ. 67

[99] „სიმართლე მვიად გამსახურდიას შესახებ, შემდგენელით. ჭანტურიშვილი, თბ. 1999, გვ 68;

რაზმაძის ინტერვიუში[100] მოხმობილი ეს ამბავი ღრმად სიმპტომატურია, რადგან ძალზე ნათლად წარმოაჩენს გამსახურდიას პიროვნულ თვისებებს.

20 სექტემბერს, საღამოს, როდესაც საქართველოს უზენაესი საბჭოს სესია 2 სექტემბრის ინციდენტს იხილავდა, ზვიად გამსახურდიამ სესიაზე გააკეთა განცხადება, თითქოს, რესპუბლიკის მოედანზე შეკრებილი ხალხი მთავრობის სასახლის ასაღებად მოემართებოდა. მან მოითხოვა სესიის მუშაობის შეწყვეტა და დეპუტატების ქუჩაში გასვლა მომიტინგეთა შესაჩერებლად.

სესიის მუშაობა შეწყდა. დეპუტატები რესპუბლიკის მოედნისკენ გაემართნენ, სადაც მშვიდობიანი მიტინგი იხილეს. გაირკვა, რომ მომიტინგენი არც არსად წასულან და არც წასვლას აპირებდნენ.

ცხადი გახდა ზვიად გამსახურდიას მოწოდების ნამდვილი მიზანი: ამ შეგნებული სიცრუით პრეზიდენტმა მიაღწია მისთვის ესოდენ არასასურველი სესიის სხდომის განუსაზღვრელი ვადით გადადებას. სესიას კი 2 სექტემბრის ინციდენტის შემსწავლელი კომისია უნდა შეექმნა.

21 სექტემბერს რესპუბლიკის მოედანზე შეკრებილი 40 ათასამდე მომიტინგე შეეცადა შეერთებოდა მთავრობის სასახლესთან შეკრებილ პრეზიდენტის მხარდამჭერებს, რათა გამართულიყო ერთობლივი მიტინგი. ოპოზიციას სურდა, რომ ამ მიტინგზე გამოსულიყვნენ ზვიად გამსახურდია და თენგიზ სიგუა.

პრეზიდენტმა საერთო მიტინგის გამართვის იდეა უარყო. იმავე დღეს მან ტელევიზიით მიმართა მოსახლეობას და მოუწოდა მისულიყო მთავრობის სასახლესთან პრეზიდენტისა და პარლამენტის დასაცავად.

ღამის სამ საათზე, პრეზიდენტის მომხრე ხუთი ათასამდე კაცი, რომელთა შორის იყვნენ დეპუტატები, პრეფექტები, სამოქალაქო ფორმაში გადაცმული შეიარაღებული მილიციელები, თავს დაესხა რუსთაველის პროსპექტზე მჯდომარე აქციის მონაწილეებს. იმ ღამით სხვადასხვა ხარისხის სხეულის დაზიანებამიიღო 70-ზე მეტმა კაცმა. ერთმანეთზე დაგეშილი ქართველების

---

[100] რესპუბლიკის ყოფილ გენერალურ პროკურორთან ვახტანგ რაზმაძესთან ინტერვიუების ციკლი გამოაქვეყნა გაზეთმა „ახალმა საქართველომ". 19-25 მარტი; 28 მაისი-3 ივნისი; 18-24 ივნისი; 25 ივნისი-1 ივლისი, 1998 წწ.

გამოუხიზლების მიზნით მჯდომარე აქციის დარბევის დროს თავი დაიწვა ახალგაზრდა ექიმმა გია აბესაძემ.

გამსახურდიას მომხრეებმა ეროვნული დემოკრატებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიების ბარიკადებისგან გაწმინდეს რუსთაველის პროსპექტი.

ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მშვიდობიანი სიტყვიერი დაპირისპირება უკვე 21-22 სექტემბერს დასრულდა. 21 სექტემბერს, ღამით, მთავრობის სასახლესთან შეკრებილი 5 ათასამდე მომიტინგე დაიძრა რუსთაველის გამზირისკენ და ეროვნული დემოკრატებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიების ბარიკადებისგან გაწმინდა იგი.

22 სექტემბერს ოპოზიცია კონტრშეტევაზე გადავიდა. რუსთაველის პროსპექტიდან განდევნილი ეროვნული დემოკრატები და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრები ტელევიზიის წინ უკვე მიმდინარე აქციას შეუერთდნენ. შავნაბადა დატოვა და ტელევიზიის წინ განლაგდა გვარდიაც. თბილისში სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების დაკავებისთვის ბრძოლა დაიწყო.

25 სექტემბერს დიდუბეში თელასის შენობას თავს დაესხა გვარდიელთა რაზმი. დაიღუპა ორი მილიციელი და სამი გვარდიელი. შეიარაღებულ შეტაკებებს ადგილი ჰქონდა ცირკთან და სხვა ადგილებშიც. ცხადი იყო, რომ გვარდია უკვე იარაღით უპირისპირდებოდა ხელისუფლებას.

შეიარაღებულ კონფრონტაციას მაშინვე გაემიჯნა ნოდარ ნათაძე, მაგრამ გვარდიას მხარს უჭერდა სახალხო ფრონტის ყოფილი შეიარაღებული ფორმირება „იმედი“, რომელიც თებერვლიდან განსაკუთრებული სტატუსით თვით იყო ეროვნულ გვარდიაში გაერთიანებული.

გვარდიის ხელმძღვანელობა და ოპოზიციის მთავარი იდეოლოგი თენგიზ სიგუა პრეზიდენტის დაუყოვნებლივ გადადგომას მოითხოვდნენ. „იმის გამო, რომ დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკური კურსი ხელს უშლის საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას, იმის გამო, რომ დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკური კურსი ეკონომიკური კრასისკენ მიაქანებს ქვეყანას, იმის გამო, რომ დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკური კურსი ლახავს ადამიანის ელემენტარულ უფლებებს ამწვავებს ეთნოკონფლიქტებს, ერთმანეთს უპირისპირებს საქართველოს სხვადასხვა კუთხის მაცხოვრებლებს, მიმაჩნია, რომ დღევანდელი ხელისუფლება აუცილებლად და დაუყოვნებლივ

უნდა გადადგეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეროვნულ ტრაგედიას ვერ ავიცილებთ.“– წერდა მაშინ თენგიზ სიგუა.

24 სექტემბერს კიტოვანის გვარდიელებმა ფილარმონიის შენობის დაკავება სცადეს, მაგრამ შემდეგ რატომღაც გადაიფიქრეს და კვლავ ტელევიზიის შენობის წინ დაბრუნდნენ.

26 სექტემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარის ნაწილებმა კიტოვანის მიერ მიტოვებული შავნაბადას ტერიტორია და შენობები დაიკავეს.

ამ ეტაპზე რაოდენობრივი და სამხედრო-სტარატეგიული უპირატესობა ჯერ კიდევ ხელისუფლების მსარესაა, მაგრამ იგი მაინც ერიდება ოპოზიციასთან შეიარაღებულ დაპირისპირებას. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ამის მიზეზი გამსახურდიას „კაცთმოყვარეობა“ და „ჰუმანიზმია“. სინამდვილეში კი მიზეზი გაცილებით პროზაულია: რატომ არ იჭერდნენ მართლაც დიქტატორი კომუნისტები 80-იან წლებში გამსახურდიას? იმიტომ არა, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლებას სცემდნენ პატივს – უბრალოდ, ესმოდათ, რომ გამსახურდიას დაპატიმრება მის ავტორიტეტს და პოპულარობას კიდევ უფრო გაზრდიდა. ასევე აიხსნება გამსახურდიას ქმედებაც (თუ – უმოქმედობა): მან იცის, რომ ოპოზიციასთან ნებისმიერი შეიარაღებული შეტაკება ოპოზიციის რიგების გაორმაგებას იწვევს. მისი „კაცთმოყვარეობის“ მიზეზიც ეს არის.

საქართველოს დემოკრატიული ძალები, ქართველი ინტელიგენცია სეროზულ შეშფოთებას გამოთქვამდნენ მოვლენების ასეთი განვითარების გამო. 2 ოქტომბერს გაგეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი. მიმართვაში გაანალიზებული იყო შექმნილი მდგომარეობა, რომლის უმთავრეს მიზეზადაც ხელისუფლების კონფრონტაციული და უგუნური პოლიტიკა იყო დასახელებული. „ვიდრე ხელისუფლება პირველი თვითონ არ გაათავისუფლებს რუსთაველის პროსპექტს კარვებისა და ავტობუსებისგან, მას არა აქვს მორალური უფლება ეს მოსთხოვოს ოპოზიციას,“ – ნათქვამი იყო მიმართვაში, რომელსაც ხელ აწერდნენ: ნ. ნათაძე, ე. შენგელაია, ა. იმნაძე, თ. პაატაშვილი, ე. შარიქაძე, გ. ფაცაცია, ს. კავსაძე და სხვები.

გაგ. „საქართველოს რესპუბლიკის“ იმავე ნომერში მოთავსებულ ინტელიგენციის ერთი ჯგუფის განცხადებაში ყურადღება

გამახვილებული იყო რესპუბლიკაში დაწყებულ რეპრესიებზე და წამოყენებული იყო კონკრეტული მოთხოვნები.

ოპოზიციის კონსტრუქციულ წინადადებებს საპარლამენტო უმრაელესობამ ამჯერადაც არაადექვატურად უპასუხა. უკვე 4 ოქტომბერს გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ გამოაქვეყნა გურამ პეტრიაშვილის, ბიძინა ჩოლოყაშვილის, ეიქტორ დომუსოვსკისა და სხვათა ხელმოწერილი წერილი, რომელშიც დეპუტატთა ჯგუფისა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა ზემოხსენებული წერილები ცილისწამებად და სიყალბედ იყო გამოცხადებული.

დაძაბულობის განმუხტვის მიზნით და ფართო საზოგადოების აზრის გათვალისწინებით, 3 ოქტომბერს ეროვნულმა გვარდიამ დატოვა ტელევიზიის შენობის მიმდებარე ტერიტორია და თბილისის ბღვაზე დაბანაკდა. იმავე დღეს ხელისუფლების ერთგულმა ნაწილებმა ალყა შემოარტყეს ეროვნული გვარდიის დისლოკაციის ახალ ადგილს, 4 ოქტომბერს კი იერიში მიიტანეს გვარდიელებზე. სამთავრობო ნაწილებმა ვერტმფრენიდან ცეცხლი გაუხსნეს მათ. ბრძოლის დროს დაიღუპა ერთი და დაიჭრა რამდენიმე მებრძოლი.

გვარდიელთა წინააღმდეგობამ, აგრეთვე, თემქის მოსახლეების აქტიურმა საპროტესტო გამოსვლებმა ხელისუფლება აიძულეს ხელი აეღო გვარდიის ფიზიკური განადგურების განზრახვაზე.

იმავე საღამოს, ტელევიზიით გამოსვლისას, გამსახურდიამ ჩვეულ სტილში სცადა ყველაფერი გვარდიელებისთვის გაღაებრალებინა. მან განაცხადა, რომ კიტოვანის გვარდიელები თავს დაესხნენ ხელისუფლების ერთგული ნაწილების საგუშაგო პოსტებს, რის შემდეგაც ხელისუფლება იძილებული შეიქნა საპასუხო ცეცხლი გაეხსნა. მოსახლეობა ჩვენგან ოპოზიციის განადგურებას მოითხოვს, ჩვენ ამისთვის საკმარისი ძალები გაგვაჩნია, მაგრამ ქართველთა შორის სისხლისღვრას ვერიდებითო, - აღნიშნა მან.

ეს მტკნარი სიცრუე იყო, რაც გამსახურდიამ სულ მალე თვითონვე გამოააშკარავა. 15 ნოემბერს თავის სატელევიზიო გამოსვლაში პრეზიდენტმა განაცხადა: „თქვენ გახსოვთ, იყო ამ ღღეებში მცდელობა მათი (გვარდიელების) ლიკვიდაციისა (გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ პრეზიდენტის სატელევიზიო გამოსვლის ტექსტში ეს სიტყვა შეცვლილია შედარებით „უწყინარი“ ტერმინით - „განიარაღებით“).

მათ შემოარტყეს ალყა, მაგრამ მოსახლეობამ აიძულა ხელისუფლების ძალები დაეტოვებინათ თბილისის მღვის მისაღგომები. დიახ, თემქის მოსახლეობამ აიძულა და მათ სინდისზე იყოს ყოველივე ის, რაც შემდეგ მოხდა და რაც შემდეგ მათ ჩაიდინეს."[101]

4-5 ოქტომბერს ორთაჭალის ციხეში აღგილი ჰქონდა მასობრივ არეულობას. აქ მყოფმა პოლიტპატიმრებმა, გია ჭანტურიამ და გოგა ხაინდრავამ (ეს უკანასკნელი იქ წინადღით გადაიყვანეს) ეს ფაქტი პროვოკაციად მიიჩნეს და პატიმრების დაშოშმინებას შეუდგნენ. ხაინდრავამ შეძლო სახურავეზე აჭრილი 200-მდე პატიმრის ჩამოყვანა.

8 ოქტომბერს „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა ინტერვიუ გია ჭანტურიასთან, რომელშიც ივი საქართველოში არსებული „ავტორიტარული რეჟიმის" კრიზისზე საუბრობს. „პრეზიდენტს შეიარაღებული ებრძვიან არცთუ ცოგა ხნის წინათ მისი ერთგული ეროვნული გვარდია და მერაბ კოსტავას საზოგადოება, რომელიც მმართველი ბლოკის „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" წევრია. ასე, რომ დიქტატორის წინააღმდეგ „მრგვალი მაგიდაც" კი შუაზე გაიყო. პრეზიდენტმა ამ განხეთქილების მიზეზი საკუთარ პოლიტიკაში უნდა ეძებოს", – ნათქვამი იყო ინტერვიუში.

ჭანტურია ციხეში მომხდარი არეულობის მიზეზებზეც საუბრობდა. მისი აზრით, „ციხეში ჩაფიქრებული იყო დიდი პროვოკაცია, ინსპირირებული განსახურდიასა და მისი ხელისუფლების მიერ რომ არ აღკვეთილიყო ამბოხი ციხეში, მოხდებოდა მასობრივი სისხლიღერა, რომლის დროსაც ჩვენც ჩაგვხოცავდნენ. დაერქმეოდა ამას „პოლიტპატიმრების ალიანსი" ქურდულ სამყაროსთან, „პუტჩისტებთან" შეერთების მიზნით. ახლა უკვე გარკვეულია, რომ ამბოხი დაიწყეს ფრიად საეჭვო წარსულის მქონე ხალხმა - 101-ე საკნის პატიმრებმა - მინაგან საქმეთა ორგანოების ყოფილმა თანამშრომლებმა."[102]

5 ოქტომბერს, ციხეში მომხდარი არეულობის ფაქტის შეტყობინებისთანავე, რუსთაველის პროსპექტზე სპონტანურად შეკრებილ დემონსტრანტებს ხელისუფლებამ სროლა აუტეხა. გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ" 8 ოქტომბრის ნომერში ამ

---

[101] .გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 18 ნოემბერი, 1991 წ.

[102] .გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა" 12 ოქტომბერი, 1991 წ.

ფაქტთან დაკავშირებით რუსუდან ნიკურაძის მიუკერძოებელი რეპორტაჟი გამოაქვეყნა.

მეორე დღეს „საქართველოს რესპუბლიკის“ მორიგი ნომერი რედკოლეგიის ხელმოწერით გამოვიდა. რედაქტორი - მამუკა ფაჩუაშვილი გაათავისუფლეს თანამდებობიდან.

იმავე 8 ოქტომბერს, უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიაზე ზვიად გამსახურდია შეეცადა აღეწერა ვითარება, რომელიც მის გადადგომას მოჰყვებოდა: „საქართველოში, სულ მცირე, რამდენიმე ათეული პრეზიდენტი აღმოცენდება“, ერთიანი ქართული სახელმწიფოს ადგილზე კი რამდენიმე წვრილი სახელმწიფო შეიქმნება. „თბილისი გადაიქცევა რამდენიმე უბნად დანაწევრებულ ქალაქად, სადაც იქნება ერთადერთი ხელისუფლება – შეიარაღებული ბანდები და მათი ხელმძღვანელები. ყოველი უბანი იქნება თითო შეიარაღებული ბანდის ხელში მოიშლება ყველაფერი: ელექტროენერგია, გაზი, კომუნიკაციები ...“[103]

პრეზიდენტის დამხობის შემდეგ, სწორედ მისი ამ სიტყვების გამო, გამსახურდიას მომხრეები პოლიტიკური პროცესების „წინასწარგანჭვრეტის“ პრეზიდენტისეულ ნიჭზე ალაპარაკდნენ. და მართლაც, საქართველოში შექმნილი სიტუაცია ერთი-ერთზე დაემთხვა იმას, რასაც გამსახურდია „წინასწარმეტყველებდა.“

თუმცა, ერთი „პატარა“ განსხვავება მაინც შეინიშნებოდა: ქვეყანაში გამეფებული ქაოსის და განუკითხაობის მთავარი შემოქმედი ხომ სწორედ ყოფილი პრეზიდენტი იყო. ამ ქაოსს, განუკითხაობას, სეპარატისტული განწყობის გაძლიერებას, ორხელისუფლებიანობას და საერთოდ, უხელისუფლებობას სწორედ ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ მისი ხელმძღვანელობით გაშლილი ბრძოლა განაპირობებდა. გაცლოდა საქართველოს, ამაღლებულიყო პირად ამბიციებზე, შურისძიების გრძნობაზე და ქვეყანაში სიმშვიდე დაისადგურებდა.

გამსახურდიას მომხრენი გააპროტესტებენ: რატომ კანონიერ პრეზიდენტს და არა ძალაუფლების უზურპატორებს ეთქვათ უარი ხელისუფლებაზე?

არის ამ მსჯელობაში გარკვეული ლოგიკა. მაგრამ, არის სხვაგვარი ლოგიკაც – „კავკასიური ცარცის წრის“ პერსონაჟის,

[103] .გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 12 ოქტომბერი, 1991 წ.

გრუშას ლოგიკა. გრუშასაც ასე რომ ეფიქრა – ბაეშვს შუაზე გასლეჩდა.

და კიდევ: გამსახურდიას არაერთხელ განუცხადებია, რომ პოლიტიკოსებს შორის თავის იდეალად შარლ დე გოლი მიაჩნდა. ამ მართლაც შესანიშნავმა ფრანგმა პოლიტიკოსმა კი, როდესაც ქვეყანაში სამოქალაქო კონფრონტაციის საშიშროება იგრძნო, დაუყოვნებლივ დატოვა პოსტი და საფრანგეთს სისხლისღვრა აარიდა. სამაგიეროდ, მადლიერმა ფრანგებმა ის ზარზეიმით მეორედ მოიყვანეს პრეზიდენტის თანამდებობაზე.

იდეალს სიტყვით კი არ უნდა ეთაყვანებოდე, მას საქმით უნდა ბაძავდე.

თავიანთი ქმედებებით და განცხადებებით პრეზიდენტი და მისი გარემოცვა კიდევ უფრო ძაბავდნენ უამისოდაც უკიდურესად დაძაბულ ვითარებას. გამსახურდიას მხარდამჭერ მიტინგებზე კელავ გაისმოდა ოპოზიციის ფიზიკური განადგურების, მისი ჩაქოლვის მოწოდებანი. საქმე იქამდე მივიდა, რომ აკადემიკოსი ვახტანგ ბოჭორიშვილი სერიოზულად ამტკიცებდა რეპრესია ცუდი სიტყვა როდია, იგი უნდა გავიგოთ, როგორც დამნაშავის დასჯაო..

ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა პრეზიდენტის მომხრე „კარვის ქალების“ აგრესიულობამ. ისინი სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცყოფას აყენებდნენ ოპოზიციონერ დეპუტატებს, არ უშვებდნენ მათ უზენაესი საბჭოს შენობაში სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, სჯაროდ კოცონზე წვავდნენ ოპოზიციონერი მწერლების წიგნებს. სწორედ ასეთ ქალებზე წერდა შოთა ნიშნიანიძე:

„სად დაიკარგა სათნოება და მოკრძალება,
ანგელოზები რამ აქცია ამორძალებად?
ჯობდა ბოსტანში ჩაგემუხლათ, ანდა აკვანთან,
თორემ ქაქანით საქართველო გამოთაყვანდა.“

ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის ტალღებზე ხელისუფლების სათაეში მოსულ გამსახურდიას არ შეეძლო აშკარად გაელაშქრა დემოკრატიის წინააღმდეგ. მიტინგებზე ის კელავაც დემოკრატიის მებაირახტრედ აცხადებდა თავს, საქმით კი შემოელითი მეთოდებით მღუდავდა პრესის თავისუფლებას.

გაზეთი „მოლოდიოჟ გრუბიი“ მან ქაღალდის დეფიციტის საბაბით გააუქმა. ასეთივე თითიდან გამოწოვილი საბაბით შეაჩერა მან გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ გამოსვლა. მას შემდეგ კი, რაც ამ გაზეთის კოლექტივმა შეძლო აღედგინა თავი და დამოუკიდებელი გაზეთის სტატუსი მოიპოვა, ხელისუფლებამ „ახალგაზრდა ივერიელი“ მინისტრთა კაბინეტს დაუქვემდებარა, რედაქტორი კი თანამდებობიდან გაათავისუფლა.

გამსახურდია აცხადებდა, რომ უნივერსიტეტის ოპოზიციონერ ლექტორთა ჯგუფი ცდილობდა სტუდენტებში „კანონიერი ქურდის“ კულტის დანერგვას და „მოსკოვის ჯაშუშებს“ უწოდებდა ამ ლექტორებს. „მათი მიზანია ჩვენი ახალგაზრდები კრიმინალებად და ნარკომანებად აქციონ, ასეთები ხომ ნაკლებად საშიშნი იქნებიან მოსკოვისთვის,“ – ამტკიცებდა იგი. 4 ნოემბერს ინტელიგენციასთან შეხვედრაზე პრეზიდენტმა თავის უკიდეგანო შესაძლებლობებსაც კი გადააჭარბა. მან თენგიზ სიგუას, ნოდარ ნათაძეს და ელდარ შენგელაიას მთელი სერიოზულობით დასდო ბრალი მოპარული მანქანების ნაწილებით ვაჭრობაში.

ასეთმა პოლიტიკამ საბოლოოდ გაუტეხა სახელი საქართველოს ხელისუფლებას დემოკრატიული მსოფლიოს თვალში. ქვეყანა სრული პოლიტიკური იზოლაციის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი – რიჩარდ პაიფსი თბილისში ყოფნის დროს შეეცადა დაემოძღვრა საქართველოს ლიდერი: დემოკრატიას აქვს თავისი უარყოფითი მხარეებიც პოლიტიკური მოღვაწისთვის. ეს არის დემონსტრაციები ქუჩებში და ჟურნალისტები, რომლებსაც, შესაძლოა, ოფიციოზისგან განსხვავებული აზრი ჰქონდეთ. თქვენი პრეზიდენტი უნდა შეეგუოს ამას. წინააღმდეგ შემთხვევაში ამერიკელების თვალში შეიძლება გამართლდეს მოსკოვის ჭორები, – აღნიშნავდა ის. მაგრამ გამსახურდიას და მის გარემოცვას არაფრის გაგონება არ სურდათ. მათ ვერ გააცნობიერეს, რომ ხელისუფლების დემოკრატიულობის დონეს განსაზღვრავს არა მარტო და არა იმდენად ის, თუ რა გზით მოვიდა იგი ქვეყნის სათავეში, არამედ პირველ რიგში ის, თუ როგორი მეთოდებით მართავს ეს ხელისუფლება ქვეყანას.

მაშინდელ საქართველოში „ზვიადისტები“ საგანგებო უფლებებით აღჭურვილ განსაკუთრებულ კასტას წარმოადგენდნენ, რომლებსაც ყველაფრის უფლება გააჩნდათ. სამართალდამცავებისთვის ისინი ხელშეუხებელნი იყვნენ. ხელისუფლება ყოველმხრივ აქეზებდა და მხარს უჭერდა სახელმწიფო პოლიტიკის

რანგში აყვანილ ამ უზნეობას. ქვეყანა სწრაფი ტემპით მიექანებოდა პროვინციალიზმის ჭაობისკენ.

ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები ცდილობდნენ წინ აღდგომოდნენ სახელმწიფო პოლიტიკის რანგში ამაღლებულ უზნეობას. „ ჩემთვის ღღევანდელი საქართველო თავისი ტოტალური უზნეობით ყოველად მიუღებელია. ღღეს ჩვენი ქვეყანა საშინლად პროვინციულია. პირდაპირ გრცხვენია კაცს, ზოგჯერ ისეთ რამეს გაიგონებ საჯაროდ თქმულს. ჩვენ გავხდით პლებეების ერი, ამ სიტყვის ყველაზე უარესი გაგებით. გუშინდელი უჩინონი ღღეს ყოვლისმცოდნე მენტორებად გვევლინებიან და ბრიყვულად თავდაჯერებულნი ჭკუას ასწავლიან მთელ ერს,“[104] - წერდა გურამ გეგეშიძე. ეს არ იყო პრივილეგიებდაკარგული „საბჭოური ინტელიგენციის“ წყენის გამოხატულება, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი წარმოგვიდგენს, ეს ნამდვილად იყო პროტესტი ახლად აღმოცენებული უნიჭო ადამიანების უკულტურობაზე.

11 ნოემბერს საეჭვო ვითარებაში მანქანა დაეჯახა პრეზიდენტისადმი ოპოზიციურად განწყობილი ორგანიზაციის – „ქარტია 91-ის“ აქტიურ წევრს – მერაბ ურიდიას. ორი ღღით ადრე ბომბები ააფეთქეს ამავე ორგანიზაციის წევრების – თედო პაატაშვილისა და გელა ჩორგოლაშვილის ეზოებში. მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის გამო არ მოჰყოლია ამ ტერორისტულ აქტებს მსხვერპლი.

20 ოქტომბერს დააკავეს ჟურნალისტი ვალერი კვარაცხელია. 15 ნოემბერს დააპატიმრეს მონარქისტული პარტიის თავმჯდომარე თემურ ჟორჟოლიანი.

ტერორით, რეპრესიებით ხელისუფლება ცდილობდა ოპოზიციის დაშინებას და ამავე დროს, აქტიურად ემზადებოდა მისი ფიზიკური განადგურებისთვის. ხელისუფლების ბრახვები შეუმჩნეველი არ დარჩენია ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობას. 19 ნოემბერს გაზეთმა „საქართველომ“ გამოაქვეყნა თენგიზ კიტოვანის მიმართვა ქართველი ერისადმი, რომელშიც ვკითხულობთ: „ სარწმუნო წყაროებიდან ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ შემუშავებულია მუხანათური გეგმა თბილისის ბღვაზე დაბანაკებული ეროვნული გვარდიის ჯერ სახელის გასაგეხად, ხო-

[104] .გაგ. „საქართველო“, 13 დეკემბერი, 1991 წ.

ლო შემდეგ მის გასანადგურებლად. ოფიციალურ პირთა სიტყვიერი განკარგულებით მთელ საქართველოში მოხდება სულისშემბერელი, აღმაშფოთებელი დანაშაულობანი. განდობილი პირები მოიპარავენ სახელმწიფო და კერძო მანქანებს, ფულის გამოძალვის მიზნით მოიტაცებენ ბავშვებს, შეძლებულ მოქალაქეთა ოჯახის წევრებს. ნიღბიანი ბანდები აწამებენ მოქალაქეებს, გაიტაცებენ ფულსა და ძვირფასეულობას... ზემოთ ჩამოთვლილი ყველა დანამაული პრესით და ტელევიზიით გამიზნულად დაბრალდებათ თბილისის ზღვაზე დაბანაკებულ გვარდიელებს, რომელთაც თავის გასამართლებლად არც პრესა მიეცემათ და არც ტელეეკრანი ...

შეუწყნარებელი ბოროტმოქმედებებით გაწამებული ხალხი (ლოზუნგის: მოვითმენთ შიმშილს, მაგრამ ვერ მოვითმენთ უწესრიგობას! – თანახმად) აუცილებლად მოთხოვს ხელისუფლებას ყველა უწესრიგობისა და დანაშაულის სათავის – ეროვნული გვარდიის ალაგმვას!

უდანაშაულო ეროვნული გვარდია იარაღს არ დაყრის. შემდეგ რაც მოხდება, ძნელი წარმოსადგენი არ არის ...“[105]

ჩვენ არ ვიცით, ნამდვილად არსებობდა თუ არა ხელისუფლების ასეთი გეგმა. უფრო სავარაუდოა, რომ არსებობდა. მთავარი აქ ის არის, რომ ხელისუფლება არ ცდილობდა განდგომილ სამხედრო ძალასთან კომპრომისის მშვიდობიანი, ლეგიტიმური საშუალებები მოესინჯა. გამსახურდია ჯიუტად აგრძელებდა მტკიცებას, რომ „ოპოზიცია მცირე ჯგუფია“ და რომ „მრგვალი მაგიდა“ და პირადად პრეზიდენტი კელავაც ხალხის დიდი უმრავლესობის მხარდაჭერით სარგებლობდა.

ხალხის მასების პოლიტიკური სიმპათიის თვალსაზრისით პრეზიდენტი არ ცდებოდა. მოსახლეობის დიდი ნაწილი, ყველაფრის მიუხედავად, მაინც მის მიერ ერთხელ უკვე არჩეულ ლიდერს – გამსახურდიას უჭერდა მხარს. მაგრამ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში საქმე სწორედ საპირისპიროდ იყო. გამსახურდიას არათუ ოპოზიციური პარტიების მთელი სპექტრი, არამედ მისი გუშინდელი მოკავშირენი – „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკური ორგანიზაციების ნაწილიც კი დაუპირისპირდა. რაც მთავარია, მის წინააღმდეგ გადაჭრით იყო განწყობილი ინტელიგენცი-

[105] გაზ. „საქართველო“, 19 ნოემბერი, 1991 წ.

ისა და სტუდენტი ახალგაზრდობის დიდი უმრაელესობა. ეს კი პოლიტიკურად საზოგადოების ყველაზე აქტიური ნაწილია.

სწორედ ამ მნიშვნელოვან დეტალს უშვებდა მხედველობის არედან გამსახურდია.

შექმნილი ვითარება პრეზიდენტისგან მოქნილი პოლიტიკის განსორციელებას მოითხოვდა. თუმცა, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, გამსახურდიას რომ ოპოზიციის ყველა მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა: „შეეზღუდა პრეზიდენტის უფლებები, უზენაესი საბჭოს სესიების ტელეტრანსლიაცია განეხორციელებინა, დაეთმო ტელეეთერი განსაზღერული დროით ოპოზიციისთვის, სასწრაფო წესით განეხორციელებინა რეფორმები, რომლებსაც ის, მიუხედავად რთული ვითარებისა, თანდათანობით ატარებდა კიდეც, მოეხსნა რამდენიმე არაკომპეტენტური მინისტრი, შესაძლებლობის ფარგლებში ეთანამშრომლა კონგრესთან, კომპრომისზე წასულიყო ცენტრთან, ხელი მოეწერა სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე და ა. შ. ოპოზიცია მასთან ბრძოლას მაინც არ შეწყვეტდა.“[106]

ცხადია, არ შეწყვეტდა. არავის აქვს იმის ილუზია, რომ გია ჭანტურია ან ირაკლი წერეთელი ამის შემდეგ ხელისუფლების ქმედებებში საკრიტიკოს ვერაფერს იპოვიდნენ. ისიც დასაშვებია, რომ ზომიერი ოპოზიციაც გამოჩხრეკდა რაღაც თავის „საკბილოს“.

საქმე სხვაშია. ხელისუფლებას რომ ოპოზიციის ზემოჩამოთვლილი მოთხოვნებიდან თუნდაც მესამედი დაეკმაყოფილებინა, ეს საგრძნობლად შეამცირებდა ოპოზიციის მხარდამჭერთა რაოდენობას და მნიშვნელოვნად გააფართოებდა ხელისუფლების სოციალურ ბაზას. ოპოზიციას ნამდვილად ჩამოშორდებოდა სტუდენტი ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი. რადიკალური ოპოზიციური პარტიები და გვარდია, ამ შემთხვევაში, ხალხის მხარდაჭერის გარეშე დარჩებოდნენ. ანუ მოხდებოდა მათი პოლიტიკური დისკრედიტაცია. ხალხისთვის თვალსაჩინო გახდებოდა, რომ მათ პიროვნული ამბიციები ამოძრავებთ და არა დემოკრატიის ინტერესები. ასეთ ოპოზიციურ ძალასთან გამკლავება კი ხელისუფლებისთვის პრობლემა აღარ იქნებოდა.

---

[106] დიმიტრი შველიძე, „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წწ.)“, გვ 330.

ხელისუფლებას სწორედ ამის შეგნება აკლდა. ინტელიგენციის და სტუდენტი ახალგაზრდობის პატიოსანი და პატრიოტულად განწყობილი ნაწილი რადიკალური ოპოზიციისა და გვარდიის გვერდით აღმოჩნდა არა იმიტომ, რომ ბოლომდე და უპირობოდ იზიარებდნენ მათ პოლიტიკურ შეხედულებებს და ბრძოლის მათეულ მეთოდებს, არამედ იმიტომ, რომ ხელისუფლების ხისტი და უკომპრომისო ავტორიტარული კურსი სხვა ალტერნატივას არ ტოვებდა.

თუმცა, ქართველი ინტელიგენციის ყველაზე შეგნებული, პოლიტიკურად გათვითცნობიერებული ნაწილი ასეთ სიტუაციაშიც ახერხებდა ნეიტრალიტეტის დაცვას. შესანიშნავი პიროვნება და პატრიოტი ეიული შარტავა 1991 წლის ოქტომბრის დასაწყისში წერდა: „ბარიკადების ორივე მხარეს საქართველოა. ... მე ბარიკადების ორივე მხარეს მიტინგებზე ვარ ნამყოფი ... სულისკვეთება, რომელიც სუფევდა ორივე მხარეს, ეს მთელი საქართველოს სულისკვეთებაა და მეც ამ სულისკვეთებით ვცხოვრობ. არ შეიძლება ხელაღებით ვუწოდოთ ერთ მხარეს პუტჩისტები და მეორე მხარეს დიქტატორები. მე მოჩვენებითი დიპლომატიის მომხრე როდი ვარ, არამედ მომხრე ვარ ჯანსაღი სულისკვეთებისა, მომხრე ვარ ჯანსაღი შეჯერებისა, ჯანსაღი კომპრომისისა საქართველო დიდი და რთული ორგანიზმია, მრავალუეროვანი და მრავალწახნაგა უზარმაზარი ოჯახია. ოჯახში კი ჰარმონია ოჯახის უფროსებმა უნდა უზრუნველყონ. რა თქმა უნდა, ეს არ უხსნის ოჯახის სხვა წევრებს პასუხისმგებლობას, მაგრამ ყველას თავისი ადგილი აქვს, უნდა ჰქონდეს, ყოველ შემთხვევაში. რაც ხდება საქართველოში, ინსპირირებულია იგი თუ არა, ხელისუფლება, პრეზიდენტი არიან, პირველი რიგში, პასუხისმგებლები, რადგან ეს პასუხისმგებლობა მათ თვითონ იკისრეს და ხალხმაც ამ იმედით აირჩია ისინი.“[107]

„...საქართველოში იმხანად, არც დემოკრატიული რევოლუციის სოციალური ბაზა არსებობდა და არც დემოკრატიული რევოლუციის სამიზნე - დიქტატურა“,[108] — წერს დიმიტრი შველიძე.

სოციალური ბაზის საკითხი საკამათოა. ფაქტია, რომ მოსახლეობის უმრავლესობა მაშინაც და გადატრიალების დროსაც

---

[107] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 14 იანვარი, 1992 წ.

[108] დიმიტრი შველიძე, „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წწ.)“, გვ 330.

ხელისუფლებას უჭერდა მხარს. თუმცა, ოპოზიციას უკვე მაშინ მიგინგებზე ასიათასობით ადამიანი გამოჰყავდა და საბოგადოების ამ ნაწილის უგულვებელყოფა, „სოციალური ველიდან“ მისი საერთოდ გამოთიშვა სწორი არ იქნებოდა.

რაც შეეხება „დემოკრატიული რევოლუციის სამიზნეს დიქტატურას“. გამსახურდიას ხელისუფლება არ იყო დიქტატურა არც ამ სიტყვის კლასიკური და არც არაკლასიკური გაგებით. გამსახურდია ხიშტებს არ ეყრდნობოდა. თუმცა, ხიშტების ნაცვლად დემოკრატიის შესაბღუდად (და არა დასათრგუნად) ის წარმატებით იყენებდა „კარეის ქალებს“.

მაგრამ დემოკრატიისთვის ბრძოლა ავტორიტარიზმის პირობებშიც საჭიროა. გამსახურდიას მმართველობა რომ „ავტორიტარული ნაციონალიზმი“ ან ავტორიტარული კონსერვატიზმი“ ან „ავტორიტარული ნაციონალური კონსერვატიზმი“ იყო, ამას არც დიმიტრი შველიძე უარყოფს. აქვე უნდა გავიზიაროთ ხსენებული ავტორის დაკვირვება, რომ „გამსახურდიას ავტორიტარიზმი უფრო საკუთარ პიროვნებასთან იდენტიფიცირებული პოლიტიკური დამოუკიდებლობის იდეალის განხორციელებაზე იყო ორიენტირებული და არა იმდენად საკუთარი მმართველობის განმტკიცებაზე. ცხადია, პრეზიდენტის ავტორიტარულობის შთაბეჭდილებას აძლიერებდა ზოგიერთი პიროვნული თვისებაც: ფეოდალური ხასიათი, იდეალისადმი ერთგულებაში საკუთარი შეუცვლელობის რწმენა, ეროვნულ მოძრაობაში საკუთარი დამსახურების უპირატესობის უპირობო აღიარება და ზოგიერთი სხვა თვისება, რაც საკუთარი აზრისა და პოზიციისადმი სხვების მიერ უპირობო თანხმობა-მორჩილებას აპრიორულად გულისხმობდა“.[109]

გამსახურდიას ხელისუფლებას ზუსტად ახასიათებდა ლოვარდ ტუხაშვილი: „ ეს იყო განუხორციელებელი დიქტატურისკენ წარმართული ავტორიტარული ხელისუფლება, რომელიც ემყარებოდა „პირველი კაცის“ ქინიანობას აბსოლუტური უმრავლესობის ინდიფერენტიზმის პირობებში“.[110]

3 დეკემბერს მოპიკეტე ქალებმა უზენაესი საბჭოს სესიაზე არ შეუშვეს ვაჟა ადამია და გია ხაეთასი. პროტესტის ნიშნად 37

---

[109] . დიმიტრი შველიძე, „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წწ.),“ გვ 331.

[110] .საქართველო XX საუკუნის 90-იანიწლები. ქრონიკები, წიგნი II, 1992. თბ. 2010, გვ 72.

დეპუტატმა დატოვა სხდომა. ნოდარ ნათაძე ამ ფაქტის გამო წერდა: „მე მგონი, ამ კრიტიკულ სიტუაციას დღევანდელ მსოფლიოში ადგილი არსად არ მოეპოვება. სირცხვილია და სირცხვილის გარდა ვერაფერს მოიტანს. ყველაზე მეტად უფრო იმის მეშინია, ჩვენვე არ დავკარგოთ ჩვენი თავის პატივისცემა, რომელიც არის გადარჩენის აუცილებელი პირობა.“[111]

2 სექტემბრის შემდეგ განვითარებული მოვლენებით პრეზიდენტიც საკმაოდ შეუიქრიანებული და შეშფოთებული გახლდათ. 15 სექტემბრის სესიაზე ის ერთიანობისკენ მოუწოდებდა „თავის გუშინდელ თანამებრძოლებს“. საქმე ჩემს თანამდებობას კი არა – ქვეყნის ბედს ეხებაო. ოპოზიცია შექმნილი ვითარების შეფასებაში ეთანხმებოდა პრეზიდენტს, მაგრამ ერთიანობის მიღწევისთვის აუცილებლად მიაჩნდა პრესის თავისუფლება, პრეზიდენტის უფლებამოსილებათა შეზღუდვა, უზენაესი საბჭოს სხდომების პირდაპირი ტელეტრანსლიაციის გამართვა და სხვა.

ოპოზიციის ამ მოთხოვნათა ნაწილის გათვალისწინება სიტუაციას განმუხტავდა. მაგრამ ხელისუფლებას ერთიანობა მხოლოდ საკუთარ პლატფორმაზე სურდა. ნებისმიერი კომპრომისი მას დაუშვებლად მიაჩნდა.

სულ უფრო მძარდი პოლიტიკური კრიზისის შეიარაღებულ კონფლიქტში გადაზრდის რეალური საფრთხის პირობებში მთელი რიგი პოლიტიკური ორგანიზაციები, ცალკეული პიროვნებები, იმ დღეებში პრესით, ტელევიზიით თავიანთ გამოსვლებში აყენებდნენ კონკრეტულ წინადადებებს სამოქალაქო ომის თავიდან აცილების მიზნით.

რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნებულ დავით ბერძენიშვილის, ზურაბ ქეანიასა და ივლიანე ხაინდრავას ხელმოწერით გამოქვეყნებულ წერილში ნათქვამი იყო, რომ კანონიერ თუ უკანონო, სამხედრო თუ გასამხედროებული ფორმირებების არსებობას რესპუბლიკაში და მათ ურთიერთდაპირისპირებას „თავისი გაუაზრებელი მოქმედებით ხელს უწყობს თვით ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება.“ ავტორების აზრით, საჭირო იყო აღნიშნული ფორმირებების ერთიანი ხელმძღვანელი ცენტრის შექმნა. „ასეთ ცენტრს კი ხელისუფლება მარტო ვერ შექმნის (ან შე-

[111] .გაგ. „საქართველო“, 5 დეკემბერი, 1991 წ.

იძლება შექმნას დიდი სისხლის ფასად), რადგან ნდობადაკარგულია ამ ფორმირებათა მნიშვნელოვანი ნაწილის თვალში“

წერილში წამოყენებული იყო ეროვნული თანხმობის მთავრობის შექმნის წინადადებაც.[112]

პოლიტიკური კრიზისიდან თავის დაღწევის თავისებური გეგმა წამოაყენა „ქარტია – 91-ც“. ამ გეგმის მიხედვით რესპუბლიკაში დაუყოვნებლივ უნდა გამართულიყო უმნიშვნელო საბჭოს რიგგარეშე არჩევნები, მის პარალელურად კი - რეფერენდუმი სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხზე.

„ქარტია - 91-ის“ აზრით, არჩევნების ჩატარებამდე რესპუბლიკაში უნდა გამოცხადებულიყო სამოქალაქო ზავი. საქართველოში მოქმედ ყველა შეიარაღებულ ფორმირებას საჯაროდ უნდა დაედო პირობა, რომ არ ჩაერეოდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, გარედან აგრესიის შემთხვევაში კი დამორჩილებოდა რესპუბლიკის პრეზიდენტს.. ყველა პოლიტიკურ ძალას წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებამდე უარი უნდა ეთქვა მიტინგებისა და მასობრივი მანიფესტაციების მოწყობაზე. ოპოზიციურ აზრს დაუყოვნებლივ უნდა დათმობოდა საეთერო დრო, ხელისუფლებას უნდა გაეთავისუფლებინა გოგა ხაინდრავა, ჩაეტარებინა გია ჭანტურიასა და ჯაბა იოსელიანის საჯარო სასამართლო პროცესები და ა. შ.[113]

კიდევ უფრო კომპრომისულ წინადადებებს აყენებდნენ სოციალ-დემოკრატები. გურამ მუჩაიძის აზრით, საჭირო იყო 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენა, რომლის საფუძველზეც პარიტეტულ საწყისებზე უნდა ჩამოყალიბებულიყო დამფუძნებელი კრება.

მუჩაიძე არარეალურად მიიჩნევდა შექმნილ რთულ ვითარებაში არჩევნების გამართვას. „... მოთხოვნამ, პოლიტიკურ სარბიელს მთლიანად ჩამოვაშოროთ პრეზიდენტი, შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ პრეზიდენტი, უკვე გადაყენებული, ჩაუდგება ამ მასას სათავეში და დარაზმავს უკვე ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ. და ამ ბრძოლაში დაიღუპება, ჩაიძირება ჩვენი ეროვნული საქმე. ამიტომ მე არ გამოვრიცხავ იმის შესაძლებ-

[112] .გაზ. „საქართველო“, 5 დეკემბერი, 1991 წ.

[113] გაზ. „დრონი“, 6 დეკემბერი, 1991 წ.

ლობას, რომ კოალაციურ მთავრობას სათავეში ჩაუდგეს დღევანდელი პრეზიდენტი,"[114] – აღნიშნავდა ის.

კიტოვანსა და გამსახურდიას შორის შუამავლის როლი იკისრა შინაგან საქმეთა მინისტრმა რომან გვენცაძემაც. „როცა ოპოზიციონერი გვარდიელები ტელევიზიის შენობასთან დაბანაკდნენ და სიტუაცია დაიძაბა, ვცადე მომეწყო სატელეფონო დიალოგი კიტოვანსა და პრეზიდენტს შორის. ორიეულ ვთხოვე, გულისხმიერება გამოეჩინათ ერთმანეთის მიმართ, რაზედაც დამთანხმდნენ. მაგრამ მათ საუბრამდე ცოტა ხნით ადრე ვიღაც დეზინფორმატორმა – ასეთები კი მრავალად იყვნენ პრეზიდენტის ირგვლივ – ზეიად გამსახურდიას უთხრეს თქვენ სახლს ვაჟა ადამია უპირებს თავდასხმასო. როცა გაირკვა, რომ ეს მორიგი ჭორი იყო, კიტოვანი ვნახე. ვკითხე, როგორ არის საქმე-მეთქი. მითხრა, პრეზიდენტს დავურეკე, მაგრამ გამომლანძღა – მე იმპერია დავანგრიე, შენ ვინ ხარო შემდეგ კიტოვანი თბილისის ბღვაზე ავიდა ... დაიწყო მოლაპარაკება მხარეებს შორის. პრეზიდენტი თანახმა იყო მიეღო კიტოვანი და 30 გვარდიელი, მაგრამ მრჩევლებმა გადაათქმევინეს ..."[115] – აღნიშნავდა გვენცაძე.

შექმნილი ფეთქებადსაშიში ვითარების განმუხტვაზე ზრუნვით იყო გამსჭვალული ჩვენი მწერლების: ჭაბუა ამირეჯიბის, გურამ ფანჯიკიძისა და სხვათა გამოსელები რესპუბლიკურ პრესაში.

ეროვნული შერიგების ყველაზე რეალური გეგმა წამოაყენა ნოდარ ნათაძემ. მთელი ორთვენახევრის განმავლობაში (ტელევიზიის ეპიზოდიდან გადატრიალების დაწყებამდე) ნათაძე სხვა პოლიტიკურ ფიგურებთან ერთად ეწეოდა მოლაპარაკებას (როგორც თვითონ აღნიშნავს, „მოლაპარაკება" ამ პროცესს მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს, რადგან მას არანაირი რწმუნება არც ერთი მხარის მიერ მინიჭებული არ ჰქონია) ხელისუფლებასა და გვარდიის ხელმძღვანელობას შორის. ბოლოს, როგორც იქნა, კიტოვანი და სიგუა დაეთანხმნენ უზენაესი საბჭოს დადგენილების პროექტის ტექსტს. აი ეს ტექსტიც:

„თბილისის ზღვაზე განლაგებულ გვარდიის შენაერთს მიენიჭოს საგანგებო დანიშნულების პოლკის სტატუსი.

---

[114] გაზ. „განათლება", 25 სექტემბერი, 1991 წ.

[115] გაზ. „დრონი", 11 იანვარი, 1992 წ.

საგანგებო დანიშნულების პოლკის ფუნქციაა საქართველოს საზღვრებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის დაცვა.

საგანგებო დანიშნულების პოლკის ამოქმედება ხდება საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით.

ომის შემთხვევაში საგანგებო დანიშნულების პოლკი ექვემდებარება საქართველოს ყველა შეიარაღებულ ძალთა უზენაეს მთავარსარდალს – საქართველოს პრეზიდენტს.

საგანგებო დანიშნულების პოლკი ფინანსდება ბიუჯეტით."[116]

ნოდარ ნათაძე განაგრძობს: „ჩამოვიტანეთ შეთანხმებული ტექსტი უზენაეს საბჭოში. შევუგზავნეთ პრეზიდენტს ჩვეულებრივი წესით და უარი გამოიტანეს იმ მოტივით, გეარდია უსათუოდ პრეზიდენტის დაქვემდებარებაში უნდა იყოსო."[117] ჩემთვის ცხადი გახდა, რომ შერიგება არ უნდოდათ არა მხოლოდ კიტოვანსა და სიგუას, არამედ გამსახურდიასაც, წერს ნათაძე. იგი მსჯელობს პრეზიდენტის ამგვარი პოზიციის მიზეზებზეც. მისი აზრით, ამის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო „პრეზიდენტის დაუძლეველი სიკედილისწრაფვითი ლტოლვა", ან უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის - აკაკი ასათიანისადმი მისი უნდობლობა.

პირველი მიზეზის შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ, მისტიციზმის საკითხებში ჩემი ცოდნის დონე ამის საშუალებას არ მაძლევს. მეორე მიზემს შეიძლებოდა აღგილი ჰქონოდა, თუმცა, დეპუტატთა უმრავლესობაზე გამსახურდიას გავლენა იმდენად ფატალური იყო, რომ ასათიანის თანამდებობა ამ გავლენის საპირწონედ ვერ გამოდგებოდა.

ჩემი აზრით, იყო მესამე, უფრო პრაგმატული მიზეზი: ახლოვდებოდა გამთარი. თბილისის მღვასთან დისლოცირებული გეარდიის რიგები დღითიდღე თხელდებოდა. 18-19 წლის ბიჭები, რიგითი ჯარისკაცები, უკვე სახლებში იყვნენ წასულნი. კიტოვანისა და სიგუას გარშემო მხოლოდ ოფიცრობა დარჩენილიყო. გამთრის სუსხი იმათაც სახლებისკენ უბიძგებდა. გამსახურდიას შეეძლო ეფიქრა: ნათაძის პროექტი მდგომარეობას განმუხტავს,

---

[116] . ნოდარ ნათაძე, „რაც ვიცი (ფაქტები და ანალიზი)," თბ. 2002. გვ. 277.

[117] . ნოდარ ნათაძე, „რაც ვიცი (ფაქტები და ანალიზი)", თბ. 2002. გვ. 278.

მაგრამ დროებით. კიტოვანისა და სიგუას ნდობა არ შეიძლება. ისინი მალე ისევ იპოვიან საბაბს ჩემთან დასაპირისპირებლად. ამიტომ სჯობს მამთარს დაველოდო, როდესაც თბილისის ზღვაზე გვარდიელთა მინიმალური რაოდენობა დარჩება, მაშინ მეამბოხეთა ფიზიკური განადგურება ძნელი არ იქნება. ამით პრობლემას ერთხელ და სამუდამოდ გადავწყვეტო.

გამსახურდიას ფსიქოლოგიური პორტრეტის გათვალისწინებით, ვფიქრობ, სიმართლესთან ახლოს სწორედ ეს მესამე მიზეზი უნდა იყოს.

ასეა თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება: რთული, ფეთქებადსაშიში ვითარების განმუხტვის კიდევ ერთი, ამჯერად უკვე უკანასკნელი ცდაც მარცხით დამთავრდა. და ესეც ხელისუფლების, პირადად პრეზიდენტის მიზეზით. უნდა დავეთანხმოთ სტივენ ჯონსის დასკვნას, რომ „გამსახურდიას სტილმა - მისმა ავტოკრატიულმა ქცევამ, სამინისტროების საქმიანობაში ჩარევამ, პოლიტიკურმა არაკომპეტენტურობამ და დასავლეთისგან გაუცხოებამ საფრთხე შეუქმნა ახალი ელიტის უსაფრთხოებას და ბიუროკრატიული ფენები და არასაპარლამენტო ოპოზიცია მის წინააღმდეგ ძლიერი კოალაციის შექმნამდე მიიყვანა.“[118]

[118] . სტივენ ჯონსი, „საქართველო, პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ,“ თბ. 2013, გვ. 90;

თავი III

ეროვნული ხელისუფლების დამხობა

§ 3.1 გადატრიალება

ქვეყანა სწრაფი ტემპით მიექანებოდა სამოქალაქო ომისკენ. ომისთვის ორივე მხარე გამალებით ემზადებოდა. ხელისუფლება გუგდიდის ბატალიონის ბაზაზე აყალიბებდა თავის ერთგულ სამხედრო შენაერთებს, იძენდა და იმარაგებდა სამხედრო ტექნიკას, ტყვია-წამალს. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პლატფორმებიდან გამსახურდიას მითითებით მეკობრულად მოხსნეს 10 ტანკი და მინისტრთა საბჭოს გარაჟში გადამალეს.[119]

ომისთვის ემზადებოდა გვარდიაც. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილე სუფიან ბეპაევი იარაღით ამარაგებდა კიტოვანის გვარდიელებს (ცხადია, არა უფასოდ). იგივე ბეპაევიდან იძენდნენ იარაღს გამსახურდიას მომხრენიც. რუსეთის მიზანი ხომ საქართველოში სამოქალაქო ომის გაჩაღება იყო. მაშასადამე, იარაღი ორივე მხარეს უნდა ჰქონოდა.[120]

20 დეკემბერს რესპუბლიკის მოედანზე შეკრებილმა ოპოზიციამ, სიგუას მოწოდებით, მთავრობის სასახლის მიმდებარე ტერიტორიისკენ გადაინაცვლა. ქაშუეთის ეკლესიის მიდამოებში დაბანაკებულმა ოპოზიციამ საიდანღაც თვითმცლელი მანქანა მოიყ-

---

[119] .აღნიშნული ტანკები კიტოვანის გვარდიელებმა მეორე დღესვე გამოიყვანეს მწყობრიდან.

[120]. .ნოდარ ნათაძეს მოპყავს ამონარიდი გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებული გურამ პეტრიაშვილის წერილიდან, რომელიც ნათლად ადასტურებს ზემონათქვამს: „მთავრობის სახლის დამცველებს და ოპოზიციას დაახლოებით თანაბარი შეიარაღება ჰქონდათ. ესე იგი, ვისგანაც იარაღი იყიდა ერთმაც და მეორემაც, იმას სურდა, რომ დიდხანს გაგრძელებულიყო ჩვენი ომი. ...აღარ მახსოვს მერამდენე დღე იყო ამ საშინელი ომისა, დილით ერთმა ნაცნობმა გვარდიელმა მითხრა, ტყვია-წამალი აღარა გვაქვს, თუ არ მოიტანეს, ამაღამ იერიშს აბა, რითღა მოვიგერიებთ, უნდა დავენებდეთო. მაგრამ საღამომდე ტყვია-წამალი მოვიდა. აი, მაშინ დაეჭვედი პირველად, ვიღაცას უნდოდა, რომ თანაბარი ძალები გექონდეს მებრძოლ მხარეებს და დიდხანს ვხოცოთ ერთმანეთი-მეთქი. დარწმუნებული ვარ, ასევე, როგორც ოპოზიციას შემოაკლდებოდა ტყვია-წამალი, მალევე იქაც გამოჩნდებოდა ახალი მარაგი. ჩვენ, ალბათ, რომელიღაც ივან ვასილიჩისაგან ვყიდულობდით, ოპოზიცია კი - ვიღაც ვასილ ივანიჩისაგან“. გვ. 290.

ვანა, სამთავრობო ბარიკადში ჩამდგარ რამდენიმე მანქანას ჩაუბა და გამოათრია. 21 დეკემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა კაბინეტმა გაეროს, მსოფლიო ქვეყნების პარლამენტებსა და მთავრობებს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც აღწერილი იყო საქართველოში შექმნილი ვითარება. საქართველოს ხელისუფლება თხოვდა საერთაშორისო თანამეგობრობას გამოეგზავნა „ოფიციალური წარმომადგენლები“, რომლებიც ხელს შეუშლიდნენ ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას. დილიდან ბარიკადების ორივე მხარეს კვლავ განახლდა მიტინგები. ოპოზიცია ისევ შეეცადა ხელისუფლების მიტინგის შემომსაზღვრელი ბარიკადების მოშლას.

ოპოზიციის ასეთი ქმედების პასუხად ხელისუფლებამ მთავრობის სასახლის სახურავზე ავტომატებით და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული ადამიანები განალაგა. ტყვიამფრქვევები ავისმომასწავებლად იმზირებოდნენ სასახლის ფანჯრებიდანაც.

დღის ბოლოსთვის სასახლის წინ მდებარე მოედანი ბარიკადებისგან თავისუფალი იყო. ოპოზიციის ხელმძღვანელები ხალხს ისევ არწმუნებდნენ - ბარიკადები ორი მიტინგის გასაერთიანებლად ავიღეთო.

მიტინგზე გამოსულმა გამსახურდიამ კიდევ ერთხელ მოუწოდა ოპოზიციას არ გადაედგა ნაბიჯი, რომელიც გარდაუელად გამოიწვევდა სისხლიღვრას. სიგუამ დრო იხელთა და გამსახურდიას შეკითხვა დაუსვა: „პრეზიდენტო გამსახურდიავ, რა პასუხს გასცემთ ქართველ ხალხს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მიმართვასთან დაკავშირებით, რომელშიც დაგმობილია თქვენი ხელისუფლება?“ გამსახურდიას პასუხი: „ეს კითხვა თქვენს არაკომპეტენტურობაზე მეტყველებს. სახელმწიფო დეპარტამენტი არასოდეს მიმართავს იმ ქვეყნებს, რომელთა დამოუკიდებლობა ჯერ ოფიციალურად არ უცნია. აი, ასეთი არაკომპეტენტური რომ ხარ, სწორედ ამიტომ გაგათავისუფლე თანამდებობიდან.“ პრეზიდენტისთვის არავის უკითხავს და მასაც აღარ განუმარტავს, თუ რატომ დანიშნა „ასეთი არაკომპეტენტური“ პირი არცთუ ისე დიდი ხნის წინ პრემიერის თანამდებობაზე. სიგუა ახლა ჩახლეჩილი ხმით გაჰყვიროდა - პრეზიდენტი ცრუპენტელააო.

პირველი საშუალო სკოლის წინ გამართულ მიტინგზე თენგიზ სიგუამ განაცხადა, რომ ხელისუფლების უგუნური პოლიტიკა ოპოზიციას უფლებას აძლევს ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის იარაღის გამოყენებით, იბრძოლოს მის წინააღმდეგ.

ცხადი გახდა, რომ შეიარაღებული შეტაკების დაწყებამდე საათებიღა იყო დარჩენილი.

დაპირისპირებული მხარეები მზად იყვნენ ბრძოლისთვის. მაგრამ, ვინ გაისროდა პირველი?

22 დეკემბერს, დილის რვა საათზე გაისმა პირველი გასროლის ხმა. უესში დაიჭრა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე რომან გვენცაძე.

დღემდე არ წყდება კამათი იმის შესახებ, თუ საიდან მოხდა პირველი გასროლა. პრინციპული მნიშვნელობა ამის გარკვევას არცა აქვს, რადგან ბრძოლა ორივე მხარეს სწყუროდა. და მაინც, უნდა ვერწმუნოთ იმ ადამიანს, ვისაც ტყვია მოსვდა. მან ხომ უკეთ იცის — სად იდგა და საიდან გამოსროლილი ტყვია მოხვდა. რომან გვენცაძის განცხადებით, ის სასახლიდან გამოსროლილი ტყვიით დაიჭრა.[121]

საინტერესოა, ამ მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის სამმართველოს უფროსის მაშინდელი მოადგილის, ჯიმი სხირტლაძის მოგონება. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტის, რ.უსუდან ლორთქიფანიძისთვის 1998 წლის თებერვალში მიცემულ ინტერვიუში ის შემდეგნაირად აღწერს 1992 წლის დეკემბრის მოვლენებს: გამსახურდიას შტაბში შეკრებილნი იყვნენ რომან გვენცაძე, ლოთი ქობალია, ბესიკ ქუთათელაძე, ჯიმი სხირტლაძე, ლევან კენჭაძე, შტაბის სხვა წევრები. ამ დროს „შტაბში შემოვარდა წითელი ქურთუკითა და თავზე ბერეტით ზვიად გამსახურდიას ცოლიდა ლელა არჩვაძე ლია მაისურაძესთან ერთად. მათ წივილ-კივილით შემოჰყვნენ სხვა ქალებიც. მივარდნენ გვენცაძეს და ქობალიას. „რას დაგდებულხართ აქ, გინდათ ხალხი აქ შემოვიდეს და კიბეებზე დასხდნენ, ან სასახლეში შემოვუშვათ?“ თქვეს, რომ დაიჭირეს რცხილაძე... იქ მყოფი ჩინოსნები სასწრაფოდ გავარდნენ გარეთ. კინოთეატრ „რუსთაველთან“ კოცონი ენთო, სადაც რამდენიმე კაცი თბებოდა. მათ შორის მხოლოდ ერთი იყო ავტომატით. კიდევ ერთი კოცონი ენთო „ქაშუეთის“ მხარეს, შენობის კუთხეში. სიწყნარე

---

[121]. ნოდარ ნათაძეს თუ ვერწმუნებით (თუმცა, ამ ამბავს ის მხოლოდ ვერსიის სახით პყვება და მის სისწორეზე თავს არ დებს), მსროლელი, ვინც გვენცაძე დაჭრა, შეგმავნილი იყო პრეზიდენტის მომხრეთა რიგებში. მოგვიანებით, ის სოხუმში ბურგიდან ნასროლი ტყვიით დაიღუპა. საკარაუდოა — კეალის წაშლის მიზნით.

იყო, მოედანზე არაფერი ხდებოდა. რომან გვენცაძემ მითხრა: მიბრუნდი, თუ საჭირო იქნა ცოცხალი კედელი გავაკეთოთო. მივბრუნდი შტაბისკენ და ის იყო კარი უნდა გამეღო, ამ დროს ვხედავ ლოთი ქობალია თავისი ხალხით, აეტომატების ჩხაკუნითა და გინებით პირდაპირ კიბეებზე ეშვებიან: პირველი ლოთიმ გამოჰკრა თუ არა სასხლეტს ხელი, არ დამინახავს, მაგრამ პირველი რომ მისმა ხალხმა დაიწყო სროლა, კარგად დავინახე: კიბეებზე ჩამოსელისთანავე ატეხეს სროლა, რატომ – არ ვიცი. მათ უკან შინაგანი ჯარი მოჰყვებოდა. იქითა მხრიდან საპასუხო სროლა გაისმა. დაიწყო ქაოსი.

თავდაცვის მაშინდელ მინისტრს (ლოთი ქობალიას, უ. ბ.) ვთხოვე მეგაფონით ეთქვა ხალხისთვის, რომ შეეწყვიტათ სროლა, მაგრამ ხალხი იმდენად იყო ექსტაზში შესული, რომ სროლა ვერ შეწყვიტეს. როცა კიტოვანის ხალხს ვთხოვე, შეეწყვიტათ სროლა, შემაგინეს. ჩვენ შეეწყვითეთ, თქვენ რატომღა ისვრითო. ექვსი დაცვის წევრის თანხლებით გამოვიდა პრეზიდენტი. მოვახსენე, რომ თავდაცვის მინისტრის გადმოცემით, კიტოვანი მოლაპარაკებაზე თანახმა იყო. „შეეშინდა კიტოვანს და მოლაპარაკებაზე მოდის ეს გარეწარი“, - თქვა პრეზიდენტმა და ნელნელა ჩამოვიდა ქვემოთ. მეც გამოვყევი. ამ დროს შევიტყვე რომან გვენცაძის დაჭრის ამბავი... უშენაესი საბჭოს შენობაში გვიანობამდე დავრჩი. „ბეტეერები“ რომ შემოვიდნენ, მაშინაც იქ ვიყავი... როდესაც გვიად გამსახურდიამ განაცხადა, 50 კაციც რომ დარჩეს საქართველოში, მაშინაც პრეზიდენტი ვიქნებიო, მივხვდი, ჩემი იქ ყოფნა სისულელე იყო და იქაურობა დავტოვე... 23 დეკემბრიდან მე მათთან კონტაქტი აღარ მქონია“.[122]

ციტირებული აბზაცი მრავალმხრივ არის საინტერესო. პირველ რიგში, ის ნათლად აჩვენებს, თუ როგორ არაადეკვატურად აუსებდა სიტუაციას პრეზიდენტი, მეორე მხრივ, მასში ნათლად სჩანს პრეზიდენტის ცოლიდის, და საერთოდ, ისტერიული ქალების მეტად საბედისწერო როლი მოვლენების ტრაგიკულ განვითარებაში, მესამეც, ცხადად იკვეთება ქვეყნის შეიარაღე-

---

[122] რუსუდან ლორთქიფანიძე, „ვინც პირველმა ისროლა 21 დეკემბერს...“ ინტერვიუ თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსის ყოფილ მოადგილე ჯიმი სხირტლაძესთან“,გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 22 თებერვალი, 1998 წ.

ბული ძალების „მთავარსარდლის“, ლოთი ქობალიას და მისი უახლოესი გარემოცვის ავანტიურისტული როლი შეიარაღებული დაპირისპირების დაწყებაში.

პირველი სროლებიდან დაახლოებით ერთ საათში თბილისის ზღვიდან მძიმე საბრძოლო ტექნიკით ჩამოსულმა კიტოვანის გვარდიელებმა დაიწყეს იერიში მთავრობის სასახლეზე.

საქართველოში არსებული მწვავე პოლიტიკური დაპირისპირება შეიარაღებულ შეტაკებაში გადაიზარდა.

ამაო გამოდგა ზომიერი პოლიტიკური ძალების ყველა ცდა – მშვიდობიან კალაპოტში წარემართა პოლიტიკური პროცესი. ამის შანსი კი იყო. სოციოლოგიური გამოკვლევები მოწმობდნენ, რომ გამსახურდიას პოპულარობა დღითიდღე კლებულობდა. გაბაფხულისთვის მას მისი თაყვანისმცემელი ფანატიკოსი ქალებიღა თუ შერჩებოდა. პრეზიდენტი მომხრეებს კარგავდა უზენაეს საბჭოშიც. ეს გარემოება ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა მშვიდობიანი პოლიტიკური მეთოდებით გამსახურდიას ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლისთვის. მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, იმძლავრა რადიკალიზმმა, პიროვნულმა ამბიციებმა ამჯერადაც დასძლიეს გონიერება და საქვეყნო ინტერესი.

მოვლენების ამ საბედისწერო განვითარებაში ხელისუფლების მოუსვენარ, უგუნურ პოლიტიკასთან ერთად, თავისი მკვეთრად ნეგატიური როლი შეასრულა ეროვნული დემოკრატების, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, ბლოკ „თავისუფლების“, ზოგიერთი სხვა პოლიტიკური ორგანიზაციის ლიდერთა პიროვნულმა სიძულვილმა პრეზიდენტის პერსონისადმი.

საქართველოში განვითარებული მოვლენების გასაგებად აუცილებელია შემდეგი მომენტის გათვალისწინებაც: 1991 წლის 21 დეკემბერს ალამა-ათაში დაიწყო ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების შეხვედრა, რომელზეც წყდებოდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში („დსთ“) ამ რესპუბლიკების გაწევრიანების საკითხი. ამის თაობაზე ელცინი საგანგებოდ ესაუბრა გამსახურდიასაც, მაგრამ მისგან კატეგორიული უარი მიიღო.

მეორე დღეს, 22 დეკემბერს, საქართველოში შეიარაღებული დაპირისპირება დაიწყო. ეს შემთხვევითი დამთხვევა არ ყოფილა, რაც ელცინის ხელისუფლების ერთ-ერთმა მაღალი თანამ-

დებობის პირმა, გენადი ბურბულისმა მოგვიანებით დააღასტურა კიდეც.[123]

მთავრობის სასახლეში გამაგრებულ პრეზიდენტს იცავდა ზუგდიდის ბატალიონი, აქვე იყვნენ მოხალისეები ახალციხიდან, რუსთავიდან, ყვარელიდან, ახმეტიდან, თბილისიდან და სხვ.

კიტოვანის გვარდიელთა რიცხვი იმ დროისთვის, ისევე ნოდარ ნათაძის მონაცემებით, 160 ან ოდნავ მეტი უნდა ყოფილიყო.[124] ოპოზიციის მხარეს ამ დროს იბრძოდა ვაჟა ადამიას შეიარაღებული რამდენიც, რომელიც უნიფორმაგ „თბილისის“ და მეტრო „თავისუფლების მოედნის“ მიმდებარე ტერიტორიას აკონტროლებდა.

ომის პირველივე დღეს ხანძარი გაუჩნდა და ცეცხლში ჩაიფერფლა პირველი სამუალო სკოლისა და მხატვრის სახლის შენობები.

მეორე დღეს ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა დროდადრო კიტოვანის გვარდიელებს იერიში მიჰქონდათ მთავრობის სასახლეზე. საღამოს გამსახურდიას მომხრენი შეიჭრნენ სასტუმრო „თბილისში“, რომელიც კიტოვანისა და სიგუას შტაბს წარმოადგენდა. მიმდინარეობდა ბრძოლები შენობის მოწინააღმდეგისგან გასაწმენდად.

თენგიზ სიგუას განცხადებით, გამსახურდიას შეთავაზეს ბათუმში წასვლა. ვუთხარი, რომ თვითმფრინავში მეც მასთან ერთად ჩავჯდებოდი და ჩავაცილებდი ბათუმამდე, – აღნიშნავდა სატელევიზიო გამოსვლაში სიგუა, – პრეზიდენტი თავდაპირველად შეთავაზებას დათანხმდა, შემდეგ, იმ საბაბით, რომ ეს მარტო მასზე არ იყო დამოკიდებული, უარი განაცხადა ბათუმში გამგზავრებაზეო.

24 დეკემბერს სახელისუფლებო ძალებმა თავისუფლების მოედნისკენ წაიწიეს. პრეზიდენტმა მიმართა მოსახლეობას და მას „კანონიერად არჩეული ხელისუფლების მხარდაჭერისკენ“ მოუწოდა. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა (მათ შორის ისინიც, ვისაც გამსახურდიას მმართველობა არ მოსწონდა და მის წინააღმდეგ მშვიდობიანი მეთოდენით იბრძოდა კიდეც)

---

[123] დიმიტრი შველიძე, „პოლიტიკური დაპირისპრებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წწ), გვ.464.

[124] .ნოდარ ნათაძე, „რაც ვიცი (ფაქტები და ანალიზი),“ გვ. 286.

გმობდა გადატრიალებას და ხელისუფლების მიმართ თანაგრძნობით იყო გამსჭვალული. თბილისის მოსახლეობის ნაწილი ცდილობდა ხელისუფლების მხარდაჭერა მიტინგებით გამოეხატა, მაგრამ მთავრობის სასახლეში მყოფთ ეს ბევრს ვერაფერში ეხმარებოდა. ბრძოლაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა მილიციამაც. მოსახლეობის უმრავლესობა თბილისის ცენტრში მიმდინარე სისხლიანი შეტაკებების გარედან მაყურებლის პოზიციით დაკმაყოფილდა.

25 დეკემბერს თბილისის აეროპორტში დაეშვა გროზნოდან საგანგებო რეისით მომავალი თვითმფრინავი. მას დახვდა პრეზიდენტის ერთგული ნაწილი. ამ ამბის შეტყობისთანავე ოპოზიციის საგანგებო დანიშნულების ბატალიონი „თეთრი არწივი“ გია ყარყარაშვილის მეთაურობით აეროპორტისკენ გაემართა. გვარდიელები აეროპორტის ტერიტორიაზე შეიჭრნენ და 25 შეიარაღებული ჩეჩენი დააკავეს. ჩეჩენთა შორის ჩეჩნეთის პარლამენტის რამდენიმე დეპუტატი და საგარეო საქმეთა მინისტრიც იყო. რამდენიმესაათიანი მოლაპარაკების შემდეგ ჩეჩნებს იარაღი დაუბრუნეს და უკან გაამგზავრეს.

ომის დღეებში თბილისის მეტროპოლიტენი შეუფერხებლად მუშაობდა. მატარებელი თავისუფლების მოედანზეც ჩერდებოდა.[125] თბილისელები ყოველდღიურად ამოდიოდნენ სადგურის ზედა ვესტიბიულში და იქიდან აკვირდებოდნენ ბრძოლების მსვლელობას. ბრძოლები კი ძირითადად, ჩასაფრებებიდან მიმდინარეობდა. თუმცა, დროდადრო ხან ერთი მხარე გადავიდოდა შეტევაზე და მეორე მხარეს უკან დაახევინებდა, ხან მეორის კონტრიერიშის შედეგად პირველი იხევდა უკან. ასე, რომ მეტრო „თავისუფლების მოედნის“ მიმდებარე ტერიტორია გარდამავალი უპირატესობით, ხან ხელისუფლების მომხრე შეიარაღებულ ფორმირებებს ეკავათ და ხან - კოსტაველებს. და აი, მაყურებელთა ამ გუნდს ახლად შემოერთებული თბილისელი მოქალაქე ყოველთვის ერთ კითხვას უსვამდა: აქ, მეტროს თავზე, დღეს ვინ არის? პასუხიც შაბლონური იყო: „ჩვენები“ (იმ შემთხვევაში, თუ

[125] „თავისუფლების მოედნის“ სადგური მხოლოდ მას მერე ჩაიკეტა, როდესაც 30 თუ 31 დეკემბერს, ბრძოლების თვალის მიმდევნებელი მოქალაქეებიდან ერთ-ერთი, 21 წლის ახალგაზრდა, საფეთქელში ყუმბარის ნამსხვრევის მოხვედრით გარდაიცვალა.

მეტროს მიმდებარე ტერიტორიას ხელისუფლების მომხრე ძალები აკონტროლებდნენ), ან – „ბანდიტები“ (თუ ტერიტორია ამბოხებულებს ეკავათ).

ეს პასუხები ყველაზე რელიეფურად ასახავდნენ თბილისელთა განწყობას.

უცხოური გაზეთებისთვის მიცემულ ინტერვიუებში გამსახურდია აცხადებდა, რომ „თავს ძალიან კარგად გრძნობდა“ და რომ ახალ არჩევნებს მხოლოდ ხალხის ნებით დანიშნავდა და არა „კრიმინალთა მოთხოვნით“.

26 დეკემბერს სამთავრობო ძალებმა პუშკინის და ლესელიძის ქუჩებამდე დაასევინეს კოსტავას საზოგადოების რაზმებს. მეტროს სადგურისა და უნივერმაღ „თბილისის“ მიმდებარე ტერიტორიებს მთლიანად სამთავრობო ჯარები დაეუფლნენ. უნივერმაღის თანამშრომელი მამაკაცები ამ დღეების განმავლობაში უნივერმაღიდან ფეხს არ იცვლიდნენ, ღამესაც იქ ათევდნენ და ასე იცავდნენ თავიანთ ქონებას. 26-ში მათთან ლოთი ქობალია მივიდა და უთხრა: თქვენ წადით სახლებში, დაპურდით, დაიბანეთ, დაისვენეთ, დაიძინეთ. უნივერმაღის შიში ნუ გექნებათ, არაფერი არ იქნება აქო.

„ჩვენც დავუჯერეთ და იმ ღამით სახლებში წაველდით. ბოლოს და ბოლოს სამთავრობო ჯარების უმაღლესი თანამდებობის პირი შეგვპირდა ჩვენი ქონების დაცვას და როგორ არ დაგვეჯერებინაო“, - მიყვებოდა მოგვიანებით ჩემი ნაცნობი უნივერმაღის დირექტორის მოადგილე. „მეორე დღეს დავბრუნდით და რას ვხედავთ - უნივერმაღის ოთხივე სართული პირწმინდად გასუფთავებულია საქონლიგან. სიტყვის კაცი გამოდგა ქობალია, შეგვპირდა – „არაფერი არ იქნება აქო“ და შეასრულა კიდეც“, - მწარედ ეღიმებოდა ჩემს ნაცნობს.

27 დეკემბერს, გამთენიისას, უშიშროების იზოლიატორიდან გაათავისუფლეს ჯაბა იოსელიანი, გია ჭანტურია, მამუკა გიორგაძე, გოგა ხაინდრავა და ხსვები. თავისი მხედრიონით ჯაბა მაშინვე ბრძოლაში ჩაება. გია ჭანტურიამ განაცხადა, რომ დიქტატორი, რომელმაც „თავად გამოიწვია ამბოხება,“ „უნდა დაემხოს“. ეღპ-ს აქტივისტები ამბოხებულებს შეუერთდნენ.

ბესიკ ქუთათელაძე, რომელსაც ხელისუფლებისგან მთაწმინდის სატელევიზიო ანძის დაცვა ჰქონდა დავალებული, ემუდარებოდა პრეზიდენტს – შეეწყვიტა ოპოზიციასთან შეიარაღებუ-

ლი დაპირისპირება, დაეწყო მოლაპარაკება და თუ საჭირო გახდებოდა, ადამიანთა სიცოცხლის გადასარჩენად, დაეთმო კიდეც პრეზიდენტის პოსტი. ამაოდ. პრეზიდენტმა მისი თხოვნა-მუდარა არ გაიზიარა. მაშინ ქუთათელაძემ დასაცავი ობიექტი მხედრიონს ჩააბარა. ეს მძიმე დარტყმა იყო ხელისუფლებისთვის.

თავდაცვის მინისტრის მოადგილემ და ავღანეთის ომის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარემ, ნოდარ გიორგაძემ პრეზიდენტს უკვე მეორედ შეთავაზა კონფლიქტის მოგვარების პირობები: ორივე მხარეს დაუყოვნებლივ უნდა გაეყვანა თავისი შეიარაღებული ძალები დედაქალაქიდან; უზენაესი საბჭოს სესიას უნდა დაენიშნა ახალი საპარლამენტო არჩევნები; ძალაუფლება გადაეცემოდა პარლამენტს, თბილისში შემოღებული იქნებოდა კომენდატის საათი, და სხვ. ამ წინადადებების მიუღებლობის შემთხვევაში გიორგაძე იხსნიდა თავდაცვის მინისტრის მოადგილის უფლებამოსილებას.

მეორე დღეს ხელისუფლებისა და ამბოხებულთა წარმომადგენლების შეხვედრაზე შესაძლებელი გახდა შეთანხმების ტექსტის შემუშავება. ამ შეთანხმების მიხედვით უნდა დანიშნულიყო ახალი არჩევნები და რეფერენდუმი, დროებით უნდა შეჩერებულიყო პრეზიდენტის უფლებამოსილება, ეროვნული გვარდიის ნაწილები დაუბრუნდებოდნენ თავიანთი დისლოკაციის ადგილებს, თბილისიდან გავიდოდნენ რაიონებიდან ჩამოყვანილი პრეზიდენტის მხარდამჭერები და სხვ. შეთანხმების შესრულებას კონტროლს გაუწევდა პარიტეტული წესით შექმნილი დროებითი საბჭო.

მაგრამ, შეთანხმება დაირღვა ხელისუფლების მხრივ იმავე დღეს განხორციელებული მძლავრი შეტევის გამო. პრეზიდენტის ერთგულმა ნაწილებმა 28 და 29 დეკემბერს რუსთაველის გამშირი თითქმის მთლიანად გაწმინდეს. კიტოვანის გვარდიელებმა „იმელის“ შენობამდე დაიხიეს. ამბოხებულთა მეთაურებმა თავი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბს შეაფარეს (გოგა ხაინდრავა ამტკიცებს, რომ იმ ღამეს კიტოვანსა და სიგუას სუფიან ბეპაევის კაბინეტში ეძინათ). 29 დეკემბერს მოსკოვის ტელევიზიით გამოსულმა თენგიზ კიტოვანმა „საქართველოს დემოკრატიული ძალების“ სახელით დახმარება რუსეთის პრეზიდენტს სთხოვა.

აი, რას ამბობდა ერთ-ერთ თავის ინტერვიუში სუფიან ბეპაევი: „გამსახურდიას მომხრეებმა რუსთაველის პროსპექტიდან მთლიანად განდევნეს ოპოზიცია. კიტოვანი თამაშიდან (!?) გას-

ველას და კორდონს მიღმა გაქცევას აპირებდა. ვითარება კრიტიკული იყო და რუსეთის ჯარის პატარა ქვედანაყოფის დახმარება რომ არა, პრეზიდენტის მოწინააღმდეგეები დამარცხდებოდნენ".[126]

და მართლაც, ტ-72 ტიპის ტანკების რუსთაველის გამგირვე გამოჩენის შემდეგ გამსახურდიას მომხრეებმა უკან დაიხიეს და კვლავ მთავრობის სასახლეში ჩაიკეტნენ.

31 დეკემბერს გამსახურდიამ ელცინს აცნობა, რომ თანახმა იყო დსთ-ში შესვლაზე. „უკვე გვიანია", – იყო პასუხი.

გამსახურდიას ბედი გადაწყვეტილი იყო.

პრეზიდენტის მხარდასაჭერად მეტრო „დელისის" სადგურთან 1 იანვარს გამართული მიტინგი ამბოხებულთა მიერ სასტიკად იქნა დარბეული. მომიტინგეებს ცეცხლი გაუხსნეს დიდუბეშიც. დაიღუპა რამდენიმე მშვიდობიანი მომიტინგე. ამ დროისთვის ქალაქს მთლიანად ამბოხებულები აკონტროლებდნენ. 2 იანვარს გამოქვეყნდა „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი", რომელიც იუწყებოდა, რომ „დიქტატორული რეჟიმი დამხობილია". სამხედრო საბჭო დროებით აჩერებდა კონსტიტუციის მოქმედებას, დათხოვნილად ცხადდებოდა პარლამენტიც. სამხედრო საბჭოს სპეციალური ბრძანებით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უქმდებოდა პრეფექტურები. ადგილებზე მთელი ძალაუფლება გადადიოდა სამხედრო საბჭოს დროებითი რწმუნებულების ხელში. ბესარიონ გუგუშვილის ნაცვლად პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შესრულება კვლავ თენგიზ სიგუას დაევალა. თბილისში ცხადდებოდა კომენდანტის საათი. დედაქალაქში კატეგორიულად აიკრძალა მიტინგები, დემონსტრაციები. მოქალაქეთა ქუჩებში გამოსვლა 23 საათიდან დილის 6 საათამდე.

4 იანვარს, თავის სატელევიზიო გამოსვლაში მანანა გივინეიშვილი აღნიშნავდა: „ ... ვინ მგრობდა პრეზიდენტს ისე, როგორც თვითონ უმგრო თავის თავს და როგორც მას უმგრეს თავისმა ახლობლებმა. რაგომ არ დაფიქრდა პრეზიდენტი, რომ მგრობა იყო ის, როცა ერთი მინისტრი გარეგნობას უქებდა მას, მეორე მინისტრი მისი მეობით იყო მოხიბლული, ხოლო უზენაესი საბჭოს

---

[126] .მოთავა დაჭკორია, ბადრი რამიშვილი, „1991-1992 წლებისმოვლენების „გმირებმა" თავიანთ თავს პოლიტიკური საფლავი მოუმზადეს, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 15 ივნისი, 2007 წ.

თავმჯდომარე ბუშსა და ტეტჩერს აღარებდა ... როცა მზეჭაბუკს უწოდებდნენ და ათას ლექსებს უძღვნიდნენ. რატომ არ მიხვდა ის, რომ ეს იყო მტრობა ... " გიგინეიშვილი იქვე ამ მოვლენის უესვებსაც უღრმავდებოდა: „ისიც უნდა ითქვას, რომ პრეზიდენტს კეარცხლბეკი დახვდა. ამდენი ხნის ტოტალიტარულმა ყოფამ, ტოტალიტარულმა სტრუქტურებმა შექმნა კეარცხლბეკი და ასე შეიქმნა ტოტალიტარული სტრუქტურის აღამიანი. ამიტომ იყო, რომ ასე აღვილად აეიტანეთ ბელადის იდეა ჩვენ უნდა ეს იდეა მოვიშალოთ კეარცხლბეკისა, თორემ მასზე ახტომის მსურველი დღეს გამსახურდია იქნება და ხვალ სხვა გამოჩნდება ... პრეზიდენტს რომ ჭკუა ეხმარა და ამ კეარცხლბეკის მოშლა დაეწყო, ეს ჭეშმარიტ კეარცხლბეკს მოუპოვებდა. მას აღარ დაჭირდებოდა კამაზებით ბლოკების შემოწყობა და არც გაუგონარი რამ – მდედრიონისთვის ხარჯის გაღება დაჭირდებოდა..."[127]

4 იანეარს საქართველოს პროკურატურაში ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

6 იანვარს, გამთენიისას, პრეზიდენტმა და მისმა მომხრეებმა მთავრობის სასახლე დატოვეს და გეზი სომხეთისკენ აიღეს. უკან დარჩა ნატყეიარი რუსთაველის პროსპექტი, გადამწვარი პირველი საშუალო სკოლის, კავშირგაბმულობის სახლის, სასტუმრო „თბილისის", მთავრობის სასახლის შენობები. ხანძარმა შთანთქა მრავალი საცხოერებელი სახლიც.

ამბოხებულებმა ჯერ მეტეხის ხიდთან აუტეხეს სროლა პრეზიდენტის კორტეჟს, შემდეგ დასაელეთისკენ წასული მისი მომხრეების ავტობუსები დაცხრილეს.

8 იანვრის მონაცემებით, სახელმწიფო გადატრიალების შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 113 კაცს, დაჭრილთა რაოდენობა კი ოთხასზე მეტს შეადგენდა.[128]

---

[127] .გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 8 იანეარი, 1992 წ.

[128]. დიმიტრი შეელიძე, „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროენული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წწ)", გვ. 458.

§ 3.2 1991-1992 წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შეფასება.

მაინც რა მოხდა საქართველოში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში?

ეს იყო გადატრიალება. ეს უდავოა. მაგრამ, რა ტიპის, რა სახის გადატრიალება მოხდა, რა ძალებმა მოახდინეს ეს გადატრიალება, როგორი იყო პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა მოცემულ მომენტში, როგორი იყო მოსახლეობის განწყობა და დამოკიდებულება გადატრიალებისა და მასში მონაწილე ძალებისადმი?

ამ კითხვებზე პასუხების გაცემის გარეშე შეუძლებელი იქნება 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების მართებული შეფასება.

არადა, საქართველოს პოლიტიკურ ძალებსა და საზოგადოებაში ამ საკითხების მიმართ დღემდე არ არსებობს მეტ-ნაკლებად მაინც შეჯერებული შეხედულება.

პრეზიდენტის მიერ ქვეყნის დატოვებისთანავე ტელეეიზიით გამოსულმა პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა თენგიზ სიგუამ განაცხადა: **„6 იანვარს დაემხო კომუნისტური დიქტატურისგან ნამობი გამსახურდიას დიქტატურა** საქართველოში **გაიმარჯვა საერთო-სახალხო აჯანყებამ**. სწორედაც საერთომ და საყოველთაომ, რადგანაც მასში მონაწილეობდა და მას თანაუგრძნობდა საზოგადოების ყველა ფენა, ახალგაზრდობა, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საქართველოს შეიარაღებული ძალები"[129].

ედუარდ შევარდნაძე მოსკოვიდან მიესალმა საქართველოს ახალ ხელისუფლებას და მომხდარს ასეთი შეფასება მისცა: „თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეალების ერთგულმა ძალებმა სძლიეს **დიქტატურას**, გაიმარჯვა საღმა აზრმა, მივესალმები ამ ისტორიულ მოვლენას."[130] ცოტა მოგვიანებით, თავის ერთ-ერთ ინტერვიუში, შევარდნაძემ დააზუსტა: დეკემბერ-იანვარში „იყო კონფლიქტი **ავტორიტარულ რეჟიმსა და დემოკრა-**

---

[129]. დიმიტრი შველიძე, „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წწ)", გვ. 458.

[130]. დიმიტრი შველიძე, „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წწ)", გვ. 459.

ტიულ ძალებს მორის, რომლებსაც მხარი დაუჭირეს შეიარაღებულმა ფორმირებებმა."[131]

ხელისუფლებაში მოვიდნენ **ცნობილი ქურდი და უცნობი მხატვარი** - იტყვის მოგვიანებით ჯაბა იოსელიანი.

„პირველ ჩვენებაზე" კვლავაც მყარად იდგა გია ჭანტურია. მისი აზრით, გამსახურდიას ხელისუფლება **„შულავერის" ხელისუფლების სამართალმემკვიდრე და, შესაბამისად - არალეგიტიმური** იყო. „1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები საბჭოთა კანონმდებლობის საფუძველზე ჩატარდა და ამ არჩევნებში მონაწილეობა ამომრჩეველთა ას პროცენტსაც რომ მიეღო, არჩევნები კანონიერად ვერ ჩაითვლებოდა," - წერდა ის. „ამის გათვალისწინებით, დეკემბერ-იანვრის აჯანყება უნდა შევადაროთ არა 1921 წლის მოვლენებს (როგორც ამას აკეთებენ ურიად ტენდენციური და განათლებასთან მწყრალად მყოფი „ზვიადისტები"), არამედ 1924 წლის აჯანყებას ოღონდ იმ განსხვავებით, რომ 1924 წლის აჯანყება დამარცხდა, 1992 წლის აჯანყებამ კი გაიმარჯვა,"[132] - დაასკვნიდა ჭანტურია.

დემოკრატიულ რევოლუციად მიიჩნევდა მომხდარს ირაკლი წერეთელიც. „... საქართველოში მოხდა დემოკრატიული რევოლუცია რახან 22 დეკემბერს მთავრობამ პირველმა გახსნა ცეცხლი, ეროვნული გვარდია გამოვიდა მოპასუხის და არა თავდამსხმელის როლში,"[133] - აღნიშნავდა ის.

„განუხორციელებელი დიქტატურის ნამთებთან ახალგაზრდა დემოკრატიის ბრძოლას უწოდებდა მომხდარს ქართველ მწვანეთა ახალგაზრდა სპიკერი ზურაბ ქვანიაც.[134]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მსოფლიოს სახელმწიფოთა მთავრობებისადმი მიმართვაში საქართველოს დროებითი მთავრობა კიდევ უფრო გამოკვეთილად აფიქსირებდა თავის აზრს დეკემბერ-იანვრის მოვლენების მიმართ: „1991 წლის დეკემბერსა და 1992 წლის იანვარში საქართველოში მოხდა **საერთო-სახალხო დემოკრატიული აჯანყება** იმ დანაშაულებრივი რეჟიმის წინააღმდეგ, რომელმაც დაამტკიცა, რომ კომუნისტური ტოტალი-

---

[131] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 10 იანვარი, 1992 წ.

[132] „XX საუკუნის ქართული მითი", გაზ. „დრონი", 2 მაისი, 1992 წ.

[133] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1992 წ. 7 თებერვალი.

[134] გაზ. „ახალგაზრდა იერიელი", 23 იანვარი, 1992 წ.

ტარული მმართველობა შეიძლება შეიცვალოს ეროვნულ ლობუნგებს ამოფარებული **ავტორიტარული ხელისუფლებით.**"[135]

1991-1992 წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენებს „ტრაგიკულ აუცილებლობად" მიიჩნევდა ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის ლიდერი მისეილ ნანეიშვილი. „ იმ სიტუაციაში სხვა გამოსავალი არ არსებობდა. ჩვენ უფსკრულისკენ მიეექანებოდით მთელი საზოგადოების ცნობიერება იწამლებოდა, გარდაუვალი იყო არა მარტო პოლიტიკური, არამედ კულტურული კრახიც"[136] - წერდა ის.

რა თქმა უნდა, დიამეტრალურად განსხვავებული იყო დამხობილი ხელისუფლებისა და მისი მომხრეების შეფასებები. საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ „1991-1992 წლების მიჯნაზე **გარე ძალების ხელშეწყობით და მონაწილეობით, საქართველოში სამხედრო-შეიარაღებული გამოსვლის გზით, კანონიერი ხელისუფლების დამხობამ სათავე დაუდო ჩვენს ქვეყანაში არნახულ უკანონობას და მორალურ-ზნეობრივი ფასეულობების გადაგვარებას."**[137]

ერთმანეთისგან განსხვავებულია საკითხით დაინტერესებულ მკვლევართა შეხედულებებიც. მალხაზ მაცაბერიძის აზრით, „1991-1992 წლების მოვლენები იყო პოლიტიკური დაპირისპირებებისა და სამოქალაქო პროტესტის ფონზე მომხდარი **სამხედრო გადატრიალება";**[138] 1991-1992 წლების მოჯიანზე მომხდარ მოვლენებს **„სამხედრო გადატრიალებად"** მიიჩნევს რევაზ გაჩეჩილაძეც. მისი ერთადერთი არგუმენტი ის გახლავთ, რომ ამ მოვლენებს „ასე უწოდებდა მისი შემოქმედი თენგიზ კიტოვანიც."[139] ვახტანგ ძაბირაძე მიიჩნევს, რომ დეკემბერ-იანვრის მოვლენებს თითქმის ერთნაირად ამმაღებდა როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია

---

[135] 135 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 10 იანვარი, 1992 წ.

[136] „დისკუსია: ეროვნული თანხმობისკენ". გაზ. საქართველოს რესპუბლიკა", 5 იანვარი, 1999 წ.

[137] .მიხეილ სალუაშვილი, „1991 წლის დეკემბერსა და 1992 წლის იანვარის მოვლენების შეფასების საკითხისთვის", თბ. 2012.

[138] მალხაზ მაცაბერიძე, „1991-1992 წლების მოვლენების შეფასების საკითხისთვის", თბ. 1999 წ. გვ. 26

[139] რევაზ გაჩეჩილაძე, „საქართველო მსოფლიო კონტექსტში, მე-20 და 21-ე საუკუნეების პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მომენტები", თბ. 2013 წ. გვ. 784

„სიბრიყვემდე მისულ ერთგულთა“ და ოპოზიციის რადიკალური ნაწილის ურთიერთუკომპრომისო დამოკიდებულებამ გამოიწვია დეკემბერ-იანვრის მოვლენები“[140]; ლოვარდ ტუხაშვილის აზრით, გამსახურდიას მმართველობა იყო **„განუხორციელებელი დიქტატურისკენ** წარმართული ავტორიტარული ხელისუფლება, რომელიც ემყარებოდა „პირველი კაცის“ ქინიანობას აბსოლუტური ინდიფერენტიზმის პირობებში ე.ი. დასკვნას, რომ მოხდა **საერთოსახალხო რევოლუცია**, აქვს საფუძველი.“[141] მოთა ვადაჭკორია მიიჩნევს, რომ „გამსახურდიას ხელისუფლებისადმი დიქტატურისა და ტოტალიტარული რეჟიმის ბრალდების წაყენება, ეთიკის არანაირ ჩარჩოში არ თავსდება და ხელისუფლების უზურპატორთა მხრიდან მკრესელობის ტოლფას ქმედებად უნდა შეფასდეს.“[142] დიმიტრი შველიძეს მიაჩნია, რომ „1991-1992 წელს არა სამხედრო, არამედ **„შეიარაღებული აჯანყების გზით სახელმწიფო გადატრიალებას** და ხელისუფლების დამხობას ჰქონდა ადგილი“.[143] სტივენ ჯონსის აზრით, „ეს გახლდათ **უსაფრთხოების მაძიებელი გარიყული და გაძევებული ადამიანების პუტჩი**. ფრუსტრირებული ახალგაზრდობა ბრძოლას შეუერთდა არა მხოლოდ დრამატიზმის ძიების სურვილით.“[144] უფრო განვრცობილი და ყოვლისმომცველია ავთანდილ ტუკეაძის შეფასება: **„იარაღით, უკანონო გზით, გვარდიისა და მხედრიონის მიერ, გარეშე ძალების აქტიური ჩარევით, კრიმინალური ელემენტების ფართო მონაწილეობით, დამხობილ იქნა ზვიად გამსახურდიას კანონიერი, ხალხის მიერ არჩეული ლეგიტიმური ხელისუფლება და სათავე დაედო სამოქალაქო ომს და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევის პროცესს“**[145] და სხვ.

---

[140] ვახტანგ ძაბირაძე, „ეროვნული მოძრაობის შუქ-ჩრდილები,“ თბ. 2007, გვ. 282.

[141] .გაზ. „ახალგაზრდა იერიელი“, 20 თებერვალი, 1992 წ.

[142] .მოთა ვადაჭკორია, „ზვიად გამსახურდიას სახელისუფლებო მმართველობის შეფასების საკითხი ქართულ პოლიტიკურ ამბოვნებაში“, გვ. 241

[143] დიმიტრი შველიძე, „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წწ),“ გვ. 478.

[144] სტივენ ჯონსი, „საქართველო, პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“, თბ. 2013, გვ 104;

[145] . ავთანდილ ტუკეაძე, „პოლიტიკური ელიტა“, თბ. 1998, გვ. 201;

ზემოჩამოთვლილ თითოეულ შეფასებაში სიმართლის რაციონალური მარცვალი ნამდვილად არის. მაგრამ 1991 წლის დეკემბერსა და 1992 წლის იანვარში საქართველოში მომხდარი მოვლენები გაცილებით სრულად და კომპლექსურად ჩემი აზრით, შემდეგ ფორმულირებაში აისახება: **სახელისუფლებო გუნდში მომხდარი განხეთქილების შედეგად ოპოზიციაში გადასულმა პოლიტიკოსთა და ეროვნული გვარდიის ნაწილმა, ცისიდან გათავისუფლებული ჯაბა იოსელიანის „მხედრიონის“ შეიარაღებული მხარდაჭერის, აგრეთვე, პოლიტიკურად საბოგადოების ყველაზე უფრო აქტიური ნაწილის – ინტელიგენციისა და სტუდენტობის მორალურ-პოლიტიკური თანაგრძნობით, გარეშე ძალის სამხედრო და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის გზით საქართველოში მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება. ინტელიგენციისა და სტუდენტი ახალგაზრდობის დიდი ნაწილის ოპოზიციური განწყობა განპირობებული იყო ხელისუფლების ხისტი, მოუქნელი, ავტორიტარული მმართველობითი კურსით, უაღრესად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში ლავირების უუნარობით, მძიმე შეცდომებით.**

ცხადია, ნებისმიერი ხელისუფლება, თვით ყველაზე დიქტატორული, სჯობდა იმ ქაოსს, იმ განუკითხაობას, რაც გადატრიალების შედეგად მივიღეთ, მაგრამ ამაში ინტელიგენციისა და სტუდენტობის, საერთოდ, დემოკრატიულად განწყობილი საბოგადოების დადანაშაულება, როგორც ამას დამხობილი ხელისუფლების მომხრენი თუ მისადმი ღღემდე სიმპატიით გამსჭვალული მკვლევარები აკეთებენ, მიუღებელია. ინტელიგენცია კალმით და სიტყვით ამხელდა ხელისუფლების ანტიდემოკრატიულ კურსს, მის ავტორიტარულ მიდრეკილებებს. ეს ნორმალურია, ეს ინტელიგენციის პირდაპირი მოვალეობაა. ხელისუფლება ვალდებული იყო ყურად ეღო ინტელიგენციის შეგონება, მოეხდინა თავისი ხისტი პოლიტიკური კურსის კორექტირება. მან ეს არ გააკეთა და მიიღო ის, რაც მიიღო.

გადატრიალებამდე საქმე ხელისუფლებამ მიიყვანა და არა ინტელიგენციამ. ბოლოს და ბოლოს, აჯანყების მთავარი ორგანიზატორები - სიგუა და კიკოვანი ხომ ამ ხელისუფლების განაყოფები იყვნენ.

თავი IV

ახალი ხელისუფლების ღონისძიებანი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისიდან გამოსაყვანად.

§ 4.1 კონფრონტაციის გაგრძელება. სრულმასშტაბიანი სამოქალაქო ომის საფრთხე.

პრეზიდენტის დამხობით საქართველოში კონფრონტაცია არ დამთავრებულა. გამსახურდიას მომხრენი პროტესტის სხვადასხვა ფორმით წინააღმდეგობას განაგრძობდნენ. 3 და 7 იანვარს ყოფილი პრეზიდენტის მხარდამჭერებმა ეაგზლის მოედნიდან წერეთლის გამზირის გავლით საბურთალოს მიმართულებით საპროტესტო მსვლელობები მოაწყვეს. მიტინგების მონაწილენი გაფიცვებისკენ და საყოველთაო დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდებდნენ მოსახლეობას. გაისმოდა შეძახილები: „ვინც ხუნტისთვის იმუშავებს, მოღალატის სიკვდილი არ ასცდება.“ საპროტესტო აქციები გასცდა დედაქალაქის ფარგლებს და მთელი საქართველო მოიცვა. განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი ამ აქციებს სამეგრელოს რაიონებში ჰქონდათ. ზუგდიდის იზოლატორიდან გაიქცა 150-დე პატიმარი, ექსპრეზიდენტის მომხრეებმა ქალაქის მისასვლელთან აყარეს ერთ კილომეტრამდე სარკინიგზო ლიანდაგი. მათ უჭირდათ იმის დაჯერება, რომ პრეზიდენტმა დატოვა საქართველო (ფიქრობდნენ, რომ ტელევიზიით ნაჩვენები კადრები მონტაჟის შედეგი იყო). ისინი ქმნიდნენ შეიარაღებულ რაზმებს და უნდობლობას უცხადებდნენ მილიციას. ზუგდიდში, ფოთში და სამეგრელოს ზოგიერთ სხვა რაიონში ფაქტიური ორხელისუფლებიანობა დამყარდა. ყოფილი პრეზიდენტის მხარდამჭერი მიტინგები პერმანენტულად იმართებოდა სოხუმშიც. 7 იანვარს ასეთი მიტინგი გაიმართა სოხუმის კონსტიტუციის მოედანზე. იმავე დღეს გამსახურდიას მომხრეებმა დაარბიეს ოპოზიციურ პარტიათა და მოძრაობათა შტაბ-ბინა.

პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი თენგიზ სიგუა აღიარებდა, რომ ქვეყანაში უმძიმესი ეკონომიკური სიტუაცია იყო შექმნილი. 200 ათასი ტონის ნაცვლად მაზუთის მარაგი მხოლოდ 17 ათას ტონას შეადგენდა. ბუნებრივი აირის მოწოდების დღიური ნორმა 22-23 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენდა, ქვე-

ყანაში კი მხოლოდ 12-12,5 ათასი კუბური მეტრი ბენებრივი აირი შემოდიოდა. თითქმის მთლიანად იყო ამოწურული შაქრის და კარაქის მარაგი. შედარებით უკეთ იყო საქმე ხორბლის მარაგის მხრივ, რაც იმის გარანტიას იძლეოდა, რომ უახლოეს დღეებში ქვეყანაში შიმშილი არ დაიწყებოდა. სიგუა ვარაუდობდა, რომ ფასების მრდის ორი ან სამი ეტაპიც კი იყო მოსალოდნელი.[146]

საქართველოდან გაძევებული ექსპრეზიდენტი სომხეთში ჩაეიდა. სომხეთის ხელისუფლებამ მას დროებითი თავშესაფარი პატარა ქალაქ იჯევანში მისცა. საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ გამსახურდიასთან შესახვედრად და მოსალაპარაკებლად რესპუბლიკის პროკურორის პირველი მოადგილის რევაზ ყიფიანის ხელმძღვანელობით და სანდრო კაესაძის, ელდარ შენგელაიას და გივი კვანტალიანის შემადგენლობით დელეგაცია გააგზავნა. იჯევანის მისადგომებთან ქართულ დელეგაციას სომხეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე და სხვა ოფიციალური პირები დახვდნენ. სომხური მხარის განცხადებით იჯევანში გამსახურდიას 120 კაცამდე თაეისი მომხრე ახლდა. ყიფიანმა ექსპრეზიდენტთან შეხვედრა მოითხოეა. სომხებმა ქართული დელეგაციის სურეილი გამსახურდიას წარმომადგენლებს გააცნეს, ამ უკანასკნელებმა კი მათ გამსახურდიას დანაბარები გადასცეს: მე კანონიერი პრეზიდენტი ვარ და „ხუნტის“ წარმომადგენლებს არ შევხვდებიო. ქართულმა დელეგაციამ სომეხ მასპინძლებს ექსპრეზიდენთთან მყოფი პირების სიის დაზუსტება, აგრეთვე, მათი განიარაღება სთხოეა და თბილისში გამოემგზავრა. მეორე დღეს, სომხეთის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში გამსახურდიამ თავის შეცდომად ოპოზიციის მიმართ „ზედმეტი გულჩვილობა და დათმობები“ მიიჩნია და განაცხადა, რომ „საქართველოში ანარქია გაგრძელდებოდა.“

სომხეთის ხელისუფლებამ მართლაც ჩამოართვა გამსახურდიას მომხრეებს იარაღი. ექსპრეზიდენტს დაუტოვეს 15 კაციანი პირადი დაცვა, რომელსაც სომხური მხარის მხრივაც დაემატა რამდენიმე კაცი. სომხეთის პრეზიდენტმა ლევონ ტერ-პეტროსიანმა გაზეთ „იზვესტიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ გამსახურდიას მიმართ მისი ერთ-ერთი მოთხოვნა ისაა,

[146] გაზ. „დრონი“, 11 იანვარი, 1992 წ.

რომ მან არ აწარმოოს პოლიტიკური საქმიანობა სომხეთის ტერიტორიაზე. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მვიაღ გამსახურდიას ყოფნამ სომხეთში გავლენა არ იქონიოს სიტუაციაზე საქართველოში, არ ავნოს სომეხ-ქართველთა ურთიერთობებს, - განაცხადა სომხეთის პრეზიდენტმა.[147]

8 იანვარს გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა საქართველოს მოსახლეობისადმი სამხედრო საბჭოს მიმართვა, რომელიც იუწყებოდა: „საქართველოში ძალაუფლებას ხელში იღებს საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭო. სამხედრო საბჭომ საქართველოს ტერიტორიაზე დროებით შეაჩერა კონსტიტუციის მოქმედება და დაითხოვა პარლამენტი.

საქართველოს სახელმწიფო მართვის ყველა სტრუქტურა ემორჩილება საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს.

პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი გადაყენებულია თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის დროებით შესრულება დაევალა ბატონ თ. სიგუას.

პოლიტიკურ პარტიებს მიეცათ წინადადება შექმნან საკონსულტაციო დარბაზი, რომელიც მოამზადებს ახალ საპარლამენტო არჩევნებს და შეიმუშავებს საქართველოს პოლიტიკური განვითარების პროგრამას. ...“[148]

გაზეთის იმავე ნომერში გამოქვეყნებული სამხედრო საბჭოს განკარგულებით თბილისში ცხადდებოდა საგანგებო მდგომარეობა. კატეგორიულად იკრძალებოდა მიტინგები და დემონსტრაციები, წესდებოდა კომენდანტის საათი. სამხედრო საბჭო ქალაქის კომენდანტად ნიშნავდა გიორგი ყარყარაშვილს.

სამხედრო საბჭოს სპეციალური ბრძანებულებით 1992 წლის იანვრიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გაუქმებულ იქნა პრეფექტურები. მთელი ძალაუფლება აღგილებზე სამხედრო საბჭოს მიერ დანიშნულ საგანგებო რწმუნებულების ხელში გადავიდა.

საქართველოს რესპუბლიკის დროებითმა მთავრობამ მიმართვა გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და მსოფლიო სახელმწიფოთა მთავრობებს. „ დღეს საქართველოს

---

[147] .გაზ. „ახალგაზრდა იეერიელი“, 16 იანვარი, 1992 წ.

[148] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 8 იანვარი, 1992 წ.

რესპუბლიკის დროებითი მთავრობა უფლებამოსილია განაცხადოს: 1991 წლის დეკემბერსა და 1992 წლის იანვარში საქართველოში მოხდა საერთო-სახალხო დემოკრატიული აჯანყება იმ დანაშაულებრივი რეჟიმის წინააღმდეგ, რომელმაც დაამტკიცა, რომ კომუნისტური ტოტალიტარული მმართველობა შეიძლება შეიცვალოს ეროვნულ ლომუნგებს ამოფარებული ავტორიტარული ხელისუფლებით. ...

ქართველმა ხალხმა მძიმე მსხვერპლის ფასად დაამხო დიქტატორული რეჟიმი. ...

-- ჩვენ გვსურს ვამცნოთ საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ ქართველი ხალხი არ დაიშურებს ძალისხმევას, რათა თავისი ღირსეული ადგილი დაიკავოს მსოფლიო ცივილიზებულ ხალხთა ოჯახში"[149] ახალმა ხელისუფლებამ თავისი პირველივე დადგენილებებით აღადგინა ექსპრეზიდენტის მიერ შეზღუდული თუ საერთოდ გაუქმებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ფუნქციონირება. სამხედრო საბჭოს 8 იანვრის განკარგულებით გაუქმდა საქართველოს ყოფილი უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 4 სექტემბრის დადგენილება გაზეთების - „რესპუბლიკისა" და „ახალგაზრდა ივერიელის" გაუქმების, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" მინისტრთა კაბინეტის გაზეთად გადაკეთების შესახებ. ორივე გაზეთის ჟურნალისტთა კოლექტივებს ნება დაერთოთ განეგრძოთ გაზეთების გამოცემა თავისუფალი პრესის პრინციპით. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა 1992 წლის 14 იანვრის დადგენილებით სახელმწიფოს მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონოპოლიზაციის აღკვეთისა და პრესის თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების კუთვნილი პრესის საშუალებები გამოაცხადა დამოუკიდებელ ორგანოებად.[150]

ახალი ხელისუფლების წინაშე მწვავედ იდგა ლეგიტიმაციის პრობლემა. საქართველოს დროებითი მთავრობა ქვეყნის პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ერთად ეძებდა გამოსავალს შექ-

---

[149] . საქართველო XX საუკუნის 90-იანი წლები. ქრონიკები, წიგნი II (1992), თბ. 2010, გვ. 14-15.

[150] . საქართველო XX საუკუნის 90-იანიწლები. ქრონიკები, წიგნი II (1992), თბ. 2010, გვ. 21.

მნილი მძიმე პოლიტიკური ვითარებიდან. ამ მიზნით ის სისტემატურ შეხვედრებს მართავდა ყოფილი უზენაესი საბჭოს დეპუტატებთან. პოლიტიკოსთა ნაწილი მხარს უჭერდა ეროვნული კრების მოწვევას, ნაწილის აზრით კი უნდა გამართულიყო უზენაესი საბჭოს ერთადერთი სხდომა, რომელზეც ის თვითდაშლილად გამოაცხადებდა თავს. 15 იანვარს დეპუტატებმა მიიღეს განცხადება საქართველოს მოსახლეობისადმი, რომელშიც ნათქვამი იყო: მოწვეულ იქნას საქართველოს სახალხო კრება, სადაც წარმოდგენილი იქნება სრულიად საქართველოს საზოგადოებრიობა, ავტონომიური რესპუბლიკები, ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები, სტუდენტობა, რელიგიური ორგანიზაციები, საზოგადოების სხვადასხვა ფენები.[151]

19 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება დროებითი პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს შექმნის შესახებ. ამიერიდან დროებითი მთავრობა ვალდებული იყო მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე თავისი გადაწყვეტილებები საკონსულტაციო საბჭოსთან ერთად განეხილა. საბჭოში სამუშაოდ მიწვეული იყვნენ ვაჟა ადამია, ლევან ალექსიძე, აკაკი ასათიანი, ირაკლი ბათიაშვილი, აკაკი ბაქრაძე, დავით ბერძენიშვილი, თამაზ გამყრელიძე, კოტე გაბაშვილი, გურამ გეგეშიძე, არჩილ გოგელია, რომან გოცირიძე, გურამ თევზაძე, ალექსანდრე კავსაძე, თამაზ კვაჭანტირაძე, თენგიზ კიტოვანი, ჯაბა იოსელიანი, დავით კუპრეიშვილი, ნოდარ ლომოური, გიორგი მაისურაძე, ნოდარ ნათაძე, მისეილ ნანეიშვილი, თედო ნინიძე, თედო პაატაშვილი, ზურაბ ქვანია, თეიმურაზ ქორქოლიანი, თეიმურაზ ფიფია, რევაზ შავიშვილი, გიორგი შენგელაია, ელდერ შენგელაია, ირაკლი შენგელაია, თამარ ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი, გიორგი ჭანტურია, გიორგი ხაინდრავა, იელიანე ხაინდრაეა, თამაზ ჯანელიძე.[152]

ეროვნული თანხმობის მიღწევის თავისებური გეგმა წამოაყენა სახალხო ფრონტმაც. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 14 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ ამ პოლიტიკური ორგანიზაციის განცხადებაში ნათქვამი იყო: „... მავანის მოქმედე-

---

[151] საქართველო XX საუკუნის 90-იანიწლები. ქრონიკები, წივნი II (1992), თბ. 2010, გვ. 26.

[152] .გაზ. „ახალგაზრდა იევრიელი“, 16 იანვარი, 1992 წ.

ბით თუ მავანის უმოქმედობით, მოგის სიტყვით და მოგის ღუმილით, ჩვენთან შემშადდა ის ფაქტობრივი რეალობა და ფსიქოლოგიური განწყობა, რომელმაც შესაძლებელი გახადა ძმათამკვლელი ომი." სახალხო ფრონტს საჭიროდ მიაჩნდა: „1. დროებითი მთავრობის დადგენილებით მივცეთ სელშეუხებლობის გარანტიები იმ პირებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ბრძოლაში მთავრობის სახლთან, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც უშუალოდ მიუძღვით ბრალი სისხლის სამართლის კონკრეტულ დანაშაულში; 2. შესაბამისი დადგენილებით იმ პირებს, რომლებიც ნებაყოფლობით ჩააბარებენ იარაღს, აუნაზღაურდეთ იარაღის საბაზრო ღირებულება; 3. ყოფილი ხელისუფლების მომხრეებს მოეუწოდებთ ისარგებლონ დროებითი მთავრობის გარანტიებით, გაითვალისწინონ ამჟამად მოქმედი საგანგებო წესები და ურთიერთდაპირისპირება ქუჩიდან გადაიტანონ პრესის ფურცლებზე და ტელევიზიაში. აუცილებელია გაიმართოს ღია ტელეკამათი დროებითი მთავრობის წარმომადგენლებსა და იმ დეპუტატებსა და ყოფილ პრეფექტებს შორის რომლებიც წარმოადგენენ რაიონებს, სადაც დაძაბულია სიტუაცია და არსებობს შეიარაღებული დაპირისპირების რეალური საფრთხე; 5. დაუყოვნებლივ გამოცხადდეს საპარლამენტო არჩევნების თარიღი და მისი ჩატრების წესი ..."[153]

დროებითი მთავრობის მიერ განხორციელებული ქმედითი ღონისძიებების მიუხედავად ქვეყანაში პოლიტიკური კონფრონტაციის დონე არ კლებულობდა. განსაკუთრებით დაძაბული ვითარება იყო შექმნილი დასავლეთ საქართველოში, სადაც ექსპრეზიდენტის მომხრენი არ წყვეტდნენ შეიარაღებულ გამოსვლებს. სამეგრელოში საპროტესტო აქციებს ხელმძღვანელობდა დაუმორჩილებლობის კომიტეტი ვალტერ შურღაიას ხელმძღვანელობით.

16 იანვარს გამსახურდიამ მოულოდნელად დატოვა სომხეთი და გროზნოში ჩაფრინდა. კვალის არეების მიზნით სომხეთიდან ერთი თვითმფრინავი გამსახურდიას ორეულით სოხუმში გაფრინდა. ერცელდებოდა ხმები, რომ გამსახურდია სოხუმშია. ექსპრეზიდენტი აცხადებდა, რომ საქართველოში სამოქალაქო ომი მიმდინარეობს და რომ ხალხმა იარაღით ხელში უნდა დაამ-

---

153 .გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 21 იანვარი, 1992 წ.

ხოს ხუნტა. ზუგდიდში, ფოთში, სენაკში, სამტრედიაში ოჩამჩირეში პრაქტიკულად აღდგა პრეფექტების ხელისუფლება. სამტრედიაში ზეიადისტებმა უბრძოლველად დაიკავეს სარკინიგზო კვანძი და გადაკეტეს რკინიგზა. ნავსადგურის მუშაობა ჩაშლილი იყო ფოთშიც. ექსპრეზიდენტის შეიარაღებული მომხრეები საშუალებას არ აძლევდნენ მუშებს გადმოეტვირთათ მარცელეულით დატვირთული გემები. გამსახურდიას მომხრენი აკონტროლებდნენ სოხუმის აეროპორტსაც.

გახშირდა ცისეებიდან, წინასწარი დაკავების იზოლატორებიდან პატიმართა გაქცევის ფაქტები. 19 იანვარს გეგუთის ციხედან 40-დე პატიმარი გაიქცა.

ასეთ სიტუაციაში დროებითმა მთავრობამ ვითარების რადიკალური გაუმჯობესების საგანგებო გეგმა შეიმუშავა. დასავლეთ საქართველოში გაიგზავნა გვარდიისა და „მხედრიონის“ ნაწილები. 23 იანვარს სამხედრო საბჭოს საჯარისო ფორმირებათა შტაბი სენაკში განლაგდა. აქ პირადად ჩავიდა ჯაბა იოსელიანი. უპირველესი ამოცანა, რა თქმა უნდა, ფოთში არსებული დაძაბული ვითარების განმუხტვა იყო. გამსახურდიას მომხრეებმა უკან უბრძოლველად დაიხიეს და ხელისუფლებამ კონტროლი აღადგინა სამეგრელოს მთელ ტერიტორიაზე ზუგდიდისა და ფოთის გარდა. ექსპრეზიდენტის მომხრეთა ხელში რჩებოდა სოხუმის აეროპორტიც. ზუგდიდში თავმოყრილი იყო გამსახურდიას რვაასამდე შეიარაღებული მომხრე, რომლებსაც შეიარაღებაში ორი ტანკი და ერთი ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანა გააჩნდათ. თუმცა, ძალთა თანაფარდობა ამკარად სამთავრობო ჯარების მხარეს იყო, რამაც ყოფილი პრეზიდენტის მომხრეები მოლაპარაკების მაგიდასთან დასასხდომად განაწყო. 25 იანვარს მიღწეულ იქნა შეთანხმება ფოთიდან შეიარაღებულ ფორმირებათა გამოყვანის შესახებ. რამდენიმე დღეში გამსახურდიას შეიარაღებულმა მომხრეებმა დატოვეს ფოთი. 4 თებერვალს ქალაქში განახლდა სწავლა. მუშაობა დაიწყო წისქვილკომბინატმა და ნავსადგურმაც.

ეროვნული გვარდიისა და „მხედრიონის“ ნაწილების მიერ სამეგრელოს რაიონებში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას თან ახლდა აღგილობრივ მოსახლეობაზე უხეში ძალადობის, მათი ძარცვის, შეურაცხყოფის, მკვლელობების ფაქტები. საძმოების საფუძველზე ჩამოყალიბებულ ეროვნულ გვარდიაში და „მხედრიონში“ თითქმის არ არსებობდა სამხედრო დისციპლინა, ამ

სამხედრო ფორმირებებში უამრავი კრიმინალი იყო შეუარებული, რომლებსაც მოქმედების მეთოდებიც შესაბამისი ჰქონდათ. ცხადია, ძალადობით აღშფოთებული ადგილობრივი მოსახლეობა შურისძიების გრძნობით იესებოდა და კიდევ უფრო გააფთრებით განაგრძობდა წინააღმდეგობას.

4 თებერვალს ქართული ჯარის ქვედანაყოფი გალში შევიდა. შეტაკებებს და სროლას ადგილი არ ჰქონია. არძინბამ დეპუტატებს აცნობა, რომ 3 თებერვალს, საღამოს, საუბარი ჰქონდა თენგიზ სიგუასთან. აფხაზეთის უშენაესი საბჭოს თავმჯდომარის თქმით, სიგუას მოსაზრებები გაუფიცების შეწყვეტასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ემთხვეოდა მის პირად მოსაზრებებს. ერთ-ერთი დეპუტატის შეკითხვაზე - გალის რაიონში სამხედრო საბჭოს ქვედანაყოფის შემოსელა ხომ არ გამოიწვევს სიტუაციის კიდევ უფრო მეტად დესტაბილიზაციას აფხაზეთშიო, არძინბამ უპასუხა, რომ შესაძლოა მოხდეს პირიქით, სამხედრო ნაწილების შემოსელამ უფრო დააწყნაროს ვითარება რეგიონშიო.[154] 6 თებერვალს ეროვნული გვარდიის ქვედანაყოფები სოხუმში შევიდნენ. ქალაქის მოსახლეობა მშვიდად შესვლა ქართულ ჯარს. ეს ფაქტი მხოლოდ ექსპრემიდენტის მომხრეებმა გააპროტესტეს.

მუშაობა განაახლა სოხუმის აეროპორტმა. მთლიანად მოეხსნა ბლოკადა სოხუმის რკინიგზის კვანძს, დაიწყო მატარებლების შეუფერხებელი მიმოსელა.

10 თებერვალს საქართველოს ეროვნული გვარდიის შენაერთი გია ყარყარაშვილის მეთაურობით გაგრის მონის სოფელ ლესელიძეში შევიდა და მდინარე ფსოუზე გამავალ რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ქართული დროშა აღმართა.

ვითარების სტაბილიზაციის ზოგიერთი ნიშნის მიუხედავად მდგომარეობა ქვეყანაში კვლავ მძიმე რჩებოდა. ექსპრემიდენტის მომხრეები არად დაგიდევდნენ დედაქალაქში საგანგებო წესებისა და კომენდანტის საათის მოქმედებას და განაგრძობდნენ საპროტესტო მიტინგებს. 2 თებერვალს გმირთა მოედნის მახლობლად მოხდა ექსპრემიდენტის მომხრეთა და სამხედრო კომენდატურის ძალების შეტაკება. ორმხრივ სროლას მოჰყვა მსხვერპლი. სამხედრო კომენდანტის ცნობით მოკლული იყო

[154] .გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 5 თებერვალი, 1992 წ.

ორი და დაჭრილი 30 კაცი.[155] 3 თებერვალს შეიარაღებულმა უცნობმა პირებმა გაიტაცეს რესპუბლიკის პროფცენტრის საბჭოს თავმჯდომარე იოსებ კაციტაძე. დედაქალაქში მკვეთრად იყო გაუარესებული კრიმინოგენული სიტუაცია. 19 იანვრიდან 26 იანვრის ჩათვლით თბილისში სისხლის სამართლის სამძებრო ხაზით რეგისტრირებული იყო 48 დანაშაული, მათ შორის ერთი მკვლელობა, 5 სხეულის დაზიანება 2 სახელმწიფო და 6 პირადი ქონების ქურდობა, 9 ძარცვა-ყაჩაღობა, 20 ავტომანქანის გატაცება და სხვ.[156]

2 თებერვალს უნივერსიტეტში გამოცდის მისაღებად მიმავალ პროფესორ მარიკა ლორთქიფანიძეს ექსპრეზიდენტის მომხრეებმა ალყა შემოარტყეს და ლანძღვა დაუწყეს („გათახსირებულო", „ერის მოღალატე" და ა. შ.). მათ მეცნიერისგან უნივერსიტეტიდან სხვა პროფესორ-მასწავლებლების გამოყვანა და ყოფილი პრეზიდენტის მხარდამჭერ მიტინგში მონაწილეობა მოითხოვეს. ქალბატონმა მარიკამ ამაზე უპასუხა: თუ გათახსირებული და მოღალატე ვარ, ასეთი ადამიანის გვერდში დგომა რაში გჭირდებათო. პროფესორის პასუხმა მომიტინგენი უფრო გაანარისხა. ძნელი სათქმელია, რა შედეგით დამთავრდებოდა ეს ამბავი, რომ არა რამდენიმე ახალგაზრდის ეაქკაცობა. ისინი გარს შემოერტყნენ მხცოვან მეცნიერს და შეძლეს მისი გამოყვანა მომიტინგეთა ალყიდან.

ყოფილი პრეზიდენტის მომხრე ძალები უარს ამბობდნენ ყოველგვარ დიალოგზე და მასობრივი ფსიქოზის შექმნისა და დესტაბილიზაციის კურსს განაგრძობდნენ. ისინი ანგარიშს არ უწევდნენ რეალობას, უკანონოდ მიიჩნევდნენ არსებულ ხელისუფლებას და დაჟინებით მოითხოვდნენ უმენაესი საბჭოს რეანიმაციას. თავის მხრივ, ხელისუფლება თვლიდა, რომ ტირანიის დამხობა შეიარაღებული აჯანყების გზით მსოფლიოში აპრობირებული ფორმაა და აჯანყების გამარჯვების შემდეგ შექმნილი მთავრობის უკანონობის მტკიცება სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკური დემაგოგია.

თითქოს, თავისი წილი სიმართლე ორივე მხარეს გააჩნდა. შექმნილი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი ურთიერ-

---

[155] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 4 თებერვალი, 1992 წ.

[156] გაზ. „ახალგაზრდა იერიელი", 1 თებერვალი, 1992 წ.

თკომპრომისი იყო. მით უმეტეს, რომ ამას მოითხოვდა ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობის შენარჩუნების ინტერესებიც. ხელისუფლება მზად იყო გაეველო კომპრომისისკენ მიმავალი თავისი წილი გზა ... ექსპრეზიდენტის მომხრენი კი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ჯიუტად იდგნენ ხისტ პოზიციაზე. ისინი ხელისუფლების უპირობო გადადგომას, გამსახურდიას დაბრუნებას და უზენაესი საბჭოს ფუნქციონირების აღდგენას მოითხოვდნენ, რაც არარეალური იყო. ხელისუფლება ამაზე არ და ვერ წავიდოდა. ქართველი ხალხისადმი მიმართვაში გამსახურდია აცხადებდა, რომ ის შეიარაღებული ბრძოლისკენ არ მოუწოდებდა თავის მომხრეებს. თუმცა, იქვე აღნიშნავდა, რომ კარგად ესმის მოსახლეობის იმ ნაწილის, „რომელმაც ვეღარ გაუძლო თავს დამტყდარ უბედურებას, სახლ-კარის აოხრებას, ახლობელთა სიკვდილს და მხოლოდ თავდაცვის მიზნით ხელი მოჰკიდა იარაღს ... ხალხს აქვს უფლება შექმნას ამგვარი მოძრაობის ერთიანი ფრონტი.

გუარავდეთ ღმერთი სამართლიან, თავდადებულ ბრძოლებში!"[157]

ცხადია, ეს შეიარაღებული ბრძოლისკენ აშკარა მოწოდება იყო.

25 თებერვალს გამოქვეყნდა საქართველოს სამხედრო საბჭოს დეკლარაცია, რომელშიც საქართველოს დროებითი ხელისუფლება აღიარებდა კანონიერი, კონსტიტუციური ხელისუფლების აღდგენის აუცილებლობას, რისთვისაც საჭიროდ მიაჩნდა: „1. საქართველოს დღეს არსებული საზღვრებისა და ეროვნულსახელმწიფოებრივი მოწყობის (აფხაზეთის და აჭარის დღევანდელი სტატუსის) შეუცვლელად აღიარებს საერთაშორისო სამართლებრივი აქტების და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის უზენაესობას და მის მოქმედებას დღევანდელი რეალობების გათვალისწინებით. 2. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნები გაიმართება არა უგვიანეს 1992 წლის შემოდგომისა საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით დადგენილი პრინციპების შესაბამისად. 3. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭო, დროებით მთავრობასთან ერთად, თავის უფლე-

---

[157]. „ზვიად გამსახურდიადან ზვიად გამსახურდიამდე, 1991-1995 წწ. რედ. მიხეილ სალუამეილი, თბ. 1995, გვ. 48;

ბამოსილებას მოიხსნის საქართველოს ახლადარჩეული პარლამენტის წინაშე მის პირეელიევე სხდომაზე."[158]

§ 4.2 ედუარდ შევარდნაძის მოწვევა. სახელმწიფო საბჭოს შექმნა.

ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება, საერთაშორისო იზოლაციიდან რაც შეიძლება სწრაფად თავის დაღწევის აუცილებლობა, ექსპრეზიდენტის მომხრეთა განუწყვეტელი შეიარაღებული წინააღმდეგობა, სამხედრო საბჭოს წევრებს აიძულებდა ეფიქრათ შექმნილი მდგომარეობიდან არაორდინალური გამოსავლის პოვნაზე. რესპუბლიკაში ამ დროისთვის სულ უფრო მეტი პოლიტიკოსი თუ სამოგადოებრიობის წარმომადგენელი მიაპყრობდა მზერას ედუარდ შევარდნაძისკენ, როგორც დიდი საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე ქართველი პოლიტიკოსისკენ. სწორედ მის მოწვევაში ხედავდნენ ისინი შუაზე გახლეჩილი ქართული საზოგადოების გაერთიანების, უმძიმესი პოლიტიკური კრიზისიდან თავის დაღწევის ერთადერთ იმედს. „ვინ არის ედუარდ შევარდნაძე? ნუთუ ის მართლა ერთადერთი ადამიანია, ვისაც დღეს საქართველოს სსნა შეუძლია? ნუ დავიმორცხვებთ, ვაღიაროთ პატიოსნად: დიახ, ერთადერთია!"[159] - წერდა იმ დღეებში მწერალი რევაზ ჯაფარიძე.

სამხედრო საბჭოში ეს იდეა პირველად თბილისის ახლად დანიშნულმა მერმა ოთარ ლითანიშვილმა გააჟღერა. მცირე ყოყმანის შემდეგ მას პირველმა მხარი ჯაბა იოსელიანმა დაუჭირა. ამ სხდომის უშუალო მონაწილის, ნოდარ ლომოურის სიტყვებით, იოსელიანმა მაშინ თენგიზ სიგუას მიმართა: „თენგიზ, შენ მეცნიერი ბრძანდები, მაგრამ ამ ქვეყნის მართვის გამოცდილება არ გაქვს. მე ვინ ვარ – ქურდი და ხელოვნებათმცოდნე. ქვეყნის მართვა არც მე გამეგება. ჩამოვიდეს შევარდნაძე, კაცი გამოცდილიცაა და ავტორიტეტიც აქვს მსოფლიოში.... გამოიყე-

[158] .გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 25 თებერვალი, 1992 წ.
[159] .გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა" 12 მარტი, 1992 წ.

ნოს თავისი გამოცდილება, ცოტა მოაწესრიგოს აქაურობა და მერე მოვიშოროთ!"[160] იოსელიანს კატეგორიულად არ დაეთანხმენ თენგიზ სიგუა და თენგიზ კიტოვანი. სიგუამ გარკვეული ხნით, შევარდნაძის სატელევიზიო ინტერვიუს ეთერში გაშვებაც კი დაბლოკა, კიტოვანმა ჯაბა იოსელიანს განუცხადა, რომ შევარდნაძე ორივე მათგანს დაიჭერდა. თუმცა, მოვლენების ტრაგიკულმა განვითარებამ ისინიც აიძულა გადაეხედათ თავიანთი დამოკიდებულებისთვის. გაბეთ „იბერია-სპექტრისადმი" თებერვლის ბოლოს მიცემულ ინტერვიუში თენგიზ სიგუა აღნიშნავდა: „ედუარდ შევარდნაძისადმი სრულიად არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მაქვს. ერთი მხრივ, იგი განზე ვერ გაუდგება იმ უკანონობებს, რომელიც რესპუბლიკის პირველ პირად მისი ყოფნის ჟამს ხდებოდა. მეორე მხრივ, მე რეალისტი ვარ და მესმის, რომ მთავარია საერთაშორისო გაერთიანებაში მისმა რეპუტაციამ შეიძლება ჩემი ქვეყანა ეკონომიკური უბედურებისგან გამოიყვანოს. მასთან ინტერვიუს შეყოვნება კი მხოლოდ ერთი მიზნით ვურჩიე ტელევიზიას. საზოგადოებრივი აზრი უნდა მოემზადებინა შევარდნაძის ამ სატელევიზიო დაბრუნებისთვის. იგი ხომ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში „კრემლის აგენტი" და „ერის მოღალატე" იყო."[161]

1992 წლის 7 მარტს ედუარდ შევარდნაძე მოსკოვიდან თბილისში ჩამოფრინდა. „...მე ჩამოველი, როგორც პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ჩამოველი იმისთვის, რომ მკლავები დავიკაპიწო და ჩემს ხალხთან ერთად ვიშრომო ჩვენი სამშობლოს გადასარჩენად ..."[162] – აეროპორტშივე განაცხადა მან.

უკვე 10 მარტს საქართველოს სამხედრო საბჭომ მიიღო დადგენილება სახელმწიფო საბჭოს შექმნისა და სამხედრო საბჭოს უფლებამოსილებათა შეწყვეტის შესახებ. დადგენილება განსაზღვრავდა სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობასაც. მასში შევიდნენ რესპუბლიკის დროებით მთავრობასთან არსებული პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს წევრები, საზოგადოებრიობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომი-

---

[160]. ნოდარ ლომოური, „საქართველო წარსული საუკუნის ბოლოს და ედუარდ შევარდნაძე," თბ. 2011, გვ. 55

[161] გაბ. „იბერია-სპექტრი", 26 თებერვალი-4 მარტი, 1992 წ.

[162] გაბ. „საქართველოს რესპუბლიკა", 10 მარტი, 1992 წ.

ური რესპუბლიკის, და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები.

ამაზე დადგენილებით სამხედრო საბჭო იხსნიდა თავის უფლებამოსილებას.[163]

12 მარტს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიმართვა ქართველი ერისადმი, რომელშიც ნათქვამი იყო: „აუცილებლად მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო საბჭოს სათავეში ჩაუდგეს ბატონი ედუარდ შევარდნაძე, ვინაიდან მისი საერთაშორისო ავტორიტეტი, უნიკალური კავშირები, პოლიტიკური გამოცდილება არის იმის გარანტი, რომ საქართველო მალე დააღწევს თავს კრიზისს, განამტკიცებს დამოუკიდებლობას და ჩადგება მსოფლიოს განვითარებულ დემოკრატიულ და ღირსეულ ქვეყანათა რიგებში...“ ეროვნული დემოკრატები იქვე იძლეოდნენ გაფრთხილებას: „არ უნდა მოხდეს ბატონ შევარდნაძის ახალ „მესიად“ დასახვა და მისი გაფეტიშება, ისევე, როგორც ადრე სტალინისა და გამსახურდიასი...“[164]

სახელმწიფო საბჭოს პირველივე სხდომაზე მის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ედუარდ შევარდნაძე. მოადგილედ – ჯაბა იოსელიანი.

როგორი იყო საქართველოში შევარდნაძის ჩამოსვლისადმი ექსპრეზიდენტისა და მისი მომხრეების დამოკიდებულება?

გამსახურდია აცხადებდა, რომ საქართველოში მომხდარი „პუტჩის“ მთავარი „ორგანიზატორი, ინსპირატორი და წარმმართველი“ სწორედ შევარდნაძე იყო. გაზეთ „იბერია-სპექტრის“ ჟურნალისტის კითხვაზე – ჰქონდა თუ არა მას ამ ბრალდების დამადასტურებელი ფაქტები, გამსახურდია პასუხობდა: „...ის (შევარდნაძე) მიესალმება (გადატრიალებას), მას უხარია, ის ამბობს, რომ ხელისუფლებაში დემოკრატიული ძალები მოვიდნენ. საერთოდ, რა არის ეს „ინტელიგენცია“. რომელი ინტელიგენცია? ეს ბანდაა, დამნაშავეთა სისხლიანი ბანდა.“[165]

მაგრამ, თუ შევარდნაძე აჯანყების ორგანიზატორი იყო, მაშინ რატომ იყვნენ აჯანყების მოთავენი – სიგუა და კიტოვანი

---

[163] .გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 11 მარტი, 1992 წ.
[164] .გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 13 მარტი, 1992 წ.
[165] .გაზ. „იბერია-სპექტრი“, 12-18 მარტი, 1992 წ.

ამ აჯანყების „ორგანიზატორის და ინსპირატორის“ საქართველოში მოწვევის კატეგორიული წინააღმდეგნი და რატომ დათანხმდნენ მის ჩამოყვანას მხოლოდ ქართული სამოგადოებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების მხრივ ზეწოლის შედეგად? ექსპრეზიდენტს ამ სავსებით ლოგიკურ კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა. 1990 წელს ერთ-ერთმა ამერიკელმა თანამოსაუბრემ გამსახურდიას ჰკითხა, თუ რას ფიქრობდა ის შევარდნაძის შესახებ. „იგი გახლავთ ინტერნაციონალური ობობა, ვინც ამ „გლასტნოსტისა“ და „პერესტროიკის“ უკან დგას“, - იყო პასუხი. ამერიკელი თანამოსაუბრის დაკვირვებით „გამსახურდია ჰგავდა მახრჩობელა გველის გალიიდან გამოშვებულ თაგვს. შევარდნაძეზე საუბრისას მის ხმაში იგრძნობოდა შიშიც, სიძულვილიც და დატყვევების მოლოდინიც“.[166] გამსახურდია „დამნაშავეთა სისხლიან ბანდად“ მოიხსენიებდა ქართველ ინტელიგენციას, მაგრამ ვინ იყვნენ ეს ადამიანები კონკრეტულად? ჩამოვთვალოთ: ჭაბუა ამირეჯიბი, მანანა გივინეიშვილი, გურამ გეგეშიძე, თამაზ კვაჭანტირაძე, გურამ უანჯიკიძე, ნაირა გელაშვილი და სხვები, რომელთა ერთადერთი „დანაშაული“ ის იყო, რომ თავიანთი კალმით და სიტყვით ამხელდნენ პრეზიდენტის ავტორიტარულ მიდრეკილებებს, რითაც ცდილობდნენ მის დემოკრატიულ ორბიტაზე დაბრუნებას...

დავმირ ჯოჯუას აზრით, „შევარდნაძემ სპეციალურად შეუწყო ხელი პარამილიტარული კორპორაციული ქსელების (ათასნაირი სამხედრო დაჯგუფებები, გასამხედროებული კრიმინალური ჯგუფები, „საძმოები“ და ა. შ.) სახელმწიფო აპარატთან შერწყმას, რადგან რეგულარული არმიის არარსებობისა და მოსახლეობის უდიდეს ნაწილში მხარდაჭერის არქონის პირობებში სწორედ ისინი იყვნენ რეჟიმის ძალისმიერი დასაყრდენი.“[167] მეცნიერის ამ აზრს რეალური საფუძველი ექნებოდა, გასამხედროებული კრიმინალური დაჯგუფების, „მხედრიონის“ ლიდერი ჯაბა იოსელიანი და არანაკლები კრიმინალური სამხედრო დაჯგუფების - ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელი თენგიზ კიტოვანი ხელისუფლებაში შევარდნაძეს რომ მოეყვანა. საქმე ხომ სწორედ პირიქით იყო: იოსელიანმა და კიტოვანმა მოიწვიეს შე-

[166]. თომას გოლცი, „საქართველო ომისა და პოლიტიკური ქაოსის ქრონიკა პოსტსაბჭოთა კავკასიაში“, თბ. 2014, გვ. 64-65;

[167]. დავმირ ჯოჯუა, „სოხუმისდაცემა,“ თბ. 2014, გვ. 12;

ვარდნაძე ხელისუფლებაში, რადგან გადატრიალების შემდეგ ძალიან მალე დარწმუნდნენ, რომ სახელმწიფოს მართვისთვის საჭირო არც ინტელექტი, არც ცოდნა და არც გამოცდილება არ გააჩნდათ. საქართველოში ჩამოსულ შევარდნაძეს ხელისუფლება „პარამილიტარისტულ კორპორატიულ ქსელებთან“ მთლიანად შერწყმული დახვდა, ხელისუფლებიდან მათ ჩამოშორებას კი სამი წელი მოანდომა. (თვით შევარდნაძე ამ ბრძოლას კინაღამ შეეწირა კიდეც).

ექსპრემიდენტის მომხრე 400-500 კაციანი რაზმი კი კვლავ ცდილობდა სამეგრელოსა და აფხაზეთის რეგიონებში ვითარების დესტაბილიზაციას. 10-11 მარტს შუაღამით ისინი თავს დაესხნენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს, მოკლეს 6 პოლიციელი, გადაწვეს შენობები, ტყვედ ჩაიგდეს 18 გვარდიელი. ხელისუფლება იძულებული გახდა სამეგრელოში გვარდიის დამატებითი ქვედანაყოფები შეეყვანა. ვითარება კვლავ გამწვავდა შიდა ქართლშიც.

13 მარტს სახელმწიფო საბჭომ მიმართა საქრთველოს მოსახლეობას: „ახალმა ხელისუფლებამ შერიგებისა და თანამშრომლობისკენ მოუწოდა კონფლიქტის ყველა მონაწილეს. სამწუხაროდ, დამხობილი ხელისუფლების ბევრმა წარმომადგენელმა ასეთი შემწყნარებლური პოზიცია ახალი ხელისუფლების სისუსტედ აღიქვა მათ მიერ ორგანიზებული დივერსიებისა და საბოტაჟის ფაქტები მიზნად ისახავს საქართველო ეკონომიკურადაც და პოლიტიკურადაც გარეშე ძალაზე გახადოს დამოკიდებული... დესტაბილიზაციის სულისჩამდგმელებმა და ორგანიზატორებმა დროა შეიგნონ, რომ ხელისუფლება საქართველოში დღეს არ გადაუსვევს დემოკრატიის, საპარლამენტო არჩევნების, ძირეული ეკონომიკური რეფორმების ... კურსიდან.“[168]

დასავლეთ საქართველოში სარკინიგზო ომმა კი არნახული მასშტაბები მიიღო. გამსახურდიას მომხრენი აფეთქებდნენ ხიდებს, ხერგავდნენ გზატკეცილებს, აწყობდნენ შეიარაღებულ თავდასხმებს მატარებლების შემადგენლობებზე, იტაცებდნენ ყველაფერს, რისი დატაცებაც კი შეიძლებოდა. „რკინიგზის დამბლის გამო (რაც თითქმის სამი თვეა გრძელდება), საქართველოში ვერ შემოდის მილიარდობით მანეთის სასიცოცხლოდ აუცილებე-

[168] .გამ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 14 მარტი, 1992 წ.

ლი საქონელი 4 მარტის მონაცემებით, სამტრედია-განთიადის უბანზე შუალედ სადგურებში მდგომი სატვირთო მატარებლებიდან შეიარაღებულმა ბანდებმა დაიტაცეს ორ მილიარდ მანეთისაზე მეტი საქონელი. 360 მილიონი მანეთის საქონელი ადრესატამდე ვერ მივიდა, გაგრის რაიონში დაიტაცეს 50 მილიონი მანეთის საქონელი, სოხუმში – 150, გუდაუთაში - 50, გულრიფშში - 45, ოჩამჩირეში – 100, გალში - 150, ხობში - 250, სენაკში - 200, ზუგდიდში - 250, აბაშაში - 150, სამტრედიაში - 5 მილიონი მანეთის საქონელი,"- წერდა 2 აპრილის „საქართველოს რესპუბლიკა".

აპრილის დასაწყისში გამსახურდიას მხარდამჭერებმა ფოთში ხელთ იგდეს ორი კატარღა და თურქეთის მიმართულებით საბღვრის გადაკვეთის წარუმატებელი ცდის შემდეგ მიადგნენ ყულევს. 70-დე შეიარაღებულმა პირმა თავი ანაკლიის ტყეებს შეაფარა. სამთავრობო ძალებმა მათი ნაწილის დაპატიმრება მოახერხეს, ნაწილი კი აფხაზეთში გადავიდა. აფხაზეთის ხელისუფლება კვლავაც არ ასრულებდა თავის მიერ ნაკისრ ვალდებულებას აფხაზეთის ტერიტორიაზე შეიარაღებულ ფორმირებათა არდაშვების თაობაზე.

5 მაისს ექსპრეზიდენტის მომხრეებმა საინფორმაციო მიტინგი გამართეს ზუგდიდში და დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდეს მოსახლეობას. მეორე დღეს მათ გადაჭრეს ტროლეიბუსის მაღალი ძაბვის ხაზები და შეეცადნენ სკოლებში სასწავლო პროცესის ჩაშლას. ზუგდიდში ფაქტიურად, ჩამკვდარი იყო ცხოვრება. აქ გადამწვარი იყო სავაჭრო ცენტრი „თუთარჩელა", სასტუმროები: „ეგრისი" და „ოდიში", მილიციისა და სამხედრო კომისარიატის შენობები, ცენტრალური ბიბლიოთეკა, პრეფექტურა, მცირე საწარმოო ობიექტები, გაძარცული იყო სავაჭრო და საბკვების ობიექტები, ჟურნალ-გაზეთების ჯიხურები. ზუგდიდს დაკარგული ჰქონდა თავისი ტრადიციული სახე, ის ორ ნაწილად იყო გახლეჩილი და მიმდინარეობდა გაუთავებელი კამათი პოლიტიკაზე. სხვადასხვა საგაფიცვო კომიტეტები ითხოვდნენ ქალაქიდან შეიარაღებულ ფორმირებათა გაყვანას.

6 მაისს გამსახურდიას მხარდამჭერებმა ხარაგაულის რაიონის სადგურ ლაშესთან სარკინიგზო ხიდი ააფეთქეს.

დასავლეთ საქართველოში შექმნილი მძიმე მდგომარეობა სრულიად საქართველოს შეშფოთებას იწვევდა. „ცუდი ამბები მოდის დასავლეთ საქართველოდან ჰაერში დენთის სუნი ტრი-

ალებს ... არაეინ უწყის ამჯერად ვის მოხედება ძმისგან ნასროლი ტყვია შარშან გერმანელებმა რუსების აშენებული კედელი დაანგრიეს, გახლეჩილი გერმანია გაერთიანდა. ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე კი ცდილობს, იბრძვის ქართული „ბერლინის კედლის“ ასაშენებლად, ერის გასახლეჩად..... კახელი კაცი მთავრობაში არც ადრე ყოფილა, არც ახლაა, მაგრამ ამის გამო აურმაური არ აგვიტეხია. არც ავტეხთ. სირცხვილია ამ წვრილმანებზე ლაპარაკი.

დადგა დიდი ეროვნული შერიგების დრო...

ხალხო, ქართველებო, გონს მოეგეთო!“[169] - მიმართაედნენ სრულიად ქართველობას დინჯი კახელები.

პასუხად გამსახურდიას მომხრეებმა 13 ივნისს, თბილისში, განახორციელეს თავდასხმა ჯაბა იოსელიანზე. ჩიქოვანის ქუჩაზე უძლიერესმა აფეთქებამ 5 საცხოვრებელი სახლი მიწასთან გაასწორა. თვითონ ჯაბა იოსელიანი ტერორისტულ აქტს შემთხვევით გადაურჩა. დაიღუპა 5 ადამიანი. მათ შორის ერთი მცირეწლოვანი ბაეშვი. დაიჭრა 8 კაცი.

ჯერ კიდევ 1992 წლის იანვარში ზუგდიდში ჩამოყალიბდა „დაუმორჩილებლობის კომიტეტი“ ვალტერ შურღაიას ხელმძღვანელობით, რომლის მიზანი ქვეყანაში ქაოსისა და დესტაბილიზაციის შექმნა იყო. 24 ივნისს, სწორედ იმ დღეს, როდესაც ედუარდ შევარდნაძე დაგომისში რუსეთის პრეზიდენტს უნდა შეხვედროდა, როდესაც ორიოდ დღეში გაერთიანებული ერების ორგანიზაციას უნდა განეხილა თავის წევრად საქართველოს მიღების საკითხი, დილის 4 საათსა და 25 წუთზე თბილისში საქტელერადიო დეპარტამენტის შენობას მიადგა ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული ხალხით საესე სამი სამხედრო მანქანა. მოგვიანებით გმირთა მოედნის მხრიდან მათ ტანკიც შეუერთდა. გამსახურდიას მომხრეებს სწორედ ვალტერ შურღაია ხელმძღვანელობდა. შეიარაღებული პირები შენობაში შეიჭრნენ. შურღაიამ ტელევიზიით მიმართა მოსახლეობას: ტელევიზიის შენობა უსისხლოდ ავიღეთ, მოსახლეობის უსაფრთხოება გარანტირებულია, მობრძანდით ტელევიზიასთან და შემოგვიერთდითო.

---

[169] გაგ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2 აპრილი, 1992 წ.

პარალელურად, გამსახურდიას მომხრენი თავს დაესხნენ ფუნიკულიორზე მდებარე სატელევიზიო ანძასაც და ისიც ჩაიგდეს ხელში.

8 საათსა და 30 წუთზე საქართველოს მოსახლეობას რადიოთი მიმართა ედუარდ შევარდნაძემ.

სამთავრობო ძალებმა ტელევიზიის შენობას და ტელეანძას ალყა შემოარტყეს. 10 საათზე გამსახურდიას მომხრეებს წინადადება მიეცათ 12 საათამდე დაეყარათ იარაღი. მოსახლეობას რადიოთი მიმართეს რუსუდან ბერიძემ, ირინა სარიშვილმა, იმა ორჯონიკიძემ, ვალერიან ადვაძემ, ვალერი კვარაცხელიამ, ეხტანგ ძაბირაძემ, ალექსანდრე ჯავახიშვილმა, გურამ მუჩაიძემ და სხვებმა.

12 საათზე, ულტიმატუმის ვადის ამოწურვის შემდეგ, სამთავრობო ძალებმა იერიში მიიტანეს ტელევიზიის შენობასა და ტელეანძაზე. პირველი საათისთვის ყველაფერი დამთავრებული იყო. მოიერიშე ჯგუფმა შტურმით აიღო ტელევიზიის შენობა, რომელშიც დაახლოებით 80 მეიარაღებული ზვიადისტი იყო გამაგრებული. გაათავისუფლეს ტელეანძაც, თუმცა ამ ოპერაციებს უმსხვერპლოდ არ ჩაუვლია. ორივე მხრიდან იყვნენ მოკლულები და დაჭრილები. ხელყუმბარით ხელში დააპატიმრეს ამ ავანტიურის მოთავე ვალტერ შურღაიაც.

24 ივნისის მოვლენებს პოლიტიკური შეფასება მისცა საქართველოს სახელმწიფო საბჭომ: „24 ივნისს პრეზიდენტყოფილის მომხრეთა ავანტიურა მიზნად ისახავდა მასობრივი არეულობისა და სისხლისღვრის გზით სახელმწიფო გადატრიალებას და დამხობილი ავტორიტარული რეჟიმის რესტავრაციას.

მან გამოააშკარავა:

1. პრეზიდენტყოფილისა და მისი მომხრეების საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლის სრული უპერსპექტივობა;

2. ნაკლოვანებები ახალი ხელისუფლების საქმიანობაში;

3. პოლიტიკური ატმოსფეროს გაჯანსაღების ტენდენციები ჩვენს საზოგადოებაში;[170]

24 ივნისის მოვლენები შეაფასა გამსახურდიამაც. როგორც ყველგან და ყველაფერში, მან აქაც „შევარდნაძის ხრიკები" დაინახა: „1992 წლის 24 ივნისს თბილისში შევარდნაძის საიდუმლო

[170] .გამ. „საქართველოს რესპუბლიკა", 7 ივლისი, 1992 წ.

სამსახურმა გამოიყონა „სახელმწიფო გადატრიალების მცღელობა“. ამ დღეს პრეზიდენტის მხარდამჭერები შინაგანი ჯარის ოფიცრების მიერ შეტყუებულ იქნენ ტელეეიზიის შენობაში, სადაც მათ დაპირდნენ თავისუფალ რადიოხამსს, რათა მოწოდებით მიემართათ ქართველი ხალხისთვის, ხოლო შემდეგ დააპატიმრეს. შევარდნაძემ განაცხადა, რომ ეს იყო წარუმატებელი სახელმწიფო გადატრიალება“[171], – წერდა ის.

მოგვიანებით ვალტერ შურღაია ტელეეიზიით გაკეთებულ განცხადებაში აღნიშნავდა: „ახლა არ არის ხელისუფლებისთვის ბრძოლის დრო საქართველოს მთლიანობისთვის უნდა დავიოკოთ ჩვენი სიმპათიები და ანტიპათიები ღმერთმა იცის, მე არასოდეს მიღალატნია პრეზიდენტისთვის. ახლა ნათლად ვხედავ: ერთადერთი სწორი გზა მისი გადადგომაა.

ეს სამი წელი ვაცადოთ მათ, ვინც გაიმარჯვებს. სამართლიანი კრიტიკით დავეხმაროთ. მომდევნო არჩევნებში კი ყველას შანსი თანაბარი იქნება. გეეყოფა სისხლისღერა. ბოროტება შობს მხოლოდ ბოროტებას ...ვიღაცამ უნდა გადადგას პირველი ნაბიჯი, გამოიჩინოს კეთილი ნება.

დღევანდელმა ხელისუფლებამ უნდა გამოიყვანოს „მხედრიონის“ ნაწილები სამეგრელოს ტერიტორიიდან.“[172]

მოგვიანებით ციხეში მყოფი ვალტერ შურღაია, ხელისუფლებამ შეიწყალა. გამსახურდიამ ის მოღალატედ გამოაცხადა. შურღაია გადააყენეს „დაუმორჩილებლობის კომიტეტის“ თავმჯდომარის პოსტიდან, მის ადგილზე მაურ ქობალია აირჩიეს. სამეგრელოში კი ვითარება სულ უფრო უმართავი ხდებოდა. ივნისის ბოლოს ჩხოროწყუ და წალენჯიხა მთლიანად კრიმინალური ელემენტების ხელში აღმოჩნდა. შეიარაღებული ბანდები სისტემატურად ძარცვავდნენ მოსახლეობას, აწყობდნენ დიევრსიებს რკინიგზაზე, 7 ივლისს მათ ფოთის მახლობლად ააფეთქეს სარკინიგზო ხიდი, აყარეს ლიანდაგები და გადაეტეს მოძრაობა. უბედურება ის იყო, რომ მატარებლების ძარცვაში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილიც აღმოჩნდა ჩართული. მაგალითად, სომხეთის მატარებლის ძარცვაში 1500-ზე მეტი კაცი მონაწილეობდა.

---

[171]. „ჭვაღ გამსახურდიაღან შეიაღ გამსახურდიამდე, 1991-1995,“ რედ. მიხეილ სულუაშვილი, თბ. 1995, გვ. 106

[172] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 17 ივლისი, 1992 წ.

ასეთ ვითარებაში, 7 ივლისს, სახელმწიფო საბჭომ ჩხოროწყუსა და წალენჯიხაში ჯაბა იოსელიანის ხელმძღვანელობით დამატებითი ძალები მიაელინა. ჩხოროწყუში წესრიგის აღდგენის შემდეგ იოსელიანმა წალენჯიხაში გადაინაცვლა, სადაც ღამის განათებად თავისი რაზმით პროფტექსასწავლებლის შენობაში დაბანაკდა. 8 ივლისს, გამთენიისას, გამსახურდიას მომხრეებმა მწყობრიდან გამოიყვანეს კავშირგაბმულობის სისტემა და იერიში მიიტანეს იოსელიანის რაზმზე. მათ სურდათ ტყვედ აეყვანათ ჯაბა იოსელიანი, შემდეგ კი გადაეცვალათ იგი 24 ივნისის ავანტიურის დაპატიმრებულ ორგანიზატორებზე.

ალყამემორტყმულმა რაზმმა რაციით დახმარება ითხოვა. ხობიდან, ქუთაისიდან, ფოთიდან, სამგრედიიდან, თბილისიდან „მხედრიონელთა“ დასახმარებლად დაუყოვნებლივ გაემართნენ დამატებითი ძალები. 9 საათის განმავლობაში პროფტექსასწავლებლის შენობაში გამაგრებული 60 მხედრიონელი 170 თავდამსხმელის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლას ეწეოდა. მაშველი ძალა მხოლოდ ნაშუადღევს მოვიდა. ექსპრეზიდენტის მომხრეები გაიფანტდნენ. ბევრმა მათგანმა ტყეს შეაფარა თავი. ბრძოლის დროს დაიღუპა 12 და დაიჭრა 60-ზე მეტი კაცი.

ალყას თავდაღწეულმა მხედრონელებმა წალენჯიხაში საშინელი რბევა მოაწყვეს. განსაკუთრებით გააფთრებით ხოცავდნენ ისინი მოსახლეობის კუთვნილ ღორებს. მოგვიანებით ერთერთმა მხედრიონელმა ახსნა ერთი შეხედვით, ამ უცნაური ფაქტის მიზეზი. სატელევიზიო გამოსვლაში ის მოყვა, თუ როგორ თქელეუდნენ ღორები საბრძოლო მოქმედებებს შორის მოკლე შუალედების დროს პროფტექსასწავლებლის ეზოში და მიმდებარე ტერიტორიაზე დაღუპული მათი მეგობრების გახეთქილი თავებიდან გადმონთხეულ ტვინს. ღორების მიმართ ჩვენი განსაკუთრებული აგრესიაც ამის შედეგი გახლდათო, განაცხადა მან.

9 ივლისს წალენჯიხაში დაატყვევეს და მძევლად აიყვანეს საქართველოს ერთაშორისი ურთიერთობებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრე კაესაძე.

23 ივლისს ედუარდ შევარდნაძე სამეგრელოში ჩავიდა. ის შეხვდა სენაკის, მარტვილის, აბაშის, ხობის მოსახლეობას. შეხვედრები მარტივი არ ყოფილა. მათ ზვიადისტი ქალების შეძახილების ფონზე ჩაიარეს. იყო ცრემლებიც, საყვედურებიც, თხოვნებიც. წალენჯიხაში მოსახლეობასთან დიალოგი ვერ მოხერხდა,

ჯერ კიდევ არ განელებულიყო 7-8 ივლისის შეიარაღებული შეტაკების და „მხედრიონელთა“ თარეშის შედეგად მიყენებული ტკივილი. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ სამეგრელოს სხვა რაიონებში ვიზიტის გაგრძელება მიზანშეწონილად არ მიიჩნია და თბილისში დაბრუნდა. მით უმეტეს, რომ აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება აფხაზეთის 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენის შესახებ, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას და რაც ცენტრალური ხელისუფლების მხრივ დაუყოვნებლივ რეაგირებას მოითხოვდა.

შევარდნაძის თბილისში დაბრუნებისთანავე სახელმწიფო საბჭომ მიიღო დადგენილება „1978 წლის აფხაზეთის კონსტიტუციის მოქმედების შეწყვეტის შესახებ“ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს 1992 წლის 23 ივლისის დადგენილების თაობაზე“, რომელშიც ნათქვამი იყო: „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მიერ 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის აღდგენის გამოცხადებას არ შეუცვლია საქართველოს რესპუბლიკის საზღვრები და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა, აფხაზეთის ასსრ სტატუსი, რაც დადასტურებულია საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 21 თებერვლის დეკლარაციის პირველი პუნქტებით.“

სახელმწიფო საბჭომ დაადგინა:

„ცნობილ იქნეს იურიდიული ძალის არმქონედ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს 1992 წლის 23 ივლისის დადგენილება „1978 წლის აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის მოქმედების შეწყვეტის შესახებ“.[173]

მაგრამ აფხაზი სეპარატისტები უკანდახევას არ აპირებდნენ. არძინბამ განაცხადა, რომ სახელმწიფო საბჭოს დადგენილება არაკანონიერია, რადგან თვით ეს საბჭო არის არაკანონიერიო.

1992 წლის მარტიდან ივლისამდე პერიოდი საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების მნიშვნელოვანი ეტაპი იყო. საქართველო აღიარეს ნორვეგიამ, ისრაელმა, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, ევროპის გაერთიანებამ, საფრანგეთმა, იტალიამ, საბერძნეთმა, ავღანეთმა, ესპანეთმა და სხვა სახელმწიფოებმა. მომწიფდა პირობები საქართველოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაწევრიანებისთვის.

---

[173] .გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 28 ივლისი, 1992 წ.

1992 წლის 31 იელისს საქართველო გაეროს 179-ე წევრი გახდა.

ამ ღირსშესანიშნავ დღესთან დაკავშირებით 5 აგვისტოს რესპუბლიკის პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მანიფესტი. „მრავალსაუკუნოვანი ქართული სახელმწიფოებრიობა დიდ ნიშანსვეტს მიუახლოვდა. საქართველოს რესპუბლიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი გახდა უკუგდებულია იზოლაციონიზმის დამღუპველი საშიშროება, რომლისგანაც თავის დაღწევა მრავალი თაობის სანუკვარი ოცნება იყო. დადგა სახელმწიფოებრიეი აღმშენებლობის ახალი ეტაპი, რომლის ძირითადი საზრისი საქართველოს გამთლიანება, ქვეყანაში სამოქალაქო თანხმობის დამკვიდრებაა," — ნათქვამი იყო მასში.

ქვეყანაში სამოქალაქო მშვიდობისა და ეროვნული თანხმობის დამკვიდრების, საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვისა და დემოკრატიული აღმშენებლობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს ხელისუფლება საქვეყნოდ აცხადებდა:

„— დაწასდეს 31 იელისი საქართველოში ეროვნული თანხმობის, სამოქალაქო და ერთაშორისი მშვიდობის, შერიგების დღედ.

— მიჩნეულ იქნეს საქართველოს ყოველი მოქალაქის პატრიოტულ მოვალეობად საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობაში მათი წვლილის შეტანის კეთილი ნების გამოხატულებად მონაწილეობა პარლამენტის 11 ოქტომბრის არჩევნებში ...

— გაუქმდეს საგანგებო წესები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ...

— გაერთიანდეს ყველა შეიარაღებული ფორმირება საქართველოს რესპუბლიკის ერთიან შეიარაღებულ ძალებში

— რეგიონებში მოქმედი არარეგისტრირებული სამხედრო რაზმების წევრებს მიეცეთ საშუალება ხელისუფლებისადმი მათი ლოიალობის გათვალისწინებით გაერთიანდნენ თავდაცვის სამინისტროს, შინაგანი ჯარების ან პოლიციის ქვედანაყოფებში. მოხდეს მათ მფლობელობაში არსებული იარაღის რეგისტრაცია ან ჩაბარება. ის პირები, რომლებიც არ შევლენ სახელმწიფო სამხედრო ფორმირებებში, თავისუფლდებიან ადრე ჩადენილი სამართალდარღვევებისთვის პასუხისმგებლობისგან (ეს არ შეე-

ხება მოსახლეობის მიმართ ჩადენილ მძიმე დანაშაულს) და დაუბრუნდებიან ოჯახებს, მშვიდობიან შრომას. ...

– ეროვნული თანხმობისა და ერთობის ინტერესებიდან გამომდინარე, გათავისუფლდნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან პირები, რომლებიც მიმდინარე წლის 6 იანვრიდან მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართულ კანონსაწინააღმდეგო აქციებში, თუ მათ არ ჩაუდენიათ მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ.

– გათავისუფლდნენ პატიმრობიდან ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებსაც ბრალი ედებათ მძიმე დანაშაულის ჩადენაში. მხედველობაში იქნას მიღებული, რომ მათი ქმედებები მნიშვნელოვანწილად განაპირობა ავტორიტარულმა, დიქტატორულმა რეჟიმმა

– გათავისუფლდნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან პირები, რომლებიც მონაწილეობდნენ 24 იენისის სახელმწიფო გადატრიალების აეანტიურისტულ მცდელობაში ...

– ამიერიდან, ამ მანიფესტით გამოცხადებული დიდსულოვანი აქტის შემდეგ, სახელმწიფო იქნება გარანტი, რომ ყველა მოქალაქე, რომელიც დაარღვევს კანონს და შეეცდება ძალის გამოყენებას არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ დაისჯება კანონის მთელი სიმკაცრით

საქართველოს უზენაესი ინტერესებით ნაკარნახევი ეს მანიფესტი მიმტევებლობის, ჰუმანიზმის გაცხადება და ქართული სახელმწიფოებრიობის ძლიერების დასტურია."[174]

საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული ეს მანიფესტი ეროვნული თანხმობისა და სამოქალაქო მშვიდობის დამყარების მყარ საფუძველს წარმოადგენდა. ახლა საჭირო იყო მეორე მხარის კეთილი ნება.

[174] .გაგ. „საქართველოს რესპუბლიკა", 5 აგვისტო, 1992 წ.

ნაწილი მეორე

ბრძოლა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის.

სამოქალაქო ომის დასასრული.

თავი V

ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტები. სამოქალაქო ომის დასასრული

§ 5.1 ქართულ-ოსური კონფლიქტი

საქართველოს ახალ ხელისუფლებას მძიმე მემკვიდრეობა დახვდა ერთაშორისი ურთიერთობების სფეროშიც. ცხინვალის რეგიონში, ფაქტიურად, უართომასშტაბიანი ომი მიმდინარეობდა. ოსურ სოფლებს და ქალაქ ცხინვალს ოსი სეპარატისტები აკონტროლებდნენ. ქართულ სოფლებს ქართული შეიარაღებული ფორმირებები იცავდნენ. მათ შორის გამუდმებულ სროლებს ყოველდღიური მსხვერპლი მოსდევდა. ხშირი იყო თავდასხმები მშვიდობიან მოსახლეობაზეც. მხოლოდ ყორნისის (ყოფილი ზნაურის) რაიონში სეპარატისტებმა ქართველთა 60 სახლი გადაწვეს. ცოცხლად დაწვეს 80 წლის მოხუცი – ტასო ბუმღაძეც, რომელიც მარგო დარაჯობდა სახლს მაცხოვრებელთაგან მიტოვებულ სოფელ ზემო ოქონაში. „ჩვენი სისხლი და ცოდვა ცას შეჰღაღადებს ... ჰყავს თუ არა ჰყავს საქართველოს ხელისუფალნი?“ – წერდა ამ ამაზრზენი ფაქტებით შეძრწუნებული გაზეთი „საქართველო“ თავის 3 აპრილის ნომერში.

რუსული პრესა ხელს უწყობდა ქართულ-ოსური დაპირისპირების გამწვავებას. აი, როგორ აშუქებდა „ნეზავისიმაია გაზეთა“ ცხინვალის ხელისუფლების სეპარატისტულ ნაბიჯებს: „1992 წლის მარტის ბოლოს სამხრეთ ოსეთის უმაღლესმა საბჭომ სამხრეთელი ოსებისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების თხოვნით რუსეთის მთავრობასა და პარლამენტს მიმართა. თავის ამ თხოვნას ოსური მხარე ქართველთა მიერ ოსების მიმართ გენოციდის პოლიტიკის განხორციელებით ასაბუთებდა. თხოვნის საფუძველს წარმოადგენდა, აგრეთვე, ოსი ხალხის საგანგებო ყრილობის გადაწყვეტილება რუსეთის ფარგლებში ოსეთის ერთიანობის აღდგენის (?!) თაობაზე და 1992 წლის 19 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგები.“[175]

---

[175] „საქართველო XX საუკუნის 90-იანი წლები, ქრონიკები, წიგნი II, თბ. 2010, გვ. 116.

თუმცა, იგივე გაზეთი იძულებული იყო გამოექვეყნებინა თვალსაჩინო ოსი მეცნიერის, აკადემიკოს ვასილ აბაევის სტატია, რომელშიც ავტორი ობიექტურად და საღი გონებით მსჯელობდა გაჭიანურებული კონფლიქტის გადაწყვეტის გზებზე: „სამხრეთელი ოსების მისწრაფება თავიანთი ჩრდილოელი თვისტომებისკენ ადამიანურად გასაგებია, მაგრამ გეოპოლიტიკური აზრით შეცდომაა.. კავკასიის მთავარი ქედი ბუნებრივი საზღვარია საქართველოსა და ოსეთს შორის და ამ საზღვრის მომლის ყოველგვარი მცდელობა გამოიწვევს პერმანენტულ კონფლიქტს ქართველებსა და ოსებს შორის. იმისთვის, რომ ტრადიციული მეგობრობის კალაპოტში დავაბრუნოთ ორი ხალხის ურთიერთობა, უწინარესად უნდა შევწვეიტოთ ლაპარაკი სამხრეთ ოსეთის საქართველოსგან გამოყოფაზე. საქართველოს არც ერთი მთავრობა ამ ავრს არასოდეს დაეთანხმება და მართალიც იქნება, იმიტომ რომ ეს იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა.“[176] ასეთივე საღი და მნეობრივი პოზიცია ეკავა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ხარიტონ ცალაევს. ვლადიკავკაზის გაზეთ „დემოკრატიჩესკაია ოსეტიაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ოსი მეცნიერი აღნიშნავდა: „... სამხრეთელი ოსების ისტორიის მოწყვეტა საქართველოს სახელმწიფოს ისტორიისგან, რომლის შემადგენლობაში ისინი უკვე შვიდი საუკუნეა ცხოვრობენ, იქნებოდა არაბუნებრივი, ალოგიკური, უფრო მეტიც - არაკორექტული და უმადური აქტი იმ ერის მიმართ, რომელთან ერთადაც ცხოვრობდა ოსი ხალხის მრავალი თაობა.“[177]

ასე მსჯელობდნენ ოსი მეცნიერები, ინტელექტუალები. პოლიტიკას კი არა ისინი, არამედ რუსეთის მიერ წაქეზებული უწიგნური და უმადური პირები წარმართავდნენ.

3 აპრილს თბილისში ხელმოწერილ იქნა საქართველო-რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრების ერთობლივი განცხადება, რომლის თანახმადაც ორივე მხარე აღიარებდა ერთმანეთის სუვერენიტეტს, ერთმანეთთან ურთიერთობებს აგებდა საერთაშორისო სამართლის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, ჰელსინკის საბოლოო აქტისა და ახალი ევროპისთვის პარიზის ქარტიის პრინციპებისა და ნორმების საფუძველზე. აპრილის დასაწყისშივე ელადიკავკაზში გაიმართა საქართველოსა

---

[176] „ნემავისიმაია გაზეტა“, 28 იანვარი, 1992 წ.

[177] .გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 19 ივნისი, 1993 წ.

და ჩრდილოეთ ოსეთის შინაგან საქმეთა მინისტრების (რ. გეენცაძე, გ. კანტემიროვი) შეხვედრა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მშვიდობის დამყარების შემდეგ უპირველესი ნაბიჯი იქნებოდა ლტოლვილთა დაბრუნება მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში. ამასთან, ოსურმა მხარემ კვლავ განაცხადა, რომ ესმის საქართველოს დროებითი მთავრობის იურიდიული მღეომარეობის სირთულე, მაგრამ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა.

25 აპრილს ცხინვალში დისლოცირებულმა რუსეთის შინაგანი ჯარების სპეციალურმა ქვედანაყოფებმა დატოვეს დისლოკაციის ადგილი და კურსი ჩრდილოეთისკენ აიღეს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფო საბჭომ მიმართა ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას და დაპირისპირების შეწყვეტისკენ, ტრადიციული მშვიდობისა და თანხმობის აღდგენისკენ მოუწოდა მას.

30 აპრილს თენგიზ კიტოვანისა და რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილის, პავლე გრაჩოვისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის, პატრიკეევის შეხვედრაზე გადაწყდა, რომ 14-15 მაისს, ტაშკენტში მთავრობათა მეთაურების შეხვედრაზე ხელს მოაწერენ ხელშეკრულებას რუსეთისა და საქართველოს მეგობრობისა და ურთიერთდახმარების შესახებ. ამ დოკუმენტის ერთ-ერთ მუხლში განსაზღვრული იქნებოდა საქართველოში რუსების ჯარის სტატუსიც.

მაისის პირველ რიცხვებში ცხინვალის რეგიონში ვითარება უკიდურესად დაიძაბა. ოსმა სეპარატისტებმა პრაქტიკულად, ყველა ქართული სოფელი ალყაში მოაქციეს. ისინი თავს დაესხნენ სოფელ ერგნეთს, შემდეგ კი ნიქოზს, აჩაბეთს და თამარაშენს შეუტიეს. ბრძოლების დროს სეპარატისტები ჯავშანტექნიკას და ვერტმფრენსაც კი იყენებდნენ. დაიღუპა ერთი და დაიჭრა 14 კაცი, ძირითადად მშვიდობიანი მაცხოვრებლები.

13 მაისს ცხინვალის რეგიონში ჩავიდნენ ედუარდ შევარდნაძე, ჯაბა იოსელიანი და სანდრო კავსაძე. მათთან შესახვედრად სოფელ თამარაშენში ჩრდილოეთ ოსეთიდან ჩამოვიდნენ ზასოხოვი და ბიგაევი. შეხვედრას ესწრებოდა სეპარატისტების ლიდერი კულუმბეგოვიც. მიღწეულ იქნა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

ამის მიუხედავად, 16 მაისს, ცხინვალში განლაგებული რუსული სამხედრო ნაწილის მიმდებარე ტერიტორიაზე ოსმა სეპარატისტებმა დააკავეს საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრი

ოლეგ კეშელავა და მასთან მყოფი დარგის წამყვანი სპეციალისტები, რომლებიც იქ მწყობრიდან გამოსული კავშირგაბმულობის სისტემის აღდგენას ცდილობდნენ. მოგვიანებით კეშელავამ განაცხადა, რომ ეს ვიზიტი წინასწარ იყო შეთანხმებული კულუმბეგოვთან. დათქმულ დროს ჩვენ ჩაველით, თუმცა კულუმბეგოვი არ დაგვხვდა. ოსურ მხარესთან საკითხი მაინც განვიხილეთ. უკან დაბრუნებისას კი შეიარაღებულმა პირებმა მანქანა გაგვაჩერებინეს, მინები ჩაგვიმსხვრიეს და დაგვაპატიმრეს. ამის შემდეგ კულუმბეგოვიც გამოჩნდა, მაგრამ ჩვენთვის ბოდიშიც კი არ მოუხდიათ.

1992 წლის 20 მაისს, დაუდგენელმა პირებმა, ცხინვალი-ჯავას გზაზე, სოფელ კეხვთან, ცეცხლი გაუხსნეს ავტომანქანებს, რომლებითაც ოსი ეროვნების მოქალაქეები გადააადგილდებოდნენ. დაიღუპა 32 ადამიანი (რუსეთის ტელევიზიების ცნობით – 50), ძირითადად ქალები და ბავშვები. საქართველოს სახელმწიფო საბჭო დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ამ ვანდალურ აქტს და თავის საგანგებო სხდომაზე მკაცრად დაგმო იგი. სახელმწიფო საბჭო ყურადღებას მიაპყრობდა იმ ფაქტს, რომ ინციდენტი მოხდა ქართული მხარის მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე. ამასთან, მომხდარში იგი საქართველოს წინა ხელისუფლების ნაციონალისტური პოლიტიკის რეციდივს ხედავდა. ამით სახელმწიფო საბჭო, ერთი მხრივ, საქართველოს წინა ხელისუფლების პოლიტიკას ემიჯნებოდა, მეორე მხრივ, ოსურ მხარეს სიგნალს უგზავნიდა, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება გაცილებით სრულად გაითვალისწინებდა მის ინტერესებს. სახელმწიფო საბჭოს აზრით, ამ ვანდალური აქტის მიზანი იყო ქართველი ხალხისა და მისი ხელისუფლების დისკრედიტაცია ცივილიზებული მსოფლიოს თვალში. ბოროტმოქმედებმა ეს აქტი განგებ დაამთხვიეს „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის“ მომხსენებლის მისიის ყოფნას საქართველოში. „ეს საქციელი სწორედ იმ დამნაშავეთა ხელწერა და დივერსიული „მოღვაწეობის“ გაგრძელებაა, რომლებიც გზებს, ხიდებს, გვირაბებს, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებს, სკოლებს აფეთქებენ და წვაენ. ეს ძალაუფლებადაკარგული ხელისუფლებისა და მის მხარდამჭერთა საქმიანობის შედეგია, რასაც ერთადერთი მიზა-

ნი აქვს: ახალი, დიდი მასშტაბის სისხლიღვრის პროვოციერება",[178] — აღნიშნული იყო სახელმწიფო საბჭოს განცხადებაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიმართა ოსურ მხარეს მომხდარი ინციდენტის ერთობლივი გამოძიების თაობაზე, მაგრამ უარი მიიღო.

10 ივნისის სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე პრემიერის მოადგილემ ეროვნული ურთიერთობებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში, ალექსანდრე კავსაძემ განაცხადა, რომ ვიღაცის ბრძანებით შიდა ქართლში ჩატარდა სპეცოპერაცია ცხინვალის დაკაებების მიზნით, რომლის დროსაც ორივე მხრიდან დაიღუპა და დაიჭრა რამდენიმე კაცი. პასუხისმგებლობა მომხდარზე გია ყარყარაშვილმა აიღო.

იმავე დღეს ჩრდილო ოსეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, გალაბოვის თხოვნით ყაბეგში გაიმართა მისი შეხვედრა შევარდნაძესთან. შესვედრაზე მიღწეული შეთანხმება ითვალისწინებდა: „1. მიაღწიონ ცეცხლის შეწყვეტას ქართველთა და ოსთა კონფლიქტის ზონაში; 2. 1992 წლის 12 ივნისამდე შექმნან მეთვალყურეთა ერთობლივი ოთხმხრივი ჯგუფი კონფლიქტში ჩაბმული ფორმირებების წარმომადგენელთა მონაწილეობით; 3. შეუდგნენ ავღანელ მეომართაგან ერთობლივი მშვიდობისმყოფლური ქვედანაყოფის ფორმირებას კონფლიქტის ზონაში ვითარების სტაბილიზაციის მიზნით; 4. 1992 წლის 12 ივნისამდე შექმნან ერთობლივი პრესცენტრი, რომელშიც შეელენ დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლები და რომელიც მოამზადებს და გაავრცელებს შეთანხმებულ ობიექტურ ინფორმაციას; 5. უახლოეს დროში მოაწყონ კონფლიქტში ჩაბმულ მხარეთა შეიარაღებული ფორმირებების ხელმძღვანელების შეხვედრა და მოლაპარაკება; 6. შეიმუშაონ დაზამთრებამდე მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ლტოლვილთა დაბრუნებისთვის პირობების შექმნის ღონისძიებათა კომპლექსი ..."[179]

ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისა და რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარების საქმეში არსებული ამ დადებითი ტენდენციების მიუხედავად, საერთო ფონი კვლავ დაძაბული რჩებოდა, რასაც ხელს რუ-

[178] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 22 მაისი, 1992 წ.
[179] .გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 13 ივნისი, 1992 წ.

სეთის პოლიტიკური ელიტის ცალკეულ წარმომადგენელთა პროოკუპაციული განცხადებებიც უწყობდა. მაგალითად: რუსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, რუსლან ხასბულატოვმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ვკითხულობთ: „საქართველოს ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწე, მათ კონტროლს დაქვემდებარებული შეიარაღებული ფორმირებები, დააღგნენ საქართველოში მათი ისტორიული სამშობლოდან (?!) სამხრეთ ოსების გამოღევნის ოდიოზურ კურსს. სამხრეთ ოსეთის სოფლებს, ქალაქ ცხინვალს გამუდმებით უშენენ ყოველგვარი იარაღის, მათ შორის, არტილერიის ცეცხლს, იყენებენ სარაკეტო ტექნიკასაც შექმნილ პირობებში ... როცა აშკარაა ბრახვა საქმით განხორციელდეს „მომხდარი ფაქტების“ პოლიტიკა მთელი ხალხების განდევნისა მისი ავტონომიის მოსპობის გზით, რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭო იძულებული გახდება დაუყოვნებლივ განიხილოს ეს საკითხი (სამხრეთ ოსეთის რუსეთთან შეერთების, უ. ბ.) სამხრეთ ოსეთის ხალხის სურვილისა და რუსეთის პარლამენტში მის ხელისუფალთა მიმართვის შესაბამისად.“[180]

ხასბულატოვის განცხადებას მოჰყვა რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის, ალექსანდრ რუცკოის არანაკლებ მკვახე განცხადება, რომელშიც ის ასევე ტენდენციურად აშუქებდა ფაქტებს და ექომაგებოდა „თავისუფლებისთვის მებრძოლ ოს ხალხს“.

რამდენიმე დღით ადრე, 13 ივნისს, შეტაკება მოჰყვა ქართველი გვარდიელების მისვლას გორის რუსული სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე. სროლის დროს დაიღუპა 15 გვარდიელი, აგრეთვე, რუსული სატანკო პოლკის ორი ოფიცერი და ერთი ზემდეგი. შეტაკებას ემსხვერპლნენ რუსი ოფიცრის ოჯახის წევრებიც - ერთი ქალი და რვა წლის ბავშვი. სასიკვდილოდ დაიჭრა გვარდიელთა მეთაური ბესო ქუთათელაძეც.

ინციდენტის შეფასების ქართული და რუსული ვერსიები მკვეთრად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობის განცხადებით, გორში განლაგებულ რუსეთის არმიის სატანკო პოლკს თავს დაესხა სამი ჯგუფი, რომელთა საერთო რაოდენობა 200 კაცს აღემატებოდა. ისინი ცდილობდნენ შტაბისა და ოფიცერთა სახლების ბლოკირებას, საწყობებში შენახული შეიარაღებისა და ტყვია-წამლის, აგრეთ-

[180] .გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 17 ივნისი, 1992 წ.

ვე, ცალკე მდგომი ტანკების ხელში ჩაგდებას. არიან დახოცილები და დაჭრილები. რუსულმა მხარემ დაატყვევა 28 თაედამსხმელი. სამხედრო ოლქის სარღლის მოადგილემ, გენერალმა ბეპაევმა განაცხადა, რომ მომხდარში ის არ აღანაშაულებს არც ქართველ ხალხს და არც მის მთავრობას. „მიგვაჩნია, რომ ეს როგორც ჩვენი, ისე ქართველი ხალხის მიმართ მტრულად განწყობილი დესტრუქციული ძალების ნამოქმედარია. ჩვენ მადლობას ვუხდით ქართულ მხარეს, რომელმაც ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ არ გამწვაედეს ტრაგედიის შედეგები და ყველაფერში ერთად გაეერკვეთ“,[181] – განაცხადა მან.

ქართული ვერსიის თანახმად, წინა დღეებში ჩრდილოეთ ოსეთში აღგილობრივმა ოსებმა და რუსული სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელებმა გაითამაშეს ფარსი: გარემე თვალის დასანახად ოსები, ვითომც, თავს დაესხნენ რუსულ სამხედრო ნაწილს და იქიდან გაიტაცეს დიდძალი სამხედრო ტექნიკა და იარაღი, რომელიც მალევე როკის გვირაბით ცხინვალის რეგიონში შემობიდეს. სწორედ ამის შემდეგ, გორში, ქართველმა გვარდიელებმა გამართეს მოლაპარაკება რუსული პოლკის ხელმძღვანელობასთან იარაღის, ტყვია-წამლისა და ტანკების გადმოცემის თაობაზე. შეთანხმება შედგა. ამიტომ გვარდიელთა ერთი ჯგუფი დანდობილად მივიდა პოლკში იარაღის წამოსაღებად. მოულოდნელად მათ რუსულმა მხარემ ცეცხლი გაუხსნა, შემდეგ კი რუსული ტანკები ქუჩაში გამოვიდნენ, გადაქელეს მანქანები და მოკლეს ერთი გორელი მოქალაქე.

18 ივნისს, რუსეთის სამი სამხედრო ვერტმფრენი თავს დაესხა ცხინვალის შესასვლელთან განლაგებულ ეროვნული გვარდიის საგუშაგოს. დაიჭრა ორი და დაიღუპა ერთი გვარდიელი. რუსული ვერტმფრენების თავდასხმას ცხინვალის მხრიდან ოსი ბოევიკების იერიშიც მოჰყვა.

სრულიად ნათელი გახდა, რომ რუსეთმა ჩამოიხსნა ნეიტრალური მშვიდობისმყოფლის ნიღაბი და ღიად დაადგა სეპარატისტების მხარდაჭერის კურსს.

საქართველოს პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა: ტრადიციონალისტთა კავშირმა, მონარქისტულმა პარტიამ, სახალხო ფრონტმა და სხვებმა საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანის პროცესის დაჩქარება მოითხოვეს.

---

[181] .გამ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 19 ივნისი, 1992 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ელჩს გადასცა ნოტა, რომელშიც ენერგიული პროტესტი იყო გამოთქმული რუსეთის მხარის მიერ საქართველოს მიმართ ნაკისრი ვალდებულებების სისტემატური და ცალმხრივი დარღვევის გამო. „ჩვეულებრივ პრაქტიკად იქცა, როცა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე იგზავნებიან რუსეთის ოფიციალური მისიები, რომელთა მოგზაურობამე თანხმობას არ სთხოვენ საქართველოს ხელისუფალთ და რომელთა მიზნებს არც კი აცნობებენ საქართველოს მხარეს," – ნათქვამი იყო ნოტაში. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ჩამოთელიდა რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ უკანასკნელ ხანებში განხორციელებულ ისეთ დისკრიმინაციულ და არამეგობრულ აქციებს, როგორიცაა ეკონომიკური სანქციების დაწესება, ბუნებრივი აირის და სამსედრო გზის გადაკეტვა, 18 ივნისს რუსეთის ვერტმფრენების მიერ ქართული გვარდიის პოზიციების დაბომბვა და ა. შ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსული მხარისგან ახსნა-განმარტებებს მოითხოვდა.

ალექსანდრ რუცკოის ღია წერილით მიმართა ედუარდ შევარდნაძემაც. „ამას წინათ, თბილისში რომ დამირეკეთ, სიტყვა-სიტყვით ასე მითხარით: ესკადრილიებს ავუშვებ ჰაერში და დავბომბავ თქვენს ქალაქებს. ...

ვიცნობ რა თქვენს ზნეს და თქვენს გამოცდილებას, ამ სიტყვებს არ მოვკიდებივარ როგორც ლიტონ რიტორიკას. ვიფიქრე, რომ არასწორად ხართ ინფორმირებული იმის შესახებ, რაც ხდება და ამიტომ გამოვგზავნე თქვენთან სახელმწიფო საბჭოს წევრი ვალერიან აღვაძე, რომლის შეხედულებები კონფლიქტის ბუნებისა და მისი მოწესრიგების საშუალებების შესახებ ემთხვევა ჩემსას. მან მოგაწოდათ ინფორმაცია, რომელსაც, როგორც მეგონა, უნდა დაერწმუნებინეთ, რომ ჩვენ გულწრფელად გვსურს მივაღწიოთ მშვიდობას.

ვერ დაგარწმუნეთ, და როგორც ახლა ვხედავ, ვერც დაგარწმუნებდით, რადგან თქვენ ხელს გაძლევთ სხვა კურსი.

თქვენმა მუქარამ, ხასბულატოვის განცხადებამ, 18 ივნისის მოვლენებმა, თქვენმა გუშინდელმა გამოსვლამ და განცხადებამ დაადასტურა, რომ ეს სწორედ ასეა, ჩემი შეშფოთება საფუძვლიანი იყო...

ახლა განსაკუთრებით აღნიშნავთ ოსური მხარის დანაკარგებს, ამახინჯებთ ნამდვილ ციფრებს და ერთი ხალხის ტანჯვის ამ თქვენეული სტატისტიკით სისხლისღვრისკენ მოუწოდებთ. მე

კი მოწმე ვარ ყველა დანაკარგისა, როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან და არ განვასხვავებ დაღუპულებსა და ჭერმოშლილებს ეროვნული ნიშნით, რადგან ისინი ყველანი ჩემი თანამემამულეები არიან,"[182] – აღნიშნავდა შევარდნაძე.

რუსეთის ხელისუფლებაში კარგად ჰქონდათ განაწილებული „კეთილი და ბოროტი პოლიციელების" როლები. სასპულატოვები, რუცკოები თავიანთი მკვახე განცხადებებით ვითარებას ძაბავდნენ, რუსი სამხედროები უკიდურესად ამწვავებდნენ კონფლიქტის ზონაში სიტუაციას ამის შემდეგ კი გამოჩნდებოდა „კეთილი ძია" – რუსეთის პრეზიდენტი, რომელიც „სამშვიდობო წინადადებებს" სთავაზობდა ქართულ მხარეს. უკიდურესად გამწვაებული ვითარება კი იმისთვის იყო საჭირო, რომ ამ ფონზე მისთვის წამგებიან სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ქართული მხარის დათანხმება გაადვილებულიყო.

და მართლაც, 25 ივნისს, დაგომისში, გამართულ ელცინისა და შევარდნაძის შეხვედრაზე ხელი მოეწერა შეთანხმებას „საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ". შეთანხმება ითვალისწინებდა:

„ მუხლი 1.

1. შეთანხმების დადების მომენტიდან დაპირისპირებული მხარეები მოვალეობას კისრულობენ განახორციელონ ყველა ღონისძიება 1992 წლის 28 ივნისისთვის შეიარაღებული შეტაკებების შეწყვეტისა და ცეცხლის სრული შეწყვეტისთვის. 2. 1992 წლის 28 ივნისს ცეცხლის შეწყვეტის მომენტიდან დაპირისპირებულ მხარეებს გაჰყავთ თავიანთი შეიარაღებული ფორმირებები შეხების ხაზის მიმდებარე დერეფნის შექმნის მიზნით. 3. ფორმირებათა გაყვანა ხორციელდება 3 დღის განმავლობაში. შეხების ხაზის გავლას, დერეფანს, მის განედებს განსაზღვრავენ მეთვალყურეთა ერთობლივი ჯგუფები.

მუხლი 2.

2. კონფლიქტის ზონაში დემილიტარიზაციისა და კონფლიქტში რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ჩაბმის შესაძლებლობის გამორიცხვის მიზნით რუსეთის მხარეს ცეცხლის შეწყვეტისა და დაპირისპირებულ მხარეთა განცალკევების მომენტიდან 20 დღის განმავლობაში გაჰყავს ცხინვალის რაიონში

[182] გამ. „საქართველოს რესპუბლიკა", 23 ივნისი, 1992 წ.

დისლოცირებული 37-ე ინჟინერ-მესანჯრეთა პოლკი და 292-ე ცალკე საბრძოლო ვერტმფრენთა პოლკი უზრუნველყოფისა და მომსახურების ქვეგანაყოფებით ურთ.

მუხლი 3.

1. ცეცხლის შეწყვეტის, შეიარაღებული ფორმირებების გაყვანის, თავდაცვის ძალების დაშლისა და უშიშროების რეჟიმის უზრუნველყოფისადმი კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით აღნიშნულ ზონაში იქმნება შერეული საკონტროლო კომისია კონფლიქტში ჩაბმული მხარეების შემადგენლობით.

2. კომისიის მუშაობის მხარეთაგან თითოეული მის შემადგენლობაში ნიშნავს თავის წარმომადგენელს

3. აღნიშნულ ამოცანათა შესრულებისთვის საკონტროლო კომისიასთან მხარეთა შეთანხმებით იქმნება შერეული ძალები მშვიდობის დამყარებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნით ...“[183]

შეხვედრაზე მიღებულ ერთობლივ კომუნიკეში აღნიშნული იყო, რომ საქართველო და რუსეთი ცნობდნენ ერთმანეთის სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას და საზღვრების ურღვევობას. მათ არ გააჩნდათ ერთმანეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები და საქვეყნოდ იღებდნენ ვალდებულებას, რომ ნებისმიერ სადავო საკითხს მხოლოდ მშვიდობიანი გზით გადაწყვეტდნენ.

აღნიშნულ შეთანხმებაში ქართული მხარისთვის ბევრი რამ იყო მიუღებელი. პირველ რიგში, ეს შეთანხმების სახელწოდებას შეეხებოდა. ცხადია, არ არსებობდა არანაირი „საქართველო-ოსეთის კონფლიქტი“. იყო მხოლოდ გარეშე ძალის მიერ ინსპირირებული და წაქეზებული კონფლიქტი საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და ერთი მუჭა ოს სეპარატისტებს შორის. მეორეც: შეთანხმების თანახმად შექმნილ შერეულ სამშვიდობო ძალებში ქართულ მხარესთან ერთად შედიოდნენ როგორც სეპარატისტთა, ისე ჩრდილო ოსეთისა და რუსეთის სამშვიდობო ძალებიც. ეს კი ნიშნავდა, რომ სეპარატისტული მხარე ფაქტიურად, სამმაგი უპირატესობით იყო წარმოდგენილი.

მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ცხადყო, თუ ვის ინტერესებში შედიოდა მიდა ქართლში გენოციდის მოწყობა და ვინ გამოდევნა იქიდან ძალის გამოყენებით მკვიდრი მოსახლე-

---

[183]. „ზეიად გამსახურდიადან ზეიად გამსახურდიამდე 1991-1995“, თბ. 1995, გვ- 29.

ობა, ვინ ერთგულებდა საქვეყნოდ გაცხადებულ პრინციპებს ძალის გამოუყენებლობისა და სადავო საკითხების მხოლოდ მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის შესახებ და ვინ არა.

§ 52 ქართულ-აფხაზური კონფლიქტი

დრამატულად ვითარდებოდა მოელენები აფხაზეთშიც. აფხაზი სეპარატისტები მოხერხებულად სარგებლობდნენ შიგაქართული დაპირისპირებით და ზუსტად არჩეენდნენ დროს თავიანთი სეპარატისტული ბრახვების განსახორციელებლად.

ერთი მხრივ, გამსახურდია აცხადებდა, რომ ის „უღმერთოების, რბეისა და ტერორის გზას ვერ დააღგებოღა," მეორე მხრივ კი ყველანაირად აქეზებდა ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ მის მომხრეთა საპროტესტო მოძრაობას. 1992 წლის 12 მარტს გამოქვეყნებულ თავის განცხადებაში ის წერდა: „ა. წ. 7 მარტს ე. წ. სამხედრო საბჭოს მოწვევით საქართველოში ჩამოვიდა ედუარდ შევარდნაძე. ამით საბოლოოდ აეხადა ფარდა იმ ალიანსს, რომელიც არსებობს დანამაულებრივ ხუნტასა და იმპერიის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს შორის უნდა გაგრძელდეს ყოველგვარი საპროტესტო აქციები და გამოსვლები, სანამ იმპერიის საგრაპი, სისხლიანი ტირანი და იუდა არ დატოვებს საქართველოს მიწა-წყალს, არ გაუქმდება მისი კრიმინალური ხუნტა და არ აღსდგება კონსტიტუციური, კანონიერი მთავრობა". წინა თავში უკვე ვახსენეთ გამსახურდიას მიმართვა ქარველი ხალხისადმი 1992 წლის აპრილში, რომელშიც ის კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს, რომ შეიარაღებული ბრძოლისკენ არ მოუწოდებდა არავის, მაგრამ იქვე აღნიშნავდა, რომ კარგად ესმის „საქართველოს მოსახლეობის იმ ნაწილისა, რომელმაც ველარ გაუძლო თავს დამტყდარ უბედურებას, სახლკარის აოხრებას, ახლობელთა სიკვდილს და მხოლოდ თავდაცვის მიზნით მოკიდა ხელი იარაღს ხალხს აქვს უფლება შექმნას ამგვარი მოძრაობის ერთიანი ფრონტი.

გუარაედეთ ღმერთი სამართლიან, თავდადებულ ბრძოლაში!"[184]

---

[184] „ზვიად გამსახურდიადან ზვიად გამსახურდიამდე 1991-1995", თბ. 1995, გვ- 48.

რა იყო ეს, თუ არა მოწოდება შეიარაღებული ბრძოლისკენ და ძმათამკვლელი ომისკენ?

1992 წლის 28 თებერვალს გამსახურდიამ აფხაზეთის ტელევიზიით მიმართა აფხაზებს. „არ დაემორჩილოთ ხუნტის მიერ მიღებულ კანონებს. საქართველოში უნდა აღდგეს კონსტიტუციური წესრიგი. ჩვენ პატივს ვცემთ აფხაზთა ავტონომიას, ხალხის ენას, მის კულტურას – ჩვენ გაერთიანებულებმა უნდა ვიბრძოლოთ ბნელი ძალების წინააღმდეგ და უნდა დავამარცხოთ ისინი. ამ ძალებისაგან აფხაზი ხალხი სახელმწიფოებრიობას ვერ მიიღებს,!"[185] - აღნიშნავდა იგი.

გაუგებარი იყო რა სახელმწიფოებრიობას პირდებოდა გამსახურდია აფხაზებს, ავტონომია მათ ისეც ჰქონდათ და „ხუნტა" მის გაუქმებას არ აპირებდა. სხვა რა „სახელმწიფოებრიობა" უნდა მიეცა გამსახურდიას აფხაზებისთვის? ცხადია, მისი მხრივ „სახელმწიფოებრიობაზე" საუბარი იაფფასიანი სიცრუე იყო, რომლითაც არა თუ აფხაზი პოლიტიკოსები, აფხაზი ბავშვებიც არ მოტყუვდებოდნენ. მით უმეტეს, რომ აფხაზებს ძალიან კარგად ახსოვდათ 1989 წლის აპრილში გამსახურდიას მიერ მიტინგზე წარმოთქმული სიტყვები: „აფხაზი ერი ისტორიულად არასოდეს არ არსებობდა. სახელწოდება აფხაზი არასწორად იხმარება აფსუას ტომთან დაკავშირებით. აფსუა, ანუ აფხაზი, ეს არის ჩრდილოკავკასიური, ადიღეური მოდგმის ტომი. და ჩვენ არც ერთი ტომის თვითგამორკვევის წინააღმდეგი არა ვართ, თუ ის ერად ქცევას ლამობს. მით უმეტეს, თუ მას აქვს ერის გარკვეული ნიშნები დღეს, ოღონდ მის ისტორიულ ტერიტორიაზე - ჩრდილოეთ კავკასიაში. მე გთხოვთ აქ გამომსვლელებს, თუ ვინმე მოინდომებს ამ ჭეშმარიტების სხვაგვარად წარმოდგენას, არ მოუსმინოთ! აფხაზი ერი არ არსებობს!"[186]

29 აპრილს სოხუმის ქართულ სახელმწიფო თეატრში დაიწყო აფხაზეთის ქართული საზოგადოების წარმომადგენელთა ყრილობა ვარაუდობდნენ, რომ იგი აფხაზეთის ქართველობის კონსოლიდაციისა და რეგიონში სტაბილიზაციის საფუძველი გახდებოდა. მაგრამ ყოფილი ხელისუფლების მომხრე ძალები ყრილობაზე არ გამოცხადდნენ. მეტიც, შენობის წინ შეიკრიბა ეგზალ-

---

[185] .გაზ. „ივერია," აპრილი, 1992 წ. N 32.

[186] .გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 21 აგვისტო, 1992 წ.

ტირებული ადამიანების მასა, რომელშიც ქალები სჭარბობდნენ. იმ მოტივით, რომ არ სურდათ აფხაზებთან კონფრონტაცია, შეკრებილებმა შენობის შესასვლელი ჩაკეტეს და შეძახილებით: „არ შემოუშვათ მკვლელები," „აღდგეს პრეზიდენტის ხელისუფლება", საშუალება არ მისცეს ყრილობას დაეწყო მუშაობა.

იმავე საღამოს აფხაზეთის ქართული საზოგადოების 16 პოლიტიკური პარტიის და საზოგადოებრიეი ორგანიზაციის ლიდერების შეხვედრაზე მიიღეს განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო: „აფხაზეთის ჯანსაღი ქართული ეროვნული ძალების გაერთიანებელი ყრილობის ჩაშლის ფაქტს ვაფასებთ, როგორც ქართული მოსახლეობის ინტერესების, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის ღახვარის ჩაცემას ...

ყოფილი პრეზიდენტის მომხრეთა ეს მოქმედება უნდა მივიჩნიოთ აფხაზეთის სეპარატისტულ წრეებთან მათი პოლიტიკური ალიანსის კიდევ ერთ გამოხატულებად, რაც მკვეთრად ვლინდება უკანასკნელი დროის მანძილზე ..."[187]

იმავე დღეს თბილისში, მერაბ კოსტავას ეზოში გამართულ ექსპრეზიდენტის მომხრეთა ტრადიციულ ოთხშაბათის მიტინგზე ითქვა, რომ შეიქმნა „საქართველოს ეროვნული ხსნის მოძრაობა - წინააღმდეგობის ფრონტი", რომელიც მშვიდობიანი მეთოდებით იბრძოლებს „კანონიერი ხელისუფლების" აღსადგენად. სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტმა გოჩა კელენჯერიძემ განაცხადა: „ხეს რომ უყვირო, გახმი, გახმი, ბოლოს და ბოლოს, გახმება. ასევე ჩვენც შევარდნაძეს რომ ვუყვიროთ, გადავარდი, გადავარდი, ისიც გადავარდება". ერთ-ერთი სკოლის მოსწავლე გოგონა კი დაიმუქრა: სანამ გიორგი და ცოტნე (ექსპრეზიდენტის შვილები) არ დაბრუნდებიან, მანამადე სკოლაში არ ვივლიო.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, საზოგადოების ერთი ნაწილის ასეთი ეგზალტაცია, თავისთავად, უკვე საგანგაშო მოვლენა იყო. თუმცა, მთავარი მაინც სხვაა. აშკარად სჩანდა — ქართველებს შორის ურთიერთშუღლის გაგრძელება აფხაზეთს და შიდა ქართლს გვაკარგვინებდა - ეს ძირძველი ქართული მიწები კი მხოლოდ ახალი ხელისუფლებისთვის არ დაიკარგებოდა, მას ქვეყანა, თითოეული ჩვენთაგანი, მათ შორის გამსახურდიას მომხრენიც დაკარგავდნენ. აი, რა ვერ შეეგნოთ ამ უკანას-

[187] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1 მაისი, 1992 წ.

კნელთ. მათ შეგნებაში აფხაზური და ოსური სეპარატიზმის მომაკედინებელი საფრთხე პიროვნული და პოლიტიკური ამბიციებით იყო გადაფარული.

1997 წლის ნოემბერში აეთანდილ იოსელიანი იგონებდა: „მე მოველაპარაკე არძინბას – იგი თბილისში აპირებდა ჩამოსვლას, ედუარდ შევარდნაძესთან შესახვედრად. ეშინოდა – თვითმფრინავს ჩამოაგდებენო. შევპირდი – იმ თვითმფრინაეში ჩავსვამ ჩემს სამ შვილს, კიდევ ერთი აფხაზის ორ შვილს-მეთქი. დამთანხმდა. მეორე დილით თბილისიდან სპეციალურ თვითმფრინავს ველოდით, მაგრამ არძინბას თქმით, მასთან მივიდნენ ზვიადისტები და უთხრეს: თბილისში შენც იმას გიზამენ, რაც 30-იან წლებში ნესტორ ლაკობას უყვესო. ეს იყო მიზეზი შეხვედრის ჩაშლისა. ახლაც მჯერა, არძინბა რომ მაშინ ბაგონ ედუარდს შეხვედროდა, ის ავადსახსენებელი ომი არ დაიწყებოდა.“[188] აქ მთავარი ის კი არ არის, რა სჯეროდა იოსელიანს – დაიწყებოდა ომი თუ არა, მთავარი ქართველთა პოზიციაა. ქართულ-აფხაზური დაპირისპირება სრულიად აშკარაა, ომის საფრთხე მეტისმეტად რეალურია, ქართველები კი ერთმანეთის მიმართ შუღლსა და მტრობას ვერ იშლიან

6-8 მაისს სოხუმში იმყოფებოდა სახელმწიფო საბჭოს დელეგაცია სახელმწიფო საბჭოს წევრის, ლევან ალექსიძის ხელმძღვანელობით. ცენტრალური ხელისუფლების დელეგაციის ვიზიტის მიზანს ცენტრსა და ავტონომიას შორის კომპეტენციათა გამიჯვნის, აფხაზეთის კონსტიტუციაში არსებული შეუსაბამობების აღმოფხვრის საკითხებზე მოლაპარაკებების დაწყება წარმოადგენდა. გასარკვევი იყო აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში მიღწეული საარჩევნო კანონის ბედიც. ამ კანონის თანახმად აფხაზეთის უზენაეს საბჭოში თავიდანვე განისაზღვრა ეროვნული ქვოტები. აფხაზებმა მიიღეს 28 ადგილი, ქართველებმა – 26, დანარჩენი 11 ადგილი სხვა ეროვნების წარმომადგენლებს ერგოთ. შეთანხმდნენ იმაზეც, რომ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურას წარადგენდა აფხაზური დელეგაცია, რომელსაც მხარს დაუჭერდნენ ქართველი დეპუტატებიც. სამაგიეროდ, მინისტრთა საბჭოს თავ-

---

[188]. ბონდო გულიამეილი, „არძინბა თბილისში მოდიოდა, მაგრამ გაშ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 5 ნოემბერი, 1997;

მჯდომარის კანდიდატურის დასახელება ქართული დეპუტაციის პრეროგატივა იყო, რომლისთვისაც ასევე უსიტყვოდ უნდა დაეჭირათ მხარი აფხაზებს. მინისტრის თანამდებობაზე დასამტკიცებლად აუცილებელი იყო ხმების 2/3, ამ რაოდენობის ხმების დაგროვება კი ქართული და აფხაზური დელეგაციების თანხმობის გარეშე შეუძლებელი იყო.

ცხადია, მოსახლეობის 44 პროცენტისთვის 26 ადგილი, 17 პროცენტისთვის კი 28 ადგილი სამართლიან გაყოფად ვერ ჩაითვლებოდა. საერთოდაც, ეროვნული ნიშნით ქვოტების დაწესება დემოკრატიის ელემენტარული ნორმების აშკარა დარღვევა და წმინდა წყლის აპარტეიდი იყო, მაგრამ შექმნილ რთულ სიტუაციაში მაშინ ასეთი კომპრომისი საუკეთესო გამოსავალს წარმოადგენდა. ორივე მხარის მიერ ამ პრინციპის დაცვას ავტონომიურ რესპუბლიკაში ეროვნული მშვიდობიანობის უზრუნველყოფა შეეძლო.

აღნიშნული კანონის საფუძველზე არჩეულმა აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 4 დეკემბერს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ვლადისლავ არძინბა აირჩია. 62 დეპუტატიდან მის კანდიდატურას მხარი 58-მა დაუჭირა.

ამის შემდეგ ჯერი ქართულ დელეგაციაზე მიდგა. მას მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურა უნდა წამოეყენებინა, მაგრამ შიგა უთანხმოების გამო კანდიდატურის შერჩევა ნახევარი წელი გაჭიანურდა. აფხაზები ამ პოსტზე გივი ლომინაძის კანდიდატურას უჭერდნენ მხარს, მაგრამ ეს ლომინაძის სიყვარულით არ მოსდიოდათ. საქმე ის იყო, რომ ლომინაძეს ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა ეკავა და აფხაზებს ამ პოსტიდან მისი მოშორება სურდათ. ქართველებსაც, ცხადია, ესმოდათ, რომ ავტონომიაში ამ ერთადერთი ლეგიტიმური შეიარაღებული ძალის სათავეში ქართველი კაცის ყოფნა სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო.

სესიაზე ლომინაძემ მხოლოდ 18 ხმა მიიღო. ამ ხმებიდან მხოლოდ მცირე ნაწილი იყო „ქართული“. ქართველი დეპუტატები კვალავ ურთიერთქიშპს განაგრძობდნენ. შეთანხმების თანახმად, ქართულ დეპუტაციას ახალი კანდიდატურა უნდა წამოეყენებინა, მაგრამ საქმეში ჩაერია არძინბა, რომელმაც თვითონ წამოაყენა 62 წლის ვაჟა ზარანდიას კანდიდატურა. ეს არა მხოლოდ ქართველებსა და აფხაზებს შორის მიღწეული შეთანხმე-

ბის, არამედ ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ ერთი თვის წინ მიღებული იმ კანონის უხეში დარღვევაც იყო, რომლის თანახმადაც სახელმწიფო თანამდებობებზე 60 წელს გადაცილებული პირები არ უნდა აერჩიათ.

ლევან ალექსიძის დელეგაციამ დაარღვია მანამადე არსებული დაუწერელი კანონი და პირველად ქართულ მხარესთან გამართა შეხვედრა. ამით გაღიზიანებულმა არძინბამ განაცხადა, რომ აფხაზური მხარე ამ დემარშს უყურადღებოდ არ დატოვებდა. აფხაზურ მხარესთან შეხვედრა არძინბამ გახსნა და მაშინვე დააპირა სხდომის დატოვება, მაგრამ ალექსიძის თხოვნით იძულებული იყო დარჩენილიყო და თბილისის დელეგაციის მეთაურის სიტყვა მოესმინა. ამის შემდეგ არძინბამ ისევ აიღო სიტყვა: დროა ქართველებმა ხელი აიღონ „უფროსი ძმის“ ტონით აფხაზებთან ლაპარაკზე. ხოლო, თუ მაინც ძალის პოზიციებიდან წარიმართება მოლაპარაკება, არც აფხაზი ხალხია უპატრონოო, – განაცხადა მან და დარბაზი დატოვა.

ქართულმა დელეგაციამ საკითხი პირდაპირ დააყენა: შედის თუ არა აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში? პასუხი: აფხაზეთის სუვერენული სახელმწიფო შედის საქართველოს შემადგენლობაში.

როდესაც საკითხი კომპეტენციების გამიჯვნას შეეხო, აფხაზური მხარე ურიად გაკვირვებული დარჩა იმით, რომ „უფროს ქართველ ძმებს“ თბილისიდან გამზადებული პროექტი არ ჰქონდათ ჩამოტანილი. გადაწყდა, რომ ორივე მხარე შეიმუშავებდა თავ-თავიანთ ვარიანტს და შემდეგ მოხდებოდა მათი შეჯერება.

ამის შემდეგ ქართულმა დელეგაციამ დასვა საკითხი: თუ აფხაზური მხარე არ დაიცავს შეთანხმებას და მაინც თვითონ წარადგენს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურას, მაშინ მოლაპარაკების გაგრძელებას აზრი არა აქვსო. აფხაზებმა არძინბასთან მოსალაპარაკებლად შესვენება ითხოვეს, სხდომაზე დაბრუნებულებმა კი განაცხადეს, რომ შეთანხმების ამ პუნქტის დაცვას არ აპირებდნენ.

იმავე საღამოს დსთ-ს ტელევიზიის პროგრამა „ნოვოსტიმ“ გადმოსცა, რომ სოხუმში დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს მოლაპარაკებები „საქართველოსა და აფხაზეთის რესპუბლიკებს შორის“.

აფხაზეთიდან ქართული დელეგაციის დაბრუნებიდან მეორე დღესვე, 9 მაისს გივი ლომინაძე გაათავისუფლეს შინაგან

საქმეთა მინისტრის პოსტიდან. თბილისმა ეს გადაწყვეტილება არ მიღო. აფხაზების მიერ დანიშნული ახალი მინისტრი კაბინეტში არ შეუშვეს. იმავე დღეს სოხუმში გამართულმა ქართული საზოგადოების ყრილობამ დაუმორჩილებლობა გამოუცხადა ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს და მისი დაშლა მოითხოვა. ყრილობამ, რომლის მუშაობაში 19 საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები მონაწილეობენ, თავის რეზოლუციაში განაცხადა, რომ აფხაზეთის დღევანდელი პარლამენტი და უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი არღვევს აფხაზეთის კონსტიტუციას და, რომ აფხაზეთში ამ ბოლო დროს მიმდინარე პროცესებს ეთნიკური მონოპოლიზმისკენ, ავტორიტარიზმისკენ და საქართველოს ეროვნული მთლიანობის ხელყოფისკენ მიეყავართ. რეზოლუციაში წამოყენებული იყო აფხაზეთის უზენაესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმისა და მთავრობის მიერ კანონის დარღვევით მიღებული საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების გაუქმების, უზენაესი საბჭოს მიერ საკუთარი უფლებამოსილების ნებაყოფლობით შეწყვეტის, აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული საჯარისო ფორმირებების განლაგების და სხვა მოთხოვნები.

12 მაისს საქართველოს სახელმწიფო საბჭომ გააუქმა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეკრეტი „აფხაზეთის რესპუბლიკის მიწის კოდექსის“ პროექტის შესახებ და დადგენილება „აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის იურისდიქციაში გადაცემისა და გამგებლობაში მიღების შესახებ.“

24 ივნისს (თარიღი შემთხვევით არ დაემთხვა გამსახურდიას მომხრეთა მიერ თბილისში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას) გივი ლომინაძეს უხეში ფიზიკური ძალის გამოყენებით დაატოვებინეს კაბინეტი. ამ თავხედურ აქტთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილე ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში – სანდრო კავსაძე ელადისლავ არძინბას წერდა: „გუშინ საავადმყოფოში ეინახულე სოხუმში 24 ივნისს მძიმედ დაშავებული მილიციის გენერალ-მაიორი გივი ლომინაძე. თქვენთვის კარგად უნდა იყოს ცნობილი მისი დაშავების ფაქტი, რამეთუ ამბობენ, რომ ეს აქცია თქვენი ხელდასმით განუხორციელებია ა. ანქვაბს.

ადრე, პირადი შეხვედრის დროს და შემდეგ, ტელეფონით საუბრისას, შევეხეთ რა კადრებს, გითხარით, რომ კადრების შერჩევა-გადაადგილებას არ უნდა ედოს საფუძვლად ერთი ერის უფლებათა შელახვის სარჯზე მეორე ერის ინტერესთა პრიმატი. უფრო მეტიც, კადრების საკითხი საერთოდ არ უნდა ფიგურირებდეს ეროვნებათა შორის სხვა გამწვავებულ, საჭირბოროტო პრობლემათა რიგში

24 ივნისს სოხუმში შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის დარბევა, თვით მინისტრის ცემით სიკვდილის პირამდე მიყვანა, აშკარა რგოლია საქართველოს დამოუკიდებლობისა და მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული მზაკვრული გეგმისა, რომლის განსორციელებასაც დიდი ხანია წარუმატებლად ცდილობენ ჩვენში...

ღრმად მწამს, რომ აფხაზურ-ქართულ ურთიერთობას ორივე ხალხის მოსიყვარულე ადამიანი უნდა მართავდეს. თუ თქვენ ასეთად მიგაჩნიათ თავი, გისურვებთ უმოკლეს დროში გამოგესწორებინოთ ის დიდი ხარვეზები, რომლებიც ამ ურთიერთობას ძაბავს ..."[189]

1992 წლის 1 ივლისს გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დადგენილება აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. „მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა და კოლეგიალური რჩევისა, აფხაზეთის ხელმძღვანელობას თავი შეეკავებინა ვოლუნტარიზმისგან, საკადრო პოლიტიკაში ხელი აეღო ძალისმიერი მეთოდების გამოყენებაზე, მაინც გადადგა ძალადობის ეს ნაბიჯი.

1992 წლის 24 ივნისს სოხუმში შეიარაღებულმა პირებმა ალყა შემოარტყეს შინაგან საქმეთა სამონისტროს შენობას, მძიმედ დააშავეს შს მინისტრი გ. ლომინაძე, რამაც გამოიწვია აფხაზეთის მოსახლეობის, განსაკუთრებით მისი ქართული ნაწილის აღშფოთება – დაიწყო დაუმორჩილებლობა (ავტონომიური რესპუბლიკის შსს რაიონული და საქალაქო განყოფილებების ნახევარზე მეტი სამინისტროს არ ემორჩილება), გამოცხადდა გაფიცვა, რამდენიმე საათის განმავლობაში შეწყდა ელექტროენერგიის მიწოდება, გაითიშა კავშირგაბმულობის სისტემა, შეფერხდა კომუნიკაციების სხვა საშუალებების მოქმედება. იქმნება

[189]. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 30 ივნისი, 1992 წ.

იმის საშიშროება, რომ მოვლენების შემდგომი განვითარება გამოიწვევს ქაოსს და სიტუაციას უმართავს გახდის ...

სახელმწიფო საბჭოში შემოსული ცნობებით აფხაზეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი არ ენდობა და არ ემორჩილება აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს,"– ნათქვამი იყო დადგენილებაში.

შექმნილი ვითარების გათვალისწინებით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო აღგენდა:

„1. დაევალოს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ბ-ნ თ. ნადარეიშვილს მდგომარეობის შემდგომი გართულების, მოსალოდნელი დაპირისპირებისა და შეტაკებების თავიდან აცილების მიზნით კოორდინაცია გაუწიოს სტაბილიზაციისთვის გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელებას. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სათანადო ახსნა-განმარტებით მუშაობას აფხაზეთის მოსახლეობასთან, მის ქართულ ნაწილთან.

2. ბ-ნმა თ. ნადარეიშვილმა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან ბ-ნ ვ. არძინბასთან, აფხაზთა მხარის დეპუტატებთან ერთად უზრუნველყოს ყველა აუცილებელი ზომის მიღება შექმნილ რთულ ვითარებაში მოსალოდნელი მწვავე შედეგების თავიდან ასაცილებლად..."[190]

18 ივლისს სოჭში, სახელმწიფო აგარაკზე ელცინი საიდუმლოდ შეხვდა არძინბას და აფხაზური ელიტის სხვა წარმომადგენლებს. უკვე ხუთი დღის შემდეგ, 23 ივლისს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესიამ, რომელსაც 65-დან სულ 36 დეპუტატი ესწრებოდა, მიიღო გადაწყვეტილება ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედების შეწყვეტისა და 1925 წლის კონსტიტუციის მოქმედების აღდგენის შესახებ. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა აფხაზეთის რესპუბლიკა.

ცხადია, ამ ორი ფაქტის დროში დამთხვევა შემთხვევითი არ იყო. სოჭის შეხვედრაზე აფხაზებმა ელცინისგან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ომის დაწყების სანქცია მიიღეს.

---

[190]. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1 ივლისი, 1992 წ.

კითხვაზე - ნიშნავს თუ არა 1925 წლის კონსტიტუციის არ-დგენა აფხაზეთის გასვლას საქართველოს შემადგენლობიდან, არ-ძინბამ უპასუხა: აფსაზეთის 1925 წლის კონსტიტუციაში გარკვევით წერია, რომ აფხაზეთი და საქართველო გაერთიანებული არიან ურთიერთშორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზეო.[191]

ცხადია, არძინბა თაეალთმაქცობდა. ზემოთ ჩვენ უკვე ვი-საუბრეთ იმის შესახებ, რომ ამ ხელშეკრულებისა და 1925 წლის კონსტიტუციაში ტერმინ „ავტონომიურის" არარსებობის მიუხე-დავდ, აფხაზეთის ფაქტიური მდგომარება სწორედ ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსს შეესაბამებოდა. ასევე განიხილავდა მას სსრ კავშირის კონსტიტუციაც. არძინბა და მის გარშემო გაერთი-ანებული სეპარატისტები ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ წინ საქარ-თველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გაყვანის მიმართულე-ბით. აფხაზური მხარე ასდენდა ძალაუფლების უზურპაციას, ქმნი-და მონოეთნიკურ, უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს, მი-მართავდა უხეშ ძალისმიერ მეთოდებს, ამზადებდა სამართლებ-რივ ბაზას აფხაზეთის დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად.

27 იელისს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბ-ჭომ მიიღო დადგენილება „1978 წლის კონსტიტუციის მოქმედე-ბის შეწყვეტის შესახებ" აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს 1992 წლის 23 იელისის დადგენილების თაობაზე", რომელშიც აღნიშ-ნული იყო, რომ საქართველოს სამხედრო საბჭოს მიერ 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის აღდგენის გამოცხადებას არ შეუცვლია საქართველოს რესპუბლიკის საზღვრები და ეროვ-ნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა, აფხაზეთის ასსრ სტატუსი, რაც დადასტურებულია საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 21 თებერვლის დეკლარაციის პირველივე პუნქტით. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო საბჭო აღდგენდა:

„ცნობილ იქნეს იურიდიული ძალის არმქონედ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს 1992 წლის 23 იელისის დადგენილება „1978 წლის აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის მოქმედების შეწყვე-ტის შესახებ".[192]

აფხაზი სეპარატისტები, იმ მოტივით, რომ თითქოს, არაკა-ნონიერი სახელმწიფო საბჭო ვერ გამოსცემს კანონიერ აქტებს,

---

[191]. იხ. დამირ ჯოჯუა, „სოხუმის დაცემა", თბ. 2014, გვ. 71;

[192]. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 28 იელისი, 1992 წ.

უგულვებელყოფდნენ ცენტრალური ხელისუფლების სავსებით ლეგიტიმურ დაღგენილებებს.

აშკარა იყო, რომ რუსეთის მიერ მხარდაჭერილი აფხაზი სეპარატისტები საქართველოდან აფხაზეთის მოწყვეტას ცდილობდნენ. ამ მიზნის მიღწევის გზაზე ისინი მოხერხებულად იყენებდნენ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების შედეგად შექმნილ ვითარებას – დროებითი მთავრობის სამართლებრივ შეუსაბამობას და ქართველთა შორის ურთიერთქიშპს. არძინბა ყველა საშუალებით უწყობდა ხელს ყოფილი პრეზიდენტის მომხრეებს, ეს უკანასკნელნი დაუსჯელად ახორციელებდნენ ცენტარლური ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ტერორისტულ აქტებს ავტონომიის ტერიტორიაზე, ძარცვავდნენ მატარებლებს, აფეთქებდნენ ხიდებს, აწყობდნენ გაფიცვებს, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე ატყვევებდნენ ადამიანებს, შემდეგ კი გადაჰყავდათ ისინი აფხაზეთში, სადაც სრულიად უსაფრთხოდ გრძნობდნენ თავს და ა.შ.

ტერიტორიული მთლიანობის რღვევის რეალური საფრთხე ქართველთა ძალისხმევის გაერთიანებას გადაუდებელ ამოცანად აყენებდა. საჭირო იყო ერთმანეთს შორის დავის სამერმისოდ გადადება, ურთიერთკომპრომისის გზით თუნდაც დროებითი თამხმობის მიღწევა. საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ეროვნული თანხმობისკენ მიმავალი გზის თაეისი წილი ბოლომდე განვლო. სწორედ ასე შეიძლება შეუასდეს 5 აგვისტოს გამოქვეყნებული სახელმწიფო საბჭოს მანიფესტი. ხელისუფლების მიერ უფრო მეტის გაკეთება შეუძლებელი იყო. უფრო მეტი მხოლოდ გადადგომა შეიძლებოდა ყოფილიყო. ეს კი არა კომპრომისი, არამედ კაპიტულაცია იქნებოდა.

რით უპასუხა ამ მანიფესტს მეორე მხარემ?

11 აგვისტოს, ზუგდიდში, სადაც მიმდინარეობდა მოლაპარაკება სამეგრელოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ოპერატიული ვითარების სტაბილიზაციის, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მიერ გამოცემული მანიფესტით გათვალისწინებული მიტეებისა და შერიგების ღონისძიებების პრაქტიკული განხორციელების საკითხებზე, შეხვედრის მონაწილეებს თავს დაესხა ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული რაზმი, დაახლოებით 50 კაცი.

იარაღის მუქარით მათ დაატყვევს, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს სამეგრელოს რაიონებში ვითარების სტაბილიზაციის საკოორდინაციო

შტაბის უფროსი, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი რომან გენცაძე, შტაბის უფროსის მოადგილე, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში დავით სარალიძე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ზიბერგ ხაზალია, ადმინისტრაციული პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ვალერიან როგავა, კრიმინალური პოლიციის სამძებრო სამმართველოს უფროსის მოადგილე მურთაზ ჩიქობავა და სხვები, სულ 12 კაცი. მეორე დღეს, დილით გაათავისუფლეს მურთაზ ჩიქობავა.

გატაცებულები გალის რაიონის ტერიტორიაზე გადაიყვანეს.

აქ შეეჩერდეთ:

კიდევ ერთხელ გადავაველოთ თვალი შექმნილ ვითარებას: რუსების მიერ წახალისებული აუხაზური და ოსური სეპარატიზმი შეტევაზეა გადმოსული. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევის საფრთხე მეტისმეტად რეალურია. ამასთან, სახეზე გვაქვს არსებული ხელისუფლების მიერ გამოცემული მანიფესტი – მიტევებისა და თანხმობის სერიოზული აქტი. ხელისუფლებამ გამსახურდიას ყველა მომხრეს მშვიდობიანი სამოქალაქო ცხოვრების დაწყების საშუალება მისცა (გამონაკლისს წარმოადგენდნენ მხოლოდ მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირები), უფრო მეტიც, მან ციხიდან ტერორისტული აქტების მომწყობი პირებიც კი გაათავისუფლა.

ეროვნული თანხმობის მიღწევის გზაზე კიდევ რა ნაბიჯი შეიძლებოდა გადაედგა ხელისუფლებას? სრული კაპიტულაციის მოთხოვნა ხელისუფლებისგან არასერიოზული იყო. სახელმწიფო საბჭოს კიდეც რომ მიეღო ასეთი გადაწყვეტილება, მის ადგილს ხელისუფლების დაბალი ეშელონებიდან სხვები დაიკავებდნენ. ხელისუფლებაში მყოფ ყველა პოლიტიკურ ძალას, მით უმეტეს, ყველა პოლიტიკოსს, კაპიტულანტურ განწყობაზე ვერავინ დააყენებდა. ის კი არადა, შევარდნაძეს მიტევებისა და შერიგების ამ მანიფესტის მიღებისთვისაც კი მთელი თავისი გაელენისა და ავტორიტეტის გამოყენება მოუხდა. – არც იოსელიანს, არც კიტოვანს, ბევრ სხვასაც, მისი მიღება არ სურდათ. მაშასადამე, შევარდნაძის გადადგომა პანაცეა არ იქნებოდა. სამოქალაქო ომს თავიდან ვერც ეს ნაბიჯი აგვაცილებდა. არც გვარდია, არც „მხედრიონი“ იარაღს უბრძოლველად არ დაყრიდნენ. ვერც ეროვნული დემოკრატების, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების, ბევრი სხვა პოლიტიკური ძალის თვითგვემის განწყობაზე დაყე-

ნებას შეძლებდა ვინმე... რაც მთავარია, ხელისუფლებაში გამსახურდიას დაბრუნების წინააღმდეგი იქნებოდა რუსეთი, რომელიც კლავაც მიაწოდებდა იარაღს ორივე მხარეს და მანმადე გააჭიანურებდა სამოქალაქო ომს საქართველოში, ეიდრე ქვეყნის პოლიტიკურ ასპარეზზე რეალური გავლენის მქონე პრორუსული ძალა არ გამოჩნდებოდა.

ასეთი იყო რეალობა.

პოლიტიკოსის, მით უმეტეს, პოლიტიკური ორგანიზაციის ნებისმიერი გადაწყვეტილება რეალობის ასახვას უნდა წარმოადგენდეს. ხელისუფლების მხრივ ეროვნული თანხმობის გზაზე გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევის რეალური საფრთხე ექსპრეზიდენტისა და მისი მომხრეებისგან ხელისუფლებასთან შეიარაღებული კონფრონტაციის შეწყვეტას და ძალაუფლებისთვის ბრძოლის მშვიდობიანი ფორმებით გაგრძელებას მოითხოვდა. რატომ უცხადებდნენ გამსახურდიას მხარდამჭერნი ბოიკოტს ოქტომბრის არჩევნებს? იმიტომ რომ ის ხელისუფლებაში გადატრიალების გზით მოსული ძალის მიერ იყო დანიშნული. მაგრამ განა ასეთივე გზით არ იყვნენ მოსული ხელისუფლებაში კომუნისტები? „მრგვალმა მაგიდამ“ კი მათ მიერ დანიშნულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა კიდეც. რა უშლიდა ხელს გამსახურდიას ახალი უგურპატორი ხელისუფლების მიმართაც გაემეორებინა ეს შედეგი? თუკი ის ხალხის მხარდაჭერაში იყო დარწმუნებული, მიეღო მონაწილეობა არჩევნებში და გაემარჯვა. კომუნისტებმა ვერ შეძლეს არჩევნების შედეგების იმ დონეზე გაყალბება, რომელიც ხალხის მასების საყოველთაო ანტისაბჭოურ განწყობას გადაფარავდა. ვერ შეძლებდა „ხუნტის“ საწინააღმდეგო განწყობის გადაფარვას ვერც ახალი ხელისუფლება. მაგრამ, იყო კი ხალხში ასეთი საყოველთაო განწყობა?

აი, რა ეეჭვებოდათ ექსპრეზიდენტს და მის მომხრეებს. სწორედ ამიტომ იყვნენ ისინი არჩევნების წინააღმდეგნი. სწორედ ამიტომ აფეთქებდნენ ხიდებს, ძარცვავდნენ მატარებლებს, იტაცებდნენ ადამიანებს, იწვევდნენ ქაოსს და არეულობას, რათა ამ გზით დაესუსტებინათ ხელისუფლება და მიეღწიათ მისი ჩამოგდებისთვის... სწორედ ამაზე მიანიშნებდა ექსპრეზიდენტი თავის ერთ-ერთ სატელევიზიო მიმართვაში გროზნოში ყოფნისას, როდესაც ამბობდა, რომ ფაქტიურად ის მარტო დატოვეს და მის ბოლო მიტინგებზე ხალხი აღარ მოდიოდა. „ხალხმა თავის სინ-

დისში ჩაიხედოს..... შიგნითაც ნახევარზე მეტი მოღალატე იყო ... თვით შტაბის უფროსი მოღალატე იყო“...

მაგრამ მათი ასეთი ქმედებები არა მხოლოდ ხელისუფლებას, ქართულ სახელმწიფოსაც ასუსტებდა. ამიტომაც, სურდათ თუ არა ეს მათ, თავიანთი ანგისახელისუფლებო ქმედებებით, საერთო-ეროვნულ ინტერესებზე რევანშისტული განწყობილებების მაღლა დაყენებით, გამსახურდიას მომხრენი მტრის წისქვილზე უშვებდნენ წყალს.

გუგდიდში მომხდარ ინციდენტს დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ხელისუფლება. სახელმწიფო საბჭოს მიმართვაში ნათქვამი იყო: „სამწუხაროდ, პოლიტიკური დიალოგი შეუძლებელი ხდება ადამიანებთან, რომლებმაც საზოგადოებაზე შემოქმედების ცივილიზებული საშუალებების არსენალი ამოწურეს, შეუნიღბავი ტერორიზმის გზას დაადგნენ და სისხლის სამართლის დამნაშავეებად იქცნენ. მათ განახორციელეს არაერთი დივერსიული და ტერორისტული აქტი, იმსხვერპლეს უდანაშაულო ადამიანები, ქვეყანას მიადგა მილიონობით მანეთის ზარალი. როგორც გამოძიების მასალებით ირკვევა, ეს დივერსიები და ტერორისტული აქტები ორგანიზებულია ყოფილი პრეზიდენტის მიერ...

ბანდიტებთან, მკვლელებთან და ყაჩაღებთან ურთიერთობაში დათმობისა და მიმტევებლობის დრო ამოიწურა. ახლა მათ უნდა ველაპარაკოთ კანონის ენით. ჩვენ მართალი ვართ ქვეყნის, ღმერთისა და თვით მათ წინაშეც. იმდენ დათმობაზე წავედით, იმდენი ლმობიერება გამოვიჩინეთ, რაც, ალბათ, არცერთ ხელისუფლებას არ გაუკეთებია.“ [193]

ქვეყნის მოსახლეობას ტელევიზიით მიმართა ედუარდ შევარდნაძემაც: „მე გულწრფელი ვიყავი, როდესაც სახელმწიფო საბჭოსა და ჩემს ხალხს შევთავაზე შერიგების, მორიგების მანიფესტი – დიდი ეროვნული კომპრომისი. მე ამაში ვხედავდი გამოსავალს იმ კრიზისიდან, რომელშიც აღმოჩნდნენ ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ხალხი.

როდესაც პოლიტიკურ მოღვაწეს ასე გაუცრუვდება იმედი და მისი ნაბიჯი არ გაამართლებს და ასე მუხანათურად უღალატებენ, იგი წესით, უნდა გადადგეს. მე ეს ვუთხარი ჩემს კოლეგებს მაგრამ მათ დამარწმუნეს, რომ ეს ახლა ხალხის ღა-

---

[193]. „ საქართველო XX საუკუნის 90-იანიწლები, ქრონიკები“, წიგნი II, გვ. 325;

ლაგი იქნებოდა... არ მინდა თქვენ ეს რაღაც სენტიმენტალიზმში ჩამომართვათ. მე მართლაც მიმაჩნია, რომ ეს გარკვეული მარცხია. მარცხია ჩემი პირადი, საკუთარი, რადგან მოვუყუჯდი, რეალურად ვერ შევაფასე ის ძალები, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ იბრძვიან, ვერ განესაზღვრე ის მასშტაბი ბოროტებისა, რომელიც მათ შეეძლოთ იკადრონ. და მაინც, დავეთანხმე დღეს ჩვენს მეგობრებს დავრჩე მწყობრში და ვებრძოლო ბოროტებას, ვებრძოლო ბოროტებას არა ბოროტებით, არა მარტო ძალით, მაგრამ ძალითაც, ძალის გამოყენებითაც ჩვენ გადავწყვიტეთ ამაღამვე დამუშავდეს სამხედრო ოპერაციების გეგმა. უწინარესად რკინიგზების, საავტომობილო მაგისტრალების, ხიდების დაცვის გეგმა. რა თქმა უნდა, ყოველივე ამის მიმანია დავიცვათ მსვიდობიანი ადამიანების ინტერესები ეს ეხება არა მარტო ერთ რეგიონს, ლაპარაკია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე – დაწყებული ლესელიძით და დამთავრებული ყაზბეგის რაიონით მინდა მოგახსენოთ, რომ გვარდიაში, „მხედრიონში“, საქართველოს პოლიციაში ყველაფერი დუღს ახლა. ახლახან ჩემთან იყო ქალაქის პოლიციის გარნიზონის უფროსი ბატონი დავით გეიკიძე და მითხრა, ვერ ვაკავებო პირად შემადგენლობას – აღშფოთებული არიან და ლამის ქვეითად მოაწყონ ლაშქრობა, ჩავიდნენ აღგილზე, რათა თავიანთი მინისტრი დაიხსნან. იგივე მითხრეს სენაკში, ქუთაისში, ასევეა აჭარაში და აფხაზეთში ვთხოვ ჩვენს ხალხს, რომ ხვალ გამოვიდნენ ქუჩებში და მოითხოვონ ჩვენგან, რომ შევუტიოთ ჩვენს მოწინააღმდეგეებს. მე ეს სიტყვა არ მიხმარია, რაც საქართველოში ჩამოველი. ახლა პირველად ვიტყვი – ჩვენი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, საქართველოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში!
მე ვხედავ ვისი ხელი ტრიალებს ამ ამბებში, ვისი ხელწერაა ეს. ეს არ არის ძნელი გასარჩევი. ეს ის ხელწერაა, რომელმაც ჩიქოვანის ქუჩაზე ხუთი კაცი იმსხვერპლა, მათ შორის ქალები, ბავშვები, უდანაშაულო ხალხი ხვალ-ზეგ მიიღებთ დეტალურ ინფორმაციას, საიდან წარმართავენ ამ შემზარავ და საძაგელ პროცესებს საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ, ქართველი ხალხის წინააღმდეგ.“[194] - ნათქვამი იყო მიმართვაში.

---

[194]. „საქართველო, XX საუკუნის 90-იანი წლები, ქრონიკები“, წიგნი II, გვ. 326-327;

სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის 11 აგვისტოს სხდომაზე გადაწყდა ქართული საჯარისო ფორმირებების აფხაზეთის ტერიტორიაზე შეყვანა. დადგენილებაში მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული ამ გადაწყვეტილების მიზანი: სამგრედიდან ლესელიძემდე რკინიგზის მონაკვეთის გაკონტროლება. სახელმწიფოს მეთაურმა თავის სიტყვაში აღნიშნა: „სტაბილურობის უზრუნველყოფა საჭიროა, მაგრამ იმ პირობით, რომ საჯარისო ქვეგანაყოფები იზოლირებული იქნებიან დასახლებული პუნქტებისგან, ეს ძალები განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ შემადგენლობების, ხიდების, გადასასვლელებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის დასაცავად. საჭირო არ არის რაიმე რეგიონების გამოყოფა, მსჯელობაშია მთელი საქართველო. თუმცა, შეიძლება იყოს სირთულენი აფხაზეთის, ფოთისა და ზუგდიდის რაიონების ტერიტორიებზე. იარაღის გამოყენება შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ დაცვას თავს დაესხმიან“.[195] ამ უაღრესად მკაფიო მითითებების საფუძველზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნული იყო: „ტვირთების უსაფრთხო გატარებაზე პასუხისმგებლობას მთლიანად კისრულობს თავდაცვის მინისტრი ერთი-ორი თვით. ყველა შემადგენლობა (მათ შორის სამხედრო ტექნიკით) უნდა იყოს გაცილებული. საჭიროა ლესელიძედან სამგრედიამდე მოეწყოს 2-3 ბანაკი იმისთვის, რომ გამცილებლების ცვლა მუდმივი და გარანტირებული იყოს ლესელიძეში. კონტიგენტი უნდა იყოს კარგად შერჩეული, კარგი ანაზღაურებით, კარგი კვებით, მომარაგებით და ა. შ. _ **არცერთი წარმომადგენელი არ შევა ქალაქებში, სოფლებში, ყველა ეს ბანაკი ქალაქიდან იზოლირებული იქნება. ქალაქებსა და სოფლებში წესრიგის დაცვა ეხება ადგილობრივ მილიციას. სადაც საჭიროა, თუ მოსახლეობა მოითხოვს, ცენტრიდან მილიციის დამატებითი ძალები შევლენ_“**[196] ამ გადაწყვეტილების შესახებ შევარდნაძემ ტელეფონით საქმის კურსში ჩააყენა არძინბა. შეთანხმდნენ, რომ გეგმის კონკრეტულ დეტალებს არძინბას ადგილზე კიტოვანი გააცნობდა.

14 აგვისტოს საქართველოს შეიარაღებული ძალები აფხაზეთში შევიდნენ. კიტოვანი კი 14-15-16-ში იმერეთის რაიონებში

---

[195] ედუარდ შევარდნაძის ინტერვიუ „იზვესტიის“ კორესპონდენტთან, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 7 თებერვალი, 1995 წ.

[196] ედუარდ შევარდნაძის რადიოინტერვიუ, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 17 იანვარი, 1995 წ.

გადაადგილდებოდა და სახელმწიფო მეთაური მასთან დაკავშირებას ვერ ასერხებდა. უმეთაუროდ დარჩენილ ეროვნული არმიის ქვედანაყოფებს აფხაზურმა გვარდიამ ოჩამჩირის რაიონში ცეცხლი გაუხსნა, რასაც მსხვერპლი მოჰყვა.

ასე დაიწყო ეს საშინელი ძმათამკვლელი ომი.

15 აგვისტოს გრომნოდან გადაიცა გამსახურდიას მოწოდება: „მოგიწოდებთ ქართველ ხალხს, კავკასიის ხალხებს, მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობას, კეთილი ნების ყველა ადამიანს, გენოციდისგან დაიცვათ მცირერიცხოვანი მრავალტანჯული აფხაზი ხალხი.“[197]

რომელ გენოციდზე საუბრობდა გამსახურდია? აფხაზი ხალხის გენოციდს მართლაც ჰქონდა ადგილი XIX საუკუნის 70-80-იან წლებში, მაგრამ მისი „შემომქმედი“ იყო რუსეთის იმპერია. მრავალსაუკუნოვან ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს ასეთი რამ არ ახსოვდა. თვით 1918 წელს, რუსი ბოლშევიკების წაქეზებით ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ აჯანყებული აფხაზი სეპარატისტების დასასჯელად აფხაზეთში ქართული სამხედრო შენაერთების შესვლის დროსაც კი მშვიდობიან აფხაზ მოსახლეობას არანაირი საფრთხე არ დამუქრებია. აფხაზეთში ქართული ჯარის ახლანდელი შესვლის მიზეზი და საბაბიც ხომ გამსახურდია და მისი მომხრენი იყვნენ. სწორედ აფხაზეთის ტერიტორიაზე აფეთქებდნენ ისინი ხიდებს, ძარცვავდნენ მატარებლებს, სწორედ აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაჰყავდათ მათ გატაცებული ადამიანები აფხაზი სეპარატისტები ყველანაირად უწყობდნენ ხელს ექსპრეზიდენტის მომხრეთა ამგვარ ქმედებებს ... ორივეს მიზანი ხომ ქართული სახელმწიფოს დასუსტება იყო.

17 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფო საბჭომ მიმართა აფხაზ ხალხს და კიდევ ერთხელ განმარტა აფხაზეთში ქართული სამხედრო შენაერთების შეყვანის მიზეზი და მიზანი. ქართული ჯარის მიზანია აფხაზეთის ტერიტორიაზე ტერორიზმისა და დივერსიების აღკვეთა, რკინიგზის დაცვის უზრუნველყოფა და არა ომი აფხაზებთან, — ნათქვამი იყო მიმართვაში. „ჩვენ ვიცოდით საღ ყავდათ მძევლები. ამიტომ გუშინ ერთხელ კიდევ გავაფრთხილეთ აფხაზეთის ხელმძღვანელობა მიეღო ზომები მათ გასათავისუფლებლად. აგრეთვე კატეგორიულად მოვთხოვეთ ბან-

[197]. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 18 აგვისტო, 1992 წ.

დების მეთაურებს დაუყოვნებლივ გამოეშვათ მძევლები. იყო შეპირება, რომ გაათავისუფლებდნენ მხოლოდ რომან გვენცაძეს. მაგრამ პრეზიდენტყოფილთან მოლაპარაკების შემდეგ მათ თავიანთი სიტყვა გადათქვეს. აი, ამიტომ შეიარაღებული ძალები შეიდნენ აფხაზეთში, შეიდნენ მხოლოდ იმისთვის, რომ ბოლო მოულონ დასავლეთ საქართველოში შეიარაღებული ბანდების თარეშს,"[198] - აღნიშნავდა შევარდნაძე. მისი თქმით, საქართველოს ეროვნული არმიის ნაწილები მოქმედებდნენ ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და ამიტომ აფხაზური მხარის ისტერია რაღაც ოკუპაციაზე სრულიად უადგილო იყო. სახელმწიფო საბჭოს სისტემატური კაეშირი ჰქონდა სერგეი ბაღაფშთან, ალექსანდრე ანქვაბთან, თამაზ ნადარეიშვილთან. ბაღაფშმა შეატყობინა თბილისს, რომ რომან გვენცაძე გათავისუფლებულია. იმავე დღეს აფხაზეთში გაემგზავრნენ თენგიზ სიგუა და ჯაბა იოსელიანი, რათა კიტოვანთან ერთად ეწარმოებინათ მოლაპარაკებები აფხაზურ მხარესთან.

ომი სურდათ აფსაზებს. 1992 წლის აგვისტოს დამდეგს სვეტლანა ჩერვონნაიასთან საუბარში არძინბა აცხადებდა: „ჩვენ კარგა ხანია მზად ვართ, ჩვენ ნახევარ საათში შეგვიძლია თოფის ქვეშ დავაყენოთ მთელი მოსახლეობა. ჩვენი არსენალები სავსეა რუსული იარაღით და ნებისმიერ მომენტში შეგვიძლია მივიღოთ ორჯერ, სამჯერ მეტი. ჩვენ დავუკავშირდით კაბაკობას, მალე აქ დაიწყება ომი და მარტო კაეკასია კი არა, მთელი რუსეთი ამოქმედდება".[199] აფხაზთა ანტიქართული განწყობის შექმნაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართული დემოგრაფიული უმრავლესობის ფაქტორმა. როგორც დაზმირ ჯოჯუა წერს: „აფხაზი ეთნოსის ცნობიერებაში ჩამოყალიბდა ქართველთაგან ხელოვნური შეეიწროების, თეითმყოფადობის დაკარგვისა და ასიმილაციის არაპროგნოზირებადი, ამასთან აბსოლუტურად ფიქტიური და ირაციონალური შიში. რუსეთის იმპერიის ოსტატური მანიპულირებით ეს ტოტალრი „ეთნოშიში" გადაიზარდა ქსენოფობიაში, ბიოლოგიურ სიძულვილსა და საომარ ფსიქოლოგიურ კომპლექსში....." და მაინც, „ეს იყო რუსეთ-საქართველოს მორიგი ომი..... კომბინირებული ქართულ-აფხაზურ შიდასახელ-

---

[198]. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 15 აგვისტო, 1992 წ.

[199]. იხ. დაზმირ ჯოჯუა, „სოსუმის დაცემა", გვ. 70;

მწიფოებრივ კონფლიქტთან. მისი ძირითადი კონტრაპენტები არიან რუსეთი და საქართველო და მხოლოდ ამის შემდეგ და ამის ფონზე ქართველები და აფხაზები (ჩეჩნებთან, ყაბარდოელებთან, დაქირავებულებთან ერთად)."[200] დღეს დოკუმენტურად დადასტურებული ფაქტია, რომ აფხაზური ეთნოკრატიული სეპარატიზმის მორიგი აღმავლობა რუსეთის მიერ იყო ინსპირირებული. სვეტლანა ჩერვონნაიას მოჰყავს ციტატა საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტის იმდროინდელი თავმჯდომარის ვ. ბაკატინის პუბლიკაციიდან: „უშიშროების კომიტეტი იდგა ურჩ მოკავშირე რესპუბლიკებში „ინტერნაციონალური ფრონტების" შექმნის სათავეებთან „გათიშე და იბატონეს" ლოგიკა ხელს უწყობდა ამ რესპუბლიკებში საზოგადოების გახლეჩას ორ დაპირისპირებულ ბანაკად, იწვევდა სოციალური დაძაბულობის გამწვავებას..... მოქმედებდა სქემა: „არ გინდათ დაქვემდებარება, მიიღებთ ინტერფრონტს, რომელიც მოაწყობს გაფიცვებს, დააყენებს საკითხს მოკავშირე რესპუბლიკების საზღვრების გადასინჯვის, ხელისუფლების არჩეულ ორგანოთა კანონიერების შესახებ. შემდეგ ამ ინტერფრონტების (იგულისხმება „აიდგილარა") მოღვაწეობა სახუშიშროების კომიტეტის მიერ საღდებოდა „მთელი ხალხის" (იგულისხმება აფხაზი ხალხი) ნების გამოხატულებად"[201]. სწორედ ამიტომ ომის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო. სავსებით მართალია ჟურნალისტი ალეკო ასლანიშვილი, რომელიც წერდა, რომ ომი გარდაუვალი იყო - არ დაიწყებოდა აგვისტოში, წამოგვაგებდნენ დეკემბერში, წლეულს თუ გაისად; ქართული საჯარისო ნაწილების შესვლა მხოლოდ საბაბად, კობირად იქცა, რომლის გამოყენებაც სეპარატისტებმა არ დაახანეს. შეცდომა შესვლა კი არ იყო, არამედ ის, რომ ვერ გავთვალეთ, თუნდაც ალბათობის თეორიის შესაბამისად, აფხაზეთში ქართული ნაწილების გადაადგილების ყველა შესაძლო პერიპეტია, რათა ასე მოულოდნელად და მოუმზადებლად არ აღმოეჩინილიყავით ომში ჩათრეულნიო.

ამ სავსებით მართებულ ანალიზსს ვერაფერს დავუმატებთ. ქვემოთ მკითხველს მხოლოდ იმას შევახსენებთ, თუ რა მოვლენებმა შეუწყვეს ხელი საქართველოს ხელისუფლების მიერ ამ

---

[200] .იხ. დამპირ ჯოჯუა, „სოხუმის დაცემა," თბ. 2014, გვ. 30;

[201] .იხ. დამპირ ჯოჯუა, „სოხუმის დაცემა", თბ. 2014, გვ. 34;

უმძიმესი გაღაწყვეტილების არა რაციონალური გათვლების, არამედ ემოციის საფუძველზე მიღებას.

აფხაზეთში ქართული ჯარების შესელამდე ომისთვის არძინბას მზადებას ნათლად მოწმობს 1992 წლის 13 ივნისს გამოცემული მისი ბრძანებულებაც, რომელსაც გრიფი – „სრულიად საიდუმლოდ“ აღევს და რომელშიც იგი უშუალოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის საჯარისო ნაწილების უფროსებს მიმართავს: „აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილ საგანგებო სიტუაციასთან დაკავშირებით გავალებთ ამ განკარგულების მიღებისთანავე დაუყოვნებლივ გადასცეთ თქვენს ნაწილებში არსებული იარაღი და საბრძოლო მასალა აფხაზეთის რესპუბლიკის შინაგანი ჯარის წარმომადგენლებს...“[202]

დიახ, არძინბა ბრძანებდა და რუსი ოფიცრები ემორჩილებოდნენ. ამ ბრძანებულებიდან ერთი თვის შემდეგ აფხაზეთში გაიმართა აფხაზურ-ადიღეური კულტურის ფესტივალი. ჩრდილოეთ კავკასიიდან აფხაზეთში ჩამოსული ასობით სტუმარი უკან აღარ წასულა.

დასავლეთ საქართველოში და აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურა საქართველოს კათალიკოსი ილია მეორეც. „საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ კვლავ არ ცხრებიან ის ძალები, რომელთაც ხელს არ აძლევეთ (შერიგების) პროცესი. ისინი, ცრუ მაღალ იდეალებს ამოფარებულნი, აფეთქებენ ხიდებს და ლიანდაგებს, ძარცვავენ მატარებლებს, ორგანიზაციებს, აშინებენ მოსახლეობას, ხოცავენ ადამიანებს და კაღრულობენ ყველაფერს, ოღონდ მშვიდობა დაარღვიონ ქვეყანაში.

ასეთ პიროვნებებს არ შეიძლება კეთილი მიზანი ამოძრავებდეთ, არ შეიძლება ძარცვას, ნგრევას, ბოროტებას რაიმე გამართლება ჰქონდეს.“[203]

18 აგვისტოს, იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფო საბჭოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე სოხუმში ქართული ჯარის შეყვანის კატეგორიული წინააღმდეგი იყო, თენგიზ კიტოვანმა და თენგიზ სიგუამ ადგილზე მიიღეს გადაწყვეტილება აფხაზეთის დედაქალაქში ჯარის შეყვანის თაობაზე. აი, როგორ აღწერს ამ

---

[202] .გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 25 თებერვალი, 1993 წ.

[203]. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა.“ 15 აგვისტო, 1992 წ.

ამბავს აფხაზეთის იუსტიციის მინისტრი ოთარ ბენიძე: „მე ეიმ-ყოუებოდი მთავრობის აგარაკზე. აქვე იყვნენ აფხაზეთის ავტო-ნომიური რესპუბლიკიდან ნაპოლეონ მესხია ... თენგიზ კიტოვანი და თენგიზ სიგუა. დაახლოებით 10 საათზე თბილისიდან დარეკა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. ტელეფონთან პირველი მიეიდა დეპუტატი მესხია. მან გვითხრა, რომ ტელეფონის ხაზზეა ედუ-არდ შევარდნაძე, რომელიც იხვეწება, რომ არ შევიდეს სამხედ-რო შეიარაღებული ძალა სოხუმში. ბატონი ედუარდი თბილისი-დან ყოველ 10-15 წუთში რეკავდა. ბოლოს მე მიევიდი ტელეფონ-თან. ბატონმა შევარდნაძემ იგივე გაიმეორა: ყველაფერი იღო-ნეთ, რომ სამხედრო ძალა არ შევიდეს სოხუმში, რომ ეს იქნება დამღუპველი მთლიანად საქართველოსთვის, გამოუსწორებელი შეცდომა. შევარდნაძე ჩემთან და იქ მყოფ დეპუტატებთან სა-უბარში თხოულობდა, რომ ტელეფონთან მისულიყვნენ ბატონები თენგიზ კიტოვანი და თენგიზ სიგუა, მაგრამ მათ ყურად არ იღეს, იგნორირება გაუკეთეს შევარდნაძის ამ თხოვნას, მის მუ-დარას. ამის შემდეგ კიტოვანმა გასცა ბრძანება და ჯარიც შევი-და ტექნიკით სოხუმში.“[204] თეიმურაზ ლომაია: „...გაისმა ტელე-ფონის ზარი. კიტოვანმა თქვა, ვიცი შევარდნაძე რეკავს და მე არ დაველაპარაკებიო. დაელაპარაკა გიორგი ხაინდრავა, რო-მელმაც საუბარი რომ დაამთავრა, გვითხრა: ბატონი ედუარდი იყო და ბრძანა ჯარი წინ არ წავიდესო. ამაზე კარგად შეიკურ-თხა კიტოვანმა, მე მაინც წინ წავალო. სხვებმა ვთქვით – შევარ-დნაძე სწორია-თქო.“[205]

კიტოვანმა და სიგუამ სოხუმში ჯარის შეყვანა იქ არსებუ-ლი მძიმე კრიმინოგენული ვითარებით და პურპროდუქტებით ქა-ლაქის მომარაგების შეწყვეტის საფრთხით ახსნეს. 12 საათსა და 30 წუთზე ქართულმა ჯარმა უზენაესი საბჭოს შენობა დაიკავა.

---

[204] . არმაგ სანებლიძე, ინტერვიუ რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილესთან, ბატონ ანზორ ბალუაშვილთან, გაზ. „საქართველოს რეს-პუბლიკა“ 16 იანვარი 1996 წ.

[205]. არმაგ სანებლიძე, „და ხვალ იყო ომი...“ გაზ. „საქართველოს რესპუბლი-კა“, 14 ივლისი, 1998 წ. აღნიშნულ სტატიაში სამთავრობო ჯარების სოხუმ-ში შესვლის თარიღად დასახელებულია 14 აგვისტო, რაც სიმართლეს არ შეეფერება. 14 აგვისტოს კიტოვანი საერთოდ არ იმყოფებოდა აფხაზეთის ტერიტორიაზე.

ქალაქის მოსახლეობის აფხაზურმა ნაწილმა თითქმის მთლიანად მიატოვა სოხუმი და გუდაუთაში გაიქცა.

ქართული ჯარის შეყვანამ სოხუმში კრიმინოგენული ეითარება კიდევ უფრო დაძაბა. დაიწყო აფხაზთა მიერ მიტოვებული ბინების ძარცვა. მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა ქალაქში დრანდის ციხიდან გამოქცეული რამდენიმე ათეული პატიმარის შეღწევამ.

სახელმწიფო საბჭომ სასწრაფოდ შეიმუშავა აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობის მოწესრიგების გადაუდებელ ღონისძიებათა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა: საქართველოს შეიარაღებული ძალების უშუალოდ რკინიგზების დაცვაზე გადაყვანას, სოხუმიდან შეიარაღებული ფორმირებების გამოყვანას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ამოცანის შესრულების მხოლოდ პოლიციისთვის გადაცემას, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესიის დაუყოვნებლივ მოწვევას, საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამის ორგანოებს შორის ფუნქციებისა და კომპეტენციების გამიჯვნის დროებითი დებულების ერთი თვის ვადაში შემუშავებას, მონოეთნიკური შეიარაღებული ფორმირებების დაშლას და სხვ.

სახელმწიფო საბჭოს მიერ შემუშავებული გეგმა დაპირისპირებულ მხარეთა ორმხრივ კეთილ ნებას გულისხმობდა. ასეთ ნებას კი აფხაზური მხარე არ ამჟღავნებდა. „ჩვენ გაიძულებთ, რომ გვესროლოთ!“ - ჯერ კიდევ შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე იმუქრებოდა არძინბა. მან მიზანს მიაღწია ქართველებსა და აფხაზებს შორის შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყო. მას ამ კონფლიქტის განმუხტვა კი არა, რუსების დახმარებით მოგება სურდა. ამიტომაც ქართული მხარის სამშვიდობო ინიციატივებს განხორციელება არ ეწერა. გროზნოში დაიწყო მოხალისეთა ბრიგადების ჩამოყალიბება. „მოძმე აფხაზი ხალხის“ დასახმარებლად ამ ბრიგადებში მთელი ჩრდილო კავკასიიდან ეწერებოდნენ. რუსეთის მითითებით ჯერ კიდევ შეიარაღებულ დაპირისპირებამდე – 1989 წლის აგვისტოში შექმნილმა კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის[206] ხელ-

[206]. კონფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა 1989 წლის 25-26 აგვისტოს სოხუმში გაიმართა. ეს უკანასკნელი კონფედერაციის დედაქალაქადაც კი

მძღვანელებმა გამოსცეს სპეციალური ბრძანებულება, რომელიც კონფედერაციის ყველა შტაბს და შეიარაღებულ ფორმირებას ავალდებულებდა: „1. კონფედერაციის ყველა შტაბმა უზრუნველყოს აგრესორისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გასაწევად აფხაზეთის ტერიტორიაზე მოხალისეთა გადასროლა. 2. კონფედერაციის ყველა შეიარაღებული ფორმირება მათთვის ნებისმიერი ძალის მიერ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ჩაერთოს ბრძოლაში და შეაღწიოს აფხაზეთის ტერიტორიაზე ნებისმიერი მეთოდით. 3. გამოცხადდეს ქალაქი თბილისი უბედურების ზონად. ამისთვის გამოყენებულ იქნეს ყველა მეთოდი, ტერორისტული აქტების ჩათვლით. 4. გამოცხადდეს მძევლად კონფედერაციის ტერიტორიაზე მყოფი ყველა ქართველი. 5. დაკავდეს საქართველოსთვის განკუთვნილი ყველა ტვირთი და მათი გადაგზავნის ყველა საშუალება. 6. მზადყოფნა მოხსენდეს კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის შტაბს 1992 წლის 22 აგვისტოს 24. 00 საათამდე“[207].

აფხაზეთში კი ამ დროს უკვე 2 ათასი კონფედერატი იყო შემოსული.

აფხაზ სეპარატისტებთან და ჩრდილოკავკასიელ კონფედერატებთან სრულ უნისონში მოქმედებდა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტიც. 1992 წლის 11 ოქტომბერს მან მიმართვა გაუგზავნა აფხაზეთის პარლამენტის თავმჯდომარეს და აფხაზეთის პარლამენტს (გამოქვეყნდა გაზ. „აღდგომაში“ 1992 წლის 8 ნოემბერს), რომელშიც ნათქვამია: „ფაშისტური ხუნტის დამსჯელი ექსპედიცია აფხაზეთში მიზნად ისახავს არა მარტო ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობას, არამედ აფხაზთა და ქართველთა შორის ეთნიკური შუღლის გაღვივებას. ფაშისტი უღმერთოები და სისხლის სამართლის დამნაშავეები ანადგურებენ, ძარცვავენ არა მხოლოდ აფხაზ, სომეხ, ბერძენ, რუს მოსახლეობას, არამედ ქართველ მოსახლეობასაც... თუკი აფხაზი მეომრები არ იმოქმედებენ პრინციპით – თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ... შეიქმნება ქართული მოსახლეობის ხუნტის დამსჯელი ჯარების

გამოცხადდა, რაც ცხადად მიუთითებდა მის უმთავრეს მიზანზე - ჩამოეცილებინა აფხაზეთი საქართველოსთვის.

[207] .გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 25 აგვისტო, 1992 წ.

მხარეზე გადასვლის საფრთხე. აფხაზეთის ხელმძღვანელობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ეს არ მოხდეს".[208]

15 აგვისტოს ქართულმა შენაერთებმა დაბა განთიადში საზღვაო დესანტი გადასხეს. იმავე დღეს დესანტმა ლესელიძე შტურმით აიღო. საქართველო-რუსეთის საზღვარზე საქართველოს დროშა აღიმართა. მომდევნო დღეებში სახელმწიფო ჯარებმა გაგრა და მისი შემოგარენიც დაიკავეს. გუდაუთაში გამაგრებული არძინბა, ფაქტიურად, ალყაში აღმოჩნდა. სეპარატისტების კონტროლის ქვეშ მხოლოდ ბიჭვინთა-ახალი ათონის მონაკვეთი რჩებოდა. ბლოკირებული იყო უპირატესად აფხაზებით დასახლებული ტყვარჩელიც.

აფხაზური მხარე პანიკამ მოიცვა. საჭირო იყო ამ მომენტის გამოყენება და შეტევითი ოპერაციების გაგრძელება. თუმცა, ქართული სამხედრო ნაწილები შეჩერდნენ და ლოდინის პოზიცია დაიკავეს. რატომ შეჩერდნენ ჩვენი სამხედრო ძალები სოხუმში და რატომ არ წაიწიეს წინ, რატომ არ დაამყარეს მათ კონტროლი ბზიფზე და ბიჭვინთაზე? ამ კითხვას რომ პასუხობდა, შევარდნაძე 5 ოქტომბრის რადიოინტერვიუში ამბობდა: „ჩვენი მიზანი ასეთი რამ არ ყოფილა. ჩვენი ძალების აფხაზეთში გადაადგილების მიზანი კომუნიკაციების დაცვა იყო, რომ სარკინიგზო მოძრაობის უსაფრთხოება ყოფილიყო უზრუნველყოფილი. ჩვენ სოხუმში შეჩერებას არც ვაპირებდით, იქ რჩებოდა ზემოთქმული მიზნებისთვის საჭირო ძალები და აზრადაც არ მოგვსვლია, რომ აფხაზთა ხელისუფლება გაგვექცია"[209]. და მაინც, საქართველოს ხელმძღვანელობის ასეთი გაუბედაობის გაგება შეიძლება: გუდაუთაში ხომ რუსული სამხედრო ბაზა არსებობდა!

იმავე ინტერვიუში შევარდნაძე აცხადებდა, რომ ჯერ-ჯერობით კვლავ სჯეროდა რუსეთის პრეზიდენტისა.

ცხადია, რუსეთი მოხერხებულად ნიღბავდა თავის პოზიციას, თუმცა, ისეთი გამოცდილი პოლიტიკოსისთვის, როგორიც შევარდნაძე იყო, მაინც არ უნდა ყოფილიყო ძნელი იმ სახელმწიფოს ნამდვილი მრახვების ამოცნობა, რომლის პოლიტიკურ ის-

---

[208] . არმაგ სანებლიძე, „ღღე შავი არშიით, 1993 წლის 27 სექტემბერს დაეცა სოხუმი", ინტერვიუ საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე ანზორ ბალუაშვილთან, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა," 26-28 სექტემბერი, 1998 წ.

[209] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 5 ოქტომბერი, 1992 წ.

თებლიშმენტსაც ის შიგნიდან იცნობდა. მაშ, სინამდვილეში რით აიხსნება ქართული ჯარის გაუბედაობა, ან რატომ იტყუებდა თავს შეეარდნაძე?

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ომის წარმოება უშარმაზარ მატერიალურ რესურსებს მოითხოვს, ფართომასშტაბიან შეტევით ოპერაციებს ძლიერი ზურგი და მატერიალური უზრუნველყოფა სჭიდებოდა, რაც ეკონომიკურად გაჩანაგებულ ჩვენს ქვეყანას არ გააჩნდა. ჩემი აზრით, სწორედ ამით აიხსნება გაუბედაობა, ნახევარზომები, ლოდინის პოზიცია. ამითვე უნდა აიხსნას რუსეთის მიმართ რევერანსების პოლიტიკა, გულუბყვრილო პოზიციაში დგომა, თავის ისე მოჩვენება, თითქოს ვერ ხვდები სინამდვილეში რა გეგმები აქვს ამ ქვეყანას შენს მიმართ.

ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები რუსეთის პროექტს წარმოადგენდა. რუსეთის საბოლოო მიზანი საქართველოსთვის აფხაზეთისა და შიდა ქართლის წართმევა იყო. ოღონდ ეს ისე უნდა გაკეთებულიყო, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში რუსეთი აგრესორად კი არა, მცირე და ჩაგრული ხალხების ქომაგად გამოჩენილიყო. ამიტომ სჭირდებოდა მას ქართული ჯარის შეჭრა აფხაზეთში, ამისთვის კი საჭირო იყო პირველ ეტაპზე ქართული ჯარის ცალმხრივი შეიარაღება, რათა მას „ხელი წასცდენოდა“ აფხაზეთისკენ. ამის შემდეგ კი აფხაზური მხარისთვის დასმარების ჯერიც დადგებოდა.

ეს დროც დადგა. რუსეთი აფხაზი სეპარატისტების სასწრაფო შეიარაღებას და მათთვის ცოცხალი ძალის მიშველების გეგმის განხორციელებას შეუდგა. რუსი ანალიტიკოსი იულია კალინინა „მოსკოვსკი კომსომოლეცში“ წერდა: როცა აფხაზეთმა ომი დაიწყო, ჰქონდა 2 ჯავშანტრანსპორტიორი და 1 ქვეითი ჯავშნიანი მანქანა, ჰყავდათ ერთი მფრინავი, კვალიფიციური არტილერისტი არცერთი არ იყო. ერთი თვის შემდეგ, 1992 წლის 1 ოქტომბერს, უამრავი ტანკით, ჰაუბიცითა და ქვეითთა ჯავშნიანი მანქანით მათ შტურმით აიღეს გაგრა. რუსეთის პრეზიდენტის პირადმა წარმომადგენელმა საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში ბორის ნიკოლოზის ძე პასტუხოვმა იმავე დღეს პრიეატულ საუბარში თქვა, რომ აფხაზებს უკვე გაუჩნდათ „იგლისა“ და „გრადის“ დანადგარები. კითხვაზე, თუ საიდან?! პასტუხოვმა

განმარგა: ფული იყოს და ეს პრობლემა არ არისო.[210] კალინინა იქვე ასახელებდა რუსეთის მიერ აფხაზეთისთვის გახსნილი კრედიტის რაოდენობას: 14 მილიარდი რუსული რუბლი. მდინარე გუმისთის გადალახვისას ქართულ შენაერთებს რუსეთის სამხედრო ნაწილიდან ცეცხლი გაუხსნეს. შევარდნაძემ ელცინს დაურეკა, ამ უკანასკნელმა კი ასეთი ფაქტი კატეგორიულად გამორიცხა და აღნიშნა, რომ რუსეთი კლავაც ჩაურეველობის პოლიტიკას ახორციელებდა.

20 აგვისტოს არმავირში შეიკრა ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების, როსტოვის ოლქის, სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეების ხელმძღვანელთა შეხვედრა, რომელზეც გამოითქვა შეშფოთება „ქართული მხარის მიერ აფხაზი ხალხის მიმართ განხორციელებული აგრესიისა და ამ ფაქტზე რუსეთის დაგვიანებული რეაქციის“ გამო.

კონფლიქტის დასაწყისისთვის აფხაზ სეპარატისტებს სულ ათასამდე ჯარისკაცი და სამი ერთეული ჯავშანტექნიკა ჰქონდათ. სულ მალე მათ შეიარაღებაში აღმოჩნდა მძიმე ტექნიკა, მათ შორის ტ -72 ტიპის ტანკებიც.

28 აგვისტოს ქართულმა მხარემ ბზიფის მიმართულებით შეტევა დაიწყო. წარმატების შემთხვევაში იკეტებოდა აფხაზეთისკენ მომავალი ყველა გზა. შეტევა ჩაიშალა. ქართულმა მხარემ დიდი დანაკარგი განიცადა და უკან დაიხია.

ამის შემდეგ სახელმწიფო ჯარებმა კიდევ ერთი იერიში წამოიწყეს ეშერასთან და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტი დაიკავეს. თუმცა შეტევის გაგრძელებისთვის ძალები აღარ ეყოთ.

3 სექტემბერს, მოსკოვში, გაიმართა ედუარდ შევარდნაძისა და ბორის ელცინის შეხვედრა. მასში აფხაზეთის, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების, აგრეთვე, სამხრეთ რუსეთის მხარეების და ოლქების ხელმძღვანელებიც მონაწილეობდნენ.

იმ დღეს მიღწეულ იქნა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელიც თითქმის მთლიანად ქართული მხარის მიერ შეთავაზებულ წინადადებებს ეყრდნობოდა. დოკუმენტი აფხაზეთიდან დაქირავებულთა რაზმების გაყვანას და ქართული საჯარისო ფორმირებების დისლოკაციის შეცვლასაც ითვალისწინებდა. ქართული ჯარი აფხაზეთის ტერიტორიაზე რჩებოდა და ძი-

[210]. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 6 დეკემბერი, 1994 წ.

რითაღაც, რკინიგზისა და მისი კომუნიკაციების დაცვით იქნებოდა დაკავებული. არძინბამ დოკუმენტზე ხელი მხოლოდ ელცინის მსრივ ზეწოლის შეღეგად მოაწერა. მოგვიანებით მან განაცხადა: იძულებული ვიყავი ასე მოვქცეულიყავი, რათა აფხაზი ხალხი სრულ ამოწყვეტას გადაერჩინაო.

აი, როგორ იგონებდა ამ შეხვედრას შევარდნაძე 2008 წლის სექტემბერში: „როცა აფხაზეთში საქმე ძალიან დაიძაბა, 1992 წლის 3 სექტემბერს (ელცინმა) მეგვკრიბა მე და ჩრდილოკავკასიელი ლიდერები მოსკოვში და თქვა - ხომ არ მოვიდა დრო, აფხაზეთში ომი დავამთავროთო? აგაშენა ღმერთმა-მეთქი, ვუთხარი. არძინბაც იქ იყო. კენჭი უყარა საკითხს, ყველამ ხელი აწია, გარდა არძინბასი. ელცინმა არძინბა გვერდით ოთახში გაიყვანა, რაღაც უთხრა და უკან შემოვიდნენ. ელცინმა გამოგვიცხადა, ელადისლავ გრიგორიჩიც თანახმააო. მე ამის დასტურად მეორედ კენჭისყრა მოვითხოვე. მეორედ კენჭისყრაზე არძინბამაც აწია ხელი. ელცინმა გამოაცხადა, ამგვარად მეგობრებო, ომი აფხაზეთში დამთავრებულიაო. გაგრაში 400 კაცი იდგა, ლესელიძეში – 700. ამ ბიჭებმა რომ გაიგეს, ომი დამთაერდაო, უკან დაბრუნდნენ. გაგრაში მხოლოდ 20 კაცი დარჩა. სამი კეირის შემდეგ ბიჭვინთის ნაძვნარიდან შემალული 400 კაცი დაესხა თავს ამ ბიჭებს თავზე. გაგრა აიღეს, ლესელიძე აიღეს და გამოუტიეს სოხუმისკენ. ახლა ვფიქრობ, რომ მომატყუა ელცინმა.“[211]

შევარდნაძე აქ სიტუაციას განმარტავებს. ცხადია, საქმე გაგრიდან მხოლოდ ჩვენი ჯარის თვითნებურ მოხსნაში არ ყოფილა. 3 სექტემბრის შეთანხმების შესაბამისად ქართულმა მხარემ ეშერასთან საბრძოლო მოქმედების ზონიდან მძიმე ტექნიკა და ჯარები გაიყვანა, რითაც მაშინვე ისარგებლეს ჩრდილო კავკასიელთა დაქირავებულმა რაზმებმა და აფხაზურ სამხედრო ფორმირებებთან ერთად იქ სიმაგრეების აგება დაიწყეს.

რამდენიმე დღის შემდეგ ქართულმა მხარემ ტყვედ ჩაიგდო მოწინააღმდეგის ჯარისკაცი, რომელმაც დაკითხვაზე განაცხადა, რომ აფხაზური მხარე გაგრაზე დიდი შეტევის დაწყებას აპირებდა.

---

[211] http://fact2.ge /2008 წელი. შევარდნაძე საუბრობს გეგმაზე, რომლის თანახმადაც საქართველოს 2-ად გაყოფაა ჩაფიქრებული...

მაშინ არც ამ ინფორმაციას მიქცევია სათანადო ყურადღება. არადა, საეჭვო უკვე ელცინის მიერ არძინბას გვერდზე გაყვანა და შემდეგ ამ უკანასკნელის 180 გრადუსით შემობრუნება იყო. ელცინისადმი შევარდნაძის ასეთი მიმნდობი დამოკიდებულება არანაირ ჩარჩოში არ ჯდება. მას გულუბყვრილობასაც ვერ დაარქმევ, ეს სრული სიბრიყვეა!

ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებას, თითქოს, ექსპრეზიდენტისა და მისი მომხრეების გამოფხიზლება უნდა მოჰყოლოდა. არანაირი ძალაუფლება არ ღირდა აფხაზეთის დაკარგვად. ეს ცხადზე ცხადი იყო. ოღონდ ... არა გამსახურდიასა და მისი მომხრეებისთვის. 29 სექტემბერს შეიარაღებული ზვიადისტები სამსახურში მიუვარდნენ მუგდიდის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს, პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატ დემურ ანთიას და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარეს ულდა შელიას და დაატყვევეს ისინი. იმავე დღეს გამსახურდიას მხარდამჭერები თავს დაესხნენ წალენჯიხის ჩაის საწონი ფაბრიკის დირექტორის, გურამ ქირიას სახლს და ცეცხლსასროლი იარაღით მშობლების თვალწინ ჩაცხრილეს მისი მე-9 კლასელი ვაჟი. 30 სექტემბერს ზვიადისტთა 200 კაციანი რაზმი შეიჭრა სენაკში. გაიმართა ბრძოლა გამსახურდიას მომხრეებსა და სენაკში დისლოცირებულ შინაგანი ჯარის ქვედანაყოფს შორის. დაიღუპა სამი პოლიციელი და სამი მშვიდობიანი მოქალაქე.

ექსპრეზიდენტის მომხრენი ასლა უფრო მეტი შემართებით აგრძელებდნენ ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლას და ყველა საშუალებით ცდილობდნენ მის დასუსტებას.

1992 წელს საქართველოს შეიარაღებული ძალები ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სხვადასხვა დაჯგუფებებისგან შედგებოდა. გაგრის დაჯგუფებას ამ დროს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი მიხეილ მარინაშვილი ხელმძღვანელობდა. მის დაქვემდებარებაში, დაახლოებით, სამი ათასი ჯარისკაცი ითვლებოდა. მაგრამ ქალაქს არ გააჩნდა თავდაცვის ერთიანი გეგმა, არ არსებობდა არანაირი დისციპლინა. ჯარისკაცებს სანგრებიც კი არ ჰქონდათ გათხრილი.

გაგრის აღება აფხაზებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენდა. ზამთრის დადგომასთან ერთად იკეტებოდა მთებზე გადასასვლელი ბილიკები. თუ რუსეთთან ბლოკირებულ საზღვარს არ გახსნიდნენ, აფხაზები ზამთარს ვერ გადაიტანდნენ.

1 ოქტომბერს აფხაზებმა ფართომასშტაბიანი შეტევა წამოიწყეს. მათ დამრტყმელ ძალას შამილ ბასაევის შენაერთი, კონფედერატთა ბატალიონი და კაზაკთა რაზმები შეადგენდნენ. იმავე ღღეს გუდაუთაში გაიმართა მოლაპარაკება დაპირისპირებულ მხარეთა შორის. გადაწყდა სტატუს-კვოს აღდგენა. ამის მიუხედავად აფსაზურმა მხარემ ვერაგულად დაარღვია შეთანხმება და 2 ოქტომბერს შეტევა განაახლა. გაგრა დაეცა. ქალაქის მშვიდობიანი მოსახლეობა ერთიანად იქნა გაქლეტილი.

გოგა ხაინდრავა იგონებს: „გაგრის დაცემიდან ორიოდე ღღეში დამნიშნეს სახელმწიფო მინისტრად და სოხუმში ჩავფრინდი. გაგრა სასაკლაოდ იყო გადაქცეული. .....ქართული ჯარი განთიადში იყო გამაგრებული. იქ იყვნენ გია ყარყარაშვილიც და პაატა დათუაშვილიც. დემორალიზებულ სამხედროებს გამხნევება სჭირდებოდათ. შევარდნაძემ თქვა, განთიადში უნდა გავფრინდეთო. მაშინ ჰაერს გუდაუთის სამხედრო აეროდრომი აკონტროლებდა. მათთან შევათანხმეთ და გავფრინდით. შევხვედით ჯარისკაცებს, მეთაურებს. მოვიდა გამოფრენის დრო და „ბომბორას“ აეროდრომიდან გვეუბნებიან, უსაფრთხოების გარანტიას ვერ მოგცემთ, ამიტომ ხმელეთით უნდა გამოხვიდეთო. ეს ნიშნავდა, რომ რუსეთში უნდა გადაესულიყავით. შევარდნაძემ მფრინავს დაუძახა, ცხონებულ ჯიმი მაისურაძეს და ჰკითხა, რომ არ ჩამოგვაგდონ, რამდენი პროცენტიაო. იმან უპასუხა – 30 პროცენტიო. „მაშ, წავიდეთო!“- თქვა და წავიდა ვერტმფრენისკენ. დღესაც არ ვიცი როგორ გადავრჩით, მოწინააღმდეგემ ისეთი მანევრი გააკეთა, რომ საავარიო ვითარებაში აღმოვჩნდით, ფაქტობრივად, ტრიალ-ტრიალით წავიდა ვერტმფრენი წყლისკენ. ამ არეულობაში შევარდნაძეს შევხედე. მშვიდად იჯდა, ოღნავ გაფითრებული ხმას არ იღებდა, არ განძრეულა, კუნთიც არ შესტოკებია რაღაც სასწაულით მოახერხეს მფრინავებმა და ზღვის ნაპირზე, პირდაპირ პლაჟზე დასვეს ვერტმფრენი.“[212]

შევარდნაძეს პირადი სიმამაცე არ აკლდა, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველოდა.

5 ოქტომბერს სეპარატისტები ლესელიძის მონაკვეთზე გაიღნენ და რუსეთის საზღვარზე თავიანთი დროშა ააფრიალეს.

---

[212] „შევარდნაძის სამი ცხოვრება“, გაზ. „კვირის პალიტრა“, 14-20 ივლისი, 2014;

გაგრის დაკარგვამდე ამ რეგიონში აფხაზეთის უზენაესი საბჭოს რწმუნებული, ჯონი ლატარია, მოგვიანებით, სინანულით ამბობდა: „ჩვენ რომ შიგნით ერთიანობა გვქონოდა და გადამწყვეტ დღეებში მაინც მოგვეთოკა ჩვენი გადაჭარბებული პატივმოყვარეობა და კერპთაყვანისმცემლობა, ეს ამბები, ალბათ, საერთოდ არ მოხდებოდა“.[213]

ქართული მხარისთვის სულ უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა, რომ რუსეთი ამკარად ეხმარებოდა სეპარატისტებს. 10 ოქტომბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ – თედო ჯაფარიძემ უშიშროების საბჭოს სხდომაზე გაკეთებულ განცხადებაში დაასახელა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ინსპირატორი ძალები: ადგილობრიეი სეპარატისტული დაჯგუფებები, კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია, რუსეთის მთავრობის ზოგიერთი წრეები, მათ შორის, სამხედრო უწყებათა წარმომადგენლები.

11 ოქტომბერს საქართველოში გაიმართა პარლამენტის არჩევნები, რომელშიც ამომრჩეველთა დაახლოებით 80 პროცენტი მონაწილეობდა. ახლად არჩეულ პარლამენტში მეტ-ნაკლებად გაელენიანმა ყველა პოლიტიკურმა ძალამ გაიყვანა თავისი წარმომადგენელი, რაც აშკარად მოწმობდა, რომ არჩევნების შედეგებს ხელისუფლება არეგულირებდა და განსაზღვრაედა. (თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია, ცხადია, გარდა მმართველი პარტიისა, პარლამენტში ორ-ორი დეპუტატით იყო წარმოდგენილი). პარლამენტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ედუარდ შევარდნაძე.

იმავე დღეს სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე გადაწყდა თავდაცვის სახელმწიფო საბჭოს შექმნა. მასში შევიდნენ: პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი, შსს მინისტრი, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, გენერალური პროკურორი, გენერალური შტაბის უფროსი. პირველივე სხდომაზე თავდაცვის სახელმწიფო საბჭომ ერთიანი შეიარაღებული ძალების საკითხი განიხილა.[214] სახელმწიფო საბჭოს არაერთი მცდელობის მიუხედავად, ეს საკითხი კვლავ რჩებოდა ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ

---

[213] .გამ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 26 იანვარი, 1993 წ.

[214] გამ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 14 ოქტომბერი, 1992 წ.

და საჭირბოროტო საკითხად ქართული ჯარისთვის. ის კელავაც ცალკეული სამხედრო ფორმირებებისგან (გვარდია, „მხედრიონი“ „თეთრი გიორგი“ და ა. შ.) შედგებოდა, რაც აძნელებდა მის ოპერატიულ მართვას, შეუძლებელს ხდიდა ერთიანი სამხედრო დისციპლინის დამყარებას და სხვ. ამის გამო ხშირი იყო საბრძოლო პოზიციების თვითნებური მიტოვების, ბრძანებების შეუსრულებლობის, პარალელიზმის შემთხვევები. ფრონტის ხაზზე ხშირად ჩადიოდნენ საეჭვო ზნეობის ადამიანები, რომლებიც იარაღის, თუ სხვა ნადავლის მოპოვების შემდეგ უკან ბრუნდებოდნენ. მაშინდელი გაზეთები წერდნენ, რომ ბევრი ჩვენი მებრძოლი ზურგში იჭრებოდა. სოხუმისა და სხვა დასახლებული პუნქტების ქუჩებში უმიზნოდ დახეტიალობდნენ თავიანთი დისლოკაციის ადგილებიდან უნებართვოდ წამოსული სამხედრო პირები. კელავინდებურად ხშირი იყო ქურდობის, ყაჩაღობის, მაროდიორობის შემთხვევები. 10 ნოემბერს სოხუმის აეროპორტში თავი მოიყარეს თავიანთი სამხედრო ნაწილებიდან უნებართვოდ წამოსულმა პირებმა, რომლებმაც იერიშით აიღეს აეროპორტში მდგომი სამგზავრო თვითმფრინავი, რომელსაც გუდაუთადან, ახალი ათონიდან ლტოლვილი ქართველი მოსახლეობა, ძირითადად, ქალები, ბავშვები, მოხუცები უნდა გადაეყვანა ზურგში. სამხედროებმა თვითმფრინავიდან ჩამოყარეს ლტოლვილი ადამიანები, მათი ადგილი დაიკავეს და იარაღის მუქარით აიძულეს თვითმფრინავის ეკიპაჟი თბილისში გაფრენილიყო.[215] იყო შემთხვევა, როდესაც ნაძარცვი ქონებით დატვირთული „კამაზი“ მიადგა სოხუმის ნავსადგურს, საიდანაც დაჭრილებით სავსე გემი აპირებდა გასვლას. მაროდიორებმა გემიდან გადმოყარეს დაჭრილი ჯარისკაცები, გემზე თავიანთი ნაძარცვი ქონება დატვირთეს და ფოთის მიმართულებით დაიძრნენ. მსგავსი ფაქტების აღკვეთის მიზნით საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდლობის განკარგულებით შეიქმნა სამხედრო საველე სასამართლო.

9 ნოემბერს სამხედრო საველე სასამართლომ განიხილა ფრონტზე მოხალისედ ჩასული ვინმე გ. ხაჩალაშვილის საქმე, რომელსაც ბრალად სამშობლოს ღალატი ედებოდა. ბრალდებულმა ორ თანამებრძოლთან ერთად მიატოვა საბრძოლო პოსტი სო-

[215].გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 11 ნოემბერი, 1992 წ.

ფელ ახალშენის მიდამოებში და ტყვედ ჩაბარდა მტერს, შემდეგ კი მეგზურობა გაუწია მას სოფელ შრომის მიმართულებით.

მოღალატეს სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა მიესაჯა. განაჩენი დაუყოვნებლივ იქნა აღსრულებული.[216]

მსგავსი ზომების მიუხედავად ქართულ ჯარში სამხედრო დისციპლინა კვლავ სერიოზულად მოიკოჭლებდა.

მტკივნეული საკითხი იყო ქართველი ჟურნალისტების მიერ ფრონტზე არსებული ვითარების გაშუქების თემაც. აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარ შტაბთან არსებული პრესცენტრი მოუწოდებდა ჟურნალისტებს ინფორმაციის გადაცემისას ეხელმძღვანელათ სახელმწიფო ინტერესებით. „იყო შემთხვევები, როდესაც გაზეთის ფურცლებზე იბეჭდებოდა ან ტელევიზიის ეკრანიდან გაისმოდა ზოგიერთი სამხედრო პირისა და ხელისუფლების წარმომადგენლის დაუფიქრებელი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ფრონტის რომელ უბანზე რა ძალებით დაიწყებოდა შეტევა, როგორ და რომელი ნაწილებით იყო გამაგრებული თავდაცვის ხაზები, რომელ უბანზე რა რაოდენობის ტანკი და ქვემეხი გვყავდა და ა. შ."[217] — აღნიშნული იყო პრესცენტრის განცხადებაში. პრესცენტრი დაბეჯითებით სთხოვდა ჟურნალისტებს გამოეჩინათ მეტი გულისყური და სიფრთხილე სამარი ვითარების თაობაზე ინფორმაციის ტექსტების შედგენისას.

ომის დროს ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მებრძოლებში მაღალი საბრძოლო და პატრიოტული სულისკვეთების შენარჩუნებას. საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ამ მხრივაც სერიოზული ხარვეზები იყო. აფხაზეთის ფრონტზე ბევრმა ქართველმა მებრძოლმა სამშობლოსთვის თავგანწირვის და პატრიოტიზმის უბადლო მაგალითები აჩვენა. ჯარისკაცები ტყვედ ჩავარდნას სიკვდილს არჩევდნენ და ყუმბარას უხებქვეშ იფეთქებდნენ, იყო მტრის ტანკის მუხლუხების ქვეშ ყუმბარების კონით შევარდნის შემთხვევებიც ამის მიუხედავად ჩვენ არა გვყავს საქართველოს ეროვნული გმირის საპატიო წოდებით დაჯილდოებული პირები... არა გვყავს, რადგან ასეთი წოდება არ არსებობს. აფხაზებს კი ჰყავთ. აფხაზი ბავშვები დღეს ამ კონ-

---

[216] .გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 11 ნოემბერი, 1992 წ.

[217] .გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 6 ნოემბერი, 1992 წ.

კრეტული გმირების მაგალითებზე იზრდებიან. ჩვენ კი გვაქვს დავით აღმაშენებლის და ვახტანგ გორგასლის პირველი, მეორე და მესამე ხარისხის ორდენები და საქართველოში სანთლით უნდა ეძებო კაცი, რომელიც განმარგაეს თუ ამ ორდენებიდან რომელია აღმატებული. ან, რატომ ვაჯიბრებთ ამ მართლაც სახელოვან მეფეებს? რატომ არა გვაქვს „საქართველოს ეროვნული გმირის“ წოდება? ამ კითხვაზე ერთმა პოლიტიკოსმა ასეთი პასუხი გამცა: ასეთი წოდება საბჭოური გადმონაშთიაო.

კი მაგრამ, ხომ არსებობს საფრანგეთის ეროვნული გმირის წოდება, იტალიის ეროვნული გმირის წოდება? რა შუაშია აქ „საბჭოური გადმონაშთი?“

გმირობას ყოველთვის კონკრეტული მისამართი აქვს. აბსტრაქტული, ზოგადი გმირები არ არსებობენ. არიან კონკრეტული სახელისა და გვარის მქონე კონკრეტული გმირობის ჩამდენი ადამიანები. ჩვენ ვახტანგ გორგასლის, ბერი თედორეს, 9 ძმა ხერხეულიძის, გიორგი საააკაძის, 300 არაგველის და ათასი სხვა გმირის კონკრეტულ მაგალითებზე აღვიზარდეთ. ასეთი გმირები დღესაც უნდა გვყავდნენ. გვყავს კიდეც, მაგრამ ჩვენ მათი სახელები არ ვიცით. დიახ, დღევანდელმა თაობამ არ იცის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის გასული საუკუნის 90-იან წლებში წარმოებულ ომების ქართველი გმირების სახელები, რადგან ამაზე არავის უმრუნია. არც ომის დროს და არც შემდეგ –

ამის თაობაზე ხელისუფლებას 1999 წლის ნოემბერში ჩვეული სიბრძნით მოძღვრავდა ჭაბუა ამირეჯიბი. „ეროვნული გმირის ფაქტორს თითქმის მოკლებული ვართ. ქართველ ეროვნულ გმირთა პოპულარიზაცია ჩვენი სულიერების განუყოფელი ნაწილი და ხალხის ბრძოლისუნარიანობის განმტკიცების უპირველესი საშუალებათაგანია. უნდა ამოვატივტივოთ აფხაზეთში დაღუპულ პარტიზანთა და იქაურ ომში დაღუპულთა სახეები, კერპად ვაქციოთ ისინი. ცოტნე დადიანისა და ქიული შარგავას უკვდავი სახელები საკმარისი არ არის. საჭიროა იარაღით ხელში დაღუპულ თუ ომგადახდილ გმირთა სახელების თაყვანისცემა!“[218] წერდა ის.

დიდი მწერლის ამ შეგონებიდან დასკვნები დღემდე არავის გამოუტანია. ქვეყანას არც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს

---

[218] ჭაბუა ამირეჯიბი, „დროა.“, გაზ „საქართველოს რესპუბლიკა“, 3 ნოემბერი, 1999 წ.

ომის ქართველი გმირების შესახებ აქვს ინფორმაცია. (ერთადერთი გამონაკლისი მართლაც უბადლო ვაჟკაცი გიორგი ანწუხელიძეა.) ვერა და ვერ შეიგნო, ვინც უნდა შეიგნოს, რომ „ეროვნულ გმირთა პოპულარიზაცია ჩვენი სულიერების განუყოფელი ნაწილი და ხალხის ბრძოლისუნარიანობის განმტკიცების უპირველესი საშუალებათაგანია.“

17 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობა განიხილა. თავის გამოსელაში ედუარდ შევარდნაძემ ყურადღება ისტორიული წარსულის დამახინჯების ფაქტებზე გაამახვილა. „სწორედ აქედან იღებს სათავეს აფხაზურ-ქართული კონფლიქტი, რომელმაც ამ საშინელ ტრაგედიამდე მიგვიყვანა ... ისტორიამ სწორედ საქართველოს არგუნა ბედუკუღმართობის გამო მრავალი დევნილი ეთნოსის თავშესაფრის სასახელო და, ამასთანავე, ტრაგიკული ხვედრი. ამასთან, საქართველოს არასოდეს არავისი მიწა არ მიუთვისებია და არც არავინ გაუძევებია თავისი საბღერებიდან“. პარლამენტის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა აფხაზი ახალგაზრდობის შეგნებაში წვეთ-წვეთად ჩანერგილ იმ აზრის დამღუპველობას, რომელიც მათ უკარნახებს, რომ აფხაზეთი მხოლოდ აფხაზთა სამკვიდროა და რომ ქართველები ამ მიწაზე მოსულები, დამპყრობლები, ასიმილატორები არიან. „ამ თეზისის დასადასტურებლად მოჰყავთ აფხაზი მოსახლეობის მატების ამსახველი გაყალბებული სტატისტიკის არგუმენტები, ამასთან, ყველაფერი კეთდება იმის დასამტკიცებლად, თითქოს ეს შეგნებული, მიზანმიმართული პოლიტიკა იყოს,“[219]- აღნიშნა მან.

შევარდნაძე ერთხელ კიდევ შეეხო აფხაზეთის ომში რუსეთის როლს. „მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ აფხაზეთში საქართველოსთან რუსეთი ომობს, მაგრამ უფლება მაქვს მთელი გარკვეულობით ვთქვა: აფხაზეთში საქართველოსთან ომს ეწევა იმპერიული რევანშის წითელ-მიხაკისფერი არმია, რომელიც ახლა უკვე რუსეთსაც ემუქრება კანონიერი ხელისუფლების გადაყენებით, ტოტალიტარული სისტემის რესტავრაციით.“[220] — აღნიშნა მან.

და ეს იმ დროს, როდესაც რუსული ბომბდამშენები ბომბავდნენ ქართული ჯარის პოზიციებს, რუსი ინსტრუქტორები აფ-

---

[219]. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 19 ნოემბერი, 1992 წ.

[220].გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 19 ნოემბერი, 1992 წ.

ხაშ სამხედროებს წერთნიდნენ, რუსეთის არმიის გენერლები გეგმავდნენ და ხელმძღვანელობდნენ ქართული ჯარის წინააღმდეგ სეპარატისტთა საბრძოლო ოპერაციებს, რუსული გემები და წყალქვეშა ნავები აქტიურად ეხმარებოდნენ სეპარატისტებს – ყველაფერი ეს ცნობილი იყო ქართული მხარისთვის. შევარდნაძე კი კვლავ ცდილობდა ამ უაქტებისგან რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გამიჯვნას და საქმეს ისე წარმოადგენდა, თითქოს ამაში დამნაშავე რუსეთის შეიარაღებული ძალების რევანშისტულად განწყობილი ნაწილი იყო.

ამართლებდა თუ არა ასეთი პოლიტიკა?

აი, სააკაშვილმა არ მოატყუებინა თავი პუტინს და რუსეთში თავისი უკანასკნელი ვიზიტის დროს მას პირდაპირ ეთერში პირში მიახალა, რომ რუსეთის „სამშვიდობოები“ კონფლიქტის ზონაში სინამდვილეში მხარეს წარმოადგენდნენ და არა ნეიტრალურ სამშვიდობო ძალებს.

შედეგად საქართველომ რუსეთის პირდაპირი და ღია აგრესია მიიღო.

2008 წელს ჩვენ, ავად თუ კარგად, ამ აგრესიას როგორღაც, გაეუმკლავდით. ყოველ შემთხვევაში, რუსეთმა ვერ მოახერხა ქართული სახელმწიფოს განადგურება (როგორც სააკაშვილი იტყოდა – „ჩამოშლა“).

შევძლებდით იგივეს 1992 წელს? ალბათ, ვერა.

ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე სეპარატიზმის მიზეზებს აანალიზებდნენ რუსი პოლიტოლოგებიც. „მოსკოვსკაია პრაედაში“ გამოქვეყნებულ ევგენი ტრიფონოვის სტატიაში „ეროვნება და სეპარატიზმი“ (1995 წლის 8 აპრილს იგი გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამაც“ გადმობეჭდა) ავტორი ყურადღებას ამახვილებდა რუსეთის მმართველ ეშელონებში მოკალათებულ კორუმპირებულ მოხელეებსა და სეპარატისტულ რეგიონებში ჩამოყალიბებულ ამბიციურ კლანებს შორის ალიანსზე. „... გაელენიანი და კორუმპირებული კლანები საფინანსო სტრუქტურებში (მაგ. იგივე მოსკოვში) დაინტერესებულნი არიან უღიარებელი ფსევდოსახელმწიფოების არსებობით. ადგილობრივ ხელისუფლებას არაფერი გააჩნია გარდა ამბიციებისა და სიხარბისა. ამიტომ ცენტრში მოკალათებული კორუმპირებული მოხელენი სეპარატისტებს სთავაზობენ ერთგვარ არააფიშირებულ ალიანსს: ტერიტორიები, რომლებსაც არავინ არ უწევს კონტროლს (უკანონო „ეროვნულ-განამათავისუფლებელი“ ხელისუფლების

ორგანოების გარდა) გამოიყენება ყოველგვარი მაქინაციებისთვის ნავთობსადენთან, იარღთან, ვალუტასთან, ნარკობიზნესთან დაკავშირებით. სეპარატისტთა ლიდერები ამ გარიგებაში არ ერევიან, რისთვისაც თავიანთ სარგებელს იღებენ. ამასთან, იგივე კორუფციონერი ბიუროკრატების მხრივ, რომლებმაც ფაქტობრივად შექმნეს და გააღვივეს სეპარატიზმი პირადი გამდიდრების მიზნით, გაისმის მრისხანე შეძახილი იგივე სეპარატისტების წინააღმდეგ! ამასობაში კი ფულისა და იარაღის შემხვედრი ნაკადი არ ცხრება და „მოწინააღმდეგე“ მხარეებიც სიამოვნებით იფშვნეტენ ხელს“, წერდა ტრიფონოვი. ავტორი უშუალოდ აფსაზურ და სამხრეთოსეთურ თემებსაც ეხება: „სოხუმის მაფია ჯერ კიდევ ხრუშჩოვის დროს გაიფურჩქნა და შემდეგ ბრეჟნევის მმართველობის დროს აყვავდა. როდესაც საბჭოთა ხელისუფლებას წყალი შეუდგა, მაფიოზებმა გადაწყვიტეს მოსკოველ მფარველთა დასმარებით დამოუკიდებელი გამხდარიყვნენ... „სამხრეთ ოსეთის ბელადი“ თეზიევი, რომელმაც ფულისა და ტერორის წყალობით დაამხო თავისი მეტოქე კულუმბეგოვი, დანაშაულებრივ საქმიანობას მისდევდა, რის გამოც, ბოლოს და ბოლოს, რუსეთის ციხეში ამოყო თავი. ძნელი სათქმელია, მეტისმეტად ღრმად შეტოპა, მოსკოველი „ბოსები“ მოატყუა, თუ მფარველებმა უმტყუნეს, - ყოველ შემთხვევაში მთელმა მსოფლიომ გაიგო, რომ სამხრეთოსეთელი „თავისუფლებისთვის მებრძოლნი“ სისხლის სამართლის დამნაშავენი, პირწავარდნილი მაფიოზები არიან“. ტრიფონოვი დაასკვნის: „ეჭვი არ არის: დროთა განმავლობაში მსგავსი უკანონო „სახელმწიფოები“, რა თქმა უნდა, დაინგრევა, ისევე, როგორც დაინგრა გაგაუზია მტკიცედ უნდა შევიგნოთ: ყურით მოთრეული ეროვნული მოტივები, რომლებსაც კონფლიქტების მიზეზებად ასახელებენ, სინამდვილეში არის საბაბი, რომელიც პოლიტიკას მიტმასნილ უსინდისო საქმოსნებს სამუალებას აძლევს აკეთონ თავიანთი ბნელი საქმეები“.[221]

8 დეკემბერს საქართველოში რუსეთის ელჩმა ვლადიმერ ზემსკიმ აღიარა, რომ წინა დღით რუსეთის ორმა თვითმფრინავმა რაკეტები და ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუშინა ქართულ ჯარს სოხუმის მისადგომებთან. 16 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო:

[221] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 8 აპრილი, 1995 წ.

„საქართველოს მხარეს გააჩნია უამრავი ფაქტი, რომელიც მოწმობს რუსეთის შეიარაღებული ძალების უშუალო მონაწილეობას კონფლიქტში ექსტრემისტ-სეპარატისტთა მხარეს.“ განცხადებაში მოყვანილი იყო კონკრეტული ფაქტები: „ამა წლის 2 და 9 დეკემბერს რუსეთის არმიის უშუალო მონაწილეობით დაიბომბა სოხუმისა და მისი შემოგარენის საცხოვრებელი კვარტლები რასაც მოჰყვა სრულიად უდანაშაულო 13 სამოქალაქო პირის, მათ შორის, რუსი ეროვნების მოქალაქეთა მსხვერპლი.

5 ოქტომბერს რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ჩამოაგდეს საქართველოს შეიარაღებული ძალების ეერტმფრენი „მი – 24“.

13 ოქტომბერს ქვემო ეშერაში ჩამოგდებულ იქნა სუ – 25-ის ტიპის საქართველოს თვითმფრინავი.

5 ნოემბერს რუსეთის სუ – 25 ტიპის თვითმფრინავმა ცეცხლი დაუშინა ქართულ ბატალიონს მდინარე გუმისთასთან“[222] და სხვ.

აფხაზეთის ფრონტზე შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ გამსახურდიას მომხრეთა შორისაც გააჩინა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის სურვილი. ნოემბრის დასაწყისში გროზნოდან დაბრუნდა ვასტანგ (ლოთი) ქობალია. „ჩემი საქართველო არა მგონია ჩემზე მეტად ვინმეს უყვარდეს. ამიტომ ყველაფერს ვიზამ მის საკეთილდღეოდ. სამხედრო ოპერაციებზე ნურაფერს მკითხავთ. რაც შეეხება მშვიდობიან მოლაპარაკებას ომის შეწყვეტის თაობაზე, მე ვკისრულობ ამ საქმეს და ბოლომდე მივიყვან კიდეც. ჩვენი ფინალი ერთიანი, მტკიცე, მუშტად შეკრული საქართველო იქნება, სამართლებრივი სახელმწიფო. ეს არის ჩემი იდეალი,“[223] – განუცხადა მან გაზეთ „საქართველოს კორესპონდენტს“.

გამსახურდია კი გროზნოში იმედოვნებდა, რომ „ხელისუფლების კრიზისი საქართველოში დღითიდღე ღრმავდებოდა“, რაც ქართველ ხალხს გააგებინებდა, თუ „ვინ ვინ არის“.

8 დეკემბერს გამსახურდიამ ავსტრიის დედაქალაქში გამართა პრესკონფერენცია. ის კვლავაც ამტკიცებდა, რომ რჩება საქართველოს პრეზიდენტად. საქართველოში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების ინსპირატორებად გამსახურდია გორბაჩოვსა და შევარდნაძეს, აგრეთვე, რუსეთის უშიშროების კომი-

---

[222] .გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 18 დეკემბერი, 1992 წ.

[223] .გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 6 ნოემბერი, 1992 წ.

ტეტს ასასელებდა. მისი თქმით, გადატრიალებაში უშუალო მონაწილეობას ღებულობდნენ საბჭოთა არმიის ნაწილები, გადატრიალების მოწყობას აქტიურად უჭერდნენ მხარს ამერიკელი და დასავლეთ ეროპელი სახელმწიფო მოღვაწეებიც.

ვინღა დარჩა? გამოდის, მთელი მსოფლიო გამსახურდიას წინააღმდეგ ამსედრებულა. და მაშინ, რისი ან ვისი იმედით აპირებდა გამსახურდია ძალაუფლების დაბრუნებას?

იმავე პრესკონფერენციაზე გამსახურდია ქართულ ეკლესიასაც აკრიტიკებდა. „საქართველოში დამოუკიდებელი ქრისტიანული ეკლესია არ არსებობს, რადგან უმაღლეს საეკლესიო მოღვაწეთა უმრავლესობა წარსულში სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის აგენტები იყვნენ. მათ რიცხვს განეკუთვნება სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე, რომელიც 1962 წლიდან სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სამსახურშია",[224] – აცხადებდა ის.

1993 წლის დასაწყისისთვის სეპარატისტები უკვე აფხაზეთის ტერიტორიის ნახევარს აკონტროლებდნენ. გაგრის შემდეგ მათ მთავარი ყურადღება სოხუმზე გადაიტანეს. 1993 წლის მარტში საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება აღგილობრივი სომხებისგან დაკომპლექტებული ბაგრამიანის ბატალიონი. სეპარატისტთა რიგებს სულ უფრო მეტი დაქირავებული ემატებოდა. მათ უმრავლესობას ჩრდილო კავკასიელები და კაზაკები შეადგენდნენ.

1993 წლის 16 მარტს აფხაზმა სეპარატისტებმა გუმისთის ხაზზე შეტევა წამოიწყეს. ჰაერიდან მათ მხარს რუსული ავიაცია უჭერდა. განსაკუთრებით მძიმე ვითარება შეიქმნა აჩადარასთან, სადაც სანგრებში ხელჩართული ბრძოლა მიმდინარეობდა. სოხუმის გარეუბანში შემოჭრილი მოწინააღმდეგე ქართველებმა ალყაში მოაქციეს და მთლიანად გაანადგურეს. გადამწყვეტი სიტყვა თქვეს ქართველმა არტილერისტებმა, რომელთა ცეცხლის შედეგად აფხაზთა უკანა ეშელონებმა უდიდესი დანაკარგები განიცადეს. შუადღისთვის სეპარატისტებმა უკანდახევა დაიწყეს.

სოხუმის აღების ცდა ჩაიშალა. აფხაზურმა მხარემ მეტად მძიმე დანაკლისი განიცადა. მარტო მოკლულთა სახით დანაკარ-

[224] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 10 დეკემბერი, 1992 წ.

გი ათას კაცს აღემატებოდა. ამან აფხაზური მხარის პანიკა გამოიწვია. საჭირო იყო ამ მომენტის გამოყენება და იერიშზე გადასვლა. თუმცა, ქართული ჯარი შეტევაზე გადასვლის ბრძანებას ამაოდ ელოდა.

სასტიკი მარცხით დემორალიზებულმა აფხაზმა სეპარატისტებმა დახმარებისთვის კვლავ რუსეთს მიმართეს. 14 მაისს რუსეთის შუამავლობით ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება დაიდო. ამის მიუხედავად აფხაზეთში ცოცხალი ძალისა და ტექნიკის შემოყვანა ახალი ძალით განახლდა.

სეპარატისტებისთვის ამ მძიმე დღეებში მათ დამხმარედ კვლავაც საქართველოს ექსპრეზიდენტის მომხრენი მოევლინენ. ზვიადისტებმა ისევე გააქტიურეს თავიანთი ძირგამომთხრელი და დივერსიული საქმიანობა ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ: ისინი აფეთქებდნენ ხიდებს, გვირაბებს, ელექტროგადამცემ ხაზებს, ყრიდნენ სარკინიგზო ლაინდაგებს. მათ ხუთჯერ ბედიზედ ააფეთქეს სომხეთში გამავალი გაზსადენი, ლოთი ქობალიას შეიარაღებული რაზმები ძარცვავდნენ საბრძოლო საჭურველითა და სხვა აუცილებელი ტვირთით ფრონტის ხაზისკენ მიმავალ ეშელონებს. ეს ყველაფერი ძირითადად, სამეგრელოსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე ხდებოდა.

მარტის ბოლოს, გალში, კიტოვანსა და ქობალიას შორის გამართული შეხვედრის დროს, მოხერხდა შეთანხმების მიღწევა. სამეგრელოს რაიონში გამოცხადდა წინასამობილიზაციო მზადყოფნა და ჩატარდა ლოკალური მობილიზაცია. რამდენიმე დღეში ფოთისა და ხობის ბატალიონები სოხუმში ჩავიდნენ და სამთავრობო ნაწილების გვერდით განლაგდნენ. მაგრამ, ამან სამეგრელოს მოსახლეობის ნაწილის უკმაყოფილობა გამოიწვია. ლოთი ქობალია მოღალატედ იქნა გამოცხადებული. 27 მარტს ზუგდიდში გამართულ „ჭყონდიდელის“ პირველ კონფერენციაზე ლოთი ქობალიამ, აშკარად სამეგრელოს მოსახლეობაში მის მიმართ მტრული განწყობის ზეგავლენით, განაცხადა, რომ ვიდრე საქართველოს შევარდნაძე და მისი პარლამენტი ხელმძღვანელობენ, მანამდე ის და მისი შეიარაღებული დაჯგუფება სოხუმის დასაცავად „ხუნტის“ სტატუსით არ წავიდოდნენ.

2 ივლისს აფხაზმა სეპარატისტებმა მეორე შეთანხმებაც დაარღვიეს და დაბა ტამიშთან საზღვაო დესანტის გადმოსხმით ახალი იერიში წამოიწყეს. აფხაზთა დესანტს ზღვიდან რუსეთის სამხედრო ხომალდი უჭერდა მხარს. შეტევა იმდენად მოულოდ-

ნელი იყო, რომ პირველი სამი საათის განმავლობაში ქართველებმა სამასი კაცი დაკარგეს. მთლიანად ამოწყდა ქართული სანაპიროს დაცვის რაზმი. დესანტმა სარკინიგზო ხაზი გადაჭრა და ოჩამჩირე-სოხუმის მაგისტრალზე თავისი კონტროლი დაამყარა. აფხაზები ანუა-არსუს სტრატეგიული სიმაღლეების ხელში ჩაგდებას ისახავდნენ მიზნად. ქართველებმა კონტრშეტევა განახორციელეს და გზა გაწმინდეს. თუმცა, აფხაზების მხრივ ეს მოწინააღმდეგის ყურადღების გადასატანი მანევრი იყო. იმავე ღამით მათ სწრაფი შეტევა განახორციელეს შრომა-კამანის მიმართულებით და ჩრდილოეთიდან მოუარეს სოხუმს. აფხაზური დესანტი კი ტყვარჩელისკენ გაემართა. მან მთლიანად შეასრულა თავისი მისია – გადაიტანა მოწინააღმდეგის ყურადღება ოჩამჩირეზე, მაშინ, როდესაც მთავარი მიმართულება შრომა-კამანი იყო. ამ სტარატეგიული მნიშვნელობის სოფლების აღება მათ შესაძლებლობას აძლევდა სოხუმზე იერიში წამოეწყოთ. პარალელურად სეპარატისტებმა გუმისთის შემოვლა დაიწყეს. ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება მათ სოხუმის ჩრდილოეთით შემოვლითი გზის მშენებლობისთვის გამოიყენეს.

დესანტის ლიკვიდაციის ოპერაციაში მონაწილეობა ლოთი ქობალიას შეიარაღებულმა რაზმებმაც მიიღეს. (ლოთი ქობალიას რაზმები აფხაზეთში სულ ორჯერ ჩავიდნენ, პირველად ორი დღით, მეორედ - სამი დღით. ეს იყო და ეს). 5 ივლისს მოწინააღმდეგემ კამანი აიღო და მშვიდობიანი მოსახლეობა მთლიანად გაჟლიტა. სოხუმამდე მტერს 12 კილომეტრიღა აშორებდა. ამის შემდეგ აფხაზებმა ანუა-არხუზე შეტევა განაახლეს, მაგრამ უშედეგოდ. სამაგიეროდ, მათ მოახერხეს სტრატეგიული მნიშნელობის მქონე სოფელ შრომის დაკავება.

ქართულმა მხარემ კი დესანტის ლიკვიდაცია შეძლო. მან 17 ივლისს სოხუმთან არსებული სტრატეგიული სიმაღლეების დასაბრუნებლად იერიში წამოიწყო, თუმცა წარმატებას ვერ მიაღწია. ასეთ ვითარებაში სოხუმის დაცვა სულ უფრო პრობლემური ხდებოდა.

27 ივლისს სოჭში რუსეთის შუამავლობით კიდევ ერთი შეთანხმება იქნა დადებული. შუამავლობდა პასტუხოვი, რომელმაც გუდაუთადან ფაქტობრივი კაპიტულაციის გეგმა ჩამოიტანა. შევარდნაძემ პასტუხოვის გეგმა უხეშად მოისროლა. ამის შემდეგ შევარდნაძის კაბინეტში შეიკრიბნენ: სახელმწიფოს მეთაური შევარდნაძე, თბილისის მერი კოტე გაბაშვილი, პარლამენტის სპი-

კერი ვახტანგ გოგუაძე, რუსეთის ელჩი საქართველოში ვლადიმერ ზემსკი. აი, როგორ აღწერს ამ შეხვედრის მსელელობას გიორგი წიქარიშვილი: „გაბაშვილმა ყვირილით მიმართა ზემსკის:

– დააფიქსირეთ, რომ რუსეთი აწარმოებს ომს საქართველოს წინააღმდეგ!

– კი ბატონო, ეთქვათ დავაფიქსირე, მერედა, რას მოგცემთ ეს თქვენ, – თქვენ ხომ ბრდასრული ადამიანი ხართ!

გაბაშვილი განაგრძობს ყვირილს:

– გაეიღეთ ტყეში, დაეიწყოთ პარტიზანული ომი, მიემართოთ ხალხს!

მას ეახტანგ გოგუაძე მიმართავს:

– რა გაყვირებს? ის ხალხი ჩვენ გაგვრეკავს ჯერ! პარტიზანად რომ გახვალ ტყეში, იმ ღამეს კოლო გიკბენს ცხვირზე და მეორე დღესვე დაბრუნდები სახლში. ბატონო ედუარდ, სად არის პასტუხოვი?

– სად არის და გავაგდე, აბა, ამის (შეთანხმების პროექტის) ხელმოწერა როგორ შეიძლება? ტყვიასაც აღარ გვაძლევენ ეს დამპალი რუსები!

– რას ჰქვია „გააგდეთ?“ ვერაფერი გამიგია, რა ლოგიკაა: რუსო მომეცი ტყვია, უნდა გესროლო ტყვია! რა თქმა უნდა, არ მოგცემს!“[225]

აი, ასეთ, ან დაახლოებით ასეთ ვითარებაში დაიდო 27 ივლისის ხელშეკრულება.

ახალი შეთანხმების მიხედვით ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე უნდა აღდგენილიყო „ომამდელი ხელისუფლების კანონიერი ორგანოები“. აფხაზეთს ტოვებდა ყველა დაქირავებული მებრძოლი, აგრეთვე საქართველოს შეიარაღებული ძალების დიდი ნაწილი. ქართულ მხარეს სოხუმიდან უნდა გაეტანა მთელი ჯავშანტექნიკა და არტილერია. აფხაზურ ტექნიკაზე კონტროლი აფხაზეთში დისლოცირებულ რუსულ ნაწილებს ევალებოდათ.

აღნიშნულმა ხელშეკრულებამ კიდევ ერთხელ გათიშა რის ვაი-ვაგლახით შეკოწიწებული ქართველთა მყიფე ერთობა. შეთანხმების მოწინააღმდეგეთა პირველ რიგებში, ცხადია, ახლაც

---

[225] გიორგი წიქარიშვილი, „ჟამი ჭეშმარიტი: დამარცხებული მოძრაობის ქრონიკა“, თბ. 2003 წ. გვ. 446. წიქარიშვილი თავს არ დებს ამ საუბრის სიზუსტეზე. ამბობს, რომ ეს ასე, ან თითქმის ასე მოხდა.

ექსპრეზიდენტის მომხრენი მოგეველინენ. სწორედ ეს ადამიანები ომის პირველი დღეებიდანვე გაჰკიოდნენ „შევარდნაძის მიერ ქართველთა მიმართ მოწყობილი გენოციდის“, „ქართველი ხალხის ფიზიკური განადგურების მიზნით საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ მისთვის განზრახ თავსმოხვეული უაზრო ომის შესახებ“. და აი, საკმარისი იყო საქართველოს ხელისუფლებას კონკრეტული ნაბიჯი გადაედგა ცეცხლის შეწყვეტის გზაზე, რომ მვიადისტთა განწყობაში კარდინალური გარდატეხა მომხდარიყო. ახლა ისინი „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე“ გაგრძელების მხურვალე მომხრეებად მოგვეველინენ და ხელისუფლების კრიტიკა საწინააღმდეგო მიმართულებიდან გააჩაღეს.

ექსპრეზიდენტის მომხრეთა ასეთი მეტამორფოზა აღვილი ასახსნელია: მათთვის კარგი იყო ყველაფერი, რაც ცუდი იყო ხელისუფლებისთვის. აი, ამ მარტივ ფორმულას ექვემდებარებოდა მთელი მათი სტრატეგია და ტაქტიკა.

თუმცა, 27 ივლისის სოჭის შეთანხმებას სხვა მოწინააღმდეგენიც ყავდნენ. მკრეხელობა იქნებოდა ყველა მათგანის პოზიციის ახსნა რაღაც პიროვნული თუ ჯგუფური მოტივებითა და ინტერესებით, თუნდაც პოპულიზმისა და ექსტრემიზმისკენ მათი ბედმეტი მიდრეკილებით. სოჭის შეთანხმება ქართული მხარისგან მართლაც მძიმე კომპრომისს მოითხოვდა და მისი თავგამოდებული მომხრეებისთვისაც კი იგი მხოლოდ დიდი შინაგანი წინააღმდეგობის გადალახვის ფასად იქნა გაზიარებული. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თუნდაც აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ძველი ხელისუფლების აღდგენის მუხლი იწვევდა მძაფრ პროტესტს. ან რა პირით უნდა ჩასულიყო არძინბა თავის მიერვე დანგრეულ ქალაქში, ან როგორ უნდა ეყურებინათ სოხუმელებს თავიანთი ახლობლების მკვლელებისთვის ეყურებინათ კი არა, დამორჩილებოდნენ მათ ბრძანებებს ...

მაგრამ, რა ალტერნატივა ჰქონდა ამ შეთანხმებას?

მკითხველს ბოდიშს ვუხდი ვრცელი ციტატისთვის, რომელიც 1993 წლის 5 აგვისტოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული ჩემი წერილიდან უნდა მოვიყვანო: „ხელმეკრულებაზე ხელმოწერის ერთადერთი ალტერნატივა ომის გაგრძელებაა. რას მოვუწოდებთ იგი?

ხომ ყველამ კარგად ვიცით, რომ აფხაზეთში აფხაზებს კი არა, რუსეთის, მის ყველაზე შავბნელ ძალებს ვებრძვით. სწორედ

ამიტომ აქვთ აფხაზებს ჩვენზე უკეთესი და უახლესი იარაღი, უფრო უხეი მომარაგება, დიდძალი ფული. ამიტომაა, რომ ჩვენი სამხედრო ძლიერების ზრდის კვალობაზე აღეკვატურად და უფრო მეტადაც იზრდება მოწინააღმდეგის სამხედრო პოტენციალი. ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ჩვენი რესურსები არ ამოიწურება. უგუნურებაა იმის ფიქრი, რომ ჩვენ შევძლებთ რუსეთის წელში გატეხას და მასთან ომის მოგებას. თუ გვესმის და ვაღიარებთ, რომ გვებრძვის რუსეთი, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ომის მოგება ჩვენ არ ძალგვიძს.

რუსეთიდან მძლავრი მხარდაჭერის უგარანტიოდ არც აფხაზები და არც ოსები ჩვენთან კონფლიქტს, უკეთეს შემთხვევაში, არც წამოიწყებდნენ, უარეს შემთხვევაში კი საქართველო ამ კონფლიქტებს რამდენიმე დღეში დაუძაბავად დაარეგულირებდა. რატომ ესმარება ოსებს და აფხაზებს რუსეთი? ცხადია, იმიტომ, რომ ეს უკანასკნელნი რუსეთს მისი იმპერიული ამბიციების დაკმაყოფილებას აღუთქვამენ. და, სანამ ასეა, სანამ ჩვენ რუსეთის ლანძღვა-გინებაში ვიქარწყლებთ დარდს, ოსები და აფხაზები კი ქართულ მიწაზე ეპატიჟებიან რუს გენერლებს, მანამ იარაღის ძალით ოსურ-აფხაზური კონფლიქტების ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვეტაზე ფიქრი ფუჭი ოცნებაა. დროა, დიდი ხანია დროა ხმამაღლა ითქვას: ამ კონფლიქტებს მოიგებს ის, ვინც უკეთ შეძლებს რუსეთის იმპერიული ამბიციების დაკმაყოფილებას. ჩვენ კი ამის გაცილებით უკეთესი შესაძლებლობები გაგვაჩნია, ეიდრე აფხაზ და ოს სეპარატისტებს. უნდა შევიგნოთ, რომ სრული სუვერენიტეტი ერთბაშად, ერთი ხელის დაკვრით არასოდეს და არავისთვის მოდის. დიდმა დავით აღმაშენებელმა გამეფებიდან ათი წელი თურქ-სელჯუკებს ხარკი იმიტომ კი არ უხადა, რომ ჩვენზე ნაკლებად თავისუფლებისმოყვარე იყო, არამედ იმიტომ, რომ ჩვენზე დიდი პოლიტიკოსი იყო და ესმოდა, რომ თავისუფლებას შემზადება, შესაფერისი დროის შერჩევა სჭირდებოდა. რუსეთი დღეს დასუსტებულია, მაგრამ არა იმდენად, რომ უბრძოლველად დათანხმდეს თავის ყოფილ სამფლობელოებში სხვათა გავლენის გაძლიერებას. იგი არასოდეს გამოირჩეოდა ხერხებისა და მეთოდების დახვეწილობით და სიფაქიზით. მით უმეტეს, განსაკუთრებით საშიშია დღევანდელი დაჭრილი და გაავებული რუსეთი. დასავლეთზე ჩვენი ნაადრევი ორიენტაცია რუსეთს აღიზიანებს და ისიც, მთელი მსოფლიოს დასანახად, სამაგალითოდ გვსჯის. არ კმარა ვამაყობდეთ ჩვენი ისტორიით.

იგი უნდა გავითვალისწინოთ კიდეც. თაეის დროზე ობიექტური აუცილებლობა იყო თურქეთსა და ირანს შორის ლავირების პოლიტიკიდან რუსეთზე ორიენტაციის პოლიტიკაზე გადასელა. ერეკლე მეუის მიერ ხელმოწერილი გეორგიევსკის ტრაქტატი უდავოდ სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ მას შემზადება აკლდა და ირანმა მოახერხა საქართველოს დასჯა. შეცდომა კი აღარ უნდა გავიმეოროთ. დღეს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსაეალს ჩვენ ოსი და აფხაზი სეპარატისტების მიმართ კომპრომისებში ვეძებთ. იგი კი რუსეთთან კომპრომისში ძევს. დიახ, ემოციურად რაოდენ მძიმეც უნდა იყოს ჩვენთეის ამის აღქმა, ჩვენ უნდა დავუშვათ გარკეული კომპრომისი სწორედ რუსეთთან, აღვუთქვათ მას იმაზე მეტი, ვიდრე აფხაზი და ოსი სეპარატისტები პირდებიან. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთთან კომპრომისი არის არა ჩვენი სურვილი, არამედ რეგიონში და მთელ მსოფლიოში დღეს ჩამოყალიბებული ძალთა თანაფარდობის ანალიზიდან გამომდინარე იძულებითი აუცილებლობა.

მხოლოდ ასე შეიძლება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება, ჩვენი საშინაო და საგარეო პრობლემების მოგვარება."[226]

სამწუხაროდ, ასეთი კომპრომისისთვის არც ქართული პოლიტიკური ელიტა და არც ქართველი ხალხი მაშინ მზად არ იყო. ვფიქრობ, ასეთი კომპრომისის აუცილებლობა ჩვენ არც დღეს გვაქვს გაცნობიერებული.

ზემოთ ჩვენ დაეინახეთ, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა კარგად აცნობიერებდა რუსეთის ჭეშმარიტ როლს ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებაში. ის მხარე იყო და არა ობიექტური შუამავალი. რუსეთის თეითმფრინავები ქართულ პოზიციებს ბომბავდნენ,[227] რუსი ინსტრუქტორები აფხაზ სამხედროებს

---

[226] .გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 5 აგეისტო, 1993 წ.

[227] . რუსეთის თავდაცვის მინისტრი ცინიკურად აცხადებდა, რომ ქართველები თაეიანთ თეითმფრინავებს რუსულ გამოსაცნობ ნიშნებს ახატავენ და თაეიანთ პოზიციებს თეითონვე ბომბავენო. ასე გრძელდებოდა მანამ, ვიდრე ქართველებმა რუსული ბომბდამშენი არ ჩამოაგდეს.

მოგეიანებით, 1997 წელს, „მოსკოესკი კომსომოლეცის" 4 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში ალექსანდრე გუდბერგი აღიარებდა: „აფხაზეთის ომის დროს რუსეთმა ამკარად სეპარატისტთა მხარე დაიჭირა.

წერთნიდნენ, რუსეთის არმიის გენერლები გეგმავდნენ და ხელმძღვანელობდნენ ქართული ჯარის წინააღმდეგ სეპარატისტთა საბრძოლო ოპერაციებს, რუსეთის სამხედრო შენაერთები მონაწილეობდნენ სამხედრო ოპერაციებში და ა. შ.[228]

შევარდნაძეს, შესაძლოა, არცთუ უსაფუძვლოდ, სჯეროდა ელცინის, რომელიც, მისი აზრით, რუსეთში ყველაფერს ვერ აკონტროლებდა. მოგვიანებით, 1994 წლის 5 იანვარს, შევარდნაძე ამის შესახებ იტალიელ კორესპოდენტთან საუბარში აღნიშნავდა: „ჩემი აზრით, ელცინმა ვერ შეძლო სიტუაციის გაკონტროლება, რადგან მაშინდელი უმაღლესი საბჭო დიდ წინააღმდეგობას უწევდა და დეპუტატების უმრავლესობა მხარს უჭერდა აფხაზთა სეპარატისტულ მოქმედებას. ამ ხალხთან კონფლიქტში მყოფმა ელცინმა ვერ შეძლო ამ წინააღმდეგობის დაძლევა.“[229] ეს ერთი მხრივ. ზემოთ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ მეორე, პირველზე არანაკლებ მნიშვნელოვან მიზეზზე გამოუვალ მდგომარეობაზე, რომელშიც ქართული სახელმწიფო იმყოფებოდა. ქართულმა მხარემ მესამედაც დადო აფხაზ სეპარატისტებთან შეთანხმება და თავის მხრივ პატიოსნად შეასრულა იგი — გაიგანა სოხუმიდან მთელი მძიმე ტექნიკა, მაშინ როდესაც პირველი ორი შეთანხმება აფხაზებისა და რუსების მხრივ მუხანათურად იქნა დარღვეული. ქართულ სახელმწიფოს მაშინ შინაგანი წინააღმდეგობანი ღრნიდა. სამოქალაქო ომისგან, ეთნოკონფლიქტებისგან დასუსტებულ და გაჩანაგებულ ეკონომიკას აფხაზური კონფლიქტი უმძიმეს ტვირთად აწვებოდა. ჯარის აღჭურვა და გამოკვება სულ უფრო ძნელი ხდებოდა. აფხაზ სეპარატისტებთან დადებული შეთანხმებები საქართველოს ხელმძღვანელობას

რუსეთის თვითმფრინავები ბომბაჟდნენ ქართველთა პოზიციებს. ოპერაციებს რუსეთის გენერლები გეგმაჟდნენ. ... აფხაზთა შენაერთების მარგის შეტევას პირადად ხელმძღვანელობდა რუსეთის გენერალი სოროკინი. ჩვენი სამხედროების მოქმედებას ზურგს უმაგრებდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბორის პასტუხოვი, რომელიც მეტად ნიჭიერად აგვიანებდა დაზავების წინაღადებებს ერთი-ორი საათით და ამტკიცებდა, რომ გაუთავებლად ატყუებდნენ მოკავშირენი. არ ვიცი უხაროდათ თუ არა ჩინდიროვს და პასტუხოვს, როცა თავმოჭრილი და აჩეხილი ცხედრები მოცურავდა აფხაზეთის მდინარეებში, მაგრამ დარწმუნებულნი უნდა იყვნენ: ეს ცხედრები მათი დამსახურებაცაა.“

[228] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა,“ 6 იანვარი, 1994 წ.

[229] გაზ. „ახალი საქართველო“, 13-21 აგვისტო, 1993;

ამოსუნთქვის შესაძლებლობას აძლევდა. ამიტომ ის მიზერულ იმედსაც ხავსიით ებღაუჭებოდა.

და მაინც, ასეთი გულუბყერილობა უპატიებელი შეცდომა იყო.

ზუგდიდის გზა ზვიადისტებს ჰქონდათ გადაკეტილი. ამიტომ ქართული მძიმე ტექნიკა ფრონტის ხაზიდან უოთისკენ, რუსული ფლოტის მეშეეობით, ზღვით გაპქონდათ, რაშიც რუსები ქართულ მხარეს ასიათასობით დოლარს ახდევინებდნენ.

ცინიზმი ამაზე შორს ვეღარ წავიდოდა: რუსი გაიძულებდა ფრონტიდან მძიმე ტექნიკა გაგეტანა, ამ გატანაში კი უულს ისევ შენ გახდევინებდა.

1993 წლის 20 ივლისს გროზნოში მყოუმა გამსახურდიამ კიდევ ერთი „ბრძანება" გამოსცა: „მე მოვუწოდებ აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებულ ყველა ქართველ მებრძოლსა და მეთაურს, სრულიად საქართველოს მოსახლეობის: არ დაემორჩილოთ შევარდნაძისა და მისი კომუნისტური ხუნტის ბრძანებებს, არ დათმოთ აფხაზეთის – ძირძველი ქართული მიწის – არცერთი გოჯი, არ ჩააბაროთ მტერს უკვე მოპოვებული პოზიციები. აღადგინეთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. გახსოვდეთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის საზღვარი მდინარე ფსოუზე გადის."[230]

რა არის ეს? როგორ მოიქცეს ქართული ჯარი? სარდლობას არ დაემორჩილოს, მაგრამ, ამავე დროს არც პოზიციები დათმოს და ტერიტორიული მთლიანობაც აღადგინოს! როგორ უნდა დაგიბნელოს კაცს გონება შურმა და ბოღმამ, რომ ასეთი ურთიერთგამომრიცხავი „აზრების" კორიანტელი დააყენო!

27 ივლისის შემდეგ ხელისუფლებამ სოხუმიდან გახიზნულ მოსახლეობას დაბრუნებისკენ მოუწოდა. 1 სექტემბერს სოხუმის სკოლებში სწავლა განახლდა. შემდეგში ბევრი ამ ფაქტში პირდაპირ ღალატს დაინახავს. მართლაცდა, როგორ შეიძლებოდა ასეთი მიამიტობა? თუმცა, ფაქტი ფაქტად რჩება: რუსეთისგან ორჯერ მწარედ მოტყუებული შევარდნაძე კიდევ ერთხელ მიენდო მათ.

---

[230] .თეიმურაზ მიბჩუანი, „რუსეთის როლი აფხაზეთის ომში," თბ. 2005, გვ. 22.

სოხუმზე შეტევის გეგმა რუსეთის გენშტაბში შემუშავდა[231]. ამ გეგმის თანახმად შეტევის დაწყებიდან ქალაქი ოთხ დღეში უნდა დაცემულიყო. ქალაქის შტურმისთვის სეპარატისტები საგულდაგულოდ მოემზადნენ.

14 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის სხდომა დაძაბულად დაიწყო. განიხილებოდა ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის შემოღების საკითხი. მას შემდეგ, რაც შევარდნაძემ თემურ ხაჩიშვილი გაათავისუფლა შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან (ამის საბაბად იქცა ხაჩიშვილის მიერ რუსთავის „საძმოს“ ხელმძღვანელის – თემურ გალახაძის წინასწარ გაფრთხილება მისი მოსალოდნელი დაპატიმრებისა და, შესაბამისად, „მხედრიონის“ რუსთავის დაჯგუფების განადგურების შესახებ) ჯაბა იოსელიანი მკვეთრად დაუპირისპირდა შევარდნაძეს. იოსელიანი საგანგებო წესების შემოღების წინააღმდეგ გამოვიდა: როცა მოსკოვში, 1991 წლის 19 აგვისტოს, გადატრიალება მოხდა, მთელ მსოფლიოში მხოლოდ ორად-ორმა ადამიანმა თქვა – ეს თავად გორბაჩოვის მოწყობილიაო. ერთი ზვიად გამსახურდია იყო, მეორე – ედუარდ შევარდნაძე. მე მაშინვე დაეჭვდი და ვიფიქრე: როგორ შეიძლება კაცს საკუთარი თავის წინააღმდეგ ასეთი რამ მოეწყო-მეთქი ...

აღშფოთებულმა შევარდნაძემ თავისი გადადგომის შესახებ განაცხადა და იოსელიანს მიმართა – ამას როგორ მიბედავო!?

იოსელიანი ადგილიდან წამოხტა: „რას ჰქვია გიბედავ? რას ჰქვია გიბედავ?“

შევარდნაძემ დარბაზი დატოვა. დეპუტატებმა მას დაბრუნება სთხოვეს. შევარდნაძემ საჯაროდ განაცხადა: „ჩემს გადაწურთხებულს აღარ აელოკავ. არ გეგონოთ მსოფლიოში მოგზაურობას და ლექციებით ფულის გროვებას ვაპირებ, თბილისიდან არსადაც არ წავალ“.[232]

ვიცე-სპიკერი ირინა სარიშვილი პარლამენტის წინ გავიდა და იქ შეკრებილ ხალხს მოუწოდა – ყველამ დავიჩოქოთ და შევარდნაძეს გადადგომის გადაწყვეტილებაზე უარის თქმა ვთხოვოთო.

---

[231] .გიორგი წიქარიშვილი, „ქამი ჭემმარიტი: დამარცხებული მოძრაობის ქრონიკა,“ თბ. 2003 წ. გვ. 452-453.

[232] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 8 ნოემბერი, 1994 წ;

ხალხმა დაიჩოქა.

ამის შემდეგ შევარდნაძე და იოსელიანი შეხვდნენ ერთმანეთს. შევარდნაძე ხალხის წინაშე გამოვიდა და განაცხადა, რომ უკან მიაქვს თავისი სიტყვები გადადგომის შესახებ.

შევარდნაძის მოძულენი მოვლენების ამგვარ განვითარებაში სპექტაკლს ხედავენ, სხვანი ფიქრობენ, რომ სახელმწიფოს მეთაურს უმძიმეს გარემოში უხდებოდა ქვეყნის მართვა. ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია: ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ყველას ნერვები უკიდურესობამდე ჰქონდა დაჭიმული, ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია კი მართლაც ტრაგიკული იყო.

გაზეთ „აღდგომის“ 7 სექტემბრის ნომერში გამსახურდიამ საქართველოს მოსახლეობის აუწყა, რომ „საქართველოში დაიწყო კანონიერი ხელისუფლების აღდგენის პროცესი“.

15 სექტემბერს ლოთი ქობალიამ სენაკი აიღო. ეს ქვეყნისთვის, და არა მხოლოდ ხელისუფლებისთვის, ზურგში ლასვარის ჩაცემა იყო. იმაღე დღეს პარლამენტის სხდომაზე თედო ნინიძემ დაწვრილებით ისაუბრა, აჭარაში ყოფნის დროს როგორ შესვდა ის რუს გენერალს, რომელმაც მას ასლან აბაშიძის თანდასწრებით უთხრა: „შევარდნაძეს საბჭოთა კავშირის დაშლას არ ვაპატიებთ და უახლოეს მომავალში სასტიკად დავსჯითო“.

16 სექტემბერს სეპარატისტებმა მესამე შეთანხმებაც დაარღვიეს და ტყვარჩელთან იერიში წამოიწყეს. მათ გაარღვიეს ფრონტის ხაზი და კოდორის შესართავი დაიკავეს. სეპარატისტებმა ქართული სოფელი გადაწვეს, მოსახლეობა კი წამების შემდეგ ერთიანად გაჟლიტეს. ამავდროულად აფხაზებმა კამანიდანაც შეუტიეს სოხუმს. აფხაზურმა არტილერიამ, რომელიც, შეთანხმების თანახმად, რუსებს უნდა გაეკონტროლებინათ, სოხუმის დაბომბვა დაიწყო. სეპარატისტთა იერიშებს ჰაერიდან რუსული ავიაცია უჭერდა მხარს.[233]

მიხეილ დემიანოვი, რომელიც ქართველებმა სოხუმთან 19 სექტემბერს დაატყვევეს, დაკითხვისას აღიარებდა, რომ სოხუმის შტურმის ნებართვა არძინბამ რუცკოისგან მიიღო.[234]

საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთის ხელისუფლებას საპროტესტო ნოტა გაუგზავნა, მოსკოვმა კი თავი იმართლა –

---

[233] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 8 ნოემბერი, 1994 წ;

[234] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 6 დეკემბერი, 1994 წ;

ჩვენ სამშვიდობო შეთანხმების მხოლოდ შუამავალი ვიყავით და არა გარანტიო. რუსეთის პრეზიდენტს მიმართა შევარდნაძემაც. „უკვე აღარა მაქვს იმის თავი, რომ რაიმე გთხოვოთ და გაცნობებთ: სოხუმთან თავს იყრიან გუდაუთის დაჯგუფების ტანკები და მძიმე საბრძოლო ტექნიკა. ყოველი წუთი გაღამწყვეტია. წუთი-წუთზე მისი ძალები შემოიჭრებიან დაუცველ, თავდაცვის მინიმალურ საშუალებებს მოკლებულ ქალაქში. იგივე ხდება ოჩამჩირის რაიონში, საიდანაც ჩვენ, პატივს ვცემთ რა სოჭის შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს და თქვენს კეთილ ნებას, გამოვიყვანეთ ცოცხალი ძალა და ტექნიკა. ამის შედეგად თარეშობს უხეში, არააღამიანური ძალა, რომელმაც უეხქვეშ გათელა სამსრივი შეთანხმების ფორმა და შინაარსი და რუსეთის – მათი განუხრელი დაცვის გარანტის როლი. უკვე მესამედ მოატყუეს ჩვენი ხალხი იმათ, ვინც ხელი მოაწერეს მორიგებებს და არაფერს აკეთებს მათი შესრულებისთვის.

რა ბრალი მიგვიძღვის რუსეთისა და მსოფლიოს წინაშე? ის ხომ არა, რომ უკვე მერამდენედ ქართველი ერის ისტორიაში ვისურვეთ თავისუფლება და დამოუკიდებლობა?

ჩვენ განგვაიარაღეს და ეს იმიტომ მოხდა, რომ დაგიჯერეთ თქვენ და მე ისღა დამრჩენია, რომ გავფრინდე სოხუმში და მის უიარაღო მოქალაქეებთან ერთად მიშველი ხელებით დავიცვა ქალაქი.“[235]

ამ უდიდესი იმედგაცრუებისა და სასოწარკვეთის გამომხატველი წერილის გაგზავნის შემდეგ შევარდნაძე დაუყოვნებლივ სოხუმში ჩაფრინდა. ამ დროისთვის რუსებს სითბური რაკეტებით უკვე ორი სამგზავრო თვითმფრინავი ყავდათ ჩამოგდებული.

აფხაზურმა მხარემ ომების ისტორიაში საკმაოდ ცნობილ ხრიკს მიმართა: ეთერში ღიად დაიწყო საუბარი იმაზე, რომ ტყვია-წამალი უთავდებოდა. ქართულმა მხარემ ეს წმინდა წყლის სიმართლედ მიიღო და იმედოვნებდა, რომ მოწინააღმდეგის შეტევა ხანმოკლე გამოდგებოდა.

17 სექტემბერს პავლე გრაჩოვი შეხვდა შევარდნაძეს, რომელსაც თან ყარყარაშვილი და ბათიაშვილიც ახლდნენ.. გრაჩოვმა ქართველებისა და აფხაზების შერიგებაზე დაიწყო საუბარი. შევარდნაძემ მას უხეშად შეაწყვეტინა: „ იცით რა, თუ რა-

---

[235]. გაგ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 17 სექტემბერი, 1993 წ.

იმე რეალური წინადადება გაქვთ, გვითხარით, აქ სერიოზული საქმისთვის ჩამოველით და არა მღაპრების მოსასმენად“,[236] – უთხრა მან გრაჩოვს. მაშინ გრაჩოვმა ქართულ მხარეს რუსეთის ორი დივიზიის აფხაზეთში, ფოთში, ქუთაისსა და გუდიდში შეყვანა შესთავაზა, რის შემდეგაც, ის ვითარების სტაბილიზაციის გარანტიას იძლეოდა. ბათიაშვილმა და ყარყარაშვილმა შევარდნაძეს განუცხადეს, რომ ამ შეთავაზების მიღების შემთხვევაში ისინი გადადგებოდნენ. შევარდნაძემ რუსების წინადადება უარყო და თბილისში დაბრუნდა. აქ მას ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ უსაყვედურა – გრაჩოვის შეთავაზება რატომ არ მიიღეო. შევარდნაძემ გრაჩოვს უდეპეშა: „თანახმა ვარ“. პასუხი: „უკვე გვიანაა“. რუსების მიერ ამ წინადადების შეთავაზებიდან კი სულ რამდენიმე საათი იყო გასული.

ცხადია, გრაჩოვი თვალთმაქცობდა. მან განგებ შეთავაზა შევარდნაძეს მისთვის მიუღებელი წინადადება (სოხუმის დაცვასთან რა შუაში იყო ქუთაისი და ფოთი?), ხოლო როდესაც, რამდენიმე საათის შემდეგ, შევარდნაძე მაინც დათანხმდა ამ წინადადებას, ყურით მოთრეული საბაბით უარი უთხრა მას.

იმავე დღეს გროზნოდან გამსახურდია ტელეფონით ბესარიონ გუგუშვილს ესაუბრა. გუგუშვილმა მას შეატყობინა, რომ წინა საღამოს, ყარყარაშვილი თავისი რაზმით მიადგა აფხაზეთის საბღვარს და ლოთი ქობალიას სთხოვა, რომ გაეტარებინა. „...მაგრამ იმ პატარა რაზმსაც არ ატარებენ. ჩვენების პატარა ნაწილი გაეშურა სოხუმისკენ. ესენი არიან სოხუმელები ძირითადად ...“

გამსახურდია: „სოხუმში არაფერი სერიოზული ბრძოლები არ მიმდინარეობს და გატყუებენ თქვენ.“

გუგუშვილი: „ჩვენ ავუხსენით შტაბსაც და ოფიცრებსაც, რომ სინამდვილეში ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ შეიტყუონ ჩვენები შიგ და მერე მახეში მოახვედრონ. ეს ოფიცრებმა იციან, მაგრამ იქ გავიდნენ ისინი, ვისაც ოჯახის წევრები სოხუმში ყავთ და რომ შეძარებით წყნარ რაიონში გადაიყვანონ ...“

გამსახურდია: „გავიდნენ უკვე სოხუმში?“

გუგუშვილი: „ნაწილი გასულია, ნაწილი საწვავს ელოდება ...“

---

[236] .გიორგი წიქარიშვილი, „ჟამი ჭეშმარიტი. დამარცხებული მოძრაობის ქრონიკა,“ გვ. 457.

გამსახურდია: „იქ სერიოზული არაფერია, ამიტომ აღარავინ აღარ წავიდეს.“[237]

18 სექტემბერს გამსახურდია ტელეფონით კვლავ ესაუბრა გუგუშვილს:

გამსახურდია: „ლოთი სად არის?“

გუგუშვილი: „ლოთი არის სენაკში“.

გამსახურდია: „აფხაზეთში ხომ არ აპირებს წასვლას?“

გუგუშვილი: „აფხაზეთში გარკვეული ნაწილები წავიდნენ, როგორც ადრე იყვნენ მოლაპარაკებულნი.“

გამსახურდია: „თვითონ ლოთი თუ მიდის?“

გუგუშვილი: „თვითონ წავა თუ არა, არ ვიცით. დღეს გავიგებთ.“

გამსხურდია: „უთხარი, არავითარ შემთხვევაში არ წავიდეს ... არ გაუშვათ იქით ჩვენი მებრძოლები.“[238]

აქ ერთი წუთით შევწყვიტოთ თხრობა და კარგად გავიაზროთ თუ რასთან გვაქვს საქმე.

საქართველოში დღეს საყოველთაოდ მიღებული აზრია: „გამსახურდია იქნებ, პოლიტიკაში მოიკოჭლებდა, შეცდომებს, მათ შორის, სერიოზულ შეცდომებსაც უშვებდა, მაგრამ უდავოა, რომ ის დიდი პატრიოტი, დიდი ქართველი იყო.“ ასე, ან დაახლოებით ასე ფიქრობს ქართველთა აბსოლუტური უმრავლესობა. ამ თეზისის დასაბუთებას დღევანდელ საქართველოში არავინ ცდილობს. უბრალოდ, ითვლება, რომ ის აქსიომატური ჭეშმარიტებაა და დასაბუთებას არ საჭიროებს.

ახლა მოდით, ისეთ რიტორიკულ კითხვებსაც ერთად ვუპასუხოთ, როგორიცაა: რა არის პატრიოტიზმი? ვინ არის პატრიოტი?

ცხადია, პატრიოტიზმი სამშობლოს სიყვარული, პატრიოტი კი ის ადამიანია, ვისაც სამშობლო უყვარს. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ინსტიქტის დონეზე თავისი მამულის, თავისი ხალხის სიყვარული ნებისმიერი ინდივიდისთვის არის დამახასიათებელი. ის კი არადა, თუ უხერხულ შედარებაში არ ჩამომერთმევა, ყველა ძაღლს თავისი ხუხულა, ყველა დათვს თავისი ბუნაგი ურჩევნია სხვისას, 100 კილომეტრით თავის სახლს მოშორებული კატა კი

---

[237] .თ. ჭანტურიშვილი, „სიმართლე მვიად გამსახურდიას შესახებ“, თბ. 1999 წ. გვ. 208-209.

[238] .თ. ჭანტურიშვილი, „სიმართლე მვიად გამსახურდიას შესახებ“, თბ. 1999 წ. გვ. 210.

ინსტიქტით შეუცდომლად ბრუნდება უკან. ჩუქჩამ, რა თქმა უნდა იცის, რომ მისი სამშობლოს გაყინულ მიწას და თოვლწაყრილი ბუჩქების „პეიზაჟს“ საქართველოს წალკოტი სჯობს, მაგრამ მას გულს ძალუმად მაინც ის ყინულოვანი მიწა უჩქროლებს, რადგან ის მისი მშობლიური მიწაა. ამ თვალსაზრისით, სამშობლოს სიყვარული ერის დონემდე განვრცობილი ეგოიზმია. როდესაც ქართველები ეროვნული სტადიონის ტრიბუნაზე ვზივართ, რა თქმა უნდა გვისარია, თუ სასწაული მოხდა და ჩვენმა გუნდმა გოლი გაიტანა (სხვის კარში, თორემ საკუთარში, იცოცხლეთ, ემარჯვებათ). არის თუ არა ეს პატრიოტიზმი? ინსტიქტის, ეგოიზმის დონეზე, რა თქმა უნდა, არის. მაგრამ პიროვნული და ეროვნული ინტერესების დაპირისპირებისას იგივე ქართველები, როგორც წესი, უპირატესობას პიროვნულს ვანიჭებთ. ვთქვათ, მებაჟე, რომელიც ქრთამის ნაცვლად თანხმდება საზღვარზე ნარკოტიკების გადმოტანას, ან საკუთარ ქვეყანაში უკანონოდ მოჭრილ ხეტყეს გაატარებს საზღვარზე, ან ხელმძღვანელი თანამდებობის პირი, ასევე ქრთამის სანაცვლოდ, სამსახურში ღებულობს ყოვლად უნიჭოს, მართლაც ნიჭიერს და ღირსეულს კი უარით ისტუმრებს, შეიძლება პატრიოტად ჩაითვალოს? რით განსხვავდება მათი საქციელი ჩვენი დიდგვაროვანი ფეოდალების იმ ნაწილის საქციელისგან, რომელიც პირად ინტერესებზე ახურდავებდა ეროვნულ ინტერესს?

პატრიოტიზმი გაცილებით ამაღლებული, კეთილშობილური გრძნობაა, რომლის დონემდე ამაღლება ბევრს არ ძალუძს. პატრიოტიზმის გრძნობის სიღრმე, მისი ჭეშმარიტება განიზომება პიროვნების მზადყოფნით – პირადულ ინტერესებზე მაღლა აყენებდეს საერთო-ეროვნულ, საერთო-საქვეყნო ინტერესებს.

გამსახურდიამ კი თავის ამბიციებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა გადააყოლა. სხვა რა შეიძლება ეწოდოს იმას, რასაც გამსახურდია აფხაზეთის ომის მსვლელობის დროს აკეთებდა? 1993 წლის სექტემბრის მეორე ნახევარში ხომ ყველასთვის ცხადი იყო, რომ სოხუმი და აფხაზეთი იკარგებოდა. ამას გამსახურდიას თანამებრძოლებიც გრძნობდნენ და ფრონტისკენ მიუწევდათ გული. ყოფილი პრეზიდენტი კი მათ აჩერებდა – სოხუმში ისეთი არაფერი ხდება, ნუ წახვალთო.

ვისაც რა უნდა ის იფიქროს, მაგრამ ჩემთვის ეს პატრიოტიზმი არაა. ეს სწორედ ის შემთხვევაა, რომელზეც ცხონებული მერაბ კოსტავა იტყოდა: ეროვნული მოძრაობა კი არ უყვარს

საკუთარ თავში, არამედ — საკუთარი თავი ეროვნულ მოძრაობაშიო.

22-23 სექტემბრიდან ქართველმა მებრძოლებმა პოზიციების თეითნებური მიტოვება დაიწყეს. ოჩამჩირის დაჯგუფებამ ვერ შეძლო აღმი-უბეჟას მღუდის გარღვევა და სოხუმის დამცველებისთვის საბრძოლო ტექნიკის მიშველება.

24 სექტემბერს, სოხუმის დაცემამდე სამი დღით აღრე, გროზნოდან ზუგდიდში ჩამოვიდა ზვიად გამსახურდია. აღგილობრივ მოსახლეობას მან „ხუნტის“ დამხობისკენ მოუწოდა. გამსახურდიას ჩამოსვლით ქვეყანაში არსებული სამამულო ომის განწყობა შეიცვალა სამოქალაქო ომის განწყობით, რამაც, ცხადია, მაღესტაბილიზებელი როლი შეასრულა.

პრაქტიკულად დაუცველი სოხუმის აღება კი მხოლოდ დროის საკითხი იყო. საქართველოს სამთავრობო ჯარს, ტექნიკას ქობალიას რაზმებმა გზა გადაუკეტეს, კოდორზე გადმოსასვლელ ხიდს აფხაზები აკონტროლებდნენ. სხვა გზა სოხუმში შესასვლელად, პრაქტიკულად, არ არსებობდა. შარტავას კაბინეტიდან ბიზნესმენი ნუგზარ გოგია შევარდნაძის თანდასწრებით ქობალიას ტელეფონით ელაპარაკა. მერე ჟიულიც დაელაპარაკა ქობალიას. ეს საუბარი არაერთხელ გადაიცა ტელევიზიით და მთელმა საქართველომ ნახა. ქობალიამ შევარდნაძესთან ლაპარაკი მოითხოვა. ჟიულიმ ყურმილს ხელი დააფარა და შევარდნაძეს სთხოვა - იქნებ დაელაპარაკოთო. შევარდნაძემ კატეგორიულად უარყო. საუბარი ჟიულიმ გააგრძელა. ქობალია მას შეპირდა, რომ თავისი რაზმით ის აუცილებლად დაიძრებოდა სოხუმისკენ. „თუ ასეთი მძიმე მდგომარეობა იყო, აქამდე არ ვიცოდი, თორემ რა გამაჩერებდაო“, - უთხრა შარტავას. ამ საუბრების შემსწრე ლონდერ ცაავა განაგრძობს: „ამ დღეს ქობალიასთან ოთხი საუბარი შედგა. მეოთხე ლაპარაკის დროს შარტავამ ქობალიას უთხრა: ახლა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს დაგალაპარაკებთო და ყურმილი ედუარდს გადასცა. სმენად ვიქეცით. „ალო! - მეტი არაფერი. ხომ არ მიმართავდა სახელით, ან მით უფრო - ბატონო ლოთი?! ტელეფონის ხაზის მეორე ბოლოდან მოახსენეს რამდენი კაცი, ტექნიკა, როდის წამოვიდოდნენ სოხუ-

მის მოსაშველებლად. თუ თქვენ ასე იმოქმედებთ, დიდ საქმეს გააკეთებთო, უთხრა ბატონმა ედუარდმა. ეს იყო და ეს."[239]

ბოლოს (პირველი საუბრიდან მესამე დღეს) ქობალიას ლონდერ ცააცა დაელაპარაკა: „პირდაპირ ვუთხარი, რომ ამკარად სჩანს სოხუმის გადარჩენაში არ დაგეხმარებით. ერთი თხოვნა მაქვს მხოლოდ - ასი ათასი ქალი, ბავშვი და მოხუცი გულრიფშსა და კოდორს არის მომდგარი, ეს ხალხი მაინც გაიყვანეთ და გადით-მეთქი. ჩავთვალე, რომ ეს ის ვარიანტი იყო, რომელსაც ნებისმიერი ქრისტიანი კაცი უნდა დათანხმებულიყო. მიპასუხა: არ ვიცოდი, რომ ასეთი სიტუაცია იყო (ეს წინადადება ყოველთვის რეურენიით მეორდებოდა), ერთ საათში 100 ათას კაცს მე თვითონ ჩავუდგები სათავეში, მთავრობის ჯართან ერთად გავარღვევთ აფსაზების თავდაცვას და გამოვიყვანთ ხალხს.

ზუსტად ერთი საათის შემდეგ ისევ ვრეკავ ბუგდიდში. იქიდან მიპასუხეს: „ბატონი ლოთი აქ არ არის, სენაკში წავიდაო. „[240]

ქიული შარტავა და აფსაზეთის მთელი მაშინდელი ხელმძღვანელობა მთავრობის სასლში ალყაშემორტყმული აღმოჩნდა. მოგვიანებით ბოროტი ხმები დაიწყებენ მტკიცებას, თითქოს შარტავა და მისი მთავრობა შეევარდნაძემ განგებ გაწირა. აი, როგორ აღწერს ამ ამბავს უშუალო მომსწრე, „აეღანელთა" რაზმის მეთაური, პოლკოვნიკი გურამ ჯანიშვილი: „ბატონმა ედუარდმა რომ გაიგო ქიული შარტავა ალყაშიაო, მანქანაში ჩაჯდა, დაცვა არ მჭირდებაო და მძღოლს სოხუმის ცენტრისკენ წასვლა უბრძანა. თავისთავად ცხადია, მივევარდით ჩვენც და დაცვაც. ვუმტკიცებდით, რომ ასე არ შიძლება, რომ ეს უეჭველი სიკვდილი იყო. მაგრამ ახლოს არ გაგვიკარა, ძალიან გაბრაზებული იყო და განერვიულებული. კაცს რომ თავი აქვს სასიკვდილოდ გადადებული, ძნელად გააჩერებ.

ამ დროს გადაუდგა გიორგი ქავთარაძე და უთხრა: თუ საქართველოს დაღუპვა გინდათ, ჩემზე გადაიარეთ, მე აქედან ფეხს არ მოვიცვლიო. მძღოლს ვუბრძანე გადმოსულიყო. ჩვენებს კატეგორიულად ავუკრძალე მანქანაში ჩაჯდომა. ბატონი

---

[239]. არმაზ სანებლიძე, „93-ის 27 სექტემბერი", „საქართველოს რესპუბლიკა", 18 მაისი, 1994 წ.

[240]. არმაზ სანებლიძე, „93-ის 27 სექტემბერი», გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა," 18 მაისი, 1994 წ.

ედუარდი ისე იყო აღელვებული, რომ მშიშრები და ლაჩრები გვიწოდა.

ვინც ვაქკაცები ხართ, წამომყევითო, მიმართა იქ მყოფთ. თაეისი რომ ვერ გაიტანა, კორპუსის შტაბში შებრუნდა. იქ, სჩანს, მოელაპარაკა ამ დროს მოსულ ჯაბა იოსელიანს. ორივენი ერთად გამოვიდნენ. ბატონი ჯაბას დაცეის უუროსი ჯდება მანქანაში და წითელი ხიდისკენ წავიდნენ. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ ვერაფრის გაკეთება ვერ მოვასწარით. სასწრაფოდ დავედევნეთ.

წითელ ხიდთან მასირებულ ცეცხლში მოვყევით, რამდენიმე მანქანა დაიცხრილა. ყველა დარწმუნდა, რომ ჯგის გაგრძელება უაზრო სიკვდილი იქნებოდა. ბატონმა ჯაბამაც ასე უთხრა სახელმწიფოს მეთაურს."[241]

შარტავამ და მასთან ერთად მყოფმა პირებმა შენობის დატოვება სცადეს, მაგრამ მოწინააღმდეგის ძლიერ ცეცხლში მოყვნენ და უკანვე შებრუნდნენ. „ავღანელთა" ბატალიონის ასმეთაური ელგუჯა გორდაძე იგონებს: „შენობიდან გამოსულ შარტავას და მის გარემოცვას ცეცხლი გაუხსნეს. დაცემ ისინი სასწრაფოდ უკან შეაბრუნა. ეს იყო შეცდომა, რომელიც ბრძანების შეუსრულებლობას მოჰყვა: უნდა გავსულიყავით ალყიდან, გვესარგებლა ჯანიშვილის მიერ გაკეთებული „დერეფნით". კი, იქნებოდა სროლა, დავიღუპებოდით ნაწილი, მაგრამ სხვები ხომ გადაჩებიდნენ? აქ, მინისტრთა საბჭოში კი ყველანი განწირულები ვიყავით. .. მივედით ბატონ ქიულისთან და ვუთხარით, რომ აქ გაჩერება უაზრობა იქნებოდა, თუ დამხმარე ძალა არ მოვიდოდა.

- ბავშვი ხომ არ ვარ მოგატყუოთ, - გვიპასუხა, - შტაბში დარეკილია და დაგეპრდნენ დახმარებას. აუცილებლად მოვლენ.

ვფიქრობ, ბატონ ქიულის ორი რამის იმედი ჰქონდა. პირველი, რომ დამხმარე ძალა მართლაც მოვიდოდა მეორე, რომ მას, ახლადდანიშნულ მაღალი თანამდებობის პირს, რომელსაც, ვთქვათ ასე, აფხაზების წინაშე არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა, აფხაზები ანგარიშს გაუწევდნენ.

მაშინ, როდესაც კრიტიკული წუთები იდგა, ბატონმა ქიულიმ კიდეც გვითხრა ამის შესახებ: „მე თვითონ წავალ მოლაპარაკებაზე, ნუ გეშინიათ, თქვენც გადაგარჩენთ, არ დაგხვრეტე-

---

[241] . არმაზ სანებლიძე, „93-ის 27 სექტემბერი», გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 7 აპრილი, 1994 წ.

ნო“. მას მსარი დაუჭირეს ქალაქის მერმა - ბატონმა გაბისონიამ და სხვებმაც“[242]

აი, როგორ აღწერს აღნიშნულ ეპიზოდს მინისტრთა საბჭოს შენობაზე იერიშის მიმტანი ყაბარდოელთა ბატალიონის მონაწილე ერთ-ერთი მებრძოლი: (გამოქვეყნდა ინტერნეტში, ავტორის გვარი არ სახელდება), ოთხსაათნახევრიანი შტურმის შემდეგ ქართველებმა თეთრი ნაჭერი გაადმოფინეს და შენობიდან გამოსულმა პარლამენტარმა ქიული შარტავას სახელით კორიდორი მოითხოვა. მას განემარტა, რომ მოლაპარაკება შეიძლებოდა მხოლოდ ტყვედ დანებებაზე. ასეთ შემთხვევაში მათ სიცოცხლის გარანტიას ვაძლევდით. პარლამენტარი შენობაში შებრუნდა, 15-20 წუთის შემდეგ კელაე გამოვიდა და ქიული შარტავას დანაბარები გადმოგვცა: ტყვედ მხოლოდ ყაბარდოელებს ჩავბარდებიო. მას უპასუხეს, რომ შენობის შტურმს მხოლოდ ყაბარდოელები ახორციელებდნენ. ამის შემდეგ ჩვენ მეორე სართულზე ავედით, სადაც 25 ქართველი დაგვხვდა. ქართველმა სპეცრაზმელებმა და მთავრობის წევრებმა იარაღი იატაკზე დაყარეს. „რომელია აქ ქიული შარტავა?“ - იკითხა ჩვენმა მეთაურმა. შარტავამ უპასუხა. „თქვენ დაპატიმრებული ხართ“, - წარმოსთქვა მეთაურმა. შარტავამ ითხოვა ეთქვათ თუ ვის აყავდა ის ტყვედ. „ყაბარდოელთა ჯგუფის უფროსი, აფხაზური არმიის მაიორი შოროვი“, - მიიღო პასუხი. შარტავამ მას გადასცა თავისი პირადი იარაღი - გენერლის ვერცხლისფერი პისტოლეტი და მოკლე ავტომატი. აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრის მოწმობა. სწორედ ამ დროს მეორე ოთახიდან გამომავალ ღია კარებში გამოჩნდა ქართველი სპეცრაზმელი, რომელსაც ცალ ხელში გახსნილი „ლიმონკა“, მეორეში კი ჯვარი ეჭირა. „მესროლეთ, ჩემი რწმენა უფლებას არ მაძლევს თავი მოვიკლა,“ - მშვიდად წარმოსთქვა მან. მერაბის (ასე ერქვა ქართველ სპეცრაზმელს) მოკვლა „ლიმონკის“ აფეთქებას ნიშნავდა, რაც იქ მყოფთა შორის დიდ მსხვერპლს გამოიწვევდა. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ მერაბი დაგვნებდა. ჩვენ მას იარაღი დავუტოვეთ და სიცოცხლის გარანტია მივეცით. შარტავამ რამდენჯერმე გაიმეორა: „მე ძალიან ბევრი რამ ვიცი, გამიფრთხილდით (და აქ მან დაასახელა აფხაზი მოხელის გვარი, რომელსაც დღესაც მაღალი თანამდებობა უკავია). ეს ძალზე

[242] . არმაგ სანებლიძე, „93-ის 27 სექტემბერი», გამ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 23 აპრილი, 1994 წ.

მნიშვნელოვანია.“ ტყეები ეზოში ჩავიყვანეთ, სადაც გავეშებული ადამიანების გარემოცვაში აღმოვჩნდით. ბრბოსგან ტყვეების დაცვა გაჭირდა. სამი მათგანი იქვე მოგვიკლეს. დანარჩენები „რაფის“ ტიპის მანქანაში შევყარეთ და ბრბოს გავაშორეთ. რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ აფხაზებმა გზა გადაგვიჭრეს და იარაღის მუქარით გვაიძულეს ტყვეები მათთვის გადაგვეცა. მათ ქართველები იქვე დახვრიტეს. აფხაზებს შორის ერთ-ერთი ანქვაბი უნდა ყოფილიყო. არძინბა საშინლად აღშფოთდა, მაგრამ შარტავა უკვე ცოცხალი აღარ იყო. გადარჩა მხოლოდ მერაბი, რომელიც ეზოში მყოფმა ბრბომ თავისიანად ჩათვალა.[243]

თავად გადარჩენილი „ავღანელი“ - ელგუჯა გორდაძე კი ამ ეპიზოდს გაცილებით პრომაულად იხსენებს: „ჩემი ავტომატი მაგიდაზე მაქვს დადებული და ცოტა უკან ვდგავარ. ... რაღაც მაეჭვებდა ამ სიტუაციაში. გადავიხედე ფანჯარაში და დავინახე შეიარაღებული ბრბო, რომელიც ყიჟინით, ყვირილით, ჰაერში გაუთავებელი სროლით გამარჯვებას ზეიმობდა.... ნიშანწყალი არ ჩანდა გონიერების.

ამ ბრბოს გულმოწყალების იმედად ჩაბარება საეჭვოდ მეჩვენა და გვერდით ოთახში შევეცვერი...

ამასობაში ჩვენებმა ჩასვლა დაიწყეს... ვხედავ, როგორ შემოდიან აფხაზები, ზოგს ავტომატი მიაქვს, ზოგს „ლიმონკა“, ერთმა ამერიკული უნიფორმა დაითრია.

იმ მომენტში გონებრივად გადავერთე იმ სიხშირეზე, რომ იმათი ვარ და არა ქართველი. გამოვდივარ საფარიდან, ვიღებ ჩემს ავტომატს, კიდევ ერთ ავტომატს, ერთ კარაბინს და კიბეზე ვიწყებ ჩასვლას... გადავჭერი მოედანი, ერთი-ორჯერ მეც გავისროლე ჰაერში.

საით წავიდე?

წითელი ხიდისკენ წასვლა უაზრობაა: იქიდან ტანკებმაც ვერ გამოაღწიეს ჩვენამდე და, საერთოდ, სად არიან ჩვენები? ... უნდა მემოქმედა რაც შეიძლება ალოგიკურად. წავსულიყავი იმ მიმართულებით, სადაც მტერი ჩემისთანა კაცს არ მოელოდა. ასეთი მიმართულება გუდაუთა იყო. თანაც სწორედ იქ მეგულებოდნენ ჩემი ნათესავები.

---

[243] .(http://abkhazeti.info/);

ჩამოიარა „რაუმა“, ... გაჩერება ვანიშნე. გამიჩერეს. შოუერს ეუთხარი, მეგობარი მყავს გუდაუთაში და სანახავად მივდივარ-მეთქი. კარაბინი მომთხოვა სანაცვლოდ, კისერზე რომ მქონდა ჩამოკიდებული, როგორც ნადაელი. მამა მყავს მონადირე და იმას დავპირდი-მეთქი. არადა, რა ჯანდაბად მინდოდა. ერთი სიტყვით, ვიქცევი, როგორც გამარჯვებული, რომელსაც არ ასამართლებენ.

...ერთი თვის შემდეგ თბილისში ჩამოვედი.

გადარჩა კიდევ ერთი ქართველი - მსახიობი გენადი ფიცხელაური, რომელიც ერთმა ჩეჩენმა „მოკრივემ“ გადაარჩინა.“[244]

ყიული შარტავასა და მისი გუნდის ბედი, შესაძლოა, გადაწყვიტა 27 სექტემბერს 17 საათსა და 17 წუთზე შემდგარმა სატელეფონო საუბარმა „ალფა-10-„სა (გუდაუთა) და „ბბას“ (ჩლოუ) შორის. **„ალფა-10“: „...მინისტრთა საბჭო ტყვედ ჩავარდა, საქართველოს ფაშისტური მინისტრთა საბჭო. რა ვუყოთ მას არ ვიცით. თუ გუდაუთამდე ჩაიყვანენ, ხელისუფლებას გადასცემენ, თუ ვერ ჩაიყვანენ, არ ვიცი. იქ არის შარტავა და ყველა დანარჩენი... „ჭაღარა“ წავიდა ჯერჯერობით, იგი ვერ აიყვანეს“. „ბბა“: „მე გეტყვით რა ქნათ. ხალხს გადაეცით, დაე, ხალხმა განსაჯოს, მას უნდოდა მთელი მსოფლიო გადაეყლაპა, აფხაზეთი უაფხაზებოდ დაეტოვებინა, ახლა გაუშვი, აფხაზეთის მიწა ჭამოს, მარადიული ხსოვნა მას აფხაზეთის მიწაზე“.**[245]

როგორც სჩანს, აფხაზებმა გუდაუთიდან მიღებული რჩევა გაითვალისწინეს.

სოხუმი დაეცა.

იდგა 1993 წლის 27 სექტემბერი.

იმავე დილით შევარდნაძეს დაუკავშირდა ელცინი და სოხუმის უსაფრთხო დატოვებაში დახმარება შესთავაზა. ამჯერად შევარდნაძე აღარ ენდო რუსეთის პრეზიდენტს. სოხუმის აეროდრომზე საქართველოს სახელმწიფო მეთაურის დაცვამ პატარა სამგზავრო თვითმფრინავი აღმოაჩინა. გაფრენა ძალზე სახიფათო იყო, მფრინავები გადარჩენის შანსს 100-დან 20 პროცენტით აფასებდნენ, მაგრამ შევარდნაძემ გადაწყვეტილება მიიღო. “იაკ-40“-მა სიმაღლე აკრიფა და გეზი ბათუმისკენ აიღო. თბილისში

---

[244] არმაზ სანებლიძე, „1993 წლის 27 სექტემბერი.“ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 9 მარტი, 2001;

[245]. გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 26-27 სექტემბერი, 1999 წ.

დაბრუნებულმა შევარდნაძემ განაცხადა: „სოხუმის გადარჩენა შეიძლებოდა ჯერ კიდევ გუშინ. ეს შეეძლო მხოლოდ რუსეთს – ასეთი თხოვნით მივმართე მოსკოვს, გავუგზავნე თანხმობის დეპეშა რუსეთის ხელმძღვანელობას საქართველოს „სნგ"-ში შესელის თაობაზე, რომლის წინააღმდეგი ვიყავი ბოლო დრომდე. თანხმობა განვაცხადე რუსეთის თავდაცვის მინისტრის წინადადებაზე – შემოეყვანა საქართველოში შეიარაღებული ძალები აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით. ფაქტობრივად, საქართველომ დაიჩოქა. ესეც საკმარისი არ აღმოჩნდა. სამწუხაროა, მაგრამ გულახდილად უნდა ვთქვა, რომ გარემე ძალთა ინტერესები ვერაფერს დაგვაკლებდა, რომ არა შინააშლილობა და თანამოქალაქეთა ღალატი... აფხაზეთი დავკარგეთ, მაგრამ აუცილებლად დავიბრუნებთ. თუ დღევანდელი თაობა ვერ შეძლებს ამას, – მომავალი თაობა მაინც უეჭველად დაიბრუნებს ... სოხუმის აღების გეგმა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში შემუშაედა."[246]

მოგვიანებით, 1998 წელს, გაზ. „ნოვიე იზვესტიას" ჟურნალისტის შეკითხვას: მართალი იყო თუ არა, რომ აფხაზეთში შევარდნაძე რუსებმა გადაარჩინეს და სოხუმიდან რუსული თვითმფრინავით გაიყვანეს, შევარდნაძემ ასეთი პასუხი გასცა: „... ეს ბლეფია, თუნდაც ყოფილიყო, როგორც შემდეგ გვითხრეს, ელცინის ბრძანება – მის შესრულებას ამკარად არავინ აპირებდა. რეუტის, ამიარკავკასიაში მაშინდელი რუსეთის ჯარების სარდლის მიერ „გამოგზავნილი" „ოთხი თვითმფრინავი" დღესაც მოფრინავს. ბაბუშერას ნაპირთან მომდგარი სამხედრო კატარღა მაშინვე შეტრიალდა და ბღვაში გავიდა... ჩემი დაცვის მებრძოლებსა და „.... " ეკიპაჟს მარჯვედ აჩეჩებდნენ დეზინფორმაციას - შევარდნაძემ სოხუმი დაგოვაო. და ისინიც სხვებთან ერთად სვანეთის უღელტეხილის გავლით შეუდგნენ გზას.

მე კი ქალაქს ეტოვებდი მის ბოლო დამცველებთან ერთად სოხუმის აეიარაზმში მიწერილი საქართველოს სამოქალაქო ავიაციის თვითმფრნავით. მისი ეკიპაჟი შედგებოდა კორეელის, რუსისა და ქართველისგან. როდესაც თვითმფრინავმა სიმაღლე აიღო... მას გაუხსნეს სანაპირო და საზენიტო არტილერიის ცეც-

---

[246] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 29 სექტემბერი, 1994 წ.

ხლი, მაგრამ ჩვენ უკვე მაღლა ვიყავით. საწვაი ბათუმამდე ძლივს გვეყო."[247]

აქ გვინდა ზუგდიდსა და გროზნოს შორის შემდგარი კიდევ ერთი სატელეფონო დიალოგის ფრაგმენტი შემოგთავაზოთ. 30 სექტემბერი, 18 საათი და 20 წუთი. გროზნოში სატელეფონო ხაზზეა მანანა არჩვაძე:

გროზნო: ბადრი, გამარჯობა, სად დატოვეთ პოზიციები, სად, იმერეთში?

ზუგდიდი: არა, ოჩამჩირეში.

გროზნო: ტელევიზორი რასაც გადმოსცემს, იმას რას მიმეორებ ... კარგი ამბები რა არის?

ზუგდიდი: საქართველოს ტელევიზია დეზინფორმაციას ავრცელებს, ვითომც პრეზიდენტის ჩამოსვლით პანიკა მოხდა მეომრებში და დაშალა მეომრები, პრეზიდენტს აბრალებენ ოჩამჩირეს და სხვების დატოვებას.

გროზნო: ძალიან კარგია, რომ მაგას ამბობენ. ესე იგი, რა მშიშარა მეომრები ჰყოლია ხუნტას, რომ ზვიად გამსახურდიას ჩამოსვლით გაიქცნენ კურდღლებიივით. რა სჯობია მაგას!

ზუგდიდი: ჰო, ეს კარგია, მაგრამ ხალხში ძალიან ცუდ რეაქციას ღებულობს ქალბატონო, ლტოლვილებში...

გროზნო: იცი რას გეტყვი? დურაკი ყოველთვის დურაკად რჩება. და ამიტომ რამდენი დურაკი გამოჩნდება, თქვენ ამას ყურს ნუ უგდებთ.

ზუგდიდი: გასაგებია.

ამის შემდეგ ჩვენ დეზინფორმაციის დაბადების მოწმენი ვხდებით:

გროზნო: უთხარით ყველას, რომ შევარდნაძემ დახვრიტა 30 კაცი სოხუმში – ქიული შარტავა, კაკუბავა და სხვები.

ზუგდიდი: კაკუბავაც?

გროზნო: დახვრიტა. აუფეთქებიათ შენობა, სადაც ეგენი იყვნენ. რაღაცაზე კონფლიქტი მოუვიდათ... და ამან დაახვრეტია სულ ყველა, 30 კაცი..... გეარებს მოგაწვდიან".[248]

---

[247] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 27 იანვარი, 1998 წ. გადმობეჭდილია გაზ. „ნოვიე იზვესტიადან", 22 იანვარი, 1998 წ.

[248]. თ. ჭანტურიშვილი, „სიმართლე ზვიად გამსახურდიას შესახებ," თბ. 1999 წ. გვ. 212;

აი ასე ხდებოდა ურცხვი სპეკულაცია ქიული მარგავასა და მასთან ერთად დახოცილი ვაჟკაცების ჯერაც არ გაციებული ცხედრებით...

აფხაზეთის ქართულმა მოსახლეობამ ჭუბერის უღელტეხილით სვანეთს მიაშურა. თოვლიან გზაზე უამრავი ადამიანი გაიყინა და დაიღუპა. აფხაზები სასტიკად გაუსწორდნენ აღგილზე დარჩენილ ქართულ მოსახლეობას. ქართველთა ეთნიკური წმენდა აფხაზეთში ადამიანების წამებისა და საშინელი შეურაცხყოფის ფონზე განხორციელდა. საქართველოს ხელისუფლებამ მემო სვანეთი უბედურების ზონად გამოაცხადა. შევარდნაძემ გამსახურდიას მომხრე შეიარაღებულ ფორმირებებს უბედურების ზონიდან – ზემო სვანეთიდან ლტოლვილთა გამოყვანამდე საბრძოლო მოქმედებების შეჩერებისკენ მოუწოდა. „ეთნიკურმა წმენდამ, რომლის განხორციელებაც სეპარატისტებმა მეთოდურად დაიწყეს მდინარე ფსოუდან, ახლა მთელი აფხაზეთი მოიცვა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეთნიკურმა უმცირესობამ პირველად დაამკვიდრა თავისი ძალაუფლება მასობრივი ძალადობისა და ტერორის მეთოდით აფხაზური სეპარატიზმი იმპერიული რუსეთის, ეროვნულ-კომუნისტური რევანშის რუსეთის მიერ არის გამოზრდილი, ნასაზრდოები, წახალისებული და წარმართული“, – წერდა ის თავის 30 სექტემბრის განცხადებაში. მაგრამ, სვანეთის მთებში სამხედრო და სამოქალაქო ხიზნებს სხვა საფრთხეც ელოდათ – დმანისის, ბოლნისის, მარნეულის, გარდაბნის, წყალტუბოს, მარტვილის, გუგდიდის, ზოგიერთი სხვა რაიონიდან საგანგებოდ მათ გასაძარცვად ჩასული, კარგად შეიარაღებული რაზმები. თემურ ფიფია, რომელმაც საკუთარი თვალით ნახა საკენი-ჭუბერის უღელტეხილზე მომხდარი სამინელებები, წერდა: „... ქუთაისის მერმა თემურ შამიამვილმა ჯვარი-ხაიშის გზით გამოგვიგზავნა 40 ავტობუსი ლტოლვილების გადმოსაყვანად. ცაიშთან ავტობუსების კოლონას დახვდნენ ლოთი ქობალიას რაზმის წევრები. ავტობუსების ნაწილი დაიგაცეს, მძღოლები სცემეს და უკან გაყარეს...“[249]

ლტოლვილთა ძარცვამ ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისა და მსს ხელმძღვანელობის

[249] გამ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 17 აგვისტო, 1994 წ.

განკარგულებით სვანეთის რეგიონში დამატებით პოლიციის 60 კაციანი ოპერატიული ჯგუფი გაიგზავნა.

29 სექტემბერს დაიწყო აფხაზთა შეტევა ოჩამჩირეზე. ჩვენი ძალები მდინარე ღალიძგასთან განლაგდნენ. პანიკით შეპყრობილი ოჩამჩირელები გაღს მოაწყდნენ. გამსახურდიას მომხრე შეიარაღებულმა ფორმირებებმა უკანდახეული სამხედრო ნაწილების განიარაღება დაიწყეს. 30 სექტემბერს, ოჩამჩირისთვის გაცხარებული ბრძოლების დროს, ლოთი ქობალიას ფორმირება ზურგიდან თავს დაესხა ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკს და განაიარაღა იგი.

ოჩამჩირე დაეცა.

მეორე დღეს აფხაზურმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა გალიც დაიკავეს.

მოგვიანებით, თავის ერთ-ერთ რადიოინტერვიუში შევარდნაძე იტყვის: „საქართველოს მთავარი შეცდომა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთთან ურთიერთობის უგუნური კურსის ფორმირება იყო. ეს გახლდათ, თუ შეიძლება ასე ითქვას, არა სახელმწიფოებრივი, არამედ ქუჩური დიპლომატია. სწორედ ეს კურსია ამ სფეროში ყველა ჩვენი უბედურების მიზეზი".[250]

ეს სიტყვები კომენტარს არ საჭიროებს.

აფხაზური მონაცემებით კონფლიქტის შედეგად 4 ათასი აფხაზი დაიღუპა, აფხაზეთის ზარალმა 11 მილიარდი დოლარი შეადგინა. ქართული მხარის მონაცემებით, ომში დაიღუპა 25 ათასამდე ადამიანი, მათ შორის, 10 ათასამდე მშვიდობიანი მცხოვრები, საქართველოსთვის მიყენებულმა ზარალმა 2,5 მილიარდი დოლარი შეადგინა. საკუთარ ქვეყანაში იძულებით ადგილნაცვალ პირად იქცა 300 ათასამდე ადამიანი.[251]

საომარი მოქმედებების შედეგად უდიდესი ზარალი განიცადა ქვეყნის ეკონომიკამ, პირველ რიგში კი აფხაზეთის ავტონომიურმა რესპუბლიკამ. მთლიანად განადგურდა რკინიგზა, დაინგრა 32 ხიდი, 500 კილომეტრი სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზები, 49 ათასი შენობა, მათ შორის ქალაქ სოხუმში 10 ათასი სახლი და ა. შ.[252]

---

[250] . გამ. „საქართველოს რესპუბლიკა", 21 ივნისი, 1994 წ.

[251] „აფხაზეთი: „ისტორია და პოლიტიკა", თბ. 2008, გვ. 21-22

[252] „აფხაზეთი: „ისტორია და პოლიტიკა", თბ. 2008, გვ. 22

1992 წლის 24 ივნისს შევარდნაძემ რუსეთის პრეზიდენტთან ელცინთან ერთად ხელი მოაწერა შეთანხმებას „სამხრეთ ოსეთში“ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ცხინვალში ქართულთან ერთად განლაგდნენ რუსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის „სამშვიდობოები“. ეს კი ნიშნავდა, რომ ფაქტიურად, რუსეთი აქ ორი კონტინგენტით იყო წარმოდგენილი. საქართველოსთვის ეს აშკარად წამგებიანი შეთანხმება იყო, რადგან ჩვენს მეზობელ ქვეყანას აშკარად მეტი უფლებები ეძლეოდა ჩვენს სუვერენულ ტერიტორიაზე. თუმცა, გასათვალისწინებელია თუ რა პირობებში დაიდო შეთანხმება: მიმდინარეობდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, ზუსტად 24 ივნისს, ანუ შეთანხმების დაღების ღღეს კი თბილისში ვალტერ შურღაიამ ტელევიზიის შენობა დაიკავა. ძნელი წარმოსადგენი არაა თბილისში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის პირობებში რა განწყობა ექნებოდა შევარდნაძეს ელცინთან მოლაპარაკებისას.

§ 53 სამოქალაქო ომის დასასრული.

აფხაზეთში ქართული სახელმწიფოს მიერ განცდილი მარცხის შემდეგ ანაკლიაში შეკრებილი ექსპრეზიდენტის მხარდამჭერი შეიარაღებული ფორმირებები შეტევაზე გადავიდნენ. საბრძოლო მოქმედებები ფოთის მიმართულებით განახლდა. ზვიადისტებმა ჯერ საარტილერიო ცეცხლით დაბომბეს, შემდეგ კი დაიკავეს ქალაქი. დაიწყო გამსახურდიას მომხრეების მიერ დასავლეთ საქართველოს ქალაქების „გათავისუფლება“. იმ დღეებში ბობოყვათში ერთმანეთს შეხვდნენ ასლან აბაშიძე, ლოთი ქობალია და იგორ გიორგაძე. ამ უკანასკნელმა შეხვედრაზე განაცხადა, რომ შევარდნაძემ დაანგრია სსრ კავშირი, დათმო ავღანეთი და აღმოსავლეთ ევროპა, რითაც ძალზე გაანაწყენა რუსები. ეიდრე შევარდნაძე იქნება საქართველოს სათავეში, რუსები არ გაგვახარებენ. ამიტომ ის უნდა გადავაყენოთ. ოღონდ ის არა გამსახურდიამ, არამედ ასლან აბაშიძემ უნდა შეცვალოსო. ასლან აბაშიძემ გიორგაძის წინადადებისგან თავი შორს დაიჭირა.

4-5 ოქტომბერს მოსკოვში კრახი განიცადა რუსეთის რევანშისტული ძალების მიერ სახელმწიფო გადატრიალების მო-

რიგმა მცდელობამ. ელცინმა დააპატიმრა რუცკოი და ხასბულატოვი. შევარდნაძის თქმით, რუსეთში სწორედ ის ძალები დამარცხდნენ, რომლებმაც აფხაზეთი წაგლიჯეს საქართველოს. ერთ-ერთ ტელეინტერვიუში მან პირველად განაცხადა, რომ „გამსახურდიას რაზმებში აფხაზები და ჩეჩნები იბრძვიან, ამიტომ ჩვენც, თუ ვინმე დაგვესმარება, აუცილებლად გამოვიყენებთო.“[253] ცხადი იყო, რომ შევარდნაძეს მხედველობაში რუსების დასმარება ჰქონდა.

3 ოქტომბერს ზუგდიდში ჩავიდნენ რუსლან ქიშმარია, ოჩამჩირის რაიონში აფხაზთა შეიარაღებული ფორმირების ხელმძღვანელი, „მგელის“ მეტსახელით ცნობილი ქურდი და მისი ამფსონები. ზუგდიდში მათ შეიდი შეიარაღებული პირი დატოვეს, მათ შორის 5 ჩეჩენი და ორი რუსი. ერთ-ერთი ამ ჩეჩენთაგანი, ვინმე სულეიმანოვი, მანამდე ქართველი ყმაწვილების გადაჭრილი ვენებიდან აღებული სისხლის სმის დროს ვიდეოკამერით იყო დაუიქსირებული. ჩეჩნურ-რუსული დელეგაცია ზუგდიდში საქართველოს სამთავრობო ჯარების წინააღმდეგ გამსახურდიას მომხრეებთან ერთად ბრძოლის დეტალებს განიხილავდა. გამსახურდიას მომხრეთა შორის ჩრდილოკავკასიელთა ყოფნას ადასტურებდა გელა ლანჩავაც. ქობალიას სასამართლო პროცესზე ის აღნიშნავდა: „1993 წლის 29 ოქტომბერს სენაკში მიეიღე ხობის გათავისუფლების დავალება ხობს მენჯიდან შემოვუარეთ. დილის 7 საათი იქნებოდა, როცა ხობის მახლობლად წავაწყდით მოწინააღმდეგეს ... ბრძოლამ ორიოდე საათს გასტანა ჩვენ ერთი ტანკისტი დაგვიჭრეს, იმათ კი 12 კაცი დაკარგეს. ამ თორმეტი მოკლულიდან ერთი იყო ადიღე, ორი კაზაკი, სუთი ჩეჩენი. ღანარჩენებს საბუთები არ ჰქონიათ. გარეგნობით ისინი ქართველები არ იყვნენ. ერთ აღგილას დავასაფლავეთ. ეს ყველაფერი გადაიღო საფრანგეთის, საბერძნეთის, საქართველოს ტელევიზიამ“[254]

გამსახურდიას მომხრეთა ხელში გადავიდა სენაკი, აბაშა, მარტვილი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ. 5-6-7 ოქტომბერს გამსახურდიას მომხრეები ოზურგეთს უტევდნენ. ლოთი ქობალია ხობში შეიჭრა და სამთავრობო ჯარის ნაწილები განაიარაღა. 18 ოქ-

---

[253] გიორგი წიქარიშვილი, „ჟამი ჭეშმარიტი. დამარცხებული მოძრაობის ქრონიკა,“ გვ. 476.

[254] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 28 ნოემბერი, 1996 წ.

ტომბერს მან უამრავი მოწმის თვალწინ პირადად დახვრიტა ხონის ცენტრში ტელეკამერით ხელში მყოფი 24 წლის ჟურნალისტი დათო ბოლქვაძე და სამთავრობო ჯარების მებრძოლები – გოგიტა ონანაშვილი და პაატა გოგილაშვილი. აი, როგორ იხსენებდა ამ ფაქტს მოწმე ეთერ ბიწაძე: „მოიყვანეს სამი დატყვევებული ახალგაზრდა და კედელთან მიაყენეს. მალე გამოჩნდა თეთრი, გრძელი უცხოური მანქანა. იქიდან გადმოვიდა წეროსანი, კოჭლობდა, ხელში ეჭირა გრძელლულიანი იარაღი. მე იგი ტელეეთერით ბევრჯერ მენახა. ეს იყო ლოთი ქობალია. იგი მიუახლოვდა ტყვეებს. პირველად დათო ბოლქვაძეს შეუყვირა. ბოლქვაძემ რაღაც მოწმობა აჩვენა, მაფრამ ლოთიმ მას პირდაპირ ესროლა, ვგონებ სამჯერ ესროლა. გულმა არ მომითმინა და დახვრეტის ადგილას მივეარდი. რა დავინახე: ეს მშვენიერი ახალგაზრდები სისხლის გუბეში იწვნენ, კი არ იწვნენ, ეყარნენ...“[255]

სასამართლო პროცესზე მოწმეებმა დაადასტურეს ქობალიას დანაშაული, თუმცა მოგვიანებით გაღათქვეს. ცხადია, ეს ქობალიას მსრივ მეწოლის გარეშე არ მომხდარა. სასამართლო პროცესზე მოიტანეს ნაწყვეტი ლოთი ქობალიას ერთ-ერთი მოადგილის – ოთარ უბილავას წერილიდან. აი, რას წერდა უბილავა თავის უშუალო უფროსს: საქართველო ინგრეოდა, თქვენ მეძავ ქალებთან ერთობოდით, ან გედებზე ნადირობდით, ცოლვით მოგროვილი ფულით ჯიშიან ლეკვებს ყიდულობდით, საქართველოს სიმდიდრის თურქეთში გატანას ხელს უწყობდით, სახლს იშენებდით, ფინანსურ მაქინაციებში ერეოდით, მინაურების მძიმე დანაშაულის დაფარვის მიზნით განიკითხაობაზე თვალს ხუჭავდით, შტაბის გადაწყვეტილებებსა და ჩემს რჩევებს აბუჩად იგდებდით... რა თქმა უნდა ეს ყველაფერი თქვენი მერყევი ხასიათის, არათანმიმდევრულობის, უცოდინრობისა და უსმინარობის შედეგი იყო. უცოდინრობამ თვითნებობამდე მიგიყვანათ, თვითნებობამ – ღალატამდე...“[256]

ქობალიას დანაშაული სახეშეა. ეს უდავოა. მაგრამ არანაკლებ დამნაშავეა პოლიტიკოსი, ვინც ეს გაუნათლებელი, უეცი, ხეპრე და ხარბი ადამიანი უზარმაზარი უფლებებით აღჭურვა.

---

[255] ბადრი იაშვილი, „ისინი სისხლის გუბეში ეყარნენ“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 7 სექტემბერი, 1996;

[256] .ბადრი იაშვილი, „საქართველოში ამას ღალატს უწოდებენ,“ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 5 სექტემბერი, 1996;

რა უმნაძეობა და გოგებაშვილობა მისი განათლებისა და მნეობის ღონის დაღგენას ჭირდებოდა? იგივე ითქმის კიტოვანის შემთხვევაზეც.

17 ოქტომბერს ზვიადისტებმა დაიკაეეს სამგრედია. 19 ოქტომბერს მათ სელში აღმოჩნდა ლანჩხუთიც. ზვიადისტები ქუთაისზე ლაშქრობის სამზადისს შეუდგნენ.

შევარდნაძემ აქტიური მოლაპარაკებები დაიწყო რუსეთთან, აზარბაიჯანთან და სომხეთთან. საქართველო თავის მეზობლებს მშვიდობის აღდგენაში დასმარებას სთხოვდა. ოქტომბრის ბოლოს ასეთი დახმარების საერთო გეგმა უკვე არსებობდა. ამ გეგმის თანახმად ფოთი-ქუთაისის მონაკვეთზე ვითარება უნდა გაეკონტროლებინა სომხეთის სამხედრო კონტინგენტს, ქუთაისიდან თბილისამდე სიტუაციის კონტროლი რუსეთის ჯარებს ევალებოდათ, თბილისიდან აღმოსაელეთით ტერიტორიას კი აზერბაიჯანის ძალები გააკონტროლებდნენ. მაგრამ აზერბაიჯანმა, იმ საბაბით, რომ მისი არმია დაშლილია, უარი თქვა ერთობლივ აქციაში მონაწილეობაზე. სომხეთმა 900 კაცი კი გამოყო, მაგრამ განაცხადა, რომ „ძმებთან იარაღით ვერ შევა“. დარჩა რუსეთი, რომელსაც ამ აქციის საერთო ხელმძღვანელობა ისედაც ეკისრებოდა.

28 ოქტომბერს რუსეთის სამხედრო შენაერთებმა დაიწყეს საგრანსპორტო მაგისტრალების დაცვა.

მანამდე კი, 22 ოქტომბერს, სამთავრობო ჯარებმა დაიკავეს სამგრედია. 25 ოქტომბერს სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად მათ ფოთიც გაათავისუფლეს. 29 ოქტომბერს ზვიადისტებისგან გაწმენდილ იქნა ხობი. 31 ოქტომბერს გამსახურდიას მომხრეებს დააგოვებინეს სენაკიც.

საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის („დსთ“) წევრი გახდა. შევარდნაძის თქმით, „დსთ“-ში შესვლა მნიშვნელოვანწილად განაპირობა მოსკოვის 3-5 ოქტომბრის მოვლენებმა. მთავრობის ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა საქართველოს პარლამენტის წევრთა უმრავლესობამ.

3 ნოემბერს შავი ზღვის ფლოტის ხომალდების დესანტი გემების – „კონსტანტინე ოლშანსკის“, „ცეზარ კუნიკოვის“ და „ბდკ-69“-ს შემადგენლობით შეუდგნენ საქართველოს საზღვაო სანაპიროზე საგრანსპორტო კომუნიკაციების, უწინარესად სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტარალების და საზღვაო ნავ-

სადგურების — ფოთისა და ბათუმის დაცვას. რუსებმა ფოთში გადასხეს 750 საბღვაო ქვეითი და 40-დე ერთეული ჯავშანტექნიკა.

მეორე დღეს, 4 ნოემბერს, შევარდნაძე ფოთში შეხვდა მაღალი ფლოტის სარდალს ადმირალ ედუარდ ბალტინს.

5 ნოემბერს საქართველოს სამთავრობო ჯარები ჩხოროწყუში შევიდნენ. გამსახურდიას მომხრეთა ხელში რჩებოდა მხოლოდ ზუგდიდი და წალენჯიხა.

6 ნოემბერს გამსახურდიას მომხრეებმა, პრაქტიკულად, უბრძოლველად დათმეს ზუგდიდი. ისინი გალში გადავიდნენ და იქიდან გააგრძელეს ბრძოლა საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ. ამრიგად, განმეორდა სიტუაცია, რომელიც 1992 წლის აგვისტოში იყო შექმნილი და რომელმაც მნიშვნელოვანწილად, განაპირობა ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტი. აფხაზებმა ახლაც დაუთმეს გამსახურდიას მომხრეებს აფხაზეთის ტერიტორია საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან ბრძოლის ორგანიზებისთვის. სეპარატისტთა უტიურობას მართლაც არ პქონდა საზღვარი. ჯერ კიდევ თვენახევრის წინ, ფარისევლური ცინიზმით, სოჭის შეთანხმებათა ჩამლის მთავარ საბაბად მათ გალში მცირეიარაღებული ნაწილების შესვლა გამოიყენეს, ახლა კი თვითონვე მიიღეს ისინი თავიანთ კონტროლირებად ტერიტორიაზე. ამასთან, სეპარატისტები კვლავაც გაპყვიროდნენ — საქართველოს ხელისუფლება რევანშისთვის ემზადებაო.

მეორედ დამარცხებული გამსახურდია სამეგრელოს სოფლებში სანდო მისამართებზე გადააადგილდებოდა. მას კვალდაკვალ მდევარი მიჰყვებოდა, ამიტომ ყოფილი პრეზიდენტი იძულებული იყო თითქმის ყოველდღიურად ეცვალა აღგილსამყოფელი. 30 დეკემბერს ის ბესარიონ გუგუშვილთან და თავის ორ მცველთან — რობიზონ მარგველანთან და ბაჩუკი გვანცელაძესთან ერთად წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯიხაშკარიდან სოფელ ხიბულაში გადაეიდა ღამის გასათევად. მასპინძელმა — კარლო ღურწკაიამ სტუმრებს მეორე სართულზე გაუმალა ლოგინი. შიგა ოთახში გამსახურდია და გუგუშვილი მოთავსდნენ, წინა ოთახში — მცველები. მცველებს ჯერ კიდევ არ ეძინათ და ერთმანეთში სმადაბლა საუბრობდნენ. ამ დროს მათ ექსპრეზიდენტის ჩახველება მოესმათ, რაც მათ გაფრთხილებად მიიჩნიეს და გაჩუმდნენ. მოულოდნელად შიგა ოთახიდან გასროლის ხმა მოისმა. მარგველანი და გვანცელაძე წამოიჭრნენ და ოთახში შევარდნენ. გამსახურდია სისხლში ცურავდა. ოთახის ფანჯარა შიგნი-

დან საგულდაგულოდ იყო დაგმანული. მცველებს ჯერ კიდევ დაძინება ვერ მოესწროთ, მაგრამ ასეც რომ ყოუილიყო, საეჭვოა ვინმეს მათი ოთახის უჩუმრად გაელა, ექსპრეზიდენტის მოკელა და შემდეგ კვლავ უჩუმრად იმავე გზით უკან დაბრუნება შეძლებოდა. სხვაგვარად გამსახურდიას ოთახში შეღწევა შეუძლებელი იყო. ამიტომაც გუგუშვილმა და დაცვამ ლოგიკური დაასკვნა გააკეთეს: გამსახურდიამ თავი მოიკლა.

ასეთია თვითმხილველთა ვერსია. თუმცა, მაშინვე გაჩნდა მეორე ვერსიაც – მკვლელობის ვერსია.[257] იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც საერთოდ არ სჯეროდათ, რომ გამსახურდია ცოცხალი აღარ იყო. საქართველოს ხელისუფლებამ გვამმე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩასატარებლად რუსეთის, გერმანიის და ინგლისის ექსპერტები მოიწვია. ხელისუფლებამ გამსახურდიას ქვრივს შესთავაზა თვითონ დაესახელებინა ის ექსპერტები, რომელთა ჩართვა სურდა ექსპერტიზაში.

17 იანვარს შევარდნაძემ გროზნოდან მიიღო მანანა არჩვაძისა და ჩეჩნეთის ვიცე-პრემიერის - ზელიმხან იანდარბიევის დეპეშა, რომელშიც ნათქვამი იყო: „ოჯახის წევრები და სიკვდილის მოწმენი კატეგორიულად უარს ამბობენ გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებულ გამოძიებასა და რაიმე გამოკვლევაში მონაწილეობაზე პრეზიდენტ გამსახურდიას ოჯახი კატეგორიულად უარს ამბობს, რომ გარდაცვლილის ცხედარი გამოიკვლიონ ანდა განახორციელონ რაიმე სხვა მოქმედება, გარდა უშუალოდ ადგილზე ამოცნობისა."[258] არჩვაძე მოითხოვდა, აგრეთვე, რომ გამსახურდიას გადასვენება მომხდარიყო გროზნოში.

რატომ არ სურდა გამსახურდიას ოჯახს ექსპერტიზის ჩატარება საერთაშორისო ექსპერტების, ოჯახისა და ჩეჩნეთის ხელისუფლების მიერ დასახელებული სპეციალისტების მონაწილეობით? ეს კითხვა მაშინ ბევრს გაუჩნდა. საპასუხო დეპეშაში აღნიშნული იყო: „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადასტურებს თავის მზადყოფნას შეასრულოს ადრინდელ დეპეშაში აღნიშნული

---

[257] პირველი ცნობები გამსახურდიას დაღუპვის შესახებ პრესაში 6 იანვარს გამოჩნდა. თვითმკელელობის ვერსია გააერცელა მისმა მეუღლემ. ამ ვერსიის თანახმად, გამსახურდია ალყაში მოექცა და მან ტყვედ ჩავარდნას სიკვდილი არჩია. მეორე ვერსიით, გამსახურდია გროზნოში შიგაგარჩევის დროს ამგყდარი სროლისას დაიჭრა და მოგვიანებით დაიღუპა.

[258] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 18 იანვარი, 1994 წ.

ყველა გარანტია. ამასთან ერთად გაცნობებთ, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით საერთაშორისო დამოუკიდებელ ექსპერთა მონაწილეობით ჩავატაროთ აუცილებელი ღონისძიებები ცხედრის იდენტიფიკაციისა და სიკვდილის მიზეზების დასადგენად"[259]

ექსპერტიზის ჩატარებას კატეგორიულად მოითხოვდნენ თვითმკვლელობის უშუალო მოწმენი – გუგუშვილი, მარგველანი და გვანცელაძე. „.....გამსახურდიას გარდაცვალების სხვა მოწმეებთან შეთანხმებით მივმართე ჯოჰარ დუდაევსა და ზელიმხან იანდარბიევს მოთხოვნით – ყოველ მიზეზ გარეშე და დაუყოვნებლივ ჩაეტარებინათ ჩეჩნეთში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა... თანაც დავემუქრე, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში... გავუმხელთ ხუნტას გ. გამსახურდიას დასაფლავების ადგილსამყოფელს..."[260]– წერს ბესარიონ გუგუშვილი. ჯოჰარ დუდაევის წარმომადგენლებმა მანანა არჩვაძეს გააცნეს გუგუშვილის მოთხოვნები და აუხსნეს ამ მოთხოვნების კანონიერი ხასიათი. ამის შემდეგ ერთი მხრივ გამსახურდიას თვითმკვლელობის მოწმეებს, მეორე მხრივ კი გამსახურდიას ქვრივს შორის საერთაშორისო შუამავლების მონაწილეობით გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მანანა არჩვაძემ იკისრა ვალდებულება, რომ „არასოდეს არ წამოაყენებს რაიმე სხვა ვერსიას გ. გამსახურდიას სიკვდილის შესახებ, გარდა თვითმკვლელობისა", ხოლო თვითმკვლელობის მოწმეებმა ივალდებულეს, რომ აღარ მოითხოვდნენ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტზის ჩატარებას არც ჩეჩნეთში და არც საქართველოში.[261]

რატომ იყო მანანა არჩვაძე მზიად გამსახურდიას თვითმკვლელობის ვერსიის კატეგორიული წინააღმდეგი? ამ კითხვაზე პასუხს პრეზიდენტის დაცვის უფროსის რობიზონ მარგველანის მოგონება იძლევა: „.... ჩვენს რეზიდენციაში შევხვდით მანანა არჩვაძეს, რომელსაც ცოტნეს, გიორგისა და ლელეს თანდასწრებით მოვუყევით ყოველივე. მან ყველაფერი ყურადღებით მოისმინა, რის შემდეგაც მე გამიყვანა მეორე ოთახში და მითხრა, მე მჯერა რომ ეს ასე მოხდებოდაო, მაგრამ მე არ მინდა,

---

[259] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 18 იანვარი, 1994 წ.

[260] .ბესარიონ გუგუშვილი, „მკვლელობის დაკვეთა," თბ. 2012, გვ. 25;

[261]. ბესარიონ გუგუშვილი, „მკვლელობის დაკვეთა", თბ. 2012, გვ. 26-27;'

რომ თეითმკვლელის ცოლი ვიყოო".[262] აი, ბესარიონ გუგუშვილის მოგონებაც: „ზვიადის დაკრძალვის შემდეგ ბაჩუკი (გვანცელაძე) გროზნოში ერთ-ერთ ჩეჩნურ ოჯახს მიეკედლა. ერთ დღეს ამ ოჯახს მიადგნენ ზ. გამსახურდიას ქვრივი და ზვიადის ვაჟი ცოტნე. მათ ბაჩუკი გარეთ გამოიძახეს და აძალებდნენ, „აიღე შენს თავზე ზვიადის მკვლელობა და მერე თავი მოიკალი – რაღად გინდა უზვიადოდ ეგ ძაღლური სიცოცხლეო. თუ დამტკიცდა, რომ ზვიადმა თავი მოიკლა, მაშინ ეკლესიისგან შენდობა არ ექნებაო." რა თქმა უნდა, ბაჩუკი ამაზე არ დაეთანხმა. მაშინ ქვრივმა ცოტნეს უბრძანა: „ხომ იცი აქ რისთვისაც ხარ – ესროლეო." ცოტნემ ვერ აიძულა საკუთარი თავი, რომ ბაჩუკი მოეკლა, ვერ გაიმეტა (ცოტა ხნით აღრე ცოტნე და ბაჩუკი სისხლით ძმადნაფიცები გახდნენ) – მაჯრამ სამი გასროლით ორი ჭრილობა კი მიაყენა უეხებში (იქნებ, დღემდე აფორიაქებს ცოტნეს სინდისს ეს მისი ათი წლის წინანდელი აფექტური და გარეშე დაძალებით გამოწვეული საქციელი? თუმცა, ისიც ვიცი ზუსტად, რომ ბაჩუკიმ დიდსულოვნად შეუნდო და აპატია). ბაჩუკის ერთი საკმაოდ მძიმე ჭრილობა აღმოაჩნდა და ორიოდე კვირა საავადმყოფოში გაატარა."[263]

სამწუხაროდ, ვითარების გამწვავებას მოერიდა საქართველოს ხელისუფლებაც და ოჯახის თანხმობის გარეშე არ ჩაატარა ექსპერტიზა. მოგვიანებით, ექსპერტიზა ორჯერ – როსტოვში და თბილისში იქნა ჩატარებული, მაგრამ ამან საკითხს ნათელი ვეღარ მოჰფინა. გარდაცვალებიდან ხომ უკვე წლები იყო გასული.

2009 წლის ნოემბერში საქართველოს პარლამენტმა შექმნა „ზვიად გამსახურდიას სიკვდილის გარემოებათა შემსწავლელი კომისია", რომლის სათავეში ზვიად გამსახურდიას შვილი – კონსტანტინე გამსახურდია მოგვეელინა. ამ გარემოებამ თავიდანვე საეჭვო გახადა კომისიის ობიექტურობა და მიუკერძოებლობა. თითქმის წელიწადნახევრის შემდეგ, 2011 წლის თებერვალში, კომისიამ 363 გვერდიანი საბოლოო დასკვნა დადო. დასკვნაში გამოვლენილი არ ყოფილა არც ერთი ახალი ფაქტი. თეითმკვლელობის ვერსიაში სუსტი ადგილების, ურთიერთგა-

---

[262].ბესარიონ გუგუშვილი, „მკვლელობის დაკვეთა", თბ. 2012, გვ. 128;

[263]. ბესარიონ გუგუშვილი, „მკვლელობის დაკვეთა", თბ. 2012, გვ. 31;

მომრიცხავი მტკიცებების გამოვლენის გზით კომისია მიეიდა დასკვნამდე, რომ ზვიად გამსახურდია მოკლეს.

მაინც რა ნაკლოვანებები გამოავლინა კომისიამ თვითმკვლელობის ვერსიაში?

1. მოწმეთა მიერ ჯიხაშკარიდან ხიბულაში პრეზიდენტის გადაყვანის სხვადასხვა დროის დასახელება;

2. წინააღმდეგობა პრეზიდენტის გადაყვანის გარემოებათა აღწერაში. პრეზიდენტის ოთხი მცველიდან მანქანაში აღგილი მხოლოდ ორისთვის მოიძებნა;

3. პრეზიდენტის გადაადგილებას 3-4 კილომეტრ დისტანციაზე დაჭირდა 20 წუთზე მეტი;

4. ურთიერთწინააღმდეგობრივია გამსახურდიას თაეის ქალაზე შემავალი და გამომაეალი ნატყვიარის აღწერილობა;

5. შემავალი ტყვიის რადიუსად მოწმეები სხვადასხვა დიამეტრს ასახელებენ;

6. გროზნოში გაკეთებული დასკვნით პრეზიდენტს აღენიშნებოდა მცირეკალიბრიანი იარაღიდან ნასროლი ტყვიით მიყენებული მეორე ჭრილობაც;

7. გამქრალია ტყვიის მასრა და გულა. (მარგველანის მტკიცებით, ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვეს);

8. გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს ადამიანები, რომლებსაც შეეძლოთ ნათელი მოეფინათ საქმისთვის. (1994 წელს მოკლეს გენერალი გია გულუა, 1998 წელს – ზურაბ ზონია (პუშკინა), 2003 წელს – ბადრი ზარანდია და სხვ.); და ა. შ.

უნდა ითქვას, რომ მსგავსი წინააღმდეგობებისა და პასუხგაუცემელი კითხვების მოძებნა ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეში შეიძლება. თუ თავი არ მოუკლავს, ე. ი. მოკლეს. მაგრამ ვინ მოკლა? უცხო პირის შესვლა, ისე, რომ დაცვას და გამსახურდიას გვერდით მყოფ გუგუშვილს ვერ გაეგო, გამორიცხულია. რჩება ერთი – პრეზიდენტი მისმა პირადმა დაცვამ და პრემიერ-მინისტრმა მოკლეს.

რა გამოდის? ერთმა პრემიერ-მინისტრმა გამსახურდია ამბოხების გზით დაამხო, მეორემ კი მოკლა!? პრეზიდენტს პირადმა დაცვამაც უღალატა?

არის კი მსოფლიო ისტორიაში მეორე ასეთი პრეცენდენტი? პირადად მე ვერ ვიხსენებ.

ეს ის შემთხვევა ხომ არ არის, როდესაც ცეზარივით უნდა აღგმოსდეს – „შენც, ბრუტუს!?“

ახლა მოდით ვნახოთ, ჰქონდა თუ არა პრეზიდენტს თავის მოკვლის საბაბი: ჩემი აზრით, ასეთი საბაბი სულ მცირე, სამია:

1. 1993 წლის ბოლოს გამსახურდიამ მორიგი მარცხი კი არ განიცადა, მან სრული ფიასკო იწვნია. თავის ქვეყანაში მას აღარ დაედგომებოდა. უკან დაბრუნების იმედიც გადაწურული იყო. ასლა მას თავის მეგობარ დუდაევთან დროებითი თავშესაფრისთვის კი არა, მის კარზე მუდმივად სამადლოდ დასარჩენად მოუწევდა ჩასვლა. ასეთ სიცოცხლეს, გამსახურდიას ამბიციების მქონე კაცს, სიკვდილი ნამდვილად ერჩია.

2. ბოლო დღეებში გამსახურდია საშინლად გახდა, მუცლის არეში გამუდმებულ მწვავე ტკივილს განიცდიდა. მის უმძიმეს სულიერ მდგომარეობას ეს თანდართული გაუსაძლისი ფიზიკური ტკივილები კიდევ უფრო სასოწარკვეთილს ხდიდა. ასეთ დროს ბევრი ნატრობს სიკვდილს.

3. დავუმატოთ ახლა ამას სუიციდისადმი გამსახურდიას გენეტიკური მიდრეკილებაც და რით არ არის ეს თვითმკვლელობის საბაბი?

არაფერს ვამტკიცებ. უბრალოდ, ვამბობ, რომ თვითმკვლელობის ვერსიას არსებობის უფლება აქვს. ყოველ შემთხვევაში, მანამდე მაინც, ვიდრე მკვლელობის ვერსიის დამადასტურებელი სერიოზული არგუმენტები გამოჩნდება.

ისე კი, როგორც ქართველს, მირჩევნია თვითმკვლელობის ვერსია დადასტურდეს. ასე ქვეყნის პირველი პრეზიდენტიც უფრო ადამიანური და ტრაგიკული, მისი გარემოცვა კი უფრო ზნეობრივი გამოჩნდება.

მეიად გამსახურდიას გარდაცვალებით საქართველოში საბოლოო წერტილი არა მხოლოდ სამოქალაქო ომს დაესვა, ამით დასრულდა ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი ეტაპიც. 1987-1993 წლების საქართველოში იყო ყველაფერი: ეროვნული მოძრაობის აღმავლობა და 9 აპრილით გამოწვეული საოცარი ერთობაც, დამოუკიდებლობის მოპოვებით, ქვეყნის საერთაშორისო აღიარებით მოგვრილი სიხარულიც და ძირძველი ქართული მიწების დაკარგვით განცდილი სიმწარეც ...

სამოქალაქო ომმა ათასობით გულანთებული ქართველი შეიწირა, გაჩანაგდა ქვეყნის ეკონომიკა, უზარმაზარი ზიანი მიადგა ჩვენს გენოფონდს, კულტურას

შეიძლებოდა თუ არა ქვეყნის ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესი ეტაპის ნაკლები დანაკარგებით გავლა? შეიძლებოდა. მაგრამ ამისთვის საჭირო იყო მოგვეთოკა ემოციები და გადაწყვეტილებების მიღებაში ციეი გონებით გვეხელმძღვანელა, საჭირო იყო ირაციონალიზმის პრაგმატიზმით, სულსწრაფობის მოთმინებით ჩანაცვლება ე.ი. საჭირო იყო ქართველებს ჩვენს საუკუნოვან თვისებებზე, ანუ ქართველობაზე გვეთქვა უარი.

ეს კი, როგორც გესმით, შეუძლებელი იყო.

ერთი სიტყვით, შეიძლებოდა, მაგრამ ... არ შეიძლებოდა.

ნაწილი მესამე

ბრძოლა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობისთვის

თავი VI

ბრძოლა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობისთვის

§ 6.1 საყოველთაო განუკითხაობიდან სტაბილიზაციისკენ

შევარდნაძის მმართველობის პირველ - 1992 წლიდან 1995 წლამდე პერიოდს, პირობითად, შეიძლება არეულობის, ქაოსის პერიოდი ვუწოდოთ. ეს იყო იარაღიანი ხალხის უკონტროლო თარეშის, აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში სამხედრო დაპირისპირებების, ეკონომიკური გაჩანაგების, უსახსრობის, უშუქობის, გადაუხდელი ხელფასების და პენსიების, მასობრივი უმუშევრობის წლები. შევარდნაძე, დე გოლის მსგავსად, დანგრეულ ქვეყანაში დაბრუნდა. მის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი უდიდეს რისკს შეიცავდა. რისკიანობა ამ კონფორმისტ, მაგრამ ამავე დროს პრაგმატულ პიროვნებას არასოდეს აკლდა. მას სამი წელი დასჭირდა ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობის დასამყარებლად. და მაინც, 1992 წლის ზაფხულში მან აღიარა: „არ უნდა დავბრუნებულიყავი... ეს იყო დინების საწინააღმდეგოდ ცურვა...“

არახელსაყრელი ურთულესი ობიექტური ფაქტორების გარდა, შევარდნაძის ხელისუფლების განმტკიცებას ხელს საკუთრივ მის პიროვნებასთან დაკავშირებული სუბიექტური ფაქტორებიც უშლიდა. საქართველოს კომპარტიის ლიდერის რანგში ხანგრძლივი სამსახური მის მიმართ უაღრესად ამბივალენტურ დამოკიდებულებას იწვევდა. საქართველოს მოსახლეობის ნაწილის მეხსიერებაში ის თვითმფრინავის გამტაცებლების დახვრეტასთან, მასობრივ დაჭერებთან, სხვა სასტიკ ღონისძიებებთან ასოცირდებოდა. ეს კი მათში დიქტატურის განმეორების შიშს აღძრავდა. შევარდნაძეს პრორუსული ორიენტაციის მომხრედაც მიიჩნევდნენ. მეორეს მხრივ, გავლენიან რუსულ წრეებში, განსაკუთრებით სამხედროებში, მას, გორბაჩოვთან ერთად, სოციალისტური სისტემის და საბჭოთა კავშირის დაშლის მოთავედაც აღიქვამდნენ, რაც რუსების ამ კატეგორიას შურისძიების გრძნობით აღავსებდა. თავის მხრივ, ეს დამატებით ძაბავდა ქართულ-რუსულ ურთიერთობებს. პრობლემას ქმნიდა გამსახურდიას მმართველობის მთელი დროის განმავლობაში შევარდნაძის საწინააღმდეგო მძლავრი

პროპაგანდისტული აპიოტაჟიც, რასაც არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა მასობრივ ცნობიერებაზე. გამსახურდიას მომხრეების თვალში შევარდნაძე კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული პუტჩის მოთავე, ქართული ეროვნული ინტერესების გამყიდველი და ერის მოღალატე იყო.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტისა და სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ქვეყანაში სახელმწიფო ხელისუფლება უაღრესად სუსტი იყო. რეგიონებს კრიმინალურ ბანდებთან მჭიდროდ დაკავშირებული ადგილობრივი ეთნოკრატიები აკონტროლებდნენ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კორუმპირებული ლიდერი ასლან აბაშიძე სეპარატიზმის ზღვარზე მოქმედებდა. ძალზე სუსტი იყო სამეგრელოში შევარდნაძის მიერ დანიშნული რეგიონალური მმართველების გავლენა. ცეტრალურ ხელისუფლებასთან სუსტად ინტეგრირებული იყო ჯავახეთის ორი რაიონიც.

ვითარების დარეგულირება შევარდნაძემ დაბალანსებული, ზომიერი პოლიტიკის გატარებით დაიწყო. სამეგრელოს რეგიონთან ურთერთობის დალაგება მან პრემიერ-მინისტრად ოთარ ფაცაციას დანიშვნით სცადა. სახელმწიფო აპარატში საბჭოთა ნომენკლატურის გამოცდილი, მაგრამ კორუმპირებული კადრები დაბრუნდნენ. ცხადია, ამან ქვეყანაში რეფორმატორული განწყობა შეანელა. სამინისტროები თავიანთ დარგებს არაფორმალური კავშირებით, ურთიერთშეღავათებითა და ვალდებულებებით მართავდნენ. მათ ძალაუფლებას კანონები კი არა, მაფიოზურ კლანებთან და დამნაშავეთა სამყაროსთან პირადი კავშირები განაპირობებდა.

1993 წელს საქართველოში 54 რეგისტრირებული პოლიტიკური პარტია, 22 გაზეთი და 55 სატელევიზიო კომპანია არსებობდა. ეთნიკური უმცირესობების საბჭოს და საქართველოს ხალხთა ეროვნებათაშორისი საბჭოს შექმნამ ვერ უზრუნველყო არაქართველების ინტეგრირება სახელმწიფოში. არჩევნების შედეგების ფალსიფიცირება, ოპოზიციის მოთხოვნების იგნორირება ძირს უთხრიდა შერიგებისკენ მიმართულ შევარდნაძის პოლიტიკას.

სახელმწიფო სამსახურების კოლაფსმა, მასობრივმა უმუშევრობამ, საბჭოური გეგმიანი ეკონომიკიდან საბაზრო ურთიერთობებზე თანდათანობითმა გადაწყობამ დამკვიდრებული ღირებულებების და ქცევების გადაფასება გამოიწვია. მართალია, ქართველთა უმრავლესობას კვლავაც სჯეროდა, რომ მათი სო-

ციალური პრობლემების გადაჭრა, სამსახურით უზრუნველყოფა და ფასების კონტროლი სახელმწიფოს ვალდებულებაა, მაგრამ 1994 წლის მაისში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის მიხედვით ოჯახების შემოსავლების 48,8 პროცენტი კერძო სექტორზე, ხოლო სახელმწიფო სექტორზე 51, 2 პროცენტი მოდიოდა.[264] ცხადია, ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო. თუმცა, კერძო სექტორის უდიდესი ნაწილი კვლავაც იატაკქვეშ განაგრძობდა არსებობას. საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონე მკვეთრად დაეცა. თუ 1990 წლის საქართველოს მშთ-ს (მთლიანი შიდა პროდუქტი) 100 პროცენტად მივიჩნევთ, 1994 წლისთვის ის 28 პროცენტამდე ჩამოვიდა, ანუ თითქმის 4-ჯერ შემცირდა. ამის შემდეგ მდგომარეობა ოდნავ გამოსწორდა, მაგრამ 2000 წელსაც კი მშთ-ს დონე 1990 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 38 პროცენტს შეადგენდა.[265] მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი გახდა ქვეყნის ბაზრის გახსნა იმპორტისთვის. თურქეთისა და ჩინეთის იაფმა და უხარისხო ნაწარმმა ჩაკლა საქართველოს კვებისა და მსუბუქი მრეწველობის დარგები. პრაქტიკულად შეწყვიტეს მუშაობა მანქანათმშენებლობის საწარმოებმა, რომლებიც საბჭოთა პერიოდში მდარე ხარისხის პროდუქციას აწარმოებდნენ. 1990 წელს მრეწველობაში დასაქმებული იყო ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი, ათი წლის შემდეგ ეს მაჩვენებელი 10-ჯერ შემცირდა, ანუ მოხდა საქართველოს დეინდუსტრიალიზაცია. უმუშევრობას თან სდევდა მოსახლეობის ემიგრაცია. თურქეთსა და საბერძნეთში პოსტსაბჭოთა სივრციდან მოზღვავებულ მეძავებს შორის ქართველი ქალებიც გამოჩნდნენ. ქალების ძირითადი მასა მაინც მომვლელებად, ძიძებად, მაღაზიებში გამყიდველებად იყო დასაქმებული. საზღვარგარეთ სამუშაოს მამაკაცზე უფრო ადვილად ქალი შოულობდა. ამიტომ ემიგრანტთა დიდი ნაწილი ქალი აღმოჩნდა. ქალები იქცნენ ოჯახში ძირითად შემომტანებადაც. ქვეყნის შიგნით მიმდინარე გენდერულმა პროცესმაც არასამთავრობო სექტორში ქალების დიდი რაოდენობით ჩაბმა გამოიწვია, რამაც, ეკონომი-

---

[264] სტივენ ჯონსი, „პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ", თბ. 2013 წ, გვ. 143;

[265] რევაზ გაჩეჩილაძე, „საქართველო მსოფლიო კონტექსტში მე20 და 21-ე საუკუნეების პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მომენტები", თბ.2013, გვ. 571;

კურ სიდუხჭირესთან ერთად, უარყოფითად იმოქმედა შობაღობის ისედაც მეტისმეტად დაბალ მაჩვენებელზე.

მუშათა კლასის უფრო კეალიფიციურმა ნაწილმა კერძო სექტორში გადაინაცვლა. ბევრი მათგანი ინდმეწარმე გახდა, დაიწყო ფართო მოხმარების საგნების კუსტარული წარმოება, შემდეგ კი თავისი ნაწარმის ბაზრობებზე რეალიზაცია. უმუშევრად დარჩენილი ინტელიგენციის ნამდვილ „მაშველ რგოლად“ იქცა სოკოებივით მომრავლებული კერძო უმაღლესი სასწავლებლები. მათი რაოდენობა მთელ საქართველოში 200-ს აღწევდა. ამან მკვეთრად დასცა სწავლების ხარისხი, მაგრამ შიმშილით სიკვდილს გადაარჩინა (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) ქართველი ინტელიგენცია. გონებრივი შრომის სფეროში გაჩნდა მაღალშემოსავლიანი სხვა სამსახურიც - კომერციული ბანკები. მათი რაოდენობა 100-ს აჭარბებდა.

ძალზე დაბალი იყო (შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ არ არსებობდა) გადასახადების გადახდის კულტურა. მოსახლეობა წლობით არ იხდიდა მოხმარებული ელექტროენერგიის, გაზისა და წყლის საფასურს. სახელმწიფო კი წლების შემდეგ ამ დავალიანებების ჩამოწერის შესახებ აკეთებდა განცხადებას. გარდა იმისა, რომ ასეთი პრაქტიკა პატიოსან და კანონმორჩილ ადამიანებს აზარალებდა, ის ხელს უწყობდა გადასახადების გადაუხდელობის მავნე პრაქტიკის შენარჩუნებას. ბიზნესმენთა დიდი უმრავლესობა ამჯობინებდა საგადასახადო სამსახურის ინსპექტორისთვის მიეცა ქრთამი, ვიდრე პატიოსნად გადაეხადა გადასახადი სახელმწიფოსთვის. ნებისმიერი ბიზნესმენი, ინდმეწარმე იძულებული იყო ქრთამი არა მხოლოდ საგადასახადო სამსახურის მუშაკებისთვის, არამედ პოლიციის, კონტროლის პალატის და რაიონული გამგეობის თანამშრომლებისთვისაც ეხადა. ამ უაღრესად მავნე პრაქტიკას ხელს მეტისმეტად არარეალური გადასახადებიც უწყობდა.

1992 წელს, ბორის ელცინის მიერ განხორციელებული ფასების ლიბერალიზაციის დროს, საქართველო ჯერ კიდევ რუსული რუბლის ზონაში იმყოფებოდა. ამ ზონიდან საქართველოს (ყველა სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკისაც) შეუთანხმებელმა გამოდევნამ ქვეყნის ხელისუფლებას და რიგით მოქალაქეებს სერიოზული პრობლემები შეუქმნა. 1993 წლის აპრილში მთავრობა იძულებული გახდა სასწრაფოდ შემოეღო დროებითი ეროვნული ფულის ნიშანი - კუპონი. თავდაპირველად კუპონის

ნომინალი რუსულ რუბლთან მიმართებაში ერთი ერთზე იყო, მაგრამ ძალიან მალე მისმა კურსმა ვარდნა დაიწყო. გაჩანაგებული ეკონომიკის პირობებში ეს მოსალოდნელიც იყო, თუმცა კუპონის კატასტროფული გაუფასურების მთავარ მიზეზს მაინც ხელისუფლების მცდარი ფისკალური პოლიტიკა წარმოადგენდა. კუპონის შემოღებისთანავე დაიწყო მოსახლეობაზე შეღავათიანი კრედიტების გაცემა. შევარდნაძის აზრით, ამას მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისება უნდა მოჰყოლოდა. თუმცა, ყოვლისმომცველი კორუფციის პირობებში ეს შეუძლებელი იყო. ამოქმედდა ფინანსური ოლიგარქიის გეგმაც. მათ ჯერ ბანკებიდან თავიანთი ახლობლების სახელზე გამოჰქონდათ მილიარდობით კუპონი, მაშინვე გადაყავდათ ის მყარ ვალუტაზე, შემდეგ კი საბანკო მანიპულაციების გზით ხელს უწყობდნენ კუპონის კურსის დაცემას. მას შემდეგ, რაც კუპონის კურსი ათჯერ და მეტად გაუფასურდებოდა, ამას კი ისინი სულ რაღაც ერთ თვეში ახერხებდნენ,[266] მყარი ვალუტის ნაწილით კელავ იძენდნენ გაუფასურებულ კუპონს და ფარავდნენ კრედიტს. ამ გზით ისინი უმოკლეს დროში ათმაგ მოგებას ნახულობდნენ. მოსახლეობის უკიდურესად მძიმე მდგომარეობას ანაბრებზე შეტანილი დანაზოგების დაკარგვაც ამძიმებდა.

ადამიანების ძარცვის „ეფექტური" ინსტრუმენტი გამოდგა საპრივატიზაციო ბარათი, ანუ ვაუჩერი. შეიძლებოდა მისი გაყიდვა, გაჩუქება, საწარმოს ან პრივატიზაციის სპეციალიზებულ (საბარათო) ფონდის აქციებში დაბანდება და ა. შ.

ბევრმა ვაუჩერი ჩალის ფასად გაყიდა, უფრო მეტმა კი პრივატიზაციის საინვესტიციო ფონდის აქციებში დააბანდა. ძაღლის თავიც სწორედ აქ იყო დამარხული. წარმოების ხელმძღვანელებმა ვაუჩერები ჩაიბარეს, შემდეგ საწარმოები გააკოტრეს, მისამართი შეიცვალეს (მათი ახალი ადგილსამყოფელი არავინ იცოდა) და ვაუჩერების მფლობელები პირში ჩალაგამოვლებულები დატოვეს. ამ არცთუ რთული, მაგრამ ყოვლად უსინდისო

---

[266] . „დღეს თემურ კურტანიძის ღედა დავასაფლავეთ. სამი თვის წინ დედის დაკრძალვაზე თემურიმ 2 ათასი კუპონი შემოგვწირა და საბოდიში არაფერი ჰქონებია. სამი თვის შემდეგ მე 10-ჯერ მეტი - 20 ათასი კუპონი მივუტანე და – სირცხვილით დავიწვი". წერდა თავის დღიურში ჩემი უფროსი მეგობარი, შესანიშნავი ქართველი თენგიზ ბუმბაძე 1993 წლის 4 დეკემბერს.

მაქინაციით ქვეყნის მთელი ეკონომიკური პოტენციალი ერთი მუჭა სინდისგარეცხილი ადამიანების ხელში აღმოჩნდა.

მოტყუებული ქართველი მოსახლეობის სანუგეშოდ (თუ ეს ვისმეს დაამშვიდებს) ვიტყვი, რომ მუსტად ამ სცენარით წარიმართა ვაუჩერების კამპანიები პოსტსაბჭოთა სივრცეში შექმნილ სხვა დამოუკიდებელ რესპუბლიკებშიც.

ეკონომიკურ სიდუხჭირეს, მასობრივ უმუშევრობას ტრადიციული ეკონომიკური კავშირების მოშლის შედეგად წარმოქმნილი პურის კრიზისიც დაემატა. პურის რიგში ადამიანები ღამეებს ათენებდნენ. ქვეყანა რეალურად აღმოჩნდა შიმშილის წინაშე. ქართველი მაღალჩინოსნები (თვით ვიცე-პრემიერების ჩათვლით) პურის კრიზისშეც კი ხელს ითბობდნენ.

ენერგეტიკული კრიზისის გამო საქართველოს სოფლები და ქალაქები წყვდიადში ჩაიძირა. თბილისის გრეს-ის (გარდაბანში მდებარე საქართველოს რეგიონული ელექტროსადგური) მე-9 და მე-10 ბლოკები სისტემატურად გამოდიოდნენ მწყობრიდან, მათი რემონტი თვეების განმავლობაში ჭიანურდებოდა, ხოლო მწყობრში ჩამდგარ ელექტროსადგურზე მეორე დღესვე კვლავ ავარია ხდებოდა. არავისთვის საიდუმლო არ იყო ამ გახშირებული ავარიების მიზეზი: მიეწერათ ავარიისთვის ბლოკების რემონტისთვის გამოყოფილი და დატაცებული სახსრები. ერთი მაგალითი: შპს „ევროპის“ დირექტორმა გიორგი ნინიკაშვილმა „ლაჯანურჰესის“ თანხები მიითვისა არა მარტო ორგანიზაციებიდან, არამედ თვით ამ კოლექტივიდანაც. 2000 წლის 5 აპრილს მან სარემონტო სამუშაოების ჩატარების შესახებ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე უშუალოდ „ლაჯანურჰესის“ სალაროდან ხელზე ავანსის სახით გაიტანა 97 027 ლარი, სარემონტო სამუშაოების ჩატარება კი არც უფიქრია.[267] ეს მაშინ, როცა ელსადგურის მუშაკების ხელფასების დავალიანება 21 თვეს შეადგენდა. მოხმობილი მაგალითი ამ სისტემაში აპრობირებული პრაქტიკა იყო. სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტროს მაღალჩინოსნების დიდი ნაწილი (მინისტრების ჩათვლით) ან საზღვარგარეთ გარბოდა და უჩინარდებოდა, ან ციხეში ხვდებოდა.

გახშირდა უშუქობის, უწყლობის, უამრავი სხვა ყოფითი პრობლემის გამო მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლები.

---

[267] .გაგ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2 აპრილი, 2002 ;

სიმბოლური ხელფასები და პენსიები თვეობით არ გაიცემოდა. ვითარების დრამატიზმს აძლიერებდა პოლიტიკური და სამხედრო შეიარაღებული ფორმირებების მოქმედება დასავლეთ საქართველოში, სარკინიგზო მაგისტრალების გადაკეტვა, ტვირთების დატაცება, აღგილობრივი ხელისუფლების დატერორება. 1994 წლის დასაწყისისთვის კომენდანტის საათი ჯერ კიდევ მოქმედებდა ფოთში, აბაშაში, ლანჩხუთში, ოზურგეთში, ჩოხატაურში, ვანში, წალენჯიხაში, მუგდიში, ჩხოროწყუში. თებერვალში მოკლეს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ნ.კეკელიძე. 13 მაისს სენაკში, დღისით, მზისით დაწვეს გამგეობის შენობა. „... ერთი უბედურება ის არის, რომ ასეთი საყოველთაო გაჭირვებისა და საოცარი დეფიციტის პირობებში ამხელა შენობა განადგურდა, მაგრამ არანაკლებ მძიმეა იმის შეგრძნება, რომ ასეთ რამეს ოდნავ მაინც პატიოსნება და სინდისშენარჩუნებული მტერიც კი არ გაუკეთებდა ადამიანს,“[268] - გულისტკივილით წერდა სენაკის გამგებელი ტარიელ დგებუაძე. კრიმინალური ბანდები, ათასგვარი „საძმოები“ დათარეშობდნენ აღმოსავლეთ საქართველოშიც.

ასეთ მძიმე ეკონომიკურ სიტუაციაში საჭირო იყო სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება. ეკონომიკური კრიზისის დაძლევის უსწრაფეს გზად საერთაშორისო სავალუტო ფონდმა „შოკური თერაპია“ მიიჩნია. თუმცა, მისი რეალიზაცია საქართველოში სრულიად ქაოტურად და უსისტემოდ მოხდა, რის გამოც ქვეყანამ „შოკური თერაპიის“ ნაცვლად მხოლოდ შოკი მიიღო.

ქვეყნის ისედაც მწირი ბიუჯეტის ძარცვის კიდევ ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენდა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების იმ წლებში დადგენილი წესი, რომლის თანახმადაც სახელმწიფოსთვის ანგარიშის გასწორება საქონლის გამცემსაც შეეძლო და მიმღებსაც. ამ წესმა ყალბისმქმნელთა აღფრთოვანება გამოიწვია. მომრავლდნენ ფიქტიურ მისამართებზე დაფიქსირებული ახალ-ახალი „შპს“-ები, რომლებიც ხალისით გასცემდნენ (რასაკვირველია, შესაბამისი გასამრჯელოს ნაცვლად) ანგარიშ-ფაქტურებს სახელმწიფოსთვის გადასახადების თავისთავზე აღების გარანტიით. სხვადასხვა პირებისგან, ყალბისმქმნელი იძენდა ხელმოწერილ და ბეჭედდასმულ, მაგრამ შეუვსებელ საგადასახადო

[268] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 14 მაისი, 1994;

ანგარიშ-ფაქტურებს და სასაქონლო ზედნადებებს, შეჰქონდა მათში გაყალბებული მონაცემები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებდა დღგ-ს ჩათელებს და ამ გზით თავისუფლდებოდა სახელმწიფო გადასახადებისგან. ორ-სამ თვეში ფიქტიური „შპს“ უამრავ ფულს შოულობდა, შემდეგ კი უკვალოდ ქრებოდა.

მსგავსი პრობლემა, თავის დროზე, შეექმნათ სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებსაც, მაგალითად პოლონეთს, მაგრამ აქ ეს პრობლემა სულ რამდენიმე თვეში გადაწყვიტეს. საქართველოში კი ამ არცთუ რთულად გასაშიფრი სქემით ქვეყნის ბიუჯეტი წლობით იძარცვებოდა.

აქვე სრულიად გარკვევით უნდა ითქვას: ეკონომიკური კატასტროფის მხოლოდ სუბიექტური ფაქტორებით, ანუ შევარდნაძის ხელისუფლების უნიათობით ახსნა, შეცდომაა. კრიზისის გამომწვევი ძირითადი მიზეზი მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე ობიექტური პროცესები, ამ საზოგადოებაში მყარად ფეხმოკიდებული საბჭოთა პერიოდის მენტალიტეტი და მასთან მჭიდროდ შერწყმული კორუფცია იყო. სწორედ ამის გამო ეკონომიკური კრიზისი მეტნაკლები სიმწვავით ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას შეეხო. აბერბაიჯანმა ეკონომიკურ კოლაფსს ნავთობისა და გაზის დიდი მარაგის წყალობით დააღწია თავი, სომხეთს თავისი მდიდარი დიასპორა და რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები დაეხმარა, მოლდავეთს - გვერდით მყოფი მონათესავე რუმინეთი... მხოლოდ საქართველო დარჩა დასაელეთის სახელმწიფოთა მოწყალების იმედად. სამაგიეროდ, ქართული პოლიტიკური ელიტის გამოუცდელობას, უვიცობას და სიხარბეს მოევლინა „დამხმარე“ - ჩვენდამი მტრულად განწყობილი უმარმაზარი ჩრდილოელი მეზობელი.

ამიტომაც აღმოჩნდა ჩვენი კრიზისი სხვებზე მასშტაბური.

მარტის ბოლოს საქართველოში გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს აშშ-ს საღამვერეო სამსახურის თანამშრომელი უ. ვუდროუი. 31 მარტს პარლამენტმა შინაგან საქმეთა მინისტრად მოთა კვირაია დაამტკიცა, რასაც პარლამენტის შენობაში თბილისის პოლიციის უფროსის დავით ზეიკიძის და მისი პოლიციელების შეჭრა მოჰყვა. სახელმწიფოს მეთაურის კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ ზეიკიძემ შენობა დატოვა. 2 აპრილს პარლამენტმა იმსჯელა 31 მარტის ინციდენტზე და ის „პარლამენტზე ძალისმიერი ზემოქმედების მცდელობად“ შეაფასა. დადგენილებაში ნათქვამი იყო: „1. მიღებულ იქნას ცნობად, რომ მომხდარ ფაქ-

ტთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება. 2. დაევალოს შსს-ს (შ. კვირაია) მიიღოს გადამჭრელი ზომები ქ. თბილისის პოლიციის სამმართველოში წესრიგის დასამყარებლად.“ [269]

პირველ აპრილს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უროსად იგორ გიორგაძე დაინიშნა.

საქართველოს სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველოს უროსი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გენერალ-მაიორი გულუა საკმაო ინფორმაციას ფლობდა მხედრიონის დანაშაულებრივ საქმიანობაზე. მისი მოსყიდვა ან დაშინება მხედრიონმა ვერ მოახერხა. ამიტომ გადაწყდა გულუას ფიზიკური განადგურება. 1994 წლის 20 აპრილს, დილის 9 საათსა და 15 წუთზე ნუცუბიძის პლატოს მე-4 მიკრორაიონში, თავის სახლთან გია გულუა მხეცურად ჩაცხრილეს. დაიღუპნენ მისი მძღოლი და ერთი თანამშრომელიც. ოფიციალური ვერსიით ტერორისტული აქტი მხედრიონმა ჩაიდინა. მკვლელები ორი ავტომანქანიდან ორი-სამი წუთის განმავლობაში ისროდნენ. საკონტროლო გასროლები გოჩა გელაშვილმა განახორციელა. გია გულუას თავის არეში შვიდი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. ამ მკვლელობისთვის მხედრიონელები გასამართლდნენ. თუმცა, მის შესახებ დღემდე სხვადასხვა ვერსიას ჰყვებიან. ერთი ვერსიით, შევარდნაძემ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა სწორედ გია გულუას დააკალა. ამიტომ გამსახურდიას მომხრეებმა მასზე შური იძიეს. მეორე ვერსიის თანახმად, გულუა, როგორც უხერხული მოწმე, შევარდნაძემ მოიცილა... ფაქტია, რომ გულუას დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ჯაბა იოსელიანთან და გენერალი ახლობლებს გაუფრთხილებიათ კიდეც მხედრიონელთა მხრიდან შესაძლო ტერაქტის შესახებ.

სერიოზულ პრობლემად რჩებოდა ხალხში იარაღის დიდი რაოდენობით არსებობა. 1994 წლის აპრილში საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და შინაგან საქმეთა თბილისის მთავარმა სამმართველომ ერთობლივი განცხადებით მიმართეს შეიარაღებული ფორმირებების წევრებს და სხვა შეიარაღებულ პირებს - ჩაებარებინათ იარაღი. „ავტომატებით, პისტოლეტებით

---

[269] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2 აპრილი, 1994 წ.

და სხვა იარაღით რესპუბლიკის ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში გამოსვლა... ხანდახან კი მათზე თავდასხმა, ძარცვა-ყაჩაღობა... ჩვენი მოქალაქეების დიდ უკმაყოფილებას იწვევს და აღვიძებს მათში ჯარისკაცისადმი სიძულვილის გრძნობას",[270] - ნათქვამი იყო მიმართვაში. 1994 წლის 18 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტრო იტყობინებოდა, რომ მკვლელობების, შეიარაღებული თავდასხმების, ადამიანთა გატაცების და სხვა მძიმე დანაშაულობათა ჩადენის ბრალდებით დაპატიმრებული იყო 170 პირი, ჩამორთმეული იყო 220-დე ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი. მათ შორის: 185 ავტომატი, 5 ტყვიამფრქვევი, 28 პისტოლეტი. მოსახლეობისგან ამოღებული იყო, აგრეთვე, 485 ხელყუმბარა, ექვსი ერთეული მძიმე ტექნიკა, ერთი შეუღმფრენი, რამდენიმე კილოგრამი ნარკოტიკული ნივთიერება, 45 გატაცებული მანქანა და სხვ. ამან მძიმე მსხვერპლი მოითხოვა. ერთი წლის განმავლობაში დაიღუპა 25 პოლიციელი, ხოლო 37 მძიმედ დაიჭრა.[271]

2 ნოემბერს ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხნის ტერიტორიაზე ჩაცხრილეს ხუთი ადამიანი. დახოცილთა გვამები კრიმინალებმა სოფ. დაბის მახლობლად მდებარე „მშენტრანსის" მე-10 ავტობაზის გაუქმებული ბენზინგასამართი სადგურის წყლით სავსე ავზებში ჩაყარეს, შემდეგ კი ავზები ქვიშით ამოავსეს. გვამები რამდენიმე წლის შემდეგ აღმოაჩინეს. დადგინდა, რომ ამ საბარელი მკვლელობის ჩამდენიც მხედრიონელები იყვნენ.

ტერორისტთა კიდევ ერთი სამიზნე აღმოჩნდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი გიორგი ჭანტურია, რომელიც უშიშრად ამხელდა არა მხოლოდ მხედრიონის, არამედ უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელობის დანაშაულებრივ საქმიანობას. 3 დეკემბერს, დაახლოებით დილის 10 საათზე, გიორგი ჭანტურია საკუთარ სახლთან ავტომანქანაში ჩაცხრილეს. ის საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. მძიმედ დაიჭრნენ გიორგი ჭანტურიას მეუღლე ირინა სარიშვილი და პარტიის კიდევ ორი წევრი. მოგვიანებით დაიღუპა ერთ-ერთი მათგანი - გია ბარამიაც. ოფიციალური ვერსიით, ტერორისტული აქტი თემურ ხაჩიშვილმა და გიგა გელაშვილმა დაგეგმეს, ხოლო განა-

---

[270] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 13 აპრილი, 1994 წ.

[271] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 18 მაისი, 1994 წ.

ხორციელეს მხედრიონელებმა - ლევან მაძღარაშვილმა, გია ძაგანიამ და სხვებმა. ირინა სარიშვილი დემონსტრაციულად არ დასწრებია სასამართლო პროცესს, რადგან თვლიდა, რომ ტერაქტი არა მხედრიონმა, არამედ იგორ გიორგაძემ დაგეგმა და განახორციელა. მოგვიანებით მან აზრი შეიცვალა და ტერაქტის ავტორად შოთა კვირაია დაასახელა.

1995 წლის 13 იანვარს ე. წ. „ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის“ შეიარაღებული ჯგუფი თენგიზ კიტოვანისა და თანგიზ სიგუას ხელმღვანელობით, როგორც ისინი აცხადებდნენ, „აფხაზეთის პრობლემის მოგვარების მიზნით“, გაემგზავრა დასავლეთ საქართველოსკენ. კიტოვანის განცხადებით, ეს აქცია შეთანხმებული იყო რუსეთის სათანადო უწყებებთან.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით „ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი“ უკანონოდ იყო გამოცხადებული. ამდენად, მას არანაირი სამართლებრივი უფლებამოსილება არ გააჩნდა. მით უმეტეს, არ აღიარებდა მას რესპუბლიკის ხელმძღვანელობა.

ჯგუფმა იარაღის მუქარით წაართვა მფლობელებს 20-დე „იკარუსი“ და ამ მანქანებით გაემგზავრა აფხაზეთში. 13 იანვარს, დილითვე, თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსი დემურ მიქაძე შეხვდა აქციის მოთავეებს და განუმარტა მათი წამოწყების არასამართლებრივი და ავანტიურისტული ხასიათი. კიტოვანმა მიქაძეს შეახვედრა ვინმე ფისტუნი, რომელმაც უთხრა მიქაძეს, რომ არის რუსეთის პრეზიდენტის პირადი და საგანგებო წარმომადგენელი და ასრულებს მის პირად დავალებას. ფისტუნის თქმით, „ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის“ აქცია შეთანხმებული იყო გალში განლაგებულ რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობასთან.

საქართველოს სახელმწიფო მეთაურის აპარატის ხელმძღვანელი მაშინვე დაუკავშირდა რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციას, სადაც მას ოფიციალურად განუცხადეს, რომ ეს იყო წმინდა წყლის პროვოკაცია და რომ ფისტუნის გვარით არავის იცნობდნენ, შესაბამისად, მისთვის არც არანაირი უფლებამოსილება მიუციათ. ფისტუნთან ნაცნობობა და „ეროვნულ-განმათავისუფლებელ ფრონტთან“ ყოველგვარი კავშირი და გარიგება კატეგორიულად უარყო აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალმა გენერალმა ვასილ იაკუშევმაც. რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრს გრაჩოვს და მტაბის უროსს კო-

ლესნიკოეს რამდენჯერმე ესაუბრა საქართველოს თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძეც, მათაც ასევე კატეგორიულად გამორიცხეს კიტოვანის აქციასთან რაიმე კავშირი.

სახელმწიფოს მეთაურთან გამართულ ოპერატიულ თათბირზე გადაწყდა არ დაეშვათ კიტოვან-სიგუას ავანტიურისტული ჯგუფის დასაელეთ საქართველოს ტერიტორიაზე გადასვლა. იმავე დღეს ჟურნალისტებთან შესვედრაზე შევარდნაძემ განაცხადა, რომ კიტოვან-სიგუას ეს პროვოკაციული ბქცია „ამ ფორმირების ორივე ხელმძღვანელისთვის დამახასიათებელი ქმედება და იმის მცდელობაა, რომ ახალი ომის წუმპეში ჩაითრიონ საქართველო.“[272]

გორთან და ოსიაურთან კიტოვან-სიგუას კოლონას გზა გადაუღობეს საქართველოს შეიარაღებული ძალების ნაწილებმა. სულ განაიარაღეს 370 კაცი, რომელთა შორის 6 ბებინელი აღმოჩნდა. დააკავეს თენგიზ კიტოვანი და ირაკლი სურგულაძე, აგრეთვე, ფისტუნი. წინააღმდეგობის გაწევის დროს დაიჭრა შეიარაღებული ფორმირების 5 წევრი.

25 თებერვალს მოსკოვში თავს დაესხნენ ქართული არმიის გენერლებს გიორგი ყარყარაშვილს და პაატა დათუაშვილს. ტერორისტული აქტის შედეგად დაიღუპა პაატა დათუაშვილი, გიორგი ყარყარაშვილი მძიმედ დაიჭრა.

ტერორისტული აქტები და სახელმწიფოს წინააღმდეგ შეიარაღებული ბანდფორმირებების თავხედური გამოხდომები გრძელდებოდა. 3 მარტს მაშველთა კორპუსის სახელით 150-დე შეიარაღებულმა პირმა ალყა შემოარტყა ქ. რუსთავის მერიას, შეიჭრა სახელმწიფო რწმუნებულის კაბინეტში და ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენა მას. ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს პოლიციის მუშაკი. ამ ბანდიტურ თავდასხმას ხელმძღვანელობდნენ მაშველთა კორპუსის თავმჯდომარე გიგა გელაშვილი და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე თემურ ხაჩიშვილი.

ეს უკვე კრიმინალური სამყაროს მიერ სახელმწიფოსთვის ამკარად გამოცხადებული ომი იყო. მაშველთა კორპუსი ამ დროისთვის უკვე პირწმინდად კრიმინალურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა და გააუთრებულ წინააღმდეგობას უწევდა ქვეყანაში წესრიგის დამყარების ნებისმიერ მცდელობას. რუსთავის მერიაში შეჭრაც მსს მიერ ქვემო ქართლის რეგიონში განხორციელებული

---

272 . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 14იანვარი, 1995 წ.

ანტიკრიმინალური ღონისძიების პასუხი იყო. კერძოდ, 2 მარტს შსს-ს მიერ ჩატარებული მასშტაბური ღონისძიების შედეგად წითელი ხიდის მიმდებარე ტერიტორია და ტრასა გაიწმინდა ყაჩაღური დაჯგუფებებისგან, რამაც რეალური დარტყმა მიაყენა ქვეყანაში ნარკოტიკებისა და კონტრაბანდის ბიზნესს. ამ ანტიკრიმინალური ღონისძიების შემდეგ მხოლოდ ერთ დღეში რუსთავის ბაზრობიდან ბიუჯეტში 16 მილიონი რუსული რუბლი შეეიდა, რომელიც მანამდე კრიმინალთა ჯიბეში მიდიოდა.

მაშველთა კორპუსის ასეთი თავხედური გამოხდომის მოთმენა კრიმინალების წინაშე სახელმწიფოს კაპიტულაციის მომასწავებელი იქნებოდა.

4 მარტს სახელმწიფოს მეთაური რუსთავში ჩავიდა და მოსახლეობასთან შეხვედრები გამართა. რუსთაველები კრიმინალთა თარეშის ალაგმვას მოითხოვდნენ. შევარდნაძემ ახალი ბრძანებულებით გააუქმა თავისი 1993 წლის 16 სექტემბრის ბრძანებულება მხედრიონის წევრებისთვის იარაღის ტარების უფლების მინიჭების შესახებ. ამან სახემწიფოს მეთაურსა და ჯაბა იოსელიანს შორის ურთიერთობა დაძაბა. ვითარება მეტნაკლებად განმუხტა 5 მაისს პარლამენტის სხდომაზე იოსელიანის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ: თუ პარლამენტი დაადგენს, ჩვენ იარაღს ჩავაბარებთო. მან თქვა, რომ მასსა და სახელმწიფოს მეთაურს შორის არავითარი კონფრონტაცია არ არსებობს. ჩვენ ხშირად ვკამათობთ, ზოგჯერ ძალიან მწვავედაც, მაგრამ ეს პოლიტიკური დაპირისპირების საფუძველი ნამდვილად არ არის. ჩვენ მხარს ვუჭერთ დემოკრატიული პრინციპების გამტარებელ და არა დიქტატორ შევარდნაძეს. „ოქროს დიქტატურას რკინის დემოკრატია სჯობიაო“. ცხადია, ტერმინ დემოკრატიის ქვეშ იოსელიანი ანარქიას მოიაზრებდა. დემოკრატია მისთვის მხედრიონის განუკითხავი თარეშის უფლება იყო და სხვა არაფერი.

პარლამენტმა მაშველთა კორპუსს იარაღის ჩაბარება მოსთხოვა. ამ კრიმინალური ორგანიზაციის წევრებისთვის იარაღის ტარების უფლების მინიჭების ბრძანებულების თავის დროზე გამოცემისთვის დეპუტატთა ნაწილმა მწვავედ გააკრიტიკა სახელმწიფოს მეთაურიც. ეს უსაფუძვლო ბრალდება იყო. 1995 წელს სახელმწიფოებრიობის რაღაც კონტურები მაინც იყო გამოკვეთილი. ამის მიუხედავად, მხედრიონელთა განიარაღების მოთხოვნამ მაშინაც კი სამოქალაქო ომის ზღვარზე დაგვაყენა. 1993 წელს კი სახელმწიფო მხედრიონთან აუცილებლად დამარცხდე-

ბოდა. მაშინ მოდაში იყო ასეთი ანეკდოტი: ლომების ნადიმზე მისულ კურდღელს ღვინო არ მოეწონა. „ამას როგორ სვამთო," - თქვა და ღვინო პირდაპირ სახეში შეასხა ლომს. „უჰ, მხედრიონელი არ იყო, მე ეიცი რასაც გიმამდიო", -კბილების ღრჭიალით ჩაილაპარაკა ლომმა.

6 მაისს გაიმართა მაშველთა კორპუსის მიერ იარაღის ნებაყოფლობითი ჩაბარების საპარლამენტო დროებითი სპეციალური კომისიის სხდომა. კომისიამ მაშველთა კორპუსის ხელმძღვანელობას (გიგა გელაშვილი, ლონგი ჭელიძე) დაავალა ერთი დღის ვადაში წარმოედგინა მაშველთა კორპუსის კუთვნილი ყველა სახეობის იარაღისა და ტექნიკის განლაგების აღგილმდებარეობის, ხოლო 10 მაისამდე - არსებული შეიარაღების ნუსხა, რის შემდეგაც უნდა დაწყებულიყო თავდაცვის სამინისტროსთვის ამ იარაღის ჩაბარების პროცესი.

მხედრიონმა მთელი საქართველო შეაწუხა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა კახეთი. „ჩვენ არა მხედრიონის, არამედ დამნაშავეების წინააღმდეგი ვართ. საწარმოთა უმრავლესობა მათი რეკეტის გამო პრაქტიკულად გაჩერებულია. გასამეტებელი ქართველები არა გვყავს, მაგრამ ახლა უკვე სხვაგვარი მოქმედებაა საჭირო. უნდა მოვიშოროთ ის ხალხი, ვინც ხელს უშლის ელემენტარული წესისა და რიგის აღდგენას",[273] - აცხადებდა კახეთში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე მედეა მეგვრიშვილი.

დამნაშავეთა სამყაროს აულაგმაემა თარეშმა დღის წესრიგში მთელი სიმწვავით დააყენა სახელმწიფოს მხრივ გადამწყვეტი და გაბედული მოქმედების აუცილებლობა. შსს-მ უართომასშტაბიანი ანტიკრიმინალური ღონისძიებების შემდეგი რაუნდი კახეთში განახორციელა. კარგად ორგანიზებულმა ამ ოპერაციამ სერიოზული დარტყმა მიაყენა კრიმინალურ სამყაროს. ამოღებული იქნა დიდძალი იარაღი, ხელყუმბარები, ნაღმტყორცნები, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარები, „ალაზნის" ტიპის რაკეტები, გატაცებული მანქანები, ჩამორთმელ იქნა ერთი ჯავშანტრასპორტიორი...

ამის მიუხედავად, ქვეყანაში კრიმინოგენული ვითარება რთული რჩებოდა. „საქართველო ფორმიანმა ყაჩაღებმა მოთხარეს. ფორმიანი ნაძირალები საქართველოს ტრაგედიად იქ-

---

[273] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 4 მაისი, 1995;

ცნენ!"[274] - ითქვა შსს-ში 15 მაისს მწერლებთან, საზოგადო მოღვაწეებთან, ჟურნალისტებთან, პოლიტიკოსებთან გამართულ შეხვედრაზე. „ფორმიანებში" კი - არა მხოლოდ მხედრიონი, არამედ გვარდია და პოლიციაც იგულისხმებოდა. საქართველოს პოლიციაში ამ დროს უკვე 50 ათასი კარგად აღჭურვილი კაცი ირიცხებოდა. ეს საკმარისი ძალა იყო ქვეყანაში სახელმწიფოებრივი წერიგის დამყარებისთვის. მაგრამ საქმეს ხელს უშლიდა პოლიციის რიგებში ღრმად ფესვგადგმული კორუფცია და პოლიციელთა ნაწილის დაბალი პროფესიონალიზმი. არცთუ იშვიათად ამ უწყებაში ადგილი ჰქონდა პატიოსანი მოქალაქეების წინააღმდეგ საქმეების ფალსიფიცირების, პატიმართა წამების ფაქტებს და სხვ. სწორედ ამის გამო მოსახლეობა არ ენდობოდა პოლიციას. 1994 წლის 9 სექტემბერს შსს-ს შენობაში დაიღუპა საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი დემურ დვალიშვილი. შსს-ს მიერ ოფიციალურად გავრცელებული ვერსიისმიხედვით დემური დვალიშვილმა თავი მოიკლა. მოსახლეობა უნდობლად ეკიდებოდა მსგავს განცხადებებს. ამიტომაც შსს-ს მინისტრს, შოთა კვირაიას ბრძოლა ორ ფრონტზე - ერთი მხრივ კრიმინალური ბანდების, მეორე მხრივ კი საკუთრივ თავის უწყებაში მოკალათებული დამნაშავეების წინააღმდეგ უხდებოდა.

1995 წლის იელისში ყვარლის რაიონში მუხანათურად ჩაცხრილეს ოთხი მძინარე პოლიციელი. 20 იელისს ვერაგულად მოკლეს შევარდნაძის ფონდის პრეზიდენტი სოლიკო ხაბეიშვილი. ამით მკვლელებმა დიდი დარტყმა მიაყენეს სახელმწოფოს მეთაურს, რადგან მოკლეს არა მხოლოდ მისი მრავალი წლის უერთგულესი მეგობარი და თანამებრძოლი, არამედ ფართო საერთაშორისო კავშირების მქონე უაღრესად განათლებული, აქტიური და უკომპრომისო პიროვნება. შემზარავი და ცინიკური იყო ხაბეიშვილის მკვლელობის მოტივი: ეს იყო ტერორისტების მიერ დაგეგმილი ორსვლიანი კომბინაცია. მკვლელები ვარაუდობდნენ, რომ შევარდნაძე აუცილებლად მივიდოდა მეგობრის დაკრძალვაზე. ამიტომ მათ ლიფტში დაამონტაჟეს ნაღმი დისტანციური მართვით, რომელსაც ლიფტში შევარდნაძის შესვლისას აამოქმედებებდნენ. სახელმწიფოს მეთაური ამჯერადაც შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს, მან, უბრალოდ, ლიფტით არ

[274] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 18 მაისი, 1995;

ისარგებლა. მსედრიონი კიდევ რამდენჯერმე შეეცადა შევარდნაძის მოკვლას, მაგრამ უშედეგოდ.

მკვლელობის შემკვეთი უშიშროების სამსახურის უფროსი იგორ გიორგაძე იყო. ტერორისტული აქტის განხორციელებას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ მისი მოადგილე თემურ ხაჩიშვილი და მაშველთა კორპუსის თავმჯდომარე გიგა გელაშვილი.

21 აგვისტოს თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა მსედრიონის შეკრება, რომელზეც ჯაბა იოსელიანმა განაცხადა, რომ მისმა ჩამოყვანილმა შევარდნაძემ ვერ გაამართლა. შევარდნაძე „პარტიული ნომენკლატურის პიროენებაა და მას არ შეუძლია დემოკრატიული რეფორმების განხორციელება“, მხედრიონი მზად არის ნებისმიერ ძალას, მათ შორის პანტელეიმონ გიორგაძის კომუნისტებსაც კი შეეკრას შევარდნაძის წინააღმდეგო, - აღნიშნა მან.

ყველაფერი მიანიშნებდა, რომ დაპირისპირება სახელმწიფოს მეთაურსა და მხედრიონის ლიდერს შორის კულმინაციას მიუახლოვდა.

§ 6.2 ურთიერთობა რუსეთთან. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დიპლომატიური მცდელობები

1994 წლის იანვარში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგებისთვის გაეროს ეგიდით, რუსეთის ხელშეწყობით და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის, აგრეთვე გაეროს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისრის წარმომადგენლის მონაწილეობით შეიქმნა ჟენევის ფორმატი. მოლაპარაკებებზე საქართველოს წარმომადგენლის პოსტზე პრეტენზია ჯაბა იოსელიანმა განაცხადა. ქართულ საზოგადოებაში ამას მითქმა-მოთქმა მოჰყვა. „სად ჯაბა და სად მოლაპარაკება?“ - კითხულობდნენ მოქალაქეები. საზოგადოებაში გაჩენილ ამ ლეგიტიმურ კითხვას მაშინვე გამოეხმაურა ჯაბა იოსელიანი. „მე ერთ-ერთი პირველი შევედი აფხაზეთში და უკანასკნელმა დავტოვე იგი. მაშ, ვინ - თუ არა მე?“- იკითხა მან. არადა, საქმე ხომ წაგებულ ომს ეხებოდა. რა იყო აქ საგრაბახო? ესეც არ იყოს, ომში მხედართმთავრული ნიჭი

და სიმამაცე ფასობს, ქენევაში კი დიპლომატიური ნიჭი და უნარი იყო საჭირო, რისი არც ცოდნა და არც გამოცდილება იოსელიანს არ გააჩნდა. ამის მიუხედავად ის დაჟინებით მოითხოვდა ქენევის მოლაპარაკებებზე ქართულ დელეგაციისთვის სწორედ მას ეხელმძღვანელა. სამწუხაროდ, ასეთი იყო შემთხვევის განგებით ხელისუფლების უმაღლეს ეშელონში მოხვედრილი ამ პიროვნების პოლიტიკური კულტურის დონე.

ასე იყო თუ ისე, ქენევის მოლაპარაკებებზე ქართული დელეგაციის ხელმძღვანელად ჯაბა იოსელიანი დაინიშნა.

უკვე მოლაპარაკების მეორე რაუნდში (1994 წლის 11-13 იანვარი), ქართულმა და აფხაზურმა მხარეებმა გააკეთეს განცხადება კონფლიქტის ზონაში გაეროს ძალების განლაგების შესახებ. იქვე დაზუსტდა, რომ მხარეებს „სურთ ასეთი ძალების შემადგენლობაში გამოიყენონ რუსეთის სამხედრო კონტინგენტი".[275]

3 თებერვალს თბილისში ჩამოვიდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ბორის ელცინი. მხარეებმა გააფორმეს ხელშეკრულება ორ ქვეყანას შორის „მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ". ეს იყო ყოვლისმომცველი ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში 25 დოკუმენტი იქნა ხელმოწერილი.

თითქოს, მოელენები საჭირო მიმართულებით ვითარდებოდა, მაგრამ უკვე 7-8 თებერვალს აფხაზთა დაახლოებით ათას კაციანი შეიარაღებული რაზმი გალის რაიონში თავს დაესხა ქართულ სოფლებს. აფხაზებმა გადაწვეს 800-დე სახლი, გალიდან კვლავ გამოიდევნა რამდენიმე ათასი მცხოვრები.

შევარდნაძემ აფხაზეთში ქართველთა გენოციდის შეწყვეტის მოთხოვნით რუსეთის პრეზიდენტს მიმართა. ამის შემდეგ ელცინი და შევარდნაძე ერთობლივად მიმართავენ გაეროს გენერალურ მდივანს და აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებისთვის ამ საერთაშოროსო ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომის მოწვევას და საკითხის „არსებით და სასწრაფო" გადაწყვეტას მოითხოვენ.

ამ დროისთვის გაეროს მთავარ დონორებს - შეერთებულ შტატებს და რუსეთს ამ ორგანიზაციის ორი მილიარდი ვალი ჰქონდათ. 1994 წლის 2 მაისს ნორვეგიის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში გაეროს გენერალური მდივანი ბუტროს გალი

---

[275] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 25 იანვარი, 1994 წ;

აღნიშნავდა: „საერთაშორისო საზოგადოება უკვე დაიღალა და სულ უფრო და უფრო ნაკლებ ინტერესს ავლენს პლანეტის სხვადასხვა რეგიონში მშვიდობის დასაცავად ჯარების გაგზავნისადმი. გაეროს ყურადღებას იმსახურებს სამოქალაქო ომი ავღანეთში, რომლის მსვლელობაშიც ათობით ათასი ადამიანი მოკლეს. სისხლისმღვრელი ომი რუანდაში, შეიარაღებული კონფლიქტები ყოფილი საბჭოთა კავშირის რიგ რესპუბლიკებში, მაგრამ გაეროს ძალისხმევას ამ რეგიონებში ვითარების ნორმალიზაციის მიზნით წარმატება არ მოჰყვა. გაეროს სამშვიდობო ძალები გასაგზავნი გვყავს საქართველოში, ტაჯიკეთში, აუცილებელია გაეროს ყოფნა მთიან ყარაბაღში, მაგრამ საერთაშორისო საზოგადოება არ არის იმისთვის განწყობილი, რომ ფული ხარჯოს ამ და სხვა კონფლიქტების მოსაგვარებლად.“[276] ამ დროს გაერო ყველაზე ფართომასშტაბიან ოპერაციას ახორციელებდა ყოფილი იუგოსლავიას ტერიტორიაზე, სადაც ცისფერჩაფხუტიანთა რაოდენობა 50 ათას კაცს აღწევდა.

აი, ასეთ ვითარებაში რუსეთი უშიშროების საბჭოში შედის წინადადებით დსთ-ის ძალებისთვის რეგიონული სამშვიდობო ძალების სტატუსის მინიჭების შესახებ. აფხაზეთში ამ ძალების განლაგება რუსეთმა გაეროს ანაზღაურების გარეშე შესთავაზა. მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში მყოფი ბუტროს გალი ამას სიხარულით დათანხმდა. აფხაზეთში კი დსთ-ის ძალების ნაცვლად მხოლოდ რუსეთის ჯარები განლაგდნენ. დსთ-ის 14 აპრილის სხდომაზე გადაწყდა, რომ სამშვიდობო ძალები „კონფლიქტის ზონაში“ განლაგდებიან. ამის შემდეგ რუსეთმა ადვილად მოახერხა „კონფლიქტის ზონის“ „ბუფერულ ზონად“ გადაკეთება.

ახლა მოდით, მთლიანობაში გავიაზროთ ეს მოვლენები. აშკარაა, რომ: ჟენევის მოლაპარაკებებზე კონფლიქტის ზონაში გაეროს სამშვიდობო ჯარების განლაგებაზე აფხაზი სეპარატისტების უეცარი თანხმობა, ელცინის ვიზიტი თბილისში და საქართველოსადმი კეთილგანწყობის საჯარო დემონსტრირება, რამდენიმე დღეში კი აფხაზების მიერ გალის რაიონის მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკება, აქედან გამომდინარე, ქართული მსარის შეშფოთება და რუსეთის პრეზიდენტის დაუყოვნებლივი

[276]. იხ. სოსო ცინცაძე, „სამშვიდობო ძალები“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 21 მაისი, 1994 წ;

„მხარდაჭერა“, მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში მყოფი გაეროსთვის თავისი სამსახურის უსასყიდლოდ შეთავაზება... ყველაფერი ეს რუსი დიპლომატების ტეინში მოხარშული ერთი მთლიანი გეგმის ურთიერთდაკავშირებული რგოლებია.

გამოდიოდა, რომ მგელმა ფარეხი ჩაიბარა!

დიახ, რუსეთმა მთლიანად და ბოლომდე მიაღწია თავის მიზანს: მან ჯერ შეიარაღებულ დაპირისპირებაში აუხაზი სეპარატისტების, ჩრდილოკავკასიელი მოხალისეების, კაზაკების ხელით დაამარცხა საქართველო, შემდეგ მოხერხებული დიპლომატიით მიაღწია იმას, რომ მშვიდობისმყოფლიის მანტია მოერგო და ასე შეეყვანა თავისი ჯარები აუხაზეთში. ახლა მას შეეძლო უკვე საესებით ლეგიტიმურად, გაეროს ეგიდით გაეგრძელებინა საქართველოსთვის მისი ძირძველი კუთხის - აუხაზეთის ჩამოცილების მუხანათური გეგმის პრაქტიკულ რეალიზაცია.

საერთაშორისო ურთიერთობებში პატიოსანმა თამაშმა მიმაჩვია, რომ სელმოწერილი ხელშეკრულება უნდა შესრულდეს, მით უფრო, თუ მას დიდი სახელმწიფოს პირველი პირი აწერს ხელს... ახლაც მიჭირს ვიფიქრო, რომ ელცინი მატყუებდაო, - იტყვის მოგვიანებით შევარდნაძე. არადა, ზნეობაზე დაფუძნებული პოლიტიკა დასაელეთის სახელმწიფოების პოლიტიკურ ხელმძღვანელებთან ამართლებდა, ისიც მეტნაკლებად და არა ყოველთვის. რუს პოლიტიკოსებთან თამაშის იმავე წესების გამოყენება წინასწარვე წარუმატებლობისთვის იყო განწირული. არცერთი მეტნაკლებად სერიოზული პოლიტიკოსი თავის პოლიტიკაში არ ეჯრდნობა მხოლოდ ზნეობრივ პოსტულატებს. შევარდნაძე დიდი პრაქტიკული გამოცდილების პოლიტიკოსი იყო, მაგრამ მას პოლიტოლოგიური მომზადება აკლდა. სხვა შემთხვევაში აუცილებლად ეცოდინებოდა, რომ პირწმინდად ეთიკური კრიტერიუმებით ნასაზრდოები პოლიტიკა სხვა არაფერია, თუ არა უსაგნო და უშინაარსო, სინამდვილისგან მოწყვეტილი და განყენებული პოეზია (მაკიაველი). დიდი იტალიელი პოლიტიკოსი და პოლიტოლოგი პირდაპირ ურჩევდა იტალიელ მთავრებს, რომ მათ „დროდადრო დაევიწყებინათ სიკეთე“, რომ ადამიანებისთვის ჩაენერგათ „შიში და არა სიყვარული“. „უნდა გეახსოვდეს, რომ არსებობს ბრძოლის ორი სახე: ერთია ბრძოლა კანონების, ხოლო მეორე - ძალის მეშვეობით. პირველი ნიშნეულია ადამიანებისთვის, მეორე კი მხეცებისთვის. მაგრამ რაკი ხშირად პირველი არასაკმარისია, ძალაუნებურად უნდა მივმართოთ მეორეს. ამიტომ მთავრისთვის

აუცილებელია, რომ თანაბარი წარმატებით იბრძოდეს როგორც კაცი და როგორც მხეცი. სწორედ ამნაირი, თუმცა შეუარვით გამოთქმული შეგონებით მიმართავდნენ მთავრებს ძველი მწერლები, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ აქილევსს და ძველი დროის ბევრ სხვა მთავარსაც აღსაზრდელად აბარებდნენ კენტავრ ქირონს, რათა მისი მეთვალყურეობით დავაჟკაცებულიყვნენ. ამ ნახევრად მხეცისა და ნახევრად კაცის ზედამხედველობას აქ მხოლოდ ის აზრი აქვს, რომ მთავარი უნდა ითვისებდეს და ისისხლხორცებდეს ორივე ბუნებას და რომ ერთი მეორის გარეშე უღირსია. ამრიგად, თუ მთავარი იძულებული იქნება იბრძოდეს როგორც მხეცი, ცხოველთა მთელი სიმრავლიდან ლომსა და მელას უნდა ირჩევდეს, ვინაიდან ლომს არ შეუძლია თავი დაიცვას გველისგან, მელას - მგლებისგან. მაშასადამე, მელა უნდა იყო, რომ შენიშნო გველი და ლომი, რომ დაიფრინო მგლები. იმას, ვინც ლომობას იჩემებს, ბევრი რამ არ ესმის,"[277] - წერდა მაკიაველი თავის „მთავარში."

ტყუილად როდი ჩაჰკირკიტებდა გამუდმებით ამ წიგნს სტალინი. გულდასმით სწავლობდა მაკიაველის „მთავარს" ნაპოლეონ ბონაპარტეც. შეიძლება ვინმემ გააპროტესტოს: ეს წიგნი სახელმძღვანელოა მხოლოდ ტოტალიტარული რეჟიმების ლიდერებისთვის და არა დემოკრატიული სახელმწიფოების მოღვაწეებისთვისო. მაგრამ „მთავარში" გაკეთებული დასკვნა, რომ სახელმწიფოს რეალური საყრდენი მოქალაქეთა პოლიტიკური ინტერესების ერთობაა, განვითარების საშუალებას სწორედ დემოკრატიულ ინსტიტუტებს აძლევს. მე-20 საუკუნის ამერიკელი პოლიტოლოგის ჰანს მორგენთაუს აზრით, ზნეობრივ და პოლიტიკურ წესებს შორის გარდაუვალი უთანხმოება არსებობს. ამიტომაც პოლიტიკურ მოღვაწეობაში ზნეობრივი წინააღმდეგობების დაძლევის ერთადერთი გზა ეროვნული ინტერესების ნაკლები ბოროტების პრინციპთან შეხამებაა. პოლიტიკოსი, რომელიც ივიწყებს ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას და თავის მოღვაწეობაში არა ეროვნული ინტერესებით, არამედ სიკეთისადმი ერთგულების განყენებული პრინციპით ხელმძღვანელობს, განწირულია წარუმატებლობისთვის.

---

277 „მესაჭალი თანამედროვე აზროვნებაში", წიგნი 1, თბ. 2007, გვ. 2013-2014;

საქართველოს მიმართ რუსეთის თვალთმაქცურ პოლიტიკას პრესის ფურცლებზე აანალიზებდა პოლიტოლოგი სოსო ცინცაძეც. „... რუსეთმა ოთხჯერ მოგვატყუა და ვითომ მეხუთედ არ მოგვატყუებს? რატომ უნდა ვენდოთ? ჩვენს სინამდვილეში ეს კითხვა სავსებით ბუნებრივია, იმ პატარა დეტალის გათვალისწინებით, რომ პროფესიონალი არ დაუსვამს პროფესიონალს ასეთ კითხვას, თუნდაც იმიტომ, რომ ნამდვილ პოლიტიკაში „ნდობა-მოტყუების“ ფაქტორი არ არსებობს. აქ არის ინტერესთა დამთხვევა ან წინააღმდეგობა. პირველი მოტყუების შემდეგ (ეს აფხაზეთის მოვლენებამდე მოხდა) ჩვენში რომ ვინმეს პროფესიულ დონეზე გაეაზრებინა „მოტყუების“, სინამდვილეში კი ინტერესთა დაპირისპირების მიზეზები, ხოლო ხელისუფლებას ანალიზის შედეგები გაეთვალისწინებინა, ამდენჯერ „მოტყუებულნი“ არ დავრჩებოდით.“[278]- წერდა ის.

1994 წლის 1 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება დსთ-ს წესდებასთან მიერთების შესახებ. 10 მარტს შევარდნაძე ოფიციალური ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებს, შემდეგ კი კანადას ეწვია. საქართველოს პრეზიდენტი ორივე ქვეყანაში დიდი პატივით იქნა მიღებული. საქართველომ მისთვის ესოდენ საჭირო სასურსათო და ფინანსური დახმარება მიიღო. ცივილიზებულ მსოფლიოს ახსოვდა შევარდნაძის ღვაწლი ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებაში.

4 აპრილს მოსკოვში გამართულ ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებზე ხელი მოეწერა შეთანხმებას ლტოლვილებისა და აღგილნაცვალ პირთა დაბრუნების თაობაზე, აგრეთვე, დეკლარაციას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ. მოსკოვის შეთანხმებებს მელანი არ შეშრობოდათ, რომ 6-7 აპრილს აფხაზმა სეპარატისტებმა განაახლეს საბრძოლო მოქმედებები კოდორის ხეობაში. ყოველი სამშვიდობო ნაბიჯის შემდეგ ეს ტრადიციაიდქცეული გართულებები ნათლად წარმოაჩენდნენ აფხაზი სეპარატისტების ჭეშმარიტ სახეს.

14 მაისს ქენევის მოლაპარაკებებზე ქართული და აფხაზური დელეგაციების ხელმძღვანელებმა იოსელიანმა და ჯინჯოლიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტისა და

---

278 სოსო ცინცაძე, „...ჩვენ მარტო შენი და ნატოს ეშხი დაგვიფარაედა...“, გამ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 3 აგვისტო, 1994 წ;

ძალთა დაშორიშორების შესახებ. შეთანხმების მე-7 პუნქტი ითვალისწინებდა: „მხარეები დამოუკიდელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოების 1994 წლის 15 აპრილის განცახდების საფუძველზე სთხოვენ საბჭოს მიიღოს გადაწყვეტილება ქართულ-აფსაზური კონფლიქტის ზონაში კოლექტიური სამშვიდობო ძალების გამოყენების შესახებ"[279] გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მოწონებული სამშვიდობო ღონისძიებები ითვალისწინებდა დსთ-ს ჯარების შეყვანას კონფლიქტის ზონაში. ივნისის დამდეგს თბილისში ჩამოსული დსთ-ს აღმასრულებელი მდივანი აცხადებდა, რომ „სამშვიდობო ჯარების შემადგენლობაში შევლენ ასეულები, ანდა ბატალიონი თითქმის ყველა დამოუკიდებელი სახელმწიფოს დროშებით".[280]

აფხაზეთში რუსი სამშვიდობოების განლაგების გადაწყვეტილებამ კიდევ ერთხელ დაარღვია ქართველთა ისედაც მყიფე ერთობა. 4 მაისს მოსკოვის სასტუმრო „სლავიანსკაიაში" საქართველოს პარლამენტის დეპუტატებმა თენგიზ სიგუამ და თენგიზ კიტოვანმა გამართეს პრესკონფერენცია, სადაც საქართველოს ხელმძღვანელობა მათ, ერთი მხრივ, დასაელეთთან და რუსეთთან ორმაგი თამაშის კურსის გატარებაში, მეორე მხრივ კი საგარეოპოლიტიკური ორიენტირების განუსაზღვრელობაში დაადანაშაულეს. დეპუტატების ბრალდებებს სახელმწიფოს მეთაურის პრესმდივანი გამოეხმაურა. „რომ არაფერი ითქვას იმაზე, რომ ეს...ერთმანეთის გამომრიცხავი დებულებებია, საქართველოს ხელისუფლების მიმართ ორმაგი თამაშის ბრალდების წამოყენება მართებული არ არის. საქართველოს ხელისუფლებამ იმთავითვე განაცხადა, რომ განახორციელებს ღია და გაცხადებულ პოლიტიკას ყველა ქვეყანასთან ეს კურსი დაუპირისპირდა თვითიზოლიაციის წინა ხელისუფლების მიერ გატარებულ პოლიტიკას, რისთვისაც სიგუა თავის დროზე დაუპირისპირდა ამ ხელისუფლებას,"[281] - ნათქვამი იყო განცხადებაში.

10 ივნისს თბილისში რუსეთის თავდაცვის მინისტრი პავლე გრაჩოვი ჩამოვიდა. სახელმწიფოს მეთაურთან შეხვედრაზე განიხილეს აფხაზეთში სამშვიდობო ჯარების შეყვანის მექანიზმებისა

---

[279] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 17 მაისი, 1994 წ;

[280] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 3 ივნისი, 1994 წ;

[281] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა," 7 მაისი, 1994 წ;

და ვადების საკითხი, შეეხნენ საქართველოში რუსული სამხედრო ბაზების ყოუნის ვადებისა და პირობების თემასაც. გრაჩოვის განცხადებით, აფხაზეთში შესაყვანად უკვე მზად იყო სამი მოტომსროლელი ბატალიონი (ლენინგრადის, ვოლგისპირეთისა და ურალის), რომლებსაც სამი დღის ვადაში გადაეყვანდნენ კონფლიქტის ზონაში. სამშვიდობოების მანდატი მიენიჭებოდა გუდაუთაში განლაგებულ 345-ე საპარაშუტო-სადესანტო პოლკსაც.[282] ასე შეიცვალა დსთ-ს სამშვიდობო ძალები რუსული ძალებით.

15 ივნისს პარლამენტის საგანგებო სხდომაზე შემოიჭრა ბორის კაკუბავას მხარდამჭერი ლტოლვილთა ჯგუფი. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. კაკუბავას მომხრენი რუსი სამშვიდობოების შემოყვანაზე უარის თქმას მოითხოვდნენ.[283] რუსეთის სამშვიდობო მისია პარლამენტის სხდომაზე გააპროტესტეს „რესპუბლიკური“ პარტიის წარმომადგენლებმაც. რესპუბლიკელების აზრით, რუსეთის ნდობა არ შეიძლებოდა. ამიტომ ამ ეტაპზე საქართველოს პრორუსული კურსის ალტერნატივა შეიძლებოდა გამხდარიყო აზერბაიჯან-საქართველო-თურქეთის ალიანსი. ერთი შეხედვით, კავკასიის რეგიონზე თავისი გაელენის გაერცელებით დაინტერესებულ თურქეთთან და რუსეთზე სამართლიანად განაწყენებულ აზერბაიჯანთან საქართველოს ურთიერთობები პერსპექტიულად გამოიყურებოდა. აზარბაიჯანის ნავთობს მსოფლიო ბაზარზე გასვლა მხოლოდ ბათუმის მეშვეობით შეეძლო, რაც თავისთავად განაპირობებდა ამ კავშირით აზერბაიჯანის დაინტერესებას. თურქეთს და აზერბაიჯანს შეეძლოთ საქართველოს მრეწველობის მომარაგება თითქმის ყველა საჭირო ნედლეულით და ა. შ. მაგრამ ამ გეგმის პრაქტიკული რეალიზაცია მხოლოდ რუსეთის მიერ კავკასიური სივრცის კონტროლზე ხელის აღების პირობებში იყო შესაძლებელი.

ეს კი გამორიცხული იყო.

რუსული ორბიტიდან გადახვევის მცდელობის შემთხვევაში მოვლენები ორი სცენარით შეიძლება განვითარებულიყო. ან რუსეთი, მის ხელთ ჯერ კიდევ არსებული უამრავი ბერკეტის მეშვეობით გატესდა საქართველოს წინააღმდეგობას და ეს უკანასკნელი, სრულიად დაუძლურებული და გაპარტახებული, კელავ

---

[282] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა,“ 11ივნისი, 1994 წ;

[283] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა,“ 16 ივნისი, 1994 წ;

მიადგებოდა კარზე თავის ჩრდილოელ მეზობელს, ან საქართველო უზარმაზარი მსხვერპლის, ტერიტორიების დაკარგვის, ეკონომიკური სიღუხჭირის ფასად შეძლებდა თავის სუვერენიტეტის დაცვას. თუმცა, ეს პიროსის გამარჯვება იქნებოდა.

რესპუბლიკელები, რადიკალური არასაპარლამენტო ოპოზიცია, დასავლური ორიენტაციის მომხრე სხვა ძალები მეორე ვარიანტისკენ უბიძგებდნენ ქვეყანას, ხელისუფლება პირველი ვარიანტისკენ იხრებოდა, თუმცა, შევარდნაძე რუსულ და დასავლურ ინტერესებს შორის ბალანსის მონახვასაც ცდილობდა. სახელისუფლებო ბანაკში პრორუსული ორიენტაციით განსაკუთრებით გამოირჩეოდა პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე. ჯერ კიდევ 1994 წლის იანვარში ის მიმართავდა პარლამენტის წევრებს: „პირდაპირ ვიტყვი: რუსეთზე უფრო საიმედო ძმას ჩვენ ვერ ვიპოვით. მე მოგიწოდებთ რუსეთს დაველაპარაკოთ ისე, როგორც მას ელაპარაკებოდა დიდი ილია ჭავჭავაძე... რუსეთმა ერთხელ ჩვენ გადაგვარჩინა - ნაკუწ-ნაკუწად ქცეული ქვეყანა გაგვაერთიანებინა. თუ ამას არ აღიარებთ, გაგახსენებთ - უმადური არც კაცი ვარგა და არც სალხი უყვარს ღმერთს... მირჩევნია მე დავუჩოქო რუსეთს, ვიდრე ჩემი სალხი ვნახო დაჩოქილი.“[284]

ამ დროისთვის რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა კეთილგანწყობას ქართველი სალხის მიმართ. 1994 წლის იანვარში რუსეთის შემოქმედებითი ინტელიგენციის ასამდე წარმომადგენელმა, მათ შორის: ნ. კრიმოვამ, ო. ტაბაკოვმა, მ. ზახაროვმა, ო. ეფრემოვმა და სხვებმა წერილით მიმართეს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს: „რუსეთის პრესა, რადიო და ტელევიზია მთელ მსოფლიოს აწვდის დამახინჯებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რა ხდება აფხაზეთში. ქვეყნდება მასალები, თითქოს უკანონოდ შეეყვანოს საქართველოს ჯარები რკინიგზის დაცვის მოგონილი საბაბით, განიხილავდნენ საქართველოს კანონზომიერებას აფხაზეთის გამოსარჩლება-მისაკუთრების შესახებ. მაგრამ არავის არსად სიტყვაც არ დასცდენია იმ გენოციდის თაობაზე, რასაც არძინბას ხელმძღვანელობით ახორციელებდნენ აფხაზეთში... ქართველ მშვიდობიან მოსახლეობას მასობრივად ანადგურებდნენ. აბუჩად იგდებდნენ

---

284 ვახტანგ გოგუაძის მიმართვა პარლამენტის წევრებს, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 11 იანვარი, 1994;

მხეცურად წამებით დახოცილ აღამიანთა გვამებს... გაგრაში თვითმხილველთა ჩვენებით ერთ დღეს დახვრიტეს 700 ქართველი, რომელთა გვამები ღორებს ათქვლეფინეს. სოხუმში მოსპეს 20 ათასი ქართველი. გენოციდის ფაქტების მრავალი ცოცხალი მოწმეა. გვაქვს მათი გვარი, სახელი და მისამართი, მათი ჩვენებები დაფიქსირებულია",[285] - ნათქვამი იყო მიმართვაში.

დიახ, რუსეთის ინტელიგენციის მოწინავე, მნეობრივი ნაწილი აპროტესტებდა, რუსი პოლიტიკოსები კი დინჯად, აუჩქარებლად განაგრძობდნენ თავის საქმეს.

16 ივნისს გუდაუთაში ჩამოსვლა იწყეს რუსეთის სამშვიდობო ძალების ნაწილებმა. იმავე დღეს გაეროს უშიშროების საბჭომ დაადგინა, რომ აფხაზეთში 88 მეთვალყურე გააგზავნოს. სამშვიდობოების შესვლის შემდეგ აფსაზებმა კოდორის ხეობაში სამხედრო მოქმედებები შეწყვიტეს. 2 სექტემბერს ქენევაში ხელი მოეწერა განცხადებას „ლტოლვილთა და აღგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების საკითხის გამო". ქართული და აფხაზური მხარეები აცხადებდნენ, რომ მონაწილეობას მიიღებენ სოჭის ოთხმრივი შეთანხმების 1994 წლის 16 სექტემბერს დანიშნულ სხდომაში და ყოველ ღონეს იხმარენ, „ლტოლვილთა და აღგილნაცვალ პირთა დაბრუნებისთვის საჭირო დოკუმენტაციის რაც შეიძლება მოკლე დროში მომზადებისთვის"[286] 16 სექტემბერს გრაჩოვის შუამდგომლობით შევარდნაძე შეხვდა აფხაზურ მხარეს. აფხაზებმა კვლავ დაადასტურეს თავიანთი მზადყოფნა ლტოლვილთა დაბრუნების პროცესის გააქტიურების საქმეში. სამი დღის შემდეგ, 19 სექტემბერს, სოჭში გაიმართა შევარდნაძისა და ელცინის შეხვედრა. რუსეთის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მხარს უჭერს ლტოლვილთა რაც შეიძლება მალე დაბრუნებას.

აი, ყოველივე ამის შემდეგ კი, 2 დეკემბერს, აფხაზმა სეპარატისტებმა აფხაზეთის ახალი კონსტიტუცია მიიღეს, რომლის ძალითაც აფხაზეთი სუვერენულ რესპუბლიკად და საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ცხადდებოდა. სოხუმში ჩავიდა რუსე-

---

285 . ღია წერილი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს მოსკოვის ინტელიგენციისაგან, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 11 იანვარი, 1994 წ;

286 . გაზ. საქართველოს რესპუბლიკა", 7 სექტემბერი, 1994;

თის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სერგეი ბაბურინი, რომელმაც განაცხადა, რომ „აფხაზეთი რუსეთის ძირძველი მიწა-წყალია“.[287]

ცხადი გახდა, რომ აფხაზი სეპარატისტები და რუსეთის ხელმძღვანელობა მოლაპარაკებებზე მხოლოდ თვალთმაქცობდნენ. ლტოლვილთა დაბრუნების გეგმა ჩაიშალა.

1996 წლის 17 იანვარს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების რატიფიკაცია. 19 იანვარს მოსკოვში, დსთ-ს სახელმწიფო მეთაურთა თათბირზე შევარდნაძე შესვდა ელცინს. ხელი მოეწერა გადაწყვეტილებას „აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“. მოსკოვში ხელმოწერილმა დოკუმენტმა კვლავ ააღორძინა აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარების იმედი. მარტის დასაწყისში თბილისში ჩამოვიდა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია მინისტრ პავლე გრაჩოვის ხელმძღვანელობით. ხელმოწერილი დოკუმენტის თანახმად აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალებს დსთ-ს სხვა სახელმწიფოთა ძალებიც უნდა შეერთებოდნენ. 5 აპრილს არძინბამ გააკეთა განცხადება, რომ მზად აქვს პროექტი საქართველოსა და აფხაზეთს შორის ფედერაციული კავშირის შესახებ. აღმოჩნდა, რომ საქმე ესებოდა ორი თანასწორუფლებიანი სუბიექტის კონფედერაციულ კავშირს, რაც ქართული მხარისთვის მიუღებელი იყო.

16 მაისს მოსკოვში, რუსეთის ფედერაციის, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის და ჩრდილო ოსეთიის - ალანიის შუამდგომლობით გამართულ შეხვედრაზე საქართველომ და ე. წ. სამხრეთ ოსეთმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს ქართულ-ოსური კონფლიქტის მონაწილე მხარეთა შორის უშიშროების უზრუნველყოფისა და ურთიერთნდობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ. დოკუმენტის თანახმად მხარეები უარს აცხადებდნენ ძალის გამოყენებასა და ძალის გამოყენების მუქარაზე. მე-3 პუნქტის ძალით „მხარეები განახორციელებენ ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად დაბარალებულ ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა პრობლემის ღირსეული გადაჭრის უზრუნველყოფის რეალურ ღონისძიებებს.“

---

[287] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 6 დეკემბერი, 1994;

რუსულ გაზეთ „სეგოდნია“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში პოლიტოლოგი ვლადისლავ შოხოვი აანალიზებდა სამხრეთ კავკასიაში რუსეთის პოლიტიკას და დაასკვნიდა, რომ ეს პოლიტიკა კონტრპროდუქტიულია და დროა რუსეთმა მიდგომები შეცვალოს. „ვერც იმპერიალიზმმა და ვერც ექსპანსიონიზმმა ვერ დაიცვეს რუსეთის ინტერესები ამიერკავკასიაში. აქ რუსეთის ეროვნული ინტერესების პრიორიტეტს წარმოადგენს არა დაპირისპირება, არამედ დემოკრატიულ სომხეთთან, საქართველოსა და აზერბაიჯანთან ორმხრივი ურთიერთობების გათანასწორება და ჰარმონიზაცია.“ - წერდა ის. ავტორის აზრით, რუსეთი თანდათან უნდა გადავიდეს რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური მიდგომიდან სოციალურ-ეკონომიკურ მიდგომაზე. საქართველოში ჯერ კიდევ სწამთ, რომ რუსეთის ხელისუფლება მართლაც დაინტერესებულია მისი კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებით, მაგრამ მას ხელს უშლიან ქვეყნის შიგნით არსებული მემარჯვენე ექსტრემისტული ძალები და ვიდრე ეს რწმენა არ დაკარგულა, რუსეთმა ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგასო. რუსეთის უშიშროების საბჭოს ახლად დანიშნული მდივანი ალექსანდრე ლებედი აცხადებდა: „მე პროფესიონალი ჯარისკაცი ვარ, რომელმაც კარგად იცის, თუ რა არის ომი, რომელმაც საკმარისად იომა და უკვე პროფესიულად ეზიზღება იგი. ყველაფერს ვიღონებ, რათა რუსულ მიწაზე სისხლი აღარ დაიღვაროს“.

რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ რუსეთის ისთებლიშმენტში გამოფხიზლება დაიწყო.

3 ივლისს რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში კვლავ ბორის ელცინმა გაიმარჯვა.

27 აგვისტოს ვლადიკავკაზში რუსეთის ფედერაციისა და ჩრდილო ოსეთის შუამავლობით გაიმართა შევარდნაძისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ლუდვიგ ჩიბიროვის შეხვედრა. ერთობლივ განცხადებაში მხარეები კიდევ ერთხელ აღასტურებდნენ უშიშროების უზრუნველყოფისა და ქართულ-ოსური კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთნდობის განმტკიცების მოსკოვის 1996 წლის 16 მაისს მემორანდუმის სულისკვეთების ერთგულებას.

საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში რუსი სამშვიდობოებისა და რუსეთის სამხედრო ბაზების მიმართ განსხვავებული, ურთიერთგამომრიცხავი დამოკიდებულება არსებობდა. თუ სახელისუფლებო გუნდი თელიდა, რომ „რეალურად იქმნება აფხაზეთის

დაბრუნების წინაპირობა“ (ქვანია), ოპოზიცია მიიჩნევდა, რომ რუსეთის შუამდგომლობით აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებასთან ხელმოწერილი დოკუმენტები მხოლოდ დროის გაჭიანურებას ისახავდა მიზნად. აღნიშნული საკითხისადმი ოპოზიციის ასეთ მკვეთრად ნეგატიურ დამოკიდებულებას რეალური საფუძველი გააჩნდა. საქმე ის იყო, რომ არძინბას განზრახული ჰქონდა ჩაეტარებინა აფხაზეთში არჩევნები. ეს ნიშნავდა, რომ არჩევნები ჩატარდებოდა ტერიტორიაზე, სადაც მკვიდრი მოსახლეობის მხოლოდ 30 პროცენტი ცხოვრობდა. ანუ ეს იყო ცდა დაეკანონებინათ ქართველთა და სხვა მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდის შედეგები. გამოდიოდა, რომ რუსეთს თავის მიერ ნაკისრი ვალდებულებების თუნდაც ელემენტარული მინიმუმის შესრულების ან ძალა არ შეწევდა, ან სურვილი არ ჰქონდა. ასეთივე მკვეთრად უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გაფართოებულმა სესიამ 1996 წლის ოქტომბერში, რომელმაც მიღებულ დადგენილებაში ჩაწერა, რომ „უპერსპექტივო და ყოვლად გაუმართლებელი ხდება კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების არსებული შინაარსითა და ფორმით ყოფნა.“ და რომ ისინი ფაქტობრივად „საქართველოსა და მის განუყოფელ ნაწილს - აფხაზეთს შორის საზღვარს აფიქსირებენ და აფხაზი სეპარატისტების ტერორისტულ რეჟიმს იცავენ“. დადგენილება საქართველოს ხელისუფლებისგან რუსი სამშვიდობოების კონფლიქტის ზონიდან გაყვანის საკითხის დაუყოვნებლივ დაყენებას მოითხოვდა.

რატომ არ აყენებდა საქართველოს ხელისუფლება რუსი სამშვიდობოების გაყვანის საკითხს? ორი მიზეზის გამო: 1. ჯერ კიდევ იყო რწმენა, რომ რუსეთის ხელისუფლებას, პირველ რიგში, მის პრეზიდენტს, მართლაც სურდა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტა, მაგრამ ამ საქმეში ხელს საკუთარი მემარჯვენე ექსტრემისტული ძალები უშლიდნენ; 2. ქართული მხარის ასეთ მუქარას რუსული მხარე პასუხობდა: კი ბატონო, ჩვენ გავალთ, მაგრამ მოსალოდნელ შედეგებზე პასუხისმგებლობა თქვენ აიღეთო. ეს კი ნიშნავდა, რომ რუსეთი მოიხსნიდა პასუხისმგებლობას, მაგრამ თავის ჯარს არ გაიყვანდა. აფხაზები კი გააჩაღებდნენ ახალ ომს, რომელიც საქართველოს კიდევ უფრო ძვირი დაუჯდებოდა.

ვენაში გამართულმა ეუთოს მუდმივმოქმედი საბჭოს სხდომამ დაგმო არჩევნების ჩატარების შესახებ აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილება. 14 ნოემბერს ევროპარლამენტმა სპეციალური რეზოლუციით უკანონოდ გამოაცხადა აფხაზი სეპარატისტების მიერ დანიშნულ არჩევნები. „აფხაზეთში არჩევნების ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოგვარების კონტექსტში მოლაპარაკების გზით, აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის შემდეგ და ყველა ლტოლვილისა და გადაადგილებული პირის არჩევნებში სრული მონაწილეობის გარანტიების შემთხვევაში“, - ნათქვამი იყო რეზოლუციაში. საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ კი სპეციალური ბრძანებულება გამოსცა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან დევნილი და ლტოლვილი ამომრჩეველების საერთოსახალხო გამოკითხვის - პლებისციტის დანიშვნისა და ჩატარების შესახებ“. ბრძანებულების თანახმად 23 ნოემბერს, აფხაზეთში დანიშნული არჩევნების დღეს, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უნდა გამართულიყო დევნილი და ლტოლვილი მოსახლეობის პლებისციტი. ამომრჩეველს პასუხი უნდა გაეცა კითხვისთვის: „მსარს უჭერთ თუ არა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში სეპარატისტული რეჟიმის მიერ დანიშნული საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე და აფხაზეთში დევნილთა და ლტოლვილთა დაბრუნებამდე.“

8 ნოემბერს თბილისში ჩამოფრინდა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ბორის ბერეზოვსკი. საქართველოს პრეზიდენტთან კონფიდენციალურ საუბარში მან აღიარა, რომ რუსეთმა საქართველოსთან მიმართებაში ბევრი „სისულელე“ ჩაიდინა. მისი თქმით, რუსეთი მზად იყო რადიკალურად გამოესწორებინა სიტუაცია.

23 ნოემბრის პლებისციტი დიდი აღმავლობით ჩატარდა. მასში მონაწილეობის უფლების მქონე 239 451 აღამიანიდან მონაწილეობა მიიღო 225 352 კაცმა. აფხაზეთში არჩევნების მოწყობას მხარი დაუჭირა მხოლოდ 82 კაცმა, წინააღმდეგი იყო 224 925.

1997 წლის 28 მარტს მოსკოვში გამართულმა დსთ-ს ქვეყნების მეთაურების საბჭოს სამიტმა მიიღო ქართული მხარის წინადადება აფხაზეთში უშიშროების ზონის გაფართოების შესახებ. სამიტმა ერთსულოვნად დაგმო აფხაზური მხარის დესტრუქციული პოზიცია. ელცინმა განაცხადა, რომ სამიტის გადაწყვეტილე-

ბები აუცილებლად უნდა შესრულდეს. ამან აფხაზური მხარე გააღიზიანა. აფხაზეთის პარლამენტის სპიკერის სოკრატ ჯინჯოლიას თქმით, „თუ ცალმხრივად შეიცვლება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების მანდატი, მაშინ მათი ყოუნა აფსაზეთში შეუძლებელი გახდება“ ამის შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადაწყვიტა ტაიმ-აუტი აეღო და გაეანალიზებინა რუსეთის სამშვიდობო ძალების მიმართ სოხუმში გაკეთებული განცხადებების შედეგად შექმნილი სიტუაცია. მან არძინბასთან დაგეგმილი შეხვედრა გადადო და მოსკოვიდან გერმანიაში კერძო ვიზიტით გამგზავრებისთვის ვიზის სათხოვნელად მისულ აფხაზ ლიდერს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსკენ მიუთითა. „მოუცლელობის“ მიზეზით რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სპიკერმა გენადი სელეზნიოვმა აფხაზეთის პროკურორს ანრი ჯერგენიას მიღებაზე უარი უთხრა. სოჭში მყოფმა ელცინმაც მასთან შეხვედრაზე მისული არძინბა უარით გაისტუმრა.

თითქოს, მოვლენები სწორი მიმართულებით ვითარდებოდა მაგრამ იყო სხვა, საპირისპირო მიმართულებაც: 3 აპრილს აფხაზეთის ოფიციალური დელეგაცია კრასნოდარში ჩავიდა და მხარის ხელმძღვანელობასთან ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობაზე შეთანხმდა, რუსეთის საზღვაო ფლოტის ხელმძღვანელობამ სეპარატისტულ რეჟიმს სამხედრო ტექნიკისა და აღჭურვილობის დიდი პარტია გადასცა, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბირომ კი ქვეყნის პრეზიდენტს აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმისთვის ეკონომიკური სანქციების მოხსნის თხოვნით მიმართა.

ცხადი გახდა, რომ რუსეთი ამჯერადაც ორმაგ თამაშს ეწეოდა და ქართულ მხარეს კიდევ ერთხელ თვალებში ნაცარს აყრიდა.

27 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტარების წინაშე გამოსვლისას აფხაზეთიდან რუსული შეიარაღებული ძალების პირველი აგვისტოდან ეტაპობრივი გაყვანის საკითხი დააყენა.

30 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში დსთ-ს ეგიდით მყოფი რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების შემდგომი ყოფნის თაობაზე.“ დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ არ შეინიშნება რაიმე პროგრესი დევნილებისა და ლტოლვილების აფხაზეთში დაბ-

რუნების, აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენის საკითხებში. „სამშვიდობო ძალები ფაქტობრივად, სასაზღვრო ჯარების ფუნქციებს ასრულებენ, რაც, არსებითად, მხარს უჭერს და აძლიერებს სეპარატისტულ რეჟიმს, რომელიც ამ მხარდაჭერის იმედით თავს არიდებს სამშვიდობო მოლაპარაკებებს და არ თანხმდება ლტოლვილთა ეტაპობრივ დაბრუნებაზე რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საბჭოს მიმართვა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტისადმი აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმისთვის ეკონომიკური სანქციების მოხსნის თაობაზე, აშკარად მეტყველებს, რომ რუსეთის პოლიტიკურ ძალებს არ სურთ აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგება რუსეთის ფედერაციის მიერ პოლიტიკური შეწოლის განხორციელებით. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სეპარატისტული რეჟიმის მიმართ ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციები კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო მოლაპარაკებებზე სეპარატისტთა დაყოლიების უკანასკნელი მშვიდობიანი ფორმაა, ასეთი პოზიცია საეჭვოს ხდის მთლიანად სამშვიდობო პროცესის პერსპექტივას," - აღნიშნული იყო საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში.

ამაღე დადგენილებით ქართველი პარლამენტარები რუსეთისგან საქართველოს წილი შეიარაღების, მათ შორის შავი ზღვის ფლოტის წილის გადმოცემასაც მოითხოვდნენ.

საქართველოს ხელისუფლების მტკიცე ტონმა რუსეთი აიძულა კვლავ გაეაქტიურებინა დიპლომატია. 1 ივლისს თბილისში ბერეზოვსკი ჩამოფრინდა, შევარდნაძესთან საუბრის შემდეგ იგი სოხუმში გაფრინდა, საიდანაც 3 ივლისს ისევ თბილისში დაბრუნდა და განაცხადა, რომ აფხაზეთში კარგად ესმით ლტოლვილთა დაბრუნების აუცილებლობა. ივლისის შუა რიცხვებში საქართველოს პრეზიდენტი ოფიციალური ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავიდა. შევარდნაძე შეხვდა აშშ-ს პრეზიდენტს ბილ კლინტონს, გაეროს გენერალურ მდივანს კოფი ანანს. 17 ივლისს ის სიტყვით გამოვიდა სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევით ცენტრში, სადაც კიდევ ერთხელ გააკეთრა თავისი ინიციატივა „მშვიდობიანი კავკასიისთვის".

ვიზიტი უაღრესად ნაყოფიერი გამოდგა. მან დასაბამი მისცა საქართველოსა და აშშ-ს შორის თანამშრომლობის თვისობრივად ახალ ეტაპს.

1 აგვისტოს გაეროს უშიშროების საბჭომ აფხაზეთის შესახებ მორიგი რეზოლუცია მიიღო, რომელშიც კიდევ ერთხელ და-

დასტურდა გაეროს ერთგულება საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. თავის გამოსვლაში რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ აპირებს მოსკოვში მიიწვიოს შევარდნაძე და არძინბა. „თუ შეძელით და ასეთ ოქმს ან ხელშეკრულებას ხელი მოაწერეთ, მაშინვე ვუახლოვდებით ჩვენი ჯარების გაყვანის საკითხს“. მან ისიც თქვა, რომ რუსეთი არ აპირებს თავისი მშვიდობისმყოფელები მრავალი წლის განმავლობაში დატოვოს გამმიჯნავ ხაზზე, „საკითხის გადაწყვეტის მიზანი კი უნდა იყოს საქართველო, როგორც მთლიანი, ერთიანი სახელმწიფო“.

ვაშინგტონიდან დაბრუნების შემდეგ შევარდნაძის პოზიცია რუსი სამშვიდობოების მიმართ მკვეთრად უარყოფითიდან ოდნავ შერბილდა. „ჩვენ არ შევეწინააღმდეგებით, თუ რუსები წავლენ“, - განაცხადა მან.

რუსი სამშვიდობოებისთვის მანდატის გაგრძელების თაობაზე იმსჯელა საქართველოს უშიშროების საბჭომაც. გადაწყდა, რომ საქართველოდან არ გაიგზავნება თხოვნა მანდატის გაგრძელების თაობაზე. დაე, ეს საკითხი დსთ-ს უმაღლესი ღონის სამიტმა გადაწყვიტოს, - ითქვა სხდომაზე. საუბარი შეეხო რუსი სამშვიდობოების საერთაშორისო ძალებით ჩანაცვლების საკითხსაც. აღინიშნა, რომ ამ პრობლემის გადაჭრა მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული.

11 აგვისტოს შევარდნაძე ტელეფონით ესაუბრა ელცინს და პრიმაკოვს. 12-13 აგვისტოს სოჭში პრიმაკოვი და ვაჟა ლორთქიფანიძე მსჯელობდნენ აფხაზეთის პრობლემაზე. 14 აგვისტოს პრიმაკოვი თბილისში აფხაზურ დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა. დელეგაციას არძინბა ედგა სათავეში. მისი ჩამოსვლა დაგეგმილი არ ყოფილა, ეს პრიმაკოვმა მოახერხა. შევარდნაძე ცალცალკე ესაუბრა არძინბას და პრიმაკოვს. 9 საათიანი დაძაბული მოლაპარაკების შემდეგ შევარდნაძემ და არძინბამ მოკლე განცხადებები გააკეთეს. არძინბას აზრით, ეს შეხვედრა საჭირო იყო იმისთვისაც, რომ გაჩნდა ღრმა რწმენა, რომ „ადრე თუ გვიან ჩვენ აუცილებლად მოვძებნით ყველა პრობლემის გასაღებს, მათ შორის, ომისგან დაზარალებული ადამიანებისთვის ნორმალური ცხოვრების აღდგენისა და მათ საკუთარ სახლებში დაბრუნების შესაძლებლობას.“

შევარდნაძემ მიღწეულ შეთანხმებებს „საეტაპო“ უწოდა.

ერთობლივ განცხადებაში აღინიშნა, რომ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა მთელ რიგ საკვანძო პრობლემებზე. ამავე დროს, ზოგიერთი საკითხის გარშემო დღემდე არსებობს აზრთა არსებითი სხვადასხვაობა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ „აუცილებელია მუდმივი კონტაქტები იქონიონ კონფლიქტით წარმოშობილი პრობლემების გადაჭრის მიზნით.“

ახლაც, ამ მოვლენებიდან ოც წელზე მეტი ხნის შემდეგაც, ძალზე ჭირს ერთმნიშვნელოვნად ვამტკიცოთ, თუ რით ხელმძღვანელობდა რუსეთის პრეზიდენტი თავისი ინიციატივის წამოყენებისას. იყო ეს კონფლიქტის მოგვარების გულწრფელი სურვილი თუ ეს იყო მორიგი მანევრი სამშვიდობო ძალების გაყვანის ქართულ მუქარაზე.

იმ დროს განვითარებული მოვლენების საერთო კონტექსტში ელცინის ინიციატივა, მართლაც, მანევრად მოჩანს. თუმცა, საქართველოსთან ურთიერთობების დალაგების აუცილებლობას რუსეთს მსოფლიოში შექმნილი საერთო ვითარებაც კარნახობდა. მე-20 საუკუნის ბოლოს საერთაშორისო ასპარეზზე არნახულად გაიზარდა შეერთებული შტატების გაელენა. მოსკოვს არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია ამ ფაქტორისთვის. მეორე მხრივ, საქართველოს ხელისუფლებამ, ქართულმა დიპლომატიამ შეძლო შედარებით მოკლე დროში არა მხოლოდ გამოეყვანა ქვეყანა საერთაშორისო იზოლაციიდან, არამედ ცივილიზებული მსოფლიოს თვალში სტაბილური და მზარდი ავტორიტეტიც მოეპოვებინა.

ამ გარემოებებმა კრემლი ალტერნატივის წინაშე დააყენა: მას ან ერთხელ და სამუდამოდ უნდა ეთქვა უარი თავის კავკასიურ ინტერესებზე, ან ხელი აეღო სეპარატისტთა მხარდაჭერაზე და ამ გზით შეენარჩუნებინა თავისი გავლენა რეგიონში. ჩეჩნეთში განცდილი მარცხი, სომხეთის მხრიდან საყვედურის ტონის გაჩენა და სხვა ამბებიც რუსეთს კომპრომისზე წასვლას კარნახობდნენ.

უნდა ითქვას, რომ კომპრომისისკენ იხრებოდა ელცინი და არა რუსული პოლიტიკური და, მით უმეტეს, სამხედრო ისთებლიშმენტი. რუსეთის ლოთ პრეზიდენტს უჭირდა ამ ძალების გაკონტროლება. ელცინი იძულებული იყო ძალზე ხშირად დაეთმო რევანშისტულად განწყობილი ძალებისთვის.

არძინბასთან ხელმოწერილი დოკუმენტი ოპოზიციის მხრივ მწვავე კრიტიკის ობიექტი გახდა. დევნილი მოსახლეობის ნაწილი არა მხოლოდ დოკუმენტს, თვით არძინბას თბილისში

ჩამოსვლის ფაქტსაც აპროტესტებდა. ბორის კაკუბავამ განაცხადა, რომ ამ დოკუმენტზე ხელმოწერით „შევარდნაძემ აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა“. გერმანე ფაცაცია თვლიდა, რომ „რუსეთი შევარდნაძის ხელით აკეთებს ამ ტერიტორიის იურიდიულ გაფორმებას.“ ნოდარ ნათაძემ მოითხოვა, რომ პარლამენტი გამიჯნოდა პრეზიდენტის მოქმედებებს და მიეცა მათთვის „საქართველოს წინააღმდეგ უცხო ქვეყნის - რუსეთის ინტერესებით მართული ზემოქმედების“ კვალიფიკაცია. მისი აზრით, დაუყოვნებლივ უნდა დაწყებულიყო პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა და დანიშნულიყო პარლამენტის ახალი არჩევნები. პროტესტის ნიშნად სრული შემადგენლობით თავისი გადადგომის შესახებ განაცხადა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამაც.

საესებით მართებულად წერდა მაშინ პოლიტოლოგი ჯიმი ჯალიაშვილი: „მას შემდეგ, რაც პოლიტიკა ჩვენში ჩვეულებრივ პროუესიად დამკვიდრდა, კიდევ უფრო აშკარა შეიქმნა შესაბამისი განათლების საჭიროებაო“ იქვე ჯალიაშვილი შევარდნაძეარძინბას შეხვედრის ფაქტსაც აძლევდა შეფასებას: „შევარდნაძემ თბილისში არძინბას მიღებით გადადგა ქვეყნისა და მისი მოსახლეობის ინტერესების შესატყვისი ნაბიჯი, საკუთარი პირადი თავმოყვარეობის შელახვის ფასად.“

ასეთი ენთუზიაზმით დაწყებული ქართულ-აფხაზური დიალოგი კი კვლავ მიინავლა. საქმე სიტყვებს იქით არც ამჯერად წასულა. საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური 1997 წლის 25 ოქტომბერს იძულებული იყო განეცხადებინა, რომ „რუსეთმა და თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოებმა ვერ უზრუნველყვეს მოსკოვის 1997 წლის მარტის სამიტის გადაწყვეტილებათა შესრულება აფხაზეთის კონფლიქტის თაობაზე ... 28 მარტის რეზოლუცია ითვალისწინებდა ლტოლვილთა დაბრუნების დაწყებას, მაგრამ ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულა.“

ოქტომბრის ბოლოს, დსთ-ს ქვეყნების კიშინიოვის სამიტზე, შევარდნაძემ განაცხადა, რომ „რუსეთის ფედერაციისა და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიცია ამ საკითხში (ქართულ-აფხაზური კონფლიქტი) საქართველოსთვის კატეგორიულად მიუღებელია.“ შესვენებაზე მასთან მივიდნენ ევგენი პრიმაკოვი და ბორის პასტუხოვი. პრიმაკოვმა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიციის ახსნა დაიწყო. შევარდნაძემ იუეთქა: „თქვენ უკვე ხუთი წელიწადია ერთსა და იმავეს იმეო-

რებთ, სულ გვატყუებთ, ყველაფერი რაც მოხდა, მოხდა თქვენი გამოისობით". ახლა უკვე პრიმაკოვი გაწიწმატდა: ეს რა, ოფიციალური ბრალდებაა?" - იკითხა მან გამომწვევად. „დიახ, როგორც გენებოთ, ისე გაიგეთ!"- მიუგო შევარდნაძემ.

შემდეგ შევარდნაძემ რამდენიმე „ტკბილი" სიტყვა პასტუხოვსაც უთხრა. პრიმაკოვი კი კვლავ შეეცადა თავის მართლებას: ჩვენ ხომ თბილისში ჩამოგიყვანეთ არძინბა, ჩვენ ხომ ვცდილობთ ..." შევარდნაძემ მოკლედ უპასუხა: „თქვენ ისე გიჭირავთ თავი, თითქოს რაღაცას აკეთებთ. სინამდვილეში თქვენ დროს აჭიანურებთ, თქვენ არა ხართ ამ პრობლემის გადამჭრელები, და არც გინდათ გადაჭრათ იგი."

ეს დაპირისპირება სხდომაზეც გაგრძელდა. ელცინის მოხსენების შემდეგ შესვენება გამოცხადდა, მაგრამ შევარდნაძემ სიტყვა ითხოვა: მან თქვა, რომ საქართველო სთავაზობს აფხაზეთის პრობლემის ახლებურ გადაწყვეტას. ეს გულისხმობს თავდაპირველად ქართველ ლტოლვილთა დაბრუნებას აფხაზეთის გალის რაიონში, შემდეგ კი აფხაზეთის საწინაღმდეგო ეკონომიკური სანქციების გაუქმებას.

ელცინი შევარდნაძეს დაეთანხმა. სიტყვა პრიმაკოვმა აიღო და განაცხადა, რომ აფხაზური მხარე ამას არ დათანხმდებოდა. აფხაზეთი სამართლიანად ითხოვს, რომ ლტოლვილთა დაბრუნება და სანქციების მოხსნა ერთდროულად მოხდესო. შევარდნაძე კატეგორიულად არ დაეთანხმა, პრიმაკოვი კი თავისას იმეორებდა. მაშინ პრიმაკოვს ძალზე უხეშად გააწყვეტინა სიტყვა ელცინმა. „ეს ჩემი და შევარდნაძის საქმეა და საკითხს ჩვენ თვითონ მოვუვლით", - თქვა მან და საუბარი დამთავრდა.

რუსულ გაზეთ „კომერსანტში" ჟურნალისტის მიერ აღწერილი დიპლომატიური დისკუსიის ეს ერთი ეპიზოდი ნათლად მოწმობს, თუ რა ნერვების წყვეტად უჯდებოდა ქართულ მხარეს თითოეული, თუნდაც სულ უმნიშვნელო წარმატების მიღწევა.

14 ნოემბერს ჯაჯაში ერთმანეთს შეხვდნენ ედუარდ შევარდნაძე და ლუდვიგ ჩიბიროვი. მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ 1996 წლის 16 მაისს ქართულ-ოსურ კონფლიქტში უშიშროების უზრუნველყოფისა და ურთიერთნდობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ მოსკოვის მემორანდუმის ხელმოწერისა და 1996 წლის აგვისტოში ელადიკავკაზის შეხვედრის შემდეგ განვლილ ერთ წელიწადში გრძელდებოდა პოზიტიური ძვრები ურთიერთნდობის განმტკიცებისა და პოლიტიკური ვითარების

გაუმჯობესებაში. ამას ხელი შეუწყო 1997 წლის 4-5 მარტს მოსკოვში გამართულმა საქართველოს და სამხრეთ ოსეთის მხარეთა პირველმა შეხვედრამაც, აგრეთვე, შერეული საკონტროლო კომისიის მორიგმა მეშვიდე და მერვე სხდომებმა.

ერთობლივ განცხადებაში მხარეები გამოთქვამდნენ მზადყოფნას, განუხრელად შეასრულონ უკვე მიღწეული შეთანხმებები და გადადგან ახალი ნაბიჯები კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების გზაზე.

ამასთან, ოსური მხარე საქმეს ისე წარმოადგენდა, რომ კონფლიქტის გაჩაღებაში დამნაშავე მხოლოდ ქართველები იყვნენ. ოსი პოლიტიკოსები კვლავ ამტკიცებდნენ, რომ სწორედ ქართველები დაესხნენ თავს სრულიად „უდანაშაულო, მშვიდობიან“ ოსებს. გაზ. „იუჟნაია ოსეტიას“ რედაქტორი ანატოლი ქაჟიეევი „საქართველოს რესპუბლიკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ამბობდა: „საქართველოდან გამოსვლაზე ლაპარაკიც არ იყო, თვით საქართველოს ხელისუფლებამ გაგვაუქმა“.

ეს საკუთარი დანაშაულის სხვაზე გადაბრალების ურცხვი და უნიჭო ცდა იყო. რა უფრო აღრე მოხდა - ოსების მიერ „სამხრეთ ოსეთის რეპუბლიკის“ გამოცხადება, თუ ქართული მილიციის ნაწილების შეყვანა ცხინვალში? და რას ნიშნავდა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკად გამოცხადება, თუ არა საქართველოდან გამოყოფის მცდელობას? რესპუბლიკის გამოცხადებით ოსებმა ხომ ოლქი თვითონვე გააუქმეს (ერთდროულად ოლქიც და რესპუბლიკაც ხომ ვერ იარსებებდა?), ქართულმა მხარემ კი ოსების გადაწყვეტილება მის ამ ნაწილში - გაუქმების ნაწილში საკანონმდებლო წესით დაადასტურა. კონსტიტუციური სივრციდან პირველად ოსები გავიდნენ და არა ქართველები. მათ თვით საბჭოთა კონსტიტუციის სრული უგულვებელყოფით გამოაცხადეს რესპუბლიკის შექმნა, ავტონომიურ წარმონაქმნს, მით უმეტეს ოლქს, ამ კონსტიტუციის ძალით, საკუთარი სტატუსის შეცვლის უფლება არ ჰქონდა. ქართულმა მხარემ კი ცხინვალის რეგიონში სწორედ კონსტიტუციური წესრიგის აღდგენისთვის შეიყვანა შინაგანი ჯარისა და მილიციის ქვეგანაყოფები, რისი სრული უფლება მას არა მხოლოდ საერთაშორისო კანონმდებლობით, არამედ საბჭოთა კონსტიტუციითაც ჰქონდა. კონსტიტუციური სივრციდან არ გასულა ქართული მხარე არც მაშინ, როდესაც საქართველოს უზენაესმა საბჭომ სამხრეთ ოსეთის ოლქის გაუქმება გამოაცხადა. ეს ოლქი 1922 წელს უზენაესი საბჭოს

გადაწყვეტილებით შეიქმნა და მისი გაუქმების უფლებაც ისევ მას ჰქონდა. ოსები მიზეზს და შედეგს ადგილს უცვლიდნენ და ამ იაფფასიანი ხერხით ქართული მხარის დადანაშაულებას ცდილობდნენ. სამწუხაროდ, ასეთი ხერხი ამართლებდა. მოვინისტური და ანტიქართული პროპაგანდით მოწამლული ცხინვალის რეგიონის ოსური მოსახლეობა მსგავსი პროპაგანდის გავლენის ქვეშ ადვილად ექცეოდა.

1997 წლის 6 ნოემბერს ვენაში გაიმართა ევროპის უშიშროების ორგანიზაციის მუდმივი საბჭოს მორიგი სხდომა, რომელმაც განიხილა საქართველოში ეუთოს მისიის მეთაურის მიხაილ ლიბალის ანგარიში. ლიბალმა აღნიშნა, რომ გარკვეული პროგრესია მიღწეული ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის დარეგულირებუის საქმეში, თუმცა აფხაზეთში პროგრესი არ შეინიშნება. შედეგი არ მოპყოლია არც არძინბას მოულოდნელ სტუმრობას თბილისიო, - თქვა მან.

საქართველოს დელეგაციამ ამასთან დაკავშირებით გაავრცელა სპეციალური განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ აფხაზეთში სამშვიდობო ძალების განლაგების შემდეგ მოკლულია 1200 სამოქალაქო პირი, სისტემური ხასიათი აქვს ადამიანის უფლებების დარღვევას.

აფხაზეთის წინააღმდეგ დსთ-ს სამიტის მიერ გამოცხადებული ეკონომიკური სანქციების მოქმედების პირობებში რუსეთის უედერაციის მთავრობამ საქართველოს მიმართ მორიგი მტრული ნაბიჯი გადადგა: 1997 წლის 26 დეკემბერს მან მოულოდნელად მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის რუსეთის საბღვარზე გატარების შესახებ. საქართველოს პრეზიდენტმა დაუყოვნებლივ მისცა შეფასება რუსეთის მთავრობის ამ ნაბიჯს. დსთ-ს სახელმწიფოს მეთაურთა 1997 წლის გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი დაუშვებლად მიიჩნევს „ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ორგანიზებული დაბრუნების პროცესის შემდგომ გაჭიანურებას, დაჟინებით მოითხოვს დაიწყოს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ორგანიზებული დაბრუნება, უწინარეს ყოვლისა, გალის რაიონში“. ამ გადაწყვეტილების თანახმად, გალის რაიონში ლტოლვილთა დაბრუნება არის საბაჟო და სასაზღვრო რეჟიმების ნორმალიზაციის პროცესის დაწყების აუცილებელი პირობა. ამის გარეშე პროცესის დაწყება კი გადაწყვეტილების უხეში დარღვევა, - განაცხადა შევარდნაძემ.

აღნიშნულ ფაქტზე საქართველოს პრეზიდენტის მწვავე რეაქციას გამოეხმაურენ რუსეთის მთავრობის მეთაური ვიქტორ ჩერნომირდინი და ფედერაციის სახელმწიფო დუმა, რომლებმაც მას „დაუსაბუთებული“ და „ემოციებით ნაკარნახევი“ უწოდეს.

საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის მიერ ამავე საკითხზე მიღებულ განცხადებაში ნათქვამი იყო: „რუსეთის მთავრობას საქართველოს მთავრობასთან წინასწარი თანხმობის გარეშე უფლება არ ჰქონდა მიეღო აღნიშნული დადგენილება, ვინაიდან იგი ეხება საქართველოს ტერიტორიის ნაწილს და არღვევს აფხაზეთის მონაკვეთზე საქართველო-რუსეთის საზღვრის რეჟიმს, რომელიც კრძალავს ყველა სახის საერთაშორისო გადაზიდვებს, ხოლო ჰუმანიტარული ტვირთების გადაზიდვებს ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის სპეციალური ერთჯერადი ნებართვის საფუძველზე სამწუხაროა, რომ საქართველოს მსრივ გადადგმულ არცერთ ნაბიჯს, მიმართულს საქართველოსა და რუსეთს შორის კონსტრუქციული, კეთილმეზობლური და პარტნიორული თანამშრომლობისკენ, რუსეთის საკანონმდებლო ხელისუფლების მხრივ პრაქტიკულად არანაირი პოზიტიური რეაქცია არ მოჰყოლია. მაგალითისთვის საკმარისია თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოსა და რუსეთს შორის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების რატიფიცირებისა, რუსეთის სახელმწიფო დუმა დღემდე შეგნებულად აჭიანურებს ამ საკითხის გაწყვეტას“.

როგორც ეხედავთ, ქართული პოზიცია ყოველმხრივ დასაბუთებული და სამართლიანია. ამის მიუხედავად რუსეთი, კრილოვის მგელივით, თავისას არ იშლიდა.

1998 წლის მაისში (19-26) ქართულმა მხარემ სცადა პარტიზანული ძალებით გალის გათავისუფლება. მოგვიანებით ქართველი პარტიზანები და სამხედროები საუბრობდნენ ფარულ გარიგებაზე რუსეთის არმიის ოფიცრებთან, რომლებიც, თითქოს, დიდი ფულის სანაცვლოდ არ უნდა ჩარეულიყვნენ კონფლიქტში. ამ წამოწყებას თავიდანვე ავანტიურის სუნი ასდიოდა და ის ასევე დამთავრდა კიდეც. საქართველოს რეგულარული ჯარი პარტიზანებს ვერ დაეხმარა. გალი კიდევ ერთხელ დაიკარგა. აფხაზებმა გადაწვეს ორიათასამდე სახლი, ბრძოლაში დაიღუპა 190 პარტიზანი და მშვიდობიანი მცხოვრები, გალიდან დევნილთა რაოდენობამ 50 ათასი კაცი შეადგინა.

1999 წლის 27 აპრილს ევროპის საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი საქართველოს გაწევრიანებას ამ ავტორიტეტულ ორგანიზაციაში. სწორედ მაშინ წარმოსთქვა ზურაბ ჟვანიამ თავისი ცნობილი სიტყვები: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი!“

1999 წლის 31 ოქტომბრისთვის საქართველოში საპარლამენტო, ხოლო 2000 წლის 9 აპრილისთვის პრეზიდენტის არჩევნები დაინიშნა. რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები რეგულარულად მიმართავდნენ ინსინუაციებს, მრუდე სარკეში წარმოადგენდნენ ქართულ სინამდვილეს. „იზვესტია“ და „კომსომოლსკაია პრავდა“ წერდნენ საქართველოში არსებულ რუსოფობიაზე და ამის დასტურად ასახელებდნენ შემთხვევას, თითქოს, თბილისში მცხოვრებ რუსს, რომელიც სკოლაში რუსულს ასწავლიდა, იმის გამო, რომ სამსახური დაკარგა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაესრულებინოს (ეს სიცრუე მალე თვით რუსებმა უარყვეს). ქართველ ხალხში კი რუსოფობიამ რუსეთის 2008 წლის ურცხვი აგრესიის შემდეგაც კი ვერ მოიკიდა ფეხი. აფხაზებისა და ოსების მიერ ქართველებისადმი გამომჟღავნებული უმადურობის მიუხედავად, ქართველ კაცში ვერც აფხაზისა და ოსის სიძულვილმა იხარა. ეს არც გულუბყერილობით მოგვდის და არც უჭკუობით. მუხთლობასაც კარგად ვხედავთ და ისიც ნათლად გვაქვს გაცნობიერებული, თუ რა ძვირად გვიჯდება ეს ჩვენი მღვარსგადასული შემწყნარებლობა. და მაინც, ცუდს უფრო ადვილად ვივიწყებთ, ვიდრე კარგს. ქართველ კაცს მგრობა და სიძულვილი სიამეს ვერ გვრის. ვერაგობას ადვილად პატიობს, სიკეთე კი ნაღრძობივით ახსოვს და სამაგიერო მადლის მიგების ნიჭი ჭიასავით ღრღნის... ეს ჩვენს გენეტიკურ კოდში ჩადებული თვისებაა. ანტიქართული გამოხდომებით ცნობილ რუს დეპუტატს, სერგეი ბაბურინს ნიკო ჭავჭავაძემ ერთ საჯარო შეკრებაზე ასეთი კითხვა დაუსვა: საქართველოში ბევრი რუსი ცხოვრობს. საინტერესოა, როგორი ინფორმაცია გაქვთ, განიცდიან თუ არა ისინი დისკრიმინაციას?“ ბაბურინი მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ თითქმის დამარცვლით თქვა: „საქართველო არის ერთადერთი ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკა, საიდანაც ჩემთან არ მოდიან და არც მწერენ რუსები საჩივრებს ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობაზე. ეს მაძლევს საფუძ-

ველს დავასკვნა, რომ თქვენს ქვეყანაში რუსი უმცირესობის მდგომარეობა სრულიად დამაკმაყოფილებელია."[288]

რუსული მედია განსაკუთრებით ესხმოდა თავს ედუარდ შევარდნაძეს. რუსეთის ინტელიგენცია, რუსი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები ცდილობდნენ თავიანთი ხმა მიეწვდინათ რუსეთის ხელისუფლებისთვის, მოუწოდებდნენ მას გონიერებისკენ. 1999 წლის მარტის დასაწყისში გაზეთ „ნოვაია იზვესტიაში" ბელა ახმადულინას, ოლეგ ბასილაშვილის, იური იაკოვლევის, მარკ ზახაროვის, კირილ ლავროვის, იური ლუბიმოვის, ალისა ფრეინდლიხის, არმენ ჯიგარხანიანის და სხვათა ხელმოწერით გამოქვეყნდა ერცელი წერილი, რომელშიც ავტორები გამოხატავდნენ ღრმა შეშფოთებას ქართულ-რუსულ ურთიერთობებში არსებული ვითარების გამო. „ჩვენი კონტაქტები ისტორიაში იმდენად ხანგრძლივი და ნაყოფიერია, რომ ანდრია ბიკოვის სხარტი შეღარებით თუ ვისარგებლებთ, ქართული კულტურიდან ბევრი რამ რუსული მენტალიტეტის ნაწილად იქცა. განა ეს არ არის დასტური ორი ერის სიახლოვისა, რომლებსაც მართლმადიდებლობის საერთო ფესვები ასაზრდოებს?

ჩვენ არ შევეხებით რუსეთის პოლიტიკას კავკასიაში, თუმცა, აშკარაა, რომ ბევრი რამ იქ გამოწვეულია ჩვენი პოლიტიკის არათანმიმდევრულობით. ჩვენ ურთხილად შეეხებით რუსეთის ზოგიერთი მასობრივი საშუალების აქტიურობას, რასაც საქართველოში პრეზიდენტის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით იჩენენ.

მოსკოვის პრესა და ტელევიზია საეჭვო რეგულარულობით აქვეყნებს ერცელ „ქართულ ბლოკებს", რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია ედუარდ შევრდნაძის „მხილებას".

ჩვენ არ გვაქვს არანაირი განზრახვა შევლახოთ სიტყვის თავისუფლება, ანდა, გამოვესარჩლოთ ამ სახელმწიფო მოღვაწეს, რომელიც არ არის ერთგვაროვანი, ისევე, როგორც ყველა სხვა პოლიტიკოსი, მაგრამ საზოგადოებას აქვს მოთხოვნილება და უფლება, ჰქონდეს ობიექტური ინფორმაცია. ამიტომ, ჩვენ ვთხოვდით გაზეთებისა და ტელეარხების ხელმძღვანელებს მისცენ ხოლმე სიტყვა არა მარტო ნაკლებად ცნობილ ჟურნალისტებსა და სუკ-ის ძებნილ თანამშრომლებს, არამედ ქართული

---

[288] თემურ მირიანაშვილი, „საქართველო-რუსეთი: სასიკეთო შემობრუნების დასაწყისი?" გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 24 მაისი, 1994;

კულტურის იმ წარმომადგენლებსაც, რომელთა ავტორიტეტი მაღალია, ხოლო წნეობრივი პოზიცია - უმწიკვლო. ასეთები იყვნენ მერაბ მამარდაშვილი, თენგიზ აბულაძე, სერგო ფარაჯანოვი. სიტყვამ მოიტანა და პირველთან შევარდნაძეს აკავშირებდა მეგობრული ურთიერთობა, მეორემ საყოველთაო უბრალობის ხანაში შევარდნაძის მხარდაჭერით გადაიღო განთქმული ფილმი „მონანიება“, ხოლო ფარაჯანოვმა მისი წყალობით მოიპოვა შესაძლებლობა ეცხოვრა და ემუშავა მშობლიურ ქალაქში... ჩვენთვის საინტერესო და უდავოდ სასარგებლო იქნებოდა მოგვესმინა ისეთი პირუთვნელი ხელოვანებისთვის, როგორებიც არიან ჭაბუა ამირეჯიბი, რეზო გაბრიაძე, ოთარ იოსელიანი, გია ყანჩელი, რობერტ სტურუა, თემურ ჩხეიძე, ელდარ შენგელაია. მოსკოვშიც არიან ქართველები, რომელთა აზრისაც რუსებს სჯერათ. მაგალითად, გიორგი დანელია, ვახტანგ კიკაბიძე, ზურაბ სოტკილავა თუ კარდიოლოგი აკადემიკოსი ლეო ბოკერია, რომელიც რუსეთში „წლის კაცად“ ცნეს. ჩვენ არ შეგეფერის გამოვიყურებოდეთ გულმავიწყებად და უმადურებად. ხალხად, რომელმაც დაივიწყა ედუარდ შევარდნაძის როლი და ღვაწლი ახალი დემოკრატიული რუსეთის ჩამოყალიბებაში.

არ უნდა იყოს საჭირო იმის თქმა, რომ ჩვენ კი არ გახვევთ თავს ჩვენს სიას, არამედ მხოლოდ განვსაზღვრავთ სჯა-ბაასის პრინციპსა და დონეს. თუკი ჩვენს რჩევას ყურად იღებენ, ჩვენ შევძლებთ დავინახოთ, რაოდენ ემთხვევა საქართველოს ლიდერის კრებსითი პორტრეტი იმ სახეს, რომელსაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ქმნიან.

ჩვენს მთავარ ინტერესს, გნებავთ, ანგარებას წარმოადგენს მშვიდობა და სტაბილურობა მომიჯნავე ქვეყნებში. და თუ შევარდნაძე მასტაბილიზებელ როლს ასრულებს, მაშინ გამოდის, რომ მის ძაგებას სრულიად გარკვეული ხასიათი ჰქონია...

პოსტსაბჭოთა პერიოდი საქართველოში აღმოჩნდა ლამის ყველაზე რთული და სისხლიანი ყოფილი კავშირის მთელ სივრცეში. სიძნელენი, რომელსაც დღეს განიცდის საქართველოს ხალხი, დიდია, ხოლო მათი დაძლევის პერსპექტივები - შორეული და ბუნდოვანი. და მაინც, აღორძინების პირველი ნიშნები აშკარაა. ჩვენ ეს ვიცით არა პრესის მეშვეობით, არამედ პირადი შთაბეჭდილებებითა და ჩვენი კოლეგების სიტყვებით.

განა ის არა სჯობს, წყლის ამღვრევას - კვლავინდებურად გაეუწვდინოთ ხელი ბველ მეგობრებს?!

თუ ამიერიდან რუსეთში კავკასიას მხოლოდ ნავთობსადენის მილითა და პიროვნული და უწყებრიეი მიკერძოებისა და ანტიპათიების „ბეწოსკოპიით“ აკვირდებიან?“[289]

ქართველი ხალხის მიმართ დიდი სიმპატიის გრძნობით გამსჭვალულ ამ უაღრესად ინტელექტუალურ და ანალიტიკურ წერილს მყისვე გამოეხმაურნენ ქართველი მოღვაწენი. „ჩვენ ველოდით ამ წერილს. ველოდით სწორედ იმ ხალხისგან, ვისაც ღალატი არასდროს ჰქონია გულში. ჩვენში ხშირად ლაპარაკობენ ორ რუსეთზე... ქვეყანა არაა მსოფლიოში, სადაც ორი აზრი არ ბუღობს. ასეა ჩვენთანაც, ასეა თქვენთანაც...

დიდ მადლობას მოგახსენებთ თანადგომისთვის და გარწმუნებთ, რომ თავისუფალი და დემოკრატიული საქართველო უფრო დიდ სამსახურს გაუწევს კაცობრიობას და, რათქმა უნდა, თქვენს სამშობლო რუსეთსაც,“[290] - ნათქვამი იყო ჯანსულ ჩარკვიანის, ჭაბუა ამირეჯიბის, ელგუჯა ამაშუკელის, მერაბ ბერძენიშვილის, ნანი ბრეგვაძის, კახი კავსაძის, ანა კალანდაძის და სხვათა მიერ ხელმოწერილ საპასუხო წერილში.

სამწუხაროდ ქართულ პრესაში არცთუ იშვიათად იბეჭდებოდა წერილები „ერთიანი, ველიკოდერჟავული რუსეთის“ შესახებაც. ამ წინდაუხედავი, შედეგებზე გაუთვლელი ხმაურით კი რუსეთის ინტელიგენციის პროგრესულ ნაწილში ჩვენდამი კეთილგანწყობილი ადამიანების რიცხვს ვამცირებდით.

1999 წლის 7 მაისს გაეროს უშიშროების საბჭომ აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხზე კიდევ ერთი რეზოლუცია მიიღო, რომელშიც საკითხისამი ახლებური მიდგომა გამოიკვეთა. რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ რეგიონში იძულებით აღგილნაცვალ პირთა უსაფრთხო დაბრუნებისთვის საჭირო პირობების შექმნის გარეშე გაეროს წესდების თანახმად განიხილება კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო პერსონალის თავდაცვის უზრუნველსაყოფად დამატებითი შეზღუდული შეიარაღებული კონტიგენტის შეყვანის საკითხი. ეს სწორედ ის იყო, რისთვისაც მთელი ამ ხნის განმავლობაში იბრძოდა ქართული მხა-

---

[289] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 5 მარტი 1999;

[290]. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 17 მარტი 1999;

რე. ცხადია, უშიშროების საბჭოს ამ გადაწყვეტილებამ აფხაზური და რუსული მხარეების უკმაყოფილება გამოიწვია.[291]

1999 წლის 3 ოქტომბერს აფხაზმა სეპარატისტებმა 1994 წლის ნოემბერში აფხაზეთის პარლამენტის მიერ მიღებული კონსტიტუციის მოწონების შესახებ რეფერენდუმი ჩაატარეს. იმავე დღეს ჩატარდა პრეზიდენტის არჩევნებიც. გაეროს უშიშროების საბჭომ აფხაზეთში გამართული რეფერენდუმი და არჩევნები შეაფასა, როგორც „უკანონო და მიუღებელი“. სერგეი ლავროვი, რომელიც მაშინ გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა, ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „ასეთი არჩევნების გამართვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოლაპარაკებათა გზით განსაზღვრული იქნება აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი საქართველოს სუვერენიტეტისა და საერთაშორისო დონეზე აღიარებულ საზღვრებში მისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვით.“ რუსეთის ფედერაციის საქართველოს საელჩოს მიერ გავრცელებულ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებაში კი ნათქვამი იყო, რომ „აფხაზ ხელისუფალთა გადაწყვეტილებამ რეფერენდუმის მოწყობის შესახებ უაღრესად ნეგატიური გავლენა მოახდინა ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის მოწესრიგების პროცესზე. გვინდა კიდევ ერთხელ დავადასტუროთ, რომ რუსეთს, მტკიცედ აღიარებს რა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, აფხაზეთი საქართველოს სახელმწიფოს ნაწილად მიაჩნია. ჩვენ, ისევე, როგორც მთელი მსოფლიო გაერთიანება, არ ვცნობთ აფხაზეთის დამოუკიდებლობას ... რაც შეეხება „პრეზიდენტის“ არჩევნებს, ჩვენი დამოკიდებულება მისდამი გამოთქმულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ამა წლის 30 ივლისის რეზოლუციაში, რომელშიც „აფხაზეთის (საქართველო) ე. წ. არჩევნების მოწყობა „მიუღებლად და უკანონოდ“ არის მიჩნეული.“

2001 წლის იანვარში აქტიურად განიხილებოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში რუსეთის ვალებთან დაკავშირებული „ნულოვანი ვარიანტის“ თემა. ეს საკითხი სსრკ-ს დაშლისთანავე დაისვა. მაშინ გამოთქვამდნენ მოსაზრებასაც, რომ არავინ არავის არაფერი მოთხოვოს. 1992 წელს რუსეთთან დადებუ-

---

[291]. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 30-31 მაისი, 1999;

ლი შეთანხმების თანახმად სსრ კავშირის აქტივებსა და პასივებში საქართველოს წილი 1,62 პროცენტს შეადგენდა. ასეთ გათვლას საფუძვლად 4 მაჩვენებელი დაედო. საქართველოს ხვედრითი წილი სსრკ-ის: 1. ექსპორტში; 2. იმპორტში; 3. ეროვნულ შემოსავლებში; 4. მოსახლეობაში: მაგრამ ამ მეთოდიკაში არასადავო მხოლოდ მეოთხე მაჩვენებელი მოსახლეობა იყო. სსრკ-ს დროს საგარეო ვაჭრობა პოლიტიკურ დატვირთვას ატარებდა, ამიტომაც ამ მეთოდოლოგიით გათვლილი ეროვნული შემოსავალი არ ასახავდა არამატერიალური წარმოების სფეროს.

1993 წელს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ხელი მოაწერა „ნულოვანი ვარიანტის“ შეთანხმებას. საქართველოსა და უკრაინის გარდა ამ შეთანხმების რატიფიცირება ყველა რესპუბლიკის პარლამენტებმა მოახდინეს. ქართველი ეკონომისტების ნაწილი მაშინ თვლიდა, რომ საქართველოს რუსეთისგან ეკუთვნის 3 მილიარდ 700 მილიონი დოლარის აქტივები (პასივების გამოკლებით) და თუ რუსეთი მის გადახდაზე უარს იტყვის, მაშინ ჩვენ მას ჯერ გაეროში, შემდეგ კი ჰააგის სასამართლოში უნდა ვუჩივლოთ. ეკონომისტ ლადო პაპავას აზრით ეს გზა რუსეთთან მრავალწლიან და უპერსპექტივო დავაში ჩართვას ნიშნავდა. „ჩვენ გვაქვს აღიარებული ვალები (როგორც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან, ისე სხვა სახელმწიფოებთანაც), რომელთა მომსახურება ჩვენთვის ძალიან რთულია. ამიტომაც 1995-1996 წლებში დაისვა საკითხი ამ ვალების რესტრუქტურიზაციის შესახებ. 1997 წლის იანვარში გადავადდა რუსეთის ვალიც. ამ ვალების ნაწილს უკვე გაუვიდა ვადა, ნაწილს კი უახლოეს ხანებში გაუვა. ამიტომაც რუსეთი ვალების რესტრუქტურიზაციის სანაცვლოდ ჩვენგან „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიცირებას მოითხოვს.

თუ ჩვენ რუსეთთან დავას დავიწყებთ, მაშინ სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიც მოითხოვენ ჩვენგან ვალების დაუყოვნებლივ გადახდას (ლოგიკა ასეთია: თუ ჩვენ რუსეთთან ნულოვან ვარიანტზე წავედით, საქართველო კი არა, ეს ნიშნავს, საქართველო საკმაოდ მდიდარი ყოფილა. მაშინ რატომ უნდა გადავუვადოთ ჩვენ მას ვალები? ... მსჯელობა, რომ ჩვენ რუსეთისგან გვერგება ძალიან დიდი თანხა და ხვალ შეიძლება გავმდიდ-

რდეთ, მაგონებს ზღაპარს გლეხისა და ქილა ერბოს შესახებ, რომელსაც ახდენა არ უწერია,"[292] - წერდა ის.

2001 წლის მარტში საქართველოს პარლამენტმა მოახდინა „ნულოვანი ვარიანტის" რატიფიცირება. ეს დოკუმენტი 1993 წლის 14 სექტემბერს „საქართველოსა და რუსეთს შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო სახელმწიფო ვალისა და აქტივების სამართალმემკვიდრეობის საკითხთა შესახებ" გაფორმებულ ხელშეკრულებას ეყრდნობოდა. ამ ხელშეკრულებაზე მუშაობა ჯერ კიდევ 1991 წელს დაიწყო. 1991 წლის 4 დეკემბერს ხელშეკრულებას ხელი მოეწერა კიდეც. თუმცა, ორივე მხარე აღიარებდა ახალი ტექსტის შემუშავების აუცილებლობას. 1993 წელს ქართული მხარის მიერ წარდგენილი ტექსტი რუსული მხარის ტექსტიდან საგრძნობლად განსხვავდებოდა. მასში ნათქვამი იყო: „რუსეთის ფედერაცია თავის თავზე იღებს ვალდებულებას 1993 წლის 1 ივლისამდე აღადგინოს, განბლოკოს და გადარიცხოს ქართული მხარის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშებზე საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკური და იურიდიული პირების თანხები, რომლებიც ირიცხებიან ყოფილი სსრ კავშირის „ვნეშკომბანკში" წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისთვის თბილისის განყოფილების, მისი სამართალმემკვიდრეებისა და იმ თანხების ჩათვლით, რომლებიც გამოუყვეს საქართველოს უცხოეთის სახელმწიფოებმა სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით დახმარების აღმოჩენის სახით."[293] „ნულოვანი ვარიანტის" პარაფირებული ტექსტის საბოლოო სახე მოსკოვში ჩამოყალიბდა და მასში ქართული ტექსტის მნიშვნელოვანმა ნაწილმა ასახვა ვერ ჰპოვა. რუსულ მხარეს მიაჩნდა, რომ ოქროს მარაგის შემცირების გამო ის ახლა აქტივში კი არა, პასივში უნდა ჩათვლილიყო. რაც შეეხება ალმასის წარმოებას, ის მხოლოდ რუსეთში მოიპოვებოდა, ამიტომ მასზე პრეტენზია მხოლოდ მას შეიძლებოდა ჰქონოდა. ქართული მხარის აზრით, რამდენადაც ალმასის მოპოვება საკავშირო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა, ამდენად საქართველოსაც ეკუთვნოდა პროპორციული წილი ალმასის არსებული ფონდიდან.

---

[292] .გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 11 იანვარი, 2001;

[293].გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 11 მარტი, 2001;

საბოლოოდ, ალმასის ფონდის საკითხი ხელშეკრულებაში არ შევიდა და ცალკე საკითხად გამოიყო.

შეთანხმებილი ტექსტის პარაფირება მოხდა მოსკოვში 1993 წლის 19 მარტს. ერთი დედანი მოსკოვში დარჩა, მეორე ქართულმა მხარემ (მ. უკლება) წამოიღო. ეკონომიკის სამინისტროში კი დედანი დაიკარგა. მისი ქსეროასლი აღმოჩნდა ეროვნული ბანკის სავალუტო სამმართველოში. 1993 წლის 15 სექტემბერს მოსკოვში ოთარ ფაცაციამ ხელი მოაწერა რუსეთთან შეთანხმებების პაკეტს. აი, ამ ხელშეკრულების „ნულოვან ვარიანტში“ აღარ ფიგურირებს მე-6 პუნქტი, რომელიც საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესებს იცავდა. პარაფირებულ ვარიანტში ჩადებული ეს მუხლი ითვალისწინებდა საქართველოს იურიდიული პირების ანგარიშების კომპენსირებას (დაახლოებით 40 მილიონი აშშ დოლარი) და ფიზიკური პირების ანგარიშების კომპენსირებას (დაახლოებით 12 მილონი აშშ დოლარი).

ქართულმა მხარემ რუსეთს მიმართა, მაგრამ მოულოდნელად რუსულმა მხარემაც პარაფირებული დოკუმენტის დედანი „დაკარგა“.

მაშინ არსებული მონაცემებით, სსრკ-ის ვალი შეადგენდა 81 მილიარდ დოლარს. საქართველოს ვალი დაუზუსტებელი მონაცემებით - 1,389 მილიარდს. ამავე მონაცემებით საქართველოს ერგებოდა განვითარებადი ქვეყნებიდან 719,28 მილიონი მანეთი, ხოლო ყოფილი სოციალუსტური ქვეყნებიდან 775, 98 მილონი მანეთი. გარდა ამისა საქართველოს ეკუთვნოდა 2,4 ტონა ძვირფასი ლითონები.

ეს ალმასის წილის გარეშე.

საბოლოოდ, ჩვენ მაინც მოვაწერეთ ხელი „ნულოვან ვარიანტს“, რადგან სხვა შემთხვევაში საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები გვიჩერებდნენ დაახლოებით 140 მილიონი დოლარის მოწოდებას. მეორე მხრივ, რუსეთი მოითხოვდა მისი ვალის დაუყოვნებლივ დაბრუნებას. მთლიანობაში უნდა გადაგვეხადა დაახლოებით 600 მილიონი ლარი. და ეს მაშინ, როცა ჩვენი წლიური ბიუჯეტი სულ 800 მილიონი იყო. ცხადია, რომ „ნულოვანი ვარიანტის“ მიუღებლობა ქვეყანას სოციალური კატასტროფის წინაშე დააყენებდა.

უნდა ითქვას, რომ მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდა უკრაინაც.[294]

რუსეთის მხრიდან პროვოკაციები არ წყდებოდა. 1999 წლის 9 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს საჰაერო სივრცეში შემოიჭრა ორი მოიერიშე თვითმფრინავი, რომლებმაც სოფელ ზემო ომალოსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე შენელებული მოქმედების ნაღმები ჩამოაგდეს. დაიჭრა სამი მოქალაქე. შევარდნაძემ ელცინისგან ახსნა-განმარტება მოითხოვა. რუსეთმა აღიარა, რომ მისმა თვითმფრინავებმა მართლაც ჩამოყარეს ნაღმები საქართველოს ტერიტორიაზე. რუსეთის მხარემ ბოდიში მოუხადა ქართულ მხარეს და განაცხადა, რომ მზად არის განიხილოს დაღესტანში შეიარაღებული ბანდფორმირებების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებისას რუსი მფრინავების მიერ დაშვებული შეცდომის შედეგად საქართველოსთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების საკითხი.

1999 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრად დაინიშნა ელადიმერ პუტინი.

1999 წლის 9 ივლისს კოდორის ხეობაში ვერტმფრენით გაფრინდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მუშაკთა ჯგუფი მთავრობის თავმჯდომარის ლონდერ ცაავას ხელმძღვანელობით. ჯგუფის მიზანი ადგილზე არსებული ვითარების გაცნობა იყო. ვერტმფრენში ისხდნენ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, ჟურნალისტები და მგზავრებიც.

აჟარაში დაჯდომისთანავე იქ დამხვდურმა დაუდგენელმა პირებმა ატეხეს ჰაერში სროლა. რვაკაციანი ჯგუფი შეიჭრა ვერტმფრენის სალონში და აიძულეს ეკიპაჟი მარუხის უღელტეხილის მიმართულებით გაფრენილიყო. მოძალადეებმა ვერტმფრენი უკაცრიელ ადგილზე დასვეს, მგზავრებს ბარგი და პირადი ნივთები წაართვეს და ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცყოფა მიაყენეს. მხოლოდ ღამით მოხერხდა ეკიპაჟისა და მგზავრების გათავისუფლება.

ინციდენტი კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებულის ივერი ჭელიძესა და აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას შორის უთანხმოებას უკავშირდებოდა.

---

294 . გაზ. „სრულიად არასაიდუმლოდ“, N 2, 2001;

17 ნოემბერს, მატილის მიმდებარე ტერიტორია რუსულმა ვერტმფრენებმა დაბომბეს. ცეცხლი გაუხსნეს მუცალოს ხეობაში განლაგებულ დასახლებულ პუნქტებს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ აღნიშნული ფაქტი გააპროტესტა. მოგვიანებით გავრცელდა ვერსია, რომლის თანახმადაც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებოდა რუსეთის შეიარაღებული ძალების სადაზვერვო ჯგუფი (შესაძლოა ეს ყოფილიყო ვაზიანის სამხედრო ბაზიდან გაუჩინარებული რუსეთის სპეცდანიშნულების რაზმი), რომელიც საქართველოდან ჩეჩნეთის მიმართულებით ბოევიკთა და შეიარაღების გადინების შესახებ ინფორმაციას ამოწმებდა. მას შემდეგ კი, რაც რაზმი აღმოაჩინეს, რუსი მზვერავების დასახმარებლად ვერტმფრენები გამოიყენეს. ქართველ მესაზღვრეთა თვალის ასახვევად მათ იერიში მიიტანეს ჩვენს ტერტორიაზე არსებულ დასახლებულ პუნქტებზე, ამასობაში კი ერთ-ერთმა ვერტმფრენმა მზვერავთა რაზმი გაიყვანა.

ქართველმა მესაზღვრეებმა ეს ვერსია არ დაადასტურეს.[295]

1999 წლის 31 დეკემბერს ელცინმა თაიისი გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა. პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება პუტინს დაევალა.

2000 წლის დასაწყისიდან რუსეთი ღიად ადანაშაულებდა საქართველოს ჩეჩენი ბოევიკების მფარველობაში. 2000 წლის 7 იანვარს რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ფედერალური შეიაღაღებული ძალების აღმოსავლეთის დაჯგუფების პრესცენტრის განცხადება, რომლის თანახმადაც ჩეჩნეთის ბოევიკების საველე მეთაურების ელიტა ხანგრძლივი დროის განმავლობაში თავს აფარებდა საქართველოს ტერიტორიას. პრესცენტრი ამტკიცებდა, რომ საქართველოში შექმნილია „ბოევიკთა საყრდენი პლაცდარმები ჩეჩნეთში მიმდინარე კონფლიქტის გაჭიანურების მიზნით.“

საქართველოს ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფდა რუსეთის ბრალდებებს და აცხადებდა, რომ საქართველო ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს ჩეჩენ ლტოლვილებს. „ჩვენ მივიღეთ ჩეჩნეთიდან იძულებით აღგილნაცვალ პირთა რამდენიმე ნაკადი... მაგრამ საქართველო არასოდეს ყოფილა და არც მომა-

---

[295] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 18 ნოემბერი, 1999;

ვალში გახდება უცხო შეიარაღებული ფორმირებებისა და ტერორისტების თავშესაფარი".[296]

ჩეჩნეთის პირველი ომიდან მოყოლებული, საქართველომ მართლაც შეიფარა ჩეჩენი ლტოლვილების რამდენიმე ნაკადი. ჩეჩნები თავიანთ ნათესავებთან, პანკისში განთავსდნენ. ამასთან, პანკისის ხეობაში ჩეჩენი მებრძოლებიც გადმოვიდნენ. ხეობა იარაღით აიესო. იმძლავრა კრიმინალმა. პანკისი ტრაფიკინგისა და ნარკობიზნესის ნამდვილ ოაზისად იქცა. პოლიცია იქ ცსვირს ვერ ყოფდა.

2001 წლის აგვისტოში ქართველი ძალოვანების ხელშეწყობით პანკისში განლაგებული გელაევის რაზმი[297] კოდორის ხეობაში იქნა გადაყვანილი. ამ წამოწყების მოთავენი კოდორის ხეობიდან სოხუმზე ჩეჩნურ-ქართული ძალების შეტევას გეგმავდნენ. შევარდნაძემ ოპერაციის ხელმძღვანელებს თავშეკავებისკენ მოუწოდა, თუმცა ჩეჩნები (დაახლოებით 500 კაცი), ოქტომბრის დასაწყისში კოდორის ხეობიდან აფხაზების კონტროლირებად ტერიტორიაზე მაინც გადავიდნენ. მათთან ერთად იყვნენ ქართველები, ყაბარდოელები, უკრაინელები და ა. შ. შეტაკებები სოფ გეორგიევსკიდან დაიწყო. ბრძოლებმა 20 ოქტომბრამდე გასტანა და აფხაზური მონაცემებით 60-დე მებრძოლი შეიწირა. გელაევის რაზმი უკან დაბრუნდა.

რუსეთი გამუდმებით აღანაშაულებდა საქართველოს ხელისუფლებას ჩეჩენი ბოევიკების მფარველობაში. პუტინი სიტყვიერ მუქარას არ ჯერდებოდა და დროგამოშვებით ბომბავდა საქართველოს ტერიტორიას. ერთ-ერთი ასეთი დაბომბვა, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა (დაიღუპა ქართველი მწყემსი), რუსეთის თვითმფრინავებმა 2002 წლის 23 აგვისტოს განახორციელეს. შევარდნაძემ პუტინს საპროტესტო წერილით მიმართა. სა-

---

[296]. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 11 იანვარი, 2000;

[297]. გელაევის რაზმი საქართველოში 2000 წლის ნოემბერში გადმოვიდა. თვით გელაევის აღიარებით, რუსმა სამხედროებმა მისი რაზმი უპრობლემოდ გამოატარეს („რუსები ისე ახლოს იყვნენ, მათ სუნთქვასაც კი ვგრძნობდითო"). რატომ არ შეუშალეს ხელი რუსებმა გელაევის გადმოსვლას? ალბათ, ორი მიზეზით: 1. გელაევის რაზმის საქართველოში გადმოსვლით პრობლემები შეექმნებოდა საქართველოს, რაც რუსეთის ინტერესებში შედიოდა; 2. რუსებისთვის მთავარი იყო რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე რაც შეიძლება ნაკლები ბოევიკი ყოფილიყო;

პასუხო წერილში რუსეთის პრეზიდენტი აღნიშნავდა: „ჩვენ მართლაც გვაღელვებს პანკისის ხეობაში შექმნილი ვითარება. იქ თავი მოიყარეს ჩეჩენმა ბოევიკებმა და საერთაშორისო ტერორისტებმა. დარწმუნებული ვარ მათი ყოუნა ქართულ მიწაზე უშუალო საფრთხეს უქმნის საქართველოს უშიშროებას... ჩეჩნეთში ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყებისთანავე არაერთგზის გთავაზობდით ორი ქვეყნის სპეციალური და სასაზღვრო სამსახურების მჭიდრო ურთიერთმოქმედების დამყარებას, რათა ბანდიტებისთვის მტკიცე ბარიერი შეგვექმნა რუსეთ-საქართველოს საზღვარზე. იმან, რომ საქართველოს მხარემ უგულებელყო ჩვენი წინადადებები, „მწვანე შუქი“ აუნთო ტერორისტებს და ისინი მშვიდად მოკალათდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, შექმნეს პანკისის ხეობაში პლაცდარმი, რომლიდანაც აგრესიულ გამოხდომებს აწყობენ რუსეთში.“[298]

რუსეთის პრეზიდენტის წერილის მიხედვით დამნაშავე ქართული მხარე გამოდის, მაგრამ მოდით კითხვა ასე დავსვათ: პანკისის პრობლემამ განაპირობა ჩეჩნეთის მოვლენები, თუ პირიქით? და კიდევ: რუსეთს საქართველოსთან თავისი საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე ჩვენთან შედარებით 40-ჯერ მეტი მესაზღვრე ჰყავდა. რატომ დაუშვეს ამ მესაზღვრეებმა ჩვენს ტერიტორიაზე ჩეჩენი ბოევიკების გადმოსვლა - როგორც კოტე მახარაძე წერდა თავის მიმართვაში პუტინს - ეძინათ? ქართველები კი დამნაშავენი ვართ, რადგან არ გავაღვიძეთ მძინარე ბიჭები!

საქართველოს ხელისუფლებამ გელაევს ქვეყნის დატოვება მოსთხოვა. 2002 წლის 25 ივლისს გელაევმა პანკისი დატოვა და ინგუშეთში გადავიდა. მეგზურად ჩეჩნებს ქართველი, ვინმე თელიძე ახლდა. სწორედ მან შეატყობინა რუსებს გელაევის მარშრუტი და გადასვლის დრო. გელაევის რაზმი ჩასაფრებას წააწყდა და დიდი დანაკარგი განიცადა. თვით გელაევმა თავის დაღწევა შეძლო. 2004 წლის თებერვალში რუსებმა მაინც მოახერხეს ჩეჩენი საველე მეთაურის ლიკვიდირება.

საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელები დღემდე უარყოფენ პანკისიდან კოდორში გელაევის რაზმის გადასროლის ოპერაციაში რაიმე ფორმით მონაწილეობას. კახა თარგამაძე: „მე ამ სისულელეს როგორ გავაკეთებდი? მე ჩეჩნე-

---

[298] .გაზ, „საქართველოს რესპუბლიკა“, 7 სექტემბერი, 2002;

ბის ხელით აფსაშეთის დაბრუნებაზე როგორ ვიფიქრებდი?“ ავთანდილ იოსელიანი: „ეს გააკეთა სამუალო ოფიცერთა ჯგუფმა, რომელსაც სათავეში ედგა გერვასი ჯოლოგუა. როდესაც კატეგორიულად მოვთხოვეთ ჩეჩნების პანკისში დაბრუნება, მან მითხრა: „რას მელაპარაკებით, ამ საქმეში ჩარეულნი არიან როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლებიო.“ ჩავეძიეთ, მაგრამ გვარები არ დაგვისახელა. მერე ეგ კაცი ჩავარდა თუ ჩაბარდა ტყეედ. მე აფხაზურ მსარეს ვთხოვე, რომ მისი ჩვენების ასლი გადმოეგზავნათ. შემპირდნენ... მერე, როცა შეტაკებები მოხდა, ჩვენ ყველა ღონეს ვხმარობდით, რომ იქ მასშტაბური ბრძოლები არ გამართულიყო და ახალი ომი არ ატეხილიყო. მივაღწიეთ კიდეც ამას. პირდაპირი კავშირი გვქონდა აფხაზეთის პრემიერთანაც, თავდაცვის მინისტრთანაც. გავარიდეთ იქაურობას ჩეჩნები, წავიდნენ თავიანთ გზაზე. პანკისში აღარ დაბრუნებულან.“ იოსელიანის თქმით ჯოლოგუას რამდენჯერმე დაუთმეს აფხაზური ტელევიზიის ეთერი, სადაც ის პირდაპირ ამბობდა, რომ ავთანდილ იოსელიანი, კახა თარგამაძე, ვახტანგ ქუთათელაძეც მეუბნეოდნენ - დაბრუნდით უკან, ნუ იწყებთ საბრძოლო ოპერაციებს, ეს დამღუპველია ორივე მხარისთვისო.

საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის მაშინდელი მოადგილე ჯემალ გასოკიძე: „მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, - მსგავსი საუბარი (ჩეჩნების გამოყენებით აფხაზეთში შეჭრის) უშიშროების საბჭოზე არასოდეს ყოფილა. მერე გავიგეთ ყველაფერი. მერე კი ვიმსჯელეთ, მაგრამ წინასწარ არც არაფერი დაგვიგეგმავს და არც ვინმესთვის რაიმე დაგვივალებია. ეს პროვოკაცია გახლდათ, რომელიც მიმართული იყო საქართველოს წინააღმდეგ“.[299]

მაინც ვინ დაგეგმა ეს ოპერაცია, რომელსაც თავიდანვე პროვოკაციის სუნი ასდიოდა? ვინ იყვნენ ის მაღალჩინოსნები აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებიდან, რომლებიც, ჯოლოგუას თქმით, „ჩარეულნი იყვნენ ამ საქმეში? თუ გილაევის რაზმი უკან, პანკისში არ დაბრუნებულა, როგორც ამას ავთანდილ იოსელიანი ამტკიცებს, მაშინ ვინ გაიყვანეს ქართველმა სამართალდამცველებმა პანკისიდან 2002 წლის ივლისში?

---

[299] .გამ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 21 სექტემბერი, 2002;

როგორც ვხედავთ, გელაევის რაზმის პანკისიღან კოდორში გადასროლის, შემდეგ კი აფხაზეთში შეჭრის საქმეში დღემდე არაერთი პასუხგაუცემელი კითხვაა.

2000 წლის ოქტომბერში რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღების შესახებ გააკეთა განცხადება. ამასთან, რუსეთი გამარტივებულ რეჟიმს ტოვებდა აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან. „სხვა სახელმწიფოსთან სავიზო რეჟიმის შემოღება რუსეთის სუვერენული უფლებაა, მაგრამ არაეის აქვს უფლება საქართველოსთან შეუთანხმებლად განსხვავებულ უფლებრივ მდგომარეობაში ჩააყენოს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობა, რასაც რუსეთის მხარე ცალმხრივად აპირებს სავიზო ხელშეკრულებების დამატებითი ოქმით, რომელშიც ლაპარაკია საზღვრისპირა რეგიონების მოსახლეობისთეის საზღვრის გადაკვეთის გამარტივებული რეჟიმის დაწესებაზე,“- ნათქვამი იყო ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებაში. საქართველოს პარლამენტი ამ ფაქტს მიიჩნევდა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის უზენაესობის უსეშ ხელყოფად. „ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს რუსეთის ხელისუფლების საეჭვო ბრახვებს აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის მიმართ.... თუ რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობა მაინც გადაწყვეტს შემოიღოს სავიზო რეჟიმის წარმოდგენილი ვარიანტი, საქართველოს პარლამენტი ამ ნაბიჯს მიიჩნევს საქართველოს ისტორიული ტერიტორიების ანექსიის იურიდიულად დაკანონების მცდელობად და მთელი პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ საქართველო გამოიყენებს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ბერკეტებს თავისი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად,“[300] - აღნიშნული იყო დადგენილებაში.

რუსეთის ხელისუფლებას გონიერებისა და სამართლიანობისკენ უკვე მერამდენედ ამაოდ მოუწოდებდა საკუთარი ინტელიგენცია: „...ბოლო ათწლეულების განმავლობაში ქართულმა კინომ, ქართულმა თეატრმა და ლიტერატურამ ბევრი რამ გააკეთა ჩვენი დაახლოებისთვის. ჩვენ ერთმანეთს ვერ მოვუწყვიტა ვერც 90-იანი წლების დამდეგის პოლიტიკურმა არეულობამ,

[300] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 25 ნოემბერი,2000;

ვერც პოლიტიკოსებისა და სამხედროების გაუაზრებელმა მოქმედებამ. არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ რუსეთის როლი საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზეთის კონფლიქტში საკმაოდ ორაზროვანი იყო. ფაქტობრივად, ჩვენ ხელი ეკარით, ტრადიციულ მოკავშირეს, მაგრამ, ამავე დროს, უკმაყოფილონი ვართ, თუ შევიტყვეთ, რომ იგი ვიღაცის მხარდაჭერას ეძებს თავისი საარსებო მნიშვნელობის პრობლემების გადასაჭრელად. ზემოაღნიშნულმა მოქმედებამ წარმოქმნა სწორედ ერთგვარი გაუცხოება და ეჭვი, მაგრამ სავიზო რეჟიმის შემოღება ერთი ხელის დაკვრით დაასრულებს ამ ნეგატიურ პროცესს... განა ამას ესწრაფოდა რუსეთი, როცა კავშირის ნანგრევებზე აღორძინებდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას? თუ ვაღიარებთ, რომ ამაოა ჩვენი ძალისხმევა?

გთხოვთ... ვლადიმერ ვლადიმირისძევ, შეიჯერ გაბოლმეთ, ვიდრე ერთხელ მოსწყვეტდეთ რუსეთს მთელ მომიჯნავე და მისთვის ახლობელ სივრცეს!"[301] „იზვესტიაში" გამოქვეყნებულ ამ წერილს ხელს აწერდნენ ირინა არხიპოვა, იოსებ აგაბეკოვი, ბელა ახმადულინა, იური ბაშმეტი, კამილ ვალიევი, იგორ გლებოვი, დანიელ გრანინი, იური გულიაევი და სხვა საქვეყნოდ ცნობილი რუსი ხელოვანები.

2000 წლის 5 დეკემბრიდან რუსეთმა მაინც დააწესა სავიზო რეჟიმი საქართველოსთან. ამის ფორმალურ მიზეზად პანკისის ხეობაში ჩეჩენი „ბოევიკების" ყოფნა დასახელდა, თუმცა, ნამდვილი მიზეზი საქართველოსთვის აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის კიდევ უფრო მეტად მოწყვეტა იყო.

2001 წლის გაფხულში ქართველი და აფხაზი ხალხების შერიგების და მათ შორის გაჭიანურებული კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საინტერესო გეგმა წამოაყენა აშშ-ს აფხაზური დიასპორის თავმჯდომარემ ინალ კაზანმა. 4 ივლისს მან ქართველ და აფხაზ ხალხებს მიმართა. ქართელი ხალხისადმი თავის მიმართვაში კაზანი წერდა: „დადგა დრო, საქართველოს ხალხმა აღიაროს, რომ აფხაზეთის რესპუბლიკასთან ეროვნული შერიგება თქვენი მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს... 1993 წლის სასტიკი მოვლენების შემდეგ საქართველოს რესპუბლიკამ კიდევ უფრო გაამწვავა დაძაბულობა რეგიონში, როდესაც თავისი

---

301. „ვითომ ღირს ერთმანეთის ძალით მოკვეთა?", გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 20 ოქტომბერი, 2000;

ძალისსმეეა მოასმარა აფსაზეთისა და მისი სალსის პოლიტიკურ და ეკონომიკურ იზოლაციას.

თქვენ ცდილობდით პოლიტიკური გადაწყვეტილება თაეს მოგესვიათ აფსაზი სალხისთეის. საბოლოოდ კი თქვენმა პოლიტიკამ ჩემს სალხს მტკიცედ გადააწყვეტინა წინააღმდეგობა გაეწია თქვენთეის... თქვენი ინიციატივები განწირული იყო და მარცხიც განიცადა.... სუეერენული აფხაზეთი მდებარეობს საქართველოს რესპუბლიკაში. უფრო მეტიც, აფხაზეთთან მშეიდობა უზრუნველყოფს საქართველოს, როგორც ეროენული სახელმწიფოს აყეაეებას. საქართველოსა და აფხაზეთს ღრმა წარსულში აქეთ ფესვები გადგმული. მოგიწოდებთ ნუღარ გამოეკიდებით წარსულს. ჩვენ ერთად უნდა ვიაროთ წინ და განვამტკიცოთ ჩვენი ისტორიული კავშირურთიერთობა...

აფხაზეთთან მშვიდობა საქართველოს ხელმძღვანელობისგან მოითხოეს სერიოზულ არჩეანსა და მნიშენელოვან კომპრომისს. კოსმეტიკური დიპლომატიური ჟესტებით ვერაფერს გახდებით. დაანახეთ ჩემს სალხს არსებითი შედეგები და მშვიდობას მიაღწეეთ.

...ჩვენმა სალსებმა ცხოვრება გაერთიანებული ძალებით უნდა აშენონ...“

აფხაზი სალხისადმი მიმართვაში კაზანი აღნიშნავდა: „ბოლო შეიდი წლის განმავლობაში მქონდა ბედნიერება აფხაზი სალხის სამსასურში ეყოფილიყავი, როგორც აფსაზეთის წარმომადგენელი ამერიკის შეერთებულ შტატებში და როგორც კერძო პირი. მე ვიზიარებდი როგორც 1993 წლის შეიარაღებულ კონფლიქტში გამარჯვების სიხარულს, ისე მწუსარებას და იმედგაცრუებას იმის გამო, რომ იმედები არ გაგვიმართლა დღევანდელობაში... ვერ შევასხით ხორცი ჩვენს ოცნებას, რადგან ჩვენს ხელმძღვანელობას არ ეყო შორსმჭვრეტელობა და უნარი თავიდან აეცილებინა ჩვენი სალხისთვის გაჭირეება და ტანჯვა-ვაება. დადგა დრო გადავდგათ მტკიცე ნაბიჯები და გადაჭრით ვაწარმოოთ მოლაპარეკება ქართულ მსარესთან...

საქართველომ უნდა აღიაროს ის ფაქტი, რომ მას ექნება მხოლოდ ნომინალური იურისდიქცია აფხაზეთში. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ხელისუფლება მზად არის ცნოს ეს პრინციპები. როცა დავამკვიდრებთ ამ ელემენტებს, მზად უნდა ვიყოთ კომპრომისისთვის სხვა საკითხებში... ორივე მხარემ ბევრი უნდა დათმოს. სტატუს-კეომ ჩვენ პოლიტიკურ და ეკონომი-

კურ იზოლაციაში მოგვაქცია... ბოლო შვიდი წლის მანძილზე თავისუფლები ვყავით ჩვენს საპყრობილეში. დარწმუნებული ვარ, რომ საკაეშირო სახელმწიფო ჩვენ ხელს არ გვაძლევს. ჩემი აზრით, აფხაზეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო წმინდა წყლის ფანტაზიაა... ფედერაციული სტრუქტურა იმოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთს მიენიჭება აბსოლუტური ავტონომიის სტატუსი. აბსოლუტური ავტონომია უზრუნველყოფს ჩვენს სუვერენიტეტს, უშიშროებას, ეკონომიკურ არსებობას, კულტრულ და ეროვნულ თავისთავადობას, ენას, ტრადიციებს... საქართველოს ხელმძღვანელობამ უნდა სცნოს ეს პრინციპები.

ჩვენ გავიმარჯვეთ ომში, მაგრამ დღეს იმ ზღვარს მიეადექით, რომ შეიძლება წაეაგოთ მშვიდობა. უნდა ვიმოქმედოთ ახლა, რათა განესაზღვროთ ჩვენი საერთო მომავალი. თუ ხელიდან გავუშვებთ მოქმედების მომენტს, ჩვენი სამშობლოს ბედს გადაწყვეტენ ისინი, ვისაც ჩვენთან არაფერი ესაქმება და არც ჩვენი ბედი ენაღვლება.“[302]

ინალ კაბანის ეს მიმართვები ურთიერთკომპრომისის საკმაო საფუძველს შეიცავდნენ, მაგრამ არ ითვალისწინებდნენ მთავარს - რუსეთის ინტერესს, ურომლისოდაც ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს მოგვარება არ ეწერა. აფხაზებმა ხომ ეს აეანტიურა რუსეთის იმედით წამოიწყეს და მისი დასმარებით მიაღწიეს გამარჯვებას. ახლა აფხაზი სეპარატისტები რუსებისგან საშვილიშვილოდ იყვნენ დავალებულნი და მისი ინტერესების გათვალისწინების გარეშე დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმა არ შეეძლოთ.

ამიტომაც, კაბანის ამ ინიციატივას განხორციელება არ ეწერა.

2002 წლიდან რუსეთმა დაიწყო თავისი პასპორტების დარიგება საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში.

2002 წლის 12 აპრილს რუსეთმა სამხედრო ოპერაცია განახორციელა კოდორის ხეობაში, იქ 4 „მი-24“ ტიპის და 4 „მი-8“ ტიპის ვეტრმფრენით 100-დე სამხედრო შეიყვანა და შეუდგა მათი მუდმივი დისლოკაციის ადგილის მომზადებას. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციის საფუძველზე, იმ იმედით, რომ სწორედ ეს უკანასკნელნი იქნე-

---

302 . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 6 ივლისი, 2001;

ბოდნენ იქ უსაფრთხოების გარანტნი, საქართველომ თავისი საჯარისო ფორმირებების ხეობიდან გამოყვანა დაიწყო.

შევარდნაძემ სპეციალურ განცხადებაში აღნიშნა, რომ „თუ რუსეთის სამშვიდობო ძალების ნაწილები კონფლიქტის ზონაში 13 აპრილს მთლიანად არ დატოვებენ კოდორის ხეობას, საქართველოს პრეზიდენტი რუსეთის ხელისუფლებას ულტიმატუმს წაუყენებს რუსეთის სამშვიდობო ძალების მიერ კონფლიქტის ზონის დაუყოვნებლივი დატოვების თაობაზე.“[303]

საქართველოს პარლამენტმა მსოფლიო თანამეგობრობას მიმართა და რუსეთის სამხედრო აგრესიის შეწყვეტაში დახმარება სთხოვა. განცხადება გააკეთა დიტერ ბოდენმაც. მისი თქმით, 2 აპრილს თბილისში ქართული და აფხაზური მხარეების, ასევე, პირადად მის მიერ ხელმოწერილი ოქმის თანახმად, რომელიც 10 აპრილამდე კოდორის ხეობიდან ქართველი სამხედროების გაყვანას ითვალისწინებდა, „ამ რეგიონში დაგეგმილი ნებისმიერი აქცია უნდა შეთანხმდეს“ ხელმომწერებს შორის. ბოდენმა საჯაროდ განაცხადა, რომ მასთან არაეის არაფერი შეუთანხმებია.

ბორის პასტუხოვმა ყველაფერი „შეცდომას“ მიაწერა. „რუსმა მშვიდობისმყოფელებმა ძალზე უხეში შეცდომა დაუშვეს, როდესაც თავიანთი მოქმედების შესახებ არ აცნობეს არც ქართულ მხარეს და არც საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიას,“[304] - განაცხადა მან. პასტუხოვის თქმით, რუსი სამშვიდობოები აპირებდნენ კოდორის ხეობაში კიდევ ერთი პატრულირების პოსტის მოწყობას.

შევარდნაძე 12 აპრილსვე ჩაფრინდა კოდორში და პირადად ესაუბრა სამშვიდობო ძალების სარდალს ევტეევს. მან კატეგორიულად მოითხოვა სარდლისგან კოდორის ხეობიდან დესანტის გაყვანა. 13 აპრილს რუსების დესანტმა კოდორის ხეობა დატოვა. თუმცა დაძაბულობა ხეობის ირგვლივ, აფხაზური მხარის დესტრუქციული პოზიციის გამო, მაინც გრძელდებოდა.

2003 წლის იანვარში რუსებმა მიიღეს გადაწყვეტილება სოჭი-სოხუმის რკინიგზის აღდგენის შესახებ. ქართული მხარის

---

[303].გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 13 აპრილი, 2002;

[304]. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 13 მაისი, 2002;

პროტესტზე მათი პასუხი იყო: გადაწყვეტილება კერძო კომპანიამ მიიღო და ხელისუფლება აქ არაფერ შუაშიაო.

საქართველოს პარლამენტი 2003 წლის თებერვალში იძულებული იყო ეღიარებინა, რომ აფხაზეთის ომის დამთავრებიდან განვლილ ათ წელიწადში პრობლემის მოგვარების მიმართულებით არანაირ პროგრესს ადგილი არ ჰქონია. სეპარატისტული ხელისუფლება კელავ უარს აცხადებდა პოლიტიკურ დიალოგზე და „თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“ ე. წ. ბოდენის დოკუმენტის გაცნობაზეც კი. უარს ამბობდა დევნილების უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უზრუნველყოფაზე და ცდილობდა ეთნიკური წმენდისა და გენოციდის შედეგად ხელოვნურად შეცელილი დემოგრაფიული სიტუაციის შენარჩუნებასა და დაკანონებას.

ასეთ ვითარებაში რუსეთი საქართველოს ცენტარალურ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად და მისი ნების საწინააღმდეგოდ უვიზო რეჟიმს აწესებდა საქართველო-რუსეთის აფხაზეთის და ე. წ. სამხრეთ ოსეთის მონაკვეთებზე, აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს ანიჭებდა რუსეთის მოქალაქეობას, აღადგენდა სოჭი-სოხუმის რკინიგზას, ცდილობდა აეთვისებინა აფხაზეთის კავშირგაბმულობის სივრცე, რუსეთის იურიდიული და ფიზიკური პირები ახდენდნენ სეპარატისტული რეგიონების უძრავი ქონების პრივატიზაციას, რუსეთის ოფიციალური პირები საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად დადიოდნენ ჩვენს სეპარატისტულ რეგიონებში... ყველაფერი ეს ცხადად მიანიშნებდა, რომ რუსეთი ნაბიჯ-ნაბიჯ, მეთოდურად ახდენდა საქართველოს ტერიტორიების ანექსიას.

რუსეთმა ეს პროცესი 2008 წელს აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებით დაასრულა.

§ 6.3 კონსტიტუციის მიღება. ტერორისტული აქტი სახელმწიფოს მეთაურის წინააღმდეგ

ზვიად გამსახურდიას დროს საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკა იყო. 1992 წლიდან 1995 წლამდე ედუარდ შევარდნაძეც პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა, თუმცა, ამავდროულად ის პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ „სახელმწიფოს მეთაურსაც“ წარმოადგენდა. საპარლამენტო მმართველობის პირობებში პარლამენტში გამართულ უსაგნო დებატებს ძალზე დიდი დრო მიაქვთ, რის გამოც ქვეყნისთვის საჭირო გადაწყვეტილებების მიღება ჭიანურდება. ძნელდება სახელსუფლებო ვერტიკალის განმტკიცებაც. ეს გარემოება ხელისუფლებას საპრეზიდენტო მმართველობის შემოღებისკენ, ანუ ახალი კონსტიტუციის მიღებისკენ უბიძგებდა. აუცილებელი იყო, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის არჩევნების ჩატარებაც. ორივე ეს საკითხი ცხარე დისკუსიების საგნად იქცა. საპრეზიდენტო სისტემას რესპუბლიკური პარტია ეწინააღმდეგებოდა, რომელიც ამტკიცებდა, რომ დაბალი დემოკრატიული კულტურის პირობებში ეს სისტემა ადვილად გადაიქცეოდა ერთპიროვნულ მმართველობად. რესპუბლიკელების მტკიცება სიმართლის გარკვეულ დოზას შეიცავდა. საპრეზიდენტო მმართველობა ქვეყნის ყოფილი ელიტებისთვის სახელმწიფო რესურსებზე წვდომის უფრო ხელსაყრელ პირობებს მართლაც ქმნის. თუმცა, უდავო იყო, რომ 1921 წლის კონსტიტუცია ვეღარ პასუხობდა ქვეყნის წინაშე მდგარ ახალ გამოწვევებს. საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 4 ივლისის სხდომაზე, როგორც იქნა, დადგინდა პარლამენტის არჩევნების დღე - 1995 წლის 5 ნოემბერი. გადაწყდა, რომ იმავე დღეს გაიმართებოდა პრეზიდენტის არჩევნებიც. დადგენილება ავალებდა პარლამენტს, რომ 26 ივლისამდე შეემუშავებინა კონსტიტუციის შესაბამისი მუხლები, ან მიეღო სპეციალური კანონი, რომელშიც განსაზღვრული იქნებოდა საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტისა და მინისტრთა კაბინეტის უფლებამოსილებანი. დადგენილების მიხედვით მომავალი პარლამენტი ორპალატიანი უნდა ყოფილიყო. ერთი პალატა - რესპუბლიკური საბჭო - უნდა არჩეულიყო პროპორციული საარჩევნო სისტემის, ხოლო მეორე პალატა - სენატი - მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე.

19 ივლისს ირაკლი წერეთელმა და დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა მწვავედ გააკრიტიკა სახელმწიფოს მეთაური კონსტიტუციის ახალი პროექტის მომზადებასთან დაკავშირებით „დანაშაულებრივი ქმედებების გამო.“ შევარდნაძეს მკაცრად აკრიტიკებდა მხედრიონის ლიდერიც, რომელსაც ძალიან არ მოსწონდა რეგიონებში რწმუნებულის ინსტიტუტის შემოღება. იოსელიანი ამ ინსტიტუტს იმიტომ იწუნებდა, რომ „მისი შენახვა ბიუჯეტს სერიოზული თანხა დაუჯდებოდა“. გასაკვირი ის იყო, რომ მაშველთა კორპუსის შექმნისას იოსელიანს არ უფიქრია, თუ რა დაუჯდებოდა ბიუჯეტს ამ ორგანიზაციის ცენტრალური აპარატისა და რეგიონალური ოფისების შენახვა.

თავიანთ „პირველ ჩვენებაზე“ მყარად იდგნენ ექსპრეზიდენტის მომხრეებიც. ივლისის ბოლოს მერაბ კოსტავას სახლმუზეუმში გამართულ პრესკონფერენციაზე „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკურ გაერთიანებაში შემავალმა პარტიებმა გააკეთეს განცხადება, რომ მზად აქვთ კონსტიტუციის პროექტი, რომელსაც მხოლოდ „კანონიერი ხელისუფლების მიერ დანიშნულ რეფერენდუმზე წარმოადგენენ.“ ჟურნალისტებს წარედგინათ განცხადებები: „უკანონო ხელისუფლების მიერ საქართველოში პოლიციური რეჟიმის დამყარების შესახებ“, „საქართველოს უკანონო რეჟიმის მიერ კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელთა და მისი მომხრეების დევნისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების უგულვებელყოფის შესახებ,“ „მიმართვა მსოფლიო ქვეყნების მთავრობებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, გაეროს, ევროპარლამენტს, ევროსაბჭოს ქვეყნებს - საქართველოში მოსალოდნელი მორიგი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო სიყალბის შესახებ.“[305]

პარლამენტში წარმოდგენილი კონსტიტუციის პროექტის თავდაპირველი ვარიანტი ამერიკული ტიპის საპრეზიდენტო რესპუბლიკის ძირითად ელემენტთა ტრანსფორმაციას წარმოადგენდა. ეს პროექტი ოპოზიციის გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდა. კომპრომისის მოძებნა გაჭირდა. ვითარება ჩიხისკენ მიდიოდა.

8 აგვისტოს შევარდნაძემ პარლამენტარებს კონსტიტუციის პროექტის იმ მუხლების ახალი ვარიანტი გააცნო, რომლებიც სა-

---

[305]. გაზ. საქართველოს რესპუბლიკა“, 2 აგვისტო, 1995;

კანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილებათა გამიჯვნას ეხებოდა. ბაკურ გულუასა და პარლამენტართა ერთი ჯგუფის მიერ შემოთავაზებულ ამ ახალ პროექტში მმართველობითი სისტემა ძალზე გამარტივებულად იყო წარმოდგენილი. საქართველოს პრეზიდენტი ერთდროლად სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურად ცხადდებოდა. თუმცა, მას მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა მხოლოდ პარლამენტის თანხმობით შეეძლო.

ამ პროექტმა მოხსნა პარლამენტარებს შორის არსებულ წინააღმდეგობათა ძირითადი ნაწილი. როგორც იქნა, გვირაბის ბოლოს სინათლე გამოჩნდა. დეპუტატები კამათს აგრძელებდნენ, მაგრამ ცხადი იყო, რომ საქმე კომპრომისისკენ მიდიოდა. განსაკუთრებულ დავას იწვევდა 69-ე პუნქტი, რომლის ძალითაც პრეზიდენტს უფლება არ ჰქონდა მონაწილეობა მიეღო რომელიმე პოლიტიკური პარტიის საქმიანობაში. პროექტიდან ჩანაწერი ამოიღეს, მაგრამ კოსტავას საზოგადოებამ ეს მწვავედ გააპროტესტა. სანერძლივი დებატების შემდეგ ქვანიამ განაცხადა, რომ კონსტიტუცია იქმნება ყველასთვის და არა რომელიმე კონკრეტული პარტიისთვისო. საბოლოოდ მიიღეს ვარიანტი, რომელიც პრეზიდენს არ უკრძალავდა პოლიტიკური პარტიის საქმიანობაში მონაწილეობას. 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა ახალი კონსტიტუცია მიიღო. საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკად გამოცხადდა. გაუქმდა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა. სახელმწიფოს მეთაური მთავრობის მეთაურიც გახდა. კონსტიტუცია აღიარებდა ყველა დემოკრატიულ უფლებას და გამოდიოდა მათი დაცვის გარანტად. მასში დაფიქსირდა ქართული სამოციქულო ეკლესიისა და მართლმადიდებლობის განსაკუთრებული როლი ქართველი ხალხის ისტორიაში. ოკუპირებული ტერიტორიების გამო კონსტიტუციაში არ შევიდა საქართველოს ტერიტორიული მოწყობის განმსაზღვრელი მუხლები. ქვეყნის ძირითად კანონში ნათქვამი იყო, რომ ორპალატიან საპარლამენტო სისტემაზე გადასვლა მოხდება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ.

საერთაშორისო ექსპერტებმა საქართველოს ახალ კონსტიტუციას მაღალი შეფასება მისცეს. დაინიშნა კონსტიტუციაზე საზეიმო ხელმოწერის დღეც - 29 აგვისტო.

29 აგვისტოს, 18 საათსა და 40 წუთზე, შევარდნაძე პარლამენტის შენობიდან (ყოფილი „იმელი“) ეზოში ჩავიდა და პეტრე

მამრაძესთან და ვახტანგ რჩეულიშვილთან ერთად მანქანაში ჩაჯდა. ისინი კონსტიტუციაზე საბეიმო ხელმოწერის ცერემონიალზე დასასწრებად მოსწავლეთა სასახლისკენ მიემართებოდნენ. პრეზიდენტის მანქანა დაიძრა და გვერდით მდგომ „ნივას“ გაუსწორდა. გაისმა ძლერი აფეთქების ხმა. ყველაფერი ცეცხლის ალში გაეხვია. „ნივას“ საბარგულში დამონტაჟებული ნაღმის აფეთქების ტალღამ „მერსედესში“ მსხდომ პირებს თავზე გადაუარა. პრეზიდენტი და მისი თანმხლები პირები გადარჩნენ. შევარდნაძე, მამრაძე, რჩეულიშვილი და მძღოლი თანდაშვილი მხოლოდ მსუბუქად დაშავდნენ.

შევარდნაძე სასწრაფოდ გადაიყვანეს მე-9 საავადმყოფოში, საიდანაც ის გაძლიერებული დაცვით კრწანისში, თავის რეზიდენციაში წავიდა. ჯემალ გახოკიძე, რომელიც მაშინ შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარედ მომაობდა, იხსენებს: „მოხდა თუ არა ტერაქტი, ჩვენ, რამდენიმე კაცი: მე, კახა თარგამაძე, თემურ მურღულია, გურამ ქარქაშაძე, ზურაბ ჩხაიძე და სხვ. გავემგზავრეთ შემთხვევის ადგილზე... შოთა კვირაია გაემგზავრა თბილისის მე-9 საავადმყოფოში ედუარდ შევარდნაძის სანახავად.... დაახლოებით 40 წუთის შემდეგ მე და კახა თარგამაძე წამოვედით შინაგან საქმეთა სამინისტროში. შეველი თუ არა კაბინეტში მაშინვე შემომყვა ჩემი ახლო ნაცნობი ადეკატი და აღელვებული მეუბნება ასეთ ამბავს, რომ ის იმყოფებოდა იმელის შენობაში და როცა გამოვიდა შენობის მარჯვენა მხრიდან, იქ, სადაც ახლა დგას მერაბ მამარდაშვილის ბიუსტი, უკანა კიბეებით ჩავიდა ქვევით. რამდენიმე საფეხური ჰქონდა კიდევ დარჩენილი, რომ გაისმა იმელის ეზოში მძლავრი აფეთქების ხმა. ამ დროს კიბეებთან იდგა თეთრი „07“ მარკის ჟიგული და კარგად დაინახა მძღოლის გვერდით მჯდომი მხედრიონის ერთერთი ხელმძღვანელი გიგა გელაშვილი. მძღოლი ვერ დაინახა. მოხდა თუ არა აფეთქება გიგა გელაშვილის ავტომანქანა უკანა სვლით, არანორმალური სიჩქარით მოშორდა იქაურობას. ადვოკატი, რომელიც ძალიან გამოცდილი პიროვნება გახლდათ და მაღალი კლასის იურისტად ითვლებოდა, მარწმუნებს, რომ ამ აფეთქებასთან აუცილებლად გიგა გელაშვილს რაღაც აკავშირებდა. ამასობაში დაღამდა. საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება. მანამდე მე და კახას გვქონდა გარკვეული თხოვნები სახელმწიფოს მეთაურთან. იგი ამ მომენტისთვის უკვე კრწანისში იმყოფებოდა თავის რეზიდენციაში. ჩვენი მისვლა იქ არ გამოდი-

ოდა. მე ეთსოვე შეხვედრა ნუგზარ საჯაიას და მართლაც ნახევარ საათში შეეხვედით არაყიშვილის ქუჩაზე, ვაკის პოლიციასთან. მას თან ახლდა სახელმწიფოს მეთაურის კანცელარიის უფროსი ჯემალ ბერიძე. საჯაიას აეუსსენი ვითარება და გადავეცი ჩემი და კასას თხოვნები სახელმწიფოს მეთაურთან შესათანხმებლად. დაყოვნება შეუძლებელი იყო. ის მაშინვე გაემგზავრა კრწანისში. ერთ საათში კაბინეტში დამირეკა და მითხრა სულ სამი სიტყვა: თქვენი თხოვნები დაკმაყოფილებულიაო. რამდენიმე დღეში მსედრიონის ხელმძღვანელობის დიდი ნაწილი დაკავებული იყო. ოპერაციის ჩატარების საერთო ხელმძღვანელობას უზრუნველყოფდა მინისტრი შოთა კვირაია. დაიწყო მსედრიონის, როგორც კრიმინალური ორგანიზაციის დასარულის დასწყისი."[306]

სახელმწიფოს მეთაურზე განხორციელებული ტერაქტის მეორე დღეს მოსკოვიდან თბილისში ჩამოფრინდა იგორ გიორგაძე.მან მაშინვე 10 ზვიადისტი დაიჭირა და სახელმწიფოს მეთაურის წინააღმდეგ განხორციელებილი ტერაქტის მათთვის გადაბრალება სცადა.[307] 2 სექტემბერს შსს-მ დააპატიმრა უშიშროების სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილე თემურ ხაჩიშვილი, და მაშველთა კორპუსის თავმჯდომარე გიგა გელაშვილი. დააკავეს უშიშროების სამსახურის ყოფილი თანამშრომელი თემურ ჯიშკარიანიც.

2 სექტემბერს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დეპუტატებმა არ გაიზიარეს ტერაქტის თაობაზე იგორ გიორგაძის მიერ შემოთავაზებული ვერსია და თითქმის ერთსმად მიიღეს გადაწყვეტილება უშიშროების სამსახურის უფროსის თანამდებობიდან მისი გათავისუფლების შესახებ. დაკავებულების ჩვენებებიდან ცხადი გახდა, რომ შევარდნაძის მიმართ განხორციელებული ტერაქტი იგორ გიორგაძის მამის - პანტელეიმონ გიორგაძის ბინაში გიგა გელაშვილის, თემურ ხაჩიშვილის და სპეცდანიშნულე-

---

[306] .ჯემალ გახოკიძე, ბეწვის ხიდზე, თბ. 2013, გვ. 18-19;

[307] . 29 აგვისტოს ტერაქტის ორიგინალური ვერსია წამოაყენეს ზვიადისტებმაც. მათი აზრით, საკუთარ თავზე ტერაქტი დაგეგმა და განახორციელა თვით შევარდნაძემ. არადა, სპეციალისტების შეფასებით სახელმწიფოს მეთაურის მანქანაში მსხდომთა გადარჩენის შანსი, პრაქტიკულად, ნულის ტოლი იყო. გამოდის, შევარდნაძე მსოფლიოს ყველა დროის ყველაზე გაბედული კასკადიორი ყოფილა!

ბის რაზმის - „ალფას“ მეთაურის, გელა პაპუაშვილის [illegible] მონაწილეობით უშუალოდ იყორ გიორგაძეს დაეწყო [illegible] ზრახველთა დაპატიმრების შემდეგ გიორგაძეს საფრანგეთი და ვაშიანის რუსული ბაზიდან საშხედრო თვითმფრინავით [illegible] კოვში გადაფრინდა. დააპატიმრეს ტერაქტის უშუალო შემსრულებლები: უშიშროების სამსახურის ოპერატიული დეპარტამენტის საშპარიველოს უფროსი, პოლკოვნიკი იური გულიევი, საინფორმაციო ცენტრის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი ედუარდ ნასყიდაშვილი, იყორ გიორგაძის პირადი დაცვის უფროსი, სპეცრაზმ „ალფას“ წევრი, კაპიტანი გურამ პაპუკაშვილი, სპეცრაზმ „ომეგას“ წევრები ავთანდილ გოგაგიშვილი და გოგა გოგიტიძე. მაშველთა კორპუსის წევრები, მხედრიონელი გოჩა გელაშვილი, გოჩა თედიაშვილი, ნიკოლოზ გედევანიშვილი, ზურაბ ქარსელაძე, ჯუმბერ საყვარელიძე და სხვები.

გამოძიების პროცესში გამოიკვეთა ტერაქტის კონკრეტული დეტალები: გაირკვა, რომ „07“ მარკის ქიგულში ისხდნენ გოგა გელაშვილი და გურამ პაპუკაშვილი. პულტი ხელში ეჭირა გურამ პაპუკაშვილს. სახემწიფოს მეთაურის მანქანის დაძერისთანავე გელაშვილმა უბრძანა პაპუკაშვილს დაეჭირა ხელი ღილაკისთვის, მაგრამ ამ უკანასკნელს ნერვებმა უმტყუნა. მაშინ გელაშვილმა მას ხელიდან გამოსტაცა პულტი და ღილაკს თითი დააჭირა. ამან აფეთქების 5-6 წამით დაყოვნება გამოიწვია. შეარდნაძის მანქანა რამდენიმე მეტრით დაშორდა დანაღმულ „ნივას“, ეს კი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მანქანაში მსხდომნი გადაჩენილიყვნენ.

თემურ ხაჩიშვილის ბინიდან ამოღებულ იქნა საბრძოლო მასალები და დისტანციური მართვის ასაფეთქებელი მოწყობილობა. პარლამენტის შენობის ჩხრეკისას ჯაბა იოსელიანის კაბინეტიდან ამოიღეს 50 ამპულა ინდური ნორფინი, 500 აბი კოდეინი, სხვადასხვა სისტემის გაუფორმებელი იარაღი. 30 აგვისტოს პროკურატურამ დეპუტატის სტატუსის შესახებ კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად - დანაშაულის ფაქტზე წასწრება - გასცა იოსელიანის დაპატიმრების სანქცია. თუმცა, მაშინ გარკვეული მოსაზრებებით სანქციის რეალიზება არ მომხდარა. საქართველოს გენერალური პროკურორი ჯამლეთ ბაბილაშვილი აცხადებდა, რომ პროკურატურა სწავლობს ჯაბა იოსელიანის შემხებლობას მომხდარ დანაშაულთან. 31 აგვისტოს და პირველ სექტემბერს, დამატებით ჩატარებული ჩხრეკის დროს, პროკურატურამ პარ-

ლამენტის შენობიდან ამოიღო მაშველთა კორპუსის კუთნილი 32 ერთეული ავტომატი, ერთი ხელის ტყვიამფრქვევი, ორი ცალი ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნი, 6 ცალი ხელყუმბარა, დიდი ოდენობით სხვა სახის სამხედრო აღჭურვილობა და ასაფეთქებელი ნივთიერება. აშკარად გამოიკვეთა ჯაბა იოსელიანის ბრალეული კაეშირი 29 აგვისტოს და სხვა ტერორისტულ აქტებთან.[308]

18 სექტემბერს ტელევიზიით დასახელდნენ ტერორისტული აქტის მოთავენი - გიგა გელაშვილი და თემურ ხაჩიშვილი. გამოცხადდა ძებნა ტერაქტის მთავარ ორგანიზატორზე - იგორ გიორგაძეზეც. ამის მიუხედავად, 3 ოქტომბერს რუსეთის ცენტრალური ტელევიზიის საეთერო დრო დაეთმო წითელი ცირკულიარით ძებნილ იგორ გიორგაძეს, რომელმაც აბსურდული ბრალდებები წაუყენა საქართველოს ხელისუფლებას და მის ლიდერს. ეს ფაქტი ნათლად მოწმობდა, თუ ვინ მფარველობდა საქართველოს უშიშროების სამსახურის ყოფილ უფროსს. 1997 წლის 9 ივლისს გაზეთმა „ალიამ" გამოაქვეყნა ინტერვიუ იგორ გიორგაძესთან. გიორგი მელაძის კითხვაზე, თუ რა მოხდა 1995 წლის 29 აგვისტოს, გიორგაძე პასუხობს: „მე რომ 1995 წლის 5 ნოემბერს პრეზიდენტის პოსტზე ჩემი კანდიდატურა წამომეყენებინა (რისიც შევარდნაძეს პანიკურად ეშინოდა) მაშინ ჩემს ხელთ არსებული საშუალებებით არჩევნების ფალსიფიცირებას არ დაეუშვებდი და მაშინდელი რეიტინგით შევარდნაძეს ხელისუფლებაში დარჩენის შანსი პრაქტიკულად არ ჰქონდა. ეს კი შევარდნაძისთვის არა მარტო პოლიტიკური, არამედ მის მიერ ჩადენილი კონკრეტული და მრავალრიცხოვანი დანაშაულობებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხს წარმოშობდა. მოვლენათა ასეთი განვითარება რომ არ დაეშვა, მან 1995 წლის 29 აგვისტოს მის პერსონაზე თავდასხმის ფარსი გამოიყენა და არჩევნებამდე ორი თვით ადრე ჩემგან წინდახედულად გათავისუფლდა".[309]

თავი რომ დავანებოთ იმ სრულ სიყალბეს, რასაც გიორგაძე თავის მაშინდელ ავტორიტეტზე აერცელებს, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ შევარდნაძის მიერ მოწყობილი ტერაქტის

---

[308] . გაზ „საქართველოს რესპუბლიკა", 16 ნოემბერი, 1995;

[309] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 9 ივლისი, 1997;

ფარსი: რომელი კასკადიორი ჩაჯდებოდა მანქანაში, რომლის ახლოსაც, სულ რაღაც ორ მეტრში, ასეთი ძალის აფეთქება უნდა მომხდარიყო?

29 აგვისტოს ტერორისტული აქტი შეუახლდა, როგორც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. მსოფლიო ტერორიზმის ისტორიაში ძალზე გაჭირდება მსგავსი ანალოგის მოძებნა, როდესაც ტერორისტულ აქტს გეგმავს და ახორციელებს არა ოპოზიციური ძალა, არამედ სახელმწიფოს უშიშროების სამსახური.

15 ნოემბერს შსს-მ მიიღო ოპერატიული ინფორმაცია, რომ იგორ გიორგაძის მსგავსად, ჯაბა იოსელიანიც უცხოეთში გაქცევას აპირებდა. გადაწყდა იოსელიანის დაუყოვნებლივ დაპატიმრება. ამ დროისთვის საპარლამენტო არჩევნები უკვე ჩატარებული იყო, მაგრამ საარჩევნო კომისიისიის წევრებს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებზე ხელი მოწერილი ჯერ კიდევ არ ჰქონდათ. ამიტომ საარჩევნო კომისიამ მიიჩნია, რომ იოსელიანის, როგორც დეპუტატობის კანდიდატის ვადა ამოწურული არ იყო. პროკურატურამ შეისწავლა საკითხი და დაადგინა, რომ ნაძალადევის ოლქში, სადაც კენჭს იყრიდა იოსელიანი, შედეგები 8 ნოემბრისთვის იყო შეჯამებული. შესაბამისად, ის უკვე აღარ იყო დეპუტატობის კანდიდატი. იგივე ვითარება იყო პროპორციული სისტემის მიხედვით ჩატარებული არჩევნების კუთხითაც. 9 ნოემბერს გამოქვეყნდა ცესკო-ს ოფიციალური ცნობა, თუ რომელმა პარტიამ რამდენი ხმა მიიღო. საზოგადოება „არჩევანმა“, რომლის სიითაც იოსელიანი გადიოდა, ამომრჩეველთა ხმების მხოლოდ 0,17 პროცენტი მოაგროვა. ცხადი იყო, რომ ამ სიითაც იოსელიანი პარლამენტში ვერ მოხვდებოდა. ყოველივე ამის გამო პროკურატურამ დაასკვნა, რომ საარჩევნო კომისიის თანხმობა იოსელიანის დაპატიმრებაზე საჭირო აღარ იყო. მხედრიონის ლიდერი იმ დღესვე დააკავეს.

5 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში შევარდნაძემ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. მან ხმების 74 პროცენტზე მეტი აიღო. მისმა ძირითადმა მეტოქემ - ჯუმბერ პატიაშვილმა კი მხოლოდ 19 პროცენტი. შევარდნაძის ასეთი დიდი უპირატესობით გამარჯვება ერთი მხრივ, რეალური ალტერნატივის არარსებობის, მეორე მხრივ კი არჩევნების გაყალბების შედეგი იყო. ამ დროისთვის ხელისუფლება არჩევნების გაყალბების უამრავ ბერკეტს ფლობდა. ეს იყო საარჩევნო სიების მკვდარი სულებით გაზრდა, საარჩევნო ყუთებში ყალბი ბიულეტენების მა-

სობრიეი ჩაყრა, ე. წ. კარუსელების დატრიალება, კომისიების სხდომის ოქმების გაყალბება, ხელისუფლების „სმების ბეღელს“ წაროადგენდნენ ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონები - ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი, პოლიციისა და ჯარის საარჩევნო უბნები და ა. შ. ყველა ეს ბერკეტი შეეარდნაძემ წარმატებით გამოიყენა 1992 წლის არჩევნებში, რის შედეგადაც პარლამენტში პოლიტიკურ ძალთა სასურველი კონფიგურაცია შექმნა. ეს „ტრადიცია“ არც 1995 წლის არჩევნების დროს დარღვეულა. ქართული არჩევნები, როგორც წესი, ერთმანეთის შეურაცხყოფის, გინებისა და გაწევ-გამოწევის ფონზე იმართება. ამ მხრივ გამონაკლისი არც 1995 წლის არჩევნები ყოფილა.

1995 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს მინიმალური ბარიერი 5 პროცენტს შეადგენდა. ეს ბარიერი არჩევნებში მონაწილე 54 პარტიიდან და პოლიტიკური ბლოკიდან მხოლოდ სამმა ძალამ გადალახა. ამომრჩეველთა 61 პროცენტმა კი ხმა სწორედ ამ პარტიებს მისცა. მოქალაქეთა კავშირმა ხმების 23 პროცენტზე მეტის აღება ვერ შეძლო, მაგრამ მაშინ მოქმედი საარჩევნო კანონის წყალობით პარლამენტში ადგილების 2/3 მას ხვდა წილად. მხოლოდ პარტიული სიებით მოქალაქეთა კავშირმა 111 ადგილიდან 90 ადგილი აიღო.[310] პროპორციული სისტემის მთავარი ნაკლი, სიებში პოლიტიკური ლიდერის შეგობრებისა და ნათესაეების დიდი ხვედრითი წილი, ხელს უწყობდა პარლამენტში მდარე პოლიტიკური კულტურისა და განათლების ადამიანების მოხვედრას.

ახლადარჩეულმა პარლამენტმა თავმჯდომარედ ზურაბ ჟვანია აირჩია. 12 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება სახელმწიფო მინისტრად ნიკო ლეკიშვილის დანიშვნის შესახებ.

პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე ახალგაზრდა რეფორმატორის, სახელმწიფო მინისტრის პოსტზე კი საბჭოური ეპოქის პარტიული ფუნქციონერის მოსვლა ნიშნავდა, რომ ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებს შორის ჰარმონიული თანამშრომლობა შეუძლებელი იქნებოდა.

---

310 . სტიუენ ჯონსი, „საქართველო პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ,“ თბ. 2013, გვ. 217-218;

§ 6.4 ეკონომიკური და სოციალური მითარების გაუმჯობესება

1995 წლის მეორე ნახევრიდან ქვეყანაში დაიწყო ეითარების უკეთესობისკენ შეცვლის პროცესი. შსს-ს მიერ რესპუბლიკის რეგიონებში განხორციელებულმა 20-ზე მეტმა ფართომასშტაბიანმა ანტიკრიმინალურმა ოპერაციამ ქვეყანაში კრიმინოგენული ეითარება საგრძნობლად გააუმჯობესა. განიარაღდა ათეულობით უკანონო სამხედრო დაჯგუფება, დაპატიმრებული ან განადგურებული იქნა სამი ათასამდე დამნაშავე, წესრიგი დამყარდა საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალებზე. პოლიციის მიერ დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ გამოყენებულმა არაორდინალურმა სერხებმა, კერძოდ, ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში მძიმე ტექნიკის გამოყენებით რაუნდების სახით კარგად მომზადებულმა და ჩატარებულმა ანტიკრიმინალურმა ოპერაციებმა საშუალება მისცა მას თაეიდან აეცილებინა კრიმინალების ორგანიზებული წინააღმდეგობა და, აქედან გამომდინარე სისხლისღერა. პოლიციას ჩამოშორდა ბევრი უღირსი თანამშრომელი, რომელთა დიდი ნაწილი პასუხისგებაში იქნა მიცემული. 1994 წლის დეკემბერში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხარდაჭერით ამოქმედდა 12-თვიანი პროგრამა. შემოდინება დაიწყო მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პირველმა სესხებმაც. საქართველოს 850 მილიონი დოლარის საგარეო ვალის ნაწილი ჩამოაწერეს. 1995 წელს სისტემატური ვარდნის შემდეგ პირველად დაფიქსირდა ეკონომიკის 2,4 პროცენტიანი ზრდა. ამან, თაეის მსრივ, ხელი შეუწყო მოსახლეობაში ოპტიმიზმის გაჩენას. 1995 წელს მოსახლეობის 45 პროცენტი აცხადებდა, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდება, რაც 28 პროცენტიანი ზრდა იყო 1994 წელთან შედარებით. ამაეე დროს, დამოუკიდებლობის აღდგენით გამოწვეული მოსახლეობის ეიფორიული განწყობა ნელ-ნელა უბრუნდებოდა ზომიერ კალაპოტს. სულ უფრო მეტი ადამიანი აცნობიერებდა, რომ მარტოოდენ შიშველი პატრიოტიზმით და ბორჯომის წყლით შორს ვერ წახვალ.

1995 წლის ოქტომბრიდან შემოღებულ იქნა ქართული კონეერტირებული ვალუტა - ლარი. მისი თაედაპირველი კურსი აშშ-ის დოლართან მიმართებაში განისაზღერა 1 აშშ დოლარი = 1, 35 - ლარს. სრულიად გაუფასურებული კუპონის (1994 წელს 1 აშშ დოლარი 1 350 000 კუპონს უდრიდა) ნაცვლად მყარი ეროენული ვალუტის შემოღებამ პოზიტიური გაელენა მოახდინა ქვეყნის

ეკონომიკაზე. ჯერ კიდევ 1994 წლის თებერვალში სახელმწიფოს მეთაურმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას „საქართველოს რესპუბლიკის ანტიკრიზისული პროგრამისა და 1994-1995 წლებში ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი პრინციპებისა და პროგნოზების შესახებ“, რის საფუძველზეც დაიწყო ფასების ლიბერალიზაცია, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სრულყოფა, თავისუფალი საშინაო და საგარეო ვაჭრობა და ა. შ. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა ლარის სტაბილიზაციისთვის ფინანსური დახმარების პირველი ტრანში გადმორიცხეს. 1996 წელს საქართველოს ეკონომიკაში უცხოეთის საფინანსო და სამრეწველო ორგანიზაციებმა 86 მილიონ 439 ათასი, 1998 წელს კი - 400 მილიონ 989 ათასი ლარი ჩადეს.[311]

ეკონომიკური რეფორმების პირველი ეტაპი საბანკო კაპიტალის განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩეოდა. ქვეყანაში უამრავი კერძო ბანკი შეიქმნა, რომლებიც უზარმაზარი მოგების სანაცვლოდ მოსახლეობას თაეიანთი დანაზოგების მათთან დაბანდებას სთავაზობდნენ. გაჭირვებული მოსახლეობა ადვილად ეგებოდა მათ ანკესზე. ძალიან მალე ასეთი ბანკები ან კოტრდებოდნენ, ან მათი დამფუძნებლები საეჭვოდ უჩინარდებოდნენ და მეანაბრეებს პირში ჩალაგამოვლებულებს ტოვებდნენ.

საქართველოსთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „ტრანსკავკასიური საგრანსპორტო დერეფნის“ იდეის რეალიზაციას. ძველი „აბრეშუმის გზის“ აღორძინების იდეა შეეარდნაძეს ეკუთვნოდა, რომლის პროპაგანდას ის საერთაშორისო შეხვედრებზე ჯერ კიდევ 1993 წლიდან ეწეოდა. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ჩვენს ქვეყანას უნიკალურ შანსს აძლევდა ყოფილიყო ტვირთების გამტარი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. მაშინ, 1993 წელს, პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი, თვით ექსპერტებიც კი, ამ იდეას მისი ავტორის რეალობას მოწყვეტილ ფანტაზიად მიიჩნევდნენ. მართლაც ძალზე ძნელი იყო იარაღიანი ხალხით მოთარეშე და გაპარტახებული ქვეყანის ადგილზე გაცხოველებული საგრანსპორტო მაგისტარალების წარმოდგენა. თუმცა, მოგვიანებით ამ იდეით საერთაშორისო ორგანიზაციებიც დაინტერესდნენ. ევროკომისიის ინიციატივით შეიქმნა „ტრასეკას“ პროგრამა. გამოიყო პირველი ტრანშიც საქართველოს საგ-

[311] . საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, 2001, თბ. 2002, გვ. 2012;

რანსპორტო არტერიის რეაბილიტაციისთვის. მოწესრიგდა ხაშურ-ლისნის, ძირულა-შორაპნის სარკინიგზო გადასარბენები, დაიწყო ფოთი-ოდესის საბორნე ტერმინალის მშენებლობა.

ამავე დროს, იგივე გეოგრაფიული მდებარეობა საქართველოსთვის წყევლადაც იქცა. ქვეყნის საეჭრო მარშრუტებმა ძლიერი მეზობლებისა და კრიმინალური სამყაროს ყურადღებაც მიიპყრო. საქართველოს წინააღმდეგ მისი ჩრდილოელი მეზობლის გამუდმებული პროვოკაციები და პირდაპირი სამხედრო აგრესია ჩვენს ქვეყანას ინვესტორების თვალში მიმზიდველობას უკარგავდა. საქართველო არა მხოლოდ საეჭრო ტვირთების, არამედ ნარკოტიკების გამტარ ქვეყნადაც იქცა.

გამსახურდია, იმის შიშით, რომ ფასების გაზრდა მის პოპულარობას შეამცირებდა, რეფორმების განხორციელებაზე უარს ამბობდა. მის დროს ქვეყანაში სახელმწიფო კაპიტალიზმის ყველაზე უარესი ფორმა ჩამოყალიბდა. 1992 წელს შევარდნაძის მიერ დაწყებული რეფორმები აფხაზეთის ომმა შეაჩერა. თუმცა მიწისა და ბინების პრივატიზაციის, გადასახადების რესტრუქტურიზაციის კურსი სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები იყო. 1991-1994 წლები გარდამავალ პერიოდში მყოფი საქართველოსთვის უმძიმესი პერიოდია. ამ წლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდი დაჟინებით მოითხოვდა დღგ-ს დანერგვას, ეწეოდა მინიმალისტური სახელმწიფოს, ანუ ეკონომიკაში სახელმწიფოს მინიმალურად ჩარევის კურსის პროპაგანდას და სხვ. მაგრამ მაშინ მთავარი პრობლემა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა კი არა, სახელმწიფოს სისუსტე და განუვითარებელი კერძო სექტორი იყო. ისედაც განადგურებულ ეკონომიკას კორუფცია ღრნიდა, გადასახადები არ იკრიბებოდა, ენერგოსექტორში გაბატონებული მაფია გამუდმებით იპარავდა ახალი სიმძლავრეების ამუშავებისთვის გამოყოფილ სახელმწიფო სახსრებს, გამომუშავებულ ელექტროენერგიას კი სახელმწიფოსგან ფარულად საზღვარგარეთ ყიდდა. და ეს მაშინ, როდესაც საკუთარი ქვეყნის მოსახლეობას დენი კვირეების მანძილზე არ მიეწოდებოდა. ბიუჯეტის სახსრების დატაცების კვალის დაფარვისთვის ენერგომაფია არცთუ იშვიათად აწყობდა ხელოვნურ ავარიებს ენერგობლოკებში. 1992-1995 წლებში შავი და ფერადი ლითონის ჯართის გატანაზე მთავრობის მიერ გამოცემულმა უკანონო აქტებმა ხელი შეუწყო მოსახლეობის მიერ ჯართის დანაშაულებრივი გზით დამზადებასა და გასაღებას. კავშირგაბმულობის სამინისტროს

მონაცემებით მხოლოდ 1994 წელს სამინისტროს ობიექტებზე მოხდა კაბელების გატაცების 216 შემთხვევა. დატაცებული კაბელების რაოდენობამ 19 ათას კილომეტრამდე, ხოლო აღდგენითი სამუშაოების ღირებულებამ 300 ათას რუბლზე მეტი შეადგინა. სამინისტროს ზარალმა მილიარდ რუბლს გადააჭარბა. ასეთივე მდგომარეობა იყო რკინიგზაზე, სოფლის მეურნეობაში, ენერგეტიკის საწარმოებში, ნავთობსადენებზე, გაზსადენებზე და ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სხვა ობიექტებზე.[312] ასეთ პირობებში მთავარი საზრუნავი სახელმწიფოს გაძლიერება იყო და არა მისი კიდევ უფრო დასუსტება.

და მაინც, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დახმარებას უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ეკონომიკის გადარჩენისთვის. 1990-იან წლებში ქვეყნის ბიუჯეტის ნახევარზე მეტი სწორედ მათი სესხებისა და გრანტების ხარჯზე იესებოდა. საგალუტო ფონდის მეშვეობით მოხერხდა უცხოური ვალის რესტრუქტურიზაცია. მეტად დამაიმედებელი იყო 1995-1998 წლების მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მაჩვენებლები. ეკონომიკის ყოველწლიური ზრდა 8-12 პროცენტს აღწევდა, 1993 წელს ამ მაჩვენებლმა 13 პროცენტიც კი შეადგინა, დაბალი იყო ინფლაციის დონეც (1997 წლის 9 თვეში ინფლაციამ 0,3 პროცენტი შეადგინა), გამართულად მუშაობდა ფულად-საკრედიტო სისტემა, განხორციელდა ხელფასების ორგზისი მატება, გაფართოვდა ეკონომიკური კავშირებიც.[313] 1997 წლის იანვარში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის მიხედვით 1996 წელს საქართველოს მოსახლეობის 60 პროცენტი ეკონომიკის გამოცოცხლების, პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობის წლად მიიჩნევდა, 17 პროცენტი თვლიდა, რომ მდგომარეობა უცვლელია და მხოლოდ 11 პროცენტის აზრით ადგილი ჰქონდა ვითარების გაუარესებას.[314] საქართველოს იმ წლების ეკონომიკურმა წარმატებებმა ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, რომ თითქოს, ასალი „აზიური ვეფხვი“ იბადებოდა.[315]

---

312 . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 14 ივნისი, 1997;

313 . მაყვალა ნათმელაძე, ალექსანდრე დაუშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია, თბ. 2004, გვ. 423;

314 . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 6 იანვარი, 1997;

315 . სტივენ ჯონსი, „საქართველო პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ.“ თბ. 2013, გვ. 270;

§ 6.5 სტაბილიზაციიდან კვლავ ეკონომიკური კოლაფსისკენ

1995-1998 წლების ეკონომიკურ სტაბილიზაციას ეკონომიკის მდგრადი აღორძინება არ მოჰყოლია. 1998 წელს რუსეთში დაწყებულ ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით ბევრი სვამდა კითხვას: „საქართველოსაც ხომ არ ემუქრება მსგავსი კრიზისი?“ პასუხი დამაიმედებელი და ძალზე ლოგიკური იყო: „ეკონომიკური კრიზისი იმ ქვეყანაში ხდება, რომელსაც ეკონომიკა გააჩნია. ჩვენ კრიზისი არ გვემუქრება, რადგან ეკონომიკა არა გვაქვს.“ ამის მიუხედავად, სერიოზული კრიზისის ნიშნები უკვე 1998 წლის სექტემბერ-ოქტომბერში გამოჩნდა. მკვეთრად იკლო ბიუჯეტის შემოსავლებმა. 1998 წელს შემოსავლების გეგმა 93,6 პროცენტით, ხოლო საგადასახადო შემოსავლების 79,2 პროცენტით შესრულდა.[316] კვლავ დაიწყო ხელფასების და პენსიების დაგვიანებები, რამაც სოციალური დაძაბულობა წარმოშვა. შეირყა ლარის კურსიც - ერთი დოლარი 2 ლარს გაუტოლდა. პარლამენტი იძულებული გახდა ბიუჯეტის სეკვესტრი განეხორციელებინა.

შევარდნაძემ სასწრაფოდ შეცვალა ფინანსთა მინისტრი. გამოცდილი დავით იაკობიძის ადგილი ნიჭიერმა, მაგრამ სრულიად გამოუცდელმა, ახალგაზრდა მიხეილ ჯკუასელმა დაიკავა. 29 წლის ახალმა ფინასთა მინისტრმა პარლამენტს „ეკონომიკური გარღვევის“ დოქტრინა წარუდგინა, რომელშიც შექმნილი კრიზისის მიზეზებად დასახელებული იყო: „სოციალისტური ეკონომიკისთვის დამახასიათებელი ინსტიტუციონალური მოწყობა, არაეფექტური ინსტიტუტები, რომლებიც არ ითვალისწინებენ ბიზნესის ინტერესებს, სუსტი და რაოდენობრივად მცირე მესაკუთრეთა ფენა, მასში ყოფილი ხელმძღვანელების სიჭარბე, დაუხვეწავი საკანონმდებლო ბაზა, თავისუფლად მოაზროვნე და საბაზრო ეკონომიკისთვის საჭირო მაღალკვალიფიციური კადრების არარსებობა, სუსტი პოლიტიკური ნება, საზოგადოების ზედმეტი პოლიტიზაცია, უუნარო და კორუმპირებული აპარატი“.[317]

---

316 . მაყვალა ნათმელაძე, ალექსანდრე დაუშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია,“ თბ. 2004, გვ. 419;

317. მაყვალა ნათმელაძე, ალექსანდრე დაუშვილი, „საქართველოს უახლესი ისტორია,“ თბ. 2004, გვ. 424;

ეკონომიკურმა სიძნელეებმა გაართულა საქართველოს ურთიერთობა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან, რომლებიც სწირად წყვეტდნენ მორიგი ტრანშის, თუ საჭირო სუბსიდიების გაცემას.

შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის უმთავრესი მიზეზი თავაშვებული კორუფცია გახლდათ. მასზე გაუთავებლად ლაპარაკობდნენ. თითქოს, ყველას ესმოდა კორუფციის დამანგრეველი, გამაჩანაგებელი გაელენა ეკონომიკაზე და, საერთოდ, საზოგადოებაზე. კორუფციამ ძირი გამოუთხარა რეფორმებს და სახელმწიფოს უსაფრთხოებას დაემუქრა. შევარდნაძე მიმართავდა თავის აქტივს: „ამ დარბაზში მსხდომთ ყველას რომ სელი სუფთა ჰქონდეს, კორუფციას ჩვენ იოლად დავამარცხებდით. ნუ გეწყინებათ." მწერალსა და კრიტიკოს თამაზ წიფწიავაძეს, მოჰყავდა შევარდნაძის ეს სიტყვები და მიმართავდა მას: „ნურც თქვენ გეწყინებათ, ბატონო პრეზიდენტო, და კორუფციას თათბირებით ვერ დავამარცხებთ! კორუფციასთან ბრძოლას კორუმპირებული ადამიანების თანამდებობიდან გათავისუფლება უნდა!"[318] უმაღლესი რანგის სახელმწიფო ჩინოვნიკებმა უზარმაზარი სიმდიდრე მოისვეჭეს. ანტიკორუფციულ ღონისძიებებზე პასუხისმგებელი სამი უწყება - უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები და გენპროკურატურა ყველაზე მეტად იყვნენ კორუმპირებულები. ამ უწყებების თანამშრომლები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კრიმინალებთან თანამშრომლობდნენ. ისინი ერთობლივად აკონტროლებდნენ საქართველოს საზღვრებზე ტრეფიკინგს და ნარკოტიკების მოძრაობას. რესპუბლიკის გზებზე გამოფენილი აეტოინსპექტორები მძღოლებისთვის ფულის გამოძალვით იყვნენ დაკავებულნი.[319]

---

318 თამაზ წივწივაძე, „მომისმინე, თორემ დაგარტყამ!" გაზ. საქართველოს რესპუბლიკა", 1 მარტი, 1997'

319 . საქართველოს გზებზე არსებულ ვითარებას კარგად ასახავს ანეკდოტი, რომელიც თურქეთიდან აზერბაიჯანში ვალეს საბაჟოს გაელით შიმავალმა აზერბაიჯანელმა მძღოლმა მიაშბო. ამ მძღოლს ახალციხიდან თბილისამდე დავემგზავრე. იგი ყოველ 10-15 კილომეტრში მდგომ აეტოინსპექტორთან თავისით აჩერებდა და ყოველ მათგანს ხუთ-სუთ ლარს აძლევდა. „მარცხენა" საქონელი მოგაქვს"-მეთქი? - ვკითხე. „არა, საბუთები სრულ წესრიგში მაქვსო," - მიპასუხა. „მაშ, აეტოინსპექტორებს ფულს რაღატომ აძლევ"-? ვკითხე ისევ. „ჩემმა ნაცნობმა მძღოლმა არ მისცა, მას ნარკოტიკი ჩაუდეს

გაგეთ „დრონის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ ირაკლი ბათიაშვილის სტატია ასე იყო დასათაურებული: „კორუფციის ფლაგმანი დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროა“.[320] ირინა სარიშვილი საჯაროდ ადანაშაულებდა კახა თარგამაძეს კორუფციაში, სპირტის, ბენზინის, სიგარეტის ბიზნესთან ალიანსში, ავტომანქანების მართვის მოწმობების და ტექნიკური პასპორტების ახალი ნიმუშების ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟში. ეს უკანასკნელი კი ასევე საჯაროდ პასუხობდა: საქმე სასამართლოში მხოლოდ იმიტომ არ შემაქვს, რომ ჩემი მოპასუხე ქალი იქნება და მამაკაცური ღირსება ამის უფლებას არ მაძლევსო.[321]

დსთ-ს ქვეყნებს შორის საქართველომ ყველაზე მეტი ანტიკორუფციული კანონი მიიღო. 1996 წელს შეიქმნა ანტიკორუფციული საპარლამენტო კომისია, რომელმაც ბრალი დასდო კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრს ფრიდონ ინჯიას 20 მილიონი დოლარის კრედიტის მითვისებასა და სატელეფონო ქსელის უკანონო პრივატიზებაში. მასალები სამართალდამცავ ორგანოებს გადაეგზავნა.[322] 1998 წელს შეიქმნა ანტიკორუფციული სამსახურიც. 2000 წელს შემუშავდა საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამა. 1998-2002 წლებში საქართველო შეუერთდა ევროპის საბჭოს სისხლისა და სამოქალაქო სამართლის კონვენციებს კორუფციის შესახებ...

საქმე კი მკვდარი წერტილიდან მაინც არ იძეროდა. „შეიძლება ეცდები, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩვენთან კორუფციის შექმნის სისტემა უფრო გვაქვს, ვიდრე მის წინააღმდეგ ბრძოლისა. და ამ დროს ჩვენ პიროვნებებს ვებრძვით. სწორედ სისტემა იძ-

---

და თავის დახსნა, 5 ლარის ნაცვლად, უკვე 1500 დოლარი დაუჯდაო“,- განმიმარტა აბერბაიჯანელმა მძღოლმა. მის მიერ მოყოლილი ანეკდოტი კი ასეთია: „ქართველმა ინსპექტორმა აზერბაიჯანელი მძღოლი გააჩერა, მაგრამ მარი ვერაფერზე მოსდო. ამიტომ ეუბნება, - უნდა დაგაჯარიმო, რადგან ქართული ენა არ იციო. მძღოლმა პასპორტში 10-ლარიანი ჩადო და ინსპექტორს მიაწოდა. ინსპექტორმა ფულს თვალი შეაცლო და მძღოლს ეუბნება: „შენ კი ამბობდი ქართული არ ეიცი. თურმე ყოფილხარ, ოღონდ სანახევროდო“. და ფული უკან დაუბრუნა. მძღოლმა კიდევ ათი ლარი დაამატა. ინსპექტორმა 20 ლარი ჯიბეში ჩაიდო და აზერბაიჯანელს კეთილი მგზავრობა უსურვა“

320 . გაზ. „დრონი“ N 51, 9 ივლისი, 1996;

321 .გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 28 თებერვალი, 1997;

322.გაზ. საქართველოს რესპუბლიკა“, 2-3 აგვისტო, 1998;

ლევა კორუმპირებულთა ტირაჟირებას და გვეგონია, რომ ერთეულების მოხსნით, დაჭერით, ხმაურიანი ფაქტებით მდგომარეობას გამოვასწორებთ",[323] - წერდა თემურ შაშიაშვილი.

თამაზ წივწივაძე სავსებით მართებულად მიუთითებდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ ნაკლზე - პოლიტიკური ნების უქონლობაზე. შევარდნაძე კარგად ამჩნევდა სახელმწიფო სტრუქტურების მუშაობის ნაკლოვან მხარეებს, ახდენდა მათ ღრმა ანალიზს, ღებულობდა საჭირო და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ... და ამით მთავრდებოდა ყველაფერი. აღარ ხდებოდა მიღებული კარგი გადაწყვეტილებების შესრულების შემოწმება. თუ ხდებოდა, მხოლოდ ფორმალურად. ბიუროკრატიამ სწრაფად აუღო ალღო შევარდნაძის მუშაობის სტილის ამ ნაკლოვან მხარეს და მშვენიერად მოერგო მას.

კორუფციის და ჩრდილოეანი ეკონომიკის უზარმაზარი მასშტაბები საფუძველშივე კლავდა ნებისმიერ კარგ წამოწყებას. 1998 წელს გერმანელებმა ქართველი გლეხების დასახმარებლად, პრაქტიკულად, უპროცენტო, მხოლოდ საბანკო მომსახურებისთვის განკუთვნილი 8 პროცენტიანი სესხი გამოყვეს. ქართველმა ფერმერებმა, გერმანელების გასაოცრად, ამ სესხის აღებაზე უარი განაცხადეს. გერმანელებს ვერც კი წარმოედგინათ, რომ სახელსუფლებო ვერტიკალში გამეფებული კორუფციის გამო გლეხებამდე მათი კრედიტი არა 8, არამედ 60 პროცენტიანი სესხის სახით აღწევდა. საოცარი რამ ხდებოდა საქართველოში: ბანკების მეანაბრენი კოტრდებოდნენ, ბანკირები კი მილიონებს შოულობდნენ, ქვეყანა სიღატაკეში ეფლობოდა, ჩინოვნიკები კი მდიდრდებოდნენ. მასმედია უკვე მოურიდებლად წერდა ჩინოვნიკთა კორუმპირებულობაზე. „ჩვენ ვერ მოვითმენთ ჩვენს გვერდით კორუმპირებულ გარეწარს!" - ასე დაამთაერა თავისი გამოსვლა ჩემმა ყოფილმა კოლეგამ და პრეზიდიუმში დაჯდა. იგრიალა კორუმპირებულთა ტაშმა. -სწორია, სწორია! ისმოდა დარბაზიდან. მეც მინდოდა მეთქვა: - სწორია ბატონებო, სწორი! ეს კაცი თბილისში ერთ დიდ ბაზარს და რამდენიმე რესტორანს აკონტროლებს. მისი მოთმენა ჩვენს გვერდით მართლაც არ შეიძლება, მაგრამ ვერ ვთქვი. შემეშინდა იმ გარე წრის, გარს რომ ერტყა ამ ორატორს და გამოსელის პათოსს უქებდა.

---

[323]. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2 ივლისი, 1998;

ადამიანი. რომელსაც მხოლოდ სინდისი აქვს გარეცხილი, სხვა ყველაფერი კი ბინძური, არ შეიძლება მინისტრი იყოს."[324]- წერდა ნუგზარ ქავთარაძე. შევარდნაძე კი კელავ ირწმუნებოდა: ეითარება კატასტროფული არ არის და 1999 წელი კრიზისის დაძლევის წელი იქნებაო.

ეკონომიკის სტაბილიზაცია ვერ მოხერხდა პარლამენტი იძულებული გახდა 1999 წელსაც მოეხდინა ბიუჯეტის სეკვესტრი. 1998 წლის 22 აპრილის მთავრობის სხდომაზე შევარდნაძე ძალზე გაცხარებული ჩანდა. იგვიანებს ხელფასები და პენსიები. ასე გაგრძელება შეუძლებელია, აღნიშნა მან და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საჭიროებაზე გააკეთა განცხადება. სხდომამ შეიმუშავა კონკრეტულ ღონისძიებათა ნუსხა, რომლის პრაქტიკულ რეალიზაციას ეითარების რადიკალური გაუმჯობესება უნდა მოჰყოლოდა. ითქვა ისიც, რომ ქვეყანაში სერიოზული კრიზისია.

რეფორმების კურსის შემდგომ გაღრმავებას, გაუთავებელი თათბირებიდან რეალურ საქმეებზე გადასვლას განსაკუთრებით ენერგიულად მოითხოვდა მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდული ფრთა პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას მეთაურობით. 1998 წლის ივლისის დასაწყისში შემდგარ საპარლამენტო უმრავლესობის სხდომაზე ჟვანია აღნიშნავდა, რომ ქვეყანაში მიმდინარე უარყოფითი პროცესები შეუქცევადი ხასიათის არაა, მაგრამ მდგომარეობა მაინც საგანგაშოა. „კრიტიკულ ზღვარს მიაღწია ხელისუფლებისადმი საზოგადოების ნდობის ხარისხმა და ეს არც არის გასაკვირი, რადგან პარლამენტში არაერთგზის შემუშავებული საკანონმდებლო ბაზა ან ქაღალდზე რჩება, ან სხვადასხვა რანგის ბიუროკრატთა კაბინეტებში იკარგება. ამის მაგალითია თუნდაც მიწის რეფორმა, როცა გლეხი, რომელმაც იცის მიწის პატრონობა, მაგრამ არ იცის ჩინოვნიკებთან ბრძოლა, დღეს თავის რისხვას, არა ადგილობრივი ბიუროკრატიის, არამედ ჩვენს წინააღმდეგ მომართავს, რადგან ჩვენ ისინი დავარწმუნეთ, რომ მათ ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყებოდა, მაგრამ წამოწყება აღსრულებაში ჩაკვდა."[325] მან „მრუდე სარკეების სამყარო" უწოდა საფინანსო სისტემას, როდესაც

---

[324] .გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 19 თებერვალი, 1999;

[325] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 7 ივლისი, 1998;

ათასი მანიპულაციის შედეგად გეგმები ქაღალდზე სრულდება, ბიუჯეტში კი პენსიონერებისა და მასწაელებლებისთვის გადასახდელი ფული არ არის. ამ სისტემამ, ქვანიას თქმით, „ბევრ უცხოელ ინვესტორს დაუკარგა საქართველოსთან თანამშრომლობის სურვილი.“

რეფორმების პროცესის გაგრძელება-გაღრმაებას ითხოვდა არასამთავრობო სექტორიც. 7 იელისს თბილისის კინოს სახლის დიდ დარბაზში პარლამენტის თავმჯდომარისა და არასამთავრობო ორგანიზაციების, აგრეთვე, მასმედიის წარმომადგენელთა შეხვედრაზე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტი დავით უსუფაშვილი აღნიშნავდა: „იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში დემოკრატიული რეფორმები საფრთხის წინაშე დგას“. „თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელის დავით ბერძენიშვილის აზრით კი საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის დიალოგი კარგა ხანია დაწყებულია, მაგრამ საუბარი ჯერ-ჯერობით მხოლოდ პარლამენტთან მიმდინარეობს, აღმასრულებელი ხელისუფლება კი ძველებურად ჩაკეტილია. ამის გამო მანძილი ხელისუფლებასა და ხალხს შორის გაიზარდა. ერთმანეთს შორდება ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებაც. ზურაბ ქვანია დაეთანხმა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა ამ კრიტიკულ პათოსს და, თავის მხრივ, აღნიშნა რომ ბოლოდროინდელი პოლიტიკური კრიზისის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ქვეყანაში რეფორმების პროცესის დამუხრუჭებაა. „პრეზიდენტისა და პარლამენტის გადაწყვეტილებები ერთი დღითაც არ სრულდება“,[326] - აღნიშნა მან.

სიტყვით შევარდნაძე ეთანხმებოდა ახალგაზრდებს. მისი საჯარო გამოსვლებიც ადასტურებდა, რომ მას ნათლად ჰქონდა გაცნობიერებული კორუფციის დამღუპველი, სრულიად დამანგრეველი გავლენა ქვეყნის განვითარებაზე. 1998 წლის 24 ივლისს საქართველოს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე ის აღნიშნავდა: „კორუფციის მასშტაბები და ხასიათი საეჭვოს ხდის საქართველოს სახელმწიფოებრივ პერსპექტივას. ვითარება საგანგაშოა. უდავოა, რომ მისი დაძლევა ასევე საგანგებო და არაორდინალურ ღონისძიებებს საჭიროებს. სანამ ქვეყანაში კორუფცია ასეთი მასშტაბისაა სანამ ჩვენი ეკონომიკური პოტენ-

---

326. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 8 იელისი, 1998;

ციალის 40-45 პროცენტი გადამალულია, მანამდე შეუძლებელია ვილაპარაკოთ მაღალ სელფასებზე. და სანამ ხელფასებს არ გავზრდით, მანამ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაც რთული და ძნელი იქნება. ამიტომ პირველ ეტაპზე უნდა მივიღოთ თუნდაც ლოკალური ხასიათის გადაწყვეტილებები, მაგრამ მოძრაობა უნდა დაიწყოთ. ყველაზე მძიმე უძრაობაა."[327]

ეს ვითარების უდავოდ სწორი ანალიზი იყო. მაგრამ, ისევე, როგორც შევარდნაძის სხვა მართებული თეზისები, ეს ანალიზიც ქაღალდზე რჩებოდა.

დამოუკიდებელ საქართველოში ჩამოსვლიდან 1998 წლამდე შევარდნაძემ მართლაც მეტად პოზიტიური როლი შეასრულა ქვეყნის წინსვლაში. მისი დიდი საერთაშორისო ავტორიტეტის და კავშირების, პოლიტიკური გამოცდილების გარეშე საქართველო თავისი განვითარების ამ უაღრესად რთულ პერიოდს გაცილებით მეტი დანაკარგებით გაივლიდა. უაღრესად მრავალფეროვან პოლიტიკურ სპექტრში შევარდნაძის ბალანსირებისა და ლავირების ფილიგრანულმა უნარმა ქვეყანას მაშინ ფართომასშტაბიანი სამოქალაქო ომი ააცილა თავიდან. რა თქმა უნდა, ამ წლებშიც იჩენდა თავს შევარდნაძის უარყოფითი პიროვნული თვისებები: კონფორმიზმი, პოპულიზმისკენ მიდრეკილება, სიტყვისა და საქმის დაცილება და ა. შ. მაგრამ 1998 წლიდან ბალანსირების შევარდნაძესეული პოლიტიკის გაგრძელება ქვეყნის განვითარების ნამდვილ მუხრუჭად იქცა. დადგა დრო, როდესაც საჭირო იყო ნოვატორული არჩევანის გაკეთება. კომინისტურ წარსულშიც და შემდეგაც, შევარდნაძეს არაერთხელ განუცვიფრებია საზოგადოება პრობლემებისადმი არაორდინალური მიდგომებით, მაგრამ ახლა, როგორც სჩანს, ასაკის გამო, მას კრეატივისთვის ძალა აღარ ეყო. ის კვლავ ბალანსირებას განაგრძობდა და ამით ქვეყნის წინსვლას აფერხებდა. „საოცარი უფრო ისაა, ამ პატიოსანი კაცის გუნდში კორუმპირებული ადამიანი ისევე ლაღად გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში... დღეს, მცირე გამონაკლისის გარდა, კორუფციაში გარეულია: სახელმწიფო აპარატის წევრები! მთავრობის წევრები! პარლამენტის წევრები! მაკონტროლებელი ორგანოები! ადმინისტრაციული სამსახურები! ერთი სიტყვით...სადაც კი ფული კეთდება, ქვე-

---

[327] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 25 ივლისი, 1998;

ყანას არავინ ბოგავს!...ღმერთო შეგცოდე და, ისეთი შთაბეჭდილებაც კი მრჩება, თითქოს ივი (შევარდნაძე) მის ირგელივ მყოფ ადამიანებს უკეთურობისკენ აქეზებდეს მხოლოდ იმიტომ, რომ თეთრ ფრინველად გამოჩნდეს,"[328] წერდა თამაზ წიქწიავაძე. „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნებული ეს წერილი „საქრთველოს რესპუბლიკამ" სწორედ შევარდნაძის რეკომენდაციით გადმობეჭდა. შევარდნაძის მიერ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოყვანილი ახალი თაობა პრეზიდენტისგან მხარდაჭერას მოითხოვდა. ქვანიას გარშემო შემოკრებილი ახალგაზრდა პოლიტიკოსები რეფორმების გაღრმავებას, კორუფციის წინააღმდეგ მოჩვენებითი ბრძოლიდან რეალურ ქმედებებზე გადასვლას მოითხოვდნენ. ისინი გუნდურ პრინციპს იცავდნენ და ქვეყნის მეთაურთან უთანხმოება დიდხანს დახურულ ხასიათს ატარებდა. საჯარო გამოსვლებში ქვანია აღიარებდა ქვეყნის წინაშე შევარდნაძის დამსახურებას. ბელგიური გაზეთის „ლე სუარის" კორესპოდენტთან საუბარში ის აღნიშნავდა, რომ „ახალგაზრდებს სწორედ შევარდნაძემ მოუცა ბიძგი, მან გააღო პოლიტიკური ცხოერების კარები და წააქეზა ახალგაზრდები ხელში აეღოთ ქვეყნის სადავეები. გარკვეულწილად ის გემუარველობს ჩვენ."[329] პრეზიდენტის მიმართ ამ დროს დითირამბებს არ იშურებდა ქვანიას გუნდის ყველაზე უკომპრომისო და ყველაზე ნიჭიერი მიხეილ სააკაშვილიც, რომელიც მასმედიამ და საზოგადოებრიემა აზრმა 1997 წლის საუკეთესო პოლიტიკოსად დაასახელა. ამასთან დაკავშირებით შევარდნაძე აღნიშნავდა; „ასპარეზზე გამოვიდა ახალგაზრდა პოლიტიკოსთა მთელი პლეადა, რაც დიდ იმედებს და რწმენას გვინერგავს და ჩემდა თავად ძალასა და ენერგიას არ დაეიშურებ იმისთვის, რომ დაეხმარო მათ ზრდისა და ფორმირების პროცესში".[330]

განსაცეიფრებლად მოკრძალებული და თავმდაბალია მიხეილ სააკაშვილიც. კორესპოდენტის კითხვაზე, რას იტყოდით მასმედიისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებზეო, პარლამენტის მაშინდელი საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის ახალგაზრდა თავმჯდომარე

---

328. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 17 დეკემბერი;

329 . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 10 ოქტომბერი, 1997;

330. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 15 იანვარი, 1998;

პასუხობს: „ეს გამოკითხვა „წლის ადამიანის“ გამოსავლენად, როგორც ვთვლი, შეეხებოდა ჩემი თაობის პოლიტიკოსთა არეალს. თუ საერთო პოლიტიკურ ასპექტს ავიღებთ, უახლოესი წლების განმავლობაში ჩვენს პრეზიდენტს ბადალი არ ეყოლება, რადგან დღესაც და უახლოესი მომავლისთვისაც ის გახლავთ ჩვენი სახელმწიფოს ინსტიტუციური მშენებლობის გარანტი. ჩვენ ძალიან გაგვიღიმა ბედმა, რომ საქართველოს ჰყავს ასეთი პრეზიდენტი, რომელსაც არ აღელვებს ე. წ. ყოფითი ხელისუფლებითი პრობლემები, რადგან დღევანდელი პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, იგი უფრო ღრმად და ფართოდ უდგება ამ პროცესებს, აქვს უნარი მასშტაბურად დაინახოს და განსაზღვროს ისიც, თუ რით უნდა გამოირჩეოდეს მისი მმართველობა საქართველოში. ეს გახლავთ მასშტაბური ისტორიული მნიშვნელობის რეფორმები უნდა ითქვას ისიც, რომ ახალგაზრდა პოლიტიკოსებს შორის ბევრია ჩემზე ღირსეული. თუ გნებავთ, ადრინდელი ლაურეატი - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია. ღმერთია მოწმე, ამას რაღაც ქულების მოსაპოვებლად არ ვამბობ, რადგან არ მჭირდება. უბრალოდ ვიტყვი: მას გაცილებით დიდი დატვირთვაც აქვს და უფრო მეტი ფაქტორის გათვალისწინებაც უსდება, ვიდრე თითოეულ ჩვენთაგანს.“[331]

„საქართველოს რესპუბლიკის“ 2000 წლის 18-19 აპრილის ნომერში საკამათო სტატია მიუძღვნა კორუფციის თემას. მისი თქმით, საქართველო შიდა ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით ჩიხშია შესული. „ინსტიტუციონალური კრიზისი საქართველოში თანდათან გადაიზარდა ინსტიტუციონალურ კატასტროფაში, როცა სახელმწიფო ვერ ახერხებს ელემენტარული ფუნქციების შესრულებას შემობრუნება უარესისკენ დაიწყო 1998 წლის თებერვლიდან. პრეზიდენტზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ მკვეთრად იმატა ძალოვანი სტრუქტურებიდან წამოსულმა ანტირეფორმისტულმა სიგნალებმა, ხოლო გალის მოვლენებმა და მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ბოლო მოუღეს ეკონომიკურ ზრდას, რომელიც ჯერ საბიუჯეტო და შემდეგ ინსტიტუციურ კრიზისში გადაიზარდა ... უსახსრობისა და პოლიტიკური ნების უქონლობის გამო დამუხრუჭდა პრაქტიკულად ყველა რეფორმა კორუფცია ბოლო

---

331 . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 15 იანვარი, 1998;

წლებში მწყობრ სისტემად ჩამოყალიბდა. ზოგიერთი ფიქრობდა, რომ კორუფცია ეკონომიკის განვითარებას ხელს არ შეუშლიდა, რადგან მოსდებოდა კორუმპირებული ფულის ინვესტირება ეკონომიკაში. ეს ფუჭი ილუზია იყო, რადგან კორუმპირებულები ფულს ფუფუნების საგნებში დებდნენ და არა ეკონომიკაში ბოლო ორი წლის განმავლობაში სერიოზულად დამუხრუჭდა საქართველოში ინვესტიციების შემოსელა. შევარდნაძის მიმართ დაღებით განწყობასთან ერთად, საქართველო მოიხსენიებოდა, როგორც „პერმანენტული ეკონომიკური კრიზისის მდგომარეობაში მყოფი და კორუფციაში ჩაფლული ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა. ჩვენი გუნდისთვის ... ასეთი შეფასება მარცხის ტოლფასია.“

სააკაშვილი ესებოდა ანტიკორუფციული სპეცსამსახურის საკითხსაც. „დღეს კორუფციასთან ბრძოლის დაწყებას ბევრი ანტიკორუფციული სპეცსამსახურის შექმნას უკავშირებს. მე უკვე ხუთი წელია ვსწაელობ ამ საკითხს და ყველა არგუმენტის შეჯერებისას იმ დასკვნამდე მივედი, რომ დღესდღეობით ამგვარი სამსახურის შექმნის არც აუცილებლობა არსებობს და არც იმის გარანტია, რომ იგი ეფექტური აღმოჩნდება. როგორც თავის დროზე შეიარაღებული ბანდების აღკვეთა საკმაოდ მარტივი იყო შესაბამისი პოლიტიკური ნების მობილიზაციის პირობებში, ასევე, ახლაც საჭიროა არსებული სტრუქტურების მობილიზაცია ამ მოვლენის დასაძლევად, რომელიც პრაქტიკულად ზედაპირზე ძევს და უბრალოდ, ხელის განძრევაა საჭირო. ამგვარი ბრძოლის წარმატებულად წარმართვის მთავარი წინაპირობა კი პროკურატურის არსებული სისტემის რეფორმირებაა“.

ავტორი ერცლად საუბრობს რეფორმების წყებაზე, რომელთა პრაქტიკულ რეალიზაციას უკვე 2000 წლის ბოლოსთვის უნდა მოჰყოლოდა ეკონომიკური ვარდნის შეჩერება. „საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შემდეგ ჯონ სტაინბეკმა ირონიულად აღნიშნა: „პირველად ვნახე ქვეყანა, რომელსაც ადამიანები მართაევენ და არა კანონებიო“. შევარდნაძე უნდა შეცვალოს არა პიროვნებამ, არამედ შევარდნაძის მიერ შექმნილმა სისტემამ, რომელშიც პიროვნებები კი არ განსაზღვრაევენ საზოგადოების განვითარებას, არამედ ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები,“[332] - აღნიშნავდა სააკაშვილი.

---

[332]. ზ. სააკაშვილი, „საქართველომ გააკეთა არჩევანი, ახლა არჩევანი შენზეა.“ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 18-19 აპრილი, 2000;

მოქალაქეთა ახალგაზრდული ფრთა ჯერ კიდევ იცავს გუნდურობის პრინციპს, ღიად არ უპირისპირდება თავის საპატიო თავმჯდომარეს, თუმცა, ძნელი მისახვედრი სულაც არ იყო, ეის ბოსტანში ისროდა სააკაშვილი კენჭებს პოლიტიკური ნების უქონლობაზე საუბრისას.

ქვანიას გუნდმა ჯერ კიდევ 1998 წლის ივლისში მიაღწია სახელმწიფო მინისტრის პოსტიდან ნიკო ლეკიშვილის გადაყენებას, რაც ქვანიამ „ახალი ეტაპის" დასაწყისად მიიჩნია. 2000 წლის ივლისში ლეკიშვილი საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერობიდანაც გადადგა. ჟურნალისტის კითხვას, „ამ გადადგომით რომელმა პოლიტიკურმა ფრთამ გაიმარჯვაო," - სააკაშვილმა ირონიულად უპასუხა: „მე პირადად ორივე ფრთა ადგილზე მაქვს და ასაფრენად ვემზადებიო." ეს იყო პირდაპირი მინიშნება, რომ სააკაშვილი უმრავლესობის ლიდერობას უმიზნებდა.

„ვინც კორუფციის წინააღმდეგ მედგარი ბრძოლისთვის მზად არ არის, მან უნდა დატოვოს თანამდებობა, ის უნდა წავიდეს,"[333] - კატეგორიულად აყენებდა საკითხს შევარდნაძე.

ეს სიტყვით. საქმით კი თაეგამოდებით იცავდა კახა თარგამაძეს. და ეს მაშინ, როდესაც საქართველოში ბაეშვმაც კი იცოდა, რომ შსს-ში ფესვგადგმული კორუფციული პირამიდის სათავეში სწორედ ის იდგა.

კორუფციული სისტემის მიმართ შევარდნაძის ჭეშმარიტ დამოკიდებულებაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის დიალოგი, რომელიც ბიუჯეტის შესრულების საკითხზე მთავრობის 1999 წლის 1 მაისის გაფართოებულ სხდომაზე პრეზიდენტსა და თბილისის მერს, ვანო ზოდელავას შორის გაიმართა. თავის გამოსელაში ზოდელავა ბიუჯეტის შესრულების სიძნელეებზე საუბრობდა. მან თქვა, რომ რესტორანი, რომელიც სრული დატვირთვით მუშაობს, მიზერულ გადასახადს იხდის, რადგან აცხადებს - სანახევროდ დაკეტილი ვარო. ასევეა ბენზინგასამართი საღგურები, რომლებიც 24 საათის განმავლობაში მუშაობენ, გადასახადს კი ისე იხდიან, თითქოს მთელი თეის განმავლობაში მხოლოდ ერთი დღე იმუშავესო.

პრეზიდენტმა ზოდელავას სიტყვა შეაწყვეტინა: „რას ჰქვია გადასახდს არ იხდიან, ურჩი გადამხდელების სია ხვალვე მაგიდა-

---

[333]. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 6 ივნისი, 2000;

ზე მეღოსო", - უთხრა. „რომელი სია ენებავთ, ბატონო ედუარდ, ყველა ამ ობიექტის პატრონი აქ ამ დარბაზში ბისო",- უპასუხა ბოდელაევმ. ყველას გაეცინა, ბევრს, ალბათ, სიმწრითაც. გაიცინა შევარდნაძემაც. სხდომის მსვლელობას თვალს ტელევიზიით ვადევნებდი. ყურადღება დავძაბე. რაღაც სერიოზული უნდა მომხდარიყო. ეფიქრობდი, რომ პრეზიდენტი ახლა უფრო მეტი კატეგორიულობით მოითხოვდა კონკრეტულ ვალებს ლოგიკურად მოელენები სწორედ ასე უნდა განვითარებულიყო. სხდომა ხომ პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა და მოსახლეობა თვალს ადევნებდა მის მსვლელობას ... სიცილი შეწყდა, მთავრობის წევრებს სახეზე კლავ სერიოზული გამომეტყველება აღებეჭდათ. შევარდნაძემ კი საკითხის განხილვა დამთავრებულად ჩათვალა და დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე გადავიდა...[334]

1999 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 45 პარტიამ და პოლიტიკურმა გაერთიანებამ. შეიდპროცენტიანი ბარიერი მხოლოდ სამმა მათგანმა - მოქალაქეთა კავშირმა, ბლოკმა „საქართველოს აღორძინებამ", და ბლოკმა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" გადალახა. მოქალაქეთა კავშირს 85 მანდატი, „აღორძინებას" – 51, „მრეწველებს" კი 14 მანდატი ხვდათ წილად. მაჟორიტარული წესით მოქალაქეთა კავშირმა დამატებით 46 მანდატი აიღო, „აღორძინებამ" – 7, „მრეწველებმა" 1. ორი მაჟორიტარის გაყვანა შეძლო ლეიბორისტულმა პარტიამ, დანარჩენი 17 მანდატი დამოუკიდებელმა კანდიდატებმა აიღეს.

ედუარდ შევარდნაძის დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა 2000 წლის 9 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნებიც. მოქმედი პრეზიდენტის მთავარი მეტოქე ამჟამადაც ჯუმბერ პაგიაშვილი იყო. ეს უკანასკნელი ბლოკ „აღორძინებაში" შედიოდა, მაგრამ პრეზიდენტის არჩევნებში თავისი კანდიდატურა მაინც წამოაყენა. პაგიაშვილის საარჩევნო შტაბის უფროსად მისი გუშინდელი დაუძინებელი მტერი მამუკა გიორგაძე დაინიშნა. ვაკის პარკში გამართულ წინასაარჩევნო მიტინგზე გიორგაძემ 9 აპრილის თემა წამოსწია და მაშინ დატრიალებულ ტრაგედიაზე მთელი პასუხისმგებლობა შევარდნაძეს დააკისრა. არადა, შე-

---

334 დიალოგის სისწორეზე პასუხს ვერ ვაგებ, შინაარსი კი ზუსტად ასეთი გახლდათ.

ვარდნაძეს მანამდე უკვე ჰქონდა ნათქვამი, საარჩევნო კამპანიის დროს 9 აპრილის თემას არ წამოეწევ, პაგიაშვილს ამ ცოდვას არ გაეუსსენებო.

პაგიაშვილის მხრივ კი 9 აპრილის თემაზე აპელირება არა მხოლოდ უზნეობა, სრული უგუნურებაც იყო.

9 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს ლეიბორისტულმა პარტიამ, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ, ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციამ, სამართლიანობის აღდგენის კავშირმა და სხვ. ისინი არჩევნების ოქტომბრამდე გადადებას და საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას ითხოვდნენ.

ამ დროისთვის შევარდნაძის ავტორიტეტი საზოგადოებაში ძალზე შერყეული იყო. ღირსეული მეტოქის არსებობის შემთხვევაში მას გაყალბებაც აღარ უშველიდა, მაგრამ ახლა ამომრჩეველს ალტერნატივა არ გააჩნდა. პაგიაშვილი სერიოზულ მეტოქეობას შევარდნაძეს ვერ გაუწევდა. პრეზიდენტობის დანარჩენ კანდიდატებს: ქართლოს ღარიბაშვილს, ავთანდილ ჯოგლიძეს, ვაჟა ქღენტს და თენგიზ ასანიძეს ხომ გამარჯვების იმედი თავადაც არ ჰქონდათ. და მართლაც, მილიონ 870 ათასი ხმით არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება ედუარდ შევარდნაძემ მოიპოვა, პაგიაშვილმა მხოლოდ 400 ათასამდე ხმის მოგროვება შეძლო.

არჩევნების შემდეგ „აღორძინება“ პრაქტიკულად, დაიშალა. გიორგაძის სახალხო პარტია პაგიაშვილს მიემხრო. „აღორძინების“ შიგნით ორი მიმდინარეობა - აბაშიძის და პაგიაშვილის მიმდინარეობები წარმოიშვა. პაგიაშვილს მიემხრო სოციალისტური პარტიაც. აბაშიძის ბანაკში დარჩნენ ტრადიციონალისტები, „21-ე საუკუნე,“ და თვით „აღორძინება“.

2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შევარდნაძემ განაცხადა, - „მე იმ პარტიას ვერ ვუხელმძღვანელებ, რომელიც გადაწყვეტილებებს თავის თავმჯდომარეს არ უთანხმებსო“ და მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარეობიდან გადადგა. 21-22 დეკემბერს მოქალაქეთა კავშირის ყრილობაზე ქვანიამ სცადა პარტიის სადავეების თავის ხელში აღება, მაგრამ კონსერვატიულმა ფრთამ იმძლავრა.

2001 წლის იანვარში პრესაში ქვანიასა და პრეზიდენტს შორის არსებულ დაპირისპრებაზე პირველი ცნობები გაჩნდა. ქვანიამაც დაადასტურა, რომ „არსებობს საკმაოდ პრინციპული

საკითხები, რომელთა გარშემო მას დაეა აქვს პრეზიდენტთან.“ მაკრამ, მისივე თქმით, „ედუარდ შევარდნაძემ თავიდანვე თავად დაამკვიდრა მუშაობის ასეთი სტილი - არ გეეშინოდეს დისკუსიებისა საერთო აზრის ძიებისას.“[335]

2000 წლის დეკემბრის ბოლოს, 2001 წლის ბიუჯეტის კანონპროექტის განსილვისას, ქვანიამ პირდაპირ მოსთხოეა მთავრობას თავის თაეზე აეღო პასუხისმგებლობა ბიუჯეტის შესრულებაზე. ეაეა ლორთქიფანიძემ ეს პასუხისმგებლობა იკისრა და როდესაც ბიუჯეტის პირეელი თვეების გეგმის შესრულებამ სრული ფიასკო განიცადა, ლორთქიფანიძე გადადგა. პრეზიდენტმა სახელმწიფო მინისტრის პოსტზე, ყეელასთვის მოულოდნელად, კასეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებული გია არსენიშეილი დაასახელა. არადა, ამ თანამდებობას მოქალაქეთა კავშირის წევრები, წარმატებული ბიზნესმენები დაეით გამყრელიძე და ლევან გაჩეჩილაძე უმიზნებდნენ. ამან მმართეელ პარტიაში განხეთქილება გააღრმავა, გაჩეჩილაძე-გამყრელიძის ტანდემი მკეთრად დაუპირისპირდა ქვანია-სააკაშვილის გუნდს და „მოქალაქეთა კავშირის“ საპარლამენტო ფრაქცია დემონსტრაციულად დატოვა. ქვანია-სააკაშვილის გუნდმა კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შედეგად მძიმე დარტყმა მიაყენა გამყრელიძის სადაზღვევო კომპანია „ალდაგს“. მოქკავშირიდან გამყრელიძის ახალ ფრაქციაში რამდენიმე დეპუტატი გადაბარდა.

2001 წლის აგვისტოში ქვანიამ ღია წერილით მიმართა პრეზიდენტს. „ქართული საზოგადოება საბედისწერო კრიზისის ზღვართან არის მისული. არსებული ვითარება სამოქალაქო დაპირისპირებისა და უმძიმესი სოციალური კატაკლიზმების პოტენციალს შეიცავს. სწორედ ეს ვითარება ვალდებულს მხდის საჯაროს გამოვხატო ჩემი და მრავალი ჩემი თანამოაზრის პოზიცია მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

ჩვენს ქვეყანას საფრთხეს უქმნის არა ყეელასათვის კარგად ცნობილი მრავალი პრობლემა, არამედ ის, რომ მოსახლეობაში პრაქტიკულად აღარ არსებობს ხელისუფლებისადმი ნდობა და რწმენა იმისა, რომ ხელისუფლებას სურს ამ პრობლემების გადაწყეტა. განცხადებებმა, სიტყეებმა, დეკლარაციებმა ყოველგვარი ფასი დაკარგა. საუბარი რაიმე სამომაელო გეგმებზე უაზ-

---

[335] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 24 იანვარი, 2001;

რობად იქცა უბრალოდ იმის გამო, რომ საზოგადოებას აღარ სწამს ხელისუფლების არცერთი დაპირებისა.

ამის უპირველესი მიზეზი და საფუძველი ხელისუფლების ტრაგიკული უნიათობა და აშკარად ბუტაფორული ქმედებაა კორუფციის პრობლემის გადაჭრისას. ათასნაირ განმარტებებს კორუფციაზე, როგორი მჭახეც უნდა იყოს, აზრი აღარ აქვს, ვინაიდან ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაშის წორედ ასეთ მჭახე განცხადებებისა და გაუთავებელი საუბრების ფონზე სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან შეუნიღბავმა და დაუფარავმა კორუფციამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია. დედაქალაქისა და მისი შემოგარენის სხვადასხვა ბორცვებზე და მთებზე წამოჭიმული სასასლეები, ჩვენს ქუჩებში მოსიარულე მსოფლიოში უძვირესი მარკების ავტომანქანები, რომელთა მფლობელები ყველასთვის კარგად არიან ცნობილნი, გაღატაკებამდე მისული მოსახლეობისთვის მარად დარჩება უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან თავხედური ცინიზმის სიმბოლოდ. ეს სასახლეები აიგო სწორედ იმ წლებისა და თვეების განმავლობაში, როდესაც ჩვენ ვერ ვახერხებდით პენსიებისა და ხელფასების გაცემას, დედაქალაქისა და რეგიონების ელექტროენერგიით უზრუნველყოფას, სასიცოცხლო სახელმწიფო ფუნქციების განხორციელებას. რატომ ან როგორ უნდა დაიჯეროს გაჭირვებულმა პენსიონერმა ან გაწბილებულმა ანაბარდაკარგულმა მუშამ, უკიდურეს სიღარიბემდე მისულმა მეცნიერმა, რომ მაინცდამაინც მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებს, ან მათ ნათესავებს აღმოაჩნდათ მეწარმეობისა და კომერციის შეუდარებელი ნიჭი და მათ შეძლეს ორ-სამ წელიწადში გამდიდრება საზოგადოების გაღატაკების ფონზე? ამის არგუმენტი არ არსებობს. როგორც არ არსებობს ახსნა, თუ რატომ ტოვებენ საქართველოს უცხოელი ინვესტორები და თავიანთი ოფისები მეზობელ ქვეყნებში გადააქვთ. რატომ არის შეუძლებელი თუნდაც მცირე ბიზნესის წარმოება ჩვენს ქვეყანაში, თუ არ გაქვს უზრუნველყოფილი რომელიმე ჩინოსნის ან რომელიმე გაელენიანი კლანის მფარველობა.

ყოველივე ამითაა განპირობებული საგანგაშო მდგომარეობა, რომ თუ ჩვენი უცხოელი მეგობრები სამიოდე წლის წინათ იმედითა და ენთუზიაზმით მოიხსენიებდნენ საქართველოს, როგორც „შესაძლებლობათა ქვეყანას," დღეს ისინი იძულებულნი

არიან თეალი გაუსწორონ სიმართლეს და გვიწოდონ „დაკარგულ შესაძლებლობათა“ ქვეყანა“[336]

ქვეყანაში შექმნილი ვითარების ამ ღრმა და ყოვლისმომცველი ანალიზის შემდეგ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე მისთვის დამახასიათებელი ტაქტით მიმართავს პრეზიდენტს: „მე არაერთხელ გამომისატავს საჯაროდ ჩემი და ჩემი მეგობრების დამოკიდებულება ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკისადმი. კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ ჩემთვის ის არ არის მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი. ის არის ქართული დამოუკიდებელი, დემოკრატიულ სახელმწიფოს დამფუძნებელი. ადამიანი, რომელმაც მოახერხა საქართველოს დაშლის პრაქტიკულად შეუქცევადი პროცესის შეჩერება, ქაოსისა და სრული ანარქიის პირობებში წესრიგის დამყარება, საქართველოსთვის სრულიად განსაკუთრებული საერთაშორისო ფუნქციის მინიჭება, რითაც ჩვენი სამშობლოს განვითარება და სტაბილურობა დიდი სახელმწიფოების ინტერესებში მოაქცია. სწორედ მისი არჩევანი იყო საქართველოს დემოკრატიის გზით სვლა და მან ჩაუყარა საფუძველი იმ რეფორმებს, რომელთა გარეშეც ვერასოდეს დავძლევთ საბჭოთა პერიოდის მემკვიდრეობას.

ამიტომაც გულწრფელად ვიზიარებდით და მტკიცედ ვიცავდით თქვენს პოლიტიკას, მაშინაც კი, როდესაც საჭირო იყო უკიდურესად არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღება ყველა მიღწევა, ყველა წარმატება, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს ხალხის უსაზღვრო თავდადებაზე და იმედზე, რომელიც შექმნილია თქვენი თავდაუზოგავი შრომით და პირადი თავგანწირვით, იქნება ეს საერთაშორისო სატრანსპორტო, თუ საკომუნიკაციო პროექტები, საქართველოდან უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზების გაყვანა თუ სხვა, დღეს შეიძლება გაბათილდეს და ჩვენმა უუნარობამ, პასუხი გავცეთ ტოტალური კორუფციის გამოწვევას, ხაზი გადაუსვას მთელს ჩვენს ძალისხმევას.

– გადარჩენა მხოლოდ მოქმედებაში, რადიკალური, გადამჭრელი, საზოგადოებისთვის გასაგები ღონისძიებების განხორციელებაშია. ამ გადაწყვეტილებათა მიღება შეგიძლიათ მხოლოდ თქვენ, ადამიანს, რომელიც საამისოდ ყველა ლეგიტიმური და მორალური უფლებით ხართ აღჭურვილი სელისუფ-

---

336 . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 30 აგვისტო, 2001;

ლება უნდა დატოვონ იმ ხელმძღვანელებმა, ვინც თავისი დაუსაბუთებელი ქონებით საზოგადოებაში კორუფციასთან არიან გაიგივებულნი. ამას უნდა მოჰყვეს სახელმწიფო მართვაში სერიოზული რეფორმები, რომელიც წერტილს დაუსვამს გაუთავებელ დაპირისპირებას აღმასრულებელი ხელისუფლების შიგნით, უზრუნველყოფს, სულ მცირე, ეკონომიკური გუნდის ერთიან კოორდინირებულ ძალისხმევას, გზას გაუხსნის სამართალდამცველი ორგანოების ძირეულ რეფორმას.

ნათლად ვხედავ, რომ დროის ლიმიტი ამოწურულია. დაყოვნება უკვე კატასტროფის ტოლფასია და ვინაიდან თქვენი არჩევანი მართლაც ისტორიული და საბედისწეროა არა მხოლოდ ხელისუფლებისთვის, არა მხოლოდ ერთი პარტიისთვის, არამედ მთელი საზოგადოებისთვის, მთელი ქვეყნისთვის, ამიტომაც თავს უფლება მიეცი, საჯაროდ გამომეტანა ის, რაზედაც არაერთხელ გვიმსჯელია პირადად."[337]

ქვეყნის წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალულ ამ წერილს დაუყოვნებლივ გამოეხმაურა პრეზიდენტი. მთავრობის სხდომაზე მან კიდევ ერთხელ ჩამოაყალიბა მისი პირადი პრიორიტეტები: 1. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა; 2. ორ-სამ წელიწადში სიღარიბის დაძლევა; 3. კორუფციის დამარცხება.

„ბატონ ზურაბს კი მადლობა მინდა ვუთხრა გამამხნევებელი ფრაზებისთვის, რომელიც მის წერილში აისახა. მხოლოდ ერთ რამეს ვაზუსტებ. მთავარია არა ის, რაც აქამდე ვაკეთეთ მეც და ჩემმა თანამოაზრეებმა, არამედ ის, რასაც ამ უახლოეს წლებში გავაკეთებ ისევე ჩემს მეგობრებთან ერთად - ქართული სახელმწიფოს მშენებლობის დაგვირგვინება.

და კიდევ ერთი აზრი. ნურაინ ოცნებობს რეპრესიებზე, საზოგადოების გათიშვაზე, ურთიერთდაპირისპირებაზე, პოპულიზმის ცნობილი მეთოდის გამოყენებაზე, პოპულიზმის ზეიმზე საქართველოში"[338]

რას ნიშნავდა შევარდნაძის მინიშნება პოპულიზმზე? ევანიას მიმართვა შორს იდგა ყოველგვარი პოპულიზმისგან. 1998 წლიდან 3 წლის განმავლობაში პარლამენტის თავმჯდომარე არ ახმაურებ-

337. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 30 აგვისტო, 2001;
338. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 30 აგვისტო, 2001;

და დაპირისპირებას. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყველა სხვა რესურსი ამოიწურა, მან საჯაროდ განაცხადა ის, რასაც მთელი ამ წლების განმაელობაში პირადად ეუბნებოდა პრეზიდენტს.

შეევარდნაძის სიტყვები კი სიტყვებადეე დარჩა. დიდი ხანია ის ქართული სახელმწიფოს „მოტორიდან" მის ბორბალში გაყრილ ძალაყინად ქცეულიყო.

ე. წ. რეფორმატორთა გუნდისა და პრეზიდენტის დაპირისპირება კულისებიდან გამოეიდა. მოქალაქეთა კავშირში უმცირესობაში დარჩენილმა ქვანიამ შექმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის წევრთა ორ მესამედს მისი მომხრეები შეადგენდნენ. კომიტეტმა პარტიის სელმძღვანელობა თაეის ხელში აიღო. ადგილობრიე არჩევნებში მოქალაქეთა კავშირის სახელით წარდგენილ სიაში ძირითადად, სწორედ მისი მომხრეები შევიდნენ. ქვანიას მხრიე ეს დაუშეებელი მეთოდებით პარტიული სელისუფლების უზურპაციის მცდელობა იყო. ლევან მამალაძემ, ირაკლი გოგავამ, არმაზ ახვლედიანმა, მოქკავშირის კონსერვატიული ფრთის სხვა წარმომადგენლებმა სასამართლოში იჩიელეს. 2002 წლის აპრილში საქართეელოს რეფორმირებულმა სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საორგანიზაციო კომიტეტის, ანუ ქვანიას გუნდის მიერ მოქკავშირის სასელით წარდგენილი სიები რეგისტრაციაში არ გააგარა. ქვანიამ ქართული სასამართლოს გადაწყეტილება საერთაშორისო სასამართლოში გაასაჩივრა, მაგრამ საერთაშორისო ექსპერტების დასკენაც ქვანიას საწინააღმდეგო იყო. მთაეარი ექსპერტი ჰოეარდ დენტონი აღნიშნავდა: „აღმინისტრაციული საპროცესო კოდექსის გაცნობის შემდეგ მიმაჩნია, რომ უზენაეს სასამართლოს სრული უფლება აქეს შეურაცყოფილად იგრძნოს თავი ქვანიას კომენტარებისგან. გადაწყეტილება მიღებულია საკმაოდ მარგიე საკითხზე და მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს არ უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა საქმე სხვაგვარად გადაეწყეიტა. ... ეს შემთხვევა წარმოადგენს კანონის უზენაესობის ბრწყინვალე გამოვლინებას, რომელიც თავისუფალია პოლიტიკური მანიპულაციებისგან. უფრო მეტიც, ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილება იქნებოდა ურცხვი პოლიტიკური ნაბიჯი, მიღებული კანონის უზენაესობის სრული უგულვებელყოფით."[339]

[339] .გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 18 იენისი, 2002;

შევარდნაძეს განსაკუთრებით მწვაველ მიხეილ სააკაშვილი დაუპირისპირდა. ჯერ კიდევ იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე ყოფნისას სააკაშვილმა პირდაპირ მთავრობის სხდომაზე „კორუმპირებული არამზადა“ უწოდა იქვე მყოფ ლევან მამალაძეს. ის თავიანთი სასახლეების სურათებს ცხვირწინ უურიალებდა მთავრობის წევრებს და მათ კორუფციაში ადანაშაულებდა.[340] მთავრობის გაფართოებულ სხდომაზევე შევარდნაძის მრჩეველმა თემურ მირიანაშვილმა სააკაშვილის მიმართ პირველად გამოიყენა გამოთქმა „ცნობილი გიჟი“, რომელსაც შემდეგ სააკაშვილის თითქმის ყველა ოპონენტი იყენებდა. სააკაშვილმა დატოვა მოქალაქეთა კავშირი და საკუთარი პარტია - „ნაციონალური მოძრაობა“ ჩამოაყალიბა.

მოქალაქეთა კავშირის დაშლის კვალდაკვალ დაიშალა ამ პარტიის საპარლამენტო ფრაქციაც. დაპირისპირებულთა ორივე ბანაკში წამყვან პოზიციებზე მოქკავშირის ყოფილი და ამჟამინდელი წევრები აღმოჩნდნენ. ეს სიტუაცია ძალზე წააგავდა 1990-1991 წლების გამსახურდიას ხელისუფლებაში მომხდარ განხეთქილებას, როდესაც ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ ძალებში წამყვან ძალას „მრგვალი მაგიდის“ ყოფილი წევრები, ანუ გამსახურდიას გუშინდელი მოკავშირენი წარმოადგენდნენ.

სააკაშვილის მიერ მოქკავშირის ალტერნატიული ძალის შექმნა, განსხვავებულ პოლიტიკურ ხედვასთან ერთად, მისი ამბიციურობითაც იყო განპირობებული. ის სწრაფად გამოდიოდა ქვანიას ჩრდილიდან. ამ ორ უდავოდ ნიჭიერ პოლიტიკურ ფიგურას საერთო პროდასავლური ღირებულებები აერთიანებდათ, მაგრამ პიროვნულად ბევრი რამ ყოფდათ კიდეც. ქვანია შესანიშნავი ორატორი, ძალზე ნიჭიერი, უაღრესად გაწონასწორებული და სათანადო ტაქტის მქონე პოლიტიკოსი იყო. მაგრამ პოლიტიკური

---

340. თავის დროზე, სწორედ ასეთი მეთოდებით მოიხვეჭა პოპულარობა შევარდნაძემაც. მსს მინისტრის პოსტზე მუშაობისას, მან ერთ-ერთ თათბირზე მილიციის მაღალჩინოსნებს მოსთხოვა მაღლა აეწიათ მარცხენა ხელი, შემდეგ კი განაცხადა: თქვენს ხელებზე მე დაეითვალე რამდენიმე ათეული ოქროს „როლექსის“, „კარტიეს“, „სეიკოს“ და სხვა ფირმების საათები, რომლებიც საბჭოთა მაღაზიებში არ არის. როგორ შეგიძლიათ, ამხანაგებო, სუფთა სინდისით ხმა მისცეთ სპეკულაციასთან ბრძოლას იმ დროს, როდესაც ხელზე გიკეთიათ ამ სპეკულაციის პირდაპირი დადასტურება!

მიზნის მიღწევის გზაზე ის ფორმებისა და მეთოდების დახვეწილობით არ გამოირჩეოდა. მას აკლდა ქარიზმაც. პოლიტიკური ოპონენტები ქვანიას წინააღმდეგ წარმატებით იყენებდნენ მისი წარმომავლობის სომსურ-ებრაულ ძირებსაც. სააკაშვილი უდაოდ ყველაზე ნიჭიერი, უზღვაო ენერგიის მქონე, მაგრამ სრულიად გაუწონასწორებელი, რადიკალიზმისკენ მიდრეკილი და არაპროგნოზირებადი პოლიტიკოსი იყო. ის ხშირად აკეთებდა სკანდალურ განცხადებებს, საჯაროდ უპირისპირდებოდა კორუმპირებულ პოლიტიკოსებს, რაც მასის თვალში მას მოუსყიდავი პოლიტიკოსის იმიჯს უქმნიდა. ქვეყანაში მაშინ შექმნილი ვითარება ძალზე წააგავდა ვითარებას, რომელსაც ლენინი რევოლუციურ სიტუაციას უწოდებდა. უმუშევრობით, უხელფასობით, უშუქობით თუ უამრავი სხვა ყოფითი პრობლემით გაწამებულ მოსახლეობას რევოლუციური ტრიბუნი სჭირდებოდა. სწორედ ასეთი იყო სააკაშვილი, რომელიც თავისი რადიკალური გამოსვლებით ყველაზე უკეთ გამოხატავდა მასების მაშინდელ განწყობას. პოპულისტი სააკაშვილი გამუდმებით ეწეოდა პიარს. მან სახელი იმით მოიხვეჭა, რომ პარლამენტს შესთავაზა უკანონოდ შეძენილი ქონების სასელმწიფოს სასარგებლოდ ექსპროპრიაციის შესახებ კანონის მიღება. ის აცხადებდა, რომ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე 2 წლით გადასახადებისგან გაათავისუფლებდა მცირე და საშუალო ბიზნესს, გაზრდიდა პენსიებს, მოითხოვდა ეკონომიკის ძირითადი დარგების ნაციონალიზაციას. განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობდა მისი ანტიკორუფციული ბრძოლა. იუსტიციის მინისტრის პოსტზე ის ამტკიცებდა, რომ მან უმოკლეს დროში დაამთავრა იაღლუჯის მთაზე მდებარე N 6 საპყრობილეს მშენებლობა. მაგრამ მის მიერ საზიმოდ გახსნილ ამ საპყრობილეში არ იყო წყალი, დენი, ბუნებრივი გაზი, დაცვის რეჟიმით გათვალისწინებული სხვა აუცილებელი პირობები, არ არსებობდა შენობამდე მისასვლელი გზა, შენობაში კი სახურავიდან წყალი ჟონავდა. სააკაშვილი აცხადებდა, რომ საპყრობილე მან პენიტენციური სისტემის ტერიტორიაზე არსებული ჯართის გაყიდვით მიღებული თანხებით ააშენა. ჯართიდან მიღებული სახსრები კი საკმარისი არ აღმოჩნდა და მშენებლობაც შუა გზაზე გაჩერდა. ნიშანდობლივი იყო ისიც, რომ მშენებლობა იუსტიციის სამინისტროს ბუღალტერიაში დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე მიმდინარეობდა. მოგვიანებით, ნაციონალური მოძრაობის მმართველო-

ბის წლებში, ყოველგვარი კანონიერების გვერდის ავლით საქმეების კეთების პრაქტიკა, ქვეყნის მასშტაბით გავრცელდა და დიდი მორალური და მატერიალური ზიანიც მიაყენა ქვეყანას. გარეგნულად ქვანია და სააკაშვილი ერთმანეთისგან გამიჯვნას არ ახდენდნენ, თუმცა უკვე მაშინ მათ შორის ვარკვეული წინააღმდეგობები არსებობდა.

მას შემდეგ, რაც მოქალაქეთა კავშირში უმრავლესობა ვერ მოიპოვა, ქვანიამაც საკუთარი პარტიის შექმნა გადაწყვიტა. ბუნებრივია, სააკაშვილის „ნაციონალურ მოძრაობაში“ ის მეორე კაცად ვერ მივიდოდა. 2002 წლის 2 ივნისს დანიშნული ადგილობრივი არჩევნების წინ ქვანია თავისი „გაერთიანებული დემოკრატებით“ ზვიადისტური მიმართულების „ქრისტიან-კონსერვატორებს“ შეუკრა. სააკაშვილმა კი რესპუბლიკელებთან გაერთიანება არჩია. ასლა მისი საარჩევნო ბლოკის სახელწოდება ასე გამოიყურებოდა: „ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტი“. ნაციონალური მოძრაობის და რესპუბლიკელების გარდა ამ ბლოკში შედიოდნენ ეროვნულ ძალთა გაერთიანების 6 პარტია, ბესო ჯუღელის პარტია და ლეგალური ეკონომიკური პარტია.

ახალგაზრდა რეფორმატორების ნამდვილ რუპორად იქცა „რუსთავი-2“, რომელიც გამუდმებით აკრიტიკებდა ხელისუფლებას და პირადად პრეზიდენტს. ხელისუფლების მიმართ სულ უფრო და უფრო კრიტიკული ხდებოდნენ მასმედიის სხვა საშუალებებიც. 1999 წლის დასაწყისიდან „რუსთავი-2“-ის ეთერში პირველად გამოჩნდა გადაცემა „60 წუთი“, რომლის წამყვანის, აკაკი გოგიჩაიშვილის კვალიფიციური კრიტიკული გადაცემები მოსახლეობაში პოპულარობით სარგებლობდა.[341] პირველი დარტყმა მან პრეზიდენტის ნათესავებს მიაყენა. ამას მოჰყვა იმავე არხის გადაცემა „დარდუბალაც“, რომელშიც საგირულ ჟანრში აკრიტიკებდნენ პრეზიდენტს.

2001 წლის 26 ივლისს თავის ბინაში ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს „რუსთავი-2“-ის პოპულარული წამყვანი გიორგი სანაია. მიუხედავად იმისა, რომ მკვლელი მალევე იქნა დაკავე-

---

[341]. კრიტიკის ქარცეცხლში, არცთუ იშვიათად, შეუმოწმებელი ფაქტებიც იპარებოდა. ასეთი იყო, მაგალითად, კულტურის მინისტრის, ვალერი ასათიანის დადანაშაულება ორი ადამიანის საგანისტურ მკვლელობაში. სასამართლომ მთლიანად გაამართლა ვალერი ასათიანი და აკაკი გოგიჩაიშვილს და ირაკლი კერესელიძეს 52-52 ათასი ლარის ჯარიმა დააკისრა.

ბული და დადგინდა, რომ მკვლელობა ყოფით ნიადაგზე მოხდა, ოპოზიცია მაინც ხელს ხელისუფლებისკენ იშვერდა და მკვლელობის პოლიტიკურ სარჩულს ეძებდა.

2001 წლის 11 სექტემბერს ბენ ლადენის ტერორისტულმა დაჯგუფებამ ნიუ-იორკში განახორციელა თავისი მასშტაბით უპრეცენდენტო ტერორისტული აქტი, რომელმაც სამი ათასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. შევარდნაძემ მას „მსოფლიო სტაბილურობის წინააღმდეგ გალაშქრება“ უწოდა. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტმა, პირველ რიგში, მსოფლიო თავისი მასშტაბებით შეძრა. ამასთან, მან უზარმაზარი გაელენა იქონია საერთაშორისო პოლიტიკაზეც, სერიოზულად შეცვალა ძალთა თანაფარდობა მსოფლიოში, მნიშვნელოვანწილად განაპირობა სართაშორისო პოლიტიკის ძირითად მოთამაშეთა შორის ახალი კონფიგურაციის ჩამოყალიბება. ტერაქტის შემდეგ ამერკის შეერთებულმა შტატებმა ტერორისტებზე ტოტალური ნადირობა გამოაცხადა და ბენ ლადენის ძებნას მთელ მსოფლიოში შეუდგა. და, როდესაც მსოფლიოს N 1 ტერორისტის კვალზე დამდგარი აშშ ცენტრალურ აზიაში შეიჭრა და ავღანეთში თავშეფარებული ტერორისტების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების განსახორციელებლად ყირგიზეთს სამხედრო ბაზა მოსთხოვა, მას რუსეთმაც კი ვერ გაუწია წინააღმდეგობა, რადგან რუსეთის ეს ნაბიჯი მაშინდელ მსოფლიოში ტერორისტების მხარდაჭერად აღიქმებოდა. აი, ასეთ სპეციფიკურ სიტუაციაში მოახერხა შეერთებულმა შტატებმა თავისი გაელენა მანამდე რუსეთის ერთპიროვნული გავლენის რეგიონზე - ცენტრალურ აზიაზეც გაეერცელებინა. თავის მსრივ, ამან მისი პოზიციები კავკასიაშიც გააძლიერა. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ რუსეთი თავის პოზიციებს აღმოსავლეთ ევროპის შემდეგ აზიაშიც თმობდა. მართალია, წინდახედული პოლიტიკოსებისა და პოლიტოლოგებისთვის იმთავითვე ცხადი იყო, რომ რუსეთის ამ უკანდახევას დროებითი ხასიათი ჰქონდა და მანჰეტენის ტყუპების ჩამოშლის კაძრების ნახვით მსოფლიოს მიერ მიღებული შოკის გავლის შემდეგ ის კვლავაც შეეცდებოდა თავისად მიჩნეულ რეგიონში გავლენის დაბრუნებას, ამ გარემოებამ მაინც მისცა დასავლეთს საბაბი საერთაშორისო პოლიტიკაში ახალი ეპოქის დადგომა გამოეცხადებინა. შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის მესვეურებმა საერთაშორისო თანამეგობრობას ამცნეს, რომ მსოფლიოს გავლენის სფეროებად დაყოფის პოლიტიკა წარსულს ჩაბარდა და 21-ე საუკუ

ნეში აღარაეის აქვს უფლება რომელიმე რეგიონზე თავისი განსაკუთრებული უფლებების შესახებ ილაპარაკოს. დასაველეთმა, პირველ რიგში კი შეერთებულმა შტატებმა, რომელსაც მამინ საკაშვილზე არანაკლებ ავანტიურისტი ჯორჯ ბუში (უმცროსი) მართავდა, შეიმუშავა ამიერკავკასიიდან და ცენტრალური აზიიდან რუსეთის უასლოეს მომავალში განდევნის გეგმა და შეუდგა მის პრაქტიკულ რეალიზაციას.

ქართულ პოლიტიკურ ელიტას, რომლისთვისაც, ზოგადად, დამახასიათებელია სასურველის სინამვილედ წარმოდგენა, ამან არარეალური მოლოდინები გაუჩინა.

სექტემბრის შუა რიცხვებში იუსტიციის მინისტრის თანამდებობიდან გადადგა მისეილ სააკაშვილი. თავის ეს გადაწყვეტილება სააკაშვილმა ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის სურვილით ახსნა.

29 სექტემბერს ბაქოში, შევარდნაძემ და ალიევმა ხელი მოაწერეს სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებას „საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სამხრეთკავკასიური მილსადენის სისტემის სამუალებით ბუნებრივი გაზის საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ამ ტერიტორიების ფარგლებს გარეთ ტრანზიტის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის შესახებ.“ ხელმოწერის ცერემონიალზე წარმოთქმულ სიტყვაში შევარდნაძემ განაცხადა: საქართველოში ამ პროექტის მომავლისა ბევრს არ სჯეროდა, ბევრი დღესაც იკითხავს, რას მოგვიტანს ეს პროექტები ბოლოს და ბოლოს?

მინდა ვუთხრა მათ, ჰეიდარ ალიევმა ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ შემდგარიყო პროექტი „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი.“ ყველას გახსოვთ, იქ იყო ერთი რთული საკითხი და ალიევმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სასარგებლოდ. შესაძლოა, აზერბაიჯანის საზიანოდაც. მაგრამ აზერბაიჯანის პრეზიდენტს კარგად ესმის, რომ თუკი მეზობლად ეყავს ქვეყანა, რომელიც შენს სამშობლოსთან დაკავშირებულია ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული კავშირებით, ეს ქვეყანა ცუდად არ ცხოვრობს, უზრუნველყოფილია გაზით და ნავთობით, ესე იგი, ის საიმედო მეზობელია და ამით უზრუნველყოფილია აზერბაიჯანის უსაფრთხოება.“[342]

---

[342] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2 ოქტომბერი, 2001;

30 ოქტომბერს „რუსთავი-2“-ში უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები შეიჭრნენ, როგორც შემდეგ თვითონ აცხადებდნენ, „საჭირო დოკუმენტაციის მიღების“ მიზნით. უშიშროებას გადასახადების დაშალვის ფაქტების გამოვლენა აინტერესებდა. მათ ეშვი ჰქონდათ „რუსთავი-2“-ში კონტრაბანდული ტექნიკის შეტანაზეც, აგრეთვე, 13 მილიონიანი გრანტის არადანიშნულებისამებრ გამოყენებაზე და სხვ.

კიწმარიშვილმა ევანიას დაურეკა, ტელევიზიამ კი მოსახლეობას მსარდაჭერისკენ მოუწოდა. „რუსთავი-2“-ის შენობის წინ უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. მომიტინგეები პრესის თავისუფლების სახელით უშიშროების თანამშრომელთა მიერ ოპოზიციური ტელევიზიის დაუყოვნებლივ დატოვებას ითხოვდნენ. იმავე დღეს მიტინგმა პარლამენტის წინ გადაინაცვლა. მომიტინგეებმა ახლა პრეზიდენტის გადადგომის ლოზუნგიც წამოაყენეს. მეორე დღეს მიტინგზე კიდევ უფრო მეტი ხალხი მოვიდა.

ხელისუფლებამ უკან დაიხია. „სიტყვისა და აზრის თავისუფლების დამკვიდრებას მე მაშინ ვცდილობდი, როცა ამაზე ოცნებაც კი ძნელი იყო... სიტყვის თავისუფლებას საფრთხე არ ემუქრება და არც დაემუქრება,“[343] - განაცხადა შევარდნაძემ.

პრეზიდენტი არ ტყუოდა. მან მართლაც ბევრი გააკეთა საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისთვის. მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. ამ მოვლენებამდე რამდენიმე თვით ადრე, მთავრობის 2002 წლის 6 თებერვლის სხდომაზე, შევარდნაძე აღნიშნავდა: „არის ადამიანების ერთი ჯგუფი, რომელთა მიმართ ნამდვილად არ მაქვს სიძულვილის განცდა. საერთოდ არ მქვს ეს გრძნობა. მზად ვარ ხვალვე შევხედე მათ... მაგრამ ძალიან მაწუხებს ის, რომ მათ აიღეს კურსი ქვეყნის აბსოლუტურ პოლიტიზაციაზე, უმაღლესი სასწავლებლების ყოველად უწყინარ ბაეშვებზე, ლამის სკოლის მოსწავლეებზეც კი და ცდილობენ ბავშვები, სტუდენტები ერთმანეთს გადაკიდონ.“[344] მთავრობის 21 თებერვლის სხდომაზე მან სპეციალური განცხადება გააკეთა: „ჭორები და ცილისწამება ყოველთვის იყო საქართველოში... მაგრამ ბოლო დროს ამ მოვლენამ თავის აპოგეას მიაღწია და უკვე მოუთმენელი

---

[343]. გაზ. „საქართველ ოს რესპუბლიკა“, 1 ნოემბერი2001;

[344]. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 21 თებერვალი, 20102;

გახდა. არ შეიძლება ღემოკრატიულმა განვითარებამ განუკითხაობასა და ცილისწამებელთა აღზევებამდე მიგვიყვანოს.... მე არ ვამბობ, რომ კრიტიკა დაუშვებელია... მაგრამ როდესაც ცილისწამება და სხვადასხვა ჭორი ისეთ მასშტაბებს იძენს, როგორსაც ახლა რეალურად ვაწყდებით, ეს მოელენა დემოკრატიული განვითარების დამაბრკოლებლად იქცევა."[345] პრეზიდენტმა იქვე დაავალა სამართალდამცავ ორგანოებს მოეფიქრებინათ ამ ავადმყოფობასთან ბრძოლის ფორმები და მეთოდები.

აი, სწორედ ამ „ავადმყოფობის" „მასშტაბებმა" აიძულა შევარდნაძე გადაეხვია თავისი პრინციპებისთვის. მან ჯერ ქვანიასა და სააკაშვილის რუსეთის აგენტებად წარმოდგენა სცადა, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. მოსახლეობა მყარად იყო დარწმუნებული ახალგაზრდა პოლიტიკოსების ევროატლანტიკურ ორიენტაციაში. მაშინ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „რუსთავი-2"-ის საკელეიზიო კომპანიის, ახალგაზრდა რეფორმატორთა ამ მძლავრი იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული რუპორის წინააღმდეგ აკრძალული, არადემოკრატიული ხერხების გამოყენების თაობაზე.

ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ ბრძოლის ხერხებისა და მეთოდების დახვეწილობით არც ახალგაზრდა რეფორმატორები გამოირჩეოდნენ. ეს განსაკუთრებით მიხეილ სააკაშვილზე ითქმის. შევარდნაძე მართალი იყო, როდესაც გუშინდელი მოკავშირეების მიერ მის წინააღმდეგ სტუდენტების და სკოლის მოსწავლეების გამოყენებაზე საუბრობდა. მაგრამ ახალგაზრდა პოლიტიკოსები კიდევ უფრო მართალნი იყვნენ მთავარში. ქვეყანა კორუფციაში იღრმობოდა, შევარდნაძე კი თავის კორუმპირებულ გარემოცვას კბილებით იცავდა. ჯერ კიდევ 2000 წლის მარტში პარლამენტის ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარემ, 32 წლის ვანო მერაბიშვილმა ღიად გაილაშქრა პრეზიდენტის კორუმპირებული წრის წინააღმდეგ. (ამ გამოსვლის შემდეგ მერაბიშვილს ხალხი ქუჩაში აჩერებდა და მადლობას უხდიდა). ამას მოჰყვა სააკაშვილისა და ქვანიას საჯარო განცხადებები ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში მყარად ფეხმოკიდებული კორუფციის შესახებ. 2002 წლის აგვისტოში ეკა ხოფერიას თოქ-შოუში სააკაშვილი მოყვა თუ როგორ გააჩერა ის წავკისი-

---

[345]. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 7 თებერვალი, 20102;

თბილისის გზაზე ასფალტის დამუშავებამ მუშამ. „აი, მე გზას ვაგებ, ძალიან მისარია, რომ სამუშაო გამომიჩნდა... ოც ლარს მიხდიან. სამი დღეა, რაც ვმუშაობ, მაგრამ ეს სამუშაო კონტროლის პალატის თავმჯდომარემ, სულსან მოლაშვილმა შეუკვეთა. მან აქ ოთხსართულიანი უზარმაზარი აგარაკი იყიდა. რა ფულით იყიდა ეს ძვირი აგარაკი მოლაშვილმა? საიდან მიხდის ის თუნდაც ამ 20 ლარს, რომლის მიღება, მართალი გითხრათ, ძალიან მისარია. მაგრამ ეს ხომ ჩემთვის მოპარული ფულია... ახლა დედა მყავს ავად, რომელსაც ელემენტარულად, ოპერაციის ფულს ვერ ვუხდიო".[346]- უთქვამს მუშას. საბაშვილი კი დაასკვნიდა: ეს არის შევარდნაძის სტილი, რომ დანიშნოს ასეთი ხალხი, აპატიოს ყველაფერი, რათა იყვნენ მის მიმართ ლოიალურები. კრიმინალიზაცია სხვა კი არაფერია."[347]

ხელისუფლებასთან ბრძოლაში ქვანია-საბაშვილი და მათ მიერ ანგაჟირებული მასმედია ხშირად გადადიოდნენ ზღვარს და ხელყოფდნენ არა მხოლოდ მმართველი გუნდის, არამედ სახელმწიფოს ინტერესებსაც. მაგალითად, ხელისუფლება კარგა ხანს უარყოფდა რუსეთის ბრალდებას, რომ ჩვენს ტერიტორიაზე ჩეჩენ ბოევიკებს ვიფარებდით. „რუსთავი-2"-მა კი ზუსტად აჩვენა ადგილები, სადაც ჩეჩნები იყვნენ. ამის შემდეგ რუსებმა სწორედ ეს ადგილები დაბომბეს. „ამას წინათ ერთ-ერთმა პოპულარულმა გაზეთმა მთელი გვერდი მიუძღვნა ქართულ არმიას დევიზით: „დედებო, არ გაუშვათ შვილები ჯარში!" ერთი მითხარით, მგრის პროპაგანდა ამაზე მეტს რას დაგვიშავებს? სახელმწიფოს დანგრევა თუ გინდა, უფრო უარესი რა უნდა ურჩიო ხალხს - ნუ გაუშვებთ შვილებს ჯარშიო",[348] - წერდა მეცნიერი და პუბლიცისტი ზურაბ ცუცქირიძე. 2002 წლის 20 ნოემბერს ყოფილი ფეხბურთელის - კახი ასათიანის მკვლელობის შემდეგ საბაშვილმა ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე უცერემონიოდ გაიშვირა ხელი ხელისუფლებისკენ. „ასათიანის მკვლელობა სახელისუფ-

---

346. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 15 აგვისტო, 2002;

347 . მოგვიანებით, 2015 წელს, საპყრობილედან გამოსულმა ჯანმრთელობამერყეულმა მოლაშვილმა ფეისბუკის გვერდზე გამოქვეყნებულ პოსტში აღიარა - „ჩვენ ყველა ცოტ-ცოტას ვცოდავდითო"..

348. ზურაბ ცუცქირიძე, „ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდა და დივერსიები საქართველოში", გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 17 ნოემბერი, 2001;

ლებო სტრუქტურების მიერ არის შეკვეთილი და დაგეგმილი,"[349]- განაცხადა მან. საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევისთანავე სააკაშვილმა მერიის შენობიდან ოფიციალური სახელმწიფო დროშები ჩამოხსნა და მათ მაგიერად ხუთჯერიანი დროშები ააფრიალა, სასამართლოს მოთხოვნას, რომ დაუყოვნებლივ გამოსწორებულიყო კონსტიტუციის უგულებელყოფის ეს უცერემონიო ფაქტი, სააკაშვილმა წაუყრუა. საკრებულოს ახალმა თავმჯდომარემ „სარევიზიო კომისია" შექმნა და მას სათავეში ირაკლი ოქრუაშვილი ჩაუყენა. კომისიამ მაშინვე დაიწყო მუნიციპალიტეტის და მისადმი დაქვემდებარებული საწარმოების შემოწმება. სასამართლომ სააკაშვილს და მის კომისიას ამ შემთხვევაშიც აუხსნა, რომ ეს კანონიერების უხეში დარღვევა იყო, მაგრამ ირაკლი ოქრუაშვილი ამის შემდეგაც აგრძელებდა მუნიციპალური საწარმოების შემოწმებას. „მიხეილ სააკაშვილის ასეთი ფამილარული დამოკიდებულება კანონთან ძალიან სახიფათოა მთლიანად საზოგადოებისთვის... სამართლიანობისთვის მგზნებარე მებრძოლი კანონების გათელვის ვზით ცდილობს კანონიერების დამკვიდრებას, ანუ სინამდვილეში ამკვიდრებს ლინჩის სამართალს. ასეთ შემთხვევაში ძალიან ძნელია გარჩევა, სად მთავრდება კამო პეტროსიანის მორალი და სად იწყება დემოკრატიის სამშობლოში აღზრდილი მაიკლ სააკაშვილის..."[350]- წერდა ჟურნალისტი თეიმურაზ ქორიძე.

2001 წლის 1 ნოემბერს პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე ქვანიამ გააკეთა განცხადება გადადგომის შესახებ. „მე არ ვაპირებ ბრძოლას იმ მეთოდებით, რომ საფრთხე შევუქმნა ათასობით ადამიანის სიცოცხლეს. მე ვაკეთებ განცხადებას, რომ გადავდგები თანამდებობიდან მას შემდეგ, როცა იქნება სრული გარანტია იმისა, რომ ამ ბავშვებს არაფერი შეემთხვევათ, არ მოხდება თავისუფალი მასმედიის დაშანტაჟება და ასე შემდე",[351] - აღნიშნა მან. მისი თქმით, გადადგომის შესახებ მისი განცხადება ავტომატურად შევა ძალაში მას შემდეგ, როგორც კი პოსტს დატოვებს შინაგან საქმეთა მინისტრი. ქვანიამ მიზანშეუწონლად

---

349 . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 21 ნოემბერი, 2002;

350. თეიმურაზ ქორიძე, „კასკადიორები თბილისის საკრებულოდან", გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2 მაისი 2003;

351 . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2 ნოემბერი, 2001;

მიიჩნია იმ ეტაპზე პრეზიდენტის გადაღებომა. ახლა ჩვენ ყველამ უნდა ვიფიქროთ ვადამდელ არჩევნებზეო, აღნიშნა მან.

ამის შემდეგ გადაღებომის შესახებ განცხადება გააკეთა კახა თარგამაძემ. ქვანიამ კელავ აიღო სიტყვა და გენერალური პროკურორის გია მეფარიშვილის გადადგომის საკითხიც დააყენა.

შევარდნაძე იძულებული გახდა მიეღო მთელი მთავრობის გადადგომის გადაწყვეტილება. ახალ კაბინეტში აღარ დასახელებულან ძალოვანი მინისტრები ქუთათელაძე და თარგამაძე. ენერგეტიკის მინისტრის პოსტი აღარ შეუთავაზებიათ არც დავით მირცხულავასთვის, რომლის კორუმპირებულობაზეც ასევე ხშირად ლაპარაკობდნენ ახალგაზრდა რეფორმატორები. გენერალური პროკურის თანამდებობაზე აღარ დასახელებულა გია მეფარიშვილის კანდიდატურაც.

მთავრობის გადადგომა არ მოიწონა ირინა სარიშვილმა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი განსაკუთრებით თარგამაძის გადადგომის წინააღმდეგი იყო. „თუ პრეზიდენტი თარგამაძის გადადგომის შესახებ განცხადებას დააკმაყოფილებს, მაშინ მთელი ეს სცენარი შევარდნაძის მიერაა დაწერილი,"[352] - აცხადებდა ის.

პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე ზურაბ ჟვანია ნინო ბურჯანაძემ, საბჭოური ეპოქის დიდმოხელის ქალიშვილმა, საშუალო ნიჭის, უპრინციპო, ამბიციურმა, მაგრამ უაღრესად პრაგმატულმა პიროვნებამ შეცვალა. ბურჯანაძე ბევრ დროს ხარჯავდა წვრილმან საყოფაცხოვრებო საკითხებზე კოლეგებთან კინკლაობაში, გამუდმებით ცდილობდა მათთვის თავისი უპირატესობის დამტკიცებას, ხშირად იმეორებდა, რომ თანამდებობრივ იერარქიაში მეორე პირია სახელმწიფოში და არაფის აპატიებს მასთან უბოდიშო დამოკიდებულებას, უკომენტაროდ არ სტოვებდა არცერთ რეპლიკას და ა. შ. თავისმა უპრინციპობამ, პოლიტიკურ არენაზე მუდმივად ტივტივის დაუოკებელმა სურვილმა, მოღვაწეობის დასაწყისში ეს მკვეთრად გამოხატული დასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსი, მოკვიანებით აშკარა პრორუსულ პოზიციამდე მიიყვანა.

აღგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში საკაშვილმა მომგებიანი ლოზუნგები წამოაყენა: „ხელშეკრულება

---

[352]. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1 ნოემბერი, 2001;

თბილისთან!“, „175 მილიონი ლარი სალხის სასარგებლოდ!“, „საააკაშვილი საკრებულოს თავმჯდომარედ!“ „თბილისი შევარდნაძის გარეშე!“ და ა. შ.

არჩევნების წინ ქვანია და საააკაშვილი მოსკოვში ჩავიდნენ. (საააკაშვილი აცხადებდა, კიევში მივდივარო, მაგრამ ჟურნალისტებმა ის მოსკოვში დააფიქსირეს). რუსეთის პროკრიზისული კვლევების დირექტორი, ეროვნებით ქართველი ვახტანგ ჭკუასელი მაშინ წერდა: „ქვანია-საააკაშვილი-პრიმაკოვის ურთიერთობები უფრო ქვანიას იმედებზე იყო დამყარებული, რადგანაც პრიმაკოვი შევარდნაძის პირადი დაუძინებელი მტერია. „ახალგაზრდა რეფორმატორებმაც“ საქართველოს ლიდერის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიაში ისევ გაელენიან პიროვნებებზე „ჩაბარება“ არჩიეს. საააკაშვილი თვითონ ჩამოვიდა მოსკოვში პრიმაკოვის იმ ფულის მისაღებად, რომელსაც ქვანიას შეპირდნენ რუსეთის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტში, რომლის დირექტორს, ევგენი კოჟოკინს ქვანია, უბრალოდ, მიეყიდა. აღრე ქვანია შეხვდა კოჟოკინს და გადაწყდა, რომ არკადი ვოლსკის სტრუქტურის ბიზნესმენებისგან ფულს მიიღებდა შევარდნაძის ჩამოსაგდებად და საქართველოში მორიგი დესტაბილიზაციის ასაგორებლად. დიახ, ამაში პრიმაკოვის ხელიც ერია. კოჟოკინ-პრიმაკოვს შორის უბრალო დაქვემდებარების პრინციპი მოქმედებს. ეს ინსტიტუტი პრიმაკოვის მიერ შექმნილი სტრუქტურაა რუსეთის საგარეო დაზვერვის სფეროში მისი აქტიური მოღვაწეობის დროს. მოსკოვში ვიზიტისას პოლიტიკური ბრძოლა ქვანიამ თავის თავზე კი აიღო, მაგრამ თბილისში დაბრუნებულმა თამაშის გაგრძელება ვეღარ შეძლო. ისიც გასათვალისწინებელია, რომ პრიმაკოვს არ უყვარს ამერიკაზე გაგიჟებული ხალხი... ქვანია-საააკაშვილის ვიზიტის შემდეგ პრიმაკოვთან მივიდა სათანადო ინფორმაცია ამ „ლიდერების“ პოლიტიკური უსუსურობის თაობაზე და ამ ვაჟბატონებს მოსკოვი, უბრალოდ, აღარ ენდო .. დაპირებული თანხაც მოსკოვში ვიზიტის დროს საააკაშვილმა ვერ მიიღო“. [353]

ქართულ პრესაში გადმობეჭდილმა ამ წერილმა „ვერ იმუშავა“. მოსახლეობამ ის, უბრალოდ, არ დაიჯერა.

---

[353] . გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 19-25 აპრილი, 2002;

2 ივნისის ადგილობრივმა არჩევნებმა დიდი დარღვევებით ჩაიარა. განსაკუთრებით მასშტაბურ გაყალბებას ჰქონდა ადგილი თბილისში. აქ 15 მანდატით გამარჯვება ლეიბორისტებს ხედათ, 14 მანდატით მეორე ადგილზე სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტი“ აღმოჩნდა. თუმცა, საერთაშორისო დამკვირვებლებმა, თეით ევროპის საბჭოს რეგიონალურმა ანსამბლემ, განაცხადა, რომ თბილისის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნები, ფაქტობრივად, არ შემდგარა. ლეიბორისტებმა და ნაციონალურმა მოძრაობამაც არჩევნების შედეგები სასამართლოში თეითონვე გაასაჩივრეს ამკარად მეტი ხმები მივიღეთ, მაგრამ გაყალბებამ დაგეგაზარალაო. ხმების გადათვლის პროცესი გაჭიანურდა. სასამართლომ ლეიბორისტებისა და ნაციონალური მოძრაობის შედეგები ძალაში დატოვა.

29 ივნისს გაიმართა მოქკავშირის მე-5 რიგგარეშე ყრილობა. რეანიმირებული მოქკავშირის თავმჯდომარედ ავთანდილ ჯორბენაძე იქნა არჩეული. შევარდნაძემ თავის დასაყრდენად კელავაც მოქკავშირი დაასახელა, თუმცა ამ მისიის შესრულების პრეტენზიები სხვებსაც ჰქონდათ.

ჯორბენაძეს მაშინვე შეუტიეს „ახალმა დემოკრატებმა“ და „ნაციონალურმა მოძრაობამ“. ჯორბენაძის „აღზევება“ არც „აღორძინებას“ მოეწონა. ქვანიამ ისარგებლა იმით, რომ ჯორბენაძის მთავრობის დაპირების მიუხედავად, ქვეყანის ბიუჯეტი 4 თეეში 28 მილიონით გაირღვა და მწვაეედ გააკრიტიკა ხელისუფლება.

ხელისუფლების მიმართ სულ უფრო და უფრო კრიტიკული ხდებოდნენ მასმედიის საშუალებებიც.

4 ნოემბერს, როგორც იქნა, თბილისის საკრებულოში თავმჯდომარის არჩევნები გაიმართა. როგორც წესი, საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე თავის კანდიდატურას ასახელებს გამარჯვებული ძალა, ამ შემთხვეევაში ეს ლეიბორისტებს უნდა გაეკეთებინათ, მაგრამ, მოულოდნელად, ნათელაშვილმა უარი თქვა კენჭისყრაზე და ადგილი სააკაშვილს დაუთმო. ლეიბორისტების ეს ნაბიჯი მარტივ გათვლებს ეფუძნებოდა: მათი აზრით, შევარდნაძის მმართველობის პირობებში თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე საგრძნობი წარმატების მოპოვება შეუძლებელი იყო. ამ თანამდებობაზე მოსული ნებისმიერი პიროვნება მარცხისთვის იყო განწირული.

ამიტომაც სჯობდა თანამდებობა სააკაშვილისთვის დაეთმოთ, რომელიც მალე წაიტეხდა ცხვირს. მისი ავტორიტეტი დაეცემოდა, ლეიბორისტები კი რეიტინგს კელაევაც შეინარჩუნებდნენ.

საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობისგან ბოლო მომენტში უარი თქვა მემარჯვენეთა კანდიდატმა ლევან გაჩეჩილაძემაც. სააკაშვილმა 29 ხმიდან 27 ხმა მიიღო და ლადო კახაძის შემდეგ თბილისის საკრებულოს მეორე თავმჯდომარე გახდა.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევისთანავე სააკაშვილი მკვეთრად დაუპირისპირდა ქალაქის მერს ვანო ზოდელავას. საკრებულომ კენჭი უყარა ზოდელავას თანამდებობიდან გათავისუფლებას, მაგრამ ხმები 22:22-ზე გაიყო, მერის გადაყენებას კი სმების 2/3 სჭირდებოდა. სააკაშვილმა შემოიღო მამასახლისებისა და რწმუნებულების ინსტიტუტები, რომლებითაც მერის უფლებამოსილებას ბღუდაედა. ქართული კანონმდებლობა არც ამ ინსტიტუტებს იცნობდა, მაგრამ სააკაშვილს ეს ნაკლებად აღელვებდა. საკრებულოს თავმჯდომარეს პოსტზე ყოფნის დროს მან შეძლო თბილისის სკოლები აღეჭურვა ინვენტარით, ფინანსური დახმარება გამოეყო ახალშობილთათვის, აღედგინა უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარება და სხვ.

ლეიბორისტების გათვლები სააკაშვილის ავტორიტეტის დაცემაზე არ გამართლდა. პირიქით, თავისი რადიკალური ქმედებებით, პოპულისტური პიარსვლებით მისი რეიტინგი კიდევ უფრო გაიზარდა. „პრაიმ-ნიუსის“ ინტერნეტ-გვერდზე ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით სააკაშვილი 2002 წლის საუკეთესო პოლიტიკოსად დასახელდა.

§ 6.6 ეროვნული თანხმობის ეკლიანი გზა. მორიგი ტერაქტი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ

ქართულ-აფსაზური შეიარაღებული დაპირისპირებისა და სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ტყეში გამსახურდიას ასეულობით მომხრე რჩებოდა, რომლებიც კვლავ აფეთქებდნენ ხიდებს, იგტაცებდნენ ადამიანებს, თაეს ესხმოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს. თუმცა, შეიარაღებული თავდასხმების რაოდენობას აშკარად კლების ტენდენცია შეეტყო. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განსორციელებულ ღონისძიებებს რეალური შედეგი მოჰქონდათ. ზუგდიდში, წალენჯიხაში, მთელ სამეგრელოში ვითარება უკეთესობისკენ იცვლებოდა. მიმდინარეობდა მოსახლეობიდან იარაღის ამოღება, ტყეში გასული რაზმები ხელისუფლებას ბარდებოდნენ. ქალაქებში და სოფლებში იკლო ძარცვამ და დაყაჩაღებამ. „... ორწელიწადნახევარია ზუგდიდელებს ნორმალური ძილი არ გვღირსებია, დაგვაგლახავა შიშმა. ამათ ააშენებს ღმერთი, ძლივს გარეთ არ გამოვიხედეთ?"[354]- ეუბნებოდა ჟურნალისტს ერთი ზუგდიდელი 1994 წლის იანვარში. საზოგადოება დამნაშავეთა მიმართ ბრძოლის გამკაცრებას მოითხოვდა, მაგრამ პარლამენტის ზოგიერთი ფრაქციის წარმომადგენელი დაუსაბუთებელ ბრალდებებს უყენებდა პოლიციას, ეჭვსქვეშ აყენებდა მის მიერ დამნაშავეთა მიმართ განხორციელებულ ღონისძიებათა კანონიერებას, სრულიად უსაფუძვლოდ იცავდა კრიმინალებს. 1994 წლის ივლისში სახელმწიფოს მეთაურმა გამოსცა ბრძანებულება „დამნაშავეობასთან ბრძოლის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ". სახელმწიფოს მეთაურთან შეიქმნა საკოორდინაციო საგანგებო კომისია შევარდნაძის (თავმჯდომარე), ფაცაციას, იოსელიანის, მენაღარაშვილის, ნადიბაიძის, ბაბილაშვილის, გიორგაძის, ნინიძის, შავიშვილის და სხვათა შემადგენლობით. გამსახურდიას მომხრე შეიარაღებულ დაჯგუფებათა წევრებს იარაღის დაყრისა და საკუთარ სახლებში დაბრუნების შემთხვევაში კიდევ ერთხელ მიეცათ ხელშეუხებლობის გარანტიები (ცხადია, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ სისხლის სამართლის მძიმე დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი).

---

[354] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 12 იანვარი, 1994;

ხელისუფლება აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა ექ-სპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული დაჯგუფებების ხელ-მძღვანელებთან. 1995 წლის მაისში შსს მინისტრი კვირაია შეხ-ვდა ელიავას, გადაწყდა, რომ პირველ ეტაპზე იარაღს ჩააბა-რებდა და ოჯახებს დაუბრუნდებოდა მისი შეიარაღებული რაზ-მის 100-დე მებრძოლი. ეროვნული შერიგების გზებს ეძებდნენ პოლიტოლოგები და პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწეები. სოსო ცინცაძის აზრით, „ასე გამწვავებულ დაპირისპირებას სა-თანადო სამართლებრივი ბაზა ესაჭიროება, ამ მიმართულებით მომუშავე პროფესიონალებით დაკომპლექტებული სტრუქტურუ-ლი ერთეული სჭირდება“. მას მოჰყავდა ესპანეთის მაგალითი, სადაც, ხელისუფლების სათავეში მოსელისთანავე გენერალმა ფრანკომ ეროვნული შერიგების სპეციალური სამსახური შექმნა, რომელსაც, ყველაფერთან ერთად, საკანონმდებლო ბაზაზე ბრუნვაც დააეალა... ამ სამსახურის ხელმძღვანელობას ეკუთ-ვნოდა საძმო საფლავისა და მთელ მსოფლიოში გახმაურებული ეპიტაფიის - „ისინი ესპანეთისთვის იბრძოდნენ“ იდეა“.[355]

ამ მშვენიერ იდეას საქართველოში განხორცელება არ ეწერა. ძალზე ძლიერი იყო ურთიერთმტრობა და ბიზღი დაპი-რისპირებულ მხარეებს შორის.

ეროვნული თანხმობის მიღწევის თავისებური გეგმები წარმოადგინეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა, რეფორმატორთა კავშირის თავმჯდომარემ ბაკურ გულუამ, სა-ქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციამ და სხვ. ასლან აბაშიძე გამოვიდა ზეიად გამსახურდიას ნეშთის საქართველოში ჩამოს-ვენების ინიციატივით, რასაც მაშინვე დაუჭირა მხარი ედუარდ შევარდნაძემ. „ჩვენ ბევრი ღირსეული თანამემამულის ნეშტი და-ვაბრუნეთ საქართველოში და რატომ არ უნდა გაკეთდეს იგივე პრეზიდენტის მიმართ?[356] - განაცხადა მან.

და აი, ასეთ ვითარებაში, როდესაც, თითქოს, შერიგების პროცესი მკვდარი წერტილიდან დაიძრა, 1998 წლის 9 თებერ-ვალს საღამოს 23 სთ-სა და 15 წთ-ზე, სახელმწიფო კანცელარიი-დან კრწანისის რეზიდენციაში მიმავალ საქართველოს პრეზი-დენტზე განხორციელდა ტერორისტული თავდასხმა. ორთაჭალა-

---

355 . სოსო ცინცაძე, „როგორ შევრიგდეთ?“ გაზ, „საქართველოს რესპუბლი-კა“, 9 აპრილი, 1998;

356 . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 15 აპრილი, 1998;

ში, სამასი არაგველის მემორიალთან მდებარე სკვერში ჩასაფრებულმა ტერორისტთა დიდმა ჯგუფმა ინტენსიური ცეცხლი გაუხსნა პრეზიდენტის ესკორტს. თავდამსხმელებმა გამოიყენეს ავტომატური იარაღი, ნაღმსატყორცნები და ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარები. რამდენიმე ნაღმი მოხვდა პრეზიდენტის დაჯავშნულ „მერსედესსაც“.

საკმაოდ სანგრძლივი შეტაკების შედეგად დაიღუპნენ პრეზიდენტის დაცვის ორი წევრი: სპეცრაზმელები კახა შევარდნიძე და დავით კოკაური. დაიჭრა დაცვის 4 წევრიც.

შევარდნაძე ამჯერადაც სასწაულებრივად გადარჩა.

მოკლულ იქნა ერთი თავდამსხმელიც - რუსეთის ფედერაციის ჩეჩენი ეროვნების მოქალაქე, გვარად ჯანგალიევი.

თავდასხმიდან რამდენიმე წუთის შემდეგ საქართველოს მოსახლეობას ტელევიზიით მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა. „ეს არის მეორე მცდელობა აეფეთქებინათ არა მარტო საქართველოს პრეზიდენტი, არამედ მთლიანად საქართველო როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ არიან ძალები, რომელთაც ხელს აძლევთ „მართვადი ქაოსი“, კავკასია მრავალმხრივ განსაკუთრებული დარტყმის ქვეშ არის სიცოცხლის ფასადაც რომ დაგვიჯდეს, არ დაეუშვებთ არანაირ არეულობასა და არასტაბილურობას ქვეყანაში ...“[357]-აღნიშნა შევარდნაძემ.

ტერაქტიდან მეორე დღეს, 10 თებერვალს, შევარდნაძე მთავრობის გაფართოებულ ხდომაზე სიტყვით გამოვიდა. „გაისმის მოთხოვნა - „წავაცალოთ ყველას თავები!“, მაგრამ დღესაც მინდა მთელი გაბედულებით ვთქვა: მართალი ვიყავი, როცა 1992 წელს, სამოქალაქო ომის დროს, შეწყალების მანდატი გამოვაქვეყნე რესპუბლიკის მოედანზე. შესაძლოა, ამ ომის მონაწილეებს ბევრად არ წააგდათ, ჭკუა ვერ ისწავლეს, მაგრამ მათ ბურგს უკან ათასები და ათეულ ათასები იდგნენ. სწორედ მათზე იმუშავა მანიფესტმა. ეს იყო ჩემი პირველი ნაბიჯი შერიგებისკენ. ახლაც შერიგების პლატფორმა წარმოვადგინე. ხშირად მეკითხებიან - „სად არის ეს შერიგება?“ შერიგება პროცესია. ეს არც ერთ დღეში მოხდება, არც ერთ თვეში და შესაძლოა, წლებიც დასჭირდეს. მაგრამ ეროვნული, სახელმწიფოებრივი ინტე-

---

357. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 10 თებერვალი;

რესებისთვის მე სუფთა სინდისით გავუწოდე ყველას ხელი – ჩვენ ყველა ერთად უნდა ვიყოთ, როგორც ერთი ქვეყნის ღირსეული მოქალაქეები, მიუხედავად ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

მეამაყება, რომ შარშან 25 000 ადამიანი შევიწყალე – ესეც შერიგების ელემენტია. ბედნიერი ვარ იმით, რომ 52 სიკვდილმისჯილი ადამიანი შევიწყალე, მათ შორის ჩემი პირადი მტრები. მე ვინც მესროდა, ვინც მებრძოდა, ისინიც, ვინც ზურგში დანა ჩაგვარტყა. ბედნიერი ვარ იმით, რომ პარლამენტმა ერთსულოვნად დამიჭირა მხარი და გააუქმა სიკვდილით დასჯა,"[358] - აღნიშნა მან.

სამეცნიერო ნაშრომს პანეგირიკი არ შეეფერება და ეს არც ჩემი სტილია, მაგრამ ამ შემთხვევაში მიჭირს დაემალო ემოციები. ტერაქტიდან სულ რამდენიმე საათია გასული, თანამემამულეთა ხელით სიკვდილს სასწაულებრივად გადარჩენილი პრეზიდენტი კი კვლავაც მიტევებაზე და შერიგებაზე ლაპარაკობს. ეს მხოლოდ სულით ძლიერ ადამიანებს შეუძლიათ! ედუარდ შევარდნაძის ეს სიტყვა ისტორიაში დარჩება, როგორც საკუთარ თავზე გამარჯვების, ქრისტიანული შემწყნარებლობის, პოლიტიკური შორსმჭვრეტელობის ნიმუში!

ტერაქტიდან რამდენიმე დღეში დააპატიმრეს 19 ეჭვმიტანილი, მათ შორის 14 ქართველი და 5 ჩეჩენი. კიდევ ერთი ჩეჩენი ადგილზე იყო ლიკვიდირებული. აღმოჩენილი იქნა ათამდე კონსპირაციული ბინა, ამოიღეს ავტოსატრანსპორტო საშუალებანი, რომლებითაც თავდასხმამდე და მას შემდეგ ტერორისტები გადაადგილდებოდნენ. სწორედ ლოტკინის მთაზე აღმოჩენილ ერთერთ ასეთ ავტომანქანაში აღმოჩნდა უბის წიგნაკი, რომელმაც უშიშროების სამსახური ტერორისტების კვალზე გაიყვანა. მანქანაშივე იპოვეს შემთხვევის ადგილზე ამოღებული რადიოსადგურების მსგავსი აპარატები, რომელთა გაშიფვრამ საგამოძიებო-ოპერატიულ ჯგუფს ფასდაუდებელი სამსახური გაუწია. ტერორისტთა ორივე მანქანა გატენილი იყო იარაღით, საბრძოლო მასალებით და აღჭურვილობით, იქვე იყო კავშირგაბმულობის საშუალებები, ვიდეოკამერა, რომლითაც პრეზიდენტზე თავდასხმის პროცესს მტკვრის მეორე ნაპირიდან იღებდა ერთ-ერთი ტერორისტი. საგურამოსთან აღმოჩენილ იარაღის სამალავში, სხვა ია-

---

[358] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 13 თებერვალი, 1998;

რაღების ცვერდით, იპოვეს კიტოვანისთვის ა/კ სამხედრო ოლქის სარდლის პატრიკაევის მიერ ნაჩუქარი შაშხანაც.[359]

გამოძიებამ დაადგინა, რომ პრეზიდენტზე თავდასხმა ვროზნოში ზეიადისტური ძალების მიერ მომზადდა. 9 თებერვლის ტერაქტი განხორციელდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის საქართველოზე გავლის გადაწყვეტილების მიღების დროს. ამიტომაც არ იყო შემთხვევითი, რომ ამ ორ ფაქტს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მხოლოდ ქართველებმა არ დავინახეთ. ცნობილი რუსი ეკონომისტი და პოლიტიკოსი გავრილ პოპოვი „იზვესტიაში“ გამოქვეყნებულ წერილში - „ვინ ესროლა შევარდნაძეს?“ - წერდა: „ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტმა ჩეჩნეთის ინტერესებს დაარტყა ... ამიტომაც ჩეჩნეთში გამოჩნდნენ ძალები (არა უმაღლეს ხელისუფლებაში), რომლებმაც დააფინანსეს და მოამზადეს ტერაქტი.“[360]

19 თებერვალს ტერორისტთა 20-კაციანმა ჯგუფმა გაიტაცა გაეროს მეთვალყურეთა ოფისის 4 ოფიცერი და მძღოლი. გატაცებულები ზუგდიდიდან ჩხოროწყუს მიმართულებით წაიყვანეს.

ტერორისტები ჯიხაშკარში თავს დაესხნენ ერთ-ერთი მცხოვრების, მეგონი მარღიას ოჯახს და დატყვევებულ გაეროს ოფისის წარმომადგენლებთან ერთად მძევლად იქ მყოფი ქალები და ბავშვებიც აიყვანეს. შსს-ს და უშიშროების ძალებმა მაშინვე შემოარტყეს ალყა ტერორისტების მიერ დაკავებულ სახლს.

ეს ტერაქტი 9 თებერვლის ტერაქტის გაგრძელებას წარმოადგენდა. მას სწორედ პრეზიდენტზე თავდასხმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, გოჩა ესებუა ედგა სათავეში. გამტაცებელთა მიზანი არ იყო ქვეყნის დატოვება. ისინი არ ითხოვდნენ თვითმფრინავს და მილიონებს.

უშიშროების მინისტრი ჯემალ გახოკიძე იგონებს: „არ უნდა დაღვრილიყო სისხლი. ეს იყო პრეზიდენტის კატეგორიული მოთხოვნა.“[361] გახოკიძე ორჯერ შეხვდა გოჩა ესებუას. ყოველი შეხვედრის შემდეგ, წინასწარი მოლაპარაკების თანახმად, ესებუა თითო მძევალს ათავისუფლებდა. ესებუას მიერ წამოყენებული მოთხოვნების შესრულება შეუძლებელი იყო. ის საქარ-

---

359. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 19 თებერვალი, 1998;

360. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 24 თებერვალი, 1998;

361 .ჯემალ გახოკიძე, „ბეწვის ხიდზე,“ თბ. 2013, გვ. 135;

თეელოს ხელისუფლებასა და ყოფილ ხელისუფლებას შორის ძალაუფლების გადაბარებაზე მოლაპარაკების გამართვას ითხოვდა. მოსკოვიდან თბილისში მართლაც ჩამოფრინდა ნემო ბურჭულაძე, თუმცა, ხელისუფლების წარმომადგენლებთან მის შეხვედრას რეალური შედეგი, რა თქმა უნდა, არ მოჰყოლია. ესებუას აღუთქვეს, რომ ჯიხაშკარის ეპიზოდს არ გაუხსენებდნენ, 9 თებერვლის ტერაქტისთვის სასჯელს მიუსჯიდნენ, რამდენიმე წლის შემდეგ კი მას პრეზიდენტი შეიწყალებდა. ესებუამ ჩაბარება გადაწყვიტა, მაგრამ ამ დროს გახოკიძესთან მივიდა სამი გამტაცებელი, რომელთაც მოიყვანეს მესამე მძევალი და მის სანაცვლოდ ხელშეუხებლობის გარანტიები მოითხოვეს. ვინ იყო ეს ხალხი? გასოკიძის თქმით „ეს იყო ესებუასთან შემთხვევით მოხვედრილი ხალხი, რომელთაც ჰქონდათ იარაღი და, გარკვეულწილად, გოჩა ესებუას წაქეზებით მოქმედებდნენ."[362] მათ გარანტიები მიიღეს. გამტაცებელთა ხელში რჩებოდა გაეროს ოფისის ერთი ჩეხი მძევალი ვიცე-პოლკოვნიკი იეროსლავ კელსტენი და სახლის პატრონის მარღიას ოჯახის წევრები. 27 თებერვალს ჩეხ მძევალს ნერვებმა უმტყუნა, ფანჯრიდან გადახტა და ტყეს შეაფარა თავი. ვითარება დაიძაბა. გამტაცებლები სხვადასხვა სახლებში გადანაწილდნენ და ცეცხლის გახსნით იმუქრებოდნენ. ამასობაში მოიძებნა ჩეხი მძევალიც. ტერორისტული ჯგუფის 12 წევრმა უშიშროებას იარაღი ჩააბარა. გოჩა ესებუა ორ თანამგრახელთან ერთად გაუჩინარდა.

1998 წლის თებერვლის ბოლოს მხედრიონელმა არამზადებმა სადისტურად მოკლეს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, შოთა კვირაიას შვილი და მძიმედ დაჭრეს მისი მეგობარი მერაბ ლაბარტყავა. შოთა კვირაიას თქმით, „ოთარი ზუსტად შუაღამისას დაბრუნებულა შინ „ალფას" მორიგეობიდან. იგი დაბადების დღეზე დაპატიჟა მეზობელ სადარბაზოში მცხოვრებმა ამხანაგმა მერაბ ლაბარტყავამ. სტუმრებს შორის იყვნენ ყოფილი მხედრიონელებიც. ოთარს მისველისთანავე დაუწყეს მამის ლანძღვა. ლაბარტყავა გამოექომაგა ამხანაგს და შეახსენა იქ მყოფთ, რომ ოთარი მისი სტუმარია და არავის დაანებებს მის შეურაცყოფას. სიტყვიერი კინკლაობა თანდათან გადაიზარდა ჩხუბად, რომლის დროსაც მერაბი სერიოზულად დაიჭრა.

---

[362].ჯემალ გახოკიძე, „ბეწვის ხიდზე," თბ. 2013, გვ. 136;

წივილ-კივილის ხმაზე, სხვებთან ერთად მოვარდა ოთარის დედაც. იგი ბინაში შეუშვეს, მერე კი ერთ-ერთმა სტუმარმა ყელზე დანა მიადო და სამზარეულოში გაიყვანა. დედა ხედავდა, რა მხეცურად უკლავდნენ შვილს.

„ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის, რომ როდესაც ახალი წლის წინ ოთიკომ მთხოვა ნებართვა, „ალფადან“ ხუთი წუთით მაინც მოვალ სახლში, რათა თქვენთან ერთად შევხვდეო ახალ წელსო, ვუბრძანე ადგილზე დარჩენილიყო. ოთარი ჩემს ბრძანებას არ გადაუხვეულა. ახალ წელიწადს სამნი შევხვდით: მე, ჩემი მეუღლე და ქალიშვილი. და ახლაც სამნიღა დაერჩით ...“[363]

დიდი ადამიანური ტკივილისა და ტრაგედიის ამსახველი ეს სიტყვები ნათლად მოწმობს, თუ რის ფასად უხდებოდათ პატრიოტ ადამიანებს ქვეყანაში მართლწესრიგის აღდგენა.

იმ ბინძური ცილისწამების პასუხად, რომელიც იმ ხანებში შოთა კვირაიას და მისი ოჯახის წინააღმდეგ პრესის ფურცლებზე იყო გაჩაღებული, გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ გამოაქვეყნა ოთარის მასწავლებლების წერილი, რომელშიც ნათქვამია: „თუნდაც ის ფაქტი, რომ ხელისუფლების მაღალი რანგის ჩინოვნიკების შვილებთაგან ის (შოთა კვირაიას შვილი) ერთადერთი მსახურობდა ჯარში, ლაპარაკობს კვირაიების ოჯახის ქვეყნისადმი დამოკიდებულებაზე.“[364]

31 მარტს, სოფელ ონარიაში სპეცრაზმმა ალყა შემოარტყა სახლს, სადაც თავს აფარებდნენ გოჩა ესებუა და მისი მეგობრები. წინააღმდეგობის გაწევისას ესებუა მოკლეს.

5 აპრილს, გოჩა ესებუას დაკრძალვაზე, სასაფლაოდან დაახლოებით 100-150 მეტრში პროცესიას თავს დაესხა ორი შეიარაღებული პირი. მათ მოკლეს ზურაბ შონია (პუშკინა), რომელსაც უშიშროების სამსახურთან თანამშრომლობა ბრალდებოდა. შონია მართლაც აპირებდა ჩაბარებას, რის შესახებაც მას რამდენიმე დღით ადრე ნათქვამი ჰქონდა გოჩა ესებუასთვის და სხვებისთვისაც. თავდამსხმელთა დაკავების მცდელობისას ერთერთმა მათგანმა ხალხში ხელყუმბარა ისროლა, რომელმაც კიდევ 4 კაცის სიცოცხლე შეიწირა. დაიჭრა 6 კაცი.[365]

---

[363] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 3 მარტი, 1998;

[364]. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 3 მარტი, 1998;

[365] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 7 აპრილი, 1998;

26 აპრილს საქართველოს პრეზიდენტი თურქეთში ვიზიტის შემდეგ სამშობლოში ბრუნდებოდა. აფრენიდან ცოტა ხნის შემდეგ მფრინავმა მას აცნობა, რომ არსად სჩანდა საქართველოს საჰაერო ძალების ორი თვითმფრინავი, რომლებსაც ესკორტირება უნდა გაეწიათ პრეზიდენტის თვითმფრინავისთვის. შევარდნაძე თბილისში მშვიდობიანად დაბრუნდა. ინცინდენტის მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ რუსეთის ვაზიანის ბაზაში განლაგებულმა ამ თვითმფრინავებმა აფრენა ვერ შესძლეს მათ ძრავებში აღმოჩენილი ქვიშის გამო.

პრეზიდენტმა დაუყოვნებლივ გაათავისუფლა თანამდებობიდან თავისი პრორუსული ორიენტაციით ცნობილი თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე.

ეს შემთხვევა მოწმობდა, რომ რუსეთის გავლენიანი ძალები განაგრძობდნენ დივერსიულ მცდელობებს ახალგაზრდა ქართული დემოკრატიის წინააღმდეგ. ანტიქართული, დესტრუქციული ძალების მიერ შევარდნაძის ფიზიკური მოსპობის ცდები იმასაც ადასტურებდა, რომ საქართველოს პრეზიდენტი ეროვნულ საქმეს აკეთებდა. ახალ დივერსიულ აქტს რომ აფასებდა, შევარდნაძე ამბობდა: „ჩემს წინააღმდეგ განხორციელებული წინა თავდასხმის ორგანიზატორი რუსეთში იმალება. მისი ხელწერა უკანასკნელ თავდასხმაშიც სჩანს.“[366]

და მართლაც, მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული, თითქმის ყველაფერ ცუდში, რაც კავკასიაში ხდებოდა, რუსეთის კვალი იკვეთებოდა.

1998 წლის 19 ოქტომბერს, ღამის 2 საათზე, სამხედრო მოსამსახურეთა დაჯგუფებამ აკაკი ელიავას ხელმძღვანელობით სამხედრო ბრიგადიდან გაიტაცა რამდენიმე ერთეული ჯავშანტექნიკა, გადაიბირა 100-დე ჯარისკაცი და დაიწყო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული აქცია. სამხედრო ტექნიკა და ჯარისკაცთა მცირე ჯგუფი სენაკისა და სამგრელიის გზებზე განლაგდა. თვითონ ელიავა მარტვილის რაიონის ყოფილ პრეფექტთან ერთად სენაკის ბრიგადის ტერიტორიაზე რჩებოდა.

სამოქალაქო ომის დროს სამეგრელოს ტერიტორიაზე უკანონო შეიარაღებული დაჯგუფების ხელმძღვანელობისთვის და ჩადენილი დანაშაულებისთვის ელიავას სასჯელი ელოდა, მაგრამ

---

366. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 8 მაისი, 1998;

ეროვნული თანსმობის პოლიტიკის გათვალისწინებით მაშინ ის შეიწყალეს და სამხედრო სამსახურშიც კი დატოვეს. ხელისუფლების ამ ლოიალური დამოკიდებულებიდან ელიავამ შესაბამისი დასკვნები ვერ გამოიტანა. ის კვლავ განუდგა ხელისუფლებას. სამტრედიასთან ელიავას დაჯგუფებას დასდნენ თემურ შაშიაშვილი და სამტრედიის გამგებელი, მაგრამ მოლაპარაკება არ გამოვიდა. ისინი დაატყვევეს. შაშიაშვილი მანქანაში ჩასვეს, სამტრედიის გამგებელი - ტანკში და თან წაიყვანეს. ხონში მათ თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ უწყებაში 10-დე ტანკი და სხვა ჯავშანტექნიკა ჩაიგდეს ხელთ და დაასლოებით 200-300-კაციანი დაჯგუფებით 20 ოქტომბერს ქუთაისის დასაკაებლად გამოემართნენ. ელიავას დაყოლიება ვერ შეძლეს ვერც უშიშროების მინისტრმა ჯემალ გახოკიძემ და გენერალმა უჩაძემაც. ამბოხებულებმა ისინიც დაატყვევეს და ქუთაისისკენ სვლა განაგრძეს.

ქუთაისთან ელიავას დაჯგუფებას გზა გადაუღობეს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფებმა მინისტრ დაეით თევზაძის ხელმძღვანელობით. ელიავას მძევლები კოლონის წინ მიმავალ მანქანებში ჰყავდა. ამის მიუხედავად თევზაძემ ამბოხებულებს ცეცხლი გაუხსნა. ელიავამ უკან დაისია და სენაკის ბრიგადაში დაბრუნდა. მძევლები მაშინვე გაათავისუფლეს. თვითონ ელიავამ 20 თანამზრახველთან ერთად კვლავ ტყეს მიაშურა.

ჯემალ გახოკიძის მძევლად ჩაბარებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. უშიშროების მინისტრს ბევრი აკრიტიკებდა: თავის უშიშროება ვერ დაუცვია და ჩვენსას როგორღა დაიცავსო, ამბობდნენ. გახოკიძე იძულებული გახდა გადამდგარიყო. მოგვიანებით დავით თევზაძე იხსენებდა: „გახოკიძე ჩაბარდა მძევლად და ამაში იყო აზრი. მეტიც, გენერალი უჩაძე მე გავაგზავნე მათთან მოსალაპარაკებლად. ვიცოდი, რომ მძევლად აიყვანდნენ და თავადაც იცოდა ეს. მძევლად ჩაბარება მოხდა არა იმის გამო, რომ ვიღაც უნიათო იყო, არამედ იმის გამო, რომ სამხედრო მოქმედებები მოითხოვს არასტანდარტულ მიდგომებს. ჯემალ გახოკიძე იყო სერიოზული რისკის ქვეშ. ის მძევალი იყო, როცა მე ცეცხლის გახსნის გადაწყვეტილება მივიღე. დიახ, ეს იყო რისკი, რის გარეშეც ის ამბავი ასე მალე არ დასრულდებოდა."[367] გახოკიძის ქმედებას შეფასება მისცა ქვეყნის პრეზიდენტმაც: „ჯე-

[367] .გაზ. „ასავალ-დასავალი," N 19, 2009;

მალ გახოკიძე ჯიხაშკარშიც და ელიავას მიერ მოწყობილი ამბოხის დროსაც უპირველესად იცავდა თავის ქვეყანას და თავის პრეზიდენტს. ... ჩვენ ყველანი მოწმენი გავხდით მისი ღირსეული ქმედების, გვებავთ, თავდაჭერის. დღესაც დარწმუნებული ვარ, რომ მისმა პროფესიონალიზმმა და ადამიანურმა თვისებებმა განაპირობეს სწრაფი მოგვარება ამ ამბოხისა."[368]

აი, თვით ჯემალ გახოკიძის შეფასებაც: „მაშინ ბევრმა ჩემმა კოლეგამ საქციელი დამიწუნა - რას მიდიოდითო. მათ გასაგონად ვამბობ: თბილ კაბინეტში ვერ ჩავიკეტებოდი, როცა ქვეყანა ომის პირას იდგა. მე ჩემი შესაძლებლობის მაქსიმუმი გავაკეთე. მერე რა, რომ უმიშროების მინისტრის პოსტის დატოვება მომიწია."[369]

ტყეში გასული აკაკი ელიავა ხელისუფლებას თავს დროდადრო გაკეთებული პოლიტიკური განცხადებებით შეახსენებდა ხოლმე. 1999 წლის აპრილში მან სუფსის ნავთობსადენზე თავდასხმა დაანონსა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და უშიშროების სამსახურის თანამშრომლებთან მოლაპარაკება გამართა. უშიშროება მას, ჩაბარების შემთხვევაში, თავისი რაზმის იმ წევრების სასლში გაშვებას სთავაზობდა, რომლებსაც სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაედინათ. თავად ელიავას ციხე ელოდა, მაგრამ იყო დაპირება, რომ გარკვეული ხნის შემდეგ პრეზიდენტი შეიწყალებდა. ელიავა უშიშროების თანამშრომელთა პირობებს დათანხმდა, მაგრამ მიცემული პირობა კიდევ ერთხელ დაარღვია და 19-20 ოქტომბრის ამბოხის დაპატიმრებული მონაწილეების გათავისუფლება მოითხოვა. ხელისუფლებამ მას აღუთქვა, რომ 17 აპრილამდე 10 მებრძოლს გაათავისუფლებდა.

ელიავამ სენაკის ტყეში ჟურნალისტები მიიწვია და პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც განაცხადა, რომ თუ ხელისუფლება ჩემს წინააღმდეგ ძალას გამოიყენებს, სამეგრელოს გამოყოფის საკითხს დავსვამო. ელიავას რაზმში ამ დროს აფხაზეთიდან გადმოსული 11 სპეცრაზმელიც ირიცხებოდა. პოლკოვნიკი ელიავა შევარდნაძის პრეზიდენტობას არ აღიარებდა, მის მიერ მინიჭებულ წოდებაზე კი უარს არ ამბობდა.

---

368. ჯემალ გახოკიძე, „ბეწვის ხიდზე", 2013, გვ. 154;

369 . ჯემალ გახოკიძე, „ბეწვის ხიდზე", 2013, გვ. 140;

1999 წლის 12 მაისს ცისიდან გაათავისუფლეს 1998 წლის 19-20 ოქტომბრის ამბოხში მონაწილეობის ბრალდებით დაპატიმრებული 39 კაცი. 11 ივნისს მოხერხდა აკაკი ელიავასა და მისი 9 თანამზრახველის შემორიგებაც. ეროვნული თანხმობის სახელით სახელმწიფო კიდევ ერთხელ წავიდა დათმობაზე ელიავას მიმართ.

1999 წლის 17 აპრილს საზეიმოდ გაისხნა სუფსის ნავთობტერმინალი.

მაისის შუა რიცხვებში სამართალდამცავებმა დააპატიმრეს 10 კაცი. 24 მაისს გამართულ პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ მზადდებოდა სახელმწიფო გადატრიალება სამხედრო ძალის გამოყენებით. ამოღებული დიდძალი საბრძოლო მასალა, დოკუმენტები, სპეცტექნიკა, რომელიც ქართულ ჯარს შეიარაღებაში არა აქვს, ნათლად ადასტურებდნენ, რომ საქმე გვქონდა ძალზე საშიშ სახელმწიფო დანაშაულთან, შეთქმულებასთან, რომელიც საზღვარგარეთიდან იმართებოდა. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ პოლკოვნიკი თემურ პაპუაშვილი, რომელიც თავის დროზე იგორ გიორგაძის მარჯვენა ხელი იყო, თავდაცვის სამინისტროს პოლიგონებისა და სასწავლო ცენტრის უფროსი გენერალი გუჯარ ყურაშვილი, უშიშროების სამინისტროს ყოფილი სადესანტო-მოიერიშე ბრიგადის ოფიცრები: არჩილ ფანჯიკიძე და გიორგი გიორგაძე, უშიშროების სამინისტროს სპეცრაზმ „ალფას“ ოფიცერი და იგორ გიორგაძის ყოფილი დაცვის წევრი კახაბერ ქანთარია და სხვები.

რამდენიმე დღეში კიდევ 10 ეჭვმიტანილი დააპატიმრეს, კიდევ 12 კაცზე გაიცა დაპატიმრების სანქცია. პაპუაშვილის მშენებარე სახლში აღმოაჩინეს 52 ავტომატი და პისტოლეტი. აღმოჩენილი პისტოლეტებიდან ერთ-ერთი 1995 წლის 20 ივლისს თავის სახლთან მოკლული სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობის იარაღი იყო. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ უტყუარად ასაბუთებდა იგორ გიორგაძის კავშირს წინა ტერაქტებთან და ამ ახალ შეთქმულებასთანაც. თავის დროზე თემურ ხაჩიშვილის დაპატიმრებისას მისი სახლი გაჩხრიკეს, მაგრამ კაბინეტის გაჩხრეკისგან თავი შეიკავეს (ამ დროს იგორ გიორგაძე ჯერ კიდევ თანამდებობაზე იყო). იმავე ღამით ხაჩიშვილის კაბინეტში ფანჯრიდან გადამძვრალმა მისმა თანამზრახველებმა ნივთმტკიცებები გაიტანეს. სავარაუდოდ, ხაბეიშვილის მკვლელობის იარაღი პაპუაშვილთან სწორედ ამ გზით უნდა მოხვედრილიყო.

2000 წლის 9 იელისს, საღამოს, ზესტაფონის შესასვლელთან პოლიციამ აკაკი ელიავა და მისი ოთხი მომხრე - გოჩა გეილავა, ზურაბ გვაზავა, იოსებ საჯაია და ჯემალ ზარქუა დააკავა. ისინი „გაზ-24" მარკის მანქანით თბილისიდან ზუგდიდში მიემართებოდნენ. ოფიციალური ვერსიით, პოლიციის განყოფილებაში მიყვანილმა ელიავამ და მისმა თანმხლებმა პირებმა იარაღის ჩაბარებაზე უარი განაცხადეს. მათ თბილისიდან შსს სამონიტროს წარმომადგენელთა ზესტაფონში ჩასვლა მოითხოვეს და მძეულად პოლიციის თანამშრომლები აიყვანეს.

შსს-ს ცნობით, ელიავას ჯგუფი მძეულად აყვანილი ოფიცრების, რომელთა შორის იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსი რუბენ ფერაძეც იყო, ზესტაფონიდან გაყვანას ცდილობდა, რის გამოც მათ ცეცხლი გაუხსნეს სპეცრაზმს. საპასუხო სროლის დროს დაიღუპნენ ელიავა და მისი ერთი თანამებრძოლი. დაიჭრნენ სპეცრაზმის ორი მებრძოლი და ერთი მძეული. დააკავეს ელიავას 3 მომხრე.

იმავე საღამოს და მომდევნო დღეებშიც ტელევიზიით აჩვენეს კადრები, სადაც ნათლად სჩანს, რომ პირველმა ცეცხლი გახსნა სპეცრაზმმა.

9-10 ივლისს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, შერიგების პროგრამის ფარგლებში, 127 პირის მიმართ შეწყვიტა სისხლის სამართლებრივი დევნა. აკაკი ელიავას თემას რომ ეხებოდა, გენერალური პროკურორი ჯამლეთ ბაბილაშვილი ამბობდა. „რაც მოხდა, ადამიანურად ძალზე დასანანია, მაგრამ აკაკი ელიავამ თავად არ მოისვენა. საზღვარი კი ყველაფერს აქვს, მათ შორის კანონის უპატივცემლობასაც. ზესტაფონის ოპერაცია იძულებითი ოპერაცია გახლდათ!" ჟურნალისტის კითხვაზე, „ვთქვათ და, იარაღი ჩაებარებინათ, შინ მშვიდობიანად გაუშვებდნენ?" - გენერალურმა პროკურორმა ასეთი პასუხი გასცა: „ხელისუფლებამ აკაკი ელიავას უარესი დანაშაულები აპატია და ახლა გაჯიუტდებოდა? სამოქალაქო ომის წლებში ჩადენილი დანაშაულობებისთვის მას დახვრეტის მუხლი ჰქონდა ბრალად წაყენებული, მაგრამ მოუხსნეს. ზესტაფონის პოლიციაში წარდგენილი ყველა პირი გახლდათ 1998 წლის 19 ოქტომბრის სამხედრო ამბოხის ორგანიზატორი. ხელისუფლება მზად იყო მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმის შესაწყვეტად ნაბიჯები იდგმებოდა ეროვნული თანხმობისკენ, საყოველთაო შერიგებისკენ. ელიავა კი თავისი რაზმებით ტყეში გადიოდა, იარაღს

აჟღარუნებდა, ულტიმატუმის ენით ლაპარაკობდა, პრესაში პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებდა. ხელისუფლება მასთან ცამდე მართალია. ამდენი სიკეთის დაუნახაობა დიდი უმადურებაა.“[370]

აკაკი ელიავას და მისნაირების ცხოვრების ასეთი დასასრულის მიზეზი მათი ინტელექტუალური შეზღუდულობა, ზღვარსგადასული ამბიციურობა და პოლიტიკური ცხოვრების კანონების სრული უცოდინრობა იყო. მათ იმ საქმეს მოკიდეს ხელი, რომლისაც არაფერი გაეგებოდათ და შედეგიც შესაბამისი მოიმკეს.

აკაკი ელიავას დაღუპვის შემდეგ სამეგრელოში შეიარაღებული სალსის გამოსვლები შეწყდა.

ამ მოვლენებამდე ცოტა ხნით ადრე პრეზიდენტის მიერ შეწყალებით ციხიდან გათავისუფლებულმა ვიქტორ დომუხოვსკიმ განაცხადა, რომ ელიავა რუსეთის სპეცსამსახურების აგენტი იყო. „როდესაც ციხეში თენგიზ კიტოვანთან ერთად ვიჯექი, კარგად გავიცანი თავდაცვის ყოფილი მინისტრი და დავრწმუნდი, რომ მან მოსკოვის დაჟალებით მოაწყო შეიარაღებული ამბოხებაო,“[371] - უთხრა მან კორესპონდენტს.

2000 წლის 1 ოქტომბერს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რესპუბლიკური საავადმყოფოდან გაიქცნენ მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდადებული და განსასჯელი პირები: გურამ აბსნაძე, ვასტანგ (ლოთი) ქობალია, ზურაბ ეჯიბია, თენგიზ გულუა, ავთანდილ დანელია, სვიჩა ფირცხალავა, ჯერლიდი ძარია, მამუკა ჯანგველაშვილი, თეიმურაზ ბართია, რომან კინწურაშვილი, გიორგი ნებიერიძე და ხვიჩა მანჩხავა. გაქცევა მოხდა წინასწარ გათხრილი 30 მეტრი სიგრძის გვირაბის მეშვეობით.

მაშინვე გაჩნდა ვერსია, რომ აბსნაძე კარებიდან გაატარეს, რადგან მისი კომპლექციის კაცის გვირაბში გაძრომა ძნელი დასაჯერებელი იყო. დააპატიმრეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმართა და მსჯავრდადებულთა დაწესებულების დირექტორის მოადგილე, გაქცევის ღამეს პასუხისმგებელი მორიგე, დაცვის განყოფილების უფროსი და კიდევ რამდენიმე პირი. მოგვიანებით დააკავეს ციხის უფროსიც, რადგან გაირკვა, რომ მან აბსნაძეს ციხეში სასათბურე პირობები შეუქმნა. აბსნა-

---

370. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 10 ივლისი, 2000;

371 . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 11 ივლისი, 2000;

ძე თაეისუფლად გადააღგილდებოდა ციხის მთელ ტერიტორიაზე, სარგებლობდა მობილური ტელეფონით და სხვ.

12 ოქტომბერს ამბროლაურის რაიონის სოფელ ფუტიეთის ტყეში, გადაუღებელ წვიმაში, დააკაევეს გურამ აბსნაძე, ლოთი ქობალია, და ზურაბ ეჯიბია. ცოტა ხანში მათი ბედი გაიზიარა ხვიჩა ფირცხალავამაც. გაქცეულები კოცონმა გასცა.

15 ოქტომბერს საკუთარ სოფელში, ნათესავის სახლში დააკავეს კიდევ ერთი ძებნილი - ხვიჩა მანჩხავა. 16 და 17 ოქტომბერს აიყვანეს მამუკა ჯანგველაძე და ავთანდილ დანელიაც.

2001 წლის 25 მაისს, დილის 7 საათზე, ნორიოს ტერიტორიაზე მიმდინარე სამხედრო წვრთნაში მონაწილე თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის ერთ-ერთმა ბატალიონმა თეითნებურად მიატოვა დისლოკაციის ადგილი და მუხროვანის ტყეში დაბანაკდა. ბატალიონმა გარკვეული ყოფითი ხასიათის მოთხოვნები წამოაყენა. 21 საათზე ამბოხებულ სამხედროებთან მუხროვანის ტყეში პრეზიდენტი ჩაეიდა. ორ საათიანი მოლაპარაკების შემდეგ შევარდნაძემ განაცხადა: „ის, რაც დღეს მოხდა, არის გაჭირვების ანარკლი, ჩვენ ვისაუბრეთ ამ საკითხებზე. ყველაფრის ერთბაშად გადაწყვეტა შეუძლებელია, მაგრამ არმიას მეტი ყურადღება სჭირდება სახელმწიფოსგან და საქართველოს ყველა მოქალაქისგან“. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამბოხებულების წინააღმდეგ არანაირი ღონისძიებები არ გატარდება, რადგან „თავად სახელმწიფო არანაკლებ დამნაშავეა იმაში, რაც მოხდა. მათ რომ ნორმალური პირობები ჰქონოდათ, ეს, ალბათ, არ მოხდებოდა.“[372]

თუმცა, მმართველ გუნდში ყველა ასე როდი აფასებდა მომხდარს. მოქალაქეთა კავშირის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე რევაზ ადამია, მაგალითად, აცხადებდა, რომ ამბოხებულების მოთხოვნებში პოლიტიკური მოთხოვნებიც ფიგურირებდა. ადამიას ასეთად მიაჩნდა ამბოხებულთა მოთხოვნა მათი ქვედანაყოფის თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებიდან გამოსვლისა და უშუალოდ პრეზიდენტისადმი დაქვემდებარების შესახებ. ისეთი პირები, როგორებიც ოთანაძე და კრიალაშვილია, საერთოდ არ უნდა იყვნენ სამხედრო სამსახურშიო, აცხადებდა ადამია.

---

372. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 29 მაისი, 2001;

ამბოხებული ნაწილის მუსროვანის ტყეში გასელის მეორე დღეს, 26 მაისს, ცისიდან გაიქცა ზვიადისტთა დიდი ჯგუფი. იმაყე დღეს ხელკეტებით და ხის ჯვრებით შეიარაღებული დემონსტრანტები თავს დაესხნენ უიარაღო პოლიციელებს. დაშავდა 18 პოლიციელი.

ეს შემთხვევითი დამთხვევები არ ყოფილა.

ზვიადისტები ვარაუდობდნენ, რომ სამხედრო ქვედანაყოფის ამბოხება, შეტაკებები, ცისიდან პატიმართა მასობრივი გაქცევა ჩაშლიდა დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავ ღონისძიებებს.

მუხროვანის ამბოხის მეორე დღეს მომხდარი ფაქტების, განსაკუთრებით კი რამდენიმე წლის შემდეგ განვითარებული მოვლენების ფონზე, ცხადად სჩანს, რომ ადამიას ეჭვებს გარკვეული საფუძველი გააჩნდათ.

§ 6.7 ეთნოპოლიტიკური ურთიერთობები

საქართველოს საზოგადოება არ წარმოადგენს ერთ მთლიან ორგანიზმს არც ლინგვისტური, არც ეთნიკური და არც კონფესიური თვალსაზრისით. დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა კაპიტალიზმის განვითარების საწყის ეტაპზე მოასწრეს მონოეთნიკურ სახელმწიფოებად ჩამოყალიბება. ამიტომ ამ ქვეყნებისთვის დამახასიათებელია სამოქალაქო იდენტობა. პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც პოლიეთნიკური საზოგადოებები ჩამოყალიბდნენ, ძირითადად, ეთნიკური ნაციონალიზმი ბატონობს. ტერიტორიით, მოსახლეობით, ეკონომიკური და, რაც მთავარია, სამხედრო თვალსაზრისით უზარმაზარი აგრესიული სახელმწიფოს მეზობლობა სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და მისი სუვერენიტეტისთვის. ქართველი ხალხის შეშფოთებას იწვევს დემოგრაფიული დაქვეითების, ნელი ისლამიზაციის, შემპარაეი გაევროპელების, ეროვნული კულტურის დაკარგვის საფრთხეებიც. ზოგი ევროპელი მკვლევარი ფიქრობს, რომ ასეთი შიშები ეთნონაციონალიზმისგან იღებს სათავეს და „საკუთარ თავში ჩაკეტვას უწყობს ხელს.“ ფრანგი მკვლევარის - სოფი ტურნონის აზრით, „ეთნონაციონალიზმი საქართველოში გავრცელებული მოძრაობის სახეობაა, როგორც

პოლიტიკაში, ასევე მეცნიერებაში. იდენტობის ამგვარი ესენციალისტური გაგება იწვევს ისტორიის სწორხაზოვან ხედვას, რომელიც ეთნიკური სიწმინდის იდეიდან გამომდინარეობს – საქართველო, რომელიც შიშს მოუცავს და ფობიების საშუალებით მტრებისგან იცავს თავს, საკუთარ თავში იკეტება", - წერს ის. ავტორს უჭირს ზემოთ დასახელებული საფრთხეების რეალურობის გაცნობიერება და მათ ქართველთა წარმოსხვების ნაყოფად მიიჩნევს. არადა, საფრთხეები რეალურია. ეთნიკური ნაციონალიზმი, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში ბატონობს და ამ ფაქტს თავისი ეთნო-პოლიტიკური და ისტორიული საფუძველი გააჩნია. დასავლეთ ევროპის მონოეთნიკური საზოგადოებების წინაშე არ დგას და არც შეიძლება იდგეს ის პრობლემები, რომლებიც მრავალეთნიკური საქართველოსთვის სერიოზულ საფრთხეებს წარმოადგენენ. ეთნიკური ნაციონალიზმი ჩვენი ქვეყნისთვის ამ რეალური საფრთხეებისგან თავდაცვის ერთ-ერთ ქმედით ინსტრუმენტს წარმოადგენს. გაეროს მონაცემებით 2050 წლისთვის ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა მილიონ 170 000 კაცით, ანუ 28 პროცენტით შემცირდება. ამავე მონაცემებით ეს მოხდება სწორედ ქართული ეთნოსის ხარჯზე, რაც ქართველთა რაოდენობის განახევრებას ნიშნავს. ეს მაშინ, როდესაც ამავე პერიოდში სომხეთის მოსახლეობა 7 პროცენტით, აზერბაიჯანის მოსახლეობა კი 34 პროცენტით გაიზრდება. 1910 წლისთვის კავკასიის ყოველი მესამე მცხოვრები საქართველოს მოქალაქე იყო, 2010 წლის მონაცემებით კი კავკასიის მცხოვრებთა მხოლოდ ყოველი მე-19 მოქალაქე არის საქართველოდან.

ეს ნიშნავს, რომ ქართველები რეალურად ედგევართ ყოფნა-არყოფნის წინაშე.

ამიტომაც არ შეიძლება საქართველოს რეალობაში დასავლეთ ევროპის პრაქტიკის მექანიკური გადმოტანა, რასაც ქალბატონი ტურნონი ევთავაზობს. ფრანგი ხალხი რომ მსგავსი საფრთხის წინაშე იდგეს, მაშინ მისი ეთნიკური იდენტობაც ამ საფრთხის ადეკვატური იქნებოდა.

სამოქალაქო იდენტიფიკაციის დაბალი დონის გამო საქართველოში ადამიანებს ურჩევნიათ თავი აღიქვან ეთნიკური ჯგუფისა და ისტორიული სამშობლოს წარმომადგენლებად და არა ერთიანი ქართული სამოქალაქო საზოგადოების წევრებად. სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბებას ჩვენში ისტორიული სამ-

შობლოს საზღერების სიახლოვეს ეთნოუმცირესობების კომპაქტური დასახლებების არსებობაც აფერხებს. სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორია, აგრეთვე, ეთნიკური უმცირესობების მიერ სასელმწიფო ენის არცოდნა. ჩვენ დიდი სნის განმავლობაში სრულიად გულწრფელად მოგვქონდა თავი ჩვენს ქვეყანაში არაქართულენოვანი სკოლების სიუხვეით და ეს ფაქტი ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვად მიგვაჩნდა. სინამდვილეში კი არაქართულენოვანი სკოლების მეშვეობით სასელმწიფო საკუთარ მოქალაქეებს ემიგრანტებად ამზადებს, უსპობს მათ ქვეყნის შიგნით სამსახურებრივი წარმატების შანსს. მაშინ, როდესაც საქმის წარმოება მთელ ქვეყანაში სახელმწიფო ენაზე მიმდინარეობს, სახელმწიფო ენაზე მაუწყებლობს ტელევიზია და რადიო, გამოიცემა ჟურნალ-გაზეთების აბსოლუტური უმრავლესობა, ქართული ენის უცოდინრობა ან სუსტი ცოდნა ადამიანს საშუალებას არ აძლევს მოახდინოს თავისი შესაძლებლობების რეალიზაცია. ასეთ შემთხვევაში საუკეთესო გამოსავალი ემიგრაციაა. ალტერნატივა ისეთი მიკროსიერცის შექმნაა, სადაც ქართული ენის გარეშეც იოლად გახვალ. სწორედ ასე იქცევა ჯავახეთის სომხური დიასპორა, რომელიც დროგამოშვებით სომხური ენისთვის რეგიონული სტატუსის მინიჭებას ითხოვს.

სხვათაშორის, ეთნიკური სომხების გაცილებით დიდი კომპაქტური დასახლებებია რუსეთში (დონის როსტოვი, მოსკოვი, არმავირი და ა. შ.), შეერთებულ შტატებში (ლოს-ანჯელესი), არგენტინაში, საფრანგეთში და სხვ. თუმცა, არცერთ ამ ქვეყანაში სომხებს მშობლიურ ენაზე სკოლები არ გააჩნიათ. და ეს არა იმიტომ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ეწინააღმდეგება ასეთი სკოლების გახსნას - სომხებს თავისუფლად შეუძლიათ გახსნან სომხურენოვანი კერძო სკოლები თავიანთი კომპაქტური დასახლების ადგილებში, მაგრამ მათ ეს არ სურთ, რადგან მშვენივრად ესმით - სახელმწიფო ენის თავისუფლად ფლობის გარეშე ამ ქვეყნებში მათ სამსახურებრივი წარმატების არავითარი შანსი არ ექნებათ.

საქართველო ამ მხრივ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს, რისი მიზეზიც ჯერ მეფის რუსეთის ერთიან იმპერიაში, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნა იყო. ამ ვრცელი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქმის წარმოების ენას რუსული წარმოადგენდა, რის გამოც საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები ქართული ენის ცოდნის გარეშეც გა-

დიოდნენ ფონს. რუსულის კარგი ცოდნა კი სომხებს უპირატესობასაც აძლევდა ქართველებთან შედარებით, რადგან წარმოება-დაწესებულებებში რუსულის მცოდნეებს პირველ რიგში ღებულობდნენ. დღეს საქართველო დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოა. ახლა უკვე საქმის წარმოება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ქართულად მიმდინარეობს, რაც არაქართულენოვან მოსახლეობას სახელმწიფო ენის შესწავლის აუცილებლობის წინაშე აყენებს. საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს ეს ესმით, მაგრამ ძველი პრაქტიკა ინერციით არსებობას დღემდე განაგრძობს.

ვითარება უკეთესობისკენ ნელა, მაგრამ მაინც იცვლება. ეს ნათლად სჩანს ახალციხის რაიონის მაგალითზე. საბჭოთა ხელისუფლების ბოლო წლებში ქალაქ ახალციხეში იყო ორი ქართული სკოლა თითოეული საშუალოდ, ათას-ათასი მოსწავლით, ორი რუსული სკოლა თითოეული ექვსას-ექვსასი მოსწავლით და ერთი სომხური სკოლა რვაასი მოსწავლით. რუსულ სკოლებში, ცხადია, საბჭოთა ჯარში მომსახურე რუსი ოფიცრების შვილებიც სწავლობდნენ, თუმცა ამ სკოლების მოსწავლეთა კონტიგენტის ძირითად ბირთვს მაინც ახალციხელი ეთნიკური სომხების შვილები შეადგენდნენ. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ რუსული სკოლების მოსწავლეთა კონტიგენტმა სწრაფად იწყო შემცირება - ქალაქი (და ქვეყანაც) დატოვეს რუსმა ოფიცრებმა და მათმა შვილებმა, სომეხი ეროვნების ბავშვები კი ქართულ და სომხურ სკოლებში გადანაწილდნენ. 2000 წლისთვის ახალციხის № 3 სომხური საშუალო სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტის რაოდენობა ათასს აღწევდა. საგრძნობლად გაიზარდა ქართული სკოლების მოსწავლეთა რაოდენობაც. ამის შემდეგ კი დაიწყო ქალაქის სომხური სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტის შემცირება. 2012-2013 სასწავლო წლის მონაცემებით ის 600-ზე ოდნავ მეტი - 623 იყო. გაიზარდა არა მხოლოდ ქართული სკოლების მოსწავლეთა კონტიგენტის, არამედ თვით სკოლების რაოდენობაც: ამჟამად ქალაქში სამი ქართული - № 1, №5, №6 სკოლაა, 2012-2013 სასწავლო წლის მონაცემებით მათში შესაბამისად, 967, 1265 და 234 მოსწაელე ირიცხებოდა. რაც შეეხება ორ რუსულ სკოლას, მათგან მხოლოდ ერთი ფუნქციონი-

რებს, რომელსაც რუსულ სექტორზე იმავე სასწაელო წლისთვის 194 მოსწაველე პყავდა, ქართულზე - 150.[373]

ცხადია, ქართული სკოლების მოსწავლეთა კონტიგენტის ზრდა სომხური და რუსული სკოლებიდან გადმოსული მოსწავლეების ხარჯზე მოხდა. უნდა ითქვას, რომ ეს პროცესი ახალციხეში სრულიად უმტკივნეულოდ და ძალდაუტანებლად მიმდინარეობს. ამ ქალაქის შერეული ქართულ-სომხური მოსახლეობის თანამშრომლობა მრავალი ათეული წლის მანძილზე ჰარმონიულად ვითარდება და ინტერნაციონალური თანაცხოერების ჭეშმარიტ მაყალითს წარმოადგენს.

განსხვავებული მიზეზით, მაგრამ მოსწავლეთა რაოდენობის მკვეთრი შემცირება ფიქსირდება საზღვრისპირა რამდენიმე სომხურ სოფელშიც. სოფელ წყალთბილის სომხურ სკოლაში, რომელშიც მოსწაელეთა რაოდენობა ახლო წარსულში 300-ს აღწევდა, დღეისთვის მხოლოდ 97 მოსწაელეა. მეზობელ სოფელ ნაოხრების სომხურ სკოლაში მოსწაელეთა რაოდენობა 140-დან 40-დეა დასული. ასეთივე მდგომარეობაა სოფელ წინუბნის სომხურ სკოლაში, სადაც 100-ზე მეტი მოსწაელე ირიცხებოდა, დღეისთვის კი მხოლოდ 42 მოსწავლეა

დასახელებულ სოფლებში მოსწავლეთა კონტიგენტის მკვეთრი შემცირების უმთავრესი მიზეზი მოსახლეობის მიგრაციაა. ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ამ მთიანი სოფლებიდან ადამიანები ქალაქში გადმოდიან საცხოვრებლად, მათი უფრო დიდი ნაწილი კი საერთოდ ტოვებს ქვეყანას.

იგივე პრობლემა საკმაოდ მწვავედ დგას ჯავახეთის ორ - ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებშიც. აქაური მოსახლეობა ჯერ კიდევ საბჭოურ პერიოდში გადიოდა ქვეყნიდან სეზონურ სამუშაოებზე, დღეს კი ბევრი მათგანი ღებულობს უცხო ქვეყნის (როგორც წესი - რუსეთის) მოქალაქეობას და მუდმივ საცხოვრებლადაც იქ რჩება. მათ ნაწილს საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნება სურდა კიდეც, მაგრამ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შემდეგ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობა ავტომატურად ჩამოერთვათ. დაუზუსტებელი მონაცემებით ასეთთა რაოდენობა ჯავახეთში 4-5 ათას კაცს აღწევს.

---

[373]. მონაცემები ახალციხის რაიონის სკოლებისა და მოსწავლეთა კონტინგენტის შესახებ მოგვაწოდა ახალციხის რაიონის გამგეობამ.

გასაგებია, რომ ამ სერიოზული პრობლემის რადიკალური გადაწყვეტა რეგიონში და მთლიანად ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებით, მასობრივი უმუშევრობის მკვეთრი შემცირების გზით არის შესაძლებელი. მაგრამ სახელმწიფოს დღესვე შეუძლია მის ხელთ არსებული სამართლებრივი მექანიზმებით, მაგალითად, ორმაგი მოქალაქეობის მინიჭებით პოზიტიური გავლენა მოახდინოს პროცესზე, მეტ-ნაკლებად მოხსნას მისი სიმწვავე. ეს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ, უპირველეს ყოვლისა, რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე პოლიტიკური პრობლემაა და მის გადაწყვეტაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სტაბილურობა პოლიტიკური თვალსაზრისით ამ მეტად მგრძნობიარე რეგიონში.

არაქართულენოვან სკოლებში სახელმწიფო ენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საქმეში შემობრუნების მომენტად შეიძლება დავასახელოთ ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მსარეებში 1997 წლის ნოემბერში ქართული ენის სრულფასოვანი ფუნქციონირების სახელმწიფო პროგრამის ამოქმედება. ქართულმა სახელმწიფომ მაშინ პირველად გამოყო სოლიდური თანხები დასახელებული რეგიონების არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის სწავლების დონის ამაღლებისთვის. ამ სტრიქონების ავტორი 1996-2002 წლებში სამცხე-ჯავახეთის სასკოლო ოლქის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე მუშაობისას, პირადად მონაწილეობდა აღნიშნულ პროცესში. ჯავახეთის ბევრი სომსური სოფლის სკოლაში წლების განმავლობაში არ ჰყოლიათ ქართული ენის მასწავლებელი. ამ სკოლების მიერ გაცემულ საშუალო განათლების ატესტატების გრაფაში - „ქართული ენა“ აღნიშნული იყო: „არ გაუვლია“. კიდევ უფრო მეტ სკოლაში ქართული ენის მასწავლებლებად მუშაობდნენ ქართული ენის სრულიად არმცოდნე არაპროფესიონალები. 1997 წლისთვის სამცხე-ჯავახეთის მხარის 124 არაქრთულენოვან სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა 230 მასწავლებელი. მათგან უმაღლესი სპეციალური განათლება ჰქონდა მხოლოდ 77 მასწავლებელს, უმაღლესი არასპეციალური განათლება - 11-ს, საშუალო სპეციალური განათლება - 38-ს, 12 მასწავლებელი იმ პერიოდისთვის იყო სტუდენტი, 92 მასწავლებელს ჰქონდა ზოგადი საშუალო განათლება. ახალქალაქისა და ნინოწმინდის 7 სკოლაში საერთოდ არ ჰყავდათ ქართული ენის მასწავლებელი.

აქედან გამომდინარე, ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა საკადრო პოლიტიკა, კვალიფიციური მასწავლებლების მოზიდვა მათი ფინასური დაინტერესების გზით. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ქართული ენის სახელმძღვანელოებით სომხური სკოლების მომარაგებას და მოსახლეობისთვის ქართული ენის შემსწავლელი კურსების გახსნასაც.

განსორციელებული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა ქართული ენის მასწავლებელთა ხარისხობრიეი შემადგენლობა, ჯავახეთის შორეულ სოფლებში სამუშაოდ გაიგზავნენ კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც გრანტებთან ერთად კომუნალური უზრუნველყოფის თანხებსაც იღებდნენ. მოსახლეობის სურვილების გათვალისწინებით ადგილებზე გაიხსნა ქართული ენის შემსწავლელი წრეები, მნიშვნელოვანი მატერიალური დახმარება გაეწია ჯავახეთის ქართულ სკოლებსაც, განმტკიცდა მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის სახსრებით სომხური სკოლებისთვის შეძენილ იქნა ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის სახელმძღვანელოები, ლექსიკონები, მეთოდური ლიტერატურა. დედაქალაქიდან მოწვეული სპეციალისტების ძალებით ახალციხესა ახალქალაქში რეგულარულად ტარდებოდა მეთოდური სემინარები ქართული ენის მასწავლებლებისთვის და სხვ.

უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაიზარდა არაქართული მოსახლეობის ინტერესი ქართული ენის შესწავლისადმი. სამცხე-ჯავახეთის სომხური სკოლების სულ უფრო მეტი კურსდამთავრებული აგრძელებს სწავლას ახალციხის უნივერსიტეტში, სადაც ისინი არა მხოლოდ სპეციალობას ეუფლებიან, არამედ სრულყოფენ თავიანთ ცოდნას სახელმწიფო ენაში, იძენენ ახალ მეგობრებს და ქართული სახელმწიფოს ჭეშმარიტ პატრიოტებად ყალიბდებიან.

სამცხე-ჯავახეთის მხარის სასკოლო ოლქის მაგალითზე კარგად სჩანს ქვეყნის სამხარეო მოწყობის პოზიტიური როლიც. 1996 წელს, სამმართველოში მისვლისას ჩემს წინაშე მთელი სიმწვავით სამი უმთავრესი ამოცანა დაისვა. 1. განათლების სფეროში უაღრესად კორუმპირებული ატმოსფეროს გაჯანსაღება; 2. არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის სწავლების რადი-

კალური გაუმჯობესება; 3. ჯავახეთის ორი რაიონის დაბრუნება ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში: მეორე ამოცანის თაობაზე უკვე ვისაუბრეთ, მესამე ამოცანის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებთან პრაქტიკულად გაწყვეტილი ურთიერთობის აღდგენის საკითხის გადაჭრა, სამმართველომ გაცილებით უკეთ მოახერხა, ვიდრე ამას განათლების სამინისტრო შეძლებდა. უსახსრობის გამო განათლების სამინისტროდან წლების განმავლობაში ჯავახეთში არავინ ჩასულა. ნინოწმინდისა და ახალქალაქის განათლების განყოფილების გამგეები წელიწადში ერთხელ თუ ჩავიდოდნენ თბილისში. სამაგიეროდ, რეგულარულად დადიოდნენ ერევანში, საიდანაც ჩამოჰქონდათ სახელმძღვანელოები, სასკოლო ინვენტარი, სკოლების სარემონტო მასალა და ა. შ. სამმართველოსა და ჯავახეთის რაიონების განათლების განყოფილებებს შორის კი რეგულარული კავშირ-ურთიერთობები დამყარდა. მოხერხდა სომხეთში გამოცემული სახელმძღვანელოების საქართველოში გამოცემულით ჩანაცვლებაც. დიდი ძალისხმევის ფასად, მაგრამ მაინც შევძელით ფაკულტატური საათების ხარჯზე სომხეთში გამოცემული სომხეთის ისტორიის სწავლების აკრძალვაც და სხვ.

რაც შეეხება პირველ ამოცანას - კორუმპირებული აგმოსფეროს განმუხტვას, ამ საკითხის გადაჭრა გაცილებით რთული აღმოჩნდა. განათლების სფეროში მოკალათებულ კორუმპირებულ ადამიანებს მფარველები აღმოაჩნდათ ხელისუფლების მაღალ ეშელონებში, რაიონულ გამგეობაში, სახელმწიფო რწმუნებულის აპარატში, განათლების სამინისტროში და ა.შ. სამმართველოს მიერ დოკუმენტურად დადასტურებული უტყუარი ფაქტების საფუძველზე კორუმპირებული სკოლის დირექტორების, განათლების განყოფილების გამგის მოხსნის გადაწყვეტილებები სამინისტროში იბლოკებოდა. მათ ყურით მოთრეული საბაბით ჩემს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძრაც კი მოახერხეს, თუმცა წელიწადნახევარის უნაყოფო მცდელობის შემდეგ, ეპოვათ კრიმინალი ჩემს მუშაობაში, იძულებულნი გახდნენ საქმე „დანაშაულის არარსებობის მუხლით“ შეწყვიტათ.

ეთნიკური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულების ფაქტებს ადგილი ჰქონდათ გამსახურდიას ხანმოკლე მმართველობის დროს. ამის ყველაზე რელიეფური გამოხატულება მათთვის მიკუთვნებული „სტუმრის“ სტატუსი იყო.

„სტუმარს“ მუდამ უნდა ხსომებოდა, რომ სტუმარია და შესაბამისადაც მოქცეულიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, გაეპანღურებინათ კიდეც. ხელსაყრელ მომენტში ასეც კეთდებოდა. საკმარისია ოსების, აზერბაიჯანელების, ნინოწმინდელი დუხობორების მაგალითების გახსენება.

გამსახურდიას შემდეგ, ამ მხრივ, ქვეყანაში ვითარება სასიკეთოდ შეიცვალა. უმცირესობების მიმართ შევარდნაძის პოლიტიკის არსი ის იყო, რომ ხდებოდა პოლიტიკისგან მათი მაქსიმალური იზოლირება. საკითხისისადმი ასეთი მიდგომა პოლიტიკაში ეთნოსური ელიტების კოოპტაციას არ გამორიცხავდა. 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ჯავახეთის სომხების ეთნონაციონალისტურმა ელიტამ პოლიტიკური ორგანიზაცია „ჯავასკის“ გარშემო მობილიზაცია დაიწყო, შევარდნაძემ ამ მოძრაობის გავლენიანი ლიდერები სარფიან თანამდებობებზე დანიშვნით მოისყიდა. სანაცვლოდ ეს ლიდერები რეგიონში სტაბილურობას და „ქვეყნის მმართველი ძალისთვის არჩევნებში სმების მაქსიმალურ რაოდენობას უზრუნველყოფდნენ. ასეთ პოლიტიკას მხოლოდ მოკლევადიანი, იმწამიერი ეფექტის მოტანა შეეძლო. საბოლოო ჯამში კი ეს პოლიტიკა ეთნონაციონალური მოძრაობის კიდევ უფრო ფართო მასშტაბით გაშლას ახალისებდა. სარფიანი თანამდებობების ხელში ჩაგდების მიზნით ახლა უკვე სხვა აღამიანები იწყებდნენ სიტუაციის არევას. ამიტომაც ერთი „მოთვინიერებული“ ლიდერის ადგილს მეორე, მესამე და მეოთხე იჭერდა. მმართველი პარტიის საარჩევნო სიებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართვის მაენე პრაქტიკას შედეგად „ყრუ-მუნჯ“ დეპუტატთა კატეგორიის გაჩენა მოსდევდა. ქართულის არცოდნის გამო ისინი პარლამენტის მუშაობაში ვერ მონაწილეობდნენ. სამაგიეროდ, მმართველ პარტიას მათი მხარდაჭერა ნებისმიერ საკითხში გარანტირებული ჰქონდა. კონიუნქტურული, ვიწროპარტიული ინტერესები ხშირად ოპოზიციური პარტიების საარჩევნო კამპანიის წარმართვისასაც იჩენდნენ თავს. ამ პარტიების არაერთი წარმომადგენელი სომეხ (ჯავახეთი) და აზერბაიჯანელ (ქვემო ქართლი) ამომრჩეველს არცთუ იშვიათად მხარდაჭერის სანაცვლოდ ავტონომიას ჰპირდებოდა. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები არჩევნებში მონაწილეობას ხელისუფლებისადმი ლოიალობის გამოხატულებად მიიჩნევენ. როგორც წესი ისინი მხარს მმართველ პოლიტიკურ ძალას უჭერენ და მზად არიან ასეთივე ხალისით

მიემხრონ მეორე ძალას, თუკი არჩევნები ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა.

ლამის ტრადიციად ქცეულ ამ პრაქტიკას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს. ეთნიკური უმცირესობები შიშობენ: ვაითუ არჩევნებში ურჩობის გამოელენა ხელისუფლებამ შემდეგ გაგვისსენოსო. ეს უფრო გამსახურდიას მმართველობის წლებზე ითქმის. უმცირესობებს არ მოსწონდათ და არც შეიძლებოდა მოწონებოდათ გამსახურდიას ხელისუფლება, მაგრამ ხმას მაინც მას აძლევდნენ. და აქ მთავარი „სადამჯელო ღონისძიებების“ შიში იყო. შევარდნაძის ხელისუფლებისადმი ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა უკვე პირად სიმპატიას ეფუძნებოდა. ამ ხელისუფლებამ გადაჭრით აღკვეთა გამსახურდიას დროინდელი ნაციონალისტური რიტორიკა და უმცირესობების მიმართ ლოიალური პოლიტიკა განასორციელა. ეთნოუმცირესობები კი, მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძის სოციალური პოლიტიკით უკმაყოფილებას გამოხატავდნენ, ამ ხელისუფლების მათდამი ლოიალური დამოკიდებულების გამო მხარს მაინც უჭერდნენ.

არის კიდევ ერთი - უმთავრესი მიზეზი, რის გამოც ეთნიკური უმცირესობები ყოველთვის ხელისუფლების მხარდამჭერებად გვევლინებიან. ეთნიკური უმცირესობები თელიან: ის, თუ ვინ იქნება საქართველოს ხელისუფლებაში, ქართველების გადასაწყვეტია. ჩვენ იმ ხელისუფლებას დავუჭერთ მხარს, რომელსაც ქართველები აირჩევენო.

ასევე ვფიქრობთ ქართველებიც. გავიხსენოთ რა შეკითხვას უსვამდნენ ჟურნალისტები აფხაზეთის ომში მოხალისედ წასულ თბილისელ ქურთ, ან სომეხი ეროვნების მოქალაქეს: „რატომ წახვედით ამ ომში?“ ანუ ეს ნიშნავდა: - „გასაგებია, რატომ მიდის ქართველი ახალგაზრდა ომში, ის სამშობლოს იცავს, მაგრამ თქვენ რა გრჯით, რატომ დგამთ ამ ნაბიჯსო“.

აფხაზეთის ომი ახალი დაწყებული იყო, რომ საქართველოს პარლამენტში ნინოწმინდის წარმომადგენელმა სომეხმა დეპუტატმა ასეთი რამ თქვა: ჯავახეთის სომხები ღრმად ვართ შეშფოთებულნი ქართველებსა და აფხაზებს შორის ატეხილი ძმათამკვლელი ომით. ამიტომ მზად ვართ ვიკისროთ შუამავლის როლი, რათა ეს უაზრო სისხლისღვრა შევაჩეროთო.

პარლამენტარები ამ სიტყვებს მქუხარე ტაშით შეხვდნენ. მხოლოდ ერთ მათგანს ეყო ჭკუა, თავის გამოსვლაში აღენიშნა, რომ ომი ქართველებსა და აფხაზებს შორის კი არა, ქართულ

სახელმწიფოსა და აფხაზ სეპარატისტებს შორის მიმდინარეობს და შუამაველად აქ შეიძლება გამოდგეს მოზამბიკელი ან ანგოლელი, საქართველოში მცხოვრები სომეხი კი ამ ომში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ისეთიეე დამცველი უნდა იყოს, როგორიც ნებისმიერი ჩვენთაგანიო.

ვიდრე ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეთნოუმცირესობებზე მეტი უფლებები გვაქვს, მანამდე ეს უმცირესობები მუდამ ჩათვლიან, რომ ქართული სახელმწიფოს მიმართ მათ ნაკლები ვალდებულებები გააჩნიათ.

ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაშიც შევარდნაძე თავისი ბალანსირების პოლიტიკის ერთგული რჩებოდა. მაგალითად, ახალქალაქის რაიონში დიდი ხნის მანძილზე ის წარმატებით ლავირებდა რაისიანების, ამბარცუმიანების და მქოიანების კლანებს შორის. ასეთი პოლიტიკა პრობლემას არ წყვეტდა, მხოლოდ გადაავადებდა, თუმცა ეს გადავადებაც მნიშვნელოვანი იყო, რადგან ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების კვალობაზე იკლებდა სეპარატისტული განწყობაც.

ჯავახეთის სომხური მოსახლეობის ერთი ნაწილი წლების განმავლობაში აყენებს ჯავახეთის ავტონომიის და სომხური ენისთვის რეგიონული ენის სტატუსის მინიჭების საკითხს. გამსახურდიას დროს მსგავსმა მოთხოვნამ ქვემო ქართლშიც გაიკლერა, თუმცა, მას შემდეგ იქ რეციდივი აღარ განმეორებულა. ჯავახეთის სომხების ნაწილი კი ჯერ კიდევ კომუნისტურ პერიოდში და მას შემდეგაც პერმანენტულად აყენებდნენ ავტონომიის საკითხს. ისინი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ ამ რეგიონში აჭარის დამეწყრილი რაიონებიდან უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის ჩასახლებას, რადგან მიაჩნდათ, რომ ამ გზით ქართული სახელმწიფო ხელოვნურად ცვლიდა დემოგრაფიულ ვითარებას ჯავახეთში. 1995 წლის ნოემბრის არჩევნების წინ საქართველოსა და სომხეთის პრეზიდენტებთან ახალქალაქში გამართულ ხალმრავალ შეკრებაზე ერთ-ერთმა ახალქალაქელმა სომეხმა მწვავედ გაილაშქრა ნინოწმინდის რაიონში გახსნილ ბავშთა სახლში 40 ობოლი ბავშვის მიღების წინააღმდეგ. მიზეზი, ცხადია, იგივე იყო: ხელისუფლების მიერ ჯავახეთში დემოგრაფიული ვითარების ხელოვნური შეცვლის მცდელობა.

ქართული სახელმწიფო დიდი სიფრთხილით ეკიდება ავტონომიური ერთეულების წარმოქმნის საკითხს. მეტიც, მკვეთრად ნეგატიურად არის განწყობილი ქვეყნის ეთნოფედერალიზაციის

მიმართ. ეს საესებით გასაგებია. ქვეყნის სამი ავტონომიიდან ორში უკვე მოხდა სისხლიანი კონფლიქტები. ამიტომ ქართველების შიში, რომ ტერიტორიული ავტონომიური ერთეულების, განსაკუთრებით - ეთნოეროენულ ნიადაგზე შექმნილი ავტონომიების არსებობა საფრთხეს უქმნის ქვეყნის ტერიტორიულ მთლანობას, საფუძველსმოკლებული სულაც არ არის. ეთნოფედერალიზაციის გზით სიარული მხოლოდ გააღრმაევებს ჩვენი საზოგადოების სეგმენტაციას, გააძლიერებს სეპარატისტულ განწყობილებებს. ამ საშიშროების ხარისხი კი მით უფრო მაღალია, რაც უფრო გუსტად ემთხვევა ფედერაციის სუბიექტის საზღვრები ეთნოუმცირესობების კომპაქტურად დასახლების საზღვრებს. მითუმეტეს, თუ ეს საზღვრები ისტორიული სამშობლოს საზღვრებს ემიჯნება.

რაც შეეხება ჯავახეთში არსებული დემოგრაფიული ვითარების ხელოვნურად შეცვლის მცდელობას, რომელიც ვითომდაც, აჭარის დამეწყრილი რაიონებიდან ჯავახეთის ძირძველ ქართულ მიწაზე მოსახლეობის ჩამოსახლებაში გამოიხატება, ამ ბრალდების ავტორებს უნდა შევახსენოთ, რომ ჯავახეთის დემოგრაფიული ვითარების ხელოვნური შეცვლა მოხდა 1830-1832 წლებში, როდესაც გენერალმა პასკევიჩმა აქ ერზრუმიდან დევნილი 35 ათასი სომეხი ჩამოასახლა, 1944 წელს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ აქედან ცენტრალურ აზიაში მუსლიმი ქართველები გაასახლა, 1945-1960 წლებში, როდესაც ჯავახეთის რაიონების სომეხი ეროვნების ხელმძღვანელობის მიერ შეეიწროვებული ჯავახები მასობრივად იყრებოდნენ თავიანთი მიწებიდან და საცხოვრებლად საქართველოს სხვა რაიონებში გადადიოდნენ. სწორედ ამის გამოა, რომ ჯავახეთში დღეს ამ მიწის მკვიდრი ჯავახი სანთლით საძებნელია.

ქართულ სახელმწიფოს კი სრული უფლება აქვს ქვეყანაში ისეთი დემოგრაფიული პოლიტიკა განახორციელოს, როგორსაც საჭიროდ მიიჩნევს. ცხადია, არა რომელიმე ეთნიკური ჯგუფის ინტერესების შელახვის ხარჯზე.

ეთნიკურ უმცირესობებში სეპარატისტული განწყობილების გაძლიერება დროში ყოველთვის ემთხვევა ქართული სახელმწიფოს დასუსტებას. 90-იანი წლების სეპარატისტული გამოელინებებიც ამკარად სახელმწიფოს სისუსტის შედეგს წარმოადგენდა. გარეშე თუ შინაური მტრები ცდილობდნენ ესარგებლათ ამ სიტუაციით და დამატებითი პრობლემები შეექმნათ სახელმწიფოს-

თეის. 1994 წლის იელისში თბილისში ბარბაროსულად ააფეთქეს სომხური თეატრი. ფაქტს მაშინვე გამოეხმაურენ ახალციხელი სომხები. „ჩვენ ვიცით როგორ ვიცხოვროთ ერთად და როგორ შევინარჩუნოთ ეს თანაცხოვრება“[374], - განაცხადა მაშინ შარლ აზნავურის საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ არამ პოღოსიანმა.

1998 წლის იელისის დასაწყისში სამცხე-ჯავახეთის მხარის პოლიციის სამმართველოს ყოფილმა უფროსმა ელადიმერ ახალკაცმა ბათუმში გამართულ „აღორძინების“ ყრილობაზე ბრალი დასდო პრეზიდენტის რწმუნებულს ამ მხარეში გიგლა ბარამიძეს. ახალკაცი ამტკიცებდა, რომ ბარამიძემ მას „ჯავახკის“ ლიდერების - სამეულ პეტროსიანისა და დავით ვექილიანის მკვლელობა შეუკვეთა., ბარამიძეს კი ეს დაევალება უშიშროების საბჭოს მდივნისგან ჰქონდა მიღებულიო. ახალკაცის აზრით, ამ ყველაფრის უკან საქართველოს პრეზიდენტი იდგა.

„ჯავახკის“ საკოორდინაციო საბჭომ ახალკაცის განცხადება პროვოკაციად შეაფასა.[375]იმავე წლის 10 აგვისტოს სომეხი ეროვნების 25 კაციანმა შეიარაღებულმა რაზმმა ახალქალაქის მისადგომებთან გზა გადაუღობა ქართულ საარტილერიო ქვეგანაყოფს, რომელიც აბულის პოლიგონზე წვრთნის ჩასატარებლად მიემართებოდა. წინასწარი შეთანხმებით წვრთნებში ქართველ არტილერისტებთან ერთად ახალქალაქში დისლოცირებულ რუსული სამსედრო ბაზის არტილერისტებსაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ისინი ქართველ არტილერისტებს ახალქალაქის მისადგომებთან უნდა შეხვედროდნენ. ბოლო მომენტში რუსმა სამხედროებმა წვრთნაში მონაწილეობა გადაიფიქრეს. მათ მაგიერად კი ქართველებს მათდამი მტრულად განწყობილი 25 კაციანი რაზმი დახვდა. სიტუაცია კრიტიკული იყო. ადგილზე მიეიდა მხარის რწმუნებული და რაიონული ხელმძღვანელობა. 25 კაციანი ჯგუფიდან 2 დააპატიმრეს, დანარჩენები მიიმალნენ. გაირკვა, რომ რუსული სამხედრო ბაზის ერთ-ერთი საწყობი დაცვის გარეშე იყო დარჩენილი და იძარცვებოდა. მოსახლეობას არწმუნებდნენ, რომ ჯავახეთის სომხებს გასახლებას უპირებდნენ.

---

374 . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 8 იელისი, 1994;

375 . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 7 იელისი, 1998;

მათ მოუწოდებდნენ იარაღით ხელში დაეცვათ საკუთარი სახლკარი.

ძნელი მისახვედრი სულაც არ იყო, თუ ვინ იდგა ამ ამბების უკან. ახალქალაქის მოსახლეობა პროვოკაციას არ წამოეგო.

25 ჩასაფრებულიდან 12 მეზობელი ქვეყნების მოქალაქე აღმოჩნდა, 4 საქართველოს მოქალაქე „ჯავახკის" წარმომადგენელი, დანარჩენებმა მიმალვა მოასწრეს.

სიტუაციის შემდგომი გამწვავების თავიდან აცილების მიზნით თავდაცვის სამინისტრომ საარტილერიო წერთნა ახალქალაქიდან ახალციხეში გადმოიტანა.[376]

სომხეთის პოლიტიკური ელიტის ძირითადი ნაწილი კარგად აცნობიერებდა საფრთხეს, რომელიც შეიძლებოდა ჯავახეთის სომეხი ნაციონალისტების სეპარატისტულ გამოხდომებს სომხეთისთვის და ქართულ-სომხური ურთიერთობებისთვის მოჰყოლოდა. სომხეთის მმართველმა პარტიამ „პროვოკაციული დოკუმენტი" უწოდა გაზეთ „ჯავახკის" ფურცლებზე ერვანდ შირინიანისა და არტაშეს ვარტაპეტიანის აეტორობით გამოქვეყნებულ „ჯავახეთის აეტონომიური რესპუბლიკის" მომავალი კონსტიტუციის კონცეფციას." სომხურ პრესაში (გაზ. „ორაგი", 13 ოქტომბ, 1998) დაიბეჭდა ნიკოლ ფაშინიანის სტატია, რომელშიც ავტორი ამ ე. წ. „დოკუმენტს" სომხური ინტერესების საწინააღმდეგო ნაბიჯს უწოდებს. „ასეთი დოკუმენტების წყალობით ჩვენი მეზობლების მხრიდან სომეხთმოძულეობას ვღებულობთ. ე. წ. ჯავახეთის კონსტიტუციის კონცეფცია" ერთბაშად მიუთითებს რუსეთის კვალზე, თუმცა, გაუგებარია - რამდენიმე ათასი რუსით დასახლებულ ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად აღიარების პრეტენზია რატომ უნდა ჰქონდეს რუსულს და რატომ უნდა მიიღონ მონაწილეობა რუსებმა ე. წ. აეტონომიური რესპუბლიკის მმართველობაში."[377]

აეტორის აზრით ეს დოკუმენტი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას. განსაკუთრებით ე. წ. კონსტიტუციის ის პუნქტი, რომელიც უფლებას აძლევს ჯავახეთის მაცხოვრებლებს არ იმსახურონ საქართველოს არმიაში. ამ პუნქტმა „მე გამახსე-

---

376 . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 15 აგვისტო, 1998;

377. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 27 ოქტომბერი, 1998;

ნა საუკუნის დასაწყისში შექმნილი სიტუაცია თურქეთში, როდესაც სომხები არა მხოლოდ უარს ამბობდნენ თურქეთის არმიაში სამსახურზე, არამედ ესმარებოდნენ რუსულ არმიას. მსგავსი ვითარებაა შექმნილი ჯავახეთშიც. ჯავახეთის სომხები ცდილობენ არ იმსახურონ ქართულ არმიაში და ყოველნაირად მხარს უჭერენ რუსეთის არმიას ჯავასეთის კონსტიტუციად წოდებულ დოკუმენტს შეუძლია სომხური ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ქართულ ნაწილს მისცეს დასაბამი, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ბრძოლამ 1862 წლიდან ეთნიკურად სომსური ტერიტორიების დაკარგვა გამოიწვია. ... თუ სომხები გააცრძელებენ ჯავახეთისთვის ავტონომიის მოთხოვნას, არაა გამორიცხული, რომ სომხურ-ქართული ურთიერთობები მკვეთრად გაუარესდეს. ეს ნიშნავს, რომ სომსეთი საბოლოოდ იზოლიაციაში მოექცევა და გარესამყაროსთან კავშირის უზრუნველყოფა მხოლოდ საჰაერო გზით იქნება შესაძლებელი.“[378]- წერდა ფაშინიანი.

ჯავახეთში მიმდინარე არაჯანსაღ პროცესებს ესმაურებოდნენ საქართველოს სომხებიც. საქართველოს მფრინავთა ასოციაციის პრეზიდენტი ალბერტ ნურბეკიანი წერდა: „ბოლო დროს ჯავახეთში გამოჩნდნენ სომხური მოსახლეობის ე. წ. ლიდერები, რომლებსაც თავში მოუვიდათ იდეა, შექმნან საქართველოს ტერიტორიაზე რაღაც ავტონომია ... ხომ არ ვანანებინებთ ქვეყანას იმას, რომ თავის დროზე ამდენი ეროვნების ადამიანი შეიფარა?

ხომ არ დადგა დრო ასეთი პროვოკატორების საჯაროდ გაცხადებისა და დაგმობისა? ძალზე ნიშანდობლივია, რომ ჩვენი მრავალეროვანი ავიადასახლებიდან წარგზავნილი ახალგაზრდები - ქართველი ახობაძე, სომეხი სუვორიანი და რუსი პლატოვსკი ერთად დაიღუპნენ აფხაზეთის ომში ჩვენი სამშობლოს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში თქვენს შორის კი თავისუფლად დადიან პროვოკატორები და სურთ, ერთმანეთს წაკიდონ ორი ყველაზე ახლობელი ერი მე ყველას გირჩევთ - კიდევ ერთხელ შეხედეთ გეოგრაფიულ რუკებს იმ ტომრიდან, რომელშიც სომხეთი იმყოფება, ერთი

---

[378]. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 27 ოქტომბერი, 1998;

გასასვლელია, ერთი ყელია საქართველოს გაელით. მოიგებს კი ჩვენი ისტორიული სამშობლო საქართველოს გადაკიდებით?"[379]

საქართველოს ხელისუფლებაში ესმოდათ, რომ ჯავახეთში ეთნო-პოლიტიკურ ნიადაგზე დაძაბულობის მთავარ წყაროს ახალქალაქის რუსული სამხედრო ბაზის არსებობა წარმოადგენდა. ამიტომ წლების განმავლობაში ქართველი დიპლომატების ძალისხმევა ახალქალაქიდან ამ ბაზის გაყვანისკენ იყო მიმართული.

1999 წლის 17 ნოემბერს სტამბოლში რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს მხარეებმა იკისრეს საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების, მათ შორის, ახალქალაქის ბაზის გაყვანის ვადებისა და პირობების განსაზღვრის ვალდებულება. რუსეთი დიდი ხნის განმავლობაში ყურით მოთრეული საბაბით (ადგილობრივი მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლების შიში) ცდილობდა პროცესის გაჭიანურებას. ის ახალქალაქისა და ბათუმის ბაზების გაყვანისთვის 14-წლიან ვადას ითხოვდა. 2001 წლის იელისში ამ საკითხთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაში ზურაბ ჟვანია აღნიშნავდა, რომ ბათუმისა და ახალქალაქის რუსულ სამხედრო ბაზებზე არსებული 3 300 სამხედრო მოსამსახურის გასაყვანად სამი წელიც სრულიად საკმარისია. „როგორც სჩანს რუსეთის გეგმები საქართველოში უკავშირდება ჩვენში არსებული შიდა ძალების იმედებს, რომელთა თანახმადაც საქართველოში პოლიტიკური ხელისუფლება უახლოეს ხანებში შეიცვლება და სათავეში ისეთი ძალები მოვლენ, რომელთაც რუსეთის ბაზებთან არანაირი პრეტენზია არ ექნებათო".[380]

ახალქალაქის რუსული სამხედრო ბაზა მოგვიანებით - 2007 წლის მაის-ივნისში ექსცესების გარეშე დაიხურა. ამან მნიშვნელოვნად გაუმჯობესა ეთნოპოლიტიკური ვითარება ჯავახეთში.

ქართულ სახელმწიფოს სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნიდა აჭარის ოდიოზური ლიდერის - ასლან აბაშიძის თავნებობა. აბაშიძე ხშირად ეურჩებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას, ავლენდა სეპარატისტულ მიდრეკილებებს, აკეთებდა გაუმართლე-

---

[379]. ალბერტ ნურბეკიანი, „არ ვანანებინოთ ქვეყანას, რომ თავის დროზე შევვიარა!", გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 3 ოქტომბერი, 1998;

[380] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 3 იელისი. 2001;

ბელ პოლიტიკურ განცხადებებს. ავტონომიურ ერთეულში ის თავს არაბი შეისიეით გრძნობდა. მრეწველობისა და ბაზრების ყველაზე შემოსაელიან სფეროებს აბაშიძის ნათესავები ან მასთან ღაასლოებული პირები განკარგაედნენ. მას სრული კონტროლი ჰქონდა დამყარებული სარფის საბაჟოზეც. ჯერ კიდეე გამსახურდიას დროს, აჭარაში აბაშიძის ჩასვლიდან რეა დღის შემდეგ, მასზე თაედასხმა მოეწყო. აბაშიძის მომხრეებმა ერთ ღღე-ღამეში განაიარაღეს ყეელა შეიარაღებული ფორმირება ავტონომიაში. თავის მრავალრიცხოვან პრესკონფერენციებზე აჭარის ლიდერი აცხადებდა, რომ მასზე გამ·უდმებით ცდილობენ თავდასხმებს და რომ ამ საქმეში „თბილისის ხელი ერია.“ მან ერთ-ერთ თავდასხმაში ზურაბ ქეანიაც დაადანაშაულა.

აჭარის ელიტა თავგამოდებით ცდილობდა შეექმნა მითი, რომ საქართეელოს დანარჩენ მხარეებთან შედარებით აჭარა აყეავებასა და კეთილდღეობას განიცდიდა. და მართლაც, აჭარელმა მასწაელებლებმა არ იცოდნენ რა იყო ხელფასების დაგვიანება, აჭარელი პენსიონერები რეგულარულად ღებულობდნენ პენსიას ეს ყეელაფერი კი, რათქმა უნდა, აჭარის „ბრძენი ლიდერის“ - ასლან აბაშიძის დამსახ·ურებას მიეწერებოდა.

სინამდვილეში კი საქმე გაცილებით პროზაულად იყო. აბაშიძე სარგებლობდა ავტონომიის სტატუსით და სისტემატ·ურად უარს ამბობდა ცენტრალურ ბიუჯეტში კანონით გათვალისწინებული სახსრების გადარიცხვაზე, მაშინ, როდესაც იმერეთის, სამცხე-ჯავახეთის, კახეთის თუ საქართველოს სხვა მხარეები პატიოსნად ურიცხავდნენ ცენტრალურ ბიუჯეტს თანხებს და შემდეგ თეეობით ელოდნენ ხელფასებისა და პენსიებისთვის გათვალისწინებული ტრანსფერების ფინანსთა სამინისტროდან გადმორიცხვას. და აი, გამოდიოდა, რომ აჭარაში საქმეები უკეთ მიდიოდა, ვიდრე საქართეელოს სხვა რეგიონებში.

აჭარის ლიდერის და მისი გარემოცვის ამ იაფფასიან პოპულისტურ ტრიუკს ამხელდა იმერეთის მხარის გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი: „იმერეთმა აწარმოა 56 მილიონი ლარის საკუთარი პროდუქცია, აჭარამ 8,6 მილიონი; იმერეთმა უცხოეთში , ძირითადად აშშ-ში და ევროპაში გააგზავნა 12-ჯერ მეტი პროდუქცია, ვიდრე აჭარამ. იმერეთში აღებულ იქნა 84, 1 ათასი ტონა მარცვლოვანი კულტურა, აჭარაში მხოლოდ 6, 6 ათასი, იმერეთის სამშენებლო ორგანიზაციების მიერ შესრულებულ იქ-

ნა 5 მილიონამდე ლარის მოცულობის სამუშაოები, ანუ ერთი მილიონით მეტი, ვიდრე აჭარაში. იმერეთში დასაქმება წინა წელთან შედარებით 4, 8 პროცენტით გაიზარდა, აჭარაში მხოლოდ 3, 3 პროცენტით."[381] და ა. შ

ასლან აბაშიძე ფართო ერუდიციით და ღრმა ინტელექტით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ განუსაზღვრელმა ძალაუფლებამ მას პოლიტოლოგიური ამბიციები გაუჩინა. თავის ხშირ პრესკონფერენციებზე ის გაუჩორკნავი ლოგიკით შეუსაბას აძლევდა პოლიტიკურ პროცესებს. 1999 წლის სექტემბერში მან განაცხადა, რომ აფხაზეთში ქართველთა გენოციდს ადგილი არ ჰქონია, უმცირესობა უმრავლესობას გენოციდს ვერ მოუწყობდაო. მას მაშინვე აუბა მხარი გოგიტიძემაც.

აჭარის ლიდერს გამოეხმაურა სოხუმიდან დევნილი შეილმკვდარი დედა ნაირა კალანდაძე. ის აღწერს, თუ როგორ დაუხვრიტეს თვალწინ თავისი 17 წლის ვაჟი, შემდეგ როგორ ჩაყარეს ცოცხლად ჭაში ქართველები. „თურმე სიკვდილი არ ყოფილა ყველაზე უარესი განაჩენი ამ ქვეყნად. ჩემს თვალწინ ტყვიით თავის ქალა ახადეს ახალგაზრდას, მის ტვინში ჩამაყოფინეს სახე, მერე ჩამომკიდეს ფეხებით, გამაღებინეს პირი და დანით ამოჩიჩქნილი მისი თვალი გადამაყლაპინეს. სიკვდილს ვნატრობდი. ერთ რუს ჯარისკაცს ვთხოვე - ჰქენი სიკეთე და მომკალი-მეთქი. მაგრამ მას აფხაზებმა არ დაანებეს, ასე წამებით უნდა ამოხდეს სულიო. ჩემი შვილი ნახევრად დაუმარხავი დავტოვე კინდღაში, ჩემი ხელით ამოჩიჩქნილ საფლავში, უფრო სწორად ... ორმოში. მასში იყი მთლიანად ვერ ჩაეტია, გარეთ დარჩა ხელები და ფეხები, მე ისინი ტოტებით დაეფარე და ქვების მიფარება მოვასწარი, რომ ღორებს და ძაღლებს არ შეჭამათ მისი გვამი. ... ცინიზმი ის გახლავთ, რომ ყველაფერი, რაც გადამხდა, ფირზე დაუფიქსირებით და ლენინგრადის ტელევიზიის ერთ-ერთი არხით მთელ მსოფლიოს აჩვენეს, თითქოს ქართველები ასე სტანჯავდნენ აფხაზებს. შეიძლება ამის შედგეგ ენდოს კაცი რუსეთის საინფორმაციო საშუალებების გავრცელებულ ინფორმაციას? ნუთუ ეს უნდა შერჩეთ და ეპატიოთ არძინბას და მის დამნაშავეთა ხროვას? ანდა მათ

---

[381] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 17 ნოემბერი, 1998;

ფაქტობრივ მხარდამჭერებს - ბატონებს ასლან აბაშიძეს, ჯემალ გოგიტიძესა და სხვებს?“[382]

ასლან აბაშიძემ სასათბურე პირობები შეუქმნა რუსეთის სამხედრო ბაზის სარღლობას. სამაგიეროდ, რუსთის პრეზიდენტმა მას გენერლის წოდება მიანიჭა. ბათუმში რუსული სამხედრო ბაზის სარდალი ეიაჩესლავ ბორისოვი ყველანაირად უჭერდა მხარს ასლან აბაშიძეს.

აჭარის ლიდერმა დემონსტრაციულად უგულებელყო საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება აჭარის იზოლატორიდან 28 პატიმრის შეწყალების შესახებ და მათ გათავისუფლებაზე უარი განაცხადა. „აჭარის უშიშროების სამინისტროს არ მიუღია პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი ბრძანება ბათუმის ყოფილი მერის თენგიზ ასანიძის გათავისუფლების თაობაზეო,“ ურცხვად აცხადებდა აბაშიძის პრესმდივანი. 2 ოქტომბერს შეწყალების აქტი ბათუმს გადაეცა. ამის მიუხედავად აბაშიძემ მხოლოდ 25 პატიმარი გაათავისუფლა, თენგიზ ასანიძე, ნიკოლოზ გუგუშვილი და მერაბ მეფარიშვილი კი კვლავაც პატიმრობაში დატოვა.

ამის მიუხედავად შევარდნაძე იძულებული იყო წაეყრუებინა აბაშიძის თავხედობისთვის. და ეს არა მარტო და არა იმდენად იმის გამო, რომ ორ ავტონომიაში შეიარაღებული დაპირისპირების შემდეგ პრეზიდენტი მესამე ავტონომიაში კონფლიქტის გაღვივებას უფრთხოდა, არამედ უფრო იმის გამო, რომ ახალგაზრდა რეფორმატორებთან ჭიდილში შევარდნაძეს მოკავშირე სჭირდებოდა. ამისთვის კი, თავისი კონსერვატიზმით და კორუმპირებულობით, აბაშიძე იდეალური პარტნიორი იყო. სწორედ ამ ნიადაგზე იწყება ამ ორი ოდიოზური ფიგურის დაახლოება. აჭარაში ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბეიმო გახსნის ცერემონიალზე ჩასული შევარდნაძე ხოგბას ასხამდა აჭარის ლიდერს: „აჭარა იძლევა საუკეთესო მაგალთს. ეს ასე არ იქნებოდა, რომ აჭარას ღირსეული, გონიერი, ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი ხელმძღვანელობა არ ჰყავდეს. უწინარესად მხედველობაში მყავს ბატონი ასლან აბაშიძე,“[383] - აღნიშნავდა ის თავის სიტყვაში.

---

382 . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 14 სექტემბერი, 1999;

383. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 4 ნოემბერი, 2001;

იმავე დღეებში შევარდნაძემ აბაშიძეს აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საქმეში თავის პირადი წარმომადგენლობაც დააკისრა. და ეს მაშინ, როდესაც რამდენიმე დღის წინ აბაშიძე ამტკიცებდა - აფხაზეთში ქართველთა გენოციდს ადგილი არ ჰქონიაო.

შევარდნაძე-აბაშიძის ალიანსს გამოეხმაურა ზურაბ ჟვანია. მან განაცხადა, რომ შევარდნაძე ქმნის ახალ კოალიციას, რომელშიც შევა ბლოკი „აღორძინება“ და მოქალაქეთა კავშირის კონსერვატიული ფრთა. ორივე ეს ძალა კი რუსეთის მიმართ თავისი სიმპატიებით არის ცნობილიო.

საქართველოს უახლესი ისტორიის მანძილზე ყველაზე დიდი ტკივილი, თავისი განვითარების ურთულესი პერიოდი, სამეგრელომ, საქართველოში სტაბილურობის დამკვიდრების ამ უმთავრესმა გარანტმა, გადაიტანა. ჯერ „მსედრიონის,“ შემდეგ კი ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული ფორმირებებისა და კრიმინილალთა თარეშმა სამეგრელოს მოსახლეობა უკიდურეს გაჭირვებაში ჩააგდო. სწორედ ამ გარემოების გამოყენება სცადეს ზოგიერთებმა მეგრული ნაციონალიზმის გასაღვივებლად. ასპარეზზე გამოჩნდნენ ადამიანები; რომლებმაც სამეგრელოს „პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე“ დაიწყეს საუბარი. განათლების ცენტრ „კოლხიდას“ დამფუძნებელმა იური ღვინჯილიამ მეგრული, სვანური და ლაზური ენების გადარჩენის ერთადერთ გზად სამეგრელოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. „სამეგრელოს დამოუკიდებლობა ნიშნავს გამოყოფას, პოლიტიკური თვითმმართველობის განვითარებას. ისტორიულად ის ყოველთვის იყო დამოუკიდებელი ერთეული“, - აცხადებდა იური ღვინჯილია. სამეგრელოს შემადგენლობაში ის გაგლს და ოჩამჩირესაც მოიაზრებდა და მიაჩნდა, რომ მოლაპარაკებებით შესაძლებელი იქნებოდა ამჟამად ოკუპირებული ტერიტორიების შემოერთებაც.

მეგრული ენის გადარჩენაზე საუბრობდა სახალხო მოძრაობა „სამეგრელოც“, რომლის დამფუძნებელი რუსეთში მოღვაწე, კრემლთან დაახლოებული პირი და იგორ გიორგაძის მეგობარი ბიზნესმენი, ალექსანდრე ჭაჭია იყო. თავისი „მოღვაწეობისთვის“ ის რუსეთის პრეზიდენტმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

1998 წლის მარტში გაზ. „რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ჟურნალისტ ვალერი კვარაცხელიას და პროფესორების, გრიგოლ ქვანიასა და იგორ კვესელავას ერთობლივი წერილი „დავიწყებას არ ექვემდებარება.“ წერილის ავტორები საუბრობდნენ

სამეგრელოს მოსახლეობის მიმართ საქართველოში არსებულ „პათოლოგიურ სიძულვილზე“, სამეგრელოს ირგვლივ შექმნილ „მოწამლულ ატმოსფეროზე“, „მეგრელთა ათვალწუნებაზე“ და სხვ. წერილში მოტანილი იყო საბჭოთა ხელისუფლების დროს კონსტანტინე გამსახურდიას შეეიწროების არცთუ დამაჯერებელი მაგალითი, რის საფუძველზე გაკეთებული იყო დასკვნა, რომ „მეგრელებს საქართველოში მუდამ დევნიდნენ“.

აღნიშნულ სტატიას რომ ესმაურებოდა, პროფესორი ალექსანდრე ონიანი წერდა: „სტატია იმდენად პრიმიტიულია, იმდენად უპასუხისმგებლოდ არის დაწერილი, რომ მასზე სერიოზული მსჯელობა, კაცმა რომ თქვას, არც კი ღირს.“ კონსტანტინე გამსახურდიას შევიწროების მაგალითს რომ ეხება, ონიანი აღნიშნავს: „საინტერესოა რას იტყოდნენ სტატიის ავტორები, მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და სხვები მეგრელები რომ ყოფილიყვნენ, ანდა როგორ შეხვედებოდნენ ქართულ პრესაში ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ერთ დროს წამოწყებულ აღვირახსნილ კამპანიას, მის ვერაგულ მკვლელობას? კახეთისა და კახელების წინააღმდეგ ბრძოლით ახსნიდნენ? აი, ასეთ აბსურდულ დასკვნებამდე მივყავართ სტატიის ავტორთა პრიმიტიულ ლოგიკას.... აშკარა პროვოკატორი უნდა იყო კაცი კოლხური კოშკის ვანდალური დარბევა ზვიად გამსახურდიასა და მის მოწინააღმდეგეთა შორის გაჩაღებული დაუნდობელი ქიშპით კი არა - კონსტანტინე გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლით რომ ახსნა“.[384]

საბედნიეროდ, სამეგრელოს მოსახლეობა საკმაოდ გამობრძმედილი იყო იმისთვის, რომ მსგავს პრიმიტიულ პროვოკაციებს არ წამოეგებოდა.

---

[384] ალექსანდრე ონიანი, „წამქეზებელ-წამსისინებლები“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა, 16 მაისი, 1998;

§ 6.8 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები. „ვარდების რევოლუცია“

2003 წლის მაისში გამოცხადდა საპარლამენტო არჩევნების თარიღი - 2 ნოემბერი.

მომავალი არჩევნებისთვის შევარდნაძემ ახალი საარჩევნო ბლოკი - „ახალი საქართველოსთვის“, - შექმნა. ამ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ინიციატორთა ჩანაფიქრით, ახალ ბლოკს პრეზიდენტის მომხრე ძალების პარლამენტში უმრავლესობით მოსვლა უნდა უზრუნველეყო. მასში მოქალაქეთა კავშირთან ერთად შევიდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „აბრეშუმის გზა“, სოციალისტური პარტია, პოლიტიკური კავშირი „თანადგომა“, „აღორძინების კავშირი,“ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და სხვ. ირინა სარიშვილმა განაცხადა, რომ პრეზიდენტის საგარეო-პოლიტიკური კურსი მისთვის მთლიანად მისაღებია. მალე პრეზიდენტის ბლოკს ვაჟა ლორთქიფანიძეც შეუერთდა. ავთანდილ ჯორბენაძე აცხადებდა, რომ 1999 წლის არჩევნებში მოქალაქეთა კავშირის საარჩევნო შტაბს სათავეში ქვანია ედგა, რომელიც გაყალბების დიდოსტატია, ახლა კი ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ სამართლიანი არჩევნების ჩატარებისთვისო.

პოლიტიკურ პარტიებში აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესის, მისი რიცხობრივი შემადგენლობის განსაზღვრის საკითხები. ოპოზიციური პარტიები ცესკოს არა პარტიული, არამედ პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებას მოითხოვდნენ. საარჩევნო კოდექსზე მუშაობა გრძელდებოდა. სერიოზულ დაბუსტებას მოითხოვდა საარჩევნო სიებიც.

3 მაისს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა, ახალგაზრდა სოციალისტთა კონგრესზე სიტყვით გამოსვლისას, არაკორექტულად მოიხსენია „გაერთიანებული დემოკრატები“. „მათ, ვინც „კმარას“ იძახის, ოჯახები არა აქვთ, ჩვენ კი გოიმებად მიგვაჩნივართ, რადგან განსხვავებულ სექსუალურ ორიენტაციას არ მივეკუთვნებით ყველას როდი ვაბრალებ ჰომოსექსუალისტობას; იმის თქმა უფრო მინდა, რომ ისინი ასეთ

იდეოლოგიას გვახვევენ თავს... „კმარა“ მაშინ ეთქვათ, ქვეყანას რომ ცისფერები მართავდნენ“[385]-ო და ა. შ.

5 მაისს, პარლამენტის შენობის დერეფანში რჩეულიშვილს „გაერთიანებული დემოკრატების“ ჯგუფი დახვდა და ერთ-ერთ თავისუფალ ოთახში შეიყვანა. რჩეულიშვილი ოთახში დაცვის თანხლებით შევიდა. „დემოკრატებმა“ ოთახიდან დაცვის გასვლა მოითხოვეს, მარტოდ დარჩენილ ვიცე-სპიკერს კი ბოდიშის მოხდა მოსთხოვეს. რჩეულიშვილმა განაცხადა, რომ მას მხოლოდ „გაერთიანებული დემოკრატების“ ლიდერები ჰყავდა მხედველობაში, მათ შესახებ აზრი არ შემიცვლია და რიცხობრივი უპირატესობით ვერ შემაშინებთო. ამის შემდეგ მისი მისამართით „გაერთიანებულმა დემოკრატებმა“ ისროლეს სხვადასხვა საგნები, მათ შორის, საფერფლეც, რომელიც რჩეულიშვილს თავში მოხვდა. დაახლოებით 20 წუთის შემდეგ რჩეულიშვილის დაცვამ კარები შეამტვრია და თავგატეხილი ვიცე-სპიკერი ოთახიდან გაიყვანა.

პარლამენტართა შორის მომხდარი ეს ინცინდენტი არა მხოლოდ საქართველოში მაშინ არსებულ უაღრესად მაღალ პოლიტიკურ ტემპერატურაზე, არამედ პარლამენტართა მეტისმეტად მწირ პოლიტიკურ კულტურაზეც მიანიშნებდა. ინცინდენტის შემდეგ რიგითი მოქალაქეებიდან ბევრი კითხულობდა: „ამათ უნდა ვანდოთ ჩვენ ქვეყნის ბედიო?!“ ხუმრობის ხასიათზე დამდგარი ჟურნალისტი ალეკო ასლანიშვილი კი წინადადებით გამოდიოდა: „1. პარლამენტში შევქმნათ მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის განყოფილების ქვეგანყოფილება; 2. დეპუტატებს პულტებთან ერთად მუზარადები და ჯავშანჟილეტებიც დაეურიგოთ; 3. პარლამენტის მანდატურთუხუცესად მოვიწვიოთ ჩვენი სახელოვანი მოკრივე გიორგი კანდელაკი და კანონმდებლობით ვაკისრებინოთ ყველასთვის ცხვირპირის გაერთიანების ვალდებულება, ვინც პარლამენტის შენობაში საფერფლესკენ გააპარებს თვალს ან კბილს გააკრაჭუნებს“.[386]

14 მაისს „გაერთიანებულმა დემოკრატებმა“, „ნაციონალურმა მოძრაობამ“, „ახალმა მემარჯვენეებმა“ და ლეიბორისტებმა გააფორმეს ხელშეკრულება კრიზისულ სიტუაციაში ოპოზი-

---

[385] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 7 მაისი, 2003;

[386]. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 14 მაისი, 2003;

ციის კოორდინირებული მოქმედების შესახებ. ოპოზიცია არჩევნებზე მთავარ დამკვირვებლად ეუთოს მოწვევას მოითხოვდა.

გაფორმებული ხელშეკრულების მიუხედავად ოპოზიცია კვლავ მწვავედ აკრიტიკებდა ერთმანეთს. შალვა ნათელაშვილი „გაერთიანებული დემოკრატებისა“ და „ნაცმოძრაობის“ შევარდნაძესთან ურთიერთობას „მრავალჯერ შეყრა-გამოყრას“ უწოდებდა. ცხადია, ვალში არც რეფორმატორები რჩებოდნენ და ლეიბორისტებს „ნაძალადევ ოპოზიციად“ მოიხსენიებდნენ.[387]

საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული დავა სულ უფრო მწვავე ხასიათს იძენდა. მაისის ბოლოს „ნაციონალებმა“ და „გაერთიანებულმა დემოკრატებმა“ ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი პროექტის განხილვაზე უარი განაცხადეს და სხდომა დატოვეს. „აღორძინებამ“, რომელიც აქამდე ორივე მხარეს აკრიტიკებდა, ახლა აშკარად ხელისუფლების მხარე დაიჭირა.

2 ივნისს შეიქმნა ოპოზიციური პარტიების საკოორდინაციო საბჭო. მასში გაერთიანდნენ „ნაციონალური მოძრაობა“, „გაერთიანებული დემოკრატები“, „ახალი მემარჯვენეები“, „სახალხო პარტია“ და „ტრადიციონალისტები“. 3 ივნისს ოპოზიციამ დაპირებული საპროტესტო მიტინგები დაიწყო.

სულ უფრო თავხედურ ფორმებს ღებულობდა სტუდენტური ორგანიზაცია (ასე უწოდებდნენ თავიანთ თავს) „კმარას“ აქციები. საგარეჯოში „კმარას“ აქტივისტებმა (თეა თუთბერიძე, გიორგი შაქაიძე, მიხეილ გურგენიძე, აკაკი მინაშვილი და სხვ.) ერთ-ერთ მოსახლეს სახლის კედლებზე შეურაცხმყოფელი წარწერები გაუკეთეს. მოსახლემ დასახმარებლად პოლიციას უხმო. თავის მხრივ, კმარელების დასახმარებლად საგარეჯოში „თავისუფლების ინსტიტუტი“ ჩავიდა. აღჟილზე მაშინვე გაჩნდა „რუსთავი-2“-ც. კმარელებმა ორ პოლიციელს საღებავი შეასხეს, მესამეს კი ასო „კ“ წააწერეს. პოლიციამ ხულიგნობის მუხლით რამდენიმე კმარელი დააკავა.

„კმარას“ აქციებმა შსს შენობის წინ გადაინაცვლა. კმარელებთან შეხვედრა სცადა შსს მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა, მაგრამ დიალოგი ვერ შედგა. მოსახლეობაში „კმარას“ მიმართ აზრი ორად გაიყო. ერთნი ამართლებდნენ ამ აქციებს და თანა-

---

[387] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 15 მაისი, 2003;

უგრძნობდნენ კმარელებს, მეორენი გადაჭრით ემობდნენ პროტეტსტის გამოხატვის მსგავს ფორმებს და სამართალდამცავ ორგანოებს საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ კანონის მთელი სიმკაცრით მოქმედებისკენ მოუწოდებდნენ. ერთი რამ სრულიად ნათელი იყო: როგორი სამართლიანიც არ უნდა ყოფილიყო „კმარას“ აქციების მიზანი, პროტესტის გამოხატვის მათ მიერ არჩეული ფორმა და მეთოდები შორს სცდებოდა კანონიერების ფარგლებს და უხეშად არღვევდა საზოგადოებრივ წერიგს. კმარელები უცერემონიოდ ამასინჯებდნენ საზოგადოებრივი თუ კერძო პირების მფლობელობაში არსებული შენობების ფასადებს და ამით არა მხოლოდ შეურაცხყოფდნენ საზოგადოებას, არამედ მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალსაც აყენებდნენ მას (წარწერების წაშლას, შენობების ფასადების ხელახალ გადაღებვას, ცხადია, სახსრები სჭირდებოდა).

დაკავებულ კმარელებს თაედებად ზურაბ ქვანია, კობა დავითაშვილი, დაეით გამყრელიძე, ელენე თევდორაძე და სხვები დაუდგნენ. „კმარას“ მიმართ ასალგაზრდა რეფორმატორთა გუნდის ასეთი თავგამოდება ცხადად მოწმობდა, რომ ამ „დამოუკიდებელი სტუდენტური ორგანიზაციის“ უკან სინამდეილეში სწორედ რეფომატორები იდგნენ.

ამ დროისთვის პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე უკვე აშკარად ოპოზიციის ბანაკშია და მწვაეედ აკრიტიკებს პრეზიდენტის პოლიტიკას. ივლისში მან დაანონსა, რომ აპირებს შექმნას ოპოზიციური წინასაარჩეენო ბლოკი. „საქართველოში უნდა მოხდეს რეეოლუციური გარდაქმნები რევოლუციის გარეშეო“, - აცხადებდა ის.

18 იელისს გაზეთებმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ და „სვობოდნაია გრუზიამ“ რუსულ გაზეთ „კომერსანტიდან“ გადმობეჭდეს ვინმე ვახტანგ ჯანაშიას წერილი „ამერიკამ აიჩია საქართველოს პრეზიდენტი“. სტატიის ავტორი აცხადებდა, რომ აშშ-მ ფსონი ბურჯანაძეზე დადო და რომ, შესაძლოა, რუსებსაც ხელს აძლევდეს მისი კანდიდატურა. აი ამის შემდეგ ჯანაშიას მსჯელობა ბურჯანაძისთვის კატეგორიულად მიუღებელია. „...ნინო ბურჯანაძეს სჭირს ერთი „უბედურება“. უკვე თითქმის 30 წელია, რაც ქართულ ენაში სინონიმებად იქცნენ სიტყვები „სახედარი“ და „ბურჯანაძე“. და ეს მისი მამის დამსახურებაა. ანშორ ბურჯანაძით, რომელიც ამჟამად საქართველოში მარცვლეულის მთელ იმპორტს განაგებს, ჯერ კიდევ პარტიის რაიკომის პირ-

ველ მდივნად მუშაობისას, ძალზე დაინტერესდა პროკურატურა. მისმა მეგობარმა ედუარდ შეევარდნაძემ გადაწყვიტა დაეხსნა იგი პროკურატურის ბრჭყალებისგან და ბატონი ანზორი პარტიული სამუშაოდან ტურიზმის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელად გადაიყვანა. სწორედ მაშინ შევიდა ანზორ ბურჯანაძე სამუდამოდ საქართველოს ისტორიაში და ქართულ ენაში, როცა გასცა ბრძანება ყველა ტურისტული ობიექტის სახედრებით უზრუნველყოფის შესახებ, რომელთა გვერდითაც შეძლებდნენ ფოტოსურათების გადაღებას რესპუბლიკის სტუმრები. ასეთმა განკარგულებამ წარმოშვა უამრავი ანეკდოტი და ერთი ანდაზაც: „აბა რად გვინდა ამდენი ვირი, როცა ერთი ბურჯანაძე გვყავს?“

სტატიამ ნინო ბურჯანაძის გაცეცხლება გამოიწვია. მან ორივე გაზეთის რედაქტორს პირადად დაურეკა და დაემუქრა, რომ „აჩვენებდა, ვინ იყო ნინო ბურჯანაძე“.

იელისში საქართველოში ჩამოვიდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი, რომელმაც ქართველ კანონმდებლებს საარჩევნო კომისიის არჩევის თავისი გეგმა შესთავაზა. ამ გეგმის მისედვით ცესკოში 9 წარმომადგენელი ოპოზიციას უნდა ჰყოლოდა, ხუთი - ხელისუფლებას. სახელისუფლებო და ოპოზიციური პარტიები ეუთოს რეკომენდაციით წარმოადგენდნენ კომისიის თავმჯდომარის ერთობლივ კანდიდატურას, რომელსაც დაამტკიცებდა პრეზიდენტი. ბეიკერის ვარიანტი ითვალისწინებდა ეუთოს მიერ ხმების პარალელურ დათვლასაც.

26 ივლისს პარლამენტმა 123 ხმით ბეიკერის ვარიანტი დაამტკიცა. გადასაწყვეტი რჩებოდა ოპოზიციის კუთვნილი 9 ადგილის განაწილების საკითხი. ოპოზიციური პარტიების დიდი ნაწილი ამ ადგილების თანაბარ განაწილებას უჭერდა მხარს (ამას ითვალისწინებდა ბეიკერის ვარიანტიც), წინა არჩევნებზე 7 პროცენტიანი ბარიერიერის გადამლახველი პარტიები - „აღორძინება“ და „მრეწველები“ კი თავიანთთვის, შესაბამისად, 3 და 2 ადგილს ითხოვდნენ. მათი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში „აღორძინება“ არჩევნებისადმი აჭარის ბოიკოტით იმუქრებოდა. აჭარაში არჩევნების ჩაუტარებლობა აბაშიძის მხრივ კანონის უხეში დარღვევა იქნებოდა. ეს ნიშნავდა, რომ იქ მინიმუმ 4 წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს ძალა არ ექნებოდათ.

შეთანხმებული ვარიანტის მიღება ვერ მოხერხდა. პარტიული დაპირისპირებები სულ უფრო მწვავე სასიათს იღებდა. ქვანია

ხელისუფლებას საგარეოპოლიტიკური ექტორის შეცვლაში ადანაშაულებდა. „რეზონანსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ის აცხადებდა, რომ „ქვეყანა ვერ აიცილებს რევოლუციას.“ აგვისტოს დასაწყისში „მონარქისტებსა“ და „ლეიბორისტებს“ შორის ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. გაისმა სროლის ხმაც.

საქართველოში არსებულ პოლიტიკურ დაპირისპირებაში აშშ-ს და მისი ელჩის სიმპატიები აშკარად რეფორმატორთა გუნდის მხარეს იყო. 8 აგვისტოს ქართველ ინტელიგენტთა ერთმა ჯგუფმა რეზო ამაშუკელის, რეზო ჭეიშვილის, თენგიზ სუხიშვილის, ნოდარ ლომოურის, თამაზ წივწივაძის და სხვათა შემადგენლობით ღია წერილით მიმართა აშშ-ს ელჩს. „ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეროვნული თავმოყვარეობისთვის შეურაცხმყოფელია იმ დამწყები პოლიტიკოსებისა და არშემდგარი პატრიოტების მუდმივი სირბილი რუსეთის, ევროპასა თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერისთვის. დღეს ჩვენ ღარიბი ქვეყანა ვართ, მაგრამ იქნებ, სწორედ ამ სიღარიბის გამო, ხალხს გამძაფრებული აქვს თავმოყვარეობის გრძნობა და იმ დიდი ქვეყნის ელჩმა, რომელიც დღეს ჩვენი უპირველესი იმედი და დამსმარეა, ეროვნული ფსიქოლოგიის ეს თავისებურება, ვფიქრობთ, უნდა გაითვალისწინოს. საქართველოს ბედი საქართველოში უნდა გადაწყდეს და იგი ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს გარედან კარნახისა და პოლიტიკური თუ ფინანსური ზემოქმედების გარეშე.“[388]

ეროვნული ღირსების გრძნობით უხვად გაჯერებულ ამ წერილს ქართველი ინტელიგენციისთვის ესოდენ დამახასიათებელი პოლიტიკური გულუბყვრილობის ელფერიც დაკრაედა. ჩვენს ინტელიგენციას ვერა და ვერ გაეგო, რომ საქართველო დიდ საჭადრაკო დაფაზე პატარა პაიკს წარმოადგენდა და დამოუკიდებელ თამაშს ვერ შეძლებდა.

გაჭიანურებული დებატების შემდეგ ხელისუფლება დაეთანხმა ფრაქცია „21-ე საუკუნეს“ მიერ შემოთავაზებულ პროექტს, რომლის მიხედვითაც „აღორძინებამ“ 3, „მრეწველებმა“ 2, დანარჩენმა ოპოზიციურმა პარტიებმა კი დარჩენილი 4 ადგილი მიიღეს. „აღორძინებას“ და „მრეწველებს“, დიასაც მეტი ხმა ეკუთვნით, ვიდრე ახლადშექმნილ პარტიებსო, - განაცხადეს „მოქა-

---

[388] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 8 აგვისტო, 2003;

ლაქეთა კაეშირში". აღორძინება და მრეწველები ამ მომენტისთვის მართლაც ხელისუფლებისკენ იყვნენ გადახრილნი. გამოდიოდა, რომ ხელისუფლებას და მის მხარდამჭერებს 5+5 აღგილი ექნებოდათ ცესკოში ოპოზიციას კი - მხოლოდ 4.

21 აგვისტოს ბურჯანაძისა და ქვანიას პარტიები გაერთიანდნენ. ახლა მათ „ბურჯანაძე-დემოკრატები" ეწოდებოდათ.

საარჩევნო კამპანია ძალას იკრებდა. პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო დაპირებები სულ უფრო და უფრო ემგვანებოდნენ ენუქას ანდერძს. მომაკვდავმა ენუქამ თავისი სამი ვაჟიშვილი იხმო და განუცხადა: უფროს შვილს ორსართულიან სახლს და 100 ღღიურ სახნავ-სათესს ვუტოვებ, სამუალოს - საქონლის ჯოგს და ცხერის ფარას, უმცროსს კი ოქროთი სავსე ზანდუკსო. გახარებულმა შვილებმა მამას შეკადრეს, ეგ ყველაფერი სად არისო? ენუქამ კი - მაგაზეც მე უნდა ვიფიქრო? არ კმარა ამხელა ქონებას რომ გიტოვებთო?!

ოპოზიცია გაერთიანებას ვერ ახერხებდა. საკაშვილი მწვავედ აკრიტიკებდა არა მხოლოდ ხელისუფლებას, არამედ ოპოზიციასაც. ბურჯანაძე-ქვანიას გუნდს მან კორუფციონერებთან საეჭვო ალიანსში დასდო ბრალი, ქვანიაზე კი განაცხადა - ეს კაცი ხელისუფლებასთან ბრძოლისთვის მზად არ არისო.[389] სწორედ ამგვარი მოუზომავი და უთავბოლო კრიტიკისთვის შეარქვეს მას „მიშა-არმაგედონი".

ქვანიამ შევარდნაძე გამოიწვია დებატებში და მას როკის გვირაბის მშენებლობაში დასდო ბრალი. „რას აკეთებდა იგი (შევარდნაძე) ცკ-ს მდივნობის დროს და რატომ დათანხმდა როკის გვირაბის მშენებლობას, რომელმაც ორგანულად შეაერთა ცხინვალის რეგიონი და ჩრდილოეთ ოსეთი?"[390]- რიტორიკულად კითხულობდა ქვანია.

არადა, როკის გვირაბის აშენება 1968-1969 წლებში გადაწყდა მოსკოვში, შევარდნაძე აქ არაფერ შუაში იყო. როდესაც ენერგეტიკულ კრიზისზე საუბრობს, ქვანიამ ხუდონჰესის წინააღმდეგ თავისი ბრძოლაც გაიხსენოსო, პასუხობდნენ მას სამთავრობო გუნდიდან.

---

[389]. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 10 აგვისტო, 2003;„

[390] . გაზ. „ახალი თაობა", 16 სექტემბერი, 2003;

პრესა ბევრს წერდა გაყალბებულ სიებზე, მკვდარ სულებზე, სიებში გამოტოვებულ მთელ უბნებზე და ა. შ. სიების გაყალბებას სახელისუფლებო გუნდიც უჩიოდა. მაგალითად, 23 ოქტომბერს ირაკლი გოგავა და ბაჩუკი ქარდავა აცხადებდნენ, რომ თბილისის სიებში შეყვანილი არ იყო მათი მხარდამჭერების 70 პროცენტი.

ყოველგვარ ეთიკურ ნორმებს გასცდა პრეზიდენტის კრიტიკა. ამ მხრივ განსაკუთრებით სააკაშვილი გამოირჩეოდა. ერთ-ერთ თაიის რადიოინტერვიუში შეეარდნაძე მის შესახებ ამბობდა: სააკაშვილი „ახალგაზრდა კაცია და მეტი ზრდილობა მართებს, როდესაც საუბრობს ასაკით უფროს კაცზე, რომელმაც „რაღაც მაინც გააკეთა“[391]

პრეზიდენტს არც მოკავშირენი ინდობდნენ. ტელეპროგრამა „ღამის მზერის“ 2003 წლის 9 ოქტომბრის ბლიც-ინტერვიუში ჯემალ გოგიტიძეს ჟურნალისტმა ასეთი შეკითხვა დაუსვა: „ზოოპარკში ცარიელი გალია რომ იყოს, რომელ პოლიტიკოს ჩასვამდითო“? - „შევარდნაძესო“, - გაიღრიჭა გოგიტიძე.[392]

25 სექტემბერს თბილისში, ღამის ორ საათზე პოლიციამ ავტომობილი დააკავა. მის მგზავრებს 360 პასპორტი და 70 პირადობის დამადასტურებელი მოწმობა გადაეჭონდათ. დაკავებულები ნაციონალური მოძრაობის ბოლნისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის მხარდამჭერები აღმოჩნდნენ. ლევან მამალაძემ არ დააყოვნა და პრესაში განაცხადა - ნაციონალები „კარუსელის“ დატრიალებას აპირებენ, პასპორტებიც ამისთვის სჭირდებოდათო. ნაციონალებმა განმარტეს, რომ პასპორტები დეპუტატობის კანდიდატს სიების შესადგენად სჭირდებოდა, შემდეგ ეს სიები ხელმოსაწერად ბოლნისში გადაიგზავნებოდაო. ნაციონალების ახსნა-განმარტება ლოგიკურად გამოიყურებოდა, თუმცა, ღამის ორ საათზე თბილისში ჩამოტანილი პასპორტები ეჭვის საფუძველს მაინც ტოვებდა.

ბოლნისში ჩასულ ნაციონალებს ქვები დაუშინეს. სერიოზული ტრამვები მიიღო ათეულობით ადამიანმა.

მეორე დღეს ნაციონალებმა ბოლნისი-თბილისის გზა გადაკეტეს. ჩასულებს შორის იყვნენ მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერა-

---

391 . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 16 მაისი, 2003;

392. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 11ოქტომბერი, 2003;

ბიშვილი, გია ხევიაშვილი. მათთან ერთად იმყოფებოდა მათი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ქემალ მურადხანოვიც.

სოფელ ტალავერში გამართულ მიტინგზე ნაციონალებმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს სოფლის გამგებელს ზურაბ ჯაფარიძეს. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა სოფლის მოსახლეობასა და ჩასულებს შორის. ურთიერთობის გარკვევის „ეფექტურ“ იარაღს აქაც, რა თქმა უნდა, რიყის ქვები და ხელკეტები წარმოადგენდა.

შეტაკებებით დასრულდა 23 ოქტომბერს ქალაქ ბათუმში „ნაციონალებისა“ და „აღორძინების“ წარმომადგენელთა დაპირისპირება. აჭარაში ჩასულმა „ნაცმოძრაობის“ 500-დე წევრმა მიტინგის გამართვა აჭარის უზენაესი საბჭოს შენობის წინ მოინდომა, მათ კი სტადიონი შესთავაზეს. კამათი ჩხუბში გადაიზარდა. დამაყდნენ ჟურნალისტებიც. ყველაზე მეტი მაინც „ნაცმოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს კობა ხაბაზს მოხვდა. ის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ ნაციონალების სუპერაქტივობას ასეთი დაპირისპირებებით გაანეიტრალებდა. პრეზიდენტის პრესსამსახურის უფროსის, გიორგი მძინარაშვილის აზრით, საკაშვილის პოპულარობა 2001 წლის პიკიდან ქვემოთ ეშვებოდა. თუმცა, ეს თავის მოტყუება იყო, რადგან სწორედ 2002 წელს წააგო ხელისუფლებამ ადგილობრივი არჩევნები „ლეიბორისტებთან“ და „ნაციონალებთან“. ამ უკანასკნელთან ყოველი ახალი სკანდალური დაპირისპირება მათ პოპულარობას კიდევ უფრო ბრდიდა. „მოქკავშირის“ ლიდერები ამას ან ვერ ხვდებოდნენ, ან ვერაფერს უხერხებდნენ. ამიტომ თავიანთ თავსაც და პრეზიდენტსაც ილუზიებით კვებავდნენ. მათი ერთადერთი იმედი ახლა მრავაგზის ნაცადი ხერხი, არჩევნების ტოტალური გაყალბება იყო. აი, რას წერს მაშინდელ სიტუაციაზე თავის მემუარული ჟანრის წიგნში აკადემიკოსი ნაპალეონ ქარქაშაძე. „ოქტომბრის ბოლოს, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, აგარარული უნივერსიტეტის ყოფილი ღვინის მარნის ტერიტორიაზე აშენებულ შესანიშნავ საბანკეტო დარბაზში ავიზგიზებულ ბუხართან სუფრას ვუსხედით: საქართველოს პრეზიდენტი ე. შევარდნაძე, სახელმწიფო მინისტრი ა. ჯორბენაძე, ქალაქის მერი ი. ბოდელავა, პრეზიდენტის დაცვის უფროსი ს. პაპაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი რ. მეტრეველი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე თ. წივწივაძე, მებაღეო-

ბა-მეენახეობის კელეეითი ინსტიტუტის დირექტორი ნ. ჩსარტიშვილი, მასპინძელი - მოსკოველი ბიზნესმენი თ. ქარჩავა და ამ სტრიქონების ავტორი....“ ქარქაშაძემ საუბარი არჩევნებზე ჩამოაგდო:

„ბატონო პრეზიდენტო, - დავიწყე მე, - რამდენიმე დღეში საპარლამენტო არჩევნებია, რა შანსები აქვს „მოქალაქეთა კავშირს?!“

შევარდნაძემ ჯორბენაძეს გახედა, რომელიც ჩემს გვერდით იჯდა.

მაგ კითხვაზე პასუხი ბატონ ავთანდილს ექნება,- მითხრა მან.

ბატონო ნაპოლეონ, თქვენ როგორ ფიქრობთ? კითხვა შემომიბრუნა ჯორბენაძემ.

ჩემი აზრით, „მოქალაქეთა კავშირს“ ძალიან გაუჭირდება.

რას გულისხმობთ? - რას ჰქვია „გაუჭირდება?!“ - ჩაერია საუბარში ქალაქის მერი.

პრეზიდენტს სახე გაუმკაცრდა, მან ნერვიულად შეათამაშა ჩანგალი და ხმადაბლა ჩაილაპარაკა, რომ „მას სხვა ცნობებს აწვდიან“.

ჯორბენაძე უხერხულად შეტრიალდა სკამზე.

ბატონი ნაპოლეონი, ალბათ, არ მიწყენს, თუ ვიტყვი, რომ მას არ აქვს სრულყოფილი ინფორმაცია. - შემდეგ შევარდნაძისკენ მიბრუნდა და განაგრძო. ბატონო ედუარდ, რადგან ამ თემას შეეხეთ, ვიტყვი, რომ „ჩვენ“ არჩევნებს დამაჯერებელი უპირატესობით მოვიგებთ. ახლა იმაზე ვმუშაობთ, რომ პარლამენტში სხვა პარტიებიც გავიდნენ.

როგორია მათი შანსები? - მოღუშულმა იკითხა შევარდნაძემ.

აუცილებლად გავლენ „აღორძინებიდან“, „ნაცმოძრაობა,“ „ბურჯანაძის პარტია“, ალბათ, „ლეიბორისტები“ და შეიძლება „მრეწველებისა“ და „ახლების“ ალიანსი. „მოქალაქეთა კავშირს“ ხმების 60-62 პროცენტი გარანტირებული აქვს.

მეც დაახლოებით ასეთი მონაცემები მაქვს ქალაქში, - დაამატა ჯორბენაძის ნათქვამს ზოდელავამ.

თუ „მოქალაქეთა კავშირი“ 50 პროცენტს მაინც აიღებს, ეს კარგ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს. არაა საჭირო პარლამენტში ერთ პარტიას ჰქონდეს საკონსტიტუციო უმრავლესობა. მრავალპარტიულობა მის საქმიანობას უფრო ქმედითს გახდის, - თქვა შეევარდნაძემ.

ბატონო ედუარდ, ჩემი მდგომარეობით, მე ხალხთან უფრო ახლოს ვარ, ამიტომ ვიცი მათი განწყობა... მმართველი პარტიის ავტორიტეტი ხალხში სერიოზულადაა შერყეული, ვთქვი მე და მაშინვე მივხვდი, რომ ისეთ თემას შევეხე, რომელიც „საჩემო“ არ იყო.

რა გაძლევთ ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას?- იკითხა ჯორბენაძემ.

აგრარულ უნივერსიტეტში, იმ მეურნეობის დასახლებაში, სადაც ახლა ვიმყოფებით, დიღმის ახალ მასივში, სადაც ჩემი თანამშრომლები ცხოვრობენ, „ნაციმოძრაობამ“ და „ბურჯანაძე-დემოკრატებმა“ რამდენიმე ხალხმრავალი შეხვედრა ჩაატარეს, „მოქკავშირი“ კი საერთოდ არ გამოჩენილა ამ ტერიტორიაზე.

ბატონო ნაპოლეონ, თბილისში სხვა უბნებიცაა, - ჩაერია საუბარში ქალაქის მერი.

რასაკვირველია სხვა უბნებიცაა, მაგალითად, მე ვცხოვრობ ვეძისში, სადაც „ისინი“ რამდენჯერმე იყვნენ, „მოქკავშირელები“ კი არ მინახავს. იქნებ ქალაქის სხვა უბნებში დადიოდნენ?!

სამწუხაროდ, ნაპოლეონის ნათქვამი სიმართლეა, მეც ასეთი შთაბეჭდილება შემექმნა, ჩაერია დიალოგში წიფწიაძე.“[393]

ასეთი იყო ვითარება არჩევნების წინ. არა მხოლოდ აკადემიკოსებისთვის, არამედ რიგითი ადამიანებისთვისაც კი საიდუმლო არ იყო „ნაციმოძრაობის“ მაღალი რეიტინგი. ამაზე მეტყველებდნენ სოციოლოგიური კვლევებიც. „მოქკავშირის“ ხელმძღვანელობა კი არჩევნებს სირაქლემას პოზაში ხვდებოდა.

---

[393] ნაპოლეონ ქარქაშაძე, „სხივი წყვდიადში (ანუ აკადემიკოსი გისოსებს მიღმა).“ თბ. 2013, გვ 111-112;

31 ოქტომბერს შეეარდნაძეს წერილით მიმართა აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა. „2 ნოემბრს დაგეგმილი არჩევნები უდიდეს მნიშვნელობას სძენს საქართველოში დემოკრატიული პროცესების გაძლიერებას, ქვეყნის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისკენ მიმართულ ჩვენს ერთობლივ ძალისხმევას... ერთი გამართული არჩევნების შედეგად საქართველოს ყველა პრობლემა ვერ გადაწყდება, მაგრამ თავისუფალ, სამართლიან და მშვიდობიან არჩევნებს შეუძლია საქართველო დემოკრატიული პოლიტიკური ცხოვრებისკენ მიმაეალ სწორ გზაზე გაიყვანოს,"[394] - ნათქვამი იყო წერილში.

2 ნოემბერს არჩევნები სერიოზული დარღვევებით ჩატარდა. ეგზიტ-პოლების შედეგების მიხედვით პირველ ადგილზე ხმების 20,8 პროცენტით „ნაციონალური მოძრაობა" გავიდა. 12,9 პროცენტით მეორე ადგილზე სახელისუფლებო ბლოკი „ახალი საქართველო", 12,8 პროცენტით მესამე ადგილი კი ლეიბორისტებს ხვდათ. სააკაშვილი ცესკოს ოფიციალურ მონაცემებს არ დაელოდა და იმავე ღამით გრიბოედოვის თეატრში გამარჯვება აღნიშნა. ღამის 3 საათზე ცესკომ პირველადი მონაცემები გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც სახელისუფლებო ბლოკი ლიდერობდა. 3 ნოემბერს გამოქვეყნდა ხმათა პარალელური დათვლის შედეგები, სადაც რადიკალურად სხვა სურათი იყო.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა.....26,26%
ახალი საქართველოსთვის.....18,92%
ლეიბორისტული პარტია.....17,36%
ბურჯანაძე-დემოკრატები.....8,13%
ახალი მემარჯვენეები.....7,99%

პარალელური დათვლების მიხედვით „აღორძინებას" 7 პროცენტიანი ბარიერიც არ ჰქონდა გადალახული.

დღისით ცნობილი გახდა სადამკვირებლო ორგანიზაციების მონაცემები დაფიქსირებულ დარღვევებთან დაკავშირებით. მხოლოდ დსთ-ს სადამკვირებლო ჯგუფმა უწოდა არჩევნებს „სამართლიანი და დემოკრატიული".

4 ნოემბერს სააკაშვილმა თავისი მხარდამჭერები ქუჩაში გამოიყვანა. მის სატელევიზიო მოწოდებას მხოლოდ „დემოკრატები" გამოეხმაურნენ და მერიის შენობის წინ შეკრებილ „ნაცი-

---

[394] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2 ნოემბერი, 2003;

ონალებს“ შეუერთდნენ. კონსტანტინე კემულარიამ აჭარაში ჩატარებული არჩევნების შედეგების გაუქმება მოითხოვა. მოგეიანებით ეს მოთხოვნა ოპოზიციის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნად იქცა.

„ახალმა მემარჯვენეებმა“ საკაშვილი ხელისუფლებასთან ერთად არჩევნების გაყალბებაში დაადანაშაულეს და მიტინგებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. საპროტესტო მიტინგები დაგმეს „აღორძინებამ“ და „ლეიბორისტებმაც“. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „ბურჯანაძე-დემოკრატებმა“ ხელისუფლებას ულტიმატუმის ფორმით მოსთხოვეს - 5 ნოემბრის 12 საათამდე ელიარებინა ოპოზიციის გამარჯვება. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კანცელარისთან მასობრივი მიტინგებით იმუქრებოდნენ.

შევარდნაძემ ოპოზიციას დიალოგისკენ მოუწოდა. „ნაციმოძრაობამ“ და „ბურჯანაძე-დემოკრატებმა“ „წინააღმდეგობის ერთიანი ფრონტი“ შექმნეს და ხელისუფლებას ახალი მოთხოვნები წაუყენეს: მარნეულის, ბოლნისის, ტყიბულის, ბათუმის, ქობულეთის და საზღვარგარეთის არჩევნების შედეგების გაუქმება. ოპოზიცია ქობულეთში დაკავებული 21 წლის დამკვირვებლის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას, აგრეთვე ყეელა გამგებლის, გუბერნატორის, და პოლიციის უფროსის თანამდებობიდან გადაყენებასაც ითხოვდა. ამ მოთხოვნათა შესასრულებლად ხელისუფლებას ვადა 7 ნოემბრით განესაზღვრა.

6 ნოემბერს, საღამოს პირველი მონაცემები მოვიდა აჭარის სააჩევნო ოლქებიდან. აქ ხმების 95 პროცენტით „აღორძინება“ ლიდერობდა. ამ მონაცემებით „აღორძინებამ“ საქართველოს მასშტაბითაც პირველ ადგილზე გადაინაცვლა. იმავე ღღეს აჭარის პარლამენტის საგანგებო სხდომამ „ნაციონალები“ და „დემოკრატები“ „ნეოფაშიზმის აღზევების“ მცდელობაში დაადანაშაულა. ყველასათვის ცხადი იყო, რომ აჭარაში არჩევნების შედეგების ტოტალურ გაყალბებას ჰქონდა ადგილი. საკაშვილმა რეგიონებში საპროტესტო აქციები დაიწყო.

სიტუაცია კიდევ უფრო გაამწვავა ზუგდიდში მომხდარმა ინცინდენტმა, როდესაც „ნაციონალების“ მიტინგს უცნობმა პირებმა ცეცხლი გაუხსნეს. საკაშვილმა მოხდარში პრეზიდენტი და შსს დაადანაშაულა. შევარდნაძემ ოპოზიციას კიდევ ერთხელ მოუწოდა დიალოგისკენ.

8 ნოემბერს მასობრივი საპროტესტო აქცია გაიმართა თავისუფლების მოედანზე. გაისმა პრეზიდენტისა და შსს მინისტრის

გადაყენების მოთხოვნები. მოქალაქეებით მომიტინგეებმა სახელმწიფო კანცელარიისა და პარლამენტის წინ გადაინაცვლეს. აქცია ღამითაც გაგრძელდა. ამ დროისთვის პოლიციას უკვე გადაკეტილი ჰქონდა თბილისში შესასვლელი გზები.

9 ნოემბერს, დილით, ყველასთვის მოულოდნელად, მომიტინგეებთან პრეზიდენტი გამოჩნდა. მომიტინგეებმა ის ცივად მიიღეს. შევარდნაძემ მაინც მოასერხა 20-ოდე კაცს გასაუბრებოდა.

იმავე დღეს, კრწანისის რეზიდენციაში პრეზიდენტმა სააკაშვილი, ჟვანია და ბურჯანაძე მიიღო. ორსაათიანი შეხვედრის დროს ყველა სადავო საკითხზე იმსჯელეს. სააკაშვილი კვლავ დაჟინებით ითხოვდა „ნაცმოძრაობის“ გამარჯვების აღიარებას. იმაზე, თუ როგორ ატმოსფეროში წარიმართა საუბარი, ნათლად მეტყველებს პრეზიდენტის სიტყვები: „მიხეილი მეუბნებოდა, ამა და ამ პრემიის ლაურეატი, ამა და ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ვარო... მეუხერხულება, მაგრამ ის თუ ხუთი პრემიის ლაურეატია, მე 25-ის ლაურეატი მაინც ხომ ვარ. მე ხომ არ ვეტრაბახები... საზღვარგარეთის ქვეყნების 20 თუ 25 უმაღლესი სასწავლებლის საპატიო დოქტორი ვარ. იძულებული ვიყავი მეთქვა: ეს არ არის ჩემთვის საინტერესო და ამით ვერ გამაკვირვებ. ალბათ, ამდენი ლაპარაკიც არ იყო საჭირო. მეც არ უნდა მეთქვა და მეკადრებინა, მაგრამ...“[395]

სააკაშვილმა ხალხს კიდევ უფრო მასშტაბური აქციებისკენ მოუწოდა. პარლამენტის წინ მიტინგმა პერმანენტული ხასიათი მიიღო. აქციები გაიმართა ზესტაფონში, თელავსა და ოზურგეთში. გია ბარამიძემ, ლადო ჭიპაშვილმა, ვასილ მაღლაფერიძემ, გია ხვედელიძემ და ქემალ მურადხანოვმა შიმშილობა დაიწყეს.

პარლამენტის წინ მიმდინარე პერმანენტულ მიტინგს ბოლოს და ბოლოს „მემარჯვენეებიც“ შეუერთდნენ, თუმცა განაცხადეს, რომ მხოლოდ პროტესტის მშვიდობიანი ფორმების მომხრენი არიან. შევარდნაძე აჭარაში ჩავიდა, სადაც აბაშიძის მხარდაჭერის პირობა მიიღო.

11 ნოემბერს საოლქო სასამართლომ „ნაცმოძრაობის“ სარჩელის საფუძველზე გააუქმა არჩევნების შედეგები ბოლნისის საარჩევნო ოლქში. სააკაშვილი სახელმწიფო მინისტრს შეხვდა და შსს მინისტრის გადაყენება მოსთხოვა.

---

[395] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 10 ნოემბერი, 2003;

12 ნოემბერს პრეზიდენტთან დანიშნულ შეხვედრაზე კანცელარიაში ოპოზიციის ლიდერები არ მიეიდნენ.

13 ნოემბერს სააკაშვილმა განაცხადა, რომ შეევარდნაძეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეხვედებოდა, თუ ეს უკანასკნელი გადადგომის შესახებ განცხადებას გააკეთებდა. ამ მიზნით ოპოზიციამ ხელმოწერების შეგროვება დაიწყო.

14 ნოემბერს პრეზიდენტმა მომიტინგეებს მიმართა: „ბატონ ზურაბთან შეიძლება საუბარი, ქალბატონ ნინოსთანაც შეიძლება. წუხელ მძიმე რაღაცები ილაპარაკა ტელევიზიით, მაგრამ ამის მიხედვით არ ვმსჯელობ, შეიძლება თუ არა საუბარი და საერთო ენის გამონახვა. თვით „მთავარსარდალთანაც“, იცით ვინც მყავს მსედველობაში.... მე ეუთხარი - შენ აღარ დაგელაპარაკები-მეთქი, რადგან შეურაცხყოფა მომაყენა. მაგრამ დაველაპარაკები, ოღონდ არ იყოს სამოქალაქო დაპირისპირება... თუ მოსახლეობა არ გამოერკვევა და დასკვნას არ გააკეთებს, სამოქალაქო დაპირისპირებიდან სამოქალაქო ომამდე ერთი ნაბიჯია. შეიძლება დრამატიზირება არ იყოს აუცილებელი, მე არ ვარ დრამატიზირების მომხრე, მაგრამ არც გაიოლებაა საჭირო.“[396] - აღნიშნა მან. იმავე დღეს მომიტინგეებმა კანცელარიის ირგვლივ ცოცხალი ჯაჭვი შეკრეს და სამოქალაქო დაუმორჩილებლობა გამოაცხადეს. 16 ნოემბერს ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში გამართულ შეკრებაზე ოპოზიციამ ჩამოაყალიბა დაუმორჩილებლობის კომიტეტი და მოსახლეობისაღმი 5 პუნქტიანი მიმართვა შეიმუშავა. ოპოზიცია მოსახლეობას აღგილობრიეი ადმინისტრაციების პიკეტირებისკენ, საჯარო მოხელეების გაფიცვისკენ, მეწარმეებს გადასახადების გადაუხდელობისკენ მოუწოდებდა. მათ მიმართეს მძღოლებსაც და ორშაბათს, პრეზიდენტის ტრადიციული რადიოინტერვიუს დროს ავტომობილების გაჩერებისკენ და საყვირების ჩართვისკენ მოუწოდეს. შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნით შიმშილობები დაიწყო ზუგდიდში, თელავში, რასაც თელავის გამგებლის, მედეა მეზერიშვილის გადადგომა მოჰყვა. საპროტესტო აქციები გაიმართა რუსთავში, ახალციხეში, ფოთში. გაიფიცნენ აბაშელი მასწავლებლები და ზუგდიდელი ექიმებიც. სამოქალაქო დაუმორჩილებლობას შეუერთდა თსუ-ს სტუდენტების ნაწილიც.

---

[396] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 15 ნოემბერი, 2003;

17 ნოემბრიდან საქართველოს პარლამენტის წინ ხელისუფლების მომხრენი გამოჩნდნენ. მათ ძირითად ბირთვს აჭარიდან ჩამოყვანილი „აღორძინების“ მომხრეები შეადგენდნენ. წინა დღეებში შეევარდნაძის თხოვნით აბაშიძე მიიღეს სომხეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის პრეზიდენტებმაც. შეევარდნაძე და აბაშიძე ერთად ეძებდნენ ხელისუფლების შენარჩუნების გზებს.

20 ნოემბერს ცესკომ არჩევნების საბოლოო ოფიციალური შედეგები გამოაქვეყნა:

ბლოკი „ახალი საქართველოსთვის“.....21,32%
„დემოკრატიული აღორძინების კავშირი“.....18,84%
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 18,8%
„საქართველოს ლეიბორისტული პარტია“.....12,04%
„ბურჯანაძე-დემოკრატები“.....8,79%
„ახალი მემარჯვენეები“.....7,35%

მეორე დღეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ადამ ერლიმ ბრიფინგზე განაცხადა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი იმედგაცრუებულია საქართველოს საპარლამენტო არჩევნების შედეგებით, რომლებიც „ზუსტად არ გამოხატავენ ქვეყნის მოსახლეობის ნებას“.[397] არჩევნების შედეგებს არასამართლიანად მიიჩნევდნენ ევროპელი დამკვირვებლებიც. ამან თბილისში მიმდინარე საპროტესტო აქციების ლეგიტიმაციის ხარისხი კიდევ უფრო აამაღლა.

ამის მიუხედავად პრეზიდენტმა 22 ნოემბერს დანიშნა ახლად არჩეული პარლამენტის პირველი სხდომა.

საეკლესიო საქართველოს მოსახლეობას თბილისში ჩამოსვლისა და საპროტესტო აქციებში მონაწილეობისკენ მოუწოდა. მომიტინგეთა რაოდენობამ 150 ათას კაცს გადააჭარბა.

22-23 ნოემბერს თბილისში განვითარებული მოვლენების ქრონიკა:

22 ნოემბერი.

14,30 სთ. მერიის შენობის წინ 150 ათასი მომიტინგეა შეკრებილი. მეორე მიტინგი პარლამენტის შენობის წინ მიმდინარეობს. მასში „აღორძინების“ მიერ ჩამოყვანილი ხალხი სჭარბობს. ვახტანგ რჩეულიშვილი აცხადებს, რომ პარლამენტის სხდომა აუცილებლად გაიმართება და ვინც ხელის შემშლას შეეცდება, ის

---

397. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 22 ნოემბერი, 2003;

არა შეევარდნაძის, არამედ ქვეყნის მოწინააღმდეგე იქნებაო. ორ მიტინგს შორის პოლიციელები კორდონს აკეთებენ.

14,40 სთ. საქართველოს პრეზიდენტის კაბინეტში მინისტრები იყრიან თავს.

15 სთ. ამოიწურა შევარდნაძისთვის სააკაშვილის მიერ მიცემული ულტიმატუმის ვადა. ოპოზიციის ლიდერები კვლავ აღასტურებენ, რომ მშვიდობიანი მეთოდებით ბრძოლას საბოლოო გამარჯვებამდე გააგრძელებენ.

15,06 სთ. ოპოზიციის მიტინგზე გამოცხადდა, რომ პარლამენტის სხდომას არ დაესწრება ილია მეორე. ოფიციალური მიზეზი: გიორგობის ღღესასწაულთან დაკავშირებული ღონისძიებები.

15,12 სთ. სააკაშვილის მოწოდებით მერიის წინ შეკრებილი მომიტინგეების ნაწილი ლეონიძის ქუჩით კანცელარიისკენ მიემართება. სამართალდამცველებმა ისინი უპრობლემოდ გაატარეს. კანცელარიის წინ გამართულ მიტინგზე კვლავ გაისმის შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნა.

15,50 სთ. აქციის მონაწილეთა ნაწილი ინეროროყვასა და ჩიტაძის ქუჩების გადაკვეთაზე იყრის თავს. აქედან პარლამენტის შენობამდე სულ რამდენიმე მეტრია.

16,03 სთ. სააკაშვილი აცხადებს, რომ „ახალმა მემარჯვენეებმა“ უარი თქვეს პარლამენტში მისვლაზე. მათ გარეშე კი ხელისუფლება კვორუმის შეკრებას ვერ შესძლებს. სააკაშვილმა „მემარჯვენეებს“ მადლობა გადაუხადა.

16,10 სთ. შევარდნაძე პარლამენტის სხდომათა დარბაზში შედის. სააკაშვილის მომიტინგეები შინაგანი ჯარის პირისპირ დგანან.

16,30 სთ. „ახალი მემარჯვენეები“ პარლამენტში მაინც გამოცხადდნენ. კვორუმი შედგა. შევარდნაძემ სიტყვის წარმოსათქმელად ტრიბუნა დაიკავა.

17,00 სთ. სახელისუფლებო ბლოკის ლიდერები: ვახტანგ რჩეულიშვილი, ირინა სარიშვილი, ლევან მამალაძე, „აღორძინების“ ლიდერი ჯემალ გოგიტიძე ბათუმიდან (სადაც ასლან აბაშიძეს ხვდებოდნენ) დაბრუნდნენ და პარლამენტში შევიდნენ.

17,03 სთ. სააკაშვილმა პარლამენტის სხდომა უკანონოდ გამოაცხადა.

17,08 სთ. ქვანიამ მერიის წინ შეკრებილ მომიტინგეებს მოუწოდა ნელი ნაბიჯით მიახლოებოდნენ„აღორძინების“ მიტინგს და შინაგანი ჯარის ნაწილების მიერ მოწყობილ კორდონს. პირ-

ეელად მოხდა, რომ პატრიარქი არ დაესწრო პარლამენტის პირველ სხდომას, რაც იმას ნიშნავს, რომ პატრიარქი ოპოზიციის მსარეზეაო, - უთხრა მან მომიტინეეებს.

17,17 სთ. პარლამენტის შენობაში ვარდით ხელში შეიჭრნენ სააკაშვილი და მისი მომხრენი. შინაგანმა ჯარმა მათ წინააღმდეგობა არ გაუწია. შევარდნაძე, რომელიც ამ დროს მოხსენებას კითხულობდა, დაცვამ დარბაზიდან გაიყვანა. მიხეილ მაჭავარიანი და ჯემალ გოგიტიძე ერთმანეთს ფიზიკურად გაუსწორდნენ.

17,23 სთ. სააკაშვილი ტრიბუნაზე აიჭრა და შევარდნაძის ჩაი მოსვა. მას მიკროფონებს არ ურთავენ. „ნაციონალების" აქტიეისტები მაგიდებზე დასტიან. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალში საცემია კეზერაშვილის აქტიურობა.

17,30 სთ. პრეზიდენტის პრესსამსახურმა გაავრცელა განცხადება: „22 ნოემბერს, 17,20 სთ-ზე საქართველოს პარლამენტის სხდომაზე გამოსელის დროს „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი შეიარაღებულ პირებთან ერთად შენობაში შეიჭრა. საფრთხე შეექმნა საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრების სიცოცხლეს. საქართველოს პრეზიდენტზე შეიარაღებულ თაედასხმა უმსხვერპლოდ დამთავრდა. პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ცოცხალია"[398].

17,30 სთ. პარლამენტის დარბაზში შეიჭრნენ ჯემალ გოგიტიძე, ცოტნე ბაკურია, „აღორძინების" სხვა აქტიეისტები.

17,40 სთ. სააკაშვილმა და მისმა მომხრეებმა პარლამენტის სხდომათა დარბაზი დატოვეს. მათთან ერთად იმყოფებოდა უშიშროების მინისტრი ეალერი ხაბურძანია. მოგვიანებით სააკაშვილის მომხრეებმა კანცელარიის შენობაც დაიკავეს. მთელი ამ ხნის განმაელობაში პოლიცია და შინაგანი ჯარი მოვლენების გვერდიდან მაყურებლის როლშია და ხელს არ უშლის მომიტინგეთა აქტივობას.

18,04 სთ. თბილისის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში რეა დამაეებული მიიყვანეს. თბილისის ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსეთის ჯარის ქვედანაყოფები ქალაქში განეითარებულ მოელენებში არ ჩარეულან.

---

[398] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 23 ნოემბერი, 2003;

19 სთ. ნინო ბურჯანაძემ, „პრეზიდენტის ქმელუნარიანობის“ გარკვევამდე, კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების შესაბამისად, თავის თავზე აიღო ქვეყნის მმართველობა.

შევარდნაძე კრწანისის რეზიდენციაში მიდის. ჟურნალისტის კითხვაზე, თუ რას აპირებს მდგომარეობის გამოსასწორებლად, ის პასუხობს, რომ იძულებულია გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა.

ღამით თბილისში ჩამოფრინდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი.

23 ნოემბერი.

10,20 სთ. სააკაშვილი თავის მომხრეებს 14 საათისთვის პარლამენტის და კანცელარიის შენობების წინ მობილიზაციისკენ და „ჯერ კიდევ მყიფე გამარჯვების“ დაცვისკენ მოუწოდებს.

ივანოვი მომიტინგეებთან მიდის, შემდეგ კი კრწანისის რეზიდენციაში მიემგზავრება.

11 სთ. თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ საგანგებო განცხადება გააკეთა. მან დაადასტურა, რომ უმაღლესი მთავარსარდლისგან იარაღის გამოყენების ბრძანება არ მიუღია.

11,20 სთ. შევარდნაძე ესაუბრა აშშ-ს სახელმწიფო მდივანს კოლინ პაუელს და საქართველოში დაუყოვნებლივ ჩამოსვლა სთხოვა. პაუელმა განაცხადა, რომ ამჟამად ის საქართველოში ვერ ჩამოვა.

11,35. შევარდნაძე პირისპირ შეხვდა იგორ ივანოვს. შეხვედრა 2 საათს გაგრძელდა.

14,25 სთ. კობა ნარჩემაშვილმა ცია გულუას სახელობის სპეცრაზმის მობილიზების ბრძანება გასცა, თუმცა სპეცრაზმის 50 მებრძოლი ბრძანებას არ დაემორჩილა. პროტესტანტი სპეცრაზმელები ოპოზიციის მიტინგს შეუერთდნენ.

15,05 სთ. იგორ ივანოვი პარლამენტში მივიდა და ოპოზიციის ლიდერებს შეხვდა.

16,29 სთ. შევარდნაძემ ოპოზიციის ლიდერებს კიდევ ერთხელ მოუწოდა დიალოგისკენ.

19 სთ. სააკაშვილმა პრეზიდენტს გადადგომისთვის კიდევ ერთი საათი მისცა.

19,30 „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერთა ერთმა ჯგუფმა კრწანისის ქუჩის დასაწყისში არსებული პირველი კორდონი გაარღვია და რეზიდენციის მიმართულებით გადაადგილდა.

სააკაშვილმა მოუწოდა თავის მომხრეებს დაეკავებინათ შსს და სახელმწიფო ტელევიზიის შენობები.

19,34 სთ. შევარდნაძე ძალოვან მინისტრებს შეხვდა.

21,25 სთ. კრწანისის რეზიდენციაში გაიმართა პრეზიდენტისა და ოპოზიციის ლიდერთა შესვედრა. შევარდნაძემ თავისი გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა.

„დღის პირველ ნახევარში სულ სხვა სულისკვეთებით ვიყავი გამსჭვალული, განაცხადა გადადგომის შემდეგ ჟურნალისტებთან შესვედრისას შევარდნაძემ, - მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ხვალ იძულებული ვიქნებოდი გამომეყენებინა ის უფლება, რომელიც მონიჭებული მაქვს ამ პირობებში. ახლა მე ვხედავ, ის რაც ხდება, უსისხლოდ არ ჩაიელის. ამიტომაც მივიღე გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ.

ჩემი ხალხისთვის, ჩემი სამშობლოსთვის არასოდეს მიღალატია და ახლაც ვაცხადებ, რომ ალბათ, ჯობია პრეზიდენტი გადადგეს, ყველაფერი ეს დამთავრდეს მშვიდობიანად, სისხლი არ დაიღვაროს, მსხვერპლი არ იყოს.“[399]

ოპოზიციის ლიდერები დაბნეული გამოიყურებოდნენ. ისინი ელოდნენ პრეზიდენტისგან კომპრომისს, მაგრამ არა დაუყოვნებლივ გადადგომას.

„პრეზიდენტის ამ ნაბიჯს საქართველოს ისტორია ღირსეულად დააფასებს... სახელმწიფოს ღირსებაა, რომ პრეზიდენტს მის ქვეყანაში დაედგომებოდეს და მისი ოჯახის უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იყოს.“- განაცხადა სააკაშვილმა.

„ვარდების რევოლუცია“ დამთავრდა.

მოგვიანებით, შევარდნაძის გარდაცვალების შემდეგ, კობა ნარჩემაშვილი იხსენებდა: „... ვუთხარი - თუ ქვეყნიდან წასვლას გადაწყვეტთ, პრობლემა არ არის-მეთქი, რაზეც მიპასუხა, საქართველოდან არსად წავალ, არავითარ შემთხვევაში არ ვიქცევი დესტრუქციულ ფიგურად, რომელიც ქვეყნის გარეთ იცხოვრებს და ქვეყანაში შეეცდება პრობლემების შექმნასო“.[400]

25 ნოემბერს გამოქვეყნდა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება შევარდნაძის გადადგომასთან დაკავშირებით: „ჩვენ გვესმის რაოდენ ძნელი იყო პრეზიდენტ შევარდნა-

---

[399] . გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 25 ნოემბერი, 2003;

[400] „შევარდნაძის საში ცხოვრება,“ გაზ. „კვირის პალიტრა“ 14-20 იელისი 2014;

ძისთვის ეს გადაწყვეტილება, მაგრამ მან, ქართველი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, მიიღო იგი. პრეზიდენტი შევარდნაძე განსაკუთრებული მნიშვნელობის ფიგურაა საქართველოს ისტორიაში. იგი აშშ-ს ახლო მეგობარია... პრეზიდენტ შევარდნაძის დამსახურებაა ის, რომ 90-იან წლებში საქართველომ ღასძლია რთული პერიოდი, სამოქალაქო ომი და საერთაშორისო საზოგადოების ღირებული წევრი გახდა. მისი მოღვაწეობის შედეგია ის, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის მილიონობით ადამიანს დღეს აქვს თავისუფლება განახოციელოს თავის მიზნები იმ სახელმწიფოებში, რომლებიც პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გზას ადგანან."[401] - ნათქვამი იყო განცხადებაში.

24 ნოემბერს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ გააუქმა 22 ნოემბერს შემოღებული საგანგებო მდგომარეობა. სააკაშვილმა სამოქალაქო დაუმორჩილებლობის შეწყვეტის შესახებ განაცხადა.

25 ნოემბერს უზენაეს სასამართლოში გაიმართა არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების" მიერ შეტანილი არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელის განხილვა. მოსარჩელეს ძირითად არგუმენტს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ცესკოს მიერ გაცემულ არჩევნების საბოლოო შედეგებში არ იყო გათვალისწინებული ყველას წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობა, რითაც უგულებელყოფილ იქნა თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება. ამასთან, არჩევნების შემაჯამებელ ოქმში ფიქსირდებოდა სხვაობა არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობასა და საარჩევნო სუბიექტების ხმების, ბათილად მიჩნეულ ბიულეტენთა და დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენთა რაოდენობის ჯამს შორის.

სასამართლომ ბათილად ცნო ცესკოს განკარგულება „საქართველოს პარლამენტის 2 ნოემბრის პროპორციული სისტემით არჩევნების შედეგების შემაჯამებელო ოქმის დამტკიცების შესახებ".[402]

საქართველოში დამთავრდა შევარდნაძის მმართველობის ეპოქა.

---

[401]. გაზ.„საქართველოს რესპუბლიკა", 26 ნოემბერი, 2003;

[402] . გაზ.„საქართველოს რესპუბლიკა", 26 ნოემბერი, 2003;

ამ მრავალმხრივი, რთული ბუნებისა და ბედის მოღვაწის მიმართ საქართველოში დიამეტრალურად განსხვავებული, ურთიერთგამომრიცხავი შეფასებები არსებობს. ერთნი ფიქრობენ, რომ შევარდნაძემ შექმნა არა დემოკრატია, არამედ, მხოლოდ დემოკრატიის ფასადი, რომლის მიღმაც „არჩევითი მონარქია“ იდგა ჯიბის პარლამენტით და ასეთიეე აღმასრულებელი ხელისუფლებით. სხვების აზრით, შევარდნაძემ საკუთარი თაეის მსხვერპლად შეწირვით იხსნა საქართველო. მას შეეძლო უბრუნველად ეცხოვრა მოსკოვში, ემოგზაურა მთელ მსოფლიოში, ეწერა მემუარები და გაეზიარებინა მსოფლიო პოლიტიკოსებისთვის თაეისი მდიდარი გამოცდილება. საქართველოში ჩამოსვლით კი მან, პირადად თავისთეის, უაღრესად რთული გზა აირჩია და საკუთარი სიცოცხლის მრავალგზისი რისკის ფასად შეძლო მინიმალური დანაკარგებით გამოეყვანა ქეყანა ურთულესი მდგომარეობიდან.

თითქოს, ერთი შეფასება მეორეს გამორიცხავს, მაგრამ შეეადნაძის შემთხვეეაში ერთიც მართალია და მეორეც. ამ პიროვნების დასასიათებისთეის საკმარისი არ არის რომელიმე ერთი ფერი - თეთრი ან შავი. აქ ფერთა მთელი გამაა საჭირო. მის მოღვაწეობაში კარგიც ბევრი იყო და ცუდიც. შევარდნაძეს არაერთხელ გაუოცებივართ პიროვნული სიმამაცით, აღტაცებაში მოვსულვართ მისი პოლიტიკური გამჭრიახობით, უაღრესად რთულ პოლიტიკურ სიტუაციებში ლავირების ფილიგრანული უნარით. ამაეე დროს, არანაკლებ აღუშფოთებივართ მის მიერ გამოყენებულ ორმაგ სტანდარტებს, ფალსიფიკატორთა წახალისებას, კორუფციონერთა მიმართ წაყრუებას და ა. შ.

საბჭოური პერიოდის შევარდნაძის საქმიანობაში, სულ მცირე - სამი ეტაპია გამოსაყოფი: 1. კორუფციასთან, კრიმინალთან შეურიგებელი მებრძოლი შევარდნაძე. ეს 1972-1974 წლებია. საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი დაუნდობლად ებრძეის მექრთამეებს, საქმოსნებს. მოსახლეობის მშრომელი ნაწილი აღტაცებულია მისი საქმიანობით; 2. შევარდნაძე იძულებულია შეურიგდეს დამკვიდრებულ პრაქტიკას და ქრთამები აგზავნოს მოსკოვში, რათა რესპუბლიკამ დაუბრკოლებლად მიიღოს მისი კუთვნილი მატერიალური თუ ფულადი რესურსები საკავშირო ორგანოებიდან. ეს ის პერიოდია, როდესაც მისი უშუალო მითითებით დაიწყო ფალსიფიცირებული ღვინის წარმოება.

ახლად დანიშნული მინისტრები, მთელი სამოხელეო აპარატი კვლავ ჩაეფლო კორუფციის ჭაობში. სამაგიეროდ, საქართველო იქცა კაეშირის მასშტაბით ეკონომიკური და სოციალური ექსპერიმენტების პოლიგონად, სწრაფი ტემპით ეითარდებოდა ეკონომიკა, უმჯობესდებოდა მოსახლეობის სოციალური ყოფა, ჯანდაცვა, გადაჭარბებით სრულდებოდა ბინათმშენებლობის გეგმები. სწორედ ამ წლებში უდიდეს წარმატებას აღწევს ქართული ხელოვნება, მწერლობა, კინემატოგრაფი... ქრონოლოგიურად ეს პერიოდი 1975-1985 წლებს მოიცავს; 3. შევარდნაძე სსრ კაეშირის საგარეო საქმეთა მინისტრის როლში. ამ დროს ის, გორბაჩოეთან და იაკოვლეეთან ერთად, სსრ კაეშირის რეფორმატორად და დემოკრატად მოგვეელინა. მან ძირეულად შეცვალა დასავლეთის პოლიტიკურ მოღვაწეთა წარმოდგენები საგარეო პოლიტიკის წარმმართველ საბჭოთა პოლიტიკოსზე. ისეთმა თვისებებმა, როგორიცაა გულწრფელობა, დემოკრატიულობა, გახსნილობა, კომპრომისებისთვის მუდმივი მზადყოფნა, შევარდნაძეს მთელ მსოფლიოში უდიდესი აეტორიტეტი მოუპოვა. დამოუკიდებელ საქართველოში ჩამოსულის შემდეგ შევარდნაძის მიერ დაგროვებულმა ამ პოლიტიკურმა კაპიტალმა მეტად არსებითი როლი შეასრულა საქართველოს მიმართ საერთაშორისო მხარდაჭერაში.

დამოუკიდებელ საქართველოში მისი მოღვაწეობა შეიძლება 2 პერიოდად დავყოთ: 1. 1992-1998 წლები. შევარდნაძის საერთაშორისო ავტორიტეტმა მიმშილით სიკვდილისგან (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) იხსნა ქვეყნის მოსახლეობა; უაღრესად რთულ პოლიტიკურ ეითარებაში ლავირების, კომპრომისების მიღწევის მისმა უნარმა ქვეყანა ბეწვის ხიდზე ატარა და გაჭიანურებულ ფართომასშტაბიან სამოქალაქო ომს აარიდა (შევარდნაძის გარეშე სიგუა, იოსელიანი და კიტოვანი გამსახურდიასთან ფართომასშტაბიან სამოქალაქო ომს თავიდან ვერ აიცილებდნენ. რუსეთი გამსახურდიას დაბრუნებას არ დაუშვებდა და „ტრიუმეირატს“ იმდენ იარაღს მისცემდა, რომ სამოქალაქო ომი საქართველოში რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო); ქვეყნის პერსპექტივის შევარდნაძისეულმა ხედვამ საქართველოს რეგიონული და ეკონომიკური ფუნქცია შესძინა. „აბრეშუმის გზაზე“ შევარდნაძე მაშინ საუბრობდა, როდესაც ყველაზე ოპტიმისტ პოლიტიკოსებშიც კი ის ირონიულ ღიმილს

იწვეედა. და ა. შ. 2. 1998-2003 წლები. უკვე ასაკში შესულმა შევარდნაძემ მხარი ვერ აუბა მის გუნდში გაჩენილ ახალგაზრდა რეფორმატორთა მოძრაობას და კორუმპირებული მოხელეების დამცველის როლში მოგვევლინა. ხელისუფლების შენარჩუნებისთვის ის არჩევნების აშკარა ფალსიფიცირების, დემაგოგიისა და კორუმპირებულ ძალებთან თანამშრომლობის გზას დაადგა. პროგრესულ ძალებთან პრეზიდენტის დაპირისპირებამ ქვეყნისთვის სავალალო შედეგი გამოიღო - ხელისუფლების უმაღლესი ეშელონებისკენ გზა ავანტიურისტ, გაუწონასწორებელ პიროვნებებს გაეხსნათ.

2004 წლის 4 ნოემბერს საქართველოს ხალხმა პრეზიდენტად მიხეილ სააკაშვილი აირჩია. საქართველოში დაიწყო სახელმწიფოებრიობის განმტკიცების, ბოლომდე გაუთელელი, მაგრამ მაინც საჭირო რეფორმების, სწრაფი ეკონომიკური აღმავლობის, ეფექტური ანტიკორუფციული პოლიტიკის განხორციელების, საგადასახადო სფეროში სახელმწიფო წესრიგის დამყარების, ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებების ფესქვეშ გათელვის, კრიმინალის წინააღმდეგ კრიმინალური მეთოდებით ბრძოლის, ქურდული რეკეტის სახელმწიფო რეკეტით ჩანაცვლების 9 წლიანი პერიოდი.

P. S.

2009 წლის დეკემბრის მიწურულს უკვე „სტაჟიან" პენსიონერთან ედუარდ შევარდნაძესთან ჟურნალისტმა თეიმურაზ ქორიძემ ინტერვიუ ჩაიწერა. ექსპრეზიდენტის თხოვნით, ჟურნალისტმა ეს ინტერვიუ მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ, 2015 წელს გამოაქვეყნა. შევარდნაძე აქ იმ ძალებზეც საუბრობს, რომლებიც ხელისუფლებიდან მისი წასვლით იყენენ დაინტერესებულნი. „1998 წლის ბოლომდე დასავლეთის ინტერესი და დახმარება საქართველოსადმი სიმბოლური იყო. ქვეყანაში ვითარების სტაბილიზაციის შემდეგ მათ საქართველოში აშკარად პროდასავლური და ამავე დროს ანტირუსული ძალა სჭირდებოდათ. ჩემი ხელისუფლებაში ყოფნა არც რუსეთს აწყობდა - კრემლს შევარდნაძე დღესაც საბჭოთა იმპერიის დამანგრეელად და მოსისხლე მტრად მიაჩნია. მე კი არ დავანგრიე, კაცო, მსოფლიო სოციალისტური სისტემა და საბჭოთა კავშირი, ისტორიამ დაანგრია. მე, უბრალოდ, ამ მოვლენებთან ახლოს აღმოვჩნდი და ხელი არ შემიშლია ... რუსეთი ძალიან საშიში პარტნიორია. საქარ-

თეელოს ინტერესებიდან გამომდინარე, მე ორ ძალას შორის ლავირება ვცადე, რაც, ჩემი აზრით, საქართველოს რეალურ დამოუკიდებლობამდე მიიყვანდა. ეს არც ერთ მხარეს არ აწყობდა. ამიტომაც მომიშორეს. თანაც, ასაკი... სწორედ ამ დროიდან, ცოტა უფრო ადრეც, დაიწყო შევარდნაძის შემცელელი ძალის მომზადება...ოღონდ აქ იყო ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი - თუ ხელისუფლების გადაბარება არჩევნების გზით, მშვიდობიანად მოხერხდებოდა, მაშინ საკაშვილისნაირი ტიპები უშანსოდ დარჩებოდნენ. ეს არც ამერიკელებს აწყობდა და არც რუსებს... საკაშვილი ორივეს აწყობდა, ასე ვთქვათ, რუსეთ-ამერიკის ერთობლივი პროექტი იყო. უპრინციპო, აღვილად სამართავი კაცია და იმიტომ."[403] - აღნიშნავდა შევარდნაძე.

მაშასადამე, ხელისუფლებიდან მისი ჩამოშორება შევარდნაძეს „რუსულ-ამერიკულ" პროექტად მიაჩნდა.

„შეთქმულების თეორიების" მოყვარულებს, მათ, ვინც თვლის, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი სადღაც, აშშ-ში, რუსეთში, ბრიუსელში და ა. შ. წინასწარ დაწერილი სცენარებით ვითარდება, 2003 წელს საქართველოში განვითარებული მოვლენების ასეთი ახსნა ნამდვილად მოეწონებათ. პირადად მე „შეთქმულების თეორიების" ნაკლებად მჯერა. რა თქმა უნდა, ვაშინგტონშიც, მოსკოვშიც, ბრიუსელშიც იწერება სცენარები, კეთდება წინასწარი გათვლები, მაგრამ ცხოვრებას ამ სცენარებში მნიშვნელოვანი კორექტივები შეაქვს. შევარდნაძის ლოგიკით ამერიკელებს და რუსებს ისიც გაუთვლიათ, რომ ახალგაზრდა რეფორმატორებსა და „მოქალაქეთა კავშირის" კონსერვატიულ, კორუმპირებულ ნაწილს შორის დაპირისპირებაში თავისი დემოკრატიულობით, კრეატიულობით და პატიოსნებით ცნობილი შევარდნაძე კონსერვატიული და კორუმპირებული ბანაკის სათავეში აღმოჩნდებოდა. ვთქვათ და, 1998 წელს შევარდნაძეს ქვანია-საკაშვილის გუნდისთვის დაეჭირა მხარი, ხომ ჩაუვარდებოდათ ეს ზიარი კოზი ნაცარში ამერიკელებს და რუსებს?! 1998 წელს საქართველოს პოლიტიკური ცის კაბადონზე ქვანია N 1 სიდიდის ვარსკვლავად კიაფობდა. ამერიკელებიც და რუსებიც კარგად ხედავდნენ მის აშკარა პროდასავლურ სიმპატიებს. თუ ამერიკელები მაშინ ვინმეზე ფსონს ჩამოვიდოდნენ, ეს აუცილებლად ქვანია იქნებოდა. საკაშ-

---

[403]. თეიმურაზ ქორიძე. „დიდი მეორე – უკანასკნელი ქართველი მსოფლიო პოლიტიკაში" გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1 ივლისი 2015

ვილი წინ მომდევნო წლებში გაიჭრა და ვინც არ უნდა ყოფილიყო მისი მეტოქე 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, მას ვერავინ დაამარცხებდა. თავისი მაღალი რეიტინგი მაშინ სააკაშვილმა თვითონვე შექმნა და ამერიკელები და რუსები აქ არაფერ შუაში არიან. მომკალით და არც სააკაშვილის „ადვილად მართვადობის“ მჯერა. სააკაშვილი თავის ემოციებს თვითონ ვერ მართავდა და სხვა ამას როგორ შეძლებდა?

მე-20 საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან საბჭოთა იმპერია ღრმა სოციალ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა მოიცვა. გიგანტურ მშენებლობებზე ორიენტირებული საბჭოთა ეკონომიკა ელექტრონიკისა და მიკროელექტრონიკის ეპოქაში სრულიად მოუქნელი აღმოჩნდა. 1985 წელს ხელისუფლების სათავეში მოსულმა გორბაჩოვის გუნდმა რეჟიმის გადარჩენა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკური სისტემის მოდერნიზაციით და ტოტალიტარული პოლიტიკური ზედნაშენის დემოკრატიზაციით სცადა. საჯაროობის პროცესმა სააშკარაოზე საბჭოთა რეჟიმის მიერ ათეული წლების განმავლობაში საგულდაგულოდ მიჩქმალული ნაკლოვანებები გამოიტანა.

საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ლიბერალიზაციამ შესაძლებელი გახადა კომუნისტური იდეოლოგიური წნეხისგან თავისუფალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბება. დემოკრატიზაციის განვითარების კვალდაკვალ თავი იჩინა ღრმა წინააღმდეგობებმა საბჭოთა იმპერიაში შემავალ ერებს შორის. გამოიკვეთა მძლავრი სეპარატისტული განწყობილებებიც. ეთნიკურმა კონფლიქტებმა საბოლოოდ მოშალა ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის ეკონომიკა.

სეპარატისტული განწყობის თვალსაზრისით საბჭოთა იმპერიაში განსაკუთრებით ბალტიის სამი რესპუბლიკა და საქართველო გამოირჩეოდა. ამასთან, საქართველოში ფართოდ გაშლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის დამახასიათებელი იყო გაუმართლებელი რადიკალიზმი, რაც ამ მოძრაობის ლიდერთა დაბალი პოლიტიკური ინტელექტის შედეგი იყო. ქართული ეროვნული მოძრაობის ახალგაზრდა ლიდერების ქმედებები ძალზე ხშირად სრულიად დესტრუქციულ, ექსტრემისტულ ხასიათს ატარებდნენ. შედეგად ქართველი ინტელიგენცია, რომელმაც ფაქტიურად მოამზადა ერი თავისუფლებისთვის საბრძოლველად, ეროვნული მოძრაობისგან გარიყული აღმოჩნდა.

საბჭოთა იმპერიის ეკონომიკაში არსებული დაუძლეველი პრობლემები, რომლებსაც ამერიკის შეერთებულ შტატებთან გამალებული შეიარაღების ახალ ციკლში ჩართვაც აღრმავებდა, საბჭოთა კავშირის კრახს გარდაუვალს ხდიდა. ცხადი იყო ისიც, რომ კომუნისტური რეჟიმი პოზიციებს უბრძოლველად არ დათმობდა და მოკავშირე რესპუბლიკებში გაშლილ სეპარატისტულ მოძრაობას

კონტრზომებით უპასუხებდა. არსებობდა ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის რეალური საფრთხე. საბჭოთა ხელმძღვანელები ამის თაობაზე ღიად აფრთხილებდნენ კიდეც ამ მოძრაობის ლიდერებს. ეს გარემოება ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერებისგან ქართველი ხალხის ყველა ფენის პატრიოტულ ძალებთან საერთო ენის გამონახვას და ეროვნულ ნიადაგზე კონსოლიდირებას მოითხოვდა. თუმცა, ასეთი მზაობა ქართულ ეროვნულ მოძრაობაში არ არსებობდა. ამ მოძრაობის ლიდერები არათუ ქართულ პატრიოტულ ძალებთან ცდილობდნენ საერთო ენის გამონახვას, არამედ ერთმანეთთანაც გაუთავებლად კინკლაობდნენ.

1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა რეჟიმის მიერ თბილისში მშვიდობიანი დემონსტრაციის ბარბაროსულმა დარბევამ ხალხის ფართო მასების რადიკალთა პოზიციებზე გადასვლა გამოიწვია, რასაც 1990 წლის 28 ოქტომბერს ხელისუფლების სათავეში რადიკალური ძალების მოსვლა მოჰყვა.

გამსახურდია პრეზიდენტის პოსტზეც დისიდენტად დარჩა. ერთი მხრივ, მისმა პიროვნულმა თვისებებმა: ზღვარსგადასულმა ამბიციებმა, ავადმყოფურმა ეჭვიანობამ, გონივრულ კომპრომისებზე წასვლის უუნარობამ; მეორე მხრივ, მაშინდელი რადიკალური ოპოზიციის მაქსიმალიზმმა და გამსახურდიას მიმართ პიროვნულმა ზიზღმა ეროვნულ ძალთა ერთიანობა საქართველოში შეუძლებელი გახადა.

სახელისუფლებო გუნდში მომხდარი განხეთქილების შედეგად ოპოზიციაში გადასულმა პოლიტიკოსთა და ეროვნული გვარდიის ნაწილმა, ციხიდან გათავისუფლებული ჯაბა იოსელიანის „მხედრიონის“ შეიარაღებული მსარდაჭერის, აგრეთვე, პოლიტიკურად საზოგადოების ყველაზე აქტიური ნაწილის - ინტელიგენციისა და სტუდენტობის მორალურ-პოლიტიკური თანაგრძნობით, გარეშე ძალის სამხედრო და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის გზით საქართველოში მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება. ინტელიგენციისა და სტუდენტი ახალგაზრდობის დიდი ნაწილის ოპოზიციური განწყობა განპირობებული იყო ხელისუფლების ხისტი, მოუქნელი, ავტორიტარული მმართველობითი კურსით, უაღრესად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში ლავირების უუნარობით, მძიმე შეცდომებით.

გადატრიალების შედეგად ხელისუფლების სათავეში მოსულმა სამხედრო საბჭომ საქართველოში შეიარდნაძე მოიწვია.

კრემლი კი მეთოდურად განაგრძობდა თავისი მუქარის შესრულებას. მან მთლიანად და ბოლომდე მიაღწია თავის მიზანს: ჯერ შეიარაღებულ დაპირისპირებაში აფხაზი და ოსი სეპარატისტების, ჩრდილოკავკასიელი მოხალისეების, კაბაკების ხელით დაამარცხა საქართველო, შემდეგ მოხერხებული დიპლომატიით მიაღწია იმას, რომ მშვიდობისმყოფლიის მანტია მოირგო და ასე შეიყვანა თავისი ჯარები აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში. მომდევნო წლებში რუსეთი კვლავაც დაუფარავად აგრძელებდა საქართველოსთვის მისი ძირძველი კუთხეების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ჩამოცილების მუსანათური გეგმის პრაქტიკულ რეალიზაციას.

დამოუკიდებელ საქართველოში შევარდნაძის მოღვაწეობა შეიძლება 2 პერიოდად დავყოთ: 1. 1992-1998 წლები. შევარდნაძის საერთაშორისო აუტორიტეტმა შიმშილით სიკვდილისგან (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) იხსნა ქვეყნის მოსახლეობა; უაღრესად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში ლავირების, კომპრომისების მიღწევის მისმა უნარმა ქვეყანა ბეწვის ხიდზე ატარა და გაჭიანურებულ ფართომასშტაბიან სამოქალაქო ომს აარიდა (შევარდნაძის გარეშე სიგუა, იოსელიანი და კიტოვანი გამსახურდიასთან ფართომასშტაბიან სამოქალაქო ომს თავიდან ვერ აიცილებდნენ. რუსეთი გამსახურდიას დაბრუნებას არ დაუშვებდა და „ტრიუმვირატს“ იმდენ იარაღს მისცემდა, რომ სამოქალაქო ომი საქართველოში რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო); ქვეყნის პერსპექტივის შევარდნაძისეულმა ხედვამ საქართველოს რეგიონული და ეკონომიკური ფუნქცია შესძინა. „აბრეშუმის გზაზე“ შეევარდნაძე მაშინ საუბრობდა, როდესაც ყველაზე ოპტიმისტ პოლიტიკოსებშიც კი ეს საუბარი ირონიულ ღიმილს იწვევდა. და ა. შ. 2. 1998-2003 წლები. უკვე ასაკში შესულმა შევარდნაძემ მხარი ვერ აუბა მის გუნდში გაჩენილ ახალგაზრდა რეფორმატორთა მოძრაობას და კორუმპირებული მოხელეების დამცველის როლში მოგვეელინა. ხელისუფლების შენარჩუნებისთვის ის არჩევნების აშკარა ფალსიფიცირების, დემაგოგიისა და კორუმპირებულ ძალებთან თანამშრომლობის გზას დაადგა. პროგრესულ ძალებთან პრეზიდენტის დაპირისპირებამ ქვეყნისთვის სავალალო შედეგი გამოიღო - ხელისუფლების უმაღლესი ეშელონებისკენ გზა ავანტიურისტ, გაუწონასწორებელ პიროვნებებს გაეხსნათ.

SUMMARY

The Soviet Empire fell into a deep socio-economical and political crisis in the second half of the 1970s. The soviet economy, oriented on gigantic constructions, appeared to be very inflexible in the electronics and microelectronic epoch. Gorbachov's team that came to the government in 1985 tried to save the regime with the administrative-imperious modernization of the economic system and democratization of totalitarian political fundament. Publicity process highlighted disadvantages which were hidden during decades.

The liberalization of the Soviet political system gave a chance to establish public and political organizations free from the pressure of the communist ideology. Deep obstacles arose simultaneously with the development of democracy and acute separatist attitudes emerged between the nations in the Soviet Empire. Ethnic conflicts finally destroyed already weakened country's economy.

The three Baltic republics and Georgia were distinguished from the point of view of separatists' attitudes. Besides, widely spread national-liberation movement in Georgia was characterized with unreasonable radicalism which was a result of low political intellect of the leaders of the movement. The activities of young leaders of Georgian national movement often had destructive and extremist character. Georgian intelligentsia that in fact prepared the nation for freedom fighting remained out of national movement.

Insurmountable problems in the Soviet economy, which was deepened with engagement in the armament cycle with the US, made inevitable to destroy the Soviet Union. It was obvious that the communist regime would not give up its position without a fight and answered the separatist movement in republics with counter measures. There was a danger of violating the territorial integrity. The Soviet leaders openly warned the leaders of the movement about this danger. The existed situation reclaimed from the leaders of the Georgian national movement to find a common language with all layers of Georgian patriotic powers and to consolidate on the national ground. Though, the readiness didn't exist in Georgian national movement. The

leaders of the movement not only tried to find a common language with Georgian patriotic powers but they constantly argued with each other.

On April 9, 1989 the barbaric crackdown on peaceful demonstration by the Soviet regime in Tbilisi caused people's massive switching to radical positions. The result of this was appearance of new radical forces in the government on October 28, 1990.

Gamsakhurdia remained to be a dissident on the president's post. His personal features, on one hand, his excessive ambitions, morbid jealousy, the inability of a reasonable compromise and, on the other hand, the maximalism of radical opposition of those days and a personal hatred towards Gamsakhurdia made national unity be impossible.

As a result of a split in the government team, one part of opposition politicians and the national guard organized the state coup with the armed support of "Mkhedrioni" by Jaba Ioseliani who was released from jail, also - with the moral-political compassion of the intelligentsia and students - one of the politically most active part - and with the military and technical support of outer power. The opposition attitude of intelligentsia and students was conditioned with the rigid, inflexible authoritarian management course, with inability of maneuvering in an extremely difficult political situation and with serious mistakes.

As a result of the coup, the Military Council that came to the government invited Shevardnadze to Georgia.

The Kremlin carried on fulfilling its threats. Soon, it reached its aim. First it defeated Georgia with the help of armed Abkhazian and Ossetian separatists, North Caucasian volunteers and Kazaks, then with the help of deft diplomacy. The Kremlin put on the peacemaker's mantle and led its army to Abkhazia and Tskhinvali regions. In the following years it continued to realize its insidious plan -to separate the oldest parts - Abkhazia and Tskhinvali regions - from Georgia.

Shevardnadze's activity in independent Georgia may be divided into 2 periods:

1.1992-1998. Shevarnadze's international authority saved the population from starving death. He could save the country from the wide-scale Civil War with maneuvering in difficult political situations and

compromise power. Kitovani, Sigua and Ioseliani could not rid of wide-scale Civil War with Gamsakhurdia without Shevardnadze. Besides, Russia would not allow the return of Gamsakhurdia. Russia was ready to give "triumvirat" great number of weapons in order to continue the Civil War in Georgia as long as possible. Shevardnadze's vision on the country's perspective gave Georgia regional and economical functions. Shevardnadze spoke about the "Silk Road" in the time when it caused the ironic smile in the most optimist politicians and so on.

2. 1998-2003. Already aged Shevardnadze couldn't resist the movement of a group of young reformers in his team. He became a defender of corrupt officials. To keep his position and power, Shevardnadze falsified the elections and collaborated with corrupt officials. The result of being in opposition with the progressive forces was deplorable – this opened adventurers and unbalanced people the way to the higher eshelons of the government.

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge